

1169.
1956/2



მედიკალიზაცია

1

0363360



1956

1956/9



ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 33-ე

№ 1

იანვარი, 1956 წ.

საპარტვილოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორბანო

9169

შ ი ნ ა ა რ ს ი

თინა დონაშვილი — აღზნის პირას, რომანი (ვაგრძელება)	83
ა. გრიშაშვილი — ყველეები ქვაზე, ლექსი	83
სანდრო ფული-ქუტიძე — ახლო წელო! ლექსი	24
გრიგოლ ციცილაძე — მშვიდობა; სიკეთით წაესე გულს გულმარჯოს; ბარათი ქალბატონ ვეკობარს, ლექსები	25
რევაზ ჯაფარიძე — ჯარისკაცის ქვრივი, რომანი (ვაგრძელება)	27
ოთარ კუპრაძე — ეს ზომ იყო ბავშვობიანა...; სურათი; ზღვათან; დაბრუნება. ლექსები	62
ნიკოლოზ ჩაჩავა — უნდა გჯეროდეს; შენა თავს ვფიცავ; შენ, ჩემო შვილო. ლექსები	70
ზაქარია შერაზაძის შვილი — ჩანჩქერი; ქართ, ქართ; შენ რომ თუნგი ჩაგვიარდა ქაშა; ბაღი, ლექსები	71
სოლომონ თავაძე — დაუვიწყარი, რომანი (ვაგრძელება)	72
შოკოლა ბაყანი — თმოგვის გზაზე, თარგმანი შალვა ამოსელაშვილისა	117
ზაქხიმ გორგი — კამო, ეტიუდი, თარგმანი პლატონ ბეზიანი	120

ქიტიხა და პუბლიცისტიკა

შალვა რადიანი — აკაკი ბელიაშვილი	127
ზურაბ ჭუმბურიძე — სალიტერატურო ენის ხალხურობისათვის	132
ნიკო ქავჭავაძე — ნაწროში ესთეტიკის საციობებზე	138
თეიმურაზ ფირალიშვილი — არტერ ლიტეტი და საქართველო	148
მიხეილ ზავერაძე — სანახელო თანამეგობრობა	154
ციხლა თოფურიძე — თეოდორ დრახაზერი	163

ხელოვნების საკითხები

მიხეილ ვაქშანი — რამდენიმე დღე საქართველოში

წიგნების მიმოხილვა

სიმონ ყაუხჩიშვილი — ახალი წიგნი პეტრიწონის შესახებ	175
აკაკი კენჭოშვილი — გრიბოედოვი და ალმოსაველი	178
ნოდარ ჩხეიძე — ა. ლუდვიგის „ესთეტიკის შესავალი“	181
იბ. მე-2 გვ.	



თინა როძაშვილი

★

ადამის პირას*

რომანი

შეხვედრები

შუალამე გადასული იყო, როცა ტარელმა და ზაქრომ ლელიანს მიაღწიეს. ზაქრომ მანქანაში გამოიძინა და ლელიანს გამოუჩვენა. ცუდ გუნებაზე იყო, აზრების დაღვებას ვერ ახერხებდა. ანიკა, ლევანი, ბაადურთან უთანხმოება, კოლმეურნეობის ჩამორჩენა, პირადა და საზოგადოებრივი — ყველაფერი ერთად ირეოდა მის გონებაში. არა ტყულებოდა, თუმცა ხედავდა, რომ ჩიხს მიაღდა და იქიდან გამოსასვლელად დახმარება სჭირდებოდა. ახლა ის ტელეფონოგრაფიკულ უწყვეტად უბნებდა.

„დაუყოვნებლივ გამოცხადდით ჩემთანო“, სწერდა ფერაძე. ოო, როგორ სწყინდა ზაქროს ეს უკმეხი შეძახილი. სიბრაზისაგან გული ყელში ებჯინებოდა, ფერაძის ნახვა სულაც აღარ ექაჩებოდა, იცოდა, მშვიდობით ვერ დამთავრდებოდა ეს შეხვედრა. ამაზე ფიქრობდა, როცა შორიდან რაიკომის განაჩინებული შენობა გამოჩნდა. ზაქრომ უცხად გადაწყვიტა ჯერ რაიკომის მდივანი ენახა, იცოდა, რომ გედეონ ვარამაძეს წესად ჰქონდა შემოღობული ღამით მუშაობა, ხალხის დახმარება, თათბარების მოწყობა. უყვარდა აქ მოსვლა. მდივანი მას ყოველთვის გულთბილად ხელებოდა. მოიკოხხავდა, ახალ ამბებს მოუყვებოდა, ხან რომელიმე წაკითხულ წიგნზე ეკავაუებოდა. ზაქროს ისიც იზიდავდა, რომ ვარამაძე ყოველთვის გულდასმით უსმენდა, სიძნელეს უბეჭებდა, ყოველგვარ ეჭვს და ჯაფერს უფანტავდა... დანარჩენებიც ისე გულთბილად ხელებოდნენ რაიკომში,

თითქოს ზაქრო ყველას ახლობელი ან მოკეთე ყოფილიყოს. თუ არ შეაქებდნენ, არც არაფერს უწუნებდნენ და არაფერში არ ეღავებოდნენ.

მართალია, არ შეიძლებოდა ზაქროსთან ვარამაძეზე ძვირის თქმა, მაგრამ ახლა მან თვითონაც აღარ იცოდა, კვლავინდებურად უყვარდა თუ არა რაიკომის მდივანი. როცა მისი კაბინეტიდან გამოსულს ცხოვრება გააღვილებულად, შეხვედრილი სიძულე ადვილად მოსაგვარებელ წვრილმანად ეჩვენებოდა, მაშინ უყვარდა, სიამოვნებით იგონებდა ვარამაძესთან გატარებულ საათებს. მაგრამ, როცა კოლმეურნეობაში დაბრუნებისას ის „წვრილმანი“ უნდა გადაეკრა, როცა ცხოვრება, ნამდვილ და რთულ დაბრკოლებებს უყენებდა წინ, მაშინ ზაქროს ბოღმა ერეოდა, გული საყვედურით ევსებოდა. მაშინ ვარამაძესთან გატარებულ საათებს დროს დაკარგვად თვლიდა. როცა ლელიანიდან წამოყოლილი ის გამაყურებელი, დამთენთავი გარსი შემოიძინებოდა ყოველღამე სინამდვილეში, მაშინ ნათლად ხედავდა, რომ არც გარკვეული მიმართულება, არც ამომწურავი პასუხი, არც რჩევა და საქმიანი დახმარება ვარამაძისაგან არ მიუღია.

და მიუხედავად ამისა, ვარამაძეზე ცუდად ფიქრი არ უნდოდა. გედეონ ვარამაძე ხელმძღვანელი იყო, პარტიის ნდობით აღჭურვილი, და ზაქროს ეგონა, რომ მისი ეჭვები პარტიისაღმე უნდობლობა იქნებოდა, იმ პარტიისაღმე, რომლის სახელით მტერს ებრძოდა, რომლისთვისაც სიცოცხლეს არ დაზოგავდა.

„მე ვარ ყველაფერში დამნაშავე, —

* გაგრძელება, იხ. „მნათობი“ 1955 წ. № 11.

ფიქრობდა ახლაც ზაქრო, — ის კარგად შექცევა, კარგი თავმჯდომარე ვგონივარ. მე კი ამით ვსარგებლობ, საქმიან შეხვედრას დარბაზობად ვაქცევ ხოლმე...“

რაღა თქმა უნდა, ძალიან უყვარდა ზაქროს ვარამაძე, სწამდა, სჯეროდა მისი, ამიტომ ამართლებდა მას ყველაფერში. ამიტომ ყველაფერში დამნაშავედ მხოლოდ თავისთავს თვლიდა, თორემ განა ნამდვილად ასე იყო? აი, თუნდაც იმ ეზოს მშენებლობა. ბევრი რამ გაახსენდა ახლა ზაქროს, მაგრამ ფიქრი იმის შესახებ, რომ მშენებლობა მდივანთან შეხვედრების და საუბრის შედეგი იყო, მაინც არ დაამთავრა. ისევ თავი გაიმტყუნა:

„რას წარმოიდგენდა ვარამაძე, რომ მე მივიღებდი იმგვარ საჩუქარს? რას იფიქრებს ჩემზე, რას იტყვის?“ — ნერვიულად ეკითხებოდა თავისთავს ზაქრო. რა იცოდა, რომ დემურიშვილს არ ძალუძდა იმგვარი „საჩუქრის“ გაკეთება, რომ მშენებლობა ვერ დაიწყებოდა საქმეში თვითონ ვარამაძის ჩაურევლად.

ზაქრომ უბის წიგნაკი ამოიღო და გადათვალიერა. მტკიცედ გადაწყვიტა, რომ შიგ ჩაწერილ ყველა კითხვაზე ამჯერად ზუსტი და ამომწურავი პასუხი მიეღო.

რაიკომის ეზოში, კიბეზე, აივანზე ხალხი ირეოდა.

— ნეტა როდისღა სძინავს ამ დალოცვილს? — მოწონებით დაიძახა ზაქრომ.

— როცა მუშაობის დროა! — ჩაიბურტყუნა ტარიელმა.

— რას ამბობ? — შეედავა ზაქრო, — როცა არ უნდა მოხვიდე, ეს თავის ადგილზეა.

— მაგისი ადგილი აქ როდის არის? — მოულოდნელი სიბრაზით თქვა ტარიელმა. — კაბინეტში ჩაკეტილ ადამიანს ამაზე ან ეკედლებმა უნდა უთხრან, ან თითო-ოროლა ხელაყმა უნდა მიუხრიალოს...“

— ოჰ!.. — ეწყინა ზაქროს, — კარგი ამბის მიტანა თუ გინდა, შენც მისუღიყავი, განა არ მიგიღებს?

— შეიძლება მიმიღოს, მაგრამ მე რად მივალ, აქ რა დამრჩენია? მანქანებს და მინდვრებს აქ ვერ ჩაწოვებულან და თუ საქმეა, თვითონ მოვიდეს იქ, ადგილზე ნახოს ყველაფერი თავისი თვალით. მე თუ მკითხავ, ეგა... — თავი გადააქნია ტარიელმა განათებულ კაბინეტისკენ, — ხალხის უპატივემეულობაა...“

ზაქრო დააკვირდა მეგობარს. გააოცა მისმა უჩვეულო გამომეტყველებამ. ამის მეტად არც სიბრაზე სმენია მის ხმაში.

— რას შემომყურებ? — ახლა თითქოს სევდით უთხრა ტარიელმა, — აი, აქ ვისაცა ხედავ, სულ მუშახალხია, მშრომელი. მოსვენების ნაცვლად ამ შუალაძისას აქ აყურყურტებს ხალხს...“

— დღისით ალბათ ვერ იცლის. ადვილი გგონია, ქვეყნის საქმე აბარია! — ცხარედ გამოესარჩლა ზაქრო მდივანს, მაგრამ ტარიელი ყურს აღარ უგდებდა, რადგან ამ დროს ვიღაც ნაცნობს გამოელაპარაკა.

კიბეზე ხმაურით და გაცხარებული კამათით ოციოდე ახალგაზრდა ჩამოდიოდა. წინ ჭრელკაბიანი გოგონა ჩამორბოდა.

— ეგე! ვიძახოდი, არაფერი გამოვამეთქი და არ დაიჯერე! — სიტყვების ტყეპნით ეუბნებოდა მას უკრაინულად ნაქარგ ხალათში გამოწყობილი ყმაწვილი.

— სულხან, თავი დამანებე, თავი დამანებე, თორემ!.. — სასაცილოდ დაემუქრა მას ჭრელკაბიანი და ლობესთან ჩამწყრივებულ ალვის ხეებთან მიიბინა.

დანარჩენებიც უკან დაედევნენ.

— აბა რა გაჯავრებს? — დაყვავებით უთხრა ამხანაგს მალაღმა გოგონამ, რომელსაც სხვები დარჩას უძახდნენ. — ბოლოს და ბოლოს, პურიცა საჭიროო და პური იყოს!

— ჩვენ მთავრობის დადგენილებას ხომ ვერ შევეცვლით? იმათ უფრო კარგად არ იციან, რა არის საჭირო? — ჩქარ-ჩქარა დაილაპარაკა ჭრელ წინდებში შარვალჩატანებულმა ბიჭმა.



ჩაფიქრებული გოგონა ალვის ხეს მიყარდნო ზურგით. ამხანაგები მკიდროდ შემოეხევივნენ.

— შენი ბრალიც არის! — დინჯაღ უთხრა სულხანმა. — ის გვეუბნება, პურისათვის ფართობი უნდა გამოვნახოთო და შენ კი მიახალე, ორმოცი ჰექტარი გვინდაო...

— მერე ხომ ოცი ვუთხარით? ათი ვეხვეწეთ და ისიც ვერ გაიმეტა! — წყრომით თქვა გოგონამ.

— გაიგე, გოგო, რით ვერ გაიგე, მთავარი პურიაო. შენი ცდებისათვის მიწას ვერ გააცდენს ახლა, ხუმრობა ხომ არ არის? — ამოიოხრა სულხანმა.

— ხუმრობა ხომ არ არის! — გააჯავრა გოგონამ სულხანს. — სახუმროდ არც ჩვენა გვცალია! თუ არა და, რა ვახდა ეს პური? პურის მეტი რა გვაქვს, თუნდ მთელ ქვეყანას გააძღობს ჩვენი პური!

— გააძღობს, მართალია, მაგრამ ჩვენ მაინც საკუთარი უნდა გვექონდეს, ქართულიო! — თქვა თუშურქუდიანმა მისიკომ.

— ოხ, არავინ გააკვირვო შენი პურით! — ცხარედ მიუგო გოგონამ, — რასაც ყუბანში ერთი ძლიერი კოლმეურნეობა მოიყვანს პურს, საქართველოს ისიც ეყოფა, მაგრამ ჩვენებური რქაწითელა მოდის იქა? მოდის? ვარდების გაშენება შეიძლება იქა, შეიძლება? რაიკომის მდივანი განა უნდა ყუაროდეს? „ვარდები! ვარდის ზეთი! ნელსაცხებელი! სუნამო! თქვენ ხანში ჩვენ სულ სხვა საქმეს ვუვლიდით! ვარდები ვერ განამტკიცებენ ჩვენი სამშობლოს ძლიერებას!“ — სასაცილოდ გამოაჯავრა ვარამაძეს. — ძლიერებას ყველა კარგი საქმე განამტკიცებს, ეგ როგორ არ ესმის?

— ნეტა შენ ვინა გკითხავს რაიკომის მდივნის კრიტიკას? შენ რაც დაგავალეს ის გააკეთე! — ნიშნის მოგებით უთხრა ჰრელწინდებიანმა.

— რა გააკვირე საქმე, კაცო? — წყრომით მიუბრუნდა მას სულხანი. — არ ვასრულებთ გეგმებს გადაჭარბებით თუ

რა? როდისა ყოფილა დავალება არ მეგვესრულებინოს?!

ჰრელწინდებიანს დანაჩჩენებშიც მუყვირდნენ.

— დავალებას ახლაც პირნათლად შევასრულებთ და ვარდის პლანტაციაც გვექნება! — მტკიცედ თქვა გოგონამ, — შენ კი, ვაებატონო კოწო, იცი, რას გეტყვი? თავდრეკია ნუ ხარ და ქლესა! ჩვენში ეგ არ გამოგადგება, გაიგე? ჩვენ ასეთი ამხანაგი არა გვექირდება!

— აბა, მე რა დავაშავე? — საცოდავი ხმით იკითხა კოწომ.

— ისა, რომ შენ ოლონდ გითხრან, უფროსიაო, და ხელში მოუკვდები კაცს! სწორედ შენისთანებიდან გამოდიან მერე ორპირები, ორგულები და მლიქვნელები! რატომ არა ფიქრობ, რომ უფროსიც აღამიანია და უნდა გაისინჯოს, კარგად ინახოს, რა აღამიანია!

— სსუ, გოგო, ჩუმაღ! — ჩასჩურჩულეს აქეთ-იქიდან ამხანაგებმა და ისევ მკიდროდ შემოეხევივნენ, მაგრამ, ჩანდა გოგონამ რაღაცა თქვა კვიმატიანი, იმავ წუთს ჯგუფი ხარხარით გაიშალა.

— ახლა სური მიგდეთ! — გამოაცხადა გოგონამ, როცა ხარხარი დაწელდა. — ზურა, სადა ხარ?

— აქა ვარ! — გაისმა განზრახ დაბოხებული ხმა და გოგონასთან მივიდა კარგად გამობრძმედილი, დონჯემოყრილი ბიჭი, რომელსაც ბავშვურად გაფუნთუშებულ ლოყებს შუა სასაცილოდ ჩაშავებოდა საულვაშე. მივიდა და ისეთი გულისყურით მიაჩერდა გოგონას პირში, თითქოს ნათქვამი უნდა დაინახოსო.

გოგონამ ზურას მოხვია ხელი და დანარჩენები შეათვალა.

— ძია ნიკოს ხომ აუკრძალა, რომ საცდელი ნაკვეთი გამოეყო ჩვენთვის? აგრონომსაც აუკრძალა? მიწის განყოფილებასაც ხომ აუკრძალა? ყველას აუკრძალა! მაშ რაღა დაგვარჩენია? უნდა ჩვენ თვითონ გავანძრიოთ ხელი. ინსტიტუტს მივწეროთ, ვაცნობოთ, რომ ჩვენი განზრახვიდან არაფერი გამოდის, რადგან მიწას არ გვაძლევენ და...

— პერიპა, ეგ ხომ ჩივილი გამოვიდა, — დაიძახა კოწომ, მაგრამ შეშინებულმა, ჩხუბი არ ამიტეხონო, ჩაჩუმდა და პირველმა დაიძახა: — მივწეროთ!

— ჰოდა, დილით, მინდორში გასვლამდე კლუბის ეზოში შევიკრიბოთ. ზურას ვუქარნახოთ, ღამაზად დასწერს და...

— ჩემთვის ეგ არაფერია, თუ გინდათ, ამაღამვე დავწერა! — უარესად გაიფხორა ზურა.

— არა, ამაღამ ყველამ ვიფიქროთ და დილით დავწეროთ! — გადაქრით თქვა გოგონამ და წამოვიდა გასასვლელისაკენ.

ზურას გადააეწყდა თავისი სიღინჯე, მუჯღუგუნით გაკაფა გზა ამხანაგებში და პირველი დაედევნა გოგონას.

— ვინ არის ეს კრეკაბიანი? — ჰკითხა ტარიელს ზაქრომ, რომელიც აქამდე ყურს უგდებდა მათ ლაპარაკს და ცდილობდა გახსენებოდა სად ენახა ეს გოგონა.

— ვერ იცანი? მარიამის ქალია, ხიმშიაშვილიანთ მანანა.

— მანანა?! როგორ დაქალებულა, კაცო... ერთი ბეწვა მახსოვს.

ზაქროს გონების თვალწინ ცხადად გადაიშალა მზით განათებული მინდორი და მინდორზე ნიავევით გაქროლილი ტანწვრილი, ყელმალალი გოგონა, აფარფატებული ნაწნავეებით. მიჭროდა გოგონა, ბელში კრეკ ხოხობს მთარბენინებდა.

— მანანა! — დაიძახა ტარიელმა, როცა ახალგაზრდებმა მათ წინ გაიარეს.

— ტარიელ! — გაუხარდა გოგონას და შეჩერდა.

— თქვენები როგორ არიან?

— გმადლობთ, კარგად.

— აბა, თუ იცნობ ეს ვინ არის? — ღიმილით ჰკითხა ტარიელმა და ზაქროსზე უჩვენა.

მანანამ ტარიელს გვერდით მდგომს შეხედა და გული უცხოად აღუბნურდა. „ის ხომ სიზმარი იყო, მეხსიერებაში ღრმად ჩარჩენილი სიზმარი... კრეკი ხოხობი, ყალყზე შემდგარი ოქროსფერი

მერანი, ზედ მოღიმარე მხედარი... საღ და როდის ვნახე ის სიზმარი?...

— ვიცნობ... ძია ნიკოლა ზაქროა... სიყმაშვილი...

— ყოჩაღ! ამან კი ვერ გიცნო, გაზრდილა, დაქალებულაო...

გოგონას თავთუხისფერ ლოყებზე სიწითლემ გადაურბინა, მორცხვად დახარა თავი. — დიდდა გემდურით... — უთხრა ზაქროს ხმადაბლა. — ფეხშიშველა როცა დარბოდა, იმისგან მოსვენება არა გვექონდა და ახლა კი დაგვივიწყაო.

— დიდდა ელისაბედთან თქვენ... შენ დამიდექი შუამავლად, შემარიგე, კარგი?

— რა შუამავალი გინდათ? — გაიცინა მანანამ და თვალები წამით შეანათა ზაქროს. — მომენატრაო, იძახის, თორემ კი არ გიწყურებთ... ნახვამდის, ამხანაგები მეღიან... — წასვლა დააბირა.

— მოიცა, მანანა, სად არის თქვენი მანქანა? — დაენანა გოგონას წასვლა ზაქროს.

— ჩვენ ფეხით ჩამოვედით, არ ეცალათ მანქანებს...

— ტარიელ, მე მინც დიდხანს შევჩეხები აქა და... დაღლილი ხარ?

— რამ დამალა? წამოდი, მანანა. გოგონას არც ზედმეტი უარი უთქვამს, არც შეჩერებულა. მსუბუქად დაუქრა თავი ზაქროს და ტარიელთან ერთად დაეწია ამხანაგებს.

დიდხანს იდგა ერთ ადგილზე ზაქრო. დიდი ხანია წავიდა მანქანა. დიდი ხანია შესწყდა ახალგაზრდების ყრიაშული. ის კი იდგა და გასცქეროდა იქ, სადღაც შორს. ბნელაში ციციანთელები ციმციმებდნენ, მკრთალი მოცისფრო შუქით სთანგაუდნენ.

„ერთი პატარა მანანა, ხან გაიცინებს ხან არა...“

ზაქრო რაიკომის მდივნის მოსაცდელ ოთახში შევიდა. მაშინვე ნაცნობები შემოეხევივნენ, გამოელაპარაკნენ. მერე თამარს მოეხმარა ურიცხვი თათბირების ოქმების აკრძევაში და მერე უბის წიგნაკი ამოიღო. ახსოვდა, მაგრამ მაინც

ჩაწერა. აუჩქარებლად სწერდა, თითქოს მარმარილოს აპირკეთებდა, ისე გამოჰყავდა თვითვეული ასო: პლანტაცია ვარდებისათვის...

სწორედ ამ დროს გამოალო კაბინეტის კარი ვარამაძემ.

— აა, ამხანაგ ზაქროს სალამი! — ხალსიანად მიესალმა, ხელი მაგრად ჩამოართვა და ასე ხელდაჭერილი შეიყვანა კაბინეტში. — იქ რას უცდიდი? პირდაპირ ვერ შემოხვედი?

— ახლახანს მოვედი, ამხანაგო გედეონ, — იცრუა თავაზიანობისათვის ზაქრომ. „როგორა სცდება ტარიელი“ — გაიფიქრა თან.

— ძალიან დაიძვირეთ თავი ამ ბოლო დროს, ამხანაგო, ამბობენ, მშენებლობით არის გატაცებულიო. რაზე შეწუხებულხარ?

— მართლაც ძალიან ვარ შეწუხებული, ამხანაგო გედეონ, მაგრამ ჯერ ეს უნდა გამოვარკვიო! — უპასუხა ზაქრომ და ტელეფონოგრამა გაუწოდა.

ვარამაძემ სწრაფად ჩაიკითხა დაწერილი, გარუხა თმებზე თეთრი, ღამაზი ხელი გადაისვა და ეშმაკური ღიმილით შეხედა ზაქროს.

— ხომ არაფერი აწყენინე ფერაძეს?

— მე რა მაქვს სადავო ისეთ „უფროსთან“, რომელიც კოლმეურნეობას სათაღეზეც კი არ ეკარება?!

ვარამაძემ უყურადღებოდ დატოვა ზაქროს დამკვინავი კილო და კითხვა დაეძინებოთ გაუმეორა:

— გაიხსენეთ, სულ, სულ არაფერი?

ზაქრო მცირე ხნით ჩაფიქრდა და მერე მოულოდნელად გადაიხარხარა.

— გაგახსენდა რამე? — დაინტერესებული შეეკითხა ვარამაძემ.

— არა, ამას კი რა მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ერთი პატარა ამბავი გამახსენდა.

რაიკომის ინსტრუქტორად მუშაობის დროს ზაქრომ შეამჩნია, რომ ფერაძემ შორიახლოს უტრიალებდა. ზაქროს არ უყვარდა კუყუმალულობის თამაში და ერთხელ გზად შეხვედრილ ფერაძეს სწვდა მკლავში, შეეკითხა, რა გინდა, რას დამდევო?

ჩვეულებრივ უკმეხმა და ამპარტოვან-მა ფერაძემ ლაქუცით გაუღიმა, ფიცისა და პირობის ქვეშ უთხრა: „ქვეშ მგონს მეგობარს შენი და ანკვას“ შეხვედრის ამბავი დაუწერია და მთხოვა შენთვის წამეკითხაო.

გათენებამდე უსმინა ზაქრომ უშინაარსო აბდაუბდას, მაგრამ „მოთხრობას“ ბოლო არ უჩინდა. დილის სიომ რომ დაუბერა, დაქანცულმა და გაბრუებულმა ზაქრომ ველარ გაუძლო, ზეზე წამოვარდა ყვირილით:

— კაცო, ზაქროს და ანიკას ამბავი როდისლა დაიწყებო?

ფერაძეს აღშფოთებაზე მიხედა ზაქრო, რომ ამ ნაჯღაბნის აეტორი თვითონ ფერაძე იყო, მაგრამ რალა იქნებოდა?! წამოვიდა ზაქრო, მთელი გზა სიცილით იხრჩობოდა. ფერაძეს მიცემული სიტყვა არ გაუტეხა, არავის არ გაანდო მისი საიდუმლოება, მხოლოდ ამ საღამოს მიღებული ტელეფონოგრამით გაბრაზებულმა დაიგინა — თქვენ არ იცით, რომ ფერაძე „მწერალიაო“?

აი, ეს ამბავი მოუყვა ახლა ზაქრომ ვარამაძეს და ორივემ გულიანად იცინა.

— ოხ, ზაქრო, ეგ რა გიქნია? მაგას ფერაძე მთელი სიცოცხლე არ დაგივიწყებს, არ იცი? არავითარ შემთხვევაში მაგას არ გაპატიებს!

— თავში ქვა უხლია, ნუ მაპატიებს! მაშ მწერლობა რა მაგისი საქმეა? ტყუილად ხომ ვერ ვაქებდი, დაებორიალდი კაცი!

ვარამაძემ უცებ შეწყვიტა სიცილი. გაახსენდა საკუთარი დამოკიდებულება ფერაძის „მწერლობისადმი“ და შერცხვა.

ლიტერატურის საკმაროდ მცოდნე და კარგი გემოვნების მქონე ვარამაძე ხშირად იყო იძულებული, საეარქელში მყუდროდ მთვლემარეს, ყური დაეგდო ფერაძის გატაცებულ დეკლამაციისათვის. „ლიტერატურული საღამოს“ დამთავრების შემდეგ ვარამაძე მზიარულად ულოცავდა ფერაძეს მორიგ გამარჯვებას, გამოსთქვამდა უსაზღვრო

სიხარულს, რომ ცოცხალ კლასიკოსთან აქვს საქმე და მეგობრობა.

ფერადეს სჯეროდა, ვარამაძის დამცო-ნავი შექება ქვეშარტებად მიაჩნდა, უფრო მეტად რწმუნდებოდა იმაში, რომ თბილისის რედაქციებში ლიტერატურის საქმე მინდობილი აქვს ისეთ ხალხს, რომელსაც არა გაეგება რა, რომ ისინი მხოლოდ სიტყვიერად აჩვენებენ თავს კეთილისმდომლად, სინამდვილეში კი ცდილობენ დამარბონ ნიჭი. ამის შესახებ თავის მოსაზრებებს ფერადე აგზავნიდა მრავალ ინსტანციაში, რაღა თქმა უნდა, გვარის მოუწერლად.

არც ვარამაძემ და არც ზაქრომ არ იცოდა, რომ თბილისელი ეურნალისტის მიერ ფერადის საიდუმლოების გამხელა გაბოროტებულმა ფერადემ ზაქროს მიაწერა და უფრო მეტად ამის გამო შეიჯაერა ის.

— მეტი არაფერი საქმე არა გქონიათ მასთან, ან მას თქვენთან? — შეეკითხა ვარამაძე ზაქროს კარგა ხნის დემილის შემდეგ.

— რა ვიცი, არა მაგონდება რა. პო, ამას წინათ თავისი მანქანა გამოეგზავნა შესაკეთებლად...

— შეაკეთეთ? — სწრაფად იკითხა ვარამაძემ.

— ვის ეცალა კერძო მანქანების შესაკეთებლად. არც საჭირო ნაწილები გქონდა.

— ო-ო-ხ, მე ვცდილობ, რომ თქვენ ყველასთან კარგი განწყობილება დაამყაროთ და თქვენ კი უღადგილო პირდაპირობით ელვის სისწრაფით იძენთ მტრებს. გამოგეგზავნათ ჩემთან ვინმე, მე მოგცემდით საჭირო ნაწილებს!

— ოპ, ეგ იაკობა ამდენი ყურადღების ღირსია? — ისე წრფელად გაიკვირვა ზაქრომ, რომ ვარამაძეს უნებურად გაეცინა. — ჩვენი „მერსედესი“ დაშლილია, ამხანაგო გედეონ, მაგრამ ახლა რა დროს მსუბუქი მანქანების შეკეთებაა, მინდვრის სამუშაო მოგვადგა კარს.

— ნუ აზვიადებ ყველაფერს! ერთი მანქანის შეკეთება არაფერს არ შეუ-

ლიდა ხელს! — ვარამაძემ გაიარ-გამოიარა, დახურულ კარს მიუყრდნო ზურგი. — გაიგეთ, რომ ფერადეს უნდა გაუწიოთ ანგარიში, ის მეტად მნიშვნელოვანი პირია...

— მე მეგონა ყველა აღამიანი მნიშვნელოვანია, — კუშტად მიუგო ზაქრომ.

— მართალია, მაგრამ განა არ გესმის, რომ აღმასკომის თავმჯდომარე მეტად მნიშვნელოვანი ფიგურაა რაიონში.. — თითქოს რაღაც ტყვილისაგან დაემანჯა სახე ვარამაძეს.

— ჩემთვის კი ყველაზე მნიშვნელოვანი აი, ეს არის, აქაურობა. — თქვა ზაქრომ და ისე ბეჯითად შეათვალიერა კაბინეტი, თითქოს პირველად იყო აქ.

— ოო-ო... — ასწია წარბები ვარამაძემ.

— დიახ, რა ეშმაკის თავმჯდომარეა ის ფერადე, თუ ამისთანა რამ ვერ გაუგია! ან რას ერევა ყველაფერში? ამხანაგო გედეონ, მაპატიეთ, მაგრამ ნუთუ თქვენ ვერა ხედავთ, რომ ეგ ფერადე...

— კმარა! — თითქოს თხოვნით შეაწყვეტინა ვარამაძემ და სავარძლის საზურგეს მიაყრდნო თავი, ხელი გადაისვა სახეზე. — კმარა ფერადეზე ლაპარაკი...

ზაქრომ მხრები აიჩეჩა და გააჩუმდა.

— ეს ტელეფონოგრამა მე დამიტოვე, მე მოვაგვარებ... — ძლივს დააღწია თავი მღვიანმა რაღაც მტკივნეულ ფიქრებს, ნელა მიუახლოვდა ზაქროს და თბილად უთხრა: — ნუ ლელავ...

— როგორ არ ვიღელვო? სამართლიანად მიჩივიხს ხალხი. მიკვირს, აქამდე თავი არ გამოიტყვის!

— რაკი აქამდე გადარჩა შენი თავი გატეხას, ახლა აღარაფერი უშავს. შენ აგრესიულად ხარ განწყობილი, მე კი მსურს დაგაწყნარო და გაგახარო. ერთ საიდუმლოს გაგიმხელ...

„ასეა ყოველთვის. დამაწყნარებს და ისე გამისტუმრებს. მაგრამ ასე იყო ხოლმე, ახლა ეგ აღარ გამოევა. აქედან არ წავალ, ვიდრე ყველა აქ ჩაწერილ საკითხს ბოლომდე არ გავარკვევ“, გაი-

ფიქრა ზაქრომ და უბის წიგნაკი გადა-
შალა. წითელი ფანქრით ხაზგასმულ
კითხვებს გადაავლო თვალი.

ვარამაძემ კი თავი გვერდზე გადასწია
და, როგორც გულთოდ მეგობარს,
თბილად, ხმადაბლა უთხრა:

— შინდელეები, ორხეველები და
სტალინელები გაერთიანდებით...

ზაქროს უბის წიგნაკი ხელიდან დაუ-
ვარდა, ყველაფერი გადაავიწყდა, გახა-
რებელი წამოხტა.

— მართლა, ამხანაგო გედეონ?

— ნამდვილად. ამ კვირია უნდა დამ-
თავრდეს ეგ საქმე.

ზაქრო სახეგაბრწყინებული მი-
ჩერდა მდივანს, მერე უტბად რალაცა
გაახსენდა. პირადი ურთიერთობა გას-
წყვიტა ზაქრომ მამობილთან, მაგრამ
განა არ იცოდა, რომ ახლა ნიკო საჭირო
იყო?

— მაშ რა დროს ძია ნიკოს კურსებ-
ზე გაგზავნა იყო?!

— გაასწრო ხელაშვილმა, მაგრამ რა
ფუფოთ? როგორმე უნდა მოეუაროთ ამ
საქმეს... ახალი კადრებია საჭირო და
ამ საქმეში გაბედული უნდა ვიყოთ!

საოცარი სიჩუმე ჩამოეარდა.

! „ძლივს! — ფიქრობდა ზაქრო, —
ძლივს ველირსებით გაერთიანებას. ნამ-
დვილ აღმავლობის გზას დავადგებით.
გაიხარებს ხალხი. აი, ახლა კი მიეცემა
მექანიზაციას ფართო შესაძლებლობა.
ახლა ის ეზო საერთო იქნება, გაფარ-
თოვებაც დასკირდება. აი, ამ კეთილი
ადამიანის ზრუნვით კეთდება ყველა-
ფერი... ოჰ, როგორა სცდება ტარიე-
ლიც და ისიც... ციკინათელა-მანანაც...
კინალამ მეც ამიყოლიეს. ახლა ხომ
დაინახავენ, რომ ეს კაცი ჩვენი ნამ-
დვილი მამა და ხელმძღვანელია?“

ლამაზი, თავაზიანი, კარგად ჩაცმული
„მამა და ხელმძღვანელი“ საეარქელში
იყო ჩაფლული და ბეჯითად აკვირდუ-
ბოდა ზაქროს.

„დიდი გაქანების კაცია, — განა-
გრძობდა ფიქრს ზაქრო, — ვაი ჩემო
თავო. ამისთანა ადამიანი გაქცევს ყუ-
რადლებას, ანგარიშს გიწვევს, ხელს გიწ-

ყობს და შენ კი... იმის გამო, რომ რა-
ღაც წერილმანში არ ებრუნებოდი, გეძლევს
დამოუკიდებლად მუშაობის საშუალებ-
ბას, მაღლობის მაგიერ, ემდურის... ამას
წინათ თავისი ფორტოსურათიც კი მა-
ჩუქა. რა კარგი წარწერა გაუკეთა ზედ
და მე კი საღლაც დამეკარგა... ისეთი
სურათი ორხევის დამეჯღომარემ გაა-
დიდებინა და კანტორაში უკიდით...
ეებს, ადამიანის ყადრი არ ვიცო“... —
დამანაშავედ იგრძნო თავი და მორიდე-
ბით შეხედა მდივანს.

— დიდი ბრძოლა დამკირდა, მაგრამ
მაინც ჩვენ გავიმარჯვეთ! — გაიმეორა
ვარამაძემ.

— აქამდე ვერ გამოვიცა, ვინ გვიშლი-
და ხელს? რა უნდოდათ? რად ეწი-
ნალმდეგებოდნენ ამ კარგ საქმეს?

— შენ მეტად მიაპიტი ხარ და ამი-
ტომ გეძნელება სინამდვილეში გარ-
კვევა. არის შემთხვევა, როცა ადამი-
ანების რაიმე მოსაზრებას ეწინააღმდე-
გება ესა თუ ის კარგი საქმე. მათ შეუძ-
ლიათ მიჩქმალონ თავისი ნამდვილი
განზრახვა და წარმოადგინონ ათასი
დოკუმენტი, რომელიც ფორმალურად
ამართლებს მათ მოსაზრებას, რას გაუ-
გებ, ჩემო ზაქრო...

ვარამაძეს თვითონაც არ ესმოდა,
რამ ათქმევინა ეს. უნდოდა დარწმუნე-
ბულიყო ზაქროს მიაპიტობაში, თუ ისე
იყო ამაში დარწმუნებული, რომ დას-
ციწოდა თავის სახიფათო გულახდი-
ლობით?

მან კვლავ ბეჯითად შეათვალიერა
ზაქრო. შენიშნა, რომ მას ანგარიშიუ-
ცემლად ეკუთმებოდა ფუთიანი მუშ-
ტები. ჩაეცინა.

— შენი მოღვაწეობის ასპარეზი ძა-
ლიან გაიზრდება, ამხანაგო ზაქრო! აი,
ამ დღისთვის შემოგინახეთ, ძალიან რომ
გინდოდათ ის ყამირები კეყერაზე!

— კეყერაანთ ყამირები?! — აღმოხ-
და გახარებულ ზაქროს.

— მხოლოდ არავეთარი დათმობა!
მთელი ფართობი, უკანასკნელ სანტი-
მეტრამდე — მარცვლეულს! პური! პუ-
რი და არავეთარი პრობლემატური

ცლები. თავშესაქცევად არა გვცალია! — მოულოდნელი სიამკაცრით დაამთავრა ვარამაძემ.

— „განა ცლები თავის შექცევა? მაშ ახალს როგორ მიაღწიოს ადამიანმა?“ — გაიფიქრა ზაქრომ, მაგრამ ახლა, ამდენი სასიხარულო ამბის შემდეგ, აღარ შეეცამათა.

— ხელაშვილმა გაასწრო, თორემ საყვედური უნდა გამომეცხადებინა.

— რაო? ძია ნიკოს საყვედურიო?“

— რაზე? — იკითხა ზაქრომ.

— თითონებობისათვის და უპასუხისმგებლობისათვის. ფართობს შეპირებია კომკავშირებს. ვარდები!.. ვერ გაიგეს, რომ ახლა ვარდების დრო არ არის!

ზაქროს შუბლი შეექმუნა.

— თქვენ ეს არ მოგწონთ, ამხანაგო ზაქრო? ახალგაზრდებს ხელი უნდა შევუწყოთ, მაგრამ ყველაფერს მიზანი და ზომა სჭირია. ხიმშიაშვილი ჭკვიანი და საქმიანი გოგონაა, მით უმეტეს, საჭიროა, რომ მისი უნარი საქმეს მოხმარდეს და არა ვარდებს! მით უმეტეს, ის კომკავშირის ორგანიზატორია და ახალგაზრდობა მას მიჰყვება...

ვარამაძემ შეატყო, რომ მანანა ხიმშიაშვილის შექება ზაქროს ესიამოვნა და კვლავ ჩაიციანა.

— სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან მიმოწერა ჰქონიათ. შემოდგომაზე სსწავლებლად აპირებს წასვლას თურმე. იცით, რას გირჩევთ? ეგ გოგონა მნიშვნელოვანი ძალაა კოლმეურნეობაში. ფრიად საყურადღებო კადრია. დიდ მეურნეობაში საჭირო იქნება. სწავლას მერეც მოასწრებს.

— თუკი სწავლა სწადია, რამ უნდა შეუშალოს ხელი?

— კი არ უნდა შეუშალოთ, პირიქით! საპატიო დავალება მიეცით, დიდი მოვალეობის გრძნობით გაიმსჯვალება. ინსტიტუტშიც უფრო მომზადებული მივა. განა მშობლიური კოლექტივის კეთილდღეობაზე ზრუნვა მას კი არ ევალება? — ვარამაძეს თეთრი თითები ლურჯი პიჯაკის საყელოზე მხიარულად ათამაშდნენ.

— მართლა, ამხანაგო ზაქრო, იქონიეთ მხედველობაში, რომ იმ ეზოს გაფართოვება დასჭირდება.

— მაგას ახალ თავმჯდომარესთან შევთანხმებთ, ისე ხომ არ იქნება?... — სიტყვის დამთავრება ვერ ნოასწრო ზაქრომ და ვარამაძეს გაცინებულ სახეზე ამოიკითხა, უეცრად მიუხედა განზრახვას: „გადაუწყვეტია, თავმჯდომარედ მე დამსახელებს“ — გაუელვა, ზეზე წამოწარდა, კაბინეტში გაიარა, ფანჯარასთან მივიდა, ნებართვა არც უკითხავს, ისე გამოალო და წელამდე გადაეყუდა, თითქოს გული უწუხს და ჰაერს ეხარბებო.

უზომოდ გაახარა ზაქრო იმ ამბავმა, რომ არჩევანი მის სახელსა და გვარზე შეჩერდა; იმიტომ კი არ გაახარა, რომ ზაქრო პირადულზე ზრუნავდა, არა. ის ნამდვილად იყო დარწმუნებული, რომ შინდის კოლმეურნეობა ჩამორჩა მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, რომ ჩამორჩენის მთავარი მიზეზი სახნავ-სათესის სიმცირე იყო. ზაქროს ნამდვილად სჯეროდა, რომ გამსხვილება მოხსნიდა ჩამორჩენის მიზეზებს და დიდი მეურნეობის კარგი მართვით შესძლებდა დაებრუნებინა ზალხის ნდობა და სიყვარული.

სავარძელში ნებიერად ჩაფლული ვარამაძე ღიმილით ადევნებდა თვალს ზაქროს, მერე რაღაცას შეეკითხა. პასუხი არ მიუღია. მიხვდა რომ ოცნებაში წასულმა ზაქრომ მისი კითხვა ვერ გაიგო და გულისანად გაეცინა.

ამ დროს თამარმა შემოალო კარი და მორიდებით იქვე გაჩერდა.

ზაქრო შემოტრიალდა, ზურგით მიეყრდნო ფანჯარას, შემოსულს მიაცქერდა.

— რა გინდოდა? — შეეკითხა ვარამაძე თამარს.

— ამხანაგი ხელაშვილი გიცდიდათ დიდხანს.

— ვინ ხელაშვილი? — ვერ მიხვდა ვარამაძე.

— სტალინის სახელობის კოლმეურ-

ნებობს თავმჯდომარე, — ხმადაბლა მიუჯო თამარმა.

სიცილი უცბად გაწყდა.

ზაქრო მოშორდა ფანჯარას, ნელა მიუახლოვდა მდივნის მაგიდას და მის კიდეს დაეყრდნო ორივე ხელით.

— რა მინდაო? — მოგვიანებით იკითხა ვარამაძემ.

— მთხოვა თქვენთვის გადმომეცა, კურსებზე თავისუფალი ადგალი არ აღმოჩნდაო, უკან დაამბრუნესო.

— აა... — ისე წამოიწია სავარძლიდან ვარამაძემ, თითქოს რისხვა უნდა დააწიოს კაბინეტში მყოფთო, მაგრამ არაფერიც არ მოხდა. ვარამაძემ გულგრილი გამომეტყველება მაიღო და ისევე ღრმად ჩაჯდა სავარძელში. მხოლოდ თამარმა შეამჩნია, რომ საფეთქლები გაუხდა მიტკლის ფერი, როგორც ეს ემართებოდა ყოველთვის, შეკავებული რისხვის დროს.

— კეთილი, დაგვტოვეთ! — უთხრა ვარამაძემ მდივანს და ზაქროს შეხედდა. — რამ ჩაგაფიქრათ, ყმაწვილო? — შეეკითხა ოდნავ ჩახლეჩილი ხმით.

— მიხარია ძია ნიკოს დაბრუნება. — სერიოზულად და გულმართლად უპასუხა ზაქრომ.

— ეგ კარგია... — თქვა ვარამაძემ, მაგრამ ზაქრომ ვერ გაიგო რა იყო კარგი, ძია ნიკო რომ დაბრუნდა, თუ ის, რომ ზაქროს გაუხარდა მისი დაბრუნება.

— ყოველ შემთხვევაში, იცოდეთ, რომ ჩემი გადაწყვეტილება შეუცვლელი რჩება! — მტკიცედ თქვა ვარამაძემ და წამოდგა. — ხელაშვილს კი უფრო დიდი საქმის კეთება შეუძლია. ჩვენ მას შესაფერის ადგილს მოვუნახავთ... — დაუმატა მერე, შეხედა ზაქროს და შეკრთა.

ზაქრო ისე მისჩერებოდა მას, თითქოს თვალებით კი არა, ზურმუხტისფრად ანთებული ჩარალდებით ლამობდა რალაც წყუთიადის გაფანტვას.

„მიხვდა? რას მიხვდა? — უხმოდ შეეკითხა ვარამაძე თავისთავს, იგრძნო, რომ პერანგი ბეჭებს დაეკრა, თვალი

აარიდა მისკენ მიმართულ ჩირაღდნებს, მაგიდის მოპირდაპირე კუთხეს ჩასჭკიდა ხელი. ტკივილი იგრძნო, მაგრამ მხოლოდ ელოდა რაღაცას.

მაგრამ ჩაფიქრებული ზაქრო ნელა მიუახლოვდა, ხმადაბლა, ისევე სერიოზულად ჰკითხა:

— რომ ვერ მოვერჩიო?

ახლახანს განცდილისაგან წამით მოღუნდა ვარამაძე, მეორე წამს უხმოდ გაუწყრა თავისთავს და მცირე პაუზის შემდეგ უპასუხა:

— გახსოვდეთ, რომ ვარსებობთ ჩვენ, პარტია!..

თენდებოდა, როცა ზაქრო ვარამაძის კაბინეტიდან გამოვიდა. ჯერ უჩინარი მზის სხივები გასისხლიანებული შუბებივით სწვდებოდნენ ცას. თეთრ ბინდში ალღეები შეთქმულებივით ჩურჩულებდნენ. ოდნავ მოძრაიე მათი ჩრდილები წინ გამოსულ მზვერავეებს ჰგავდნენ.

ზაქრო ალღეებს ძირს დააკვირდა. ვისი დანახვა უნდოდა? ვისთვის უნდოდა გაენდო თავისი სიხარული? საყველო გაიხსნა. სუსხიანი სიოთ გარსშემოველო, შეაერკოლა. „რად მეხვევა თავებრუ? ღვინის ბრალია, უძილობის, თუ?... რა კარგი ზღაპრის თქმა იყო და ყუბანელმა მერევეკოვმა... ერთხელ, იერიშზე გადასვლის წინა წუთს, მიაბზო:...

„...იყო და ელიზარმა რომ ის ზმანება იყო. სიზმარში ნახა დუნაის ზვირთებში მოქანავე. გაახილა თვალი და გაქრა ზმანება. გონება დაბინდულს ერთხელ ტალღებში ისევე ის მოეჩვენა. „ჩემი ხარ, ჩემი, ველარ გამეჭკევეო!“ და... სამი დღის შემდეგ ნაპირზე გამოჩიყული ხაზს ელიზარია...“ რა დროს ზღაპარი იყო იერიშის წინ? ან ახლა რა დროსია? ის ციციანთელა ზმანებაა ცისფერი შექით განათებული. აი, იქ იღვა, იმ ალღეების ქვეშ. მე როდისმე ვუამბობ ამ სიზმარს და ერთად ვიცილებთ. ერთად?... ჰო, ერთად!..“

— ტარიელ, სადა ხარ, გძინავს, შეყურე მისალო?! ადე, უყურე რა დილა!

— მაგისტანა დილა ხელაც გათენდება, შენ მითხარი, იმ საქმისა რა გააწყე?

— რომელი საქმისა?

— რა მოგივიდა, ასე მგონია სიზმარში ხარ?! რა გითხრა მდივანმა, ფერაძე ნახეო?

— იცი, რა მითხრა მდივანმა? არაფერი. იმ ეზოს გავაფართოვებთ, ტარიელ!..

— დაილა, კაცო, გვერდები ნუ დამილეწე, რამ გაგაგოა?

— ჰო, არა. გავეციდი კი არა, შენ ახლავე უნდა წახვიდე შინდაში. აჰა, ეს ბარათი გადაეცი ბაადურ ბეჭაურს, უთხარი, რომ...

— დაილა, შენ არ მოდიხარ?

— მე კი არა, ქალაქიდან ხალხი მოდის, თათბირი გვექნება.

— ჯერაც არა გქონიათ თათბირი?! შინ რომ გიცდიან, დაგაიწყდა?

— ბაადური ნახე, ნურათფერს ნუ მკითხავ, დანარჩენს მალე გაიგებ. ბაადურს უთხარი დემურიშვილი გამოგზავნოს სასწრაფოდ. გორდაც მომგვარონ.

— გორდა?

— ჰო. დემურიშვილმა არ გაბედოს გორდაზე შეჯდომა, თორემ ცოცხალი არ გადამირჩება!

— კარგი და, შინ რას მამარებ?

— შინ?... არაფერს. გაიგე, ძია ნიკო დაბრუნებულია?

— ვნახე, ველაპარაკე.

— რაო, რა გითხრა? მე ვერა ვნახე.

— არაფერი. ადგილი არ იყო და დამაბრუნესო.

— მე ძია ნიკოსთან მივდივარ. ბინად იქ ვიქნები. წადი, ნულარ იგვიანებ. მაგ ბარათში სწერია რა საბუთები უნდა წამოიღოს დემურიშვილმა. ბაადურს უთხარი, იცი, რა უთხარი? ჩვენს დავას ბოლო მოელო-თქო... თუმცა არ უნდა არაფერი, სალამი გადაეცი. უსათუოდ გადაეცი სალამი, გამწყარალია ჩემზე. წადი!

ტარიელმა გულდასმით შეათვალიერა მეგობარი. სწორედ ასეთი უყვარდა

ზაქრო და დიდი ხანია ასეთ გუნებაზე აღარ უნახავს. თითქოს გუნებაზე არაფერი ნაწყვეტებით ლამაზად დასაჯარო, მაგრამ ტარიელი ბევრს მიხვდა და გაეხარა. ხელი მოხვია.

— წამო, მუხიანამდე მიგიყვან.

— მიიყვანე მუხიანში ის... ახალგაზრდები?

— მამ შუა გზაში ხომ არ დაეტოვებდი!

— რას გეუბნებოდა?

— ვინა?

— ის... ხიმშიაშვილიანთ გოგო.

— ჰოო, — გაიცინა ტარიელმა. — არაფერს. ჩემთვის არაფერი უთქვამს. ყველანი ზევით ისხდნენ და მთელი გზა მღეროდნენ.

გადასახვევზე ზაქრომ დასტოვა მანქანა და მუხიანის ლამაზად მოკირწყვლულ მთავარ ქუჩას დაადგა.

ორივე მხრით თლილ ქვაფენილზე ქუჩას ანკარა რუ მიყვებოდა. ხშირად ხედებოდა ქალაქის ყაიდაზე გაკეთებული შადრევნები. ომის შემდეგ გამოყვანილი წყაროს წყალი მინის კაუჭივით ამოდებოდა შიგნიდან და, ბრკევილა შეხეებად დაღვრილი, რუს უერთდებოდა. ღობეებს გადაღმა, ბაღნარებში, ერთი მეორის მსგავსი ახალი, ორსართულიანი სახლები მოჩანდა. თანდათან ამალღებულ შორეულ უბნების მწვეანეში ლამაზად გამოირჩეოდნენ ასეთივე სახლების თეთრი თუნუქის ან ვარდისფერი კრამიტის სახურავები.

ზოგიერთი მუყაითი დიასახლისი უკვე ფუჭუნებდა ეზოში. ზოგს აივანზე გამოქქონდა მოსაპერებლად წითელყვითელი, ცისფერი აბრეშუმის საბნები, სქელი, ზოლებიანი ლეიბები, თეთრად მოქათათე ყურთუქის ბალიშები.

საიდანლაც ისმოდა პირველი რადიოგამოცემა.

მთავარი ქუჩის განშტოებით მიემართებოდნენ შუკები, სივრცეზე ჩაყოლებული წნული ღობეებით, შუკებს მარჯვნივ და მარცხნივ გაურბოდნენ ორმხრივ მაყვალნარში ჩაქედილი საცალღებო ბილიკები.

აუჩქარებლად მიდიოდა ზაქრო და ყველაფერს აკვირდებოდა. თვითეული ბილიკი ახსოვდა ბავშვობიდან. მაშინ ასეთი ბილიკები ამ დიდ სოფელში უთვალავი იყო, ერთმანეთში გადახლართული, ავდარში ტალახისაგან გაუვალე. ღობეშენვრელი თვალბნელი სახლები წაღმა-უკლმა იდგნენ, ან უმძრახებივით ერთმანეთს შემკვარტლულ ზურგს უჩვენებდნენ. შორიშორს იყო პირდაღებული ჭა. მალა ჰაერში ნაღვლიანად ყურყურებდა ეანგანი ვედრო, საყვარელი სამიზნო შურდულიანი ბიჭებისა. ჭის გარშემო ახელილ ტალახში ღორები და ზაქები ნებივრობდნენ.

შეიძლება იმიტომ დაუდგა თვალწინ ზაქროს ასე ცხადად ძველი სოფელი, რომ შინდა ახლაც გამუდმებით აგონებდა ამ სურათს?! აგერ სკოლაც. მუხიანის საშუალო სკოლა. როცა ზაქრო სწავლობდა, მაშინ აქ სულ სამი საკლასო ოთახი იყო. ოთახებში იატაკი აგურით მოეფინათ. ზამთრობით ღუმელებიდან ბოლი სხვენზე ადიოდა, მაგრამ ქერის ქუქურტანებიდან წვრილ ლურჯ ზოლებად ჩამოსული ისევ ოთახებს ავსებდა. ახლა ორსართულიანი შენობა იზიდავს გამველელ-გამომველს, თითქოს შესცინის ფართო ფანჯრის მიწებიდან ანარეკლი სხივებით. შენობას სწორად დაგვემილი პატარ-პატარა საცდელი ნაკვეთები აკრავს. სახურავზე დამაგრებულ წითელდროშიან ფლუგერს ნიავი ზანტად ატრიალებს მარჯვნიდან მარცხნივ.

და აი, კლუბი! ლამაზი სვეტებიანი შენობა, ისეთი რომ ქალაქის მთავარ ქუჩასაც დაამშვენებს, მექანიზატორების ეზოს სწორედ ასეთი ღობე და ასეთივე ჭიშკარი აქვს. ნეტა, ვინ ახმაურებს ამ სისხამ დილას კლუბის ეზოს? „ან აქ რა მინდა, რამ მომიყვანა? მომწონს, როგორ მომწონს!.. რა? რა და ეს კლუბი. ეს ქადრების თალი და.. აი, ის ვეებერთელა თუთის ხეც შუა ეზოში. რა მსხვილი და ტკბილი თუთა იცის!“ ზაქრომ სწრაფად გაიარა ქადრების

თალი, თუთისკენ გაემართა. შორიდანვე დაინახა, რომ ხის ქვეშ მდგომარს მანანა და ზურა ისხდნენ მანანა რაღაცას უყარანახებდა, ზურას თავი გვერდზე გადაეწია, ერთ საულეაშის შესაყარელს სწუდებოდა, ბეჯითად წერდა. მათ ახალგაზრდები შემოხვეოდნენ. ზოგი მერხზე იყო შემდგარი, ზოგი მერხის საზურგეზე. კისერი წაეგრძელებინათ და თვალს ადევნებდნენ ზურას ნაწერს.

უცაბედად მანანამ ჭიშკრისკენ გამოიხედა. შემოსულს უნებურად ჯერ ხელში მიახერდა. მერე თავი დახარა და განაგრძო კარნახი, ალბათ რაღაცა შეეშალა, რადგან მისმა ამხანაგებმა გამაყრუებელი ყიყინა ატეხეს.

ზაქრომ იგრძნო, რომ მანანას გაუჭირდა მღელვარების დაფარვა, განზრახ აარიდა თვალი, სიცილით დაფარა გულში ატეხილი ჩოჩქოლი და ხუმრობით დაიძახა:

— ეჭვი, არ გეშინიათ, რომ თქვენმა ყვირილმა დაანგრის ეს კლუბი?

მანანა მიხვდა, რომ ზაქრომ შეატყო ალეკება, იგრძნო მისი დახმარებაც და ითაკილა. იწყინა, რომ მათ შორის თითქოს უხმოდ ითქვა რაღაცა, რაც არ შეიძლებოდა სხვას გაეგონა. სწრაფად წამოდგა, ოდნავ შექმუნხა წარბები და ამაყად უთხრა:

— ამის აშენებაში ჩვენი ხელიც ურევია, არასდროს არ დაინგრევა!

— ოჰ, უკაცრავად, დამავიწყდა, რომ კომკავშირლებიც ეხმარებოდნენ მშენებლებს, — გაიცინა ზაქრომ და ხმაურით შემოსეულ მუხიანელ ახალგაზრდებს მიესალმა სათითაოდ. — წერილსა სწერთ?

— საიდან იცით? — გაუკვირდა ყველას.

— ეს ჩვენი საიდუმლოა! — ეკლუცად შეარხია მხრები დარიამ და ქალაქის ხელი დააფარა.

— რა საიდუმლოა?! წუხელ ქვეყანამ გაიგო თქვენი განზრახვა!

— ჩვენ დასამალი არა გვაქვს რა! — ცივად თქვა მანანამ, დარიას ხელქვეშ

დან გამოაცალა წერილი და თვალიერებდა დაუწყყო.

— წუბელის ვარამძესაც მოვასხენეთ, რომ წერილს გავგზავნიო! — შეატყობინა ზაქროს ზურამი.

— არ შეიძლება მეც გამანდოთ თქვენი განზრახვა? იქნებ დაგვხმაროთ.

— აბა რით დაგვეხმარებით?

— ამ განზრახვისთვის ძია ნიკოს კინალამ საყვედური გამოუცხადა! — უთხრეს აქეთ-იქიდან.

— არა, მაგის ფაქტი ნუ გაქვთ, არავითარი საყვედური!

— როგორ? — ხმაურით შემოეხვედნენ ახალგაზრდები.

მანანამ შეწყვიტა წერილის კითხვა, თავი ასწია და დამკიანავი ღამილით თქვა: — ეგონა ხელაშეილი თავიდან მოიშორა და საყვედური რაღა საქიროაო?!

ზაქრომ გაკვირვებით შეხედა მანანას: — რას ამბობ? როგორ თუ მოიშორა თავიდან? ახლა იმასაც დააბრალებენ, რომ პარტსკოლაში აღვილა არ იყო და ძია ნიკო დაბრუნდა!

— არა, მაგას არ დააბრალებენ, ვარამაძე თვითონ იქნება ამით ნაწყენი! — თითქოს გამოწვევი იყო მანანას კილო და დამკიანავიც.

— სედები, მანანა. ძია ნიკო არავითარ საყვედურს არ მიიღებს. — სერიოზულად უთხრა ზაქრომ.

— ეს რა გამოდის? — მოიფხანა კეფა კოწიმი. — ჩვენ დავტრქვას, ლემკია წაგვიკითხა, თქვენ თავმჯდომარეს ვერ გაუგია დღევანდელი ამოცანებით და... რა ვიცით, ახლა რა მოეპრიანება?

ზაქროს გაეცინა. ჩანდა, წუბანდელ გაცეთისლ უშედგოდა არ ჩაევლო კოწიმათვის.

— არა, არაფერი არ „მოეპრიანება“! მაგ წერილს ვისა სწერთ?

— სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს! — დაძახა დარიამ.

— ჩვენ ბლომად გვყავს მეგობრები! — ამჟყად თქვა ზურამი.

— ჩვენთან ჩამოსვლას აპირებდნენ

და აბა, რა გამოვიდა? — თქვა დიღერე-მილმა სულხანმა.

— რა გამოვიდა და ვინ წერილს ვარდების საუკეთესო სპეციალისტები ჩამოვიდნენ. ნაკვეთი გექნებათ!

ახალგაზრდები ისევ ფრიაბულით შემოეხვედნენ ზაქროს. მხოლოდ მანანა იდგა განზე, ჩაფიქრებული.

— მანანა, შენ კი არა გჯერა ჩემი? — მიუახლოვდა მას ზაქრო.

— გასაოცარია... — თავაუღებლად, ხმადაბლა ჩაილაპარაკა მანანამ, — მაშ რა საჭირო იყო ჩვენი განზრახვის საწინააღმდეგოდ იმდენი მოსაზრებების მოყვანა?

— გაძლევთ სიტყვას, რომ ამ დღეებში თქვენ მიიღებთ საუკეთესო ნაკვეთს! — ცხარედ თქვა ზაქრომ და მერე, თითქოს საკუთრად მანანას მიმართა: — ისეთი მუშაობა გავაჩალოთ, რომ კორიანტელი ავადინოთ!

— თუ ნამდვილად შესრულდა თქვენი სიტყვა, ჩვენ ყველანი ისე მადლობელი ვიქნებათ თქვენი... — შეანათა მანანამ უნაბისფერია თვალები. სათქმელა აღარ დაამთავრა. საფეთქლებისკენ გაქცეულ წარბებს და გადატყეცილ შუბლს მოტყვენრობა დაეტყო. ბევრი რამ იყო მისთვის გაუგებარი, მაგრამ დრო აღარ იყო. მინდორში უგვიანებოდათ, თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო, ლაპარაკი შეწყვიტა. სიხარულისგან გაბრწყინებულმა ცელქად გააქნია თავი, ზაქროს ხელი დაუქნია და ამხანაგებით შემოხვეული სიმღერით დაადგა მინდვრის გზას.

„წუხელ ზმანება მეგონა... ახლა კი, მზით განათებული უფრო კარგია. კერპი, ჯიუტი, საქმიანი, ერთი პატარა მანანა... გუჟამუი ნანა, ჩემი მანანა...“

ნიკოს უსაზღვროდ გაეხარდა თავისი გაზრდილის ნახვა. გულნაკლულად იყო, რომ ზაქრო, რომელსაც ათკუთარ შვილებში არ ანსხვავებდა, ძვირი სანახავი გაუხდა.

ფრონტიდან უფროსი შვილის, ზაქროს თანატოლის, არჩილის დაღუპვის

უწყება რომ მიიღეს, ხელაშვილების ოჯახი მხნეობდა — ზაქრო ეგულებოდათ ცოცხალი. როცა ზაქროს ამბავმაც დაიგვიანა და სოფელში ხმა დაირბა ზაქრო დაიღუპა — არჩილის დარდიც ახლად გაუწევედათ, ორმაგი ცეცხლი დაუტრიალდათ. ნიკოს ავადმყოფი, სუსტი ცოლი ამ დარდმა დააღწია და თან გადაიტანა.

მერე ზაქრო გამოჩნდა. მომაკვდავი, მაგრამ მაინც გამოჩნდა, ანიკასი არ იყოს, ზაქროს გადარჩენის იმედს წუთითაც არ კარგავდა ნიკო, სიკვდილისათვის ვერ იმეტებდა შევილივით საყვარელ შეილობილს.

ზაქროს და ანიკას დაქორწილებას ნიკო გულთით მიეხალმა. დარწმუნებული იყო, რომ ანიკაზე კარგესა და შესაფერისს ზაქრო ვერაფერს შეხედებოდა. ნიკოს ოჯახის დიასახლისი, მანა უფროსი და, ეკატერინე კი დიდად უკმაყოფილო იყო. ეკატერინეს ეგონა, რომ ზაქროს ღირსი ქალი ჰქვეყნად არ მოიპებნებოდა, ყოველ შემთხვევაში, ლელიანის რაიონში არ ეგულებოდა. ნიკოს ეცინებოდა, თან შინდაში დასახლებულ ახალმოშენებზე განუწყვეტლივ ზრუნავდა.

თანდათან შეამჩნია ნიკომ, რომ ზაქრო გაურბოდა. ამბობდნენ, წარმატებამ თავბრულ დაახვია ზაქროსო, მაგრამ ნიკოს ეს არა სჯეროდა. კარგად იცნობდა ამაყსა და თავმომწონე შეილობილს. ყველაზე სწორადაც ხვდებოდა მიზეზს: რაც უფრო უქირდა ზაქროს, მით უფრო ამაყად ექირა თავი, თავის მოხრას სიკვდილს ამჯობანებდა. წუხდა ნიკო, რომ მოსიყვარულე, მამაშვილური დარიგება და დახმარება ზაქროს დამცირობად მიიჩნდა, თავზე მოხვეულ არასასურველ მურვეობად. ნიკოს კიდევ უფრო მეტად რაიკომის მღვინის ზაქროსადმი დამოკიდებულება აწუხებდა. თანდათან დარწმუნდა ნიკო, რომ ვარამამეს აშკარა მფარველობა და მხარდაჭერა იქ, სადაც ზაქრო დატუქსვის და შეიძლება დასჯის ღირსიც იყო, უფუქვბდა მას ხასიათს და ანელებდა მის პასუხისმგებლობის გრძობას. ამის შე-

სახებ თავისი აზრი ხელაშვილმა ბევრჯერ გამოთქვა ვარამამესთან. მანამ რა მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის, რა ცხად გამგონი არავინ იყო. იცოდა ნიკომ, რომ მაინც გაახელდა თვალს ზაქრო, აჯანყდებოდა მისი მართალი გული ფლიდობის წინააღმდეგ, მაგრამ როდის? განა შეეძლო ნიკოს გულხელდაკრეფილს, უმოქმედოდ ეტყირა ლელიანის რაიკომის მღვინის შეკვდომებისთვის? მაგრამ ხელაშვილას ცდას ჯერჯერობით ნაყოფი არ უჩანდა.

როგორც არ უნდა ყოფილიყო ზაქროს განწყობილება ნიკოსთან, ზაქროს არ შეეძლო მუხიანელების დაეწყება, ძველი ნაცნობებისა და მეგობრების დაკარგვა, ნიკოს ოჯახთან კავშირის გაწყვეტა. მუხიანადაც, ხელაშვილებთანაც ხშირად დადიოდა, თუმცა ყოველთვის ისეთ დროს იხელთებდა ხოლმე, როცა დარწმუნებული იყო, რომ ნიკოს არ შეხედებოდა.

ამიტომ დიდი იყო ნიკოს სიხარული, როცა მის პატარა მწვანე ეზოში ზაქრო კარიდან კი არ შემოვიდა, ძველებურად, ცელქი ბოჭივით ღობეს გადმოაზტა, ხელებგამოილი, თითქმის სირბილით მისკენ წამოვიდა, გადაეხვია და მაგრად აყოცა.

— შენ გენაცვალე სულში ძია ნიკო, რომ დაბრუნდი. იცი, როგორ მიხარია! — იმეორებდა თან.

„მოდით და გაუწყერი ამისთანას!“ — ჩაეცინა გუნებაში ნიკოს და სიყვარულით შეავლო თვალი ზაქროს მოხუნილად აყრილ ტანს, მის ვაქცატურ ლამაზ სახეს.

— ძია ზაქრო!

— ზაქრო ძია მოსულა!

გამოქანდნენ ეზოს ყველა კუთხიდან გოგო-ბიჭები და ერთმანეთს შეეცილნენ, რომელი მოასწრებდა, მოსულს პარველი ვინ ჩამოეცილებოდა კისერზე.

— დამაცათ, ხალხო! — სიცილით იგერიებდა ზაქრო ბავშვებს, თან ელაპარაკებოდა, როგორც თანატოლებს: — დამაცათ, ჯერ წესი შეასრულეთ. და-

მენათვე სტუმარს შესაფერისი მასპინძლობა გაუწიეთ!

გოგო-ბიჭები გაითანტნენ. ზაქრო სახლისკენ წავიდა, აივანზე გამოსულ ეკატერინეს შეეგება, მაგრამ ბავშვებმა ლაპარაკი აღარ აცალეს, ისევ დაესივნენ. ერთი — პირსახოცით და საპნით ხელში წყაროსკენ ეწეოდა, მეორე — კაკლის ქვეშ გაშლილ მაგიდასთან ეპატიებოდა, მესამეს ნიკოს ფოსტლები მოუტანა და ზაქროს ჩექმებზე ეჯაჯგურებოდა, მეოთხე — სარკით და სავარცხლით ხელში აჩრდილივით დაპყვებოდა.

ვინ იყვნენ ეს პატარა მასპინძლები? საიდან?

დიდი ხანია ასე დაწესდა ნიკოს ოჯახში. დაიზრდებოდნენ პატარები, ნიკოს ხელით გზაზე დაყენებული წაციდოდნენ და თავის ნაცვლად, ნიკოს ხაზრუნავად თავის პატარებს სტოვებდნენ.

ნიკოს ქალიშვილი და სიძე მასწავლებლები არიან, მეზობელ სოფელში მუშაობენ. ეს პატარა დაძმა მათი შვილებია.

ნიკოს მეორე შვილი და რძალი ზოოტექნიკოსები არიან, სულ ცხვარს დასდევენ. ეს ტყუილი ბიჭები იმათია.

ის გოგო ნიკოს ცოლისდისაა. ცოლისდა და ქვისლი მიწისმზომელები არიან, გოგოს თან ხომ არ ატარებენ?

ის, ბოვერით რომ დაბაჯბაჯებს, ეკატერინეს შვილიშვილია. მისი დედა მამა ქალაქში სწავლობს.

ეს ცხრა წლის ბიჭი, ყველაზე ძალიან რომ ეტმასნება ზაქროს, ეს კი...

იმ წელიწადს, არჩილი რომ დაიღუპა, იმ დღეს, როცა სოფელში უწყება მოვიდა, ნიკოს მეზობლად დაიბადა ეს ბიჭი. მეზობელიც ვეღარ დაბრუნდა ომიდან, დედა მშობიარობას გადააყუა. ნიკომ იშვილა ის ბიჭი და არჩილი დაარქვა.

არ იმჩნევს ნიკო, თორემ ეს შავთვალა, მოუსვენარი, საზრიანი და მართალი ბიჭი ყველაზე მეტად უყვარს. აჩიკოს ზედმეტ სახელად „აჩიკა“ ჰქვია,

რადგან იმერელ ფოსტალიონს ზაძებს და ყველაფერზე „კი-კის“ უძიხვს.

იქნებ იმიტომ უყვარს ზაქროს ეს ბიჭი. განსაკუთრებით, რომ თანშეზრდილი არჩილის სახსოვარივით არის. რაც უნდა ნაწყენი და გაჯავრებული იყოს, პატარა აჩიკოს დანახვაზე გამზიარულდება ხოლმე. და თუ სადმე, მანქანაზე, აჩიკო საკვებს მართვაში „შველის“, მაშინ ხომ პირდაპირ ბედნიერია ზაქრო! „მოვიტაცებ ამ ბიჭს, მოვიტაცებ და წავეყვან სახლში!“ — გაიფიქრა ახლაც, როცა აჩიკომ ყველას უჩუმრად უთხრა: — მე გალიაში შაშვი მყავსო.

— ნამდვილად შაშვია? აბა მაჩვენე, — სერიოზულად უთხრა ზაქრომ. აჩიკო გაქრა, და ვიდრე ზაქრო პატარა თოჯინას ნატყენ ფეხს ფრთხილად ადებდა თაბაშირს, კიკია გალიით ხელში დაბრუნდა. ყველანი გარს შემოეხვივნენ.

— მართლა შაშვი ყოფილა, — დაუდასტურა ზაქრომ, — მაგრამ რამ ვაჩუქა? იქნება გალობა არ იცის?

— როგორ არ იცის? მამ რის შაშვია, თუ გალობა არ იცის?! — წყენით მოკუმა ტუჩები აჩიკომ.

— პატარა დაგიჭერია და მაგისმა დედამ ვერ მოასწრო, რომ ესწავლებინა.

— მართლა?

— მამ ტყუილის თქმა ვის გაუგონია?

— ახლა რომ გავუშვა, ასწავლის დედა?

— მამა!

— მამიი! — დაიძახა აჩიკომ.

ზაქრომ ნიკოსკენ გაიხედა. შეატყო, როგორ გაუნათა სახე პატარა ბიჭის დაძახებამ.

— მამიი! უნდა გავუშვა შაშვი, არ გამიჯავრდება?

— რად გაგიჯავრდება? გაუშვი, შვილო, გაუშვი, დაგლოცავს! — ნიკოს მაგიერ უპასუხა ეკატერინემ.

ზაქრომ გალია მიწაზე დადგა, თვითონ ბავშვი აიტაცა და ხეზე შესვა.



— აჰა, ახლა გამომართვი ეს შაშვი, — უთხრა და მიაწოდა გალიიდან გამოყვანილი ჩიტი. — რაც შეგიძლია ზევით დასვი. უფრო ახლოს იქნება დედასთან, — ისევ სერიოზულად ეუბნებოდა ზაქრო და თავგადააწეული შესტყეროდა ზეზე ასულ ბავშვს.

— ბავშვები რომ ემაგრე უყვარს, ნეტა თავისი რატომ არა ჰყავს? — წაიდუღუნა ეკატერინემ და მდღეობა მას შეხედა. — ვინ მოიფიქრებდა, რომ ის სისხლ-ხორციით სავსე ქალი უშვილო გამოდგებოდა.. — უქმაყოფილოდ და გაკილვითაც კი დაამთავრა ეკატერინემ და თანაგრძნობით გახედა ზაქროს.

როგორც იქნა, ზაქრომ მოაღწია მამიდას. ბავშვები ჩიორებივით შემოუსხდნენ გარშემო, მაგრამ ხმას კი არ იღებდნენ, უფროსების საუბარში აღარ ერეთდნენ.

— იცოცხლე, ძია ნიკო, ქვეყნის საკეთილდღეოდ დიდხანს იცოცხლე და კარგად იყავი! შენც იცოცხლე დეიდა ეკატერინე, ამ გოგო-ბიჭების გამზრდელად და პატრონად! — თქვენც, ეი, მამულიშვილნო! აბა ყოჩაღად იყავით და გვასახელეთ! — მზიარულად დიძახა ზაქრომ და ჭკპის არყით სავსე ჭიქა გადაჰჭრა, გამტკაცულ შოთის პურს და ცვარიან თუშურ ყველს მადიანად შეეჭტა. — ძია ნიკო, რატომ არ მიამბობ ქალაქში რა ამბავია?

— ქალაქში რა ამბავი უნდა იყოს? ღმერთმა უშველოს ვარამაძეს, — დაცინვით თქვა ნიკომ, — მე ვერ მოვიცლოდი იქ წასასვლელად და ხელი შემიწყო, გამგზავნა. ათასი საქმე მქონდა მოსაგვარებელი. მივიარ-მოვიარე და ჩამოვედი.

— სიტყვას ბანზე რად აგდებ, ძია ნიკო? ჯერ ის მითხარი, რად დაგაბრუნეს? რაო, კურსებზე რა გითხრეს?

— არაფერი, რა უნდა ეთქვათ? იმდენი უხვეწონია ვარამაძეს თავისი მეგობრებისათვის, რომ იმათაც ხათრი არ გაუტეხეს. სხვას უარი უთხრეს, მისი ადგილი ვარამაძეს მისცეს.

— მერე?

— მერე-და, ცენტრალურ კონსტრუქტორთა ში ერთად მივედით მე და ვარამაძეს კურსებზე ადრევე ყოფილა ჩარიცხული, სწავლის გამო სამსახურიდანაც განთავისუფლებული ყოფილა, საქმეც გადაუბარებია თავისი შემცველისათვის. მე კიდეც, შენც ხომ იცი, უპატრონოდ დავაგდე აქაურობა, ჰოდა, ადგილიც იმისი უპრიანი იყო, მე ხომ არ გამოვედავებოდი?

— ჰოო, ძალიან კი ეწყინა ვარამაძეს. ისედაც მემდურის და ახლა მთლად გამოწყობა... ეგონება მე შევეუშალე სწავლაში ხელიო...

— რას ამბობ, კაცო? ყველას უკვირდა, როგორა ცდილობდა თურმე ჩემს მოწყობას. პირიქით, მე ვაწყენინე, რომ იმედი გავუტყრე.

ზაქრომ ცერად შეხედა ნიკოს, მაგრამ მის მშვიდ გაღიმებულ სახეზე ვერაფერი ამოიკითხა და მხრები აიჩჩია.

— რა ვიცი, მართლაც და რას ემდური იმ კაცს, რა დაგიშავა? — თან დაინანა, რომ ამ საკითხს შეეხო, განსაკუთრებით ახლა, სულ არ უნდოდა ვარამაძის შესახებ ძვირის მოსმენა, მაგრამ ნიკოს არც უფიქრია ზაქროს კითხვაზე პასუხის გაცემა.

— კარგ დროს დაბრუნდი, ძია ნიკო, ამაღამ თათბირი იქნება.

— რა თათბირი?

— რაიონის პარტაქტივი იკრიბება.


— რაო? ისევ მიღწევებს შევაჯამებთ?

— არა. პურზე იქნება ლაპარაკი.

— ჰოო, კიდევაც დაიკვირებს ვარამაძე, გვემები გადაჭარბებით შევასრულეთ! კახეთის სიამაყე პურს ვანაცვალეთ...

— არა, ძია ნიკო, თათბირს ქალაქიდან ჩამოსულლები დაესწრებიან და...

ნიკო კარგა ხანს იჯდა ჩაბნელებული. მერე წამოდგა, ქამარი შემოწირა, შავი სატინის ხალათის ბოლოები დაიწია, თუშური ქუდი დაბრტყავდა და ხტრა.



— ვნახოთ. — თქვა ხმადაბლა. — წამსვლელ-მომსვლელებს ბერსა ვხედავთ, მაგრამ შედეგი არაფერია... ვნახოთ. თუ საქმიანი ხალხი ჩამოსულა, სალაპარაკო ბევრი გვექნება, თუ ამათაც ჯერ ვარამაძესთან მოილხინეს... საქმეს არა ეშველება რა.

— ოჰ, ძია ნიკო, როდის აქეთია სტუმარ-მასპინძლობა ჩვენში საქმეს აფუჭებს?

— სტუმარ-მასპინძლობა კი არ აფუჭებს საქმეს, ის ხალხი, რომელმაც წაბილწა ეს მადლიანი ადამი. ქალაქიდან მოდიანო, ხალხს იმედი მიეცემა ხოლმე. ატუზული დგანან მოსაცდელში. ჩვენი მდივანი კი ამ დროს მასპინძლობას ეწევა. სტუმრებს ჯერ რაიონში გაატარა-გამოატარებს. მე შენ გეტყვი, საჩვენებელი არა გვაქვს რა! ისე მოაჩვენებს, ვითომ ყველაფერი საკუთრად იმის გაკეთებულია. მერე ნამგზავრებს და დალილებს მოსასვენებლად შინ წაიყვანს, ღმერთმა ნუ ქნას, შორს არსად წავიდნენ, უცხო თვალი არ ეცეთო. მერე სადილს ვანშაპი გადაებმება და მშვიდობით! ისე არიან მოთვინიერებული, რომ შენი ლაპარაკი, ქალაღები ჩალადაც აღარ უღირთ... ხალხი რომ უკმაყოფილოა, მაგას ვილა დაგიდევის? ნეტა ამჯერად მაინც შევცდებოდე...

— ოო, ძია ნიკო, შენ იმ კაცზე ძალიან გაჯავრებული ყოფილხარ, მაგრამ არც აგრეა საქმე! შენ არ იცი, ის შენზე რა კარგი აზრისაა, რა აქვს განზრახული...

— კმარა, შევეყვი შენთან ლაპარაკს, დამაგვიანდა... — უცებ შეაწყვეტინა ნიკომ და ჭიშკრისკენ გაემართა.

— მე პატარას წაიჭინებ, მთელი ღამის უძინარი ვარ და მერე მოვალ შენთან კანტორაში... — უთხრა ზაქრომ და ქუჩამდე გაჰყვა, გააცილა გამზრდელი. — იქ განავაგრძოთ ეს ლაპარაკი...

ნასადილევს ნიკო და ზაქრო ერთად გაემგზავრნენ რაიონში, მაგრამ არც ერთ მათგანს არა ჰქონდა სურვილი იმ

შეწყვეტილი ლაპარაკის გაგრძელებისა.

თათბირის დაწყებამდე ^{ერკუცხულში} ხალხი ვერაშეძებნებოდა. რამდენიმე კაცის თანდასწრებით, მდივანმა საკმაოდ უხეშად უთხრა, წარსულში დამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო ამხელად საყვედურს ფართობის დანიაგებისათვის არ გიცხადებთ, მხოლოდ გაფრთხილებთ, შემდეგში ეს აღარ განმეორდესო.

ნიკო არ შეესიტყვა, გარეგნულად აღუშფოთველად მოუხმინა, არ იკადრა დაწერილმანება. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შეუდარებლად დიდი და ღრმა საკითხები ჰქონდა სადავო რაიონის მდივანთან.

რაიონის სასიცოცხლო საკითხები აღელვებდნენ ნიკოს და პასუხი ვერ მიეღო. სადაც არ უნდა დაესვა ეს საკითხები, მათი გადაჭრა რაღაც მანქანებით ისევ რაიონს, ისევ ვარამაძეს უბარუნდებოდა. მომხდარა ისეც, რომ ნიკოს მიერ დასმული კითხვები გაარღვევდნენ უხილავ ჯებირებს, ვიღაცას აღელვებდნენ, შეაშფოთებდნენ. მორიგე კომისიას დავალებოდა ადგილზე სინამდვილის დადგენა, მაგრამ... სწორად თქვა ნიკომ ზაქროსთან საუბარში: ვარამაძემ კარგად იცოდა კომისიების მოთვინიერება...

დღითიღვე მწვავედებოდა ეს ყრუ ორთაბრძოლა. ერთი სარგებლობდა თავისი მდგომარეობით, ნებით თუ უნებურად სდევნიდა მეორეს. მეორე კი ღინჯად და მოფიქრებულად იცილებდა თავიდან თავდასხმას.

აი, ახლაც.

რა უნდოდა ვარამაძეს?

მას ეგონა, რომ სამი წლით მოიზორა თავიდან ხელაშვილი და აჩქარდა, სტალინელების, შინდლების და ორხეველების გაერთიანებული კრება დანიშნა, მაგრამ ხელაშვილი ისევ აქ გაჩნდა. უკან დახვეა აღარ შეიძლება, კრება უნდა შესდგეს. ეს კოლმეურნეობანი უნდა შეერთდნენ, მაგრამ ხელაშვილი არ უნდა იყოს თავმჯდომარე!

თუ ამ თათბირზე აპირებს გამოსვლას, მის ნათქვამს არ უნდა ჰქონდეს არავითარი ფასი.

ნიკო გრძობდა ამას. იცოდა თუ საუბარი გამწვევდებოდა მაშინვე დატრიალდებოდნენ აქ დასწრებული, მლიქვნელობაში გაწაფული ხელქვეითნი. სწრაფად და შეუმჩნეველად, საქმის ჩინებული ცოდნით ისინი ხალხშიც და ჩამოსულებშიც დაარხევდნენ ხმას, რომ ხელაშვილი ნაწყენია შდივანზეო და... მერე რაც უნდა ილაპარაკოს თათბირზე ხელაშვილმა, რას არ იტყვის ნაწყენი კაცი?

დადუმებული იდგა ნიკო გაავებული მღვინის კაბინეტში. სახეზე არ ემჩნეოდა, თორემ გული უწუხდა, რომ ასე ადვილად შებორკა ვარამაძემ, ამჯერადაც წაართვა ბრძოლის საშუალება. უსიტყვოდ დატოვა კაბინეტი.

სამი დღე გრძელდებოდა თათბირი. გამართლდა ნიკოს მოლოდინი: თათბირი გადაიქცა მიღწევების დემონსტრაციად. ვარამაძის მოქსენებიდან გამოდმოდა, რომ ლელიანის რაიონი ვადაზე აღრე და გადაჯარბებით ასრულებდა პურით უზრუნველყოფის გეგმას. ვარამაძისადმი მადლობით აღსაცემ, ნასიამოვნები სტუმრები სხდომაზე ამოწმებდნენ ხორბლეულისათვის ყამირის ათვისების მსვლელობას, მოსავლიანობის გადიდებისათვის ჩატარებულ ღონისძიებებს, რუკაზე ეძებდნენ პურეულისათვის დამატებით ფართობს...

ზაქროც გამოვიდა სიტყვით. თავის გამოსვლაში მთავარ ყურადღებას მუქანიზაციას და მსხვილი მეურნეობის უპირატესობას უთმობდა. ისეთი გატაცებით ლაპარაკობდა გრანდიოზულ, ჯერარნახულ მანქანებზე, არსებული მანქანების რეკონსტრუქციაზე, ისე ფართო პერსპექტივებს ხატავდა, რომ სიამოვნებით უსმენდნენ დამსწრენი. უმეტესობა გრძობდა, რალა თქმა უნდა, რომ მის გეგმებში ბევრი რამ თავაწყვეტილ ოცნებას ჰგავდა, მაგრამ იქნებ სწორედ ეს იტაცებდა მსმენელებს. ვარამაძის მოსაწყენი ცხრილებით და

ციფრებით აქრელებული მოხსენებით მიძინებულმა დარბაზმა ზაქროს გამოსვლის დროს გაიღვიძა. მსმენელები სიხარულით ეგებებოდნენ ტრიბუნიდან დახატულ მომავლის სურათს.

ვარამაძე ღიმილით ადევნებდა ყველაფერს თვალყურს. უხაროდა, რომ ზაქრო კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა დარბაზში მყოფ ხალხზე და ჩამოსულ ამხანაგებზეც. უხაროდა, რომ კომკავშირის აქტივიც სულგანაბული უსმენდა შინდევების თავმჯდომარეს. „უკვიანი გოგონაა ის ხიმშიაშვილი, კარგად დაურაზმავს მუხიანის კომკავშირელები“, — კმაყოფილებით გაიფიქრა მან, როცა თვალი მოჰკრა უკანა რიგებში ამხანაგებს შორის მჯდომ მანანას.

ხელაშვილს კი ძალიან უმძიმდა თათბირზე ყოფნა. დარბაზის ჰაერი ისეთი დაბნული ეჩვენებოდა, რომ სუნთქვა ჯვირდა. საზეიმო განწყობილება, ერთმანეთის ხობების შესხმა გულს ურეკდა. ხანდაზან ეს დინჯი და დარბაისელი აღამიანი თავს ძლივს იკავებდა. უნდოდა ამდგარიყო და დაეძახა: კმარა! გვაკმარეთ ამ ლათაიების მოსმენაო.

ვარამაძის მიერ ოსტატურად წარმართული კრება კი შეუფერხებლად გრძელდებოდა სამი დღე. როცა კენჭის ყრა იყო, საკურო რაოდენობის ხელი აიწეოდა ჰაერში; როცა ვარამაძე ოხუნჯობდა — დარბაზში რამდენიმე კაცი ახარხარდებოდა; როცა დასტური იყო საკურო — იგივე რამდენიმე კაცი ყვიროდა: სწორია! მართალია!

ისე უმძიმდა ნიკოს ამ სურათის დანახვა, რომ ხანდაზან იძულებული ხდებოდა დარბაზი დაეტოვებინა, იმავე მიზეზით გარეთ გამოსულ ხალხისათვის მოეკრა თვალი, დაწყნარებულიყო.

სხდომის შემდეგ, რა დროც არ უნდა ყოფილიყო, ნიკო კოლმეურნეობაში ბრუნდებოდა. ჯერ კანტორაში შეივლიდა. წესად ჰქონდა შემოღებული — კანტორაში ყოველთვის მორაგებობდნენ გამგეობის წევრები. მერე შორი გზით წამოვიდოდა შინისკენ.

უცხო კაცი ჩაუვლის სოფელს ან ჩაუქროლებს მანქანით.

უცხო ხალხი მოდის და პიდის. უბის წიგნაკში ან მეხსიერებაში ჩაიწერს, შეიძლება გაზეთის ან ჟურნალის ფურცლებიდან აცნობოს მკითხველს, რომ ამა და ამ კოლმეურნეობაში სკოლის ახალი შენობაა, ძველი ქოხების ნაცვლაჲ, ფართოფანჯრებიანი, ელექტრონით გაჩაღებული ქვიტკირის სახლებია, მაგარი ბედელი, მოვლილი ნახირი, შრომაღლეზ ამდენი და ამდენი განაწილდა, — და წამკითხველი იტყვის, ბარაქალა! კარგი პატრონი ჰყოლია ამ კოლმეურნეობასო...

ნიკო ხელაშვილი კი წელში გამართული და ღონიერი, აუჩქარებელი ნაბიჯით უვლის შორეულ უბნებს. თითქოს ხედავს, რა ხდება ამ მხარგადამბულ სახლების კედლებს იქით. იცის რომელ სახლში ვისა სძინავს, ვის შემოაღამდა მინდორში, ვინ არის წასული ცხვარში. იცის, რომელ ჰერკვეშ ვინ როდის დაიბადა. იცის, რა აზრები, სურვილები, მისწრაფებანი ბუდობენ იქ. იცის, სად რომელი ხეხილი დაირგა, გაიზარა თუ არა, რატომ ვერ გაიზარა... იქნებ კაცი რომ დამაღონ და მარტო მისი მარჯვენა უჩვენონ, მარჯვენით იცნოს იგი.

არაერთი და ორი ეგულება თანატოლებშიც და თავის გაზრდილებშიც ისეთი, რომელიც პირნათლად გაუძღვება ამ ვეებერთელა მეურნეობას, მის სიყვანეს ანაცვალებს თავს. ქალებიც ბლოშად ეგულება ამისთანები. ომიანობის დროს მოთქმა-ტირილისათვის მოუცვლები, კარზე მომდგარ განსაცდელის ეაქკატურად დამხვედურნი, ბევრნი არიან ამისთანა ქალები. აი, მარიამის კარ-მიდამო ჩაბნელებულია. ისვენებს მანანას დედა, მარიამი, აქეთ მხარეში პირველი ქალი-გუთნისდედა! საიდან სად მოდიოდნენ მარიამის სანახავად. დარბაისელი, მძიმედ დათალხული ქართველი ქალი, გუთნისდედა!

ფეხადგმულ მუხასავით უვლის მუხანას ნიკო. მკერდში ათქქოს გული კი არა, სიყვარულის ზღვა უღელავს და

ფიქრობს: «ბარაქალა! იხარე ხალხის მარჯვენა, კოჭრიანო, მზით გატყესულო, ძარღვიანო მარჯვენა! მშვიდი აყოს შენი დასვენება ამ უწყინარ ღამეში. ცუდი კაცი ერთი-ორია.. იქნებ გაგამწაროს, იქნებ გატყინოს ვუღი და აგატიროს კიდევაც, მაგრამ მოკლედ დღე აქეთ ამისთანებს. ალალი ხალხის თვალი ბასრია, დასანახავს მაინც დაინახავს. სიმართლე მაინც გაიკვლევს გზას, უებარ მალამოსავით დაედება შენს წყულუს“...

ის ერთი კვირა ზაქრომ ისე, გაატარა ღელისაში, როგორც ციებ-ცხელებიან ბუჩანში. ვარამაძის კაბინეტიდან წამოყოლილი სიხარული კიდევ უფრო გაუძლიერდა. სიხარულს სიხარული მოემატა, მისი საქმიანობაც, ფიქრიც, ყოველი წაბი არსებობისა განათებული იყო შორეული ციციანთელას მკრთალი მოციხტრო შექით. ის შექიც და ჯერ რაღაც გაურკვეველი ოცნებაც მანანაზე თან სდევდა სიფხიზლეში და ძილშიც.

ზაქრო ხანდახან ცდილობდა წარმოედგინა, რომ არავითარი შექი არ არსებობდა. საკმარისია მაგრად მოხუცო თვალი და ყველაფერი გაქრებაო, მაგრამ მაშინ სიცოცხლე ისეთი უფერული ეჩვენებოდა, ისეთი უმიზნო, უაზრო, რომ ეგონა ცოცხლადაა დამარბული. ისიც იფიქრა ზაქრომ, შეიძლება მანანას დანახვამ გაფანტოს ეს შექიც და ეს ოცნებაცო. ამიტომ თათბირზე სიტყვის დამთავრების შემდეგ პრეზიდენტში ალარ დაბრუნდა, დარბაზისაკენ გასწია, მანანა კი წასულიყო... დარბაზი ბნელი და ცარიელი მოჩვენა. გადაწყვიტა, მოიცილიდა თუ არა, დიდედას ნახვას მოიმიზნებდა, მათთან მივიდოდა, მაგრამ ამას მოთმინება სჭირდებოდა, ზაქრო კი მოუთმენლობამ აიტანა. იფიქრა ამაღამვე ავალ მუხიანშიო, და მოულოდნელად კი შეხვდა მანანას.

თუმცა ჯერ ქუჩაში არავინ ჩანდა. მაგრამ ზაქრომ იგრძნო, რომ ის იქვე სადღაც ახლოს იყო. თითქოს მოსახვე-

ვიდან იმ მოციხფრო შუქმა გამოანათაო, გაჩერდა.

— გამარჯობათ, ზაქრო! ჩანს, მოგქანცათ თათბირმა, ფერი დავიკარგავთ! — შემოესმა დამცინავი ხმა, რომელშიც თითქოს აკანკალებული სიმი ჟღერდა.

— გამარჯობა ნა-ნა!..

ნაბიჯი აერია მანანას, ისევე მოსახვევში დააპირა გაბრუნება, მაგრამ გაჩერდა. თავს ძალა დაატანა, გაიცილა. ზაქრომაც ველარაფრის თქმა მოახერხა. იდგნენ ჩუმად, და მოგვიანებით, როცა მანანა კი აღარ იცინოდა, თავდახრილი ჩუმად იდგა, მერე ჰკითხა:

— რად გაიციენ?

— გავიციენ?.. ჰოო... პატარა აჩიკო ასე შექახის ზოლში...

— როგორ?

— ნა-ნა...

— რა კარგი ხარ...

მანანა ძეკრთა და თავი ასწია. სულაც აღარ იყო ფერმკრთალი, აღარც არავითარი სიმი ეღერდა მის ხმაში. ამაყად თავაწეულმა შეათვალიერა მის წინ მდგომი ვაჟაკი და ცოვად უთხრა:

— ეიცო, რომ კარგი ვარ. ნახვამდის!

— დაიცა, არ წახვიდე. სიტყვა მაქვს შენთან!

— ჩემთან? არა, დიდუდაჩემი ინახულეთ, თორემ ახლა ნამდვილად დაგემღურებათ! — ცელქად გააქნია თავი ქალიშვილმა და წავიდა.

ზაქრო ვერ მოტრიალდა, რომ მიმავალი ერთხელ კიდევ დაენახა. აღარ ახსოვდა, რა უთხრა, არც ის ახსოვდა, როგორი კაბა ეცვა, ან რამდენი ხანი იდგა ასე გაშეშებული შუა ქუჩაში.

„ჩემი ხარ, გოგოვ, ჩემი, ამქვეყნად ჩემთვის გაჩენილი! ნანო, ჩემო მანანო!..“

და თავისივე სიტყვებმა გამოაფხიზლა.

რაიონში გასაკეთებელი საქმეებიც დასრულდა. ზაქრომ დემურისშვილი შინდაში გაისტუმრა, დაავალა, ეცნობებინა შინდელეებისათვის, ხვალ, საღამოს რვა საათზე სტალინელების კლუბში სამი

კოლექტივის გაერთიანებული კრება ჩვენბაო.

ერქინული

თვითონ მუხიანში შემტარსმონტებ შინ არ დაუხვდა. აივანზე ქალები მას-ლაათობდნენ. ზაქრომ შორიდანვე იცნო შინდელი ქვრივი ნენე და ჩაეცინა. ზაქროს დანახვაზე ნენეს თვალები ცნობისმოყვარეობამ გაუბრწყინა.

— ნენე, აქ რამ მოგიყვანა? სახლში საქმე დაგელოა?

— საქმე ჩემს ბედოვლათ ქმარს ეჯავრებოდა და ავი დავასვენე კიდევაც!

ზაქრომ გულიანად გადაიხარხარა.

— შენს თავს შემოვევლე, ზაქრო, ნუ დამიმაღავ, ვერთიანდებითო, მართალია?

— ვინ გითხრა? დემურისშვილი ნახე?

— იპ. ეშმაკსაც წაუღია იმისი თავი და ტანი! სხვისაგან გავიგე.

— მართალი გაგიგია, მაგრამ იცი, რა? გამსხვილებულ კოლმეტრნობაში ქვრივებს არ მიიღებენო.

— კოლექტივი მაშ რისაა, თუ ქვრივობრებზე არ იზრუნა? შენც, თავმჯდომარე რო ხარ, აქამდე ერთი პატრონი ვერ მიშოვნე?

— ძალიან წუნია ყოფილხარ! იმახიან საუცეთესო მთხოვნელები გააწბილაო.

— შენ კი გაიხარე! გასაწბილებელი კარგი როგორ იქნებოდა, აბა, შენ თვითონა თქვი!

— მაშ შენი მოსაწონი აღარავინ არის ქვეყანაზე?

— მე ისეთი მომეწონება, რომელიც ჰკუითაც მაჯობებს, საქმიითაც და მართათითაც! ხელით სათრევი რა ჰქირად მინდა?

— შენ როგორსაც ეძებ, ეგეთი ბატონად გაგიხდება, არ გეშინია?

— კაცები ცოლთან ბატონობას არ იშლით და ღირდეს მაინც!

ეკატერინე და ზაქრო გულიანად იცინოდნენ კობტა-ნენეს სიტყვებზე, ნენე კი ცნობისმოყვარეობამ გაათავა.

— შენ ის მითხარი, ბიჭო, კიდევ რა ამბებია?

— ხელამდე მოითმინე და ყველადფერს გაიგებ, — მიუგო ზაქრომ.

— არა, გულის საყვარელს გაფიცებ, მითხარი! — არ ეშვებოდა ნენე.

— დამეხსენ, ნენე, კრებაზე გაიგებმეთქი! შენთან ლაპარაკში დამაგვიანდა, დიდდა ელისაბედის სანახავად მივდივარ!

ზაქრომ ელისაბედისათვის გამზადებული საჩუქრები ლამაზად შეახვია და ოთახში შევიდა. ბავშვებს ეძინათ. მხოლოდ აჩიკომ წამოიწია ლოგინიდან და ჩუმად უთხრა:

— ძია ზაქრო...

— რა გინდა? — თითის წვერებზე მიუახლოვდა ზაქრო აჩიკოს საწოლს.

ბავშვმა ხელები მოხვია კისერზე.

— მოდი, აქ დაწექი და რაღაცას გეტყვი.

ზაქრომ ბავშვს ხათრი აღარ გაუტეხა, ზეწარი გადასწია და დაწვა.

— იცი, რა? — ჩახუტებული ეჩურჩულებოდა აჩიკო, — დედამ უკვე ასწავლა გალობა...

— რა გალობა? — უცბად ვერ გაიხსენა ზაქრომ.

— პატარა შაშვი რომ გავუშვით, შენ არ მითხარი, დედა ასწავლის გალობასო?

— ჰოო... მაშ ასწავლა?

— იცი, როგორ უსტვენს? იმისთანა სტვენა არც ერთმა შაშვმა არ იცის. არა გჯერა? დილაზე ძალიან ადრე გავიღვიძოთ და ყური დაუფვდოთ, კაქლის ხეზე ჯდება და უსტვენს ხოლმე...

— ნეტავი შენ, აჩიკო, დრო გაქვს, რომ შაშვებს უსმინო. მე კი დილაზე, იცი, რამდენი საქმე მაქვს? — შესჩივლა ზაქრომ.

— განა მე არ ვიცი? მამაჩემიც ხო ეგრეა, საწყალი...

— საწყალი რაღად არის? — გაეცივნა ზაქროს.

— იმიტომ რო არასდროს არა სცალია. ვერც მაყვალზე დადის, ვერც თავთავების აკრფაში გვეჯობრება, არც კალმახების დასაჭერად წამოვა ხოლმე, სულ მუდამ არა სცალია...

— ჰოო, მართლა საწყალი ყოფილა...

— შენ კი, თუ მოინდობებ, უფროდ ერთ დღეში ქვეყნიერებას წმინდატარებს, არა რო?

— არა. ქვეყნიერება შენ იცი რამოდენაა?

— ვიცი. კინოშიც მინახავს და სინემაშიც. მიდიხარ, მიდიხარ, მიდიხარ და... ძია ზაქრო, დაგეძინა?

ზაქროს სრულიად მოულოდნელად მართლაც ჩასძინებოდა. აჩიკოს ზაქროს ლოყას ქვეშ მოტანებული ხელი დაუბუქდა, მაგრამ არ განძრეულა — არ გაეღვიძოსო, და ამასობაში თვითონაც ჩაეძინა.

აივანზე კი ქალები განაგრძობდნენ ლაპარაკს:

— აღამიანო, გულის საყვარელი რომ დავაფიცე, ფერი რად ეცვალა ზაქროს? — ჰოთხა ნენემ ეკატერინეს, შევიდა თუ არა ზაქრო ოთახში. გაჯავრებული იყო, რომ ვერაფერი დააცდენინა.

— აბა, რას გამოიგონებ ხოლმე, ნენე? კაცს მთელი კვირაა, არ დაუსვენია. ან სული როგორ უდგას, შენ კი, — ფერი ეცვალაო...

ნენემ უნდობლად აიწურა მხრები.

— არა, გეთაყვა, მე მაგისტანებში კარგი ალლო მაქვს. იმ საჩუქრებს რომ იგრე გულდაგულ ახვევდა, იტყვი, ზედა ლოცულობსო. მაშ დავიჯერო, ელისაბედის ეშხით არის მოხიბლული?

— კარგია, ღმერთი გიშველის, ეგ თავის დღეში აღარ გაიმეორო! — გაუწყრა ეკატერინე, მაგრამ ნენე მაინც სტუმარი იყო და რბილად დაუმატა: — ჩაი დალიე; გაცივდა. აი ეს მურაბა გადაიღე, ვარდისა...

ნენეს ამის შესახებ ხმამალა აღარაფერი უთქვამს. ნიკოც აღარ მოვიდა და გულნაკლულად იყო, რომ ახალი ვერაფერი შეიტყო.

„არა უშავს რა, — გადაწყვიტა გუნებაში, — ამაღამ მუხიანში დავრჩები, ბარემ ქმრიანთაც ვინახულებ, უთენიაზე კი წყაროს გავუვლი, მანანასაც ვნახავ და ყველაფერს გავიგებ...“

(ფაგრძელება იქნება)

ი. გრიშაშვილი

☆

ყვავილები ქვაზე

ერთი გეოლოგიური ექსპედიციის მონაწილეს.

ამ ნიადაგს ქვეშიანს
არ ვჯობივარ, გოგო, მე,
ექვს ქვას ზარნიშიანს,
რომ წააწყდე როგორმე.

ქვის ბუნების თამაშში
ჰპოვებ მიზანს დასახულს?
რასა ხედავ ამაში
ქალისათვის ჯანსაღურს?

ხალხი, მაგრამ რა ხალხი,
მოსდებიხარ ვრცელ არეს,
რომ იპოვოთ ნამარხი,
ქვადქცეული მცენარე.

ქვას საშენად ხმარობენ
ძველია თუ ახალი,
რომ სიმძლავრით ხარობდეს
შენობები მაღალი.

შენ კი დახვალ, დაექვს,
სადაც ღრეა ან ხევი,

რომ ჩაქუჩზე დაეცეს
ქარაფების ნახევი.

ქალო, ნუ ხარ მოხეტე,
ცივი ემაგ ლოდივით,
შენს მომღერალს მოხედე,
იტანჯება ლოდინით.

სიყვარულის ახსნისთვის
ნუ გსურს ქვათა ყრილობა,
გულწრფელობის სახსნისით
შეგვკრათ გულის კრილობა,

და შევეძახოთ: „დაბრუნდიო,
ჩვენო თანამოძმენო,
ყვავილს ქვაზე რა უნდა,
გულში უნდა მოქებნოთ!“

მაგრამ მგონის ხვაშიადს
ვინ შეიწოვს გემოთა?
შენი ტრფობა ქვაშია,
ჩემი — ქვების ზემოდან.

სანდრო ჯალი-ქაჩიძე



ახლო წელი!

ახლო წელი,
შენი იყოს
ეს სადღეგრძელო.
მიეც ბარაქა
ჩვენს სამშობლოს,
ხალხს სასახელოს,
მოჭფენდე ვრცელი
ბაღნარებით
მთასა და მდელოს,
ესვამთ საესე თასით
სადღეგრძელოს,
შენს სადღეგრძელოს!

წელი ახალი,
ჩვენი დროშა
არსად დახარო!
მილიონების
სამშობლოა
შრომის სამყარო, —
დიად მომავლის,
სიცოცხლის და
იმედის წყარო!
ჩვენმა სამშობლომ
იდღეგრძელოს,
წელი ახალი!

ხალხთა ძმურ დროშას
ვადღეგრძელებთ,
წელი ახალი,
კაცთა მოძულე,
ხალხის მტერი
არ მოგვაკარო,
მშვიდობა ქვეყნად
განამტკიცო,
გული ახარო;
ხალხთა ძმურ დროშას
ვადღეგრძელებთ,
წელი ახალი..
ახლო წელი,
ხვალინდელ დღის
ესვამთ სადღეგრძელოს!

ადამიანი
ადამიანს
უყვარდეს, ემშოს,
სხვისი ტანჯვა და
სიხარული
თავისად ეგრძნოს.
ხვალინდელი დღე
ვადღეგრძელოთ,
წელი ახალი,
ესვამთ კომუნის
სადღეგრძელოს,
ახალი წელი!



მშვიდობა

ყველა კეთილ კაცს მშვიდობა უნდა;
ხალხიც ხომ მღერის ტყბილ „ჩვენ
მშვიდობას“.

ვით თანამგზავრი, ომს თან სდევს
მუდამ:

უბედურება, უამინდობა.

ყველა კეთილ კაცს უნდა მშვიდობა.

თუ მშვიდობაა, გვიღიმის ბედი,
ნეტარებს კაცი, ხარობს ბუნება.
მტრედისფერ ცაზე დაფრინავს

მტრედრ,

გვრიტი გვრიტს ტრფობით ელულუნება.
ნეტარებს კაცი, ხარობს ბუნება.

მშვიდობა უნდა ოჯახის მამას,
მშვიდობა უნდა ვაჟს შეყვარებულს,
ომის ხსენება გრძნობას უშხამავს
ქალწულს იმედით აფართქალებულს,—
მშვიდობა უნდა ქალს შეყვარებულს.

მშვიდობა უნდა ჩემს მშობელ მხარეს,
მშვიდობა უნდა ჩემს საქართველოს.
ომი მძვინვარე, ომი მქუხარე,

აქცობს ყვავილებს, სისხლით რწყავს
მდელოს...

მშვიდობა უნდა ჩემს საქართველოს.

გვძულს ავი კაცი — მშვიდობის მტერი,
ვისაც სვავეით იტაცებს ლეში!

ჩვენ გვსურს სიცოცხლე ვარდ-
ყვავილებში,

გვსურს მზეს ეტრფოდეს ყოველი ვრი.
გვძულს ავი კაცი — მშვიდობის მტერი!

შრომა, მშვიდობა! აი, რა არი
ხალხის სურვილი და არა ომი.
ატომის ხანას მიტომ შეეხარით,
გაგვიასკეცოს ნაყოფი შრომის.
ჩვენ სიკეთისთვის გვინდა ატომი.

ყველა კეთილ კაცს მშვიდობა უნდა;
ხალხიც ხომ მღერის ტყბილ „ჩვენ
მშვიდობას“.

ვით თანამგზავრი ომს თან სდევს
მუდამ:

უბედურება, უამინდობა...

ყველა კეთილ კაცს უნდა მშვიდობა.

სიკეთით სავსე გულს გაუმარჯოს

განა ქალარა ამძიმებს სხეულს?
მე არ ვუწოდებ ქალარას წყეულს.

ამძიმებს სხეულს სიბერე გულის,
ის არის ძირი ყოველგვარ წყლულის.

ზოგს თმა და წვერი მსგავსი აქვს
გიშრის,

მაინც წუწუნებს, გუნებას იშლის;

აწუხებს დარდი, — რომ დაბერდება,
წრიალებს, ცას და მიწას ედება.

დილით, როდესაც ის თვალს ახელს,
დარდობს: „ვერ მივწვდი დიდებას,
სახელს;

ნაპოლეონი ჩემი ხნის იყო,
მეფის გვირგვინი როცა მიიღო!..“

ამაო ფიქრებს ველარ იგერებს
და თავს უდროოდ თვითვე
იბერებს.

არა სიმდიდრეს, სახელს და
ფულსა, —
სიხარულს უნდა უხსნიდე გულსა.

წრფელს და ღია გულს ქვეყნად რაღა
სჯობს?!
სიკეთით სავსე გულს გაუმარჯოს!

ბარათი პალარა მემობარს



ბერო კაცო, მინდა გულით
ერთმანეთი მოვიჯონოთ;
ერთმანეთის სიყვარულით
მინდა თავი მოვიწონოთ!

მეგობრები შეგვიმცირდა,
ბევრი კარგი დაგვეკარგა;
პურმარილიც დაგვიძვორდა —
დავიწყება განა ვარგა?

უცნაური ვიგრძენ ვნება,
შენთან აბა ვით დავფარო:
ყველა კაცის წლოვანება
მინდა ჩემს წლებს შევადარო.

ჭარმაგ მოხუცს როცა ვნახავ,
კვითხავ ამბავს, ხელსაც ვახებ:
„ოთხმოც წლამდე როგორ დაჰყავ?
თავი როგორ შეინახე?“.

და თუ მეტყვის: „ჩემი მამა
ასი წლისაც გახდა უკვე!“ —
თავს ზევით ვწევ მე თამამად,
თითქოს ვიგრძენ სიჭაბუკე.

ვფიქრობ, ბედი მეც მარგუნებს,
რომ დამერქვას კაცი ძველი,
ნახევარი საუკუნე,
ვფიქრობ, წინ მაქვს გასავლელი.

მაგრამ იმედს ვკარგავ წამსვე,
მოხრილ ბებერს როცა ვნახავ:

„შენ სამოცმა წელმა გსტყვიანოთქა
კვითხავ — როგორ დაგაგლახა?!“

ხელს ჩავიქნევ,
მთებს და მინდორს
ვეთხოვები:

„მაღე წავალ,
ვიცო, წლები არ დამინდობს,
მეც გამწირავს, როგორც მრავალს!..“

ჩემო ძმაო; ბერო კაცო!
აქ შენს ფიქრსაც ვგონებ ვსახავ...
სანამ მიწა მოგვიტაცებს,
მოდი — მნახე, მოვალ — განახავ!

ერთად დავსხდეთ, თასი თასსა
შევაჯახოთ ღვინით საესე.
ვთქვათ: წელიწადს კიდევ ასსა
არ დავგლახდეთ, ვიყოთ ასე!

შევსვათ ღვინო არა სევდით,
რომ ტიქაში ჩავკლათ დარდი;
ვსვათ მიტომ, რომ, თუმც დავბერდით,
ისევ გვალხენს ვაზი, ვარდი.

შრომაშიაც, მოღბენაშიც
შევეჯიბროთ ახალგაზრდებს,
რომ მივილოთ ქებაც, ტაშიც,
რომ ცნოვრება გალამაზდეს.

მართლაც რა სჯობს ამ ქვეყანას,
როს მომავლის ჰომინი ისმისი
ჩვენ არ გვმართებს ლხინი განა
დიდ ზეიმზე კომუნისმისი?



ჭარისკაცის ქმრივი*

რ მ მ ა ნ ი

მსუქანი კაცი იმასვე ამტკიცებდა. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ახალი ნაცნობის მგზავრობის ამბავი გაეგო. პეტრე მიროტაძეს წუხანდელი ღამეც გზაში გაეთია, აგარა მოეგლო. აგარაში ექვსი ვაგონი საკვები შეეძინა. ახლა კი ამ საკვებს წინ მიმავალი მატარებელი მიაჭანებდა წიფლისწყაროსაკენ, სიდანაც მარბილებით გადაიტანდნენ საკაურაში. თვითონ პეტრე სიცივეს შეეწუხებინა. ახლა სამგზავროს შემოვართარე თავი, სად წავა, აქ არა ვარო?

ხრინწიანი კაცი! სამ ხმაზე ხითხითებდა, მერე თავისი ბარგის მოგროვება დაიწყო. მომდევნო სადგურზე ისიც ჩავიდა. ერთმანეთს ძველი მეგობრებივით დაემშვიდობნენ. პეპიჩამ საკაურაშიაც კი დაპატიჟა, სახლიც მისაწავლა, გზაზე ეცხოვრობ, კანტორასთან, მარცხენა მხარეზეო. მარტო რომ დარჩა, წრიალი აუტყდა. ხან ერთ ფანჯარასთან მივილოდა, ხან მეორესთან.

— გათენდა, — თქვა ვიღაცამ მეზობელ კუბეში.

— აჰა კაცო! — წაუწვრილა პეპიჩამ.

ზურჩამ თავი წამოსწია.

— სადა ვართ, დედა?

— გაიღვიძე, შვილო? ადექი, გაიარ-გამოიარე. ახლა მალე მივალთ.

— ვინ ლაპარაკობდა?

— სუ, ჩვენებური იყო, პეტრე მიროტაძე, გახსოვს?

— პეტრე? უშუას მამა? სად არის?

— სუ! მოდის ეგერ. ჩაბალახი დავიწყნია.

პეტრე მოვიდა, მაგრამ მგზავრობასა და ღამისთევას ისე გაებრუებინა, რომ მათთვის ყურადღება არ მიუქცევია. ჩა-

ბალახი აილო და კვლავ უკან გაბრუნდა.

— რატომ არაფერი გვითხრა? — წას-ჩურჩულა დედას ზურჩამ.

— არ დაუნახივართ.

— ნეტა საიდან მოდის?

— ადგები? გაიარ-გამოიარე თუ გინდა, ნელა, ხომ ხედავ, ძინავს, — შალვას გადახედა ხათუნამ, რომელსაც არ უნდოდა პასუხი გაეცა, — აქეთ გადი, ამ კარებიდან. გეყურება? ზური! საყველო აიწიე.

— უიმე, დედაჩემო, ვის ვხედავ ამას! — მოესმა უცებ ხათუნას და ამ ნაცნობი ხმის გაგონებაზე გველნაკბენივით მოტრიალდა.

მის წინ პეპიჩა იდგა. გამხდარი სახე უძილობისაგან გაცრეცოდა. წვრილი თვალები საოცრად უციმციმებდა, მომღიმარე ვიწრო ტუჩები კი ისე მოეკუშმა, თითქოს უკბილობის დაფარვას ლამობსო. მის სახეს იმგვარი ორჭოფული სიხარული და გაკვირება დასთამაშებდა, რომელიც მზადაა ყოველ წამს საწინააღმდეგოთი შეიკვალოს, თუკი ეს საჭირო აღმოჩნდება.

ხათუნამ ოდნავ წამოიწია ადგილიდან. სხვა გზა არ იყო, თავი უნდა გაემყლაენებინა.

პეპიჩას დიდხანს ეჭირა მისი ხელი და გამომცდელად შესტკეპროდა ქალს სახეში, თითქოს ჯერ კიდევ ვერ დაუნამდვილებია, მართლა ის არის თუ არაო.

— შე ქალო! — თქვა ბოლოს საყველურით, — ამდენ ხანს ერთად გვიმგზავრია და ხმა ვერ ამოიღე?

— მეც ახლა დაგინახე პირველად, — იცრუა ხათუნამ და გაწითლდა.

— აგერ ვიჯექი, ა, ამ სკამზე. მთელი ღამე არ დამაძინა იმ ოჯახქორმა.

* გაგრძელება, იხ. „მნათობი“ 1955 წ. № 12.

— შინ როგორა ხართ, პეტრე, ხომ შვედობაა საკაურაში?

— ჩვენ რა გვიქირს. რავარც მოგესენება, ძველებურად. შენ რას შერები, შენ?

— რას ვიზამ, მოვდივარ აგერ.

— კაი დაგემართოს, — ჩაფიქრდა პეტრე და წერილი თვალები ოდნავ მოწკრა, — იყავი, იყავი, აგერ დაეჯდები. არ მომკლა იმ ოჯახქორმა! აქ იყავი თუ მერე შემოხვედი? ხო, მერე რას შემოხვიდოდი, ისევ მე ვარ დამნაშავე, რომ ვერ დაგინახე. ისე კი გამოიღევა აზრმა, ჩვენიანი ხომ არავინ არის-მეთქი. ქე არ ამიხდა ფიქრი? კარგია, კარგი. მართლა, იმ კვირის სწორს მოყვარეში ვიყავი, ჩინჩალაძეებში. ერთმა გულმა კიდევ მითხრა, აღი, შე ოხერო, ნახე, სხვა თუ არაფერი, კარის მეზობელია-მეთქი, მაგრამ... კინალამ წამოვედი.

— წამოსულიყავი მერე, პეტრე, გავგებარდებოდა.

— თქმა უნდა მაგას? კეთილი სტუმრის დანახვა ვის სწყენია. მე შენ გეტყვი, ღვინოს ვერ იშოვიდა სპირიდონ ყანჩაველი და რაღა უნდა ექნა იმ საწყალს!

ხათუნამ თვალი აარიდა პეტრეს, ოდნავ ამოიოხრა და ახლა დაორთქლილ ფანჯარას მიაშტერდა, მაგრამ მინის იქით არაფერი ჩანდა.

— გლახა დრო კი შეგვიჩივია სამგზავროდ. დიდი თოვლია.

— აბა, — დაუდასტურა ხათუნამ.

— იქიდან არაფერი, — მარჯვენა წარბი აზიდა პეტრემ და ნიკაპი ფანჯრის მხარეს გაიწვდინა.

ხათუნამ თავი გააქნია.

— ეპ, — ამოიოხრა პეტრემ, — რას იზამ, მარტო შენს თავზე ხომ არ არის ეს ამბავი. რავარც სხვა, ისე შენ.

— მე არ ვსაყვედურობ, პეტრე. მოსახლენი მოხდა, — გადაწყვეტით წაილაპარაკა ხათუნამ და ისევ მიროტაძის ცნობისმოყვარე თვალებს წააწყდა. როგორ, იცის რამე თუ? რატომ ელაპარაკება ასე ივწნეულად? არა, ნამდვილად

იცის რაღაცა. მოყვრებში? და მაშინვე გაახსენდა ხათუნას: ედუარდ პეტრეს ოჯახობა საქარელი ჩინჩალაძეების სახლის შვილი იყო. მაგრამ ისინი ხომ ემდუროდნენ პეტრეს, ერთ დროს კინალამ ციხეშიაც ამოაყოფინეს თავი. ნუთუ შეირიგეს კიდევ? იქნება ესეც ტყუილია, პეტრე ახლოსაც არ გაქარებია მოყვრებს, ისე, ვილაციან შეიტყო ხათუნას ამბავი და ახლა უნდა თვითონ მას გამოსტყუოს სიმართლე?

ამის გაფიქრებამ ხათუნას თავზარი დასცა. თუ ორმა იცის, ღორმაც იცისო, ნათქვამია. ვინღა უწყის, რანაირად ჩავიდა ამბავი საკაურაში. ახლა ამ ახალმა გულისკანკალმა დაძვარა ყველა მისი სატყვივარი და საგონებელში ჩაადგო. ო, როგორ სძულდა ადამიანი ამ წუთს ხათუნას, როგორ უნდოდა სამუდამოდ გასცლოდა ქვეყნიერებას, გასცლოდა და თავისი სამი შვილიც თან გაეტაცნა, რათა მათთვის მაინც აეცდინა ის მწარე ხედარი, რომელსაც ერთმანეთს უმზადებენ ეს ერთი შეხედვით უწყინარი, კეთილი, მაგრამ ნამდვილად კი გულშემა და შეუბრალებელი ადამიანები.

ერთი წუთის წინ მას გადაწყვეტილი ჰქონდა დაეძლია სიამაყე, არაფრისთვის აღარ მიექცია ყურადღება და გულმართლად მოეთხრო პეტრე მიროტაძისათვის ის, რაც თავს გადახდა. მას ლაპარაკი უნდოდა, უნდოდა ვინმეს ზოგსმინა მისთვის, აღარ დაეძებდა, მიუხედედობდნენ თუ არა, გაუგებდნენ თუ არა, გაამართლებდნენ თუ არა, ოღონდ ეთქვა, ელაპარაკა, მაგრამ ახლა, ყოველივე ამის გაფიქრების შემდეგ, ორი სიტყვის ერთი მეორეზე ვადაბმასაც საშინელებად სთვლიდა და ერჩივნა ენა ჩავარდნოდა, ვიდრე ხმა ამოეღო. „ღმერთო, რა უბედური ვარ!“ — ძრწოლვით ფიქრობდა იგი და ცდილობდა მთელი ქვეყნიერებისათვის მოერიდებინა ხვალისდელი დღის შიშით დამახინჯებული სახე.

პეტრე მაინც რატრატებდა თავისას და მოციმიციმე თვალებს არ აცილებდა მოულოდნელი გამოლაპარაკებით შემცხარ ხათუნას. პეპიჩა ისე აღფრთოვანე-

ბული ჩანდა ბინდვლების ნახვით, რომ ერთი პირობა ქალმა კიდევ ინანა, ნეტავი წუხელზე გამოვლაპარაკებოდიო. არც კი გაუგია, ზურგა როდის შემოვიდა. პეტრე სიყვარულით გადაეხვია წამოზრდილ მინდილს და ამან ოდნავ გაუკეთა გული ხათუნას, ისევე როგორც ყველა დედას გაუკეთებს გულს ის ამბავი, რომ მისი შვილი სხვებისთვისაც საყვარელია.

— მამას ჰგავს, — თვალი მოკუტა პეტრემ და ჩვეული აღმაცერი ღიმილით გაიღიმა.

ხატუნასაც უნებლიედ გაეღიმა ამაზე, მაგრამ თქმით კი არაფერი უთქვამს.

— ასე ვქნათ ახლა ჩვენ, — უცებ საქმიანად წამოიწყო პეტრემ, — მე მარხილებს დამახვედრებენ სადგურში. საკვებია გადასატანი. თუ ვგაონებმა იქამდე მიიღწია, ვიცი ჩვენი სადგურის ამბავი: დაღამებამდე ვერ გადმოსცლიან. ერთ მარხილზე შენი ბიჭებიანა დაჯექი და, პაიდა!

— მაგაზე უკეთესი რაღა იქნება, პეტრე!

— აბა, ასე ვიციტ ჩვენ!

— დიდი მადლობა, ჩემო პეტრე, თუ გინდა სახლში ვიყოთ ახლა შენი შემწეობით.

— მე წავალ და საქმეს მივხედავ. თქვენ მზად იყავით. თუ ბარგის ჩამოტანაზე ვერ მოგისწროთ, ზურია მოგებმარება ეგერ.

— კი, ბატონო, მაგაზე შენ როგორ შეგაწუხებ.

VII

პაველ და შალიკო ყარგა ხანს იცდიდნენ საბარგო განყოფილების ღია კართან. შალვა ჩემოდანზე წამოსკუბებულყო და თუხები ისე მოექცია, თითქოს გაოჩნებულ ულაყს დეზი უნდა უცხუნოსო. ახლად გამომწვარი კრამიტის წყებასთან თივის შეკვრები დაეწყოთ, კარის მარჯვენა მხარეს კი ვეებერთელა წითელი ქვევრი მოჩანდა. შალვას ყველაზე უფრო წნელის გოდორი აკვირ-

ვებდა, რომელშიაც ქვევრი იყო ჩასმული. თვითონ გოდორიც სასკაცილო იყო. მეჩხერად დახლართულ ქვევრზე წნელს შუა ნაპატივები ბურვაკი გამვრებოდა. აბა, სად ბაბუას მოწნული და სად ეს!

შალვა რომ ამ ფიქრებში იყო გართული, პაველ მოედნისკენ იყურებოდა. მას სრულებითაც არ იზიდავდა ბარგის საწყობი. ვეება ქვევრსაც კი ვერ მიექცია მისი ყურადღება. თვალი მოეჩრდილა და დაქინებით გაჰყურებდა სადგურის უკან გაშლილ მოედანს, რომელიც ერთთავად თოვლით იყო დაფარული. ახლაც განუწყვეტლივ თოვდა. სადგურის უკან გამავალ ხალხს თითქოს გაჰქონდა კვალი, მაგრამ წუთიც არ გაეიდოდა, ნაფხურები ისევ ამოვსებული იყო.

შაინც რა შორს ჩამოაყენეს საბარგო ვაგონი! სადაცაა მისისა და საწყობის გამგის მეტი აღარაფერ დარჩება სადგურის ბაქანზე. ყველას შინ მიეჩქარება. იქნებ შეღამებისას კიდევ უფრო მოუმატოს თოვამ.

— ადექი, პალიკო, ფეხებზე შემცივდა, — შესჩივლა მას პატარა ძმამ.

— მერე მე გიშველი?! — მიუგო პაველმ და მანკვით წამოიდა.

— რა იყო, პალიკო, ფეხი გავიბრუნდა? ხოტორ-ხოტორ ბრუნა, თავი გავიბრუნდა, გაიქეცი მარანში, თავი ჰკარი ლადარში!

პაველს ცრემლები მოსდგომოდა, გამალებით იტყაპუნებდა ხელს მუხლის თავზე. შალვამ გადმოიწია, ერთი იმანაც უთავაზა.

— სხვა გვარისა, სხვა გვარისა!..

— გაჩერდი! — შეუტია პაველმ.

ამ დღეში რომ იყვნენ, თავს ქურქში გახვეული ზურია წამოადგათ.

— სხვა გვარისა! — დაბოხებული ხმით გაიმეორა მან უმცროსი ძმის სიტყვები, — არ თქვა მეორედ!

— რათა?

— რათა და იმათი შეგცივდათ?

— არა, ზურია. პალიკოს ფეხი გაუბრუნდა, შეხედე!

— მართლა, ბიჭო? გამართე, გამარ-

თე, ნუ გეშინია. აგრე! გაიარ-გამოიარე და გაგვიღის.

— დედა რა იქნა, ზურია, არ მოდის?

— შენც გაირბინე ბილიკზე, გახურდები, ოღონდ ფრთხილად, ფეხი არ დავისხლტეს.

სადგურის მეორე მხრიდან, სადაც უტეხი თოვლით შემოსილი ძეწნები მოჩანდა, მატარებლის შეკვივლება გაისმა. რომელიმე დიდი ქალაქიდან ჩამოსულ ადამიანს იქნებ ღიმიც კი მოჰგვაროს აქაურმა მატარებელმა.

თვითონ ორთქლშავალი ერთობ ჩიარამ არის. ასეთივე სიდიდის ათი თუ თორმეტი ვაგონი აბაა. სწორედ, რომ იტყვიან, ფერი ფერსაო, მაგრამ თქვენ უნდა ნახოთ, რა გულისფანცქალით ელიან მის შემოსვლას წიფლისწყაროში. ერთი ციციქნა მოსაცდელი დარბაზი მუდამ მგზავრებითაა გაჭედილი, სამგზავრო ბილეთებს კი მანამ არ გასცემენ, სანამ წითელქუდიანი მორიგე დარბაისლურად არ გამოვა სამორიგეოდან და იქვე, ფოსტის ყუთის მახლობლად დაკიდებულ ზარს არ აახმაურებს. სულ ბოლოს, რეკავს რომ დაამთავრებს, წამით შეისვენებს და ერთხელ კიდევ ჩამოაკრავს ზარს. ეს იმის ნიშანია, რომ გაუთავებელ ლოდინს ბოლო მოეღო, მატარებელი გამოვიდა დასავლეთის მხრიდან.

როგორც კი ზარის ხმას გაიგონებენ, სადგურის ბაქანი ალღევებული მგზავრებით ივსება; მოარბენინებენ კალათებს, გოდრებს, ხურჯინებს, წითელქუდა მორიგე კი დინჯად დააბიჯებს ლიანდაგებში, რათა მატარებლის შემოსვლისას მოუთმენარი მგზავრები ერთხელ კიდევ გააფრთხილოს.

ახლა მატარებელი წასული იყო. ერთადერთი საბარგო ვაგონი, რომელიც სადგურს შემორჩენოდა, ძეწნებს იქით, ჩიხში ჩაეყენებინა გამურულ ორთქლშავალს.

ვაგონის კარსა და ბაქანს შუა ფიცარნაგი გაედოთ ხიდივით. სიცივისაგან აჩინილული ხარ-ძროხა გადმოჰყავდათ

ამ ფიცარნაგზე. სულ ბოლოს თოვლივით თეთრი თხა გამობაკუნდა, უცნობი გარემოს დანახვაზე ერთგულად და გაოცებული თვალები მოაეღო იქაურობას.

რეზინის ხელთათმენებიანმა მებარგულმა მუშამ თხა ბაქანზე მდგომ მანდილოსანს ჩააბარა, თანაც დამცინავად დააყოლა:

— გუნებაზე მოვიდა რაღა!

ქალს ლაზათიანი სახე ჰქონდა. გახუნებული ძველი პალტოც ვერ უმაღავდა ტანის სისასესს, მტვირთავის შენიშვნაც ალბათ ამან გამოიწვია. მუშასთან გამოლაპარაკებას მან თავი აარიდა და საბელი უსიტყვოდ ჩამოართვა.

— იწველის, ქალო? — მსუნაგი მამაკაცის გამკილაგობით ჩაჰკითხა მებარგულმა, თანაც თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა პირუტყვი.

ქალს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა და პასუხის მაგივრად თხა წინ გაირეკა.

— ერთი უყურე! პასუხის გაცემასაც არ კადრულობს, — გააყოლა კუდამოძებულმა მებარგულმა.

ზურია მისმა პატარა ძმებმა შორიდანვე დაინახეს დედა, რომელიც თხას შორეუკებოდა. შალვა შესახვედრად გაეშურა.

— ნელა, დედა გენაცვალოს! — მოაძახხათუნამ, — ახლავე წავალთ. ძალიან შეგცივდათ, შვილებო?

ბავლე მოწყენილი იდგა. ზურია გართული იყო საქმეში, ჩემოდნებსა და ფუთებს საითთაოდ ეწეოდა ცალი ხელით, სიმძიმეს უსინჯავდა.

— ვერსად ნახე, შვილო? — მოახლოვებისთანავე იკითხა ხათუნამ, — ეგერ დარბაზია, მოსაცდელი, იყავი?

— დარბაზშიც ვიყავი და აქაურობაც შემეგვიარე, — უკმაყოფილოდ უპასუხა ზურია, — არ არის.

— უსინდისო. ვინ ეხვეწებოდა!

— უარი უნდა გეთქვა.

— თვითონ აიტეხა, შვილო, წიფლისწყაროში მარხილები დამხვდება და ერთს თქვენ დაგიმობოთო. საკვებს

დღეს მაინც ვერ გადმოტვირთავენო. უარი რანაირად მეთქვა. ვერც ვერავის შეეხედი ჩვენებურს. თოვლი უკვლევია იქნება. რა გადაატანს ამისთანა აზინდში. პორევი, გენაცვალე, ჩემოდანს? ქათმებიანი კალათა?

— აგერ არის, მე წამოვიღებ, — მკვირცხლად მიუგო პავლემ.

— საბჭოში არ დაგირეკია? — იკითხა ზურამი.

— არ დამირეკია, შვილო. მაგის იმედად ვიყავი. იქნება ხვალ წამოგვიძღვანონ დანარჩენი ბარგი, — ისე მორჩილად წარმოსთქვა ეს ხათუნამ, თითქოს თვითონ ყოფილიყოს რაღაცაში დამნაშავე.

— ეჰ! — ქურქისა და ბოხობის შესაფერისად ამოიოხრა ზურამ და ჩემოდანს დასწვდა, რომ საგანგებოდ ნაგულეები თოკით ფუთაზე გადაება, — რას ქუჭყუნობ, ბიჭო შენ, რა გინდა! — შეუწყრა შემდეგ შალვას, რომელსაც პირი დაეფინა და მესერისაკენ იყურებოდა.

საწყობის უკანა კარს ჩალით მოგებულ მარხილი მოსდგომოდა. მდუღარედან ამოღებულ კარტოფილივით გახვეულიყო ორთქლში მარხილში გაბმული ფაშვიანი ულავი. ყველაფერს ემჩნეოდა თეთრად მოფარფატე თოვლის ფთილები, თვით ცხენის პანტურა ყურებსაც კი, მარტო ფაშვი არ იკარებდა, ისე აღნობდა, თითქოს თორნესავით მხურვალე ყოფილიყოს.

მარხილის პატრონი ხუთიოდე ნაბიჯის მოშორებით იდგა. ცხენს მარხილი წამოეცურებინა და საწყობის კიბეზე შემოწყობილ თივის შეკვრებს კირტნიდა.

— ეს უმცროსი ძალიან ბიჭი გყოლია, დაია, — კეთილი ღიმილით დაიძახა მარხილის პატრონმა.

— ისემც რა ვუთხრა ამას! — მიუგო ხათუნამ.

— შორიდან მოდის?

— არა, აგერ ვიყავით... გადააბი, შვილო? — თავუწევლად იკითხა ხათუნამ.

ზურამ ჩემოდნის სახელურის სიმბაგერ მოსინჯა.

— კაი დაგემართათ თქვე, მარხილის პატრონმა.

შალვა მაინც ქუჭყუნებდა, თვალს არ ამორებდა ორთქლში გახვეულ ცხენს.

— მოითმინე ახლა, შალიკო, არა გრცხენია? — დაუყვავა ხათუნამ, — ბიძიამ ქვევრი უნდა წაილოს. არ გეცოდება? ორივეს ხომ ვერ მოგერევათ.

— რა უნდა მაგას, რა? — ხუმრობით გაჯავრდა მარხილის პატრონი.

— არაფერი, ცხენი დაინახა და...

— ცხენი? მოდი, ბიძიკო, აბა აჭა. მოდი, მოდი გრცხენია თუ? უჰ, რა ბიჭი ყოფილხარ შენ. მაგრე, შე კაცო, რას ინაზებში გოგო ხომ არა ხარ, ბიჭო? ბიჭი ხარ? ამისთანა მალხაზი ბიჭი გაგიგონია მერე? ნამდვილად გოგო იქნები და მატყუებ, ბებერია, მაინც ვერ მიხვდებო.

— ბიჭი ვარ! — დაიყვირა შალვამ.

— უჰ, ახლა კი შეგატყუე, — გაიცივნა მარხილის პატრონმა და პატარას ხელი მოჰხვია, — აბა ეს მითხარი ახლა შენ, ვისი ბიჭი ხარ?

— დედასი, — არ დააყოვნა შალვამ.

ეტყობოდა მარხილის პატრონი რაღაცას მიხვდა. დაიხარა და ყურში წასჩურჩულა შალვას:

— მინდელი ხარ, ბიჭო, ხომ? შენს მამასაც შალიკო ერქვა?

— ხო! — კიდევ დაიყვირა გათამამებულმა ბიჭმა.

შალვასდა გასაოცრად, ქალარა კაცი მოიღუშა. ნეტავი რა ეწყინა? მერე ყრუდ ჩაახველა, ისე, რომ დიდრონი ხელები შალვასთვის არ მოუცილებია და სულ სხვა ხმაზე. რომელიც წელანდელს აღარ ჰგავდა, ხათუნას სახელი დაიძახა.

ხათუნა გართული იყო საქმეში. ამინაც ასწია თავი და შეხედვის უმაღლეს იცნო კეთილი ადამიანი, საკაურელი თოფილე ლაბაქე, რომელსაც წინააღმდეგ თავისი ძველი ჩვევისა, წვერი მოეშვა და საგრძნობლად გაქალაქაებულ მოხუცს დამსგავსებოდა.

ხათუნა იმ მდგომარეობაში იყო, როცა არაფერს არ ფიქრობენ, თუმცა სახის გამომეტყველება აზრის გამალბებულ მუშაობაზე ლაპარაკობს. მან ძლივს მოისახრა, რა ეთქვა, უკეთ, არაფერიც არ მოუსაზრებია, ფუთას, საიდანაც წინდას იღებდა, თავი მიანება და თვალის დახამხამებაში ჭიკაბა მუშობლის წინ გაჩნდა.

მათ ოჯახში შესული კაცი იყო თეოფილე, შალიყო უყვარდა.

გულამტკერებულმა ქალმა მხარზე მიყარდნო მას სახე. აღარაფერს აქცევდა ყურადღებას, არც გამეღულ-გამომეღულს, არც ბავშვებს, არც გამარჯობა უთქვამს, არც ხელი ჩამოუტრთმევია, ოღონდ, თუ ყურს კარგად დაუგდებდა ადამიანი, ადვილად გაარკვევდა მის ჩურჩულს:

— ხომ ზედავ, თეოფილე ბიძია... ჩამოვედი, თეოფილე ბიძია. ჩამოვედი, უპატრონო, გაუბედურებული...

თეოფილე არაბუნებრივად გაქიმული იდგა. იმდენად მოულოდნელი იყო მისთვის ეს ყველაფერი, აღარ იცოდა, რა ეპასუხნა. ჭირში გამოცდილ ადამიანს კარგად ესმოდა, რომ ზედმეტი იქნებოდა ახლა მისი ლაპარაკი, თანაგრძნობის გამოხმატველი სიტყვები. მერე, როგორც იქნა, მოახერხა, ფრთხილად მოიცოდა ქალის ხელები და თვითონაც ვერ გაიგო, როგორ დაიწყო ლაპარაკი სულ სხვა რამეზე, ამინდზე... თექვისმეტ ნოემბერს მოგვითოვო, სულ არ მოველოდითო: გაგანია რთველში ვიყავით, ფეხი საწინაბელში ვევედგათ.

ამას ლაპარაკობდა, მაგრამ ამავე დროს გრძნობდა, რომ ეს ის არ იყო, რაც უნდოდა ეთქვა. მაგრამ რა უნდოდა ეთქვა? უანგარიშოდ მიიხედ-მოიხედა და როცა ცხენი წელანდელ ადგილს ევლარ დაინახა, ჯავრი იმაზე იყარა:

— ბრ, შე სატიალე!

ზურია გულისყურით აკვირდებოდა ქვისა და აგურის პატარ-პატარა სახლებს, რომლებიც ქუჩის ორივე მხარეს ჩაემწყრივებინათ. მას კარგად ახსოვდა ეს ვიწრო ქუჩა. ვინ იცის, რამდენჯერ

გამოევლო აქ მამასთან ერთად. ყურამნი ჩამოჰქონდათ ხოლმე სუფთადან ლენის ქარხანაში ჩასაფრებლად. მარია მარილსა და წერილმან საქონელს ყიდულობდნენ ხიდისყურის მალახიაში.

ზურია იმ თვალის მოავლო იქაურობას. ცდილობდა მოეგონებინა, რა ადგილას იყო ის ხიდი, მაგრამ აივნინი და უაივნო სახლები ისე მიჯარულიყვნენ ერთმანეთზე, რომ იმათ იქით არაფრის დაინახვა არ შეიძლებოდა.

ნელა გაიარეს მესერის კიშკარი, მერე გადასქრეს პატარა მოედანი, სადაც გაყვითლებული თოვლის ქვეშ ფეხი ლაფში ეფლობოდა და ისევე ფილაქინიან ქუჩაზე გავიდნენ.

მარცხენა მხარეს ფურნეს ახურებდნენ. ყრუდ გაისმოდა მახუთის აღის გუგუნე. „აი ის ონკანი!“ — გაახსენდა ზურიას და ნაბიჯი შეანელა. ისევ ნესტისაგან გაშავებულ ბოძზე მიყრული. მამა აქ ყოველთვის შეაჩერებდა ხოლმე ხარებს და ზურიას ეკითხებოდა: „წყალი გინდა, ბ.უო?“ ზურია წყურვილს მოიკლავდა და ფილაქინზე აჯაყჯაყებულ ურემს დაედევნებოდა.

ვილაცამ დაუძახა. ზურია იმ წინ გაიხედა. შალვას შესცივნოდა მარხილზე. ისიც უფროსებივით ქვეითად დასდგომოდა გზას. დედა და პატარები ოციოდ ნაბიჯით ჩამორჩნენოდნენ დაწინაურებულ მარხილს.

— აი იმ უნაგირას ზედავთ? — ამბობდა ხათუნა და მთის ზურგზე უთითებდა, — იმის ძირში უნდა მივიდეთ. მერე გზატკეცილს გავევებით თუ დიდი ნამქერი არ იქნა.

— მგელი იცის? — იკითხა პავლემ.

— მგელი? არა, გენაცვალე, მზის ჩასვლამდე მგელს რა უნდა! ღამლამობით იციან ხოლმე გამოჩენა, მაგრამ მგელს ადამიანის ეშინია, მეტადრე ცეცხლის. წინათ ბევრი ყოფილა, მაგრამ რაც ქალაზე ტყე გაჩეხეს, ბარად ჩამოსვლას ვეღარ ბედავენ, მონადირეებს უფრთხიან.

— აქ მონადირეებიც არიან?

— მაშ!

— რატომ კალოსუბანში არ არიან?
ზოზინით გადაუხვიეს ქუჩიდან ბი-
ლიკზე. ჩამწკრივდნენ. წინ ზურია მიპ-
ყვებოდა მარხილის კვალს, მას ეელზე
თოქშემოხვეული რქახატულა მისდევ-
და, შემდეგ პატარები და სულ ბოლოს
ღედა.

— არ დავისვენოთ, ზური? დავიცუ-
დე, შე კაცო, — დაიძახა ხათუნამ.

ზურია შეჩერდა. ეტყობოდა, მგზავ-
რობაში გაღახული ღედა ძალზე დაი-
ქანცა. საფეთქელთან თმა ჩამოშლოდა,
უფერული ტუჩები მოეკუჟა. ზურია მი-
ხვდა, რომ ღედა ფიქრში იყო წასული.
გამოლაპარაკებაც დააპირა, მაგრამ ისევ
ღუმელი არჩია. ამასობაში უკან ჩამორ-
ჩენილებიც წამოეწივნენ.

— შორს არის, ღედა, მარხილი? —
მოაძახა ხათუნამ.

— დიდ გზაზე გავა და დავციდის.
შალვა რად ჩამოსვი, ყოფილიყო.

— მოისვენა? თქვენთან მინდაო.

— თუ უნდა, იაროს ახლა. რაიო, რა
გითხრა იმან?

— არაფერი, სოფლის ამბავი მოყვა.
ოპ, მგონია მართლა დავიღალე ეს და-
ლოცილი.

— კიდე რაიო?

ხათუნამ ვერ შენიშნა ზურიას ხმაში
ჩაქსოვილი მღელვარება და ისევ თეო-
ფილეს მონაყოლი განაგრძო:

— ახლა აქ არიან თავმჯდომარეც
და აგრნომიც, მე გადმოვიყვანეო.

— ღედა, შეხედე! ვილაკა მოდის! —
წამოიძახა პავლემ.

— მოიცადე! — შეუტია ზურიამ, მა-
გრამ თვითონაც გააყოლა თვალი მარხი-
ლის კვალს და მართლაც დაინახა ნაბ-
დინი ვაკეკი, რომელიც ნელა უახ-
ლოვდებოდათ. ორიოდ წუთიც და, მი-
სი თვითიკის ნაბალახის ოქროსფერი
სირმებიც კი გააჩრჩიეს. მგზავრი მოხუცი
აღმოჩნდა. სპეტაკი წვერი ნაბდის ამო-
ჭრილ გულისპირზე დაჰფენოდა.

— ვინ არის? — იკითხა ზურიამ.

— მთისკალთის თავმჯდომარე უნდა
იყოს, მაკარი. მაგრამ მთისკალთა... ჩა-
მოეცალე, შეილო! ეგეც გამოძახებული

თუა, — ჩურჩულით დაამთავრა ხათუ-
ნამ.

ზურიამ მალულად ახედ-დახედვ მო-
ხლოებულ ბერიკაცს და როგორც კი მის
მედიდურ სახეს დააკვირდა, თავისდა-
უნებურად ბოხობი მოიხადა. თოვლში
გაღახტომას აპირებდა გზის დასათმო-
ბად, მაგრამ მაკარმა დაასწრო, მოწონე-
ბით გადმოხედა, მხარში ღონიერი მარ-
ჯვენა ჩაელო და შეაჩერა:

— ნუ, ბაბუა, წინდებში თოვლი ჩა-
გიცივივდება.

ამ სიტყვებით თოვლში შეტობა, შემ-
დეგ ისევ ბილიკზე ამოვიდა და მანდი-
ლოსანს მიესალმა.

ზურია მიხვდა, რომ მოხუცმა ღედა
ვერ იცნო. ჩანდა, ხათუნასაც მოერიდა,
ვერ გამოეცნაურა.

VIII

სოფლის შესასვლელში, გზასქვეშ,
ძელურად ნაშენები და კრამიტით გა-
დახურული სამკედლოა გამართული.

საკაურას რომელ უბნიდანაც არ უნ-
და მოდიოდე, უძველესად ამ სამკედ-
ლოსთან გაივლი, რადგან სოფლის ყვე-
ლა გზა აქ იყრის თავს.

აქედან მიემართება ფართო გზატკე-
ცილი წიფლისწყაროსაკენ. წისქვილზე
მიმავალმაც კი სამკედლოს წინ უნდა გა-
პარო. ისე, რომ საკმარისია, მთელი
ღღე, დილიდან საღამომდე აქ გაატარო,
რომ დაწვრილებით გაიგებ ყველაფერს,
ვინ სად წავიდა დღის განსაგელობაში,
ვის სტუმარი მოუვიდა, ვინ რა იყიდა,
ან ვინ რა წაიღო გასასყიდად წიფლის-
წყაროს საკვირაო ბაზრობაზე.

იქნებ ამის გამოც უყვარდათ თავის
შეყრა საკაურელებს ამ ძველისძველ
სამკედლოში, რომელიც ერთ დროს სო-
ფლის შუაგულში იდგა და კარგა ხნის
წინათ სამანქანო გზის პირას გადმოი-
ტანეს.

მაგრამ საკითხავი ის არის, თვითონ
სამკედლო უყვარდათ საკაურელებს
თუ ზაქარა მკედელთან ახლოს ყოფნა
და ლაპარაკი.

თავის მხრივ ზაქარა იშვიათად თუ ჩაერეოდა საუბარში.

არც არავინ ეკითხებოდა, უსმენდა ვისმე თუ არა, ოღონდ საკმარისი იყო, პირდაპირ მისთვის მოგემართა, გამოლაპარაკებოდი, ზაქარა ზანტად გადმოგიგდებდა ორიოდ სიტყვას, ასიც ისე ხმდაბლა, რომ იქნებ ვერც კი გაგეგონა გრდემლის წყრიალში; იმას კი აუცილებლად მიხედებოდი, რომ ზაქარა მკედელი გულმოდგინედ უგდებდა ყურს მეზობლების ლაპარაკს და ხშირად ძალდაუტანებელი წაყრუებით თავის დამოკიდებულებასაც გამოხატავდა. ბოლოს, მკლავი რომ დაეღლებოდა, დინჯად აიწევდა გამურულ ფეშტეშალს, დაშაშრული ხელით პაპიროსს ამოიღებდა, საპაპიროსეს გრდემლზე შემოსაქებდა, ჩამოგდებოდა სამფეხა სკამზე და თითქოს ყველაფერმა თავი მოაბეზრაო, იტყოდა:

— ეჰ, მაგას ახლა ერთი კიქა წითელი ლენო სჯობია.

ეს, რა თქმა უნდა, მსუბუქი დაცინვა იყო იქ მყოფებისა და ამავე დროს მოკამათების შერიგებასაც ნიშნავდა.

წამსვე მიწყნარდებოდნენ. მერე საუბარი უფრო მზიარულ ხასიათს მიიღებდა, ბოლოს კი ყველა შეთანხმდებოდა იმ აზრზე, რომ ზაქარამ მართალი თქვა, ერთი კიქა წითელი ლენო სწორედ რომ სჯობდა უსარგებლო ყაყანს, რაც ამ არცთუ ისე იშვიათი იყო.

თუ წახემსების დრო დაესწრებოდა, მკედელი შეგირდს უბრძანებდა, კედლიდან ტაბაკი ჩამოეღო და კვარტლიან განჯინიდან მისატანებელი გამოეღაგებინა, თვითონ კი ზარმაცად წამოდგებოდა და საბერკელის უკან გადანახულ ხელადან ან წოწოლა ბოთლს მოქებნიდა.

ყოველივე ამის დროს სახე ისე შეწყუხებული ჰქონდა, რომ იფიქრებდით, ამ ხალხისათვის სიკვდილიც კი ენანებო, მაგრამ საკაურელები იცნობდნენ თავიანთ ზაქარას, რომელსაც შეუსწრებელი კაცის გარეშე პურის გატეხვა არ შეეძლო. ხანდახან საათობით იცდიდა ხოლმე უკმელი, გზასაც კი გაჰხედავდა, იქ-

ნებ ვინმე შემოვიდესო, ხოლო როცა ღარაბულ სუფრას ვაშლიდა, რომელზედაც გულუხვად ელაგა კომბოსტოს წიწვილი, ლორის ნაჭერი, ყველი და შავი ქოთნით შემოდგმულს ლობიო, კვლავ შეწყუხებულ სახეს მიიღებდა და ზარმაცად მისწვდებოდა ხელადის ყელს.

ლენოს ისე ასხამდა, როგორც არავინ. საკაურაში ამბობდნენ, ზაქარა მკედელი ბოთლს ახრჩობსო.

ერთადერთი გათლილი კიქით სემდნენ და ყველა უზომოდ კმაყოფილი იყო...

ღილით ფერმის ხალხმა ჩაიარა. ზაქარას სალაში გადმოსძახეს, მაგრამ სამკედლოში არავინ შემოსულა. ტივებით ხე-ტყეს აცურებდნენ მდინარე ლუხუნიაზე, რადგან გზის გასვლას აღარათფერი ეშველა და მანქანამ ფეხი ვერ პოიკიდა. მერე თეოფილე ლაბაძემაც ჩაქროლა თავისი ფაშა, ბორისი და ელფეთერ ლაშვი მიჰყავდა რაიონში...

ნაშუადღევამდე სამიოდე თოხი გამოპირა ზაქარამ, ცელიც გაუმთელა ისაია მეკუბოვეს და შეგირდი გამოუშვა დერეფანში, დანახე ერთი, ხომ არავინ მოდის, რაღაცა უქეიფოდ ვარ და დღეს ადრე მინდა სამკედლოს დაკეტვაო.

თანამეშვის გასვლაც იყო და ზაქარამ ფეშტეშლის თასმა წამოიძრო კისრიდან, რომ დერეფანში ფეხების ბრაზუნე ატყდა. სამკედლოში ცხვირგალურჯებული პეპინა შემოვიდა, კი არ შემოვიდა, შემოვარდა. სალაშიც არ უთქიამს, მაშინვე განელებულ ქურას მიაშურა ხელების მოსათბობად.

— ახლა მოდინარ, პეტრე? — ჰკითხა ზაქარამ.

— მოვიდვარ, კაცო, აბა!

— რა ქენი, გამოგატანეს?

— გამოგატანეს, აბა! ექვსი ვაგონი. დანარჩენი სალიეთლებმა წამართვეს იმ ღდინძალეებმა... დაუბერე შე კაცო, მაგ საბერველს, ნახშირი გენანება თუ? მე მოგიტან ხვალ.

— შენ რომ მომიტან...—ნარტო თვალებით გაიღიმა ზაქარამ და ვალვერილ

კოვრს სწვდა, — სადგურშია, თუ გამო-
ასწარი?

— იპ, ისე ლაპარაკობ, ადვილი გო-
ნია შენ! — წამოიძახა ცეცხლის სიახ-
ლოვით კიდევ უფრო გამწარებულმა მი-
როტაძემ, — ეგნატე ხომ არსად დაგინა-
ხავს.

— დილას ჩაიარეს ხარებით. ტივებს
ელიან მგონია დღეს. რავე?

— რავე და... არაყი არ გაქვს ახლა
შენ? ხელები წამყინა, საბლამდე ვეღარ
მივტანე.

— არაყის მუშტარი რომ არა ვარ, არ
იცი?

— რა გენალელება ბიძია, რა, დგაზარ
ამ თბულ ქუჩასთან და ხარ!

— ბიჭო, ჭიკა! ღვინო მოუტანე ერ-
თი ამას.

— არ მინდა, არა, სულ გამალიგვებს.
ხეირიან რამეს ვაიმეტებ ჩემთვის თუ?
ფუ! ვაი დედა! გავთავდი კაცი! შენისთა-
ნა მატყლივით წვერი რომ მქონდეს, ზა-
ქარა, კი არ შემცივდებოდა, ხომ იცი.
რალაც ეშმაკად, სადალაქოში შევედი
და ძირიანა ამოვპარსვივინე. მგონია
ალარც კი ამოვიდეს დღისწორამდე.
იცოცხლე, კი ვიწყველე მერე თავბედი...
მოიტა თუ მაძლე, რა თან ვადამაყო-
ლე, ხვალ გამოვივლი და თუ გინდა,
ერთ დოქს წამოგიღებ. მოიტა, მოიტა
ვგ დოქი ცეცხლზე შევათბობ, მაინც
ცოტა დარჩენილა შიგ. ვინ დალევს ჩემ-
ზე უკეთესი.

— ა, შე კაცო, რამ შეგაშინა! რა ვი-
ცი, არ მინდაო და, — არაჩვეულებრი-
ვად სიტყვამრავლობდა დღეს ზაქარა
შქედლო.

პეპიჩამ ძაგძაგით აავსო ჭიქა და სულ-
მოუთქმელად გადაჰკრა.

— ა — უპ! ჭაში უნდა ჩაგედგა, ჭაში,
უფრო გააცივებდი.

— ჭა თბილია ზამთარში, პეტრე, —
თეთრი კბილები გამოაჩინა ზაქარამ.

— აბა თოვლში ჩავდგამდი.

— შინ რომ მიხვალ, სწორედ აგრე
მოიქეცი. არ დაგავიწყდეს.

— ღვინო მქონდეს თუარა, იმას კი
უპოვი გზას.

— რა ვიცი, ხვალ გამოვივლი და დო-
ქით წამოგიღებო?

— დოქით, დოქით... — გაიმეორა შე-
მთბარმა პეპიჩამ, — ქვეყანას რომ ვას-
მევე, ბიძია, იმიტომაც აღარ დამრჩა წვე-
თი.

— ასეა, სიკითე არ დაგეკარგება, —
თქვა მქედელმა და კიდევ გამოაჩინა თე-
თრი კბილები. თვითონაც უკვირდა, ასე
უცებ გუნება რამ შემოცვალაო. მთელი
დღე ხმის ამოუღებლად ვაატარა. ჭიკას
თუ გადასძახებდა, „შეწვი“, „დაარტყი“
ან „ნახშირიო“ და თითქოს ახლა რალაც
აკლდა.

მთელი დღის უბარს გულზე საპოდ
უღიტინებდა პეპიჩას ყოყლოჩინა ლაპა-
რაკი და თვითონაც დაუზარლად ესი-
ტყვებოდა, რათა ამით მთელი დღის და-
ნაკლისი შეეცვო.

რომ გათბა, პეპიჩა აგარის ამბებს
შოჰყვა. შაქრის ქარხანა სულ შემოვი-
არე და იმისთანა საკვირველი არაფერი
მინახავსო, ორი ამ სამქედლოს ოდენა
გორებად დგას ფხენილი შაქარიო. ცხ-
დია აქ ცრუობდა, შაქრის ამოდენა გო-
რეზა სად უნდა ენახა, მაგრამ ზაქარა
არ ამჩნევინებდა, მხოლოდ ხანდახან გა-
მოაჩენდა ხოლმე თეთრ კბილებს.

დერეფანში ფეხის ხმა გაისმა. ჭიკა
კართან იყო ატუშული და ქუქრუტანი-
დან გარეთ იქიჩრებოდა.

— ვინ არის? — გადმოხედა მას ოს-
ტატმა, რადგან მოსული კარის ვალებას
აგვიანებდა.

— კალისტრატე მასწავლებელია, ზა-
ქარა ბიძია, — თქვა ჩურჩულით ჭიკამ
და რატომღაც ფერი ეცვალა.

პეპიჩამ ყური მოჰკრა შეგირდის პა-
სუხს, თვითონაც შეიშმუნა და საბერე-
ლის მხარეს გადავიდა, ვითომდა ახლად
გამოპირული თოხების გასასინჯად.

კარი ჭრიალით გაიღო და დირეზე მა-
ლალ-მალალი, ხმელ-ხმელი კაცი გამო-
ჩნდა, რომელსაც თხელი, ტანთან შედა-
რებით მოკლე პალტო ეცვა.

პალტო გაეხსნა, შიგნიდან კისერზე
ორმაგად შემოხკეული, თბილი ყელ-
სახვევი მოუჩინდა. ყელსახვევი უფრო

ქალისა უნდა ყოფილიყო, ვიდრე მამაკაცისა, მაგრამ ეტყობოდა კალისტრატე ამას არ დაგიდევდა.

ღია კარში ჩამდგარმა თვალი მოავლო სამკედლოს და რადგანაც ფერხაყრავ შეგირდს შიგნით შემოღობული კარი ფარავდა, ხოლო საბერვლის იქით მოკალათებული პეცრე თოხების თვალიერებაში იყო გართული, კალისტრატემ თავისი მკაცრი გამომეტყველებისათვის სრულიად შეუფერებელი ხმით მოაგება მკედელს:

— მარტო დარჩენილხარ, ზაქარია. ხომ არ კეტავდი?

— ვაპირებდი, კი,— მიუგო ღიმილით მკედელმა და სკამი შესთავაზა.

— დღეს აღარ ყოფილან?

— ვინა, კალისტრატე?

— დიდი და პატარა... საქმეს ცდებიან, შენც გაცდენენ...

— რა ვეყოთ, კალისტრატე, ზამთარია, მოცალეობა. მართალი გითხრა, მეც მიხარია ხოლმე, რომ მოდიან. თან ჩაქუჩს ვურაკუნებ, თან ყურს ვუგაღებ. ნანინასავით ჩამესმის, გულს ვაყოლებ. დაბრძანდი, ვიმუსაიფოთ.

— ძალიან ჭიკჭიკებ დღეს შენ, ხომ არ დაგიღევია? — გაიღიმა კალისტრატემ.

— კიდევ დავლივ და კიდევ... აბა რისთვის ვმუშაობ. შენ საით გივლია? სულ ამობუმბულული ხარ თოვლში. დავცი სადმე თუ?

კალისტრატემ მხოლოდ ახლა დახედა თავის სველ მუხლებს და პალტოს კალთები დაიბერტყა.

— უყურე, თუ არ გამაციოს ახლა ამანი იყოს, იყოს, გადნება, — აქაქანდა კალისტრატე და შეაჩერა ზაქარა, რომელიც ცოცხის მოსატანად მიდიოდა, — ერთი ეს მითხარი შენ, მაყვალას ხომ არ ჩამოვლო?

— მაყვალას? — თვალბში ნათელი ჩაუღდა ხანში შესულ მკედელს, — რაზე მკითხე?

— არაფერზე, ისე. ყური მოგკარი რაღაცას და.

— მოლოდინით კი მოველი... ეს თვე დაიღვეა და იქნება გამოჩნდეს. შარშანაც მაგრე მქონდა იმედო. ბერე წერილი მომივიდა, ესაო, რაღაცა თეშაა გამუშავებო. თემები ხომ არ გამოვლევათ მაგათ. თემა თემაღ, ჩემო კალისტრატე და, წუწუნად არ ჩამომართვა, რა მყავს მაგათ მეტი. მადლობა ღმერთს, ესენი პატარები არიან და ორიოდ წელაწადს მაინც იტრიალებენ კიდევ ჩემს თვალწინ. რა ვენა, სიბერემ მიწია თუ რა არის, ველარ ვუძღებ. ი გოგო ცხრა მთას იქით მგონია.

— ბედნიერა კაცი ხარ, ზაქარა. შენ რა გაქვს სასაყვედურო!

ზაქარამ დამნაშავესავით შეხედა ჯავრითა და ზრუნვით გატეხილ კალისტრატეს.

— სასაყვედურო არაფერი, მაგრამ ხომ იცი... გული მიგრძობს, მალე წამართმევენ. ზარღე, ზარღე, ულოლიავე, ასე, ისე, და ვითომც აქ არაფერი, რომ კვლემოდე და ინატრო, იქნება ველარც კი მოგისწროს.

— სიკვდილისაგან ღმერთმა დაგიფაროს, ზაქარა. ჯერ მე არ დამინამდვილებია ეგ. ბიჭის სახელს ვფიცავარ, ძალიან გამეხარდა, რომ გავიგე. მოათავეთ საქმე?

— რის მოთავება, კაცო, მეც აგრე კილოკავად მაქვს გაგებული. როგორც ეტყობა, სხვებმა უკეთ იციან ჩემზე. ეს მითხარი ერთი, წერილი რომ გააგზავნე რაიონში, პასუხი არაფერია?

— არაფერი, — მხრები აიჩეჩა კალისტრატემ, რომელიც ნაგვიანვეად მიხედა, რომ მკედელს არ სიამოვნებდა მყვალას მომავალ გათხოვებაზე ლაპარაკი.

— ამ დილას ბორისმა და ელეფთერმა გაიარეს მარბილით. თეოფილეს მიყავდა.

— მერე?

— რაიკოშში არიან დაბარებული. ალბათ, ისევე ვენახის თაობაზე.

— არ ეკადრებოდათ, ჩემთვისაც მოევწვინათ ერთი ხმა?

ზაქარამ თავი ჩაქინდრა და მუხლებზე დაიხედა.

— რას უპირებენ არტელს, არ ვიცი სწორედ, — განაგრძო კალისტრატემ, — ერთბაშად რომ ამხელა ვენახი გავაშენოთ, წელში არ გავწყდებით? შენ თვითონ თქვი ახლა. გააშენი თუ გინდა. ვინ მოუვლის? არის მუშახელი? მანქანებიო! ჯერ მანქანა დამანახვონ და ვენახსაც მაშინ გავაშენებ. რა მანქანა მიუღდება ჩვენს გვერდობებს. ათასობით შრომადღე, მისი ხარჯი, მისი წვალემა... ვთქვით არ ივარგა, როგორც მაშინ არ ვარგობდა, გახსოვს? იორამმა არ ჩაყარა გოგილას ყანაში? პირი მოუსინჯა. არ ჭნა, არ მიიღო. ხომ გახსოვს შენ. ახლაც რომ ასე დაგვემართოს? მერე იტყვიან, არ გაამართლაო...

— რად გინდა, კალისტრატე, კიდევაც რომ ივარგოს, — შეაწყვეტინა მჭედელმა, — ვენახზე? გვესაუბროება კიდევ ჩვენ? რაც არის, მოუვლელივით ფუჭდება ისიც...

— ეგ არის საქმე, — პირში შეეჭრა მასწავლებელი, — ვილაცას ჯილდოები უნდა გაირტყას, ვილაცას სხვა სარგებელი აქვს, შენი სოფელი კი, დამანებე თავი ერთი, თუ კაცო ხარ...

— შეიძლება აგრეც იყოს, — დაეთანხმა ზაქარა.

— ასეა ეს. თავი მომჭერი, თუ ასე არ იყოს. ამბერკი ლაშხის ნაშეერი შენ ხეირს დაგაყრის?

— რა ვიცი, მარტო იმას რომ დავაყართ თავზე ყველაფერი... — შეყოყმანდა ზაქარა.

— მამა იყო და, სული ამოაძრო სოფელს. ახლა ეს მოგვდგა.

— ებე ძალიან გულმოსული ყოფილა შენზე, შევილს მილანძღავსო. სახლშიაც უკმაყოფილება ჰქონიათ.

— ნურც მოულოთ ღმერთმა! რა მოლანდებიათ?

— რა ვიცი, ებეს რძალი არ მოწონებიაო.

— ოცი წლის მოყვანილს ახლა იწუნებს?

— მაგისტვას გუშინდელი მოყვანილია. ღვინობისთვეში არ ნახა პირველად?

— იმ ვაებატონის ბრალია მველაფერი.

— ელეფთერის? რა... იცოდა თავისი ღედის ამბავი და აქამდე მიტომ ვერ ჩამოიყვანა.

— ან ახლა რა მოარბენინებდა მაინც მეცოდება ეგ ოხერი. მის ოჯახობაზე, ელენეზე ამბობენ, ღეთისნიერი ქალიაო. ნეტავი რა უნდათ მეტი ან ღედას ან შევილს! მე თვალთ არ მინახავს. მზეთუნახავივით ჰყავთ გამოკეტილი. მოტაცების ხომ არ ეშინიათ? ვინ გამოიტანა ახლა ეგ ამბავი. მუნჯიას ნაბროდიალები იქნება.

— აჰ, არა! მუნჯეს თავშიც რომ ურტყა, შინაურ საქმეს რავე გაამხელს. ხალხის თვალს რა დაემალება, კალისტრატე. გაიგეს.

— ვერაფერი კარგი გასაგონია. მაგისტანა რამე მტრისაც რომ შეიტყო, ზაქარა, გეწყანება.

— გეწყინება, რასაკვირველია.

— ეჰ, წავეთრევი ახლა მე. სახლი გაცივებული დამხვდება.

— პალატი ვერ მოაწყვე, ზევით ხარ ისევ?

— ზევით ვარ, რას მოაწყობ ამისთანა ამინდში! ცეცხლი თუ არ გინთია შიგ, ძალღს არ გაქძლება. ვიწვალე ამ შემოდგომაზე, ცოტა რაღაცა მასალა მოვიტანე, მაგრამ მერე მივანებე თავი.

— რაზე ანებებდი, რა უნდა მისი ლამფის გაკვრას და შელესვას! ორი მარჯვე ბიჭი სამ ღდეში მოათავებეს.

— იყოს, ჩემო ზაქარა. ბევრი, ბევრი, ორი წელიწადი გავძლო კიდეც და... შევილი მე აღარა მყავს და ძირი. არტელი იმ გორაზე ვერ ამოვა, მაინც უნდა დაანგრიონ და ქვევით ჩამოიტანონ. რალაზე ვიწვალო, სხვაც რისთვის მოვაკდინო. ბერიკაცი ვარ. მე ის ერთი ოთახიც მყოფნის. რა ვუყო... ახლა სკოლადან გამოგიაჩრე, მე ვთქვი, ზაქარას მოეინახულებ, ახალი ამბავი ეცოდინება რამეთქო.

— ასე უპატივცემულოდ რავე გავიშვა ახლა, კალისტრატე.

— რა პატივი უნდა მცე შე კაცო, სამკედლოში. მე რა, სტუმარი ვარ თუ?

— სტუმარი კი არა, მაგრამ...

— აბა კარგად იყავი, ჩემო ზაქარია. წელან რომ ვილაპარაკეთ, იმაზე ყური გეპიროს. თუ კიდევ წაუყრე და მეცადინეობით აქ არაფერი გამოვიდა, იცოდე, ჩემი ფეხით ვეახლები პარტიის ცენტრალურ კომიტეტს... მე კალისტრატე მასწავლებელი არ მერქვას, თუ ასე არ მოვიქცე. მერე უყურონ მაგათ, მერე უყურონ...

რაც უფრო ფიცბდებოდა კალისტრატე, მით უფრო მოკლე და მოკლე იყო ზაქარას პასუხები. ბოლოს სულ გაჩუმდა მკედელი. ებრალებოდა მოხუცი მასწავლებელი. მის თავზე ვინ იცის, რა უბედურებას არ გადაევიდა და ამ წუთს კი ისე სჩანდა, თითქოს არც ერთი მათგანი აღარ ხსომებოდეს.

ათიოდე წუთის შემდეგ კალისტრატე წავიდა, ისე რომ გადაწყვეტით აღარაფერი უთქვამს. თავჩაქინდრულმა გაიარა დერეფანი და ბილიკს გაუყვა, რომელიც იქვე გადიოდა სამანქანო გზაზე. დიდხანს მოჩანდა მისი დიდრონი შიშველი ხელები, რომლებიც მჯავბამდე გამოყრილიყვნენ პალტოს მოკლე სახელოებიდან.

ზაქარა სამკედლოში დაბრუნდა. ახლალა გაახსენდა, რომ პეპიჩა ისევ აქ იყო და თვალებით მოძებნა. გაუკვირდა, რომ ის ისევ ქურასთან დაინახა, წელანდელ ადგილზე. მამა მოემარჯვებინა და ნაცარში მიმოხედავს ნახშირს აგროვებდა.

— შენ კიდევ აქა ხარ? — მიუგდო კალისტრატესთან ლაპარაკით შეფიქრინებულმა მკედელმა.

— წავიდა? ჰმ... — თავი გადააქნია პეტრემ. — მაგის ჰქუაზე დადის სწორედ უჩა მესხი, მამა უცხოვნდება! დაემუქროს, რაიკომის მდივნობა არ ჩამოართვას ერთბაშად. ვაი მაგის პატრონს.

— რამ გადაგრია, ბიჭო, შენ, ღვინო ხომ არ აგვიარდა თავში? უფაფაფები დაუბრიალა ზაქარამ. *გიგლინიძე*

— ღვინო კი არა, ის მოიგონე კიდევ! შენც კული ხარ მაგისი, იცი თუ არა!

— რა კული, ბიჭო, რას მიედ-მოედები!

— კი არ მივედ-მოვედები, მართალს ვამბობ. მთელმა ქვეყანამ იცის ეს.

— რა იცის, ბიჭო, მთელმა ქვეყანამ, აფრაკად ხომ არა ხარ?

— აფრაკად არა ვარ მე, ზაქარა. დამანებე ახლა თავი. ჩემთან ჩხუბი და კინკლაობა შენ ხელს არ მოგცემს.

— ვინ გეკინკლავება მერე?

— არავინ! ისე გეუბნები.

ზაქარას ოდნავ უკანკალებდა მარჯვენა ხელი, მაგრამ არ იმჩნევდა. კედლისკენ გაალაჯა, კრელი აბა ჩამოიღო თაროდან, დაცარიელებულ დოქს ნაქუჩით დაუცო თავი და აბგაში ჩადგა.

— ცივი ქალივით უნდა გეხიროს ყველას კისერში, — განაგრძობდა ზაქარას წაყრუებით გულმოცემული პეტრე, — აქაო და, საყურადღებო კაცი ვბრძანდები და უჩემოდ ნაბიჯს ვერ გადადგამენო.

— თუ ვაქაკი ხარ, რაზე ემალები? — ზანტად მოაბრუნა ძარღვიანი კისერი ზაქარამ.

— აბა?! ვიმალები კი არა, ის! — თავი გამოიღო პეტრემ, — ვემალები! კი არ ვიმალები, ჩემ ცოლშვილს ვუფრთხილდები, ბიძია, თუარა, ერთხელაც იქნება, თავს ველარ შევიმაგრებ და მე ვიცი მაგისი.

— ყოჩაღ, ბიჭო! რა ვაქაკი ხარ!

ამან პეპიჩა შეაყოვნა, მაგრამ მაინც არ დათმო:

— თუ თვალი სადმე დამლანდა, ჩემი ლანძღვის მეტს არაფერს აკეთებს. ბიჭს გული აუცრუა სწავლაზე. რა უნდა, რა? რა დავუშავე, რა? ის, რომ ბიჭი შემომელახა მაგისი? რა ვუყოთ, ჩემი ბრალი იყო თუ? ღირსებოდა ჩამოსვლა და ჩვენ მოვრიგდებოდით, მაგას რა უნდოდა, რა ესაქმებოდა მაგას! რატომ მაშინ არაფერი თქვა, ახლა გაახსენდა? გამოვა



ამ ხნის კაცი და საქვეყნოდ მასწავლის ჰქუას. მოწყდეს აქედან! მაგან რომ იცის, მე დამავიწყდა კაიხანია... თეოფილეს კრამიტი მიყიდაო, ყული წინდაწინ გამოართვაო, მერე ის კრამიტი ხელმეორედ მიყიდა ისაიასაო. მაგას რა უნდა, ის ხალხი არ მემდურის მე. ზაქარია! შენისთანებმა გადარიეს ეგ სწორედ. ხო, ხო, რას მიყურებ!.. ვერიდები, კაცო, არ მინდა, მამიჩემის ტოლი კაცია. შენ კიდევ, იმალებით. როცა არ იცი, უნდა გაჩუმდე, აპა! ვიმალები! თუ მიხვდებმა, დამალვა არ არის ეს, თუ არა და, მე მივახვედრებ, როცა იქნება...

— კაი, კაი, კაი! — დაიღმიჭა მკედელი და ერთად თავმოყრილი ნახშირი ისევ ქურაზე მოაბნია, — გამოდი, გვეტავ. ის წავიდა თუ? ჰკიკა! — დაიძახა მან ბოთი ხმით.

ისინი ღერეფანში იყვნენ გამოსული, როცა თოვლით მოსწორებულ სამანქანო გზაზე, იქ სადაც მარხილების კვალი სერზე მიწვედა, აქედან კი ისევ ეშვებოდა გადაღმა ჰალაში, ცხენის თავი გამოჩნდა. მერე მარხილიც დაინახეს. მარხილმა ყანაში გადაუხვია და სილოსის კოშკებისაკენ აიღო გეზი. ზედ რალაც ბარგი ეყუო.

— ვინ იქნება? — იკითხა მკედელმა, რომელსაც ჯერ კალისტრატესთან ლაპარაკით, მერე კი პეპინას ყურისგდებით გამოწვეული ბოლმა ჯერ კიდევ არ განელებოდა.

პეპინას გაკვირვება გამოეხატა სახეზე; თითქოს რალაცას იხსენებსო, თვალები მოწყურა, ჩაბალახის ტოტი მაგრად შემოიხვია კისერზე და ზაქარას საიდუმლოდ წასჩურჩულა:

— წამოდი, გეტყვი...

IX

ხათუნა და მისი შვილები გულდაგულ მისდევდნენ მარხილის კვალს. საკურას განაპირა ორლობეებს რომ მიადწიეს, მოსალამოვებული იყო.

მათ თვალწინ კედით კიდემდე გადაიშალა თოვლში ჩაფლული სოფელი,

რომელიც პატარ-პატარა ხეებით რამდენიმე უზნად იყო დაყოფილი.

თოვლით გადაპენტილ, თითქოს ზეწარგადაფარებულ სახურავეებზე ბუხრის შავი მილები მოჩანდა. მილებიდან ბოლი ამოდიოდა და შემპარავად ერთვოდა ხეთა კენწეროებამდე ჩამოწოლილ რძისფერ ცას.

ხათუნამ სოფელს გადახედა და თავშალი მოიხადა. ზურიაც შეჩერდა.

ღელის სახე კვლავინდებურად თეთრი, აღმღვრეველი იყო. ზურიას თვითონაც ვერ გაეგო, საიდან მოეჩვენა, რომ ღედა ტირიდა და გული დაეთუთქა; მაგრამ როცა კარგად დააკვირდა, მაშინლა შეინშნა, რომ ხათუნას ჩალურჯებული ქუთუთოები თოვლის წინწყლებს აებრწყინებინა. „არა, ეს წინწყლები კი არა, ცრემლებია“, — ხელახლა გაუელვა ზურიას და თავისდაუნებურად წამოცდა გაუბედავი მუღარა:

— ნუ იზამ, ღედა... ნუ...

უარის ნიშნად ღედამ თავი გააქანია. თანდათან უფრო ნაკლებ შესამჩნევად აქნევდა თავს და საღდაც სოფლის ბოლოსაკენ იყურებოდა.

— აი, შვილებო, ჩვენი საკურა... — თქვა მან და შალვა ხელში აიყვანა, რათა სანუჯვარი მამის სოფელი უფრო კარგად დაენახებინა.

შალვას შესცივნოდა, მაგრამ ტირილს ვერ ბედავდა. მას კარგად ვერ გაეგო, რა ხდებოდა, მაგრამ უტყუარი გუმანით გრძნობდა, რომ ეს რალაც დიდი ამბავი იყო.

ჭიშკარი თოვლში იყო ჩაფლული. წვერებილა მოუჩანდა ლარტყაზე მიქედებულ მესერს. მეორე, საცალფეხო ჭიშკარი სრულებით აღარ ჩანდა თოვლში. ზურიას კარგად ახსოვდა, რომ საურმე ჭიშკრის პირდაპირ, გზის გადაღმა, დიდრონი ხავსიანი ქვებით ნაშენები ყორე იყო გაყოლებული. შემოდგომობით, რთვილს რომ დასდებდა, ბედურები სხდებოდნენ ყორის სარებზე. ის მაღალი სარები ახლა თითქოს მიწას

ჩაეყლაბა, შეცივებული ბელურები კი გზაჯვარედინის თავზე ტრიალებდნენ.

გზაზე მოთარეშე ონაერ ქარს თოვლი აეხვეტა და ეზოში გადაეყარა. გზის გადაღმა, ნასიმინდარ ყანაში აქა-იქ შიშველი მიწა მოჩანდა. აქედან აღებული ნაშქერი თოვლიც ეზოში გადაეტანა ქარბუქს.

სახლი ოციოდე ნაბიჯით იყო ქიშკარს მოცილებული. პაწაწინა შენობა, ერთადერთი ოთახი ფიჭვის სვეტებზე შეყენებული სახურავი, რომლის წინა მხარე სახლის ქერის გაგრძელებას წარმოადგენდა, კიდევ ერთი ოთახისოდენა ფარალალა დერეფანს ქმნიდა სადგომის წინ.

დერეფნის ერთი მხარე სახელდახელოდ ამოეშენებინათ შიშველი აგურით. აგური იმდენი ელაგა, რომ დანარჩენს სამ კედელსაც თამამად ამოიყვანდა.

აგურის კედელთან თავდაღმა გადმობრუნებულ საწნახელს ნახავდით ხოლმე წინათ. ხათუნამ შორიდანვე შენიშნა, რომ საწნახელი თავის ადგილზე აღარ იდგა. დერეფანში დაწყობილ აგურისთვისაც მოეკლოთ. ალბათ ღამლამობით გაზადა ხელუყვლმართმა ხალხმა. სახურავის კიდურა ლარტყასა და აგურის კედელს შუა სინათლე გადიოდა.

ხათუნამ ბავშვებაც ჩამოიტოვა, მარხილიც. გული სახლისკენ მიუბრუნდა. კრამიტის საწვიმრების ჩამოსწვრივ, თოვლზე, ძაბრისებური ნასვრეტები შენიშნა. ალბათ შუადღისას მზემ გამოიხედა და თოვლმა დნობა დაიწყო.

ხათუნას გული მით უმატებდა ძვერას, რაც უფრო უახლოვდებოდა ამ პატარა სახლს, რომელიც ათ სრა-ნასახლეს ერჩინა. ახლა იგი საკუთარ მიწაზე, საკუთარ ნაჰირნახულევეზე იდგა, სადაც ყოველი ხე, ყოველი ბალახის ღერი მისი ღვაწლით იყო გაზრდილი.

აი, ნაპირა ბოძთან წვიმის წმინდა წყლის მოსაგროვებლად ჩადგმული პირმოტეხილი ქვევრი. ენაცვალოს ხათუნა, მისი ჩადგმულია! აი, ნაქდევებიანი ლარტყა სახლის წინა კედელზე, რო-

მელშიაც შალიკოს წალდის, ცულისა და ნაჯახის ტარები იყო ხტუნუნებულნი.

დერეფანში ძველებტარდ-მტკარ-სურ-გით აგურის კედელს მიყრდნობილი ქვის სკამლოგინი. ამაზე სამეშაოდან დაბრუნებულ შალიკოს უყვარდა ჯდომა. შრომით გულგაჯერებული სველ თუნგულას მოიყუდებდა და ხარბად სვამდა ცივ წყაროს წყალს. მერე პირს წაუქცივდა თუნგულას, სველ მუცელზე ხელს გადაუსვამდა და ფრთხილად დადგამდა სკამლოგინის ფეხთან.

ქოხმახის ირგვლივ თოვლი შემალღებული იყო. სახურავი წინა დღეს გადმოეთოვლათ. ნეტავი ვინ შეიწუხა თავი, რა საზღაურს მოელოდა სახლის გადმოთოვლავი კეთილი ადამიანი?!

დიდი ხნის ჩაგმანული კარის გარეხისას ოთახიდან სინოტივის სუნი გამოიქრა. ყველაფერი, რაც კი ოთახში იდგა, მტვერსა და მწვანე ობს დაეფარა. ერთ დროს თეთრად შეფეთილი ბუხრის კიდევებზე ქუქყიან წყალს ჩამოედგინათ. ხელისდადება სველი ტალახი ეღო ფიტონზე შემოდგმულ ნავთის ქრაქსაც.

ოთახს თვალის ერთი გადავლებითაც შეამჩნევდით, რომ ომამდელ ყაიდაზე იყო მოწყობილი. იდგა წყვილი, ერთმანეთზე მიდგმული ლერწმის საწოლი და ერთიც ფარდაგადაფარებული ხის ტახტი.

კედლის მეზობლად მდგარ საწოლის თავთან, ზურისა სამეცადინო მაგიდაზე ყდებშეყვითლებული წიგნები ეწყო. აქ იყო ორიოდე სურათებიანი ნაშრომი მეაბრეშუმეობაზე, შიო არაგვისპირელის „გაბზარული გული“, ლენინის დიდი წითელყდიანი კრებული და „ბიძია თომას ქოხის“ ნაფლეთებად ქცეული გამოცემა. იქვე, კედელზე ეკიდა საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის რუკა, ქინძისთავის წვერით უწყალოდ დაჩხველტილი. რუკა ფინეთის ომის დროინდელი იყო, ბესარაბიას შტრიხები ფარავდა. ნოტიო სურათზე გამოხატული დაქრილი წითელარმიელი მუხლზე დაცემულიყო და ხელუყვმარას ეღერებდა ზაოზერნაიას მალლობს.

დატოვებული ქვეშაგები მთლიანად სველი დაუხვდათ. ყველაფერი ხელახლა გასარეცხი და გასაშრობი იყო. ხათუნას ახლა ამის დრო არ ჰქონდა. პატარები არ საყვედურობდნენ, მაგრამ მატარებელში ჩასხდომის შემდეგ პირში ლუქმა არ ჩაეკარებინათ.

დერეფანში ფიჩხი არ აღმოჩნდა. ბუხარში დარჩენილი ნაცარი ასჯერ დასველებისა და ასჯერ გაშრობის შემდეგ კაჟივით გაქვავებულიყო.

კაოგა დაღამებამდე დაეხეტებოდნენ ზურია და ხათუნა უდაბურ ეზოში, რომ ცეცხლის მოსანთები ეპოვნათ რამე. პოლოს, თოვლის ქვეშ მიაგნეს ხიმეს, ბლომად მოაგროვეს, დერეფანშიაც შემოყარეს, მაგრამ სარებიც ისე გაქვდნითილიყო, რომ დიდი შრომა დასჭირდებოდა მით ცეცხლის დაწობას.

ამჟამად იყო, მათი მოსვლა სოფელში არავის გაუგია. შალიკო აღარ არის... იქნებ ჰიშკართანაც აღარ გაიარონ მეზობლებმა. მაგრამ ხათუნას უცებ გაახსენდა გადათოვლილი ქოხი, დერეფნის სახურავს შეყენებული ბიგა, რომელიც წინათ აქ არავის ენახა და გულში უჩვეულო სითბო იგრძნო. მამ ვიღაცას კიდევ შესტყობდა გული მის ოჯახზე, ვიღაც კიდევ ზრუნავდა მათთვის.

ზურია გვერდიდან არ შორდებოდა დედას და ყოველნაირად ცდილობდა რაიმე დახმარება აღმოეჩინა. დღეს მან პირველად იგრძნო, რომ ცხოვრება სრულებითაც არ მოეწყობოდა ისე, როგორც წამოსვლის წინ წარმოუდგა. გაჭირვების მთელი სიმძიმე დედას აწვა კისერზე. თვითონ მას, ზურიას რა შეეძლო! სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მთელი საღამოს განმავლობაში ხმა არ ამოუღია. მხოლოდ ღამით, როცა ასე იყო თუ ისე, მოთავსდნენ და გაჭირვებით მიხურეს სინესტი დაშვებული კარი, ზურიამ გაბედა და დედას გამოელაპარაკა.

ხათუნამ ჯერ ისე აჩვენა თავი, თითქოს ეძინა, მაგრამ როცა პასუხის მიუღებლობით გულდაწყვეტილი ზურია ჩაჩუმდა, თვითონვე ჰკითხა:

— მე მითხარი, შეილო?

ზურიას საგულისხმო არაფერი უთქვამს, მხოლოდ საყვედურობდა, რატომ ვართ ასე პატარებიო.

— რა ეუყოთ, შეილო, — ამშვიდებდა ხათუნა, რადგან მიმხვდარი იყო, რისთვისაც ამბობდა მისი ქვეყანი ბიჭი ამას, — პატარები ხართ და დაიზრდებით.

— სანამდე გავიზრდებოდეთ?

— სანამ გაიზრდებით, დედა გყავთ და არაფერს მოგაკლებთ.

ამის გაგონებაზე თათქოს რაღაც მძიმე მოაწვა ყელზე ზურიას, მაგრამ თავს ძალა დაატანა და ამოიღულღულა:

— მე მოგეხმარები, დედა...

წუთით დუმილი დამყარდა. ზურიას მოეჩვენა, რომ დედამ ვერ გაიგონა მისი ნათქვამი, მაგრამ პასუხად რაღაც გაურკვეველი ხმა მოესმა. ნუთუ სტიროდა დედა?

— შენ უნდა ისწავლო, შეილო, — ძლივს გააჩნია ზურიამ მისი სიტყვები.

— არ მინდა სწავლა!

ხათუნა ერთბაშად გამოოტყვა.

— რა თქვი? სწავლა არ მინდაო?

ამ სიტყვებზე საწოლში გაიკრაქუნდა და ზურია მიხვდა, რომ დედამ თავი წამოსწია ბალიშიდან.

— შენც მალატობ, ბიჭო? თურმე რა გდებია გულში, შე უღმერთო...

— მე არ გლალატობ, დედა...

მუშტის ტოლად ქცეულმა ზურიამ კიდევ გაიგონა საწოლის ქრაქუნის, შემდეგ მოშველი ფეხის ხმა იატაკზე. საბანი გადაიძრო და თვალები გააბილა. ხათუნა მისი ტახტის თავით იდგა, თეთრი, გაცრეცილი. ო, ახლა რომ გაცივდეს დედა, რომ გაცივდეს... ამ ყინვაში პერანგის ამარა... — დედა, დაწევი, შენი ქირიმე, დედა. ოღონდ ახლა დაწევი, ოღონდ ახლა ნუ გაიღებია ავად"... — უტრიალებდა თავში ზურიას, მაგრამ ხმა ვერ ამოეღო. ახლა თვითონ მას სციოდა, კბილს კბილზე აცემინებდა, თითქოს ვიღაცას აეყვანოს და თბილი ლოგინიდან თოვლში გადაეგდოს.

ხათუნამაც შენიშნა ეს. ბალიშზე და-
ახარა და გრილი ხელი შუბლზე მოუ-
ფათურა.

— რა მოგივიდა, გაცივებს?

ზურია ძალისძალაზე მოხუკა თვა-
ლები, მაგრამ იგრძნო, რომ ცრემლებმა
მაინც გამოეფინეს.

— რა მოგივიდა, ზური, დედა, გაცი-
ვნებს? — ისევ ჩაჰკითხა ხათუნამ.

— არა, — ძლივს ამოიღო ხმა ზუ-
რიამ.

— ქურქს დაგახურავ, შეილო. ჩემი
პალტოც დაგახურო? შემოიკეცე ფეხებ-
თან საბანი. ასე. გცივა? კისერთანაც
ჩაითბუნე. კიდევ გცივა? თუ გინდა,
წყალს გავაცხელებ, ფეხები ჩაყავი, —
ამბობდა ხათუნა და ხან პერანგის ქვეშ
უყოფდა ხელს, ხან ისევ შუბლზე ადებ-
და, — სიცხე არა გაქვს მგონი, გაგი-
სინჯო?

— არა. გავთბი.

— ჰო, შენი ქირიმე. ავად ნუ გამიხ-
დებით. ოღონდ ავად ნუ გამიხდებით
და...

ხათუნა საწოლზე ჩამოჯდა და შეი-
ლის თავი გულზე მიიხუტა. მცირე ხანს
ასე იყვნენ გაყუჩებული. მხოლოდ შალ-
ვასა და პალიკოს ნებნერი ფშვინვა
არღვევდა სიჩუმეს.

ხათუნა რიყრაყზე ადგა. სადგომში
შემოკედლებული თბა დერეფანში გა-
მოაგდო და ოთახის დალაგებას შეუდგა.
ბავშვებს ეძინათ. მარტოდ დარჩე-
ნილმა ოდნავი შვევა იგრძნო. ახლა მას
შეეძლო მცირე ხნით მაინც მოეოხებინა
გული, ცხარე ცრემლებით განებანა ყო-
ველი ნივთი, ყოველი საგანი, რომელ-
საც კი ხელს შეახებდა. ქვითინებდა
ჩუმად, უხმოდ და დროდადრო მალე-
ლად გამოიხედავდა შვილებისაკენ, რომ-
ლებსაც დილის ძილი გასატკბობდათ.

არა, ჯერ კიდევ ადრე იყო. მათ გა-
მოღვიძებამდე ხათუნა ოდნავ მაინც
დამშვიდდებოდა.

შალიკოს ქამარი! თბილისიდან ჩა-
მოუტანა ეგნატემ. ჯარში მეორე ქამა-
რი გაყოლა. როდესაც დაებრუნდები,

ისევ ამას შემოვირტყამო. ამზინდი გამ-
წვანებულა. შესაბნეველია. ამზინდი ქილია.
ამაში როგორ ეტეოდ? წელი იმოდენა
ვაეკაცს. წასვლის წინ აქამდე ისვენდა.
გახაფხულზე ცოტა ზორცი ჩამოჰყარა,
ენაცვალოს ხათუნა!

ეს მალაღფეხიანი სსმისებიც ეგნატეს
მოტანილია. ქორწილზე მოგვართვა.

განჯინიდან ბელლის ბოქლომი გა-
მოიღო. ბელელი აღარ არის, ბოქლომი
რალად უნდა! მაგრამ მოიცა, მაინც
იყოს.

შემდეგ გამოალაგა რალაც მანქანებით
სუფთად შენახული თევზები, რომლე-
ბიც ფაიფურის სინზე ეწყო; წყვილი
სანადიმო ყანწი, წყვილი, სხვადასხვა
ზომის მოხატული კინკილა და მოუხარ-
შავი წითელი ლობიოთი სავსე ფრიალა
თევში. ქიპიან მარცვლებზე ყლორტები
წამოსულიყო, მაგრამ ყინვას მოესწრო
და უღლეური მცენარის ყვითელი სახს-
რები იქვე გაეყინა...

X

ნაშუალამევს თეოფილე ლაბაძის მარ-
ხილმა ერთხელ კიდევ გაიარა სამკედ-
ლოსთან, მაგრამ ამჯერად არტელის
კანტორისაკენ აიღო გეზი.

„ამბერკის წიფელთან“, სადაც ჩაბნე-
ლებული ორლოზე იწყება, მარხილი გა-
ჩერდა. აქ ელეფთერ ლაშვი ჩამოვიდა.
მარხილმა ისევ განაგრძო გზა და მალე
თვალს მიეფარა.

გზას მალაღ ბოძზე მიმავრებელი ელ-
ნათურა ანათებდა, მაგრამ სინათლე იმ-
დენალ სუსტი იყო, რომ თუ არ თოვლის
შუქი, იქნებ თვითონ ბოძიც ვერ გაგერ-
ჩიათ.

ელეფთერი გზისპირად იდგა, მუხლა-
მდე თოვლში და ვერ გადაეწყვიტა
საით წასულიყო. შინ მისვლა არ უნდო-
და. მარხილიდანვე დაინახა შუქი თა-
ვისი პალატის ფანჯარაში. მაშ ჯერ კი-
დევ არ დაწოლილიყვნენ. ასე რომ არ
ყოფილიყო, ჩუმად შეილაღებოდა ოდა-
ში და ტანთ გაიხდიდა. ახლა კი, ვინ
იცის, რამდენ ხანს უნდა მდგარიყო აქ.

ადრინ დილიდანვე წასულს ლუკმა არ ჩაეკარებინა პირში და შიმშილი აწუხებდა. ბორისი წითლისწყაროელ ძმაკაცებს ჩაჰყვა რესტორანში. ელფეთერის დასაპატიებლად თავი არავის გამოუღვია. იქნებ ვერც შეჰბედეს? კიდევ კარგი, რომ წამოვიდა. საღ ჰქონდა ნასვამ ხალხში ლაზღანდარობისა და ღრუბის თავი, როცა მისი გული და გონება სულ სხვა საფიქრალს დაეფლდებინა?

თუმცა რატომ უნდა დარქმეოდა ამას „სულ სხვა?“ როგორც უნდა ყოფილიყო სამუშაო, რომელიც კისერზე აწევა, ელფეთერს მშვიდობიანი ოჯახური ცხოვრება სჭირდებოდა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია თუნდაც სულ მცირე საზოგადოებრივი საქმე; ერთი სიტყვით, როგორც ყველა ადამიანს, ის სჭირდებოდა, რაც არა ჰქონდა.

ბოლო ხანებში ის სიამოვნებით იგონებდა მშობლიური სოფლის გარეთ გატარებულ დროს და ფიქრობდა, რომ უპირველესი და უმძიმესი შეცდომა, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეში ჩააღინა, უკანასკნელ წლების გადაწყვეტილება იყო: საცხოვრებლად საკაურაში ჩამოსვლა, მამის დანატოვარზე დამკვიდრება. რა უნდა ექნა მას, შვილს ასეთი იყო მიუსაფრად დარჩენილი დედის სურვილი და ელფეთერიც წინ ვერ აღუდგა ამას.

ადრე გაჭირვება არაფერი ენახა ელფეთერს. ამბერკი ლაშხს ერთი გლეხიც ვერ ჯობდა ამ შემოყოლებზე. ყველაზე ნოყიერი მიწები მის ხელთ იყო. ამბერკი ადრე გადაწყვიტულად მუშაობდა სათემო კანცელარიაში. თავისი დროის დაწინაურებულ ხალხთან გაშინაურებული იყო და ზოგი თავისი მოხერხებით, ზოგიც იმათი დახმარებით იმდენი იტრიალა, რომ საუკეთესო სახნავ-სათესები ხელში ჩაიგდო.

ბოლოს ორმოციოდე ქცევა ტყე და სათიბიც შეიძინა საკაურადან ორი დღის საეკლესიეზე.

სერზე რომ დიდებული ოდა წამოიქმია, საკაურელი გლეხები კიდევ უფრო გააკვირვა ამ მოუსაყნარი კაცის საქ-

ცილმა: რად უნდა ამოდენა სახლიო. მართლაც რად უნდოდა! თუმცა და ბრუნოს, შინ მხოლოდ ხუთმეტოცხოვრებულს, თვითონ ამბერკი მეუღლითურთ, ამას დაუმატებ პატარა ელფეთერი და ორი მუნჯი უპატრონო გოგო, რომლებიც საჯოგე ნახირის შესყიდვის დროს ამბერკიმ ოსეთიდან ჩამოიყვანა.

როცა ხელი შოითბო, გადამწერლობას თავი გაანება და თვითონ ჩაუდგა სათავეში ოჯახის მეურნეობას.

მოჯამაგირებებს თვალთ ვერ დაანახებდო. ხალხს დღიურად ჭირაობდა და დღიურადვე უსწორდებოდა. ამ გზით გასავალი მეტი ჰქონდა, მაგრამ რატომღაც ასე ამჯობინებდა. ხალხი ამბობდა, სიძუნწით ემართებო, მაგრამ ის ისეთი კაცი როდი იყო, მითქმა-მოთქმას გამოჰკიდებოდა. სხვამ რად უნდა ურიოს ხელი ჩემი ოჯახის შინაურ საქმეშიო.

თვითონ თავდაუზოგავი მშრომელი იყო. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კანცელარიის ქალაღებს მოეშვა, ტყესა და მინდორს იყო მოღებული, მიწას ებრძოდა.

როგორც თავდაჯერებულ მორწმუნეს შეჰფერის, ამბერკი მარხვას ინახავდა და ქირის ხალხსაც არწმუნებდა, კაცმა იმდენი გონიერება უნდა გამოიჩინო, რომ უბრალო ღორმუცელობის გულისათვის ცოდვა-მალა არ აიკიდო.

ა. ც ჩაცმა-დახურვას დაგიდედა. ამტიციებდა: ეს ჩოხა-ახალუხი და ახალმოდის ზიზილიპილები ერთმანეთის მოსატყუებლად და თვალის ასახვევად გვაქვს მოგონილიო. ხალხი ნამდვილად მაშინ ცხოვრობდა, როცა ადამიანი სხვასაც იმგვარადვე ეჩვენებოდა, როგორც მართლა იყო. თვითონ დაკნეილი პატიუები და ათასჯერ დაჯერებული ჩოხა ეცვა. ცოლშვილიც შიმშველ-ტიტველი დაუდიოდა. პურის ლეწვის ალოზე, სიტყე-პაპანაქებაში, დედისშობილა შემოუდგებოდა ხარებს კევრზე. სიტყეს რომ არ შეეწუხებინა, თავზე თხილის ნორჩი ფოთლებისაგან

მოწული საჩრდილობელი ეხურა. გზად გავლილი ქალები პირს იბრუნებდნენ ხოლმე. ძნით დატვირთულ ურემებზე შემომსხდარი მეუალონე ბერიკაცები კი ზიზღით იბურჯუნებოდნენ.

მის ადგილას რომ ვინმე სხვა ყოფილაყო, ხელს არავენ გადაუსვამდა თავზე, ცემით გაასივებდნენ, მაგრამ ამბერკისთან ჩხუბის ატეხვა რა იყო, ხმის ამალეებასაც ვერავენ გაბედავდა. მის დოვლათით სავსე უტრსა და ბელელს ჯადოსნური ძალა ჰქონდა. ეგეც რომ არა, ლაშში ზნეობრივად სუფთა ადამიანი იყო. იმიტომ კი არა, თითქოს თავს იკავებდა, სახელი არ გამოიტყდესო, არა, ისე, მას ასე სურდა. ეს იყო ყველანაე უფრო შეუვალი საბუთი მთელ მის ცხოვრებაში.

ოცდაათან წლებში რომ მიწის მზომელები მოვიდნენ და საფლის ღარბლატაკმა სამნების ამოყრა დაიწყო, ამბერკიმ პირველად ვერ დაიჯერა, რომ ამას ნამდვილად სჩადიოდნენ, მაგრამ როდესაც აზვირთებული ლიანგი მის ჭინკარსაც მოადგა და ბოსელში ჩამწყვედული საქანელი, პურის სანიავებელი მანქანა და ბელლის გასაღები მოითხოვა, ლაშში საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ყოველივე ეს მართალი იყო.

მან ჩვეულებისამებრ ასწონ-დასწონა მდგომარეობა და როცა მიხვდა, ამოდენა ხალხში წინააღმდეგობის გაწევით ვერაფერს გაეაწყობო, საქმიანად გამოვიდა კიშკარში და გასაღებები გადააბარა; ოღონდ ხალხს უთხრა, რომ სახლში ახალგაზრდა ქალები იყვნენ, მუნჯები და სთხოვა, მათთვის ხელი არავის ეხლო; თვითონ კი შემობრუნდა და სადღაც წავიდა.

მეორე დღეს, გათთაოისას, ვენახის ბოლოზე ნახეს, გზასთან, იქ, სადაც ახლა სამჭედლოა. ქარისაგან ტოტებდაღწეული წიფელზე ეკიდა და გაქერცილი ქალამნის ჰეინტებით აფუებულ მიწას ეხებოდა.

გამოძიება არავის დაუწყია. აიღეს და იქვე ჩაფლეს მიწაში.

ელეფთერს უნიღარსიტეტში მოუს-

წრო მამის სიკვდილმა. წიფლისწყაროში რომ ჩამოვიდა, სადგურში არავენ დახვედრია. საკაურკისკენ მიმავალი სულ იმას ფიქრობდა, როგორ შეხედებოდა დაქვრივებული დედა, როგორ შეხედებოდნენ მუნჯები, როგორ შეხედებოდნენ თვით საკაურელი გლეხები, რომლებმაც მისი მშობელი მამა მოჰკლეს.

მართლაც იმათ მოჰკლეს მამა? მართლაც იმათ მოჰკლეს, ვინც არა ერთჯერ დაექირავებინათ ყანასა თუ მიწ. დორში, ტყესა თუ საძოვარზე?

ამ ფიქრებით მიადგა იგი სახლს.

ძამით შემოსილი კიშკარი.

ძამით შემოსილი მუნჯები.

ძამით შემოსილი დედა.

არა უთქვამს რა. ვარამი გულში ჩაიხვია. არ ეტირებოდა. დედაც არაფერს აზნობდა, მაგრამ სიტყვებზე უფრო მეტყველებდნენ მისი მოღლილი თვალები. ისინი შურასძიებას მოითხოვდნენ. მუნჯებაც ღმუოდნენ რაღაცას გაურკვეველად. ისინი აზნობდნენ, რომ მათი ოჯახი შეგინებულა და შერცხვენილი, განათლებული შვილი კი ამას ვერ ხედავს.

ელეფთერმა იგრძნო ეს და გარეთ გამოიჭრა. იმ ღამესვე მიაშურა მატარებელს. მამის საფლავის ნახვაც ვეღარ შესძლო.

ელეფთერს ახლა კიდევ მოაგონდა ეს და ტანში უსიამო ჟრეოლვამ დაუარა. მას შეეძლო ახლა არ ეფიქრა ამაზე და გულს იშოშინებდა, რომ სიზმარში არ იყო, როცა შენს ნებაზე იქნებ არც გამოგეღვიძოს.

— ოოპ, — ამოიხზრა მან და ნაბიჯი გადადგა გატყეპნილ ბილიჯზე.

მარცხენა მხარეს ჩაბნელებული სამჭედლო დარჩა. წინ, სოფლის კოოპერატივის კუთხესთან ვიდაც ფანრიანმა გაიარა და ქვეით ჩაუხვია, ზაქარა მჭედლის ეზოსაკენ.

„ვინ არის, სად მიდის ასე გვიან?“ — გაიფიქრა ელეფთერმა, რათა უსიამოვნო მოგონებისათვის თავი დაეღწია.

— უყურე ერთი, წისქვილის ვირთხასავით არ გასუქებულა? — თითქოს ცხადლივ მოესმა მას უცებ და ისე მოწყვეტით შემოტრიალდა, თითქოს მოულოდნელად ვინმეს მხარზე მოეხვიოს ხელი.

არაფინ იყო. მბეჭეტავი ელნათურა კვლავ მკრთალად ანათებდა მარხილები-სა და ნახირის კვალს.

— რა მომელანდა? — გაიფიქრა ელეფთერმა. ასანთი გაპკრა და ვიწრო ორღობეში შეუხვია.

ეს, ეს საზარელი სიტყვები ზომ ამ ორიოდ თვის წინათ ვააგონეს ელეფთერს, როცა ცოლთან ერთად ახლადჩამოსულმა სამკედლოს წინ გამოიარა.

ელეფთერს გააცრა, თითქოს მართლა ვირთხა ჩასჭრომოდეს კისერში.

ნუთუ მათ იცნეს იგი, ნუთუ კვლავ გუშინდელივით ახსოვთ ყველაფერი დიდი სურვილი ჰქონდა, მეზარტულ მუშებისათვის საიდუმლოდ დარჩენილიყო ის, რაც მათი წამომყვანის მიმართ თქვეს, მაგრამ ყველაზე უფრო იმის გაგება სწადდა, ელენემ გაიგონა თუ არა ყველაფერი.

ელენე პირველად მიდიოდა იმ ღამეს ქმრის ოჯახში და ელეფთერზე არანაკლებ ღელავდა. გზაში ათასნაირ გეგმებს აწყობდა, როგორ შეხვედროდა დედამთილს, როგორ მოეგო მისი გული და ის ამბავი, რომ ელეფთერმა აქამდე არ ჩამოიყვანა, სრულ შემთხვევითობისათვის მიეწერა. ცხადი იყო, მიზრწინილი დედაბერი დიდ გამოძიებას არ გამოუდგებოდა.

ეზოს ერთგული დარაჯი ჯალხანა, მთელ სოფელში რომ განთქმული იყო სიავითა და დაუნდობლობით, კიშკართან შეეგებათ.

ცოლი და ქმარი გაოცებული დარჩნენ ქოფაკის სქივლით.

ელენე აღტაცებით ამბობდა: მოდი და ამის შემდეგ თქვი, ძალს გრძნობა არა აქვსო.

ელეფთერს არასოდეს არ უთქვამს, თითქოს ძალს გრძნობა არ ჰქონდეს, მაგრამ ცოლს არ გამოუდავებია, რადგან

ამ დროს პალატის კარი გაიღო და ეზოში მგონი ღამის პერანგით შემოსილი, მაღალ-მაღალი, ქერა ქალი გაჩნდა, რომელსაც ზემოთ აწეულ მარჯვენა ხელში ნავთის სანათური ეჭირა. სანათური ლიცილივით ანათებდა მის კუნთოვან, ერთის შეხედვით შემუშებულ სახეს, მის წვრილ მეტყველ თვალებს და ღონივრად მოყვებულ ბლაგვ პირს.

როცა სტუმრები მიუახლოვდნენ, ქალმა რაღაც ამოიღმეველა სიხარული-საგან, მერე ელენეს დააქცერდა ხარბად, ელეფთერს თვალი ჩაუკრა და სახეწამოწითლებულმა თავი დახარა მისალმებისა და მორჩილების ნიშნად.

ელეფთერმა იცნო უმცროსი მუნჯი. თვალში მოხვდა მისი ხანში შესვლისაგან დასრულებული გულმკერდი და მხრები და ამით ერთხელ კიდევ დაასკვნა გულასტივილით, რომ დიდი დრო იყო გასული მისი დაბადების დღიდან. უხალისოდ მიდიოდა წინ. ცდილობდა ცოლსაც დახმარებოდა, მაგრამ უფრო იმას ცდილობდა, როგორმე გაეკიანურებინა გზა აქედან სახლის ზღრუბლამდე.

ელეფთერი თრთოდა იმის წარმოდგენით, რომ დედა იმგვარივე თვალებით შეხედავდა მას, როგორითაც მაშინ უყურებდა. მან იცოდა, რომ თავისი ხასიათისა და მისწრაფებებისათვის სრულიად უცხოა და გაუგებარს ამოიკითხავდა ამ თვალებში. უნდოდა, რომ დედას ელაპარაკა, თვითონაც ელაპარაკა, ელენესაც ელაპარაკა, ოღონდ დრო აღარ დარჩენილიყო დუმილისათვის.

მუნჯმა მამაკაცურად შეაღო კარი და პალატში შევიდა.

ბუხართან თალხებში გახვეული დედაბერი იჯდა და დანაკვერცხლებულ ცეცხლს შეჰყურებდა.

მუნჯი განიერი ნაბიჯით მიუახლოვდა, თვითონაც ბუხრის წინ ჩაუტყდა, რომლის დროსაც მისმა სახსრებმა ტყაცანი მოიღეს და მუხლზე ხელი დაარტყა მოხუცებულს.

დედაბერმა დამკვნარი სახე ასწია. ტანის მდგომარეობა არც კი შეუცვლია,

ისე მოიხედა კარისაკენ.

ელეფთერი მოწიწებით მიუახლოვდა. დაიხარა, რომ დედისათვის კოცნის საშუალება მიეცა, მერე ადგა და ჩამწყდარი ხმით მეუღლე წარუდგინა.

ელენეც დაიხარა. მოხუცს გამხდარ მხრებზე ხელი მოჰხვია და მიიზიდა.

დედაბერი ისევ ღია კარისკენ იყურებოდა.

— ვინ არის? კიდევ არის ვინმე? — იკითხა მან ელეფთერისათვის აქაპდე უცნობი, შეცვლილი ხმით.

— არააინ, დედა... ჩვენი ბარგი მოიტანეს, — აფუსფუსდა ელეფთერი და მძიმე პორტფელი, რომელიც აქამდე ხელში ეჭირა, შორიანლო დასობილ მუხჯიას მიაჩენა.

დედაბერი ამით დაკმაყოფილდა. შავი თავსაფარი კიდევ უფრო ჩამოიწია და სახე ისევ ბუხარისკენ მიაბრუნა.

მხოლოდ გვიან ღამით, როდესაც ნამგზავრ ელეფთერსა და ელენეს ცალკე ცალკე მოუსვენეს, ელეფთერს მოეჩვენა, რომ აივანზე ვიღაცამ გაიარა ღამით ხელში და მის კარს მოადგა.

სანამ წამოდგომას მოასწრებდა, კარი გაიღო და ოთახში საოცრად მოკაკუული ებე შემოვიდა.

ელეფთერს არ ეგონა, რომ დედა ასე მოხუცებული იყო.

— არა გძინავთ, ბატონო? — თქვა ელეფთერმა და რადგანაც ტანთ ჩაუტყმელი იჯდა, ახლა ჩაცმა კი გვიანი იყო, ასევე წამოდგა.

დედაბერი ნელა, მშზინვარე სატინის ოღნავი შარიშურით სივიდა იმ სკამთან, რომელზედაც ელეფთერის მაჯის საათი და პირამინის გაუხსნელი კოლოფი იდო. საათი და კოლოფი აიღო, სასთუმლის ქვეშ ამოსდო, თვითონ კი ფრთხილად ჩამოჯდა სკამზე. აბრიალებული ღამა ისევ ხელში ეჭირა. ნეტავი რად უნდოდა ეს ღამა, განა სინათლე არ ჰქონდათ სახლში?!

ახლა, ამ გაჩირალდნებულ ოთახში ელეფთერი დედის პირისპირ აღმოჩნდა; ღამა კი იმგვარის სიციხადით ანათებდა ორივეს სახეს, რომ ელეფთერი ქინძის

მარცვლოს სიმსხო ხალსაც კი ამჩნევდა დედის რბილ დავიწროვებულ წიკამზე. კოხუცს ნახევრად ჩამქრანდი, დაზინდული თვალები ჰქონდა და ეკვი არ იყო, თორმეტი ნაბიჯის იქით ვერაფერს ხედავდა.

სისხლმოჭარბებული, სახის დიდრონ ნაკეთებიანი ელეფთერი, რომლის ძალასა და ამ სუსტი არსების უღონობას შორის არაერთი ნათესაური არ იყო, ახლა ბალღივით თრთოდა ამ დაცვილი თვალების წინაშე. ის მთელ ნებისყოფას ძაბავდა, მზერა სადღაც სხვაგან გადაეტანა, ეცქირა აი თუნდაც იმ ჯიხვის რქისათვის, კართან რომ მიემაცრებინათ, მაგრამ არ შეეძლო.

ელეფთერს არასოდეს არ დაჰბადებოდა ცხოველური ყვირილის ამგვარი სურვილი, როგორც ახლა. უნდოდა ეყვირა ჯოჯოხეთური ტყვილისაგან, უნდოდა გაეგებინებინა მთელი სამყაროსათვის, რომ მას აწამებენ, აბრჩობენ, მაგრამ თითქოს ხახაც გამშრალი ჰქონდა.

დედა კი მშვიდად იჯდა სკამზე. ფეხიანი ღამა სახის სიმალღეზე აეწია და უყურებდა.

ისევ ის, ბეცი, დაბინდული თვალები...

„შენი მამა? შენ კაცი ხარ?“ — ამბობდნენ ეს თვალები.

— სულ ჩამოხვედი?

ეს დედის ხმა იყო. დედა მარტო უფერული ტუჩებით ლაპარაკობდა, თვალები კი იმასვე ამბობდნენ.

— ჩამოვედი, დედა... — შეებით ამოისუნთქა ელეფთერმა, როგორც კი ამ საზარელი სიჩუმის დარღვევის საშუალება მიეცა.

მოხუცი ისევ გაჩუმდა.

— ეს ქალი სადღურია?

— ვინა, დედა, ელენე? — გამოცოცხლდა ელეფთერი.

— მე შენს სახლობაზე გეკითხები.

— სახლობაზე... სახლობა... იქაურია, დედა, თბილისში მაცხოვრებელი, ისე, წარმოშობით კახელი გახლავს, სიღნაღის რაიონიდან. გაგეგონება...

— შენ სად მონახე?

— მე? მე კახეთში ვნახე პირველად, დედა, სიღნაღში...

— სიღნაღში რა გინდოდა?

— ვმუშაობდი... დამზადების რწმუნებულად ვიყავი...

— რა თქვი?

— დამზადების რწმუნებულად ვმუშაობდი-მეთქი.

— ეგ რაღა არის?

— ეს? ეს, დედა...

ელეფთერს ხმა აუკანკალდა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ სათქმელი დააეციყუდა. მან უცებ იგრძნო, რომ მეტად ხშირად ხმარობდა სიტყვა „დედას“, ეს რაღაც უცნაურად, შეუფერებლად მოეჩვენა და იმის მაგივრად, რომ პასუხი დამთავრებინა, იატაკს დააცქერდა და შიშველ მუხლებზე საბნის ყური გადაიფარა.

დედაბერს არ შეუმჩნევია, რომ კითხვაზე პასუხი ვერ მიეღო, ის წასასვლელად ემზადებოდა.

„ნუთუ ამისთვის მოვიდა?“ — გაუღვია ელეფთერს.

ელეფთერი საგრძნობლად გამოიცვალა საკაურაში ჩამოსახლების შემდეგ. ვაჭურღლევიით დაიარებოდა, თითქოს ელენესა და მის შორისაც შავ კატას გაერბინოს. ეს სასოწარკვეთილებაში აგდებდა ელენეს. ის დარწმუნებული იყო, რომ ყოველივე ამქვეყნიურისადმი ზურგშექცეული დედამთილი ერთადერთ ამქვეყნიურ საქმეს კიდევ აკეთებდა: ელეფთერს ამხედრებდა ქმრის იმედოდ გადმოხვეწილი ქალის წინააღმდეგ.

ელეფთერი გრძნობდა ამას ცოლის გამომეტყველებაში, მის ყოველ მიმოხვრაში, რომელსაც აწინდელი უშუალობა და სისადავე დაჰკარგვოდა, ცდილობდა ძველებურად ალერსიანი ყოფილიყო, მაგრამ ვერ ახერხებდა ამას. რით უნდა დამთავრებულიყო ეს უსიტყვო ჭიდილი? — მეთათსედ ეკითხებოდა თავს ელეფთერი ღა პასუხისათვის ვერ მიეგნო.

კარგა ხანს მიაბიჯებდა იგი ჩამობნელებულ ორლობეში და დრფდადრო თვალს ვარსკვლავებით მოჭყდილ ცას შეაფლებდა. უკვირდა, რომ ასე უცნაურად გამოიძარა, რადგან მთელი დღის განმავლობაში ცა მოღრუბლული იყო და ხანგამოშვებით თოვდა. „ერთ კვირას რომ ასე გასტანდეს, იქნებ ტრაქტორებიც გაბედავენ გადმოსვლას“, — ფიქრობდა იგი.

ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს თერთრად ანათებდა ცისკიდურზე აზიდული პთისკალთის მონასტერი.

მონასტრის უდაბურობა და ეს ვარსკვლავიანი, იღუმალი ღამე რატომღაც თავის ბავშვობას აგონებდა ელეფთერს.

ასეთი ღამე იყო მაშინაც, პირველად რომ გაისტუმრეს ჯორჯილებულით წიფლისწყაროს საარქონო სადგურზე. ასევე გადმოჰყურებდა საკაურას დაცემულ ქალებს მთისკალთის თეთრი მონასტერი. რაოდენ სიხარულსა და იმედს შთაუწერავდა აქაურობის ერთი გახსენება, როგორ არ უდგებოდა გული საგულეში, როგორ უნდოდა უჩუმრად ატარებულიყო განშორებისას...

რა იქნებოდა, აქ რომ დარჩენილიყო, საკაურადან ფეხი რომ არ გაედგა? მასაც ის ბედი ეწეოდა, რომელიც მამამისს ეწია, თუ დრო თავისას იზამდა, ერთის დაკვრით გადააგდებდა ახალი ცხოვრების კალაპოტში და აიძულებდა ყველაფერი დავიწყებისთვის მიეცა?

მერე შეიძლებოდა კი ყველაფრის დავიწყება, თუ ერთი ნაბიჯითაც ვერ გასცდებოდა მამის აზრებს, მის შეხედულებებს? ვერა, ვერ შესძლებდა. მას დამარცხებულივით უნდა ევლო ქვეყანაზე, ევლო, რადგან სხვა გზა არ ჰქონდა.

არა, ელეფთერს აუცილებლად უნდა მიეღო განათლება, უნდა ჩამირულიყო ცხოვრების საიდუმლოებაში, რომლის ცალკეული მოვლენა უბრალო თვალისათვის ხშირად ისე მოჩანს, როგორც ორმხრივ ამოხსენილ ბროლის მინაში...

ამ ფიქრებით მიადგა ელფეთერი თან-ვის კ. შკარს და გულსტიკივლით შენიშნა, რომ სინათლე ისევ ენთო პალატში.

საათს დახედა. გვიანი იყო, უმიზნო ხეტიალს აზრი აღარ ჰქონდა. თანაც იქნებ ვინმეს გადაჰყოფდა კიდევ გზაზე და რით უნდა აეხსნა ეს უცნაური საქციელი!

ქიშკარს მიაწვა და ეზოში შევიდა.

ძალღი არ გამოხმაურებია. ნეტავი რა დაემართა, წემსი ხომ არავინ გადააყლაპაო, გაიფიქრა ელფეთერიმა, რადგან დილიდან საღამომდე ჯაქვით დაბმული ჯალხანა გასაქანს არ აძლევდა სამთომადნო ქარხნებიდან დაბრუნებულ მუშებს, რომლებსაც გზის შესამოკლებლად ელფეთერის ქიშკართან უნდა გაევიდნენ; მაგრამ ძალღი მალე დაინახა განათებულ დერეფანში. საჯირკე გოდორთან ჩაცუქებულიყო და პატრონის მოლოდინში ნეტარებით აქიცივებდა ბანჯგვლიან კუღს.

ელფეთერი დაიხარა. ძალღის მოფერება დააპირა, მაგრამ ამ დროს კარი გაიღო და ელენემ გამოიხედა.

ელფეთერი მყისვე გაიმართა, რატომღაც შერცხვა. უნდოდა სასიამოვნო სიტყვა ეთქვა ცოლისათვის, მაგრამ შინაგანი გულსიხმა აკავებდა. მან არ იცოდა, მარტო იყო ელენე, თუ დედაც მასთან ერთად, ათევედა ღამეს მოლოდინში.

— ჯალხანას რა მოუვიდა, რატომ არ ყფეს? — იკითხა უცებ ელფეთერიმა და გულს მოეშვა. ამ უნებურად წამომცდარ კითხვაზე უფრო ჩინებული გუნების გამოხმატველს კაცი ვერას მოიფიქრებდა.

ელენესაც ესაიამოვნა ქმრის კეთილი განწყობალება და სახეზე ნათელი მოეფინა.

— საქმელს არ ჰქვამს? — იკითხა ისევ ელფეთერიმა, კვლავ დაიხარა და ძალღს დაყურსულ თავზე ხელი გადაუსვა, რაც ისე უცნაურად მოეჩვენა ერთი წუთის წინ, — ცუტგრი? ჰაიტ, შე ყურუმსალო, მოგეწყინა?

— ჰქვამს, როგორ არა, ელფეთერ, უფრო ძილისკენ მიუბრბის თვალი. მუნჯია

ამბოზს, დაბერდაო. შენ რატომ დაგავიანდა? — უთხრა ელენემ.

ელფეთერი ისევ ძალღს უთხრებდა, კისერზე უღიბინებდა, ყასიდად დაღრეხილ კბილებში ფეხის წვერს უყოფდა, რაზედაც ჯალხანა უფრო და უფრო აშეშებდა კუღს და ღრეხას უმატებდა.

— დაანებე თავი ერთი, არ გიკბინოს, — წაილაპარაკა ელენემ და დერეფანში გამოვიდა, — შეიძლია შინ, სააღლი გაცუვდა.

ისე ჰგავდა, რომ ელენე მარტო იყო, თორემ ასე თამამად ლაპარაკს ვერ გაბედავდა.

ელფეთერი წამოდგა, კალოშები ზღურბლთან გაიხანდა, მერე ერთმანეთზე მიაწყო და გვერდით გასწია, რათა ღამით არავინ წამოს ღებოდა.

დედა მართლაც არ იყო პალატში.

ბუხართან სუფრაგადაფარებული სოფლური ტაბაკი იდგა. მკლავებდაკაპიწებული, ბუხრის სიმზურვალით სულ ერთიანად გაიცივლებული მუნჯია ვახშამს აწყობდა ზედ.

ელფეთერის შემოსვლაზე მუნჯიამ სახე მოაბრუნა და ნიდაყვით გაოფლილი პირი მოიწმინდა.

— ძინავს? — მხოლოდ თვალებით იკითხა ელფეთერიმა.

— მზე ჩავიდა თუ არა, დაწვა. მგონი ვერ არის კარგა.

მუნჯია თვალს ადევნებდა ცოლქმრის ლაპარაკს. მიხვდა, რომ სიტყვა მოხუცს შეეხებოდა. ხორციანი ტუჩები წამო-ბურცა, თეფშიანი მსუქანი ხელი ჯერ თვალებთან მიიტანა და მერე წინ გაიქნია, ესე იგბ ზემოთ ბრძანდება, მოისვენაო.

— შენ რა ჰქენი, რად დაიგვიანე? — გაიმეორა წელანდელი კითხვა ელენემ და მუნჯიას საწოლის თავს დაეყარდნო, რომელიც ეუთხეში იდგა, ბუხრის გასწვრივ.

— უბედური გზებია. თანაც მარხილი აღარ მოვიდა თავის დროზე.

— სად გაქრა. იქ არ გყავდათ?

— კი გეყავდა, მაგრამ საკაურაში წამოსულიყო, ხალხი წამოეყვანა.

— ვინ ხალხი?

— მინდელის ქვრივი ჩამოსულა ზესტაფონიდან, ბავშვები ჩამოუყვანია და ბარგიც ჰქონია ცოტა.

— მინდელის ქვრივი?

— ჰო, არის ერთი, შენ არ იცნობ. ფერმის იქით ცხოვრობენ, სერზე. არც მე მინახავს. ეს პალტო ბუხართან ჩამოკიდე რამეზე, კალთებთან სულ სველია.

— მერე?

— მერე მოვიდა მარხილი და წამოვედით.

ელეფთერს ისევ დაეუფლა ის მძიმე განწყობილება, რომელიც ლოდან აწეა მთელი დღეების განმავლობაში. ამოდ ცდილობდა თავისუფლად განეგრძო საუბარი, რადგან ყოველ მის პასუხში რაღაც აქამდე შეუცნობელი ყვედრების თუ ღვარძლის კილო გაისმოდა, თითქოს ყველაფერში ელენე ყოფილიყოს დამნაშავე.

ელეფთერს სტანჯავდა ეს.

გულით უნდოდა ცოლისთვის დალაგებით მოეთხორო ყველაფერი, ეთქვა, რა უბრალოდ და პატივისცემით მიიღო აქაურმა რაიკომის მდივანმა, რა დიდხანს გაგრძელდა ბჭობა იმაზე, თუ როგორ შემოუბრონ საქმეს... ახალი ვენახების გაშენების გეგმა მარტო მათ ნებასურვილზე ზომ არ არის დამოკიდებული. ეს გეგმა ზემოდან მიიღეს. საჭიროა არა განსჯა მისი, არამედ შესრულება და სხვა ამისთანები.

მუნჯი გუმანით მიხვდა, რომ მისი აქ დარჩენა ახლა ზედმეტი იქნებოდა და ფრთხილად გაიპარა პალატიდან, რათა ზემოთ ასულიყო და ფეხებში შესწოლოდა თბილ ლოგინშიაც გალიგვებულ დედაბერს. ებეს ადრეც ჰქონდა ეს ჩვეულება. ზამთრის ცივ დამეებში, როცა შინ მარტონი იყენენ, მუნჯს თავისთან იწვევდა. ეს ჯანითა და ღონით სავსე ადამიანი საოცრად მზურვალე იყო. მის სიახლოვეს მოხუცი მალე გათბებოდა ლოგინში და მყისვე ჩაეძინებოდა.

ელენე ცდილობდა ჰმროსთვის გარეგნულად არ შეემჩნევიინებინა ის ცვლილება, რაც ბოლო ხანებში ელეფთერსა და მის შორის მოხდა, მაგრამ რაც უფრო გულმოდგინედ ცდილობდა ამას, გაუბედავი ლაპარაკით, გაუბედავი ჰტევიით: მოეწონებათ ასე... არა, არ მოეწონებათ... თუ მოეწონებათ... მით უფრო აშკარად მეღვენდებოდა, რომ ის უბედური იყო.

ელეფთერი მზურვალედ თანაუგრძნობდა ცოლს, მაგრამ ეს ვერაფრით გამოეხატა, თუმცა თვითონაც კარგად იცოდა, რომ ერთი წუთით მის გულში ჩაზედვა, ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო, გაჟფანტავდა ელენეს ექვებს და იმთავითვე დამკვიდრებულ სიხარულს დაუბრუნებდა, რომელსაც ყოველთვის განიცდიდნენ ერთმანეთის სიახლოვეთ.

ელეფთერი ჯალხანას დაეინებულმა ყეფამ წამოაყენა.

— მოიცა, მე გავიხედავ, — წამოდგა ელენე, მაგრამ ელეფთერმა ისევ თავის ადგილზე დასვა იგი, თვითონ კი კარისკენ წავიდა.

ამუბებელი ჯალხანა ჰიშკარს მისდგომოდა და გაფთვრებით ყეფდა.

ორლობეში თანრიანებმა აიარეს.

— ვინ არის? — დაიძახა ელენემ.

— წარმოების ხალხია, მთისკალთელები, — მიუგო ელეფთერმა და კარი მიხურა.

ბადრი მთვარე ლუხუნისას რიყეს გასწორებოდა. სოფელში მამლები ყიოდნენ. მოსვენების დროც იყო.

XI

დილაადრიან შინიდან გამოსულ ზურიას ვილაც უცნობი გოგონა შემოხვდა. საგრძნობლად ყინავდა, მაგრამ ამისდამიუხედავად, სველი ჩაფი თოვლზე ჩამოედგა გოგონას და სულისმოსათქმელად შეჩერებულყო. დამკვლელი ჩითის კაბა მუხლებს ძლივს უფარავდა. კარხალივით დაწითლებული ბიჭური ხელები ილიებში ამოდო და მალეულად ზურიასკენ იყურებოდა.

მიახლოვებამდე ზურიაც დაკვირვებით ათვალიერებდა მას, მაგრამ გვერდის აქცევისას თვალები უნებურად დახარა. გზა კიდევ უფრო ჩქარა, თითქმის სირბილით განაგრძო, მაგრამ ახლა ზურია გითაც კი გრძნობდა ცნობისმოყვარე ქალიშვილის გამჟოლავ თვალებს. დაბნეული აქეთ-იქით იყურებოდა და თავს პირობას აძლევდა, არასგზით უკან არ მოვიხედავო, მაგრამ კვლავაც ისე მწვავედ გრძნობდა გოგონას მზერას სადღაც კისრის არეში, რომ ნაბიჯი შეანეღა.

საქმე ის იყო, რომ ეცნობოდა, უეჭველად სადღაც ჰყავდა ნახული, მაგრამ ახლა გამოცნაურება გვიანი იყო, სასიკრებოც. ყოყმანს სძლია და უკან მოიხედა.

გოგონა იმავე ადგილას იდგა და, როგორც ზურიას მოეჩვენა, გულდაწყვეტილი იყურებოდა. შემობრუნებული ქურქიანი ბიჭი რომ დაინახა, მხარზე რაღაც დაიფინა და ჩაფს დასწვდა. ერთი წამიც და იგი ნელა დაეშვა თავდაღმართში. წელში ოდნავ გაღუნული აჩქარებით მიაბიჯებდა.

ზურია ფეხს აუჩქარა და როცა სილოსის კოშკებს გასცილდა, ახლა სამკედლოს ღერეფანში თავშეყრილმა ხალხმა მიიქცია მისი ყურადღება. ნეტავი რას აკეთებენო, გაიფიქრა, მაგრამ მიახლოვებისთანავე დაინახა ყველაფერი.

ღერეფანში ფეხებშებორკილი ძეგრა ხარი წაქციათ. შავწვერა მკედელი ნალებს აქედებდა ხარს ფლოქებზე ოფოფა კვერით, დანარჩენები კი გარს შემოხვეოდნენ და გათაცხებით ადევნებდნენ თვალს მკედლის გამურული ხელის მარჯვე მოძრაობას.

ზურიას ვერ გადაეწყვიტა, მისალმებოდა თუ არა მათ. სულ ერთი იყო, საქმეში გართული მკედელი მაინც ვერ გაიგონებდა, მაგრამ დანარჩენები ხომ დაინახავდნენ მესერთან გავილის.

ზურია სულგანაბული მიაბიჯებდა. როგორც კი მამაკაცებს დაუპირდაპირდა, ყოყმანს სძლია და ჩაახველა.

მოიხედეს. მკედელმაც კი მოაბრუნა შავი პირისახე და ზურიას ქვემოდან გამოხედა.

— გამარჯობათ! — გამზარული ხმით გადმოსძახა ზურია.

— გააგმარ-ჯოს! — ერთხმად უბასუხეს გლეხებმა.

ზურია ახლა სამშვიდობოს იყო, მაგრამ გული ისე სწრაფად უცემდა და სადღაც ზემოთ ეზიდებოდა, რომ შეეშინდა, ამდენი ხალხის თანდასწრებით აქვე არ ჩავიკეტო. ალბათ შესამჩნევი ბარბაცით მიდიოდა, რადგან ვიღაცამ დაუძახა:

— რა იყო, ბიჭო, ფეხი გიცურს?

— არა, კანტორაში მივდივარ და...

— მერე იმაზე გიცურდება ფეხი? —

სიცილით გადმოსძახა იმავე ხმამ. დანარჩენებსაც გაეცინათ.

— რა გაცინებთ? — იწყინა ზურია.

— რა ამბავია, არ გინახავთ ადამიანი? — გაისმა ამ დროს.

ღერეფანში ხორხოცი შეწყდა.

ზურია მიხვდა, რომ ეს მკედლის ხმა იყო.

— მოდი აქ, ბიძია! — დაუძახა იმავე ხმამ ზურიას.

ბიჭმა ბილიკიდან გადაუხვია და მესერის ღია კიშკარში შეჩერდა.

მკედელმა თავი გაანება საცოდავად აყირავებულ ხარს. ოფოფა კვერი წინსაფრის ქამარში გაიბნია. ახლა მას დონჯი შემოედგა და თავშეყრილ მამაკაცებში კვერით ბრტყელი და ჩერგილივით მაღალი ჩანდა.

ზურია იცნო ზაქარია მკედელი, რომელიც გამომკედლად უყურებდა მას და დიდრონ თვალებში მრისხანება თუ დაცინვა ეხატებოდა.

თავისი ყოჩაღურა პასუხებით ზურია ცდილობდა გაექარწყლებინა ის უხერხულობა, რომელიც ყმაწვილს შეიპყრობს ხოლმე მოზრდილების წრეში, სადაც სრულიად მოულოდნელად ამოყო თავი, მაგრამ ეს უფრო აძლიერებდა ამ უხერხულობას.

ორიოდე წუთის შემდეგ მან სირბილით განაგრძო გზა იმ მხარეს, საითაც

არტელის კანტორა ეგულვებოდა. სა-
შვედლოს დერეფანში კიდევ გაის-
მა თავშეკავებული სიცილი, მერე მკედ-
ლის შეძახილი, რომელიც ზურიამ ვერ
გაარჩია, მაგრამ დარწმუნებული იყო,
რომ მას შეეხებოდა. სიცილი მიწყდა.
ახლა ოფოფა კვერის კანტიკუნტი კაჟ-
ნილა წვდებოდა სმენას.

არტელის კანტორის ჭიშკართან და-
ბალ-დაბალი, საოცრად გამხდარი კაცი
წამოეწია. ერთი შეხედვით იქნებ მთვრა-
ლადაც მიგელოთ ეს კაცი. ფეხები
უცურდებოდა ბილიკზე და ზემოთ აწე-
ული მარჯვენა ხელით წონასწორობას
იკავდა. ეტყობოდა, მარცხენა დაშავე-
ბული ჰქონდა, უსიცოცხლოდ ეღო იგი
ჩონხისმაგვარი ბეწვიანი პალტოს ჯი-
ბეში.

ზურიას რომ გაუსწორდა, უღიმღამო
სახე მოაბრუნა, ხელი ჩამოუშვა და
ისე მოულოდნელად გაჩერდა, თითქოს
ხრამს წასდგომოდეს.

ნუთუ ვერ იცნო ეგნატე ბიძიამ! ეს
ხომ ზურიაა, ზურია მინდელი!

ბიჭი თვითონ აპირებდა წუთით ჩამო-
ვარდნილი მყუდროების დარღვევას,
მაგრამ ეგნატეს ისე შეეცვალა სახე,
ისე გაუბრწყინდა ორიოდ წამის წინ
ჩამქრალი თვალები, რომ ხმის ამოდება
ველარ მოახერხა.

— ვის ვხედავ ამას? ზურია ხარ, ბი-
ჭო? — წამოიძახა ეგნატემ გაგუდული
ხმით და მისკენ წამოვიდა. გაურკვე-
ველი ბუბუბუტით ჯანსაღი ხელი მოჰხ-
ვია და გაუპარსავი ცივი სახით ყვრი-
მალზე შეეხო ზურიას, — ზურია ხარ,
ბიჭო, ზურია? — იმეორებდა იგი და
კიდევ უფრო იკრავდა ბიჭს უხერხულად
მობრლი ღონიერი მარჯვენა ხე-
ლით, — საიდან, ბიჭო, როგორ? — ეკი-
თსებოდა და პასუხის გაცემასაც აღარ
აძლევდა, — ასე უცებ, მოულოდნელად...

ზურიას არ ახსოვდა მამაკაცის ალერ-
სი. ვერც კი წარმოედგინა, თუ ეს შესა-
ძლებელი იყო. სული ეხუთებოდა. უნ-
დოდა როგორმე გაენთავისუფლებინა
თავი ეგნატეს ხვეწინსაგან, მაგრამ ამ
უქანასქნელის ხმაში განუახლებრელ სი-

ხარულთან შერწყმული ტირილი ისმო-
და და ამან შეუბოროკა ხელები...
— როდის ჩამოხვედები? — მით-
თხა ეგნატემ, როცა აღერსით გული
იჯერა და მოეშვა.

— გუშინ, — მოკლედ მიუგო ზუ-
რიამ.

— მარტო თუ... — კიდევ უფრო აუ-
ციმიკმდა აზრიანი თვალები ეგნატეს.

— არა, დედაც ჩამოვიდა. ყველა აქ
ვართ.

ეგნატე გარინდდა. არაჩვეულებრივად
კეთილი, სათნო თვალები ერთ წერტილ-
ზე გაუჩერდა.

— შენ რას შერები, ეგნატე ბიძია,
რავა ხარ? — დაარღვია სიჩუმე ზურია
და თვითონაც ველარ მისცა თავს ანგა-
რიში, საიდან მოადგა სწორედ ის სიტ-
ყვები, რომლებიც სწორედ ამ წუთს იყო
საჭირო.

— მე რა მიჭირს, ვარ... — თქვა ეგნა-
ტემ, რომელიც თითქოს ფიქრებიდან
გამოერკვა და გული დაწყდა, რომ ისიც
გაიხსენეს, — ბოო, — გააგრძელა მე-
რე, — ჩამოხვედით აბა, გუშინ ჩამოხვე-
დით... აქეთ მიდიხარ? სად მიდიოდი?
კანტორაში მიდიხარ? იმისთანა არეუ-
ლობა არის ახლა... — სადღაც სხვაგან გა-
დავარდა ეგნატე, მაგრამ მალე ისევ
იპოვნა სათქმელი, — კანტორაში მიდი-
ხარ, ზურია? რამხელა გაზრდილხარ,
ბიჭო. სადმე რომ შემხვედროდი, ვერ
გიცნობდი... შენ მიცნობდი?

— მე კი.

— დღი ხანია, რაც თქვენ წახვედით.
მეხუთე წელიწადია აგერ. სულ ვფიქ-
რობდი, აგერ ჩამოვლიან, აგერ ჩამოვ-
ლიან...

— ეგნატე ბიძია, შეშავე გამომავხაე-
ნა დედამ. თვითონ მოდიოდა. მე არ ვა-
მოცემე, — შეცვალა საუბრის საგანი
ზურია, — რა ვქნა, ვის უნდა ვუთხრა?
იქნება ან ბილეთი მომიცენ ან...

ეგნატე შეწუხდა. მერე მალევე
ჩასქიდა ხელი ზურიას და კანტორის
ეზოში შეიყვანა. კიბე ასე აიარეს, ვიწ-
რო დერეფანშიაც ასე შევიდნენ. ეგნა-

ტემ მხრით შეალო მწვანედ შეღებილი კარი.

ერთადერთ მაუღდადაფარებულ მაგიდას ექვსიოდე ადამიანი შემოსხდომოდა. ფანჯარასთან ღუმელი გუზგუზებდა. ნისკარტა ქალიშვილი ახლად შემოტანილ შეშას აწყობდა კუთხეში. მაგიდასთან მიმდგარი თავშიშველი მამაკაცი ვილაკას ელაპარაკებოდა ტელეფონით, დანარჩენები კი იმგვარი ყურადღებით უსმენდნენ, თითქოს მთელი მათი მომავალი ცხოვრება ყურმილში ჩაძახებულ სიტყვებზე ყოფილიყოს დამოკიდებული.

ზურიას აზრით სწორედ ეს უნდა ყოფილიყო არტელის თავმჯდომარე.

თავმჯდომარე ახლა ისეთი მაღალი ხმით გაიძახოდა რალაკას, რომ ერთადერთი ფანჯრის მინები ზრიალებდნენ სადად მოწყობილ კაბინეტში.

მერხზე მჯდომი მომლოდინე ბერიკაცები ოდნავ წამოიწვედნენ ხოლმე, ყვარჯენს დაეყრდნობოდნენ, ხოლო როდესაც თავმჯდომარე ხმას დაუწევდა და შედარებით უფრო მშვიდად განაგრძობდა ლაპარაკს, ფრთხილად ისევ დაეშვებოდნენ მერხზე.

უცხლგამძლე ყუთთან თავჩაქინდრული პეპიჩა იღგა. კისერზე ჩაბალახის ტოტები შემოეხსნა და მთლიანად მოუჩანდა მაღალი, ყოყიანი ყელი. იგი გვერდშეკეცივით იღგა, თავმჯდომარის ლაპარაკს უგდებდა ყურს და ახლად შემოსულებს ვერ ხედავდა. რა ამბით ჰპირდებოდა პეტრე გუშინ დახმარებას, მერე კი უსირცხვილოდ გამოიქურჩა სადგურიდან!

უცებ სიჩუმე ჩამოვარდა. ეგნატემ ამით ისარგებლა. ერთი ნაბიჯით წინ წააყენა ზურია, რომელიც აქამდე ისევ ჩაბლუჯული ჰყავდა და გაგუდული ხმით დაიძახა:

— შეხედეთ ამას, ვინ მოვიყვანე!

ყველამ ზურიას და ეგნატეს შეხედა.

— ვერ იცანით? შალიკოს ბიჭია, მინდელის, — იმავე ხმით დაუმატა ეგნატემ.

დარცხვენილმა ზურია ბაბუასეული ბოხობი მოიხადა და გაოფლილ მუხლით გამოაჩინა.

ნისკარტა ქალიშვილმა წამოიძახა რალაკ ღუმელთან. ამას მხიარული ჩოჩქოლი მოჰყვა.

ზურია კიდევ უფრო გაწითლდა. თავი ჩალუნა და ქვეშევშვემ იყურებოდა. ახლა თვითონაც თანდათანობით იხსენებდა ყველას. ბაბუა იორამი... ისაია ბიძია... მაკარი, გუშინ რომ გზაზე შემოხვდათ და მისი გულისთვის წელამდე ჩავარდა თოვლში. ყველა გამოცვლილა, თითქოს ყველა დაბერებულა, მაგრამ ისევ ისეთები არიან, როგორც ზურიას ახსოვდა.

გარს შემოეხვივნენ. ვინ ვის ასწრებდა. სულ ბოლოს მაკარი წამოღდა წინ და ხელი ჩამოართვა. ზურიას სინარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. ბედნიერებამ თვალის დაუბნელა და დამუნჯა კიდეც.

მაკარი რალაკას ლაპარაკობდა, მაგრამ ზურიას მხოლოდ კანტიკენტად ესმოდა მისი სიტყვები. კარგი გიქნიათ, რომ ჩამოხვედითო, ამბობდა მაკარი და თან სინანულს გამოსთქვამდა, რომ გუშინ, გზაში შეხვედრისას ვერცერთი მათგანი ვერ იცნო. სოფელში სულ ბერიკაცები და ბებრუხანები დაერჩით, საბრინჯე ხალხიო. მანქანა ვერ იქსკაცის მაგიერობას, ადამიანები გვინდაო...

ეს ძალზე მოსაწყენი იყო. ზურია აღარ უგდებდა ყურს და თვალთ ეგნატეს დეკემბდა, მისი იმედი ჰქონდა, რადგან ამდენ ხალხში უხერხულზე უხერხული იქნებოდა თავისი სათხოვარის გამკლავება.

სანამ დარბაისელი მოხუცი ლაპარაკობდა, ყველამ მოასწრო თავისებურად მოეკითხა მამის ფუძეზე დაბრუნებული ახალგაზრდა მეზობელი.

— მამაშენის რა იცით, ზურია? — იკითხა მაკარმა.

— არაფერი.

— წერილი აღარ მიგიწერიათ მოსკოვში?

— მიეწერეთ, კი. ისევ იმისთანა პასუხი მოვიდა.

— ეპ, რას იზამ! — ამოიოხრა მაკარმა, — ბაბუაშენი რასა იქს, სიბერეს ხომ არ შეუშინებია?

— იცნობთ? — თვალი თვალში გაუყარა ზურია და რატომღაც ესიამოვნა ეს.

— იმე, აბა ძველი ყონალები ვართ. ბაბუაშენი, სპირიდონი, ჯარში ნამყოფია. წინათ, ნიკოლოზას დროს ვმსახურობდით. თოფ-იარაღის შეკეთება ემარჯვებოდა ბაბუაშენს. ისე მოგიმართაოდა სასხლეტმოშლილ ბერდენას, ავის თვალს არ დაანახებდით, აბა? ამ ბოლო დროს დამივიწყა. ვერცხლის კბილები კიდევ აქვს თუ გაუცვდა?

— რა გაუცვთა, ვერცხლი მაგარია.

— მაგარი კი, მაგრამ დრო-ჟამი ყველაფერს ცვთს, დრო ყველაფერზე უფრო მაგარია.

პეპია ისევ მოშორებით იდგა და თმაწვერგათეთრებულ იორამს ედავებოდა. თავმჯდომარეს თავი ჩაელუნა. საკუთარ სახეს ჩაპყრიკიტებდა მაგიდის მინაში. ზურიაც კი მიხვდა, რომ ის ნაწყენი იყო ვიღაცაზე თუ რაღაცაზე და იმის ნამალევ თვალიერებაში ეგნატეს ძახილიც არ გაუგონია. დერეფანში რომ გამოჰყვა ეგნატეს, ზურია კიდევ იმას ფიქრობდა, ვინზე უნდა ყოფილიყო თავმჯდომარე ნაწყენი.

— წამო, ბიძიკო, წამო, ზურია, — ეუბნებოდა ეგნატე.

ახლა უფრო შესაბრალისი, უმწეო გამოიმეტყველება მისცემოდა ამ კაცს. ნაწვიმარ კლდესავით ჩამორეციბილი უფერული სახე კიდევ უფრო ჩამოსტიროდა.

— გაეხარდათ, ბიჭო, ხედავ? გაეხარდათ... — ამბობდა იგი და ხელს უქერდა ზურიას მკლავზე, — ახლა რა უნდა შემოგასახელო, ზურია... ხათუნას უთხარი, ეგნატემ მოგიკითხათქვა. არ დაგავიწყდეს. ჩამოვალ მერე მე...

კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ მოეხერხებინა. ღრმად ამოიოხრა, მკლავზე ხელი მოუჭირა ისევ

ზურიას და მასთან ერთად ნელა, ჩანჩაღით ჩაიარა ახლად გადმოხვეტილ ქუჩის კიბე.

XII

ელეფთერ ლაშხი დილიდანვე არ გამოსულა სახლიდან. ნაშუალამევს ისევ აოჯა დაიწყო და ორი ციდა დაემატებინა სასიმიინდის თავზე. ამან შეაჩერა. სასიმიინდეს არასოდეს არ თოვლავდნენ, რადგან ბოძები მუხის გულისა ჰქონდა და მოფარებულ ადგილზე იდგა. სახლს კი უუპველად დასპირდებოდა დღეს თოვლის გადმოყრა. ამ მიზნით საშინაოდ გამოეწყო ელეფთერი. ზემოდან მამის ნაქონი ჩოხა გადაიკვა. ლილიკი-ლოები ვერასგზით ვერ შეისვენა და ჩოხა წინ ჩახსნილი ჰქონდა.

ჯერ კიშკარი გაამაგრა ბასკებით, მერე ეენახისაკენ უხეიროდ გადახნეჭილი საქათმე. თუმცა ნაჯახი დაბლაგვებული იყო და ხელს არ ემორჩილებოდა, მუშაობამ ისე გაიტაცა, რომ გადაწყვიტა, სახლის თავიდან თოვლს გადმოეყრი თუ არა, ცხელ გულზე ხელახლა შემოეფელი და კრამიტებს გამოეცვლიო.

ნასაუზმევს სახლის თავზე ავიდა.

მუნჯი ყველგან თან ახლდა. ერთგულად შეჩერებოდა ხელებში, რათა საჭირო ხელსაწყო, ყადაღა-ლურსმანი იქნებოდა თუ პირდაფიქნილი გელა, თავის დროზე მიეწოდებინა.

ჩამოსვლის პირველ ხანებში ელეფთერს ზიზლს ჰგვრიდა მუნჯის ამგვარი ავადმყოფური გულმოდგინება, მაგრამ საბრალო ქალის ყოველი მოქმედება იმკვარი ძალდაუტანებლობითა და გულწრფელობით იყო გამსჭვალული, რომ ბოლოს მიეჩვია.

სახლის თავზე რომ ავიდნენ, საიდანაც მთელი საკაურა ხელისგულზე გამლილივით მოჩანდა, ელეფთერმა კანტორის ეზოს ჩასწერივ, პაწია ბაკში მდგარ ქვითკირის ქოხმახს დაადგა თვალი და მუნჯეს ჰკითხა, იმ სახლში ვინ ცხოვრობსო.

ეს რომ თქვა, უცებ გაახსენდა, რომ მისი თანაშემწე ყრუ-მუნჯი იყო და რატომღაც შერცხვა თავისი შეკითხვის გადაწყვეტის. ხელი ჩაიქნია და ნიჩაბი მოიმარჯვა.

მუნჯა მიხვდა, რომ რაღაც ჰკითხეს. მას გამოლაპარაკება სწყუროდა. ადრინდელიდან მოკიდებული ისე ეხმარებოდა ელექტერს, რომ ამ უქანასკნელს ერთხელაც არ მიუქცევია მისთვის ყურადღება.

ახლა კი, როგორც კი მიხვდა, ელექტერმა დაილაპარაკა, მხარზე უბიძგა და ვაჟაკური მარჯვენა ხელი თვალბთან გაიქნია, აქაოდა, რა თქვიო?

ელექტერმა თავი ასწია და ოფლიან სახეში შეხვდა.

მუნჯის სახე იმდენ ცნობისმოყვარეობას და იმდენ დაუქმყოფილებელ სურვილებს გამოხატავდა, რომ ის იძულებული გახდა თითი მეზობელ ოდებისაგან გამორჩეულ საცოდავ ქონახისაგან გაეშვირა და მერე, სწორედ მუნჯის მსგავსად, ცხვირწინ გაექანებინა ხელი, აქაოდა „ის ვისია“, ან „იქ ვინ ცხოვრობსო“?

მუნჯი შეკითხვას მიხვდა და აღტაცებული იმით, რომ მიხვდა, ოდესღაც ლაქდავა, ახლა კი ოდნავ ფერნაკრავი ლოყები გამოებრა, მერე ორივე ხელი თავს ზემოთ ასწია და თვალები გადმოქაჩა.

ამით მას უნდოდა ეთქვა, რომ სახლი ისეთ კაცს ეკუთვნის, რომელსაც თავი დიდი ვინმე ჰგონია, მაგრამ ნამდვილად ჩირადაც არ ღირსო.

ელექტერმა ასე გაიგო მუნჯის პასუხი. მუნჯიც მიხვდა, რომ ელექტერმა გაიგო და მის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. ამან იმდენად გაათამამა, რომ მთელი სოფლის ახალი ამბების მოყოლა იდო თავს. ფერმის გრძელი ფარდულეების იქით ხეხილებში ჩადგმული პაწაწინა ქოხი დაანახვა. უთხრა, ის ქოხი ვისიც იყო, ომში მოჰკლეს და ახლა იქ აღარავინ ცხოვრობსო. ახალგაზრდა, ლამაზი ცოლი და სამი პატარა ბიჭი დარჩაო. მერე თვალები დახუჭა. ამ

დროს მისმა სახემ ვნებიანი გამომეტყველება მიიღო და ელექტერი ამან გააკვირვა. ადრე ის იმანზე არ დაფიქრებულა, რომ მუნჯიაც ქალი იყო და თავისი სურვილები გაახსნა. თავისუფლად შეეძლო მის წინ გაეხადა, სრულიად შორიდან შოკიერებულად მოქცეულიყო, მაგრამ თავისმა ამ ახალმა აღმოჩენამ რატომღაც შეაშფოთა.

ომში სხვაც ბევრი მოეკლათ.

მერე ელექტერმა მუნჯიასაგან გაიგო, რომ თვითონ ის, მუნჯია, კოლმეურნეობაში მუშაობს. წინათ დედა და უფროსი დაც მუშაობდნენ, მაგრამ დედა დაბერდა, დას კუქის კიბო აღმოაჩნდა, შარშან მოკვდა და დამარხეს. სოფელიც დაეხმარა. შესაწირავი ყველამ მოიტანა. თვითონ მან, მუნჯიამ, ბევრი იტირა. ის უნდა მომკვდარიყო, მისი და კი არა. ახლა თვათხაც ავადმყოფობს, მაგრამ მუშაობა შეუძლია. კიდევ აქვს ძალა.

ეს რომ თქვა, სახე აუფერადდა და თავის სიცოცხლეში პირველად შეხვდა ელექტერს თვალბებში. კარგი იქნება, რომ ელექტერი აქ დარჩებოდეს სამუდამოდ, — მუდარით განაგრძობდა იგი, — აქ სჯობია. რა უნდა ქალაქში იქ დიდი სახლებია, მაგრამ იქა არ არის. არც ტყე არის.

ელექტერი რომ საუბრით გატაცებულ მუნჯეს შესცქეროდა და ძრწოლვით ფიქრობდა თავის ახალ აღმოჩენაზე, ქალმა უცებ წარბები შეჰყარა, დასასოფლო გზას დააცქერდა. ელექტერიც შემოტრიალდა და ქვემოთ გადაიხვდა.

ამბერკის წიფელთან ოთხმა თუ ხუთმა კაცმა შემოუხვია ორლობეში.

მუნჯი აქეთ იშვერდა ხელს და რაღაცას ამბობდა. რაოდენ დიდი იყო ელექტერის სურვილი რაიმე გაეგო, მაგრამ თავისი მოსაუბრის მინიმუმებისაგან მაინც ვერაფერ გამოიტანა.

მის განცვიფრებას საზღვარი აღარ ჰქონდა, როცა მუნჯმა ჯერ კიდევ დაუსველებელი ნიჩაბი გამოართვა, ოღონდ მიდგმული გადაბმული კიბის თავი მო-

ძებნა და ელეთერს ანიშნა შენც თან გამოწყვიო.

ეზოში ასე აღრიანად ჩამოსული ელეთერი რომ დაინახა, სადილის სამზადისში გართული ელენე გარეთ გამოვიდა და როგორც ხანში შესულ უშვილო ქალებს სჩვევიათ ხოლმე, ალერსიანად ჰუითხა ქმარს:

— რად ჩამოხვედი, ელეთერ, ხომ არაფერი იწყინე?

ელეთერმა პასუხის გაცემაც ვერ მოასწრო; რომ ოდის კიბზე მუნჯია გამოჩნდა. ხელში მისი საგარეო ტანსაცმელი და ფეტრის შლიაბა ეკავა.

— რა მოხდა? — ახლა კი შემფოთებით იკითხა პურის ცომში ხელებდასვრილმა ელენემ.

— ვერაფერი გამოვიდა, — მიუგო ელეთერმა, — სამკვდლოსთან ხალხმა შემოუხვია. ეს რაღაცას მეუბნებოდა. ვერაფერს მივუხვდი.

— საოცარია!

— რა არის საოცარი, სტუმარი? დაუძახე ერთი, რად უნდა, რომ მოარბენინებს ემ ტანისამოსს.

— ვაი, სახლი რომ დაულაგებელი მაქვს?

— რა უჭირს, ზემოთ ავიყვან. არ მინდა, მუნჯია, არა. რად მინდა, რომ მოგაქვს. მღვდელი ჰილოფშიც იცნობა, — ნაძალადევად გაიღიმა ელეთერმა და კიდევ დაავიწყდა, რომ მუნჯიას მისი სიტყვები არ ესმოდა.

მუნჯი მაინც მოვიდა. ტანსაცმელი მიაჩნა.

ელეთერმა ხელი ჩაიქნია. ნებას დაჰყვა. ის იყო სახელოში მარჯვენა გაუყარა, რომ ჯალხანამაც შეჰყეფა, მაგრამ ყეფა სადღაც შორიდან მოისმოდა. ელეთერმა შემდეგ შეიტყო, რომ თადარიგიან მუნჯიას წინასწარ საქათმეში დაემწყვდია ჯაქვით მავთულზე გამოზებული ქოფაკი.

ქიშკარს ვილაც შევალტოიანი შეუახნის კაცი მოადგა. ძაღლის ყეფას არც კი დარიდებია, ისე შემოვიდა ეზოში და მუნჯეს თავი დაუქნია. მუნჯემაც დაუკრა თავი. ელეთერი ამ დროს გადმოდგა

დერეფანში. მის დანახვისთანავე შევალტოიანმა კეპი მოიხადა და მთწიწებით ჰკითხა, დოცენტი ელეთერს ღამის ის ბრძანდებოდა თუ არა.

— დიახ, მე გახლავართ, — გაკვირვებით მიუგო ელეთერმა, და მოსულს თავზიანად წაუძღვა დერეფნისაკენ — მობრძანდით!

— უკაცრავად ვარ, — მოწიწებით განაგრძო შევალტოიანმა, რომელსაც ეტყობოდა თვალს სჭრიდა სწორედ ამ წუთს ნახსენები სამეცნიერო ტიტული, — მე წავალ და მოვახსენებ, რომ თქვენ შინ ბრძანდებით, — ხოლო როცა ელეთერის სახეს გაკვირვება შენიშნა, თავზიანად დაუმატა, — მე შოფერი გახლავართ, მძღოლი, დიახ... ლაზარჩის თქვენი ნახვა უნდა. მე მისი შოფერი გახლავართ, — და რადგანაც ამით ყველაფერი ახსნილ-განმარტებულად ჩასთვალა, ორივე ხელის მოხმარებით ქუდი დაიხურა და მალე თვალს მიეფარა.

ელენეს ხელების დაბანვა მოესწრო და დერეფანში გამოსულიყო.

მუნჯია აღარსად ჩანდა. ალბათ დაირცხვინა და სტუმრებთან გამოჩენას აღარ აპირებდა.

— რა ამბავია, ელეთერ? — ჩურჩულით დაიძახა ელენემ.

ელეთერმა მხრების აჩეჩვით უპასუხა:

— არ ვიცი სწორედ.

— ვინ იყო ის კაცი, სად წავიდა?

— შოფერი ვარო.

— მერე?

— მერე, ლაზარჩის შენი ნახვა უნდაო. ახლა წავალ და მოვახსენებო.

— გასულიყავი, ელეთერ, იქნება მინისტრია...

— მოიცა! მოდიან მგონი.

— შიგნით შემოვლენ თუ იცი?

— რა ვიცი ახლა მე ეგ, ელიყო. ხედავ, მეც აქა ვარ და შენც.

— გულმოსასვლელი რა გითხარი მერე?

— იმნაირად შეეკითხები ადამიანს რომ... — ბოდიშის კილოზე წაილაპარაკა ელეთერმა, რომელსაც მთელი

გულისყური ორლობის მოსახვევზე გადაეტანა.

— ალბათ შემოვლენ, — დაასკვნა ელენემ.

— ალბათ.

— მერე სახლი რომ არ მაქვს დაღებულნი?

— შედი შინ, ელიკო, გენაცვალე. მამეცი ეგ ქუდი აქ, — თავშეკავებული წყრომით წარმოსთქვა ელეთერმა, — ნუ ამომამერე სული მაგ შენი სახლით. მე დაპატივებული არაეინ მყოლია, წინასწარ რომ მოვმზადებულიყავი.

— გამარჯობა, ელეთერ, ბატონო! — ორლობიდანვე დაიძახა პეპინამ და რადგანაც ქიშკარი დაკეტილი ეგონა, ღობის სარებს მოეჭიდა და ტანის ერთი მოქნევით გადმოეშვა ეზოში.

ელეთერი მისკენ წამოვიდა.

— რა ამბავია, ვინ მოდის, კაცო, რომ აქამდე ვერ მოაღწია, — მიმართა მოსულს პასუხის მაგიერად.

— არაეინ, ჩვენი ლაზარიჩია და ბორისი. ლაზარიჩი კანტორაში გადმოვიდა და შენი ნახვაც მოისურვა.

— ლაზარიჩი? ვინ არის ლაზარიჩი, კაცო?

პეტრე მიროტაძემ გაკვირვებით შეხედა, ეს რა გამოუსვლელ კაცთან მქონდა საქმეო.

— ლაზარიჩი ჩვენი რაიკომის მდივანია, ნათლბა, ბატონო, არ იცნობ თუ? გუშინ იმასთან არ იყავი? — თქვა პეპინამ და ისე გულიანად გაიცინა, რომ ალბათ ჯალხანას ეგონა მე მახელეებნო და ჭამებები ააკრიბა საქათმეში.

ძალის ყფებაზე პეტრემ უნებურად ძირს დაიხედა, მერე ეზოს მოავლო თვალი.

— დაბმულია ხომ, ამბერკიჩი?

მაგრამ ელეთერს ეს აღარ გაუგონია. მან ქიშკარი გამოაღო და ორლობეში გავიდა, რათა უცხო სტუმარს იქვე შეგებებოდა.

ორლობეში საშუალო ტანის სათვალეებიანი კაცი მოდიოდა და ხმადაბლა ელაპარაკებოდა მის უკან მომავალს.

ბილიკი ვიწრო იყო. კაცი კაცს გვერდს ვერ აუქცევდა და ამიტომ ჩამწყრივებული მოდიოდნენ.

ელეთერი სათვალეებიანის უკან მომავალს ვერ ხედავდა, მაგრამ წუთით თვალი შეასწრო მოკლესახელოებიდან გამოყრილ შიშველ ხელებს და წამსვე მიხვდა, ეს ვინც უნდა ყოფილიყო.

სათვალეებიანი, სუსტი აგებულების ქალურად ნაზი კაცი, რომელსაც ასეთივე რბილი, ხვეწარდოვანი ხმა ჰქონდა, წიფლისწყაროს რაიკომის მდივანი უნა მესხი იყო.

მესხმა ყველაზე ადრე დაინახა მის შესახვედრად წამოსული ელეთერი, საუბარს თავი გაანება და ნაბიჯს აუჩქარა.

— სულ არ გელოდით, ამხანაგო უნა, — შემკრთალი ღიმილით მიეგება ელეთერი და რაიკომის მდივნის პატარა ხელს თავისი ვაკეკაციური ხელი მოუჭირა, — მობრძანდით!

— თქვენ უკვე ჩაგიცვამთ, ელეთერ-ბატონო, — თავაზიანად თქვა მესხმა და შუბლმეკრულ კალისტრატეს შეხედა, რომელიც თოვლში გადამდგარიყო და უკან დარჩენილებისათვის გზა მიეცა, — პატივცემული კალისტრატე კმაყოფილი არ არის ჩვენი მუშაობით. თქვენ იცით ეს?

საკურელმა თავაკებმა, რომლებიც კალისტრატეს ზურგსუკან იდგნენ, გაიღიმეს, რაც მაშინვე თვალში მოხვდა ელეთერს, არ მოეწონა და თვითონაც კალისტრატესავით შეიკრა შუბლი.

— არ მესმის რაზე ლაპარაკობთ? — თქვა მან და აზრით დაამთვრა: „მერე მე რა შუაში ვარ მანდ?“

— ამბობენ, აქედან კარგად მოჩანს საენახე ნაკეთებო, — თქვა მესხმა ისე, რომ ყურადღება არ მიუქცევია ელეთერის შენიშვნისათვის, — ავიწიოთ კიდევ თუ შევჩერდეთ აქ?

— ასე, ა, თეთრ მიწებზე, ლაზარიჩი! — დაიძახა პეპინამ, რომელიც სწორედ ამ დროს გამოვიდა ქიშკარში და ორივე ხელი მთისკალთაში შეჭრილ ტაფობისაკენ გაიშვირა.

ის ყველაზე წინ მიდიოდა. უშველებელ ნაბიჯებს ადგამდა და მალიმალ იხედებოდა უკან, მომდევნ თუ არაო.

გზა კლდოვან აღმართზე უხვევდა, მერე ირიბად გადიოდა ვენახის ბოლოს. ყორის ქვეშ თოვლით ამოვსებული ორმოები მოჩანდა. ამათ წინ კი ადგილი მოვაკებული იყო. ორმოებიდან საშენ მიწას იღებდნენ ხოლმე, მაგრამ უიღ ზამთარს ორმოები მიეფიჭებინა და ცხადი იყო, რომ თოვლის დაღების შემდეგ მათ ფსკერს წერაქვი აღარ შეხებოდა.

პეპიამ სწორედ ამ მოვაკებულ ადგილზე აირბინა და შეჩერდა. აქედან კიდევ უფრო ცხადლივ მოჩანდა მეზობელ ოღებში გამორჩეული მისი საცოდავი ქვითყორის ქოხი, მოჩანდა დერეფანში გამოსული კრუხი და ვაშლის მორის გადანაპერზე დაქლობილი ნაჯახი. პეპიამ თოვლზე გაბნეულ ახლად დაპობილ შესასაც მოჰკრა თვალი. ჯერ კიდევ არ შეეტანათ შინ. ამის დამნახავს ბოლმა მოაწვა: „რით გინდა იცხოვრო ამ არაქელა ხალხის ხელს, — ფიქრობდა იგი თავის ცოლშვილზე, — შიტომაც არის, რომ არაფერი გამოჩნია“.

დერეფანში სულ უმცროსი, მამის საწვკარი ლალი გამოვარდა. გრძელი კაზა ფეხებში ებლანდებოდა. ალბათ ფეხშიშველა იყო, რადგან ღია კარებში ახლა ედუკი გამოვიდა, პატარას მაჯაში წაატანა ხელი და ერთი-ორი მიუტყაპუნა უკანალზე. „უყურე ერთი ამ მალგალაკს, — სადღაც სულის სიღრმეში გაედიმა პეტრეს, — ცოტა წამოიზრდება თუ არა, სახლში ვეღარ დავაკავებთ. რა გეშველება, პა?“

ფეხშიშველა ლალი კიდევ გამოექცა დედამისს. ამჯერად მთელი დერეფანი გაირბინა. თოვლში აპირებდა გადალოლებას, მაგრამ აქ, საწვიმრებთან დაიჭირეს.

პეტრემ მუშტი ჩაიქნია და რაღაც წაიბუტბუტა. ახლა რომ შინ ყოფილიყო, არც ერთს არ დააყრიდა ხეირს, არც დიდს და არც პატარას.

— რა იყო, პეტრე, არ მოგწონს თვალში? — მოესმა ამ დროს ბორისის ხმა და თავი ასწია რის წუთით დააბნია ბორისის ჩარევამ, რადგან ცერკა გაეგო, რას ეკითხებოდნენ, მაგრამ მაინც არ დაუყოვნებია:

— გადასახლება რომ არის, ყარამანიჩ, გადასახლება, — წაიჩურჩულა მან ისე, რომ ყველას გაეგონა, — რას მიყურებ? ასპინძაში და ბოლნისში რომ ასახლებენ სოფლებს... ერთი იმდენად ბედნიერი მქნა, რომ ეს ჩვენი სოფელიც გაახსენდებოდეს ვისმე. რა ყრია აქანა, მუშაობ, მუშაობ და არაფერი! — უფრო საიდუმლოდ განაგრძო მან, — მერე რა ხალხი, რა ხალხი, ნე დაი ბოგ! ერთი იმნაირ ადგილზე დამასახლა, რომ თვალთ არ დამანახვა საკაურელი კაცი, მე ვიცი მერე და ჩემმა ბიჭობამ. აგიყრიან გულს ყველაფერზე, მოგშხამავენ. რაც შენ გინდა, მაინცდამაინც ის არ უნდა იმას. გამოგონია ასე? რა მოხდა, კაცი, გააშენეთ ვენახიო, ხომ არ ამოთხარეთო, ეს ოხერი და ტიელი, — აქ კი ხმას აუმაღლა პეპიამ და განაგრძო: — გავაშენოთ, მოვრჩეთ და მოვისვენოთ. რა გახდა, რა არის ამდენი სალაპარაკო. ასე რომ გვეპოვმანა ჩვენ, სოციალიზმს ავაშენებდით? შენი მტერი არ არის...

— ეჰ, ჩემო პეტრე, შენსავით რომ ფიქრობდეს ყველა... — შეკავებული ღიმილით წაილაპარაკა ბორისმა.

პეტრეს მალალი ყელი მოედერებინა და აქეთ-იქით იყურებოდა. ის გულდაწყვეტილი იყო, რომ ვერავინ გაიგონა. მისი მამულიშვილური სიტყვები დარჩა ხმად მალადებლისა უდაბნოსა შინა. მაგრამ რაოდენ დიდი იყო მისი გაოცება და ბოლო ხანებში შემოჩვეული შიში, როცა ტაფობის პირას თავშეყრილ ხალხს კალისტრატე მასწავლებელი გამოეყო და გულდაგულ მისიკენ წამოვიდა.

— რას მიედ-მოედები შენ? შენ ლაპარაკობ სოციალიზმის აშენებაზე? — მუქარით მოსძახოდა იგი, — დუტ, შე მელაძეა, შე ქვეყნის გლაზა, ამას უყუ-

რე ერთი? კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახიზ ნახირო. იცი, რა არის სოციალიზმი? მოტრიალდი აქეთ, შეხედე ამას! — დაიყვირა გაცეცხლებულმა კალისტრატემ და პეპიისა ჯიკავ-ჯიკავით შემოაბრუნა სოფლის მხარეს, — ხედავ, რაში ცხოვრობ? მაგისტანა სალორე უღვას ზაქარა მჭედელს, ისაიას, ეგნატეს... ეგ არის შენი სოციალიზმი! შენ შენი ქოხი ვერ ავიშენებია, რომ შიშველ-ტიტველ ცოლშვილს თავი შეაფარებინო და ქვეყნის აშენებაზე დებ თავს? შე უნამუსო, შენ! — სულს ძლივს ითქვამდა კალისტრატე მასწავლებელი, — ასე რომ გვეკოქმანა, სოციალიზმს ვერ ავაშენებდითო! შენ ვინ გკითხავს, ეკოქმანობდით თუ ვრიკაობდით, მეცამეტე გოჭივით რომ გამოჰყოფ ყურს. შეხედე! შეხედე! ეგ არის შენი კაცობის სურათი. კარგად დააკვირდი და იცნობ შენს თავს. მშენებელი...

ქონხახის დერეფანში მოკრუხებულ დედალს მოეკალათებინა და ნაგავს ჩიჩქნიდა. მიტოვებული ნაჯახის ტარი ობლად აყირავებულიყო ჰაერში, თითქოს ვიღაცას უცდიდა.

— ეე! ეე! კონტრრევოლუციური ლაპარაკი... — თავი გადააქნია კალისტრატეს მოურიდებელი სიტყვებით იმედმოცემულმა პეპიჩამ, თითქოს ამით უნდოდა ეთქვა, ციცი, სადაც გაგსვლია, ისევ იქით ჰქენი პირი, ჩემს მხარეს ღობე-ყორეს ნუ ედებო, — მე ჩემი პატიოსანი შრომით, რაც შემეძლო, ის გავაკეთე.

ამაზე სულ გადაიჩია ისედაც აღზნებული კალისტრატე მასწავლებელი, შიშველი ხელები უფრო გამოჰყარა მოკლე სახელოებიდან და დაიყვირა:

— აბა შენი აზრით ის არის რევოლუციური ლაპარაკი, რომ პატიოსნად შრომობ და სოციალიზმის დროს კუჭიც ვერ გამოგიძლია?

ამის თქმა იყო და პოწყვეტილმა ტყაცანმა მოახედა ტაფობის პირას თავშეყრილი ხალხი.

ქალაქის ფურცელივით გაფითრებული პეპიჩა სახტად დარჩენილ ბორისს

გაეკავებინა. მას ვერასგზით ვერ გაეგო, როდის, და როგორ მოხდა ეს მჭეტრე ხმამაღლა სუნთქაედა. სანტორინის ნესტოები საოცრად ებერებოდა. თავშიშველი კალისტრატე აუნჩარებლად ეშვებოდა თავდაღმართნი და თავისთვის რაღაცას ბუზღუნებდა.

— გამიშვი! გამიშვი! — გაიძახოდა გულგაღვლილი პეპიჩა და ხელიდან უსხლტებოდა ბორისს, — გამიშვი, მე მაგას... მე თვითონ გავუსწორებდი მაგას, მაგ ქვეყნის მტერს, მაგას...

მესხი ბორისთან მივიდა და მკაცრად ჰკითხა:

— რა მოხდა აქ?

— არ ვიცი, — მიუგო ბორისმა და პეპიჩას ხელი უშვა.

როგორც კი იგრძნო, ახლა თავისუფალი ვარ და ოდნავდაც არის მინც შემიძლია სირცხვლის გამოსყიდვო, პეპიჩამ ერთი ისკუპა და მოსახვევისკენ გადაეშვა, მაგრამ აქ ელუფთერმა ჩააგლო ღონიერი ხელი და შეაჩერა.

— რა მოხდა, გეკითხები? — გაიმეორა რაიკომის მდივანმა.

გამჭვირვალე სათვალეების ქვეშ აქამდე უცნობი ცეცხლით იელვეს ერთი წამის წინ წყნარმა, ქალურმა თვალებმა.

ამან ერთბაშად შეცვალა ყველაფერი. თითქოს ჰაერიც კი გაიყინა.

— გითხარით, რომ არ ვიცი, ლაზარჩი, — ყუყუით წაილაპარაკა არტელის თავმჯდომარემ.

— როგორ თუ არ იცი, აქ იდექი და არ იცი?

— მარტო მე ხომ არ ვიდექი აქ, სხვებიც იღვანენ, — თავი იმართლა ბორისმა.

— სხვებს არ ვეკითხები მე, მე მინდა შენგან გაეგო სიმართლე.

ბორისმა თავი ასწია, ირგვლივ შემოხვეულთ გადახედა, მერე რაღაც გადაწყვიტა და პასუხი ბუზღუნით ჩაილაპარაკა.

— ხმამაღლა, არ ისმის! — ხელახლა გაისმა რაიკომის მდივნის მკაცრი ხმა.

— პატიოსნად შრომობ და კუჭი ვერ გამოგიძლია სოციალიზმის დროსო, — დამნაშავესავით გამოტყდა ბორისი.

— ვინ თქვა ეს?
 — მასწავლებელმა.
 — სტყუი!
 — ვტყუი? — თვალი გაუსწორა ბორისმა, — რა ძალა მადგია ტყუილი ვთქვა. რაც იყო, იმას გეუბნებით, ხომ არ მომელანდებოდა. აქ სხვებიც იყვნენ და გაიგონეს.

რაიკომის მდივანმა დანარჩენებს გადახედა, მაგრამ ხმას არავინ იღებდა.

— მი.დით თქვენ აქ, ამხანაგო მირატაძე! — მიუბრუნდა მესხი პეპიჩას, რომელსაც უკვე დაჰკარგოდა დადევნების სურვილი და ახლა გაღელილი ფარაჯის დუგმებს ისვენებდა.

პეტრე მორჩილად მიუახლოვდა, ორიოდ ნაბიჯის მოშორებით გაჩერდა და ხელები ჯარისკაცისთვის ჩამოუშვა.

— რა გითხრათ თქვენ მასწავლებელმა?

— ყარამანიჩმა მოგახსენათ ეგერ, ლაზარჩი... ხალხს აბუნტებს ეგ, ლაზარჩი... ვერიდებოდი მაგას მე, ლაზარჩი. ხალხს კითხეთ, თუ გინდათ, გუშინ სამკედლოში შემოვიდა კიდევ. ზაქარია...

— არ მპირდება მე ეგენი! — შეაწყვეტინა რაიკომის მდივანმა, — მითხარი, რა გითხრა მასწავლებელმა!

მესხის კილოთი ფერშეცვლილ პეპიჩას უნდოდა ისევ ბორისის ნათქვამი დაემოწმებინა, მაგრამ ვეღარ გაბედა. იძულებული გახდა ჩხუბის შინაარსი გადმოეცა და ადგილ-ადგილ შეელამაზებინა, რადგან დარწმუნებული იყო, ყველაფერი ეს დამთხვეული მასწავლებლის წინააღმდეგ ლაპარაკობდა.

მხოლოდ ჩხუბის დამსწრეს, ბორისს ესმოდა, რომ ბევრი რამ პეპიჩას ნალაპარაკებიდან სიმართლე არ იყო, მაგრამ თვითონ არაფერს ამბობდა. ქათამმა თხარა თხარა... ხელი რისთვის უნდა შეეშალა, მით უმეტეს, როცა ყველაფერი მისი ჩარევის გარეშე ხდებოდა. ბორისმა იცოდა მესხის სიტყვების ამბავი და დარწმუნებული იყო, რომ დღევანდელმა შემთხვევამ საბოლოოდ გადაწყვიტა კალისტრატეს ბედი. დღეის ამას იქით ვეღარ ჩაერეოდა კალისტრა-

ტე არტელის წვრილმანებში, საბჭოს ღონისძიებებში, რაიკომის აშბებში, — სადაც სრულებით არაფერი ენაქმებოდა. იგი ყურს აღარ უგდებდა პეპიჩას ლაპარაკს, რადგან მხოლოდ ის აინტერესებდა, რით დამთავრდებოდა ეს ამბავი, თვითონ მდივანი რას იტყოდა. მალულად უთვალთვალებდა თანასოფლელებს. საბჭოს თავმჯდომარეს მსხვილი წარბები შეეყარა და მარჯვენა ნიდაყვით სახელდახელოდ გამოჭრილ წინსაბიჯგს დაყრდნობოდა. ბორისს ვერ გაეგო, კმაყოფილი იყო თუ არა ის.

ელეფთერს პირი შეებრუნებინა და თავისი სახლის სახურავს გადასცქეროდა. სახურავზე მუნჯია ასულიყო და გულმოდგინედ იქნევდა ნიჩაბს. დროდადრო გაისმოდა დიდი სიმაღლიდან გადმოყრილი თოვლის დგაფუნი, რასაც კრამიტის გვირგვინზე ნიჩბის მოხვედრის ხმა მოსდევდა. „კიდევ დაამტკრებს ეს გადარეული!“ — ფიქრობდა ელეფთერი და უდილობდა მონაწილეობა არ მიეღო საქმეში, რომელსაც ის იყო ხლართავდნენ მისი მომძულვარე აღამიანის წინააღმდეგ.

ბორისმა ახლა მესხს შეხედა. ეს კაცი ისედაც უკმაყოფილო უნდა ყოფილიყო იმ ხმების გამო, რაც კალისტრატე მასწავლებლის გარშემო დადიოდა. თაფლისფერი, ოდნავ დამკინავი თვალები წყნარად იყურებოდნენ სათვალეების ქვემოდან.

ბორისმა დიდხანს უყურა რაიკომის მდივანს. რიდიც კი ჰქონდა, ერთბაშად მე არ შემომხედოს და არ დამინახოს ასე გაშტერებულიო; უყურა მანამ, სანამ მესხმა თბილი ქუდი არ ჩამოიწია, სათვალეები არ გაისწორა და ნახევრად არ შეაქცია ზურგი ქადაგად დავარდნილ პეპიჩას.

— ლოლაძე! სად არის ლოლაძე? — დაიძახა უცებ მან.

ბორისმა მარჯვნიდან შემოუარა და წინ გაუჩერდა.

— მე მგონია, თქვენთვის გასაგებია ყველაფერი, — განაგრძო რაიკომის მდი-

ვანმა, — რას იტყვი, პატრეცემულო ვლუფთერ.

ელეფთერი შეყოყმანდა. მას ვერ გავგო, რა უნდა ყოფილიყო გასაგები, ის, რაც კალისტრატე მასწავლებლის გარშემო ითქვა, თუ ის, რაზედაც მანამდე თათბირობდნენ, მაგრამ დარწმუნებულმა, რომ პასუხი ორივე შემთხვევისათვის გამოდგებოდა, მიუტოვა:

— გასაგებია, ამხანაგო უჩა.

— გასაგებია, ლაზარის, — დასძინა ბორისმაც.

— აბა აწი თქვენ იცით. ჩამოიარეთ ნაკვეთები და შეუდევით საქმეს.

მერე მესხმა დაასახელა რაიონის კოლმეურნეობები, სადაც უკვე დაეწყო მუშაობა და ფრთხილად დაეშვა კლდოვან თავდაღმართზე.

ელეფთერს უნდოდა შინ შეეწვია მესხი და მისი მზღებლები, მაგრამ იმის შემდეგ, რაც მოხდა, მოერიდა და ველარაფერი თქვა. ამ წუთიდან მას ერთგვარი აზრი გაუჩნდა წიფლისწყაროს რაიკომის მდივანზე. თუ კაცი პირველ შთაბეჭდილებებს ენდობოდა, მესხი საქმეში ჩახედული და სამართლიანი აღამიანი უნდა ყოფილიყო.

ბორისი წელმოწყვეტილივით მისდევდა ასაბიას. ბოლოს მაინც ისე დამთავრდა, რომ მდივანმა არაფერი თქვა. მას დღეიდან როგორი უნდა ყოფილიყო მისი დამოკიდებულება კალისტრატე მასწავლებლის მიმართ?

XIII

ხათუნა ნაშუადღევამდე ფუსფუსებდა. პატარებიც წამოეხმარნენ. ნაშუადღევს შეშით დატვირთული მარხილი მოადგა ჭიშკარს და რადგანაც ხარები თოვლში ჩაეფლნენ და შიშვე მარხილი გელარ ზიდეს, ზურიას მოყვანილმა კაცებმა იქვე გადმოყარეს შეშა ეზოში.

ხათუნას ბედნიერების შუქი ჩაუდგა თვალეზში. წამოჩიტული ზურია ოჯახის უფროსობას იჩემებდა. შეშის მოტანა პირველი საკაცო საქმე იყო, რომელიც მან დედის დაუხმარებლად გააკეთა.

პატარები ჭიშკარისკენ მიიწვედნენ. მათაც უნდოდათ წილი დაეღწათ მარხილის გადმოცლაში, მაგრამ დაეჭობა არ გაუშვა, კარები გადაარაზა.

ხათუნამ ახლალა შენიშნა, რომ, მიუხედავად შეუჩერებელი საქმიანობისა, დღეს თითქმის ვერაფერი მოესწრო, გაკეთებული ცოტა რამ ჩანდა, თუ ანგარიშში არ ჩავადგებთ გარეცხილ თეთრეულს და ჭრელ საბნის პირებს, რომლებიც ახლა ეზოში იყო გაფენილი. ყველაფერს თავი გაანება დასუფერის თადარიგს შეუდგა.

ამასობაში კარგმა დრომ განვლო. ხათუნა გამოხედვას აპირებდა, რომ დერეფანში ზურიამ დაიძახა:

— დედა, გაბმულ ხერხს გეიჭრის თუ იცი?

ხათუნამ კარი გამოაღო და საბტად დარჩა, როცა დერეფანში ზურიას მეტი ვერაფერი დაინახა.

— კაცები რაღა იქნენ, დედა, მარტო ხარ? — გაკვირვებით ჰკითხა მან შეილს და თვითონაც დერეფანში გამოვიდა.

— არ მოიცადეს და რა ვქნა, — მამაკაცური სიღარბისლით მიუგო ზურიამ.

— არ მოიცადეს? გული მოაყვანივ რამეზე თუ?

— გული კი არა, ის! უბატონოდ ხმა არ გაიძიო. ვეხვეწე და არ დარჩნენ, გვეჩქარებო.

— ვერ დამიძახე მერე?

— ყველაფერზე ხომ არ უნდა დავიძახო.

— რა ფეხები გამიხმა, გარეთ არ გამოვედი. მე ვთქვი, ეს-ეს არის, შემოვილიან-მეთქი, — შეწუხდა ხათუნა.

ამ წუთს კარის ჭრიალი გაისმა.

— აბა! — შეუტია ძმებს ზურიამ, — სად მიდიხართ!

პაულემ გაიღიმა. უკან მიიხედა. ღრიჭოდ გაღებულ კარს იქით შალვას გაკვირვებული სახე გამოჩნდა. ვის ათვალიერებდა პაული? ოჰ, ზურია ყოფილა, მარტო ზურია და დედა!

ცნობისმოყვარე ბიჭუნები გარეთ

იციკრებოდნენ. უყურებდნენ, როგორ იდგა დერეფანში მათი უფროსი ძმა, როგორ აპირებდნენ შეცივნილი ბედურები თხმელის ნაპობზე შეთამაშებას, უყურებდნენ, როგორ თოვთა გარეთ და როგორ ავსებდნენ ფანტელუბი ამ რამდენიმე წუთის წინ გატანილ კვალს.

— დედა, უყურე ერთი ამით! — დაიძახა განმეორებით ზურია, — რატომ არა გრცხვენია, პალიკო, კაცი რომ ვაგიცინებს, სულ კი არ უნდა გადაიხიო. შენ მაინც აღარა ხარ პატარა, ეგეც შენ გიყურებს. შედი შინ, მოკეტე კარი!

„არავის არ ესაქიროება უკაცო ოჯახი. ერთი ჭიჭა სასმელი და ცივი მკადის ნატები ქართველი კაცისათვის იგივეა, რაც ორმოცი ადამიანისათვის გაშლილ სუფრაზე დაპატყება. რაზე შემოვა! ერთხელ პატივი გცა და ხელმეორედ თავს რისთვის დაივალდებულებს!“ — ფიქრობდა ამ დროს ხათუნა. ოთახიდან რაღაცის გადმოვარდნის ხმა მოესმა.

— რას ეძებ, შვილო? — დაუძახა ზურია.

— ხერხი მინდა, — თავის მოუბრუნებლად უპასუხა სკამზე შემდგარმა ბიჭმა.

— ეს მთელი დღე ნაწმენდი იატაკი კი მომიჩეჩიანე და გამოდი, შე კაი კაცო, თოვლი მაინც დაიბერტყე.

— ახლავე. სადაც არის დაღამდება. ბავშვებს შეცივდებათ ამაღამ უცეცხლოდ.

ხათუნას არ ავირილებდა შვილის ეს სიტყვები. ვინ გაიწყვეს ბირდაბირსო, — უნდოდა ეთქვა, რადგანაც გული სტიკიოდა მშობლის თაყვანისმცემელ ზურიას, როცა დედას დაინახავდა საკაცო სამუშაოზე და ყოველთვის ცდარობდა ხელიდან გამოეგლიჯა ამგვარი სამუშაო.

ზურია გამოვიდა დერეფანში. გაბმული ხერხი გამოიტანა. პატარებიც გამოჰყენენ.

„ახლა რომ დანახვა მამამისს ხერხით ხელში“... — გაუელვა ხათუნას.

— ზურია, ამით უნდა დახერხო? — წამოიძახა შალვა.

— ამით უნდა დახერხო, ხო, შერე შენ რა გინდა!

— მე არაფერი. საიდან მოიტანე, ზურია, ამისთანა დიდი ხეები?

— ნუ ლაპარაკობ! — გაუწყრა ძმას პავლე, — რა შენი საქმეა, საიდანაც მოიტანა.

— დედა, ამას ქონი არ უნდა? გაქვს ქონი? — ახლა ხათუნას მიმართა ზურია, რადგან დიდხანს უქმად ნაგდება ხერხი ვერ დაიმორჩილა. ხან დამსკდარ კანს გამოედებოდა და ხან გულისამრევად გაიჭედებოდა ნოტიო ქრილში.

ხათუნამ იმ წამსვე გამოიტანა ჩვარში გახკეული ქონი. ზურია ჩამოართვა, ხერხი თვითონ გაიხა და თანაც თითქოს სხვათაშორის, ჩაილაპარაკა:

— საქმელი არაფერი გაქვს, დედა? ამდენ წანწალში მგელივით მომშივდა.

— კი, შვილო, კი, დედა შემოგველოს.

ამ სიტყვებით ხათუნამ განჯინას მიამურა, რომ გემრიელი და მსუყე რამ გამოეძებნა. ღვთის მოცემული, დღეს ბლომად ჰქონდათ სანოვაგე. დედის გამოტანებული ორი დედალი ხელუხლებლად ეწყო სინზე. მესამე სწორედ ამ დილას აქნა ხათუნამ და უმცროსებს დაურთა. ზურიას პირში ჯერ ლუქმა არ ჩასულყო. ხათუნას ახალა გაახსენდა: ლორიც ჰქონდა. დილით ჩამოკიდა ბუხრის წინ, კანჯოზე. ცეცხლს შეუკეთა და სკამზე შედგა, რომ ლორისათვის ხელისდადება ნაჭერი ჩამოეთალა.

გულდანდობილად ქრიდა ლორს ცხელი წყლით მოპირთავებულ ტაფაში და თან იმაზე ფიქრობდა, როგორი გაუთენდებოდა ზვალინდელი დღე-პირველყოელისა, სახლი იყო შესაქთებელი. თოვლს სახურავი დაეხიანებინა და ვინ იცის, დროზე რომ არ მოესწროთ და გადმოეთოვლათ, იქნებ ჩამოინგრია კიდეც. შალი რომ ჯერ კიდევ ომამდე მოიმარაგა საშენი მასალა. სანამ უკეთესი არ ჰქონდათ, დერეფან-

შევენიერ ოთახად გადაიქცეოდა, მაგრამ რომ აღარ დასცალდათ? მასალის ერთი ნაწილი თვითონ ხათუნამ გაყიდა ომის დროს, ნაწილი მეზობლებში გაასესხა. აგურის გარდა, ახლა ყველაფერი ზი ხელახლა უნდა შეეძინა. ყველაფერს ფული სჭირდება, მაგრამ სად იყო ამდენი ფული! აბრეშუმის პარკის დამზადებიდან შემორჩა ორიოდე გროში, ცოტა დედამაც გამოატანა... რა უნდა ექნა, ბავშვებს რომ პენსია არ ჰქონოდათ დანიშნული. ბევრი იყო თუ ცოტა, ფული მაინც ყოველთვიურად შემოდებოდა ოჯახში. წავიდა, ის წავიდა, მაგრამ ლუკმა მაინც არ გამოაცალა ბავშვებს... წავიდა, წავიდა...

მიუხედავად ამ მწარე ფიქრებისა, ხათუნა მაინც მხნედ გრძნობდა თავს. წინა დღეს ხელახლა დაანთო ცეცხლი საკუთარ კერაზე და თავისი მგრძანებელიც თვითონ გახდა. ამიერიდაც ველარავენი მოახვევდა თავის ნებას. ოჯახს ისე წაუძღვებოდა, როგორც შეეძლო. დილით მაინც შემოაწვამწვავე ტყვილი, წამოსვლის წინ მამას ამბავი რატომ არ ვიკითხოვ, მაგრამ მთელი ყანაჩველური სიჯიუტით შეებრძოლა ამ ტყვილს. ბოსელში იყო ის საბრალო მთელ ღამეს. ნეტავი რა ჰქნა, გარეთ რომ გამოვიდოდა და შინ აღარავინ დაუხვდა? იქნებ არც კი ეგონა, რომ ხათუნა ამდენს გაბედავდა.

ახლაც წელანდებურად დაეუფლა ხათუნას ის გრძნობა და წუთით გარინდებულმა შენიშნა, რომ ხელები უკანკალბოდა. „რა გემართებათ, ხელებო, რა?“ — ამოიხიზრა მან და ტაფა სამღებზე შედგა.

„მაგრამ სად არიან ამდენ ხანს? რატომ არავენ მოდის?“ — ეს მერამდენედ ეკითხებოდა თავისოვს ხათუნა და სულ ცდილობდა, ნაკლებ ეფიქრა ამასზე. ნუთუ აქამდე ვერ ვაიგვს მათი ჩამოსვლა, განა თოვდილე არ იტყვოდა სახლში? მერე მართა სად არის, ან ედუკი სად არის, ან სხვები სად არიან?

კარი გაიღო და ოთახში წამოქარბლებული პავლე შემოვიარდა. გარეთ

მოჩანდა თოვლში ნათრევი წამოყვლებული ტოტი, რომელზედაც ყურებდაცქვეტილი შალიკი გადამჯდარიყო; მოჩანდა აგრეთვე ზურიას წინ გადადგმული მარჯვენა ფეხი, რომელსაც თოვლის ფიქვებთან ერთად ნახამთრალია შეშის ნახერხიც ზედ მიფრქვეოდა. ზურია, ალბათ, პირს უქიმავედა ხერხს.

— ზურია ბირდაბირიო, დედა, — ქადაგებდა მუშაობის ეშში შესული პავლე, — ბირდაბირიო... გაბმული ხერხი გვერდზე მიდისო, ეკვეტებაო, დედა...

ხათუნამ თავი გადააქნია, განჯინის უკანიდან ბირდაბირი გადმოიღო, ჩერით მტვერი გადაწმინდა.

პავლე უმაღლე გაიჭრა დერეფანში. ხათუნაც მას მიჰყვა, თან იმას ფიქრობდა, რა მოუხერხო, რანაირად დახერხავენ ახლა შეშას ამ სიცივეშიო.

როგორც კი დედა დინახა, ზურია ამ თავი გაანება ხერხს. სიცივისაგან კისერჩამყვნილი შალიკი უ აქამდე რომ უხმოდ ასრულებდა უფროსი ძმის დავალებას, წამოდგა და ახლამოტანილ ბირდაბირს დაუწყო თვალთერება.

— გამეყინე, არა? — ჰკითხა მას ხათუნამ.

მაგრამ შალვა ისე იყო გართული საქმეში, ამისათვის არ სცხებოდა. არაო, თავი გამოიღო და ისევე გადაჯდა გაყინულ ხეზე, რადგან ამ დროს ზურია ბირდაბირი წელანდელ ნახერხს დაუბირდაპირა და ვიწრო კრილში კბილები მოაკიდებინა.

— ესენი ვინ არიან ნეტავი? — გარემოსკენ გაქცა თვალი ხათუნას. ბავშვებმაც აქეთ გაიხედეს.

მინდელების კარ-მიდამოს მოშორებო ოთხი მამაკაცი მიაკვლევდა თოვლს ყანაში.

— გოგილას ყანებისაკენ მიდიან, — წაილაპარაკა ხათუნამ, — ნეტავი რაზე? ჩვენს ქვევით მოსახლე აღარ არის.

— წისქვილი ხომ იქითაა, — ჩაურთო ზურია.

— წისქვილი კი, მაგრამ გზა დღის პირს მიჰყვება.

ხათუნა სკამლოგინისაკენ წავიდა, რომ თვალი აქედან უფრო უკეთ ედევნებინა.

წინ მაღალი კაცი მიდიოდა, მოკლე-პალტოიანი. ერთი კიდევ უფრო მაღალი იყო, ჩამრგვალებული, თავი თეთრი ჩაბალახით წაყვრა.

„ენ უნდა იყენენ?“ — ეკვით გაიფიქრა ხათუნამ, რადგან მგზავრები თავდაღმართში მიიძალნენ.

დედა რომ დაბრუნდა, ცალი ხელა ბირდაბირისათვის ჩაველო ზურისას, ცალით ხეს აკავებდა, რადგან პატარა შალვა იმდენად მსუბუქი იყო, რომ ტოტი ვერ შეეჩერებინა, ამიტომ თითქოს აქ არაფერი იყო, ხან აქეთ გადაიწეოდა წიფლის ტოტი და ხან იქით.

გათაცეცებულ პავლეს კბილები ქვედა ტუჩზე დაეხვინა. დაწითლებული ხელებით ხერხის სახელურს ჩაფრენოდა და ცდილობდა ისე გაეწია, რომ უფროსი ძმის წყრომა არ დაემსახურებინა. მიუხედავად ამ დაეინებული ცდისა და სურვილისა, ხერხს ვერ ერეოდა; ფეხი უსლტებოდა მოსრიალებულ სოხანზე; ხერხი დროდადრო ჭრილიდან ამოვარდებოდა და უწესრიგოდ გაიწვრიალებდა გაყინული ხის კანზე. მაშინ ზურია ორივე ხელით აიღებდა ხერხს და ისევ ვიწრო ნაპრალში ჩასდებდა ფრთხილად. მერე ისევ იწყებოდა გამალელებული ხერხვა. პავლეს მკლავები აღარ ემორჩილებოდა, გული ყელს ებჯინებოდა დაქანცულობისაგან, თვალწინ დამკილული ბოძების, თოვლის, ხორად დაყრილი შეშის სურათები ერეოდა, მაგრამ დიდ სირცხვილად თვლიდა თავის გამკლავნებას. ამიტომ უხმოდ, თითქმის ენა-გადმოვარდნილი და სახეგაზნებული განავრძობდა ხერხის გაწევას ხან ზევით და ხან ქვევით, ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ...

ხერხმა ერთხელ კიდევ გაიწვრიალა, ავღრიალდა და ჭრილიდან ამოვარდა. პავლემ დარცხვენილი თვალები მიაკყორო უკმაყოფილო ძმას და ხელები ჯიბეებში ჩაიწყო.

ამის შემყურე ხათუნამ პავლე გზიდან ჩამოიცილა და მის მაკვივრად ჩაეკიდა ხერხის სახელურს.

ზურისას წინააღმდეგობა არ გაუწევია. ცუდმა და უღონო მხერხავმა ჯვარს აცვა. არც პავლეს გაუწევია წინააღმდეგობა. სწორედ კარგ დროს ამოვარდა ხერხი. ის იყო, უნდა გაჩერებულყო და ეთქვა, ახლა დავისვენოთ, მერე დავხერხოთო.

ხეზე გადამჯდარი შალვა გამოცოცხლდა. რაჟი დედაც ჩაერია მუშაობაში, ხელებითაც კი ჩააფრინდა წიფლის ტოტს; ფეხებით მიწასაც აწვებოდა, თითქოს მისი შეჩერებაც სდომებოდეს, რადგან ყოველგვარი მოძრაობა ზურისას და დედას ხერხვას უშლიდა.

ეს შეამჩნია ზურიამ და დაიძახა: — არ უნდა ხელები! თავისუფლად დაჯექი. პალიყო, შენ რაღას უღგებარ, მიდი შენც დააწევი ხეს!

აშასობაში ხერხის ნახევარი ჩაიმალა. ხის ნახევარიც გადაჭრილი იყო.

— მიცადე! — წამოიძახა ზურიამ, ბოძზე მიყუდებულ ცულს ხელი წამოავლო და ყუით დაჰკრა ხის გადასაჭრელ ნაწილს, იქნებ გადატყდესო, მაგრამ ხე მხოლოდ შეძიძინდა, თითქოს სიცივემ ააქანკალაო და ზედ გადამჯდარ შალიკოს ტირილნარევი ხმით წამოცდა:

— ნუ ურტყამ, ზურია, მეტყინა...

ზურიამ უკმაყოფილოდ გაიქნია თავი რომ ხე არ ემორჩილებოდა, ცული ისევ ბოძზე მიყუდა და ხერხვა განაგრძეს.

ხელახლა შეიბრუნა პირი ამინდმა. თოვდა და თოვდა. იმ მარხილის კვალიც აღარსად ჩანდა, რითაც შეშა ჩამოეტანათ ზურისას დამხმარე მამაკაცებს.

ნორჩი ნეკერის საძებნად წასული რქაბატულა დერეფანში შემოპარულიყო და წყალს ეძებდა.

— დედა, ჩვენი რქაბატულა მოსულა! — წამოიძახა თვალედაწითლებულმა შალვამ, — უყურე, რანაირად გამძლარა!

უნდოდა თხას მიგებებოდა, წამოიწია, მაგრამ ხელი ისევ ხეზე ეკიდა.

— ადექი, დედა, პაულე, შინ შეიყვანე, — მოიხედა ხათუნამ, — შეცივინია საცოდავს. ნარეცხი წყალია გობით, სუფრაზე. ხელს ნუ მოკიდებ, გადმოგივარდება. ლორიც მოიხარებოდა ამასობაში. დამაცალე, შვილო... მიიყვანე და თვითონ დალევს, დაჩვეულია.

გახარებული პაულე საყელურში წვდა რქახატულას და კარისკენ წააფხოკილა.

— ზურია! — მოისმა ამ დროს კიმკართან.

ხათუნა გაიმართა. ვინ უნდა მოსულიყო ამ საშინელ თოვამში?

ბიჭებიც წამოიშალნენ. ყველა კიმკარისაკენ იყურებოდა.

ძახილი განმეორდა.

— მობრძანდი, რომელი ხარ? — გაეხმაურა ხათუნა.

ქარის კორიანტელში ახლავდა დაინახეს ოთხი მამაკაცი, რომლებიც ბუბუნით მასლაათობდნენ და კიმკარის გადამა თოვლს ტეკნიდნენ.

ხათუნა ახლა დარწმუნებული იყო, რომ სწორედ ისინი მოდიოდნენ, ვისაც თოვთილესთან გაგებული ამბავი უნდა შეეტყობინებინა მისთვის. ეს აზრი მით უფრო გაუძლიერდა, როცა ბილიცზე მომავალთა შორის ტანსრული კაცი დაინახა, რომელიც აქამდე არსად შეხვედროდა.

სულ პირველი ბორის ლოლაძე შემოვიდა. ის ადრეც ჰყავდა ნახული ხალუნას. ომის დროს საწყობის გამგედ მუშაობდა არტელში, ერთხანს ბრიგადირადაც იყო.

ხათუნამ არ იცოდა, რა დამოკიდებულება ჰქონდათ ადრე შალიკოს და ბორისს, მაგრამ ქალისთვის რომ გეკითხათ, ბორის ლოლაძე უსიამოვნო მამაკაცი იყო. ხათუნას ადრევე ჰქონდა, შემჩნეული, რომ ბორისი აგდებულად უყურებდა განურჩევლად ყველა ქალს, თუმცა ამ უკანასკნელთ არც თუ ისე

გაურბოდა. მის უბრალო გამოლაპარაკებაშიაც კი იმდენ დაცინვასაც და უპატრეცემულობას ამოიკმხნავდნენ, რამდენსაც ხათუნას აზრით, არც ერთი თავმოყვარე მანდილოსანი აღარ გააგრძელებდა მასთან ლაპარაკს, თუკი ამას მიუხედებოდა.

ხათუნას თვალში მოხვდა ბორისის ბრტყელი სახე, მისი დიდრონი მომწვანო იევალები, რომლებსაც ბუზები სავან თაგვებზე რებული ხარივით აბრიალებდა. მოკლედ შეკრეკილი ულვამის ორსავე მხარეს საკმაოდ ღრმა, წყვილი ნამკლისებური ნაოკი აჩნდა, რისი წყალობითაც ხუმრობის მოყვარულ საკაურელებს „ნამგალა ბარუსი“ შეერქმით მისთვის.

საკაურაში ზოგი ყარამანიჩს ეძახდა ბორისს და ზოგიც ყარამანოვიჩს და თუმცა ნამდვილად არც ერთი არ ერქვა, ბორისი დიდად კმაყოფილი იყო და ორივე სახელი მოსწონდა.

— შენ აგაშენა ღმერთმა, ხათუნა, ამ კორტოხზე დასახლებისათვის. შენ რომ არა, საღაცა ჩაგვახრჩობდა ეს ქარბუქი, — შორიდანვე დაიწყო ბორისმა, — როგორ ატყობ, პა, არ ჩადგება ცოტა?..

ქარი თავსაფარს გლეჯდა ხათუნას, კაბის კალთებს უტლაშენებდა. ამის გამო ოდნავ მოხრილიყო წელში ბილიცზე გამოსული, რათა ცალი ხელით თავსაფარი შეეკავებინა, მეორე ხელით კი ნახევრადწამოხდილი კალთა.

— რა ვიცი, რა ვითხრათ... — ამბობდა იგი ბორისის სიტყვების პასუხად.

— გამარჯობა, ქალო! — თქვა ისევ ბორისმა, როცა ხათუნას პირისპირ აღმოჩნდა ვიწრო ბილიცზე.

ისინი ახლა ისე ახლო იყვნენ ერთმანეთთან, რომ ხათუნამ იგრძნო ის თავბრულდამხვევი სენი, რომელიც ჩქარა ნასიარულევე ბორისს ასდიოდა და ველარ გადაეწყვიტა, წინ წასულიყო თუ უკან, თოვლში გადაბიჯებინა თუ მანამ მდგარიყო აქ, სანამ ბორისი გაივლიდა.

ბოლოს ბორისმა გაიარა და რაღაც უთხრა დერეფანში შეჯავფულ ბიჭებს.

ხათუნას დანარჩენებიც მოჰყენენ და ხმაურით დაიბერტყეს ფეხები.

ელეფთერ ლაშისა და პეპინას გარდა, მოსულთა შორის ეგნატე სივსივადეც იყო.

დიღანდელი აყალმაყალის მიუხედავად, პეპინა მაინც გამოჰყოლოდა სოფლის თავკაცებს, რადგან თავს ახალი ეგნატების მესვეურად თვლიდა. ფერმასთან ეგნატეც შემოუერთდა. ეგნატე მინდღელების სანახავად შემზადებულიყო, მაგრამ უფროსებს ხათრი ვეღარ გაუტეხა და გოგილას ყანებში ჩაჰყვა.

ქარბუქს შემოეყარა ახლა ისინი მინდღელის დერეფანში. მცირე ხანს შეიციდნენ აქ, სანამ ქარი ჩადგებოდა.

ეგნატეს იმედი გაუტრია მოულოდნელმა სტუმრობამ, რადგან ჯერ კიდევ დილით სულ სხვაანირად ეხატებოდა ხათუნასთან და მის პატარა ბიჭებთან შეხვედრა.

ნახევარ წელიწადზე მეტი იყო, რაც გაურკვეველი ხმები დადიოდა ხათუნას გარშემო. არავინ იცოდა, ვინ და როდის აერცვლებდა ამ ხმებს. ერთნი ამბობდნენ, ხათუნა ვიღაც ჩინჩალაძეს დაუნიშნავს, ედუკის სახლისშვილს და დღედღეზე ქორწილი უნდა გახურდესო.

მეორენი სულ სხვას ლაპარაკობდნენ.

ეგნატე იმიტაც კი შეურაცხყოფილი იყო, რომ ამ მეორე ჯორს თუ სიმაართეს ყური მოჰკრა და მის განსჯაში შევიდა. ნუთუ ასე ზერეღედ იცნობდა ხათუნას, ნუთუ მართალი იყო ძველებური ანდაზა: გველი გარედან არის ჭრელი, ადამიანი კი შიგნიდანო?

ქორი კი წრეს გადასული იყო. ისე გამოდიოდა, რომ დანიშნა ან სხვა ამისთანა რაშე თავშიაც არავის მოსელოდა. ვითომ ხათუნა ფარულად ხედებოდა სახლკარდასაბუგავ ჩინჩალაძეს,

რომელიც თავქუდმოგლეჯილი ეფიცებოდა, ხვალ თუ ზემო ჩვენი საქმე გამოეწყობა და ყველაფერი ისე მოხდება, როგორც შენ გინდაო.

ამ დაპირებაში დღე დღეს მისდევდა და ღამე ღამეს.

სულ ბოლოს სპირიდონის ყურამდევ მივიდა ეს ამბავი.

თავლადნახმულმა სპირიდონმა საიდუმლოდ დაიბარა ჩინჩალაძე და ყელი გამოუწია: ორიდან ერთი აირჩიე — ან ყელი გამოშპერი და ან შენგნით გაუბედურებული ქალი შეირთო.

მაგრამ პორფილე ჩინჩალაძე სულელი ხომ არ იყო, რომ შექანებულ ბერიკაცისათვის მართლა ყელი გამოეკრა.

სპირიდონმა კიდევ გაუგზავნა მოციქული: თუ მიგყავს, მაგყავს, თუ არა ჩემი გაულანძლავი ოჯახი გაბახებულ ქალს ვერ იტუებსო.

იმის გაფიქრება, რომ სპირიდონს თავისი დანაქადის შესრულება შეეძლო, ლახვარივით ესობოდა გულზე ეგნატეს. მას არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ ის, რაც გაიგონა, სიმაართლე იყო.

ერთხანს ისიც კი გადაწყვიტა, კალოსუბანში ჩასულიყო და თვითონ სპირიდონისათვის გამოეკითხა ყველაფერი, ისე, რომ ხათუნას სულაც ვერ შეეტყო მისი აქ ყოფნა, მაგრამ არ ივარგებდა. განა სპირიდონი თვითონ მას, ეგნატე სივსივადეს არ ჰკითხავდა, რა გესაქმება, ჩემი ოჯახის აწეწილ საქმეებში რომ ერევო?

ხათუნას მოელოდნენ საკაურაში, რადგან სულ უკანასკნელად ჩამოტანილი ამბების თანახმად, ჩინჩალაძეს უარი ეთქვა მის შერთვაზე.

ცხადი იყო, თავმოყვარე სპირიდონი ამას არ აპატიებდა ქალიშვილს; მაშის ოჯახიდან გამოგდებულ ხათუნას კი საკაურას იქით გზა არ ჰქონდა.

ეს წინასწარმეტყველება გამართლდა. სხვას რას მოასწავებდა წერილშვილი ქალის უდროო დროს ჩამოსვლა, როცა მთელი კვირის მანძილზე

იმისთანა ამინდებია, რომ ძალიც არ გაოგდება გარეთ.

მინდელის ოჯახის უსაზღვროდ მოყვარულ ეგნატეს ისლა დარჩენოდა, რომ რაიმე გამართლება მოეძებნა ხათუნასათვის თავის საკუთარ გულში, რათა მისი ხელახლა დანახვა. ზიზლად და შეჩვენებდა არ გადაქცეოდა.

ეგნატე სულითა და გულით პატივს ცემდა ხათუნას. არ უნდოდა ამ აღამიანის სახელს ჩირქი მოსცხებოდა, მაგრამ ახლა, როცა მომხდარი ამბის გამო-სწორებას ძნელადლა თუ ვინმე შესძლებდა, მხოლოდ იმას ფიქრობდა, როგორმე გამართლებინა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალის საქციელი, სხვანაირად აეხსნა იგი, სულ სხვაგვარი საფუძველი გამოენახა...

ამაზე ფიქრობდა ის დილას, ზურიასთან შეხვედრისას, ამაზე ფიქრობდა მთელი დღე და მიუხედავად საშიშროებისა, ამაზე აპირებდა ლაპარაკს ხათუნას პირველ ნახვისთანავე.

მაგრამ ყველაფერი სხვანაირად მოხდა. უცხო ხალხის აქ ყოფნა ხელ-ფეხს უბორკავდა ახლა ეგნატეს და ისიც ცდილობდა, რაკი მოვიდა, რაც შეიძლებოდა, შეუძნეველად დარჩენილიყო. ამან ისე შეუქრა კრიჭა, რომ პატარებსაც ველარ გაეკარა. ერთი სიტყვა რომ სიტყვაა, ისიც არ უთქვამს მათთვის, რაც მხედველობიდან არ გამოჰპარები ეჭვიან ხათუნას.

პეპიჩა ხმამაღლა ლაპარაკობდა. ვილაცას აქებდა. მერე მგონი ბოდისის მოხდა დაიწყო, რაზედაც ხათუნას არაფერი უპასუხნია.

ეგნატეს ყურის დაგდება უნდოდა, მაგრამ ამას ვერ ახერხებდა და ისევ ყველასაგან მივიწყებულივით იდგა ქვის სკამოვანთან.

— საწინაველი უნდა ჩამოვიტანოთ, ყარამანიჩი. გვიდილაურის მარანში რომ გვიდგას, ამათია. — გულშემატკივრად ქაქანებდა პეპიჩა.

ბორისმა რაღაც უპასუხა სიცილით, ელფთერიც ილიმებოდა.

ხათუნა ცდილობდა ჩარეულიყო

ხუმრობაში. შეეცეცოლი თავსაფარო შებლთან ოდნავ ჩამოეწია და თვითონაც მოკრძალებით იღმეზობდა, მესამის თქვენი ხუმრობაო.

ეგნატე ხედავდა ამას და სუნთქვა ეკეროდა.

ხათუნა გაახალგაზრდაებული ჩანდა. უკანასკნელი წლების მანძილზე კიდევ უფრო მომხიბლავი გამხდარიყო. პირმრგვალ სახეზე უბრალო ნაოქსაც არ შეეტოვებინა ქალწულებრივი სინარსარე. მისი დღესავით ნათელი თვალები კაცისშვილისთვის მიუწვდომელ სიწმინდეზე შეტყველებდნენ. მაგრამ ეს მკერივი, ამოუტრცული ტუჩები! სწორედ ტუჩები ატყობინებდნენ ეგნატეს საიდუმლოს და ის თანდათან რწმუნდებოდა, რომ ქალს, რომელსაც ამგვარი ტუჩები ჰქონდა, არ შეეძლო უსიყვარულოდ გაძლება, რადგან ის მხოლოდ სიყვარულისათვის იყო დაბადებული, ხოლო რაც უფრო რწმუნდებოდა ამაში, მით უფრო იპყრობდა ზიზლი ეგნატეს. მას რატომღაც სურდა, რომ ხათუნა ნადრეველ მოტეხილი, ჯავრით გასრესილი ენახა, როცა ეგრერივად საჭიროა გულითადი მეგობარი, როცა უამისოდ სიკვდილიც კი არ არის ძნელი, მაგრამ ეგნატე მიმხედარი იყო, რომ ახლა არავინ საჭიროებდა მის მეგობრობას, რომ ხათუნა უამისოდაც იოლას გავადოდა და თვითონაც ვერ გაეგო როგორ ებადებოდა ახალი სურვილი—რითიმე გაეჭირდა ხათუნა, გაეშვარებინა, როგორმე მიეყენებინა მისთვის იმ ტკივილის უმცირესი ნაწილი მაინც, რომელსაც თვითონ განიცდიდა ახლა.

თავის მხრივ ხათუნაც შეეფიქრიანებინა ეგნატეს განაპირებას, მის ჩაშავებულ სახეს, რომელიც გულისწყრომას გამოხატავდა.

„რა მოუვიდა? — ფიქრობდა ქალი, — ხომ არ ჰგონია, რომ სარჩენად დავაწვებით თავზე?!“

ეგნატე კი წელანდებურად ჩუმად იდგა. ყურადღებას არავის აქცევდა, თითქო ძალით შემოუგდია აქ ვისმეო.

„თუ არ ვუნდივართ, რისთვის მოდი-
ოდა, მართლა ქარბუქმა შეაშინა? —
ფიქრობდა ხათუნა. — მართლა რანაი-
რად ყოფილა ქვეყანა მოწყობილა! უერთმანეთოდ ცივ ჰადასაც არ გატეხ-
დნენ ეგ და შალიყო... ეს შეიძლება
დააიფყვდეს აღამიანს და კიდევ თქვას,
აღამიანი ვარ და გული მაქვსო? უსინ-
დისო! ბავშვებსაც არ მიხალისებია,
ამათმა რალა დაუშავეს! — ნაპერწყა-
ლივით გაკვესა ხათუნას გულში და
იმის მაგივრად, რომ რაიმე ეთქვა ეგნა-
ტეს გასაგონად ელფთერი და ბორისი
შინ შეიწვია, პეპინასაც კი სთხოვა,
მაგრამ ეგნატეს სახელი არ უხსენებია.

ელფთერმა იუარა. შეწუხებად არ
ღირს, ახლა მალე წავალთო.

ხათუნამ ვეღარ მოითმინა და თით-
ქოს თავისთვის თქვა:

— რა ვქნა, ამ ეგნატეს ხომ არაფე-
რი უპოვნია?

პეპინამ და ბორისმა წარბები აძვი-
ბეს და ორპროვანი ღიმილით გადახე-
დეს ერთმანეთს.

გუნება რომ არავისთვის წახდინა,
ელფთერმაც გაიღიმა ნაძალადევად.
მაგრამ ხათუნას არ ეხუმრებოდა. მას
სრულებითაც არ უთქვამს ეს ვისმე
გასაცინებლად. ბორისისა და პეტრეს
ღიმილმა ერთბაშად შესცვალა იგი. რა
მოხდა? რა ნახეს სასაცილო? მაგრამ
ახლა მთელი მისი გულისწყრომა მხო-
ლოდ ეგნატეზე იყო შეჩერებული,
თუმცა გრძობდა, რომ დროზე გაჩუ-
მება უფრო უმჯობესი იქნებოდა. წუ-
თიც და თითქოს ხელახლა უბიძგა რა-
ღაცამ, დადუმებულ ეგნატეს მტრუ-
ლად შეავლო თვალი და ნათქვამს და-
უმბათა:

— ისე უკაცრავად ვარ, ეგნატი,
სიტყვა რომ შემოგადარე...

— არა უპირს-რა, ამაზე მეტიც უკა-
დრებიათ, — გაისმა ეგნატეს გაგულუ-
ლი ხმა და გამხიარულებულ პეპინასაც
ღარ უნდოდა მეტი.

— რა იყო, ეგნატი, რა გეწყინა? —
უფრო გაღიზიანების მიზნით ჩაურთო
მან.

— თუ ძმა ხარ, თავი დამანებე, შენს
საქმეს ეწიო, ის ემჯობინება.

— ჩემთან რალა გინდა, ახლა

— მე შენთან არაფერი არ მინდა,
არც სხვასთან... და მომევი! — იმგვა-
რი მტკიცე კილო გაისმა ეგნატეს ხმა-
ში, რომ პეტრე იძულებული გახდა ენა
მოეკვინტა, თავისთვის კი ჩაილაპა-
რაკა:

— ძალიან იწმინდავენ დღეს ხელს
ჩემს საქმეზე.

ელფთერმა იგრძნო, რომ აქ ისეთ
რამეზე იყო ლაპარაკი, რაზედაც მას
წარმოდგენა არ ჰქონდა. მას ისეც აკ-
ვირებდა ბორისისა და პეტრეს ასე
უმიზეზო მხიარულება, რის აღკვეთა-
საც უბრალო თავაზიანობის წესი მოი-
თხოვდა. რც უნდა ყოფილიყო, ქალი
გულში ჩამოვიდა საყოლიდან, სახლ-კა-
რი გავერანებული დაუხვდა; არც ქმა-
რი, არც არაფერი... მაშ რა აძლევდათ
ასე თავისუფლად მოქცევის უფლებას?
უხერხულად მიიხედ-მოიხედა, რათა
წასვლის მოსამიზნებლად შესადერი
დრო გამოეძებნა და როგორც კი შე-
ნიშნა ქარს დაუკლიაო, ბორისს მიმარ-
თა:)

— წავიდეთ ახლა ბარემ. ცოტა ჩამ-
დგარა, მგონი...

— მოიცა, კაცო, რა გაჩქარის, —
ფეხი აითრია ბორისმა, რომელსაც ხა-
თუნას მადლიან ყელ-კისერისათვის
თვალი ვერ მოეწყვიტა.

ელფთერმა ახალა შენიშნა ეს, მო-
იღუშა და უფრო მოინდომა წასვლა.

ხათუნა შეწუხდა, რომ უცხო კაცი
უპატივცემულოდ მიუღიოდა და შეე-
ცადა როგორმე გამოესწორებინა წამო-
მცდარი მწარე სიტყვები.

— ბატონო, — უთხრა მან ელფ-
თერს, — ცოლ-შვილს გაფიცებთ, ცო-
ტა ხანს მოიცადეთ კიდევ. ჩადგება

და... ეგნატესათვის მე არაფერი მითქ-
ვამს საწყენი. ჩემი შალიყო შინაურად
თვლიდა მაგას. წინათ მეტიც მოთქვამს.

თუმცა ხათუნა მთლად გულწრფელი
არ იყო ახლა, ამას ისე ამბობდა, რომ
არ შეიძლებოდა, არ დაეჯერებინათ.

აქ სრულიად მოულოდნელი რამ მოხდა: ეგნატემ პალტოს კალთები აიწია და ხმის ამოუღებლად გავიდა ეზოში.

კაცებმა ისე დაიჭირეს თავი, თითქოს არ შეენიშნათ ეს, მხოლოდ ზურია და მისი პატარა ძმები გაჰყურებდნენ ეგნატეს გაქვირვებით.

ეგნატემ მდუმარედ აუარა მათ გვერდი. ბილიკზე ბორძიკით მიდიოდა, მარცხენა ხელი ზემოთ აეწია და გაჭირვებით იცავდა წონასწორობას.

— რა ეწყინა?

— რა მოელანდა?

ერთმანეთს ეკითხებოდნენ პეტრე და ბორისი, მაგრამ პასუხის გამცემი არავინ იყო.

ელეფთერი განცვიფრებული დარჩა და ცდილობდა ქალის სახეზე ამოეკითხა, რას უნდა ნიშნავდეს ეს ამბავიო.

— ხვალ ყვევარს შევბამ და საწნახელს ჩამოვუტან, ყარამანიჩ, თითქმის ჩურჩულით ამბობდა პეპიჩა, რომელიც ორ კურდღელს იჭერდა ამის თქმით. ჯერ-ერთი, რომ უსიამოვნო სიტყვას ბანზე აგდებდა, მეორე მხრით კი ხათუნას წინაშე იწონებდა თავს, მთლად ისე კი არ გეგონოს, მეც მეკითხება რა-ღაცა სოფელშიო.

— საწნახელი? — ჩაეჭიდა ამ სიტყვას ეგნატეს უცნაური მოქცევით გაკვირვებული ბორისი, — საწნახელი კი

არა, ამან მოინდომოს და მთელ შარანს დაეანგრევ და ხვალვე ჩამოვუტან ეზოში.

— მთელი მარანი მე არ მინდა, — შეაწყვეტინა ხათუნამ, — ჩემი საქონელი ჩემს სახლში იყოს, ავია თუ კარგი. სხვისი ღმერთმაც ნუ მომახმაროს, — გაბოროტებით განაგრძობდა იგი და ისევ იმ მხარეს გასცქეროდა, საითაც ეგნატემ გაიარა, — აგერ აგურთ გვექონდა დაწყობილი, წიფლის თრიოდე მორიცი ეგდო. ნახევარი აღარ დამიხვდა. არ ვარგა მაგრე, ბორის, არავინ მოგწონებთ მაგას, თუარა ნახეთ აგერ. რა გინდათ, რას შერჩით, რამდენი ღლე და საათია, არ შემწიუხებიხართ. ბევრები ისე გამოვზარდე, ჩიტის ბარტყებსავით ვუზიდავდი ნამცეცებს ბუდეში. რა გინდათ?! მოვედი და, ქვეყანა მოწმეა, ჯერ დახმარება არავისთვის მითხოვია. რა გინდათ, ეწყინა ვინმეს, რომ შევლები მშობელი მამის სახლში შემოვიყვანე? რა ვუყოთ, თუ ეწყინა ვისმე. მე ჩემს შვილებს გზაშარზე ვერ დავეყრი. ტყავში გაეძვრები, უკანასკნელ თავსაღარს გავყიდი და ამათ მაინც გამოვუზრდი ქვეყანას.

ჭობში შეყუჩულ უმცროსებს კარო გამოელოთ და დერეფანში იჭვრიტებოდნენ.

(გაგრძელება იქნება)



მს ხომ იყო ბავშვობისას...

ღუშინ ისე გაეთამამდი,
სიყმაწვილის გაცედი კიდეს,
გამახსენეს ძველი დარდი,
მხარზე თოფი გადამკიდეს.

ეს ხომ იყო ბავშვობისას
ნატერა დიდი და პირველი:
სათამაშო ჯოხის ისრით
ირმის მოკვლას ვაპირებდი...

თითქოს ისევ გავხდი ბავშვი,
უცებ გაჰქრა დარდი მცირე,
შემოვირტყი პატრონტაში,
ტყვეს ვესტუმრე მონადირე.

ცის ლავეარღზე უწმინდესი
გზად შემომხვდა ნაკადული,
მაყელის ფოთლით წყალი შეესვი,
ვიდექ ხევში ჩაკარგული.

ხარირემი გაჩნდა წყალთან
ჰგავდა ცისკრის გამოჩენას,
თვალი მშვიდად მომანათა,
გრძნეულივით. შემაჩერა;

ელვად გაჰყვა ხევის ბოლოს,
არა მქონდა ფიჭვი მტრობის...
და მწუხრისას მოკვალ მხოლოდ
მე სურვილი ნადირობის...

სურათი

შზეს ელვიძება,
ილვიძებენ სოფლის უბნები,
ნისლში ყაყაჩო
ანთებულა ციციანათელად.

მთას ხურჯინივით
მოუგდია მხარზე ღრუბელი
და უთენია
ქალაქისკენ მიემართება...

გლვასთან დაბრუნება

შენ გეხსოვება ბავშვობა ჩემი —
შენს ხმას შეზრდილი საბედნიეროდ.
ჩემი ქალაქის პატარა გემი
სად გაიტაცე, ზღვაო ძლიერო?

აქამდე მომყვა შენი ხმის ძალა,
შომენატრე და გისტუმრე ისევ.

შენი ტალღების შრიალში ახლაც
ჩემი ბავშვობის სიმღერას ვისმენ...

გახსოვს? დავსდევდი ღრუბელთა
ორბებს,
შენებრ მშფოთვარე ვიყავი მაშინ...
გახსოვს? როდესაც დაგმშვიდობე,
ერთი კალარაც არ მქონდა თმაში...

ნიკოლოზ ჩაჩავა



უნდა გაქროდეს

რა მალაღია და თვალუწვდენი
მთა, წემოსილი მწვანე ხეებით,
ამ სიმწვანეში მე არ მინახავს
უფრო ნათელი ქვეყნად დღეები.

და რა გაკვირვებს, თუკი ჩემსავე
ხანში შესული კაციც მღეროდეს,
დიდი სიცოცხლე უნდა გიყვარდეს,
დიდი სიცოცხლის უნდა გჯეროდეს.

შენს თავს ვფიცავ!

თუკი ცაზე ვარსკვლავები გაქრებიან,
ციხარტყელა თუ არ დაჰყრის ფერებს ცაზე,
თუ მტევნები აღარ დაიშაქრებიან —
მე რა მინდა, რომ ვიცხოვრო ქვეყანაზე.
მე რა მინდა, რომ ვიცხოვრო, თუ შენი ხმა
არ ჩასწვდება სულის სიღრმეს, გულის ფიცარს,
თუ დავრჩები შენს გარეშე და შენს მიღმა —
მე არ მინდა, რომ ვიცხოვრო, შენს თავს ვფიცავ.

შენ, ჩემო შვილო

ძღუნად უფროს შვილს ვაჯა ჩაჩავას

მთელი სიცოცხლე მე შენ გივლიდი,
მთელი სიცოცხლე შენ გაპატრონობდი,
შეუსვენებლად შენთან ვივლიდი,
ჩემს დადლილობას ვერა, ვერ
გრძნობდი.

მე არ მინდოდა, რომ შეგემჩნია,
სუნთქვას თუ როგორ მიშლიდა გული.
მე, როგორც მამას, ასე მერჩია,
შენ მყოლებოდი ალტაცებული.
შენა ხარ ჩემი ნუგეში, შვილო,
შენს სიხარულს და შენს გაზრდას
ვცდილობ.

ჩემი სისხლი და ხორცი მავალეებს,
თავს შემოგავლო გრძნობაც, გონებაც.

შენ, არა მარტო შთამომავალი,
დაკარგულ სიყრმის განმეორებაც,
ჩემი ბავშვობა მე თუ დავკარგე,
ვერ შემასწავლეს ქვეყნის ავ-კარგი
შენ ხომ ღია გაქვს ცხოვრების კარი,
შენ ხომ შეგიცნეს და შეგაყვარეს.
შენ ხომ მშვიდობის გზები გაქვს
ფართო.

შენ, ჩემო შვილო, არა ხარ მარტო.
შენ და შენს ტოლებს გაპატრონობთ,
გივლით

ახალი დროის სიბრძნე და გული —
და შენთან ერთად მეც წინ-წინ ვივლი.
შენი მომავლით დამშვიდებული.



ჩანჩქერი

ის ჩემი შოდა-კედელა, ჩემი ქვლეუ და ლაფური,
ჩამოქაფული ჩანჩქერი — მათი საფეთქლის დგაფუნი,
ჩანჩქერი — ჩემი თეთრონის ჩამოკეცილი ფაფარი,
ზევიადი პიტალოების გულ-მკერდზე ჩამოსაფარი.

ხომ შეხვედრიხართ ჩანჩქერებს, კლდიდან უფსკრულში ჩასხმულებს,
თუ მაჯისცემამ მიმტყუნოს, ის გრილი წყალი მასხურეთ,
უმაღვე თვალებს ავახელ, დამიბრუნდება ბაღლობა
და იმ ჩანჩქერის ნაწყვეტებს ისევ ბელტებით ჩავლობავ,
ისევ ბელტებით ჩავლობავ, კვლავ დავერევი კალმახებს,
ხო, იმ ჩანჩქერში შემშიშვით, უმაღვე თვალებს ავახელ.

ას ჩემი შოდა-კედელა, ჩემი ქვლეუ და ლაფური,
ჩანჩქერი — ჩემი შამულის ვაკეცურ მაჯის დგაფუნი.

ქარო, ქარო

ქარო, ქარო, ქარტხილო,
ქვეყნად ამდენს ხეტილობ,
იქნებ ჩემი სიყვარული
სადმე შეგხვდეს, შე ტიალო.

ისეთი რამ უჩუჩჩულე,
ცრემლი მოსწყდეს წამწამიდან.

იქნებ მითხრა, ვისთან არის,
ექნებ მითხრა, სად წავიდა.

სცადე, ეგებ ამომიხსნა
სიყვარულის განტოლება,
რატომ იცის ფუტკარივით
გულში ნესტრის ჩატოვება.

შენ რომ თუნგი ჩაგვივარდა ჭაში

შენ რომ თუნგი ჩაგვივარდა ჭაში,
ქას რომ ჰქონდა უსაშველო სიღრმე,
ტოლებში რომ ამარჩიე მაშინ,
ამარჩიე და საშველად მიხმე.

მავთული რომ გადავლუნეთ ჩანგლად,
ჩანგალზე რომ თოკის ბოლო შევსკვენ,
ქის უბეში შენი ლანდი ჩანდა,
დავიხარე ლანდისა თუ წენკენ.

მე, მანამდე უზრუნველს და ანგალს,
სიყვარულის არაფერი მჭირდა,
მაგრამ მაშინ იმ კაუჭა ჩანგალს
შენი ლანდიც თან ამოჰყვა ჭიდან.

და მე შემრჩა, ეს რა საქმე მიყავ,
ჯადოა თუ საზღაური შრომის,
რომ მას შემდეგ ყველაფერი მიყვარს
ამ ცასა და დედამიწას შორის.

ბ ა ლ ი

შხაპუნა წვიმამ
ბალის ალერსით ეინი იყარა,
გული იჯერა,
გადაიყარა.

ექვლეს, შრიალას
ახლა ქარი ეთამაშება,
ერთად მოფრინდნენ,
მოიკითხეს ბალი შაშველმა.

მზე ამოვიდა
და ახლა მზე ეალერსება,
ბებერთა შორის
ჩანს ხეების ნორჩი შევსება.

მეზალე მიწას ხეთა ძირში
ზრუნვეთ აურევს,
კარგია ბევრი
მოკეთე და მოსიყვარულე.



დაუშვიწყარი *

რ მ მ ა ნ ი

კარებში ვილაცა ტანისამოსის შრი-
ალით შემოიჭრა. მედიკომ თავი ასწია.

— გოგო, ჩემო დაკარგულო გოგო!—
დაიძახა ეკატერინემ, მედიკოს მიაშურა,
მხურვალედ მოეხვია.

შორიასლოს შეჩერდა ექვსი წლის
გოგონა, ხელში ახალთახალი დედოფა-
ლა ეჭირა.

— ქეთინო, მოდი, შეილი! ეს არის
შენი დეიდა, ჩვენი ნაომარი ქალი.

მედიკო ბავშვთან ჩაუტყდა, გულში
ჩაიხუტა, მერე სახეზე მიაცქერდა.

— ხედავ, რამხელა ვაზრდილა! მე რომ
წავედი, ძლივს დაბახუნობდა. მართ-
ლაც დიდი დრო გავიდა. დაებერდი.

— რას ამბობ, გოგო, რა დროს შენი
დაბერებაა! დამაცადე, ისეთ ბიჭს მი-
გათხოვებ, ვარსკვლავს ეთამაშებოდეს!..
შენ რა, ხომ არ გათხოვდი, გოგო?

ახედ-დახედა. ახლა ამოიკითხა დის
სახეში ღრმა მწუხარება.— ჰო, დიდ
უბედურებაში გამოიარე, — თავისებუ-
რად ახსნა ეკატერინემ, — მიკვირს, რო-
გორ აიტანე, რა გულმა გაგიძლო!

მედიკომ ბავშვი გვერდით მოისვა,
მიეფერა, გაესაუბრა. შემდეგ თავის დას
ახალი თვალით დააკვირდა, ნაღვლიანად
გაეღიმა.

„კიდევ უფრო გაპრანჭულა ჩვენი
ეკატერინე. — გაიფიქრა მედიკომ, — ხე-
დავ, როგორ მოდურად გამოწყობილა!
საკვირველია, გარეგნულად დედას ჩა-
მოგავს, ხასიათით კი სულ სხვაა, ყველა-
ფერს ვიწრო პრაქტიკული თვალით
უცქერის. თუ ვინმე მასზე კარგად
ცხოვრობს, ან უკეთაა ჩაქმული, — შე-
შურს, ცუდად ახსენებს, კუდს გამო-
აბამს, თანაც მასვე ბაძავს. ქალიშვილო-

ბაშიაც მაგისი ნატვრა და საუბრის მთა-
ვარი თემა ჩაცმა-დახურვა იყო. შეუძ-
ლია მთელი საათობით ილაპარაკოს იმა-
ზე, თუ ვის რა აცვია, ვინ როგორ ცხოვ-
რობს“...

— რას განუმებულხარ? თქვი, და-
იკო, რამე. — შეირხა ეკატერინე, — შენ
ხომ უამრავი რამ გექნება სალაპარაკო!

— გიყურებ აგერ და... ამ ომს ისე
ჩაუვლია, რომ, მგონია, შენ არც კი შეგ-
ხებია.

— ომი ვის არ შეეხო, რას ამბობ!
აგერ ჩვენი აკაკი აღარ გეყავს... — თავი
ჩალუნა ეკატერინემ, თვალეზზე ცხვირ-
სახოცი მოისვა, ამოიოხრა. მერე განაგრ-
ძო: — ისე კი ბედს ვერ დავემდურები.
ძალიან მარჯვე კაცია ჩემი იაგარი. რა
არ მოახერხა, ჯარიდან თავი დაიხსნა,
არტელში პირველ კაცად ითვლება. ცო-
ტადენი ფული დაგვიგროვდა, საკუ-
თარი სახლი ავიშენეთ. მოხვალ აგერ და
ვიცი, მოგეწონება... —

ქვეყანა სამკვდრო-სასიცოცხლო
ბრძოლაში იყო, თქვენ კი ამ დროს სა-
ხლის ასაშენებლად მოიცალეთ?! —
უნებლიეთ თქვა მედიკომ.

— უუურე ახლა ამას! ესეც მამასა-
ვით მსჯელობს! ნუთუ თქვენ ამ ქვეყნის
ავ-კარგს ვერასოდეს ვერ უნდა ჩაწე-
დეთ?... ჩვენი უბედური აკაკი იყო და,
არიქა, არავინ გამასწროსო, თავისი ფე-
ხით მიაშურა ფრონტს. განა არ შეეძ-
ლო სხვა სტუდენტებივით თავი და-
ეჯავშნა? არა, მაინცდამაინც თავი უნდა
გამოეჩინოო!.. —

— მოიცა, ეკატერინე, განა ომში
ხალხი თავის გმოსაჩენად მიდიოდა?

ეკატერინემ იგრძნო, რომ მედიკოს
გული ატკინა, მაგრამ თავი მაინც ვერ
შეიკავა.

— არ ვიცი, ეგ ჩემი საქმე არ არის! — წარბეჭდვით წამოიძახა, — თუ თავი არ ებრალებოდა, მშობლები და ნათესავეები მაინც შეებრალებინა! აგერ შენც, დაადევი თავი და სულ ცეცხლში იყავი. ხომ შეგეძლო თბილისში ან სადმე ახლოს გემუშავა ჰოსპიტალში. ერთ ხანს, შენი წერილი რომ ვეღარ მივიღეთ, დაღუპული გვეგონე. უნდა გენახა, საწყალი დედა რას დაემსგავსა, შენ კი... მაგრამ კარგი ახლა, — ამოსდო ლაგამი თავის თავს ეკატერინემ. მაჯა ასწია და ოქროს საათზე დაიხედა, — მეჩქარება. შენი მოსვლა დედამ გამაგებინა. იმიტომ მოვირბინე. ამ საღამოს პატარა წვეულება გვაქვს, იაგორის ახლო მეგობრები იქნებიან. შენი მშვიდობით დაბრუნება უნდა აღვნიშნოთ.

— არა, ეკატერინე, ჩემი გულისათვის თავს ნუ შეიწუხებ.

— კარგი, თუ გიყვარდე, დაიკო! ნუ იცი ხოლმე ახირება იცი, რას გეხვეწები? თუ ჩემი სიყვარული გაძვეს, რამენაირად მამაჩემი წამოიყვანე. სულ გაუფუტდა, გოგო, ხასიათი, აღარ გვეკარება, გვემდურის. რა დავუშავებთ? დიდი გაჭირება რომ იყო, დედას ჩუმად თუ მივეტანდი რამეს, თორემ ისე ახლოს არ გავციკარა. ქეთინოზე ამოდის სული. მეც ერთხელ ვიქმნაქე, ზავში აქ არ მოვიყვანე. იცი, მამას რა ექნა? ბაღში გაეტყუებია ქეთინო, დამგდარიყვენ კუთხეში და კუჭუნობდნენ. მაშინ კი შემებრალა, მერე მუდამ მომყავდა აქ ზავში. ჰოდა, შენ შემოგველე, მედიკო, აუცილებლად წამოიყვანე, შენ ხათრს არ გაგიტეხს. სხვა რომ არა იყოს რა, ხალხი რას იტყვის. სახელოვანი მამა მომდურებული ჰყავსო. თავი მომეჭრება.

იმდენი ეხვეწა, რომ ბოლოს მაინც დაითანხმა მედიკო.

— კარგი, ვეცდები...

— არა, ეცდები რა შუაშია, აუცილებლად უნდა წამოიყვანო. ვიცი, როგორი ხათრი აქვს შენი მამას, ყველგან გამოგყვება. მივალ ახლა მე. ქეთინო

თავს არ მოგაწყენს. მიუჯდები კუთხეში თავის დედოფალას და ისაუბრებს. გეგონება, ფილოსოფოსიათ ^{ინტენსი} საღამოს მამა-შვილი — დიმიტრი და ვაია ქარხნიდან ერთად მოვიდნენ.

ვაიამ უმაღვე ახალი კოსტუმი ჩაიცვა, დედას უთხრა, სამეცადინოდ მივდივარო. თებრონე ეზოში გაჰყვა, ფრთხილად შეახო შვილს ხელი და მესაიდუმლესავით ჰკითხა:

— ნუ დამიმაღავ, გენაცვალე, მითხარი, შენ რალაც სადარდებელი გაგჩინდა. ვაიამ დედას თვალი ვერ გაუსწორა, თავი ჩალუნა, მაინც შეეცადა, რომ დამაჯერებელი კილოთი ეთქვა:

— ნუ გეშინია, დედა! ისეთი არაფერია.

— მაინც, დედა შემოგველოს, მაინც?

— ეს კიდევ თავისას არ იშლის! — გაჯაერდა ვითომ ვაია, — ხომ გეუბნებ, ისეთი არაფერია-მეთქი! მივდივარ ახლა, მეჩქარება.

თებრონემ თვალი გააყოლა. აგერ მიეფარა და მხოლოდ ახლა მოისახრა, რომ იმ მიმართულებით არ წასულა, საითკენაც წინათ მიდიოდა. ყოველთვის ზედა უბნისაკენ მიემურებოდა, ახლა კი ქალაქისაკენ დაეშვა.

თავი გაიქნია თებრონემ, ერთხანს იდგა გაოგნებული. მერე მძიმე ნაბიჯით ავიდა აივანზე. კარს რომ მიადგა, უმაღვე დაავიწყდა დარდიანი საგონებელი, ღიმილი მოერია.

ომში წასვლამდე იცოდა მედიკომ ასე მამის შიალურსება. რაგინდ ცუდ გუნებაზე ყოფილიყო დიმიტრი, მედიკო რომ მიადფართქალდებოდა და შესციინებდა, დიმიტრისაც უშბლი გაეხსნებოდა. თვლები გაუნათდებოდა.

სწორედ ასე განათებოდა დიმიტრის სახე, მედიკოს კი ჯერ მაინც არ ეთანხმებოდა.

მედიკომ კართან გაჩერებულ დედას მოჰკრა თვალი, ძველებურად მიმართა:

— დედა, უთხარი რამე! ეკატერინესთან წამოსვლაზე უარს მეუბნება!

— მაგან თუ რამე ამოიჭრა გულში, მერე კაცი ვერ მიეკარება! — საყვედუ-

რით ჩაილაპარაკა, თებრონემ, მაგრამ წამსვე კილო შესცვალა, დიმიტრისთან მივიდა, ალერსიანი ხმით უთხრა:

— არა გრცხვენი, დიმიტრი! ჩვენი მედიკო მოგვივიდა, გავლა უნდა, ხალხში გასვლა, შენ კი უარს ეუბნები! უცხო ოჯახში ხომ არ მიდიხარ, შენი სისხლი და ხორცია.

— იქ იაგორის მეგობრები იქნებიან, უცნობი ხალხია. არა ვარ იმათ გუნებაზე. — ყოყმანით თქვა დიმიტრიმ.

ეს მერყეობა ყველაზე უწინ თითქოს ქეთინომ იგრძნო, ბაბუქასთან მიიქრა, მუხლზე მოეხვეწა და ცუდრებით უთხრა:

— ბაბუ, მე ხომ გიყვარვარ? ჩემი ხათრისათვის წამოდი!

დიმიტრის გაეცინა, ბავშვი აიტაცა, აკოცა, შემდეგ მედიკოსა და თებრონეს გაუღიმა:

— კარგი, წამოვალ, თქვენ ვის არ შეაყდენთ!

IX

მეხუთე თავი

დაღმართში შესახვევთან შეჩერდა ვაჟა. სად მიდის? თვითონაც არ იცის. გრძნობს მხოლოდ, რომ ერთ ადგილზე კანკრება არ ძალუძს, გული უღონდება.

ქარხანაში ჩარხთან მუშაობამ შეიქცია. მეტად საინტერესო დეტალი მისცეს გასაჩარხავად. პირველად კინალამ გააფუჭა, მაგრამ შემდეგ შერცხვა, ოსტატის ღირსება არ შევლახო, გადაწყვიტა და საქმეს ბეჯითად მოეკიდა. შემდეგ კი, ქარხნის საყვირის ხმა რომ გაისმა და მამის გვერდით შინისაკენ მოდიოდა, უფრო მძაფრად შემოაწვია წინა საღამოს იამზეხ ბინიდან გამოყოლილი ნაღველი.

გზაში მამა გაესაუბრა, მერე რაღაც ჰკითხა. ვაჟამ გონებაგაფანტულად უპასუხა. დიმიტრი შეჩერდა, შვილს ახედ-დახედა, მისი ჩაფიქრებული გამოხედვებზე თავისებურად ახსნა და დაყვავებით უთხრა:

— კარგია, შვილო, კარგი, სწავლამ რომ ასე გაგიტაცა. ახალგაზრდისათვის სწავლაზე დიდი საქმე არ არსებობს. ახლა ერთ თვეში შეისწავლი იმდენს, რასაც შემდეგ მთელი წელიწადი დასჭირდება. ეს მე მკითხე აგერ შენი ხნის ვიყავი, ციხეში რომ ვიჯექი. არა მართო გატაცებით ვკითხულობდი, არამედ სტრიქონსა და სტრიქონს შორის რა იგულისხმებოდა, იმასაც ადვილად ვწვდებოდი. შენ ნიკი

არ გაკლია, თუ მონდომებაც გექნება, გზა გახსნილი გაქვს.

მამის ეს დარიგებაც ბუნდოვანად ესმოდა ვაჟას. ეს კი არა, მონატრებული და ჩამოუვიდა, მთელი ოჯახი სიხარულით აივსო, ვაჟა კი იმდენად შეჯაქვულია, რომ ეს სიხარული მთელი სისავსით ვერ განიცადა. მხოლოდ დედას შეჰკენესა გულმა, რაღაცა იგრძნო, მაგრამ არც მან იცის, თუ რა განსაცდელშია ვაჟა.

აი, მოსახვევთან დგას ახლა ვაჟა და, რა ჰქნას, საით წავიდეს? იქნება იამზეხ შინ არის და ჩვეულებრივად ელოდება...

ოჰ, არა... ელვასავით დაჰკრა ელდამ, მთელ სხეულში დაუარა, აეთანდოლ ზეკარელის ცივი თვალები მოეჩვენა; შეირბა, სწრაფი ნაბიჯით დაეშვა მთავარი ქუჩისაკენ.

დაქანებულ ლიანდაგზე ტრამვაი მიჰქროდა. სრულიად მოუფიქრებლად, სწორედ ისე, ბავშვობაში რომ უცდია, მოწყდა ადგილს და ტრამვის ქარივით აედევნა. დაეწია, მოხდენილად შეახტა. მგზავრებმა გაოცებით შეათვალიერეს ეს თავზე ხელაღებული, ლამაზად გამოწყობილი ჭაბუკი. შერცხვა კუთხეში აიტუნა, თავი ჩალუნა.

აქაც, ამ ჰედვაშიაც განმარტოვდა; ოღნავი შეება იგრძნო, ტრამვაი რომ რაწყუნით მისრიალებდა. ნეტავი ფრთას გამოიბამდეს ეს ვაგონი და იქ-

როლებდეს დაუსრულებლად, იჭროლებდეს, ვიდრე არ განშორდება იმ გარემოს, სადაც ავთანდილ ზეკარელის ცივი თვალები შემზარავად იმზირება.

თავი ასწია, მიმოიხედა, საშინელი ვიწროობა იგრძნო, სული კინაღამ შეეხუთა; ხილს გაღმა გაძვრა ხალხში და ბალთან ჩამოხტა.

გაზაფხულის წყნარი საღამო იყო. ადიდებული მტკვარი მაღალ კედლებს შორის მძლავრად მიიგრავნებოდა, აქა-იქ გაიცემციმებდა ელექტრონის სინათლეზე მოთეთრო ნანჩქრევი.

ერთხანს თავდავიწყებით უმზირა ვაჟამ მტკვრის დინებას; ფიცხელი სტიქიონის ბრმა ძლიერებამ დაიპყრო; მოეჩვენა, თითქოს შესაძლებელი იყოს, მიჰყვე ამ დაუღვეველ სრბოლას, მიჰყვე და არ გესმოდეს, თუ ამ ქვეყნიერებაზე რა ხდება, ვის რა აწუხებს.

თავი გაიქნია, უაზროდ მიმოიხედა, ხესთან მივიდა, წიწვი მოწყვიტა. ხეივანში ვერ მოიხეენა. სტალინის ძეგლთან შეჩერდა, თვალი მიმოავლო.

ოღნავ თრთოდნენ და ქუფრად ლაპლაპებდნენ ალვის ხეების ნორჩი ფოთლები.

სტალინის მაღალ მონუმენტს მიაკეჭრდა. ცოტაოდნად გონს მოეგო, მერხზე ჩამოჯდა.

უცერად, სრულიად მოულოდნელად იფეთქა მის ჩამობნელებულ გონებაში მცირე შუქმა და მამის ნაამბობი მოაგონდა.

„მრავალსართულიანი სატუსალოს ვიწრო ეზოში გამოგვიყვანეს პატიმრები, ყვებოდა დიმიტრი, — მე იმწამსვე სტალინს ამოვედექი მხარში. სხვა საკანში იყო და იშვიათად ვხვდებოდი. შემომხედა, გამილიმა. შელახულ პიჯაკს ქვეშ შავი ხალათი ეცვა, თავზე კეპი ეხურა. ასე იცვამდნენ იმ დროს მუშები, ხარატები, ზეინკლები. მოიტანეს ხელბორკილები. სტალინთან მიმავაჰყვეს. გამოგვიყვანეს ქუჩაში, გარს ჯარისკაცების რკალი გვაკარავს. მივდივართ დიდ ჭალაქში. მინდოდა,

ბევრი მესაუბრა სტალინთან, მაგრამ შევატყვე, ფიქრში გაერთო. ვცდილობდი ისე მევლო, რომ მის მაჯაზე ბორკოლი არ შემერხია. სახეზე ვამჩნევდი, იმ მტვერიან ქუჩაში კი არ იმყოფებოდა, შორს იყო, საპატიმროებისა და სახრჩობელების მიღმა, წინასწარ სჭვრეტდა ჩვენს სანატრელ განთიადს... ახლა თქვენც ხედავთ, თუ საიდან სად აიყვანა მან ჩვენი ქვეყანა...“

ვაჟას თვალისჩინი ემატება, მაღალ კვარცხლბეკზე გადმომდგარ ბელადს შეჰყურებს და გრძნობს, რომ შეუღერებელ გზას ადგია. მაინც საით მიილტვის? რას აპირებს? რა მოხდა? ავთანდილ ზეკარელს იამზე უყვარს... იამზესაც...

ფიქრი ველარ განაგრძო, ადგა, გაიარ-გამოიარა. ისეთი მარტობა იგრძნო, თითქოს არც დღე-მამა, არც დედი, არც ამხანაგ-მეგობრები, არავინ არა ჰყავს. მთელი ეს გარემოც მიუკარებელია და ცივი... ცივი, როგორც ავთანდილ ზეკარელის თვალეები...

ხეივანში რამდენიმე მოსიერნე შეეჩება; გვერდი ისე შეუარა, რომ მათთვის არ შეუხედავს; არც იმისთვის მიუქცევია ყურადღება, ასფალტზე რომ გავიდა და მანქანამ სულ ახლოს ჩაუჭროლა.

მაღე, ნაკადს რომ საგუბრისაკენ კვალს მისცემენ, ისე შეეპარა ერთი ფიქრი, თანდათან იძალა და ბოლოს მთელი მისი არსება მოიცვა.

იამზეს საფრთხე მოელის, შველასაქიროება...

გამოცოცხლდა, აჩქარდა. რაც კი რამ გააჩნია ვაჟას, ყველაფერს, თვით სიცოცხლესაც კი შესწირავს, ოღონდ იამზეს ეს საშიშროება ააცილოს!

მუშათა უბანში, მაღლობზე მოითქვა სული. აქ პირველად იხილა იამზე სიყვარულის თვალთ. მაშინ ხელახლა დაიბადა ამქვეყნად და თვით ქვეყნიერებაც ასგზის უფრო გამშვენიერდა

ზარანდიას სახლს რომ მიუახლოვდა, გული ყელთან მოაწვა, რამდენჯერმე ღრმად ამოისუნთქა, მერე დააყურა. არავითარი ხმა არ ისმის, თითქოს შინ არავინ არისო. ფანჯრები კი განათებულია. აგერ ვალიკოს პოინტერი ჩამოვიდა აიენიდან და ვაეასკენ მოეშურება, თითქოს ძალღი კი არა, გულისხმიერი ადამიანი ეგებებაო. კიშკარი გააღო და ზეროს თავზე ხელი მოუსვა. ძალს იმდენად ესიამოვნა ეს მიფერება, რომ უკანა ფეხებზე შედგა, აღიმართა და მტერიანი თათები ახალ კოსტუმზე მიაყრდნო, თიხისფერი დალი დააჩინა.

ვაეას სამოსი არ გაუსუფთავებია, ზეროს მიჰყვა გამხნეებულნი. ახლა მხოლოდ ის აწუხებდა, რომ ბინაში მტისმეტი სიჩუმე იყო.

აივანზე შეჩერდა, უხერხულობის დასაძლევად კვლავ ძალს მიეალერსა. ასმათმა გამოიხედა.

— ნენა — შეილო! ვაეა მოსულა! მობრძანდი, ჭირიმე, მობრძანდი! — თავისებური დედობრივი გულწრფელობით მიეგება ასმათი, ოთახში შეუძღვა, ახალი კოსტუმი შეათვალიერა, მტვერი შეამჩნია, გაუსუფთავა, მერე სახეზე დააკვირდა და მზრუნველობით ჰკითხა:

— როგორ ხარ, ნენა? ავად ხომ არ იყავი?

— არა, დედი, ავად რა გამზდიდა! — გაიკვირვა ვაეამ, სულ არ მოჰგონებია, წინა საღამოს რომ ამ ოთახში გული კინლამ წაუფიდა.

— რა ვიცი, შეილო, გუშინ საღამოს ისე ცუდად ვახდი, რომ დღეს იამზემ ჯიცი კინლამ გამოგზავნა, ამ საღამოსაც ბევრი გიცადა, რაღაც უნდა უჭირდესო, თორემ ამდენ ხანს მოვიდოდაო..

ვაეას გული გაუნათდა, დაუფარავი სიყვარულით მიატყერდა ასმათს, საამო სიმშვიდემ მოიცვა.

აჲ, ამ ოჯახში, სადაც იამზე აღიზარდა, შეუძლებელია რაიმე მზაკვრობა, აჲ ყველაფერში სიკეთე გამოსჭვივის

ისე, როგორც ასმათის ნაღვლიან თვალებში.

—...ამხანაგებმა მოაკითხეს იამზეს, — განაგრძობდა ასმათი, — თორემ არ წავიდოდა, დაგელოდებოდა. შენ იქნება წარმოდგენილა არა გაქვს, შეილო, თუ როგორ მიაჩინხარ იამზეს. ბევრი კარგი ამხანაგი ჰყავს, მაგრამ შენ სულ სხვა ხარ მის თვალში. ვინ იცის, იქნება...

თავი შეიკავა ასმათმა, უნდოდა ეთქვა, იქნება ბედიო, მაგრამ ჯერ ამის გამხელა ნაადრევად მიიჩნია, სიტყვა გადაასხვადგინა:

— ჰო, იქნება ბედმა არ გაგწვიროს და ისე მოეწყოს ყველაფერი, როგორც ჩვენ ვნატრობთ. ახლა, შეილო, მე ის მაწუხებს, რომ სვანეთში აპირებენ წასვლას სამოგზაუროდ და მე რაღაც გული მეთანაღრება. ჩემი ძმა კი არ უშლის, გაიაროს, საქართველოს ყველა კუთხე ნახოსო, თავის ამხანაგებს რატომ უნდა ჩამორჩესო. მერე კიდევ ისეთი მასპინძელი ეყოლებათ, როგორიც ნანი ონიანი არისო, და რაღაც გაუჭირდებაო. ჩემს ახალგაზრდობაში გასათხოვარ ქალს მშობლები ასე შორს არ გაუშვებდნენ. ახლა კი... თუმცა მე რაღაც გამეგება, ვაეას ჭირიმე, ვარ აგერ ჩაკეტილი და ცრემლებმა თვალები გამომიღამა. შენ ბავშვი იყავი, შეილო, მაგრამ კი იცნობდი ჩემს ბიჭებს. არ გიკვირს, ასეთი შეილების დამკარგავს რომ კვლავ სული მიდგას?..

ხმაში მდღუარება შეეპარა ასმათს, დამკნარ ლოყებზე ცრემლები აეკინდა; ლასლასით გავიდა თავის ოთახში, ერთად გადაღებული პორტრეტი გამოიღიანა, ვაეას წინ დაუდო, ზედ ხელი ნაზად მოუსვა, თითქოს ცოცხლებს ეალერსებო:

— თქვენი სულის ჭირიმე, დედის იმედო, შოთა, მამია! სად ხართ, ჩემო ოქრო ბიჭებო, ერთხელ მაინც მოაკითხეთ თქვენი დამწუხრებული დედა! ვი ჩემს გაჩენას, შეილებო, ვა ჩემს გაჩენას...

ხმა ჩაუწყდა, ყრუდ აქვითინდა. უცებ, თითქოს რაღაცამ შეაკრთო, მიმოიხედა, ცრემლი მოიწმინდა, ვაჟას ბოდიშით მიმართა:

— მამატიე, ჭირიმე, შეგაწუხე. მართალია, სტუმრად აღარ გთვლი ახლა შენ, შინაური ხარ, მაგრამ...

— არა, დედი, როგორ გეკადრებათ! ნეტავი შემეძლოს, რითიმე შეგიმსუბუქოთ თქვენი მწუხარება!— გულწრფელად უთხრა ვაჟამ.

— შენი თავი მიბედნიეროს, შვილო, ბუნების ძალამ ჩემს გლოვას რა გამოლევს! სული თუ მიდგას, მხოლოდ იმისთვის, რომ ჩემი უბედური შვილების მოსახსენებლად მერთოს ცეცხლი... ჰოდა, ეს ერთი გოგო გვყავს, იამზე, მე და ჩემს ძმას, მაგაზე ამოგედის მზე. მინდა მოვესწრო მაგს გაბედნიერებას. არ ვიცი, იქნება ძველი შეხედულებებისაო, თქვა ჩემზე, მაგრამ მე, შვილო, იმ რწმენისა ვარ, რომ ქალს, რაც არ უნდა ბევრი ისწავლოს, ცხოვრების გზაზე გასულად ვერ ჩავთვლი, სანამ თავის ბედს არ ეწევა. დიდად თავდაპირილი ქალია ჩვენი იამზე, მაგრამ ჯერ ბევრი განსაცდელი ელის. ვინ იცის, ვის აირჩევს, რა კაცი შეხედება. ახალგაზრდას ხშირად ჰკუთვნება თვალეში აქვს, შვილო, გარეგნული ბრჭყვიალი იტაცებს...

ვაჟას გაგებული ჰქონდა, რომ იამზე რამდენიმე ამხანაგთან ერთად სვანეთში აპირებდა წასვლას, მაგრამ ამისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია. ახლა კი შესფოთდა, ვინ მიჰყვება? იქნებ ავთანდილ ზეკარელიც... აჰ, რაღა თქმა უნდა, ზეკარელი როგორ მოშორდება!..

მკერდზე ხელები დაიჭდო ვაჟამ და ოთახში გაიარ-გამოიარა. მერე მაგიდიდან წიგნი აიღო, შეათვალიერა.

ასმათს არ გამოეპარა, ვაჟას რომ ფერი ეცვალა.

— რაღაცა გაწუხებს, შვილო, შენ?

— არაფერი... ისე...

— გუშინაც ასეთი ფერი დაგედო. შემდეგ ძალიან ცუდად გახდი... იამზემ

თქვა, არასოდეს ვაჟასთვის ასეთი ნერვიულობა არ შემიმჩნევია, მე ვაჟას მალავ, ჭირიმე, დედასაც ვაწუხებ...

— სხვა ხომ არაფერი უთქვამს იამზეს?

— რას მეტყობა. ყველანი შეწუხდნენ.

— ავთანდილ ზეკარელიც?

— რატომ მეკითხები? გატყობ, არ უნდა მოგწონდეს შენ ის ყმაწვილო. სულო ცოდვილო, მეც ვერ დავანდებ გული. დიდი კაცის შვილია, განათლებული. ჩემი ძმა ამბობს, მაგას დიდი მომავალი ექნებაო...

— ეს მიბრძანეთ, — შეაწყვეტინა ვაჟამ, — ავთანდილი ხომ არ მიყვება სვანეთში იამზეს?

— ავთანდილი... ერთი ეს მითხარი, ჭირიმე, რა არ მოგეწონა შენ მაგ ყმაწვილის?

— არ ვიცი. გარეგნულად არ ემჩნევა, ისე კი...— აღარ დაამთავრა ვაჟამ.

— წარმოიდგინე, მეც მაგგვარი შეხედულებისა ვარ. ვერ გამიგია, საიდან დამებადა ასეთი გრძნობა. ცუდი არაფერი შემიმჩნევია.

— მაშ, ავთანდილიც მიჰყვება იამზეს სვანეთში?

— ჰო, შვილო, ნანი ონიანი, ლევან ჯანელიძე, ავთანდილი და კიდევ ერთი ხნიერი ქალი, მარო მთიანელი.

— ჰო, ახლა გასაგებია!— ჩაილაპარაკა ვაჟამ და მწარედ გაიღიმა, წიგნი მაგიდაზე დააგდო, კარისაკენ გაემართა.

— ჯერ ნუ წახვალ, შვილო, იამზე მალე მოვა.

ვაჟას იმდენად დაკარგული ჰქონდა წონასწორობა, რომ ასმათის სიტყვებზე თითქოს არ გაუგონია, კარი გამოაღო.

სწორედ ამ დროს ვალიყო ზარანდია ამოვიდა აივანზე, ზერო ამოუძღვა, მუხლებზე მოხეხია.

— კარგი, ზერო, დამშვიდდი, ხვალ წავიყვან სანადიროდ. — უთხრა ძალს და კარებში შეჩერებულ ვაჟას შემდეგ შეხედა.

— აჰ, ვაჟს გაუმარჯოს! კარებში რატომ ხარ გაჩერებული? ჩემი მოსვლა ხომ არ გეწყინა?

ვაჟამ ვერ უპასუხა, უკან დაიხია, ვალიკოს გზა დაუთმო.

ვალკომ, ხელში რომ მოკრული ეჭირა, მაგიდაზე დადო, წამსვე მიმოიხედა, ასმათს ჰკითხა:

— იამზე სად არის?

— ამხანაგებს გაჰყვია, მალე მოვა.

— ნანი იყო მათთან?

— ჰო, ლევანი და აეთანდილი იყო კიდევ, მარო მთიანელთან მივდივართ.

— კეთილი! ნანისთან მას არაფერი გაუჭირდება. წარმოიდგინე, — მიმართა ვაჟს, — ეს გოგო, ნანი ონიანი, პირდაპირ საოცრებაა. სად შეიძინა ამდენი გონიერება, ამდენი ტაქტი! შეამჩნიე, როგორ ჰყავს ხელში გამოქერილი ის გულკეთილი ბიჭი — ლევან ჯანელიძე? ამოდენა კაცი ბავშვით თვალში შეჰყურებს, ნანის რა ვასიამოვნო. დაჯექი, ბიჭო, რას გაჩერებულხარ! შე აგერ სანადირო მოწყობილობას ამოვალაგებ. ვაზნები უნდა გავაწყო. ამ საღამოს გარდაბანში ამხანაგი შემხვდა და მითხრა, ჭოვილო მოსულაო. ცოტა ადრე კია, მაგრამ ხანდახან ადრე გაზაფხულზედაც მოდის. თუ არაფერი იქნება, ძალს მაინც გავატარებ. ცოდვია, დიდი ხანია, მინდორში არ გასულა.

მაგიდის ქვედა უჯრა გამოსწია, ქალღლის ვაზნები, ღენთი და საფანტი ამოალაგა. დაჯდა, ღენთი საინზე დაჰყარა, სარწყავი ააგო, თითი გადაუსვა. უცებ ხელი შეუჩერდა, ვაჟს დაკვირვებით მიაკვირდა.

— ვაჟა, შენ რაღაც მოწყენილი მეჩვენები! შეცადინებამ ხომ არ დაგდალა? მეტისმეტი ყველაფერი მოსაწყენია. მოდი, გავიაროთ ხვალ. კვირაა, თავისუფალი ხარ. არაფერი ისე არ გამოაცოცხლებს კაცს, როგორც ნადირობა. ეს შე გამოცდილი მაქვს. შენ ხომ მითხარი, სანადიროდ დავყვებიო ამხანაგებს. თოფი როგორი გაქვს?

— თოფს არა უშავს რა, მაგრამ...

— არავითარი მაგრამ არ უნდა მშავს. გასწი ახლა, ვაზნები მოსმსადე. ხომ იცი, რა ნომერი საფანტი უნდა?

— იცი. ვაზნები მზადა მაქვს.

— ჰოდა, კიდევ უკეთესი, კარგად გამოიძინე. დილის შეიღ საათზე სადგურზე დამხვდი. არ დაიგვიანო.

— კარგია, შეილო, კარგი! გაივლი, გახალისდები. — უჩნია ასმათსაც.

მძიმედ წამოდგა ვაჟა. დამე მშვიდობისაო, ჩაილაპარაკა და აივანზე ისე გავიდა, თითქოს უკან რაღაცა რჩებო; კიბეზე ჩაირბინა, ეზოც სწრაფად გაიარა; ჭიშკარი რომ მიხურა, მაშინ კი შეჩერდა. სად მიიჭარის? რა ენადირება? გულში ჯოჯოხეთი უტრიალებს. საკვირველია, არც ასმათს, არც ვალიკოს აზრად არ მოსდის, რომ ვაჟს იამზე უყვარს. ვალიკოს აშკარად ემჩნევა, რომ აეთანდილ ზეკარელი სასიძოდ არჩეული ჰყავს. ასმათი კი... ასმათი კეთილი ადამიანია. როგორ თქვა? აეთანდილს გული ვერ დავანდევო. მაგრამ ასმათს ვინ ჰკითხავს. მამაშვილს თუ სწადია, წინ ვინ დაუდგება?

ეს ფიქრი ტყვიასავით ჩაუღულდა გულში. ნაბიჯი ძლივს გადადგა.

მოსახვევში, ქუჩის ლამპიონებს უქეში მოჰკრა თვალი იამზეს. გვერდით რომ ტანაშოლტილი ქალი მოჰყვება, ეს... ჰო, ნანი ონიანია.

იამზეს დანახვამ ფრთები შეასხა ვაჟს, ხოლო ნანიმ, ამ ახალგაყენობილმა ქალიშვილმა, უსაზღვროდ გაამხნევა.

— აგერ, ეს ხომ ჩვენი ვაჟაა! — წამოიძახა ნანიმ და დაწინაურდა, ვაჟს ხელი მაგრად ჩამოართვა. — როგორა ხართ, ვაჟა, ხომ კარგად? იამზე ამ საღამოს სულ თქვენზე დარდობდა.

ვაჟამ კდემით გაუსწორა თვალი იამზეს, პირთამდე ალევსო საწყაული სიხარულისა; ენა დაება.

ნანი ონიანმა გამოიყვანა გარინდებიდან, ხელი გამოსდო, გაიყოლია, შინაურულად უთხრა:

— იცით, რა გადაწყვიტეთ შე და იამზემ? აბა, თუ მიხვდებით?

— მე რა უნდა ვიციოდე, გულთმისანი ხომ არა ვარ!

— დიხხაც უნდა იყოთ გულთმისანი. თქვენისთანა ვაჟი წამსვე უნდა მიხვდეს, თუ მოყვარეს გულში რა უღვევს, არა, იამზე?

მორცხები ღიმილით დაემოწმა იამზე.

— ჰო, იმას ვამბობდი, ჩვენ გადაწყვიტეთ, მე და იამზემ, თქვენც უნდა მესტუმროთ სვანეთში. იცით, რა მგზავრობა გვექნება, რამდენ სიამოვნებას

უნდას ნახავთ. ჯერ კიდევ დრო არის, საგნე? მომზადებული გექნებათ. აგვისტოში დავბრუნდებით. გზადაც მარო მთიანელის ხელმძღვანელობით ბევრ რამეს შევისწავლით, მწვერვალზედაც ავალოთ...

ვაჟა უკვე იმყოფებოდა მწვერვალზე. იამზეს მიხედა, ხმა ძლივს დასძრა:

— მართლა, იამზე?

ეს ისეთი ტონით იცითხა, რომ იამზეს გულიანადა გაეცინა.

X

ნადიმეა

სახლს რომ მიუახლოვდნენ, ქეთინომ ხელი გაითავისუფლა, დაწინაურდა. მედიკო შეჩერდა, ირგვლივ მიმოიხედა, მერე თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— რა სიმშვიდეა ამ გარეუბანში! იფიქრებ, ომი საშინელი სიზმარი იყოო.

— მესმის, — აღერსიანი ხმით უთხრა დიმიტრიმ, — შენ ისეთ გრიგალში გამოიარე, რომ აქ ბევრი რამ გეუცხიება. შეიძლება მოგჩვენოს, თითქოს აქ ხალხს ომი არ განუცლიათ. მაგრამ თუ ღრმად ჩაუკვირდები, მიხვდები: აქ ერთი ბავშვიც არაა, მის სულზე ომს თავისი დალი არ დაესვას. ისე კმე ახლაც მათეებს: როგორ შესძელი შენ, ჩემმა ბაჩუნა გოგონამ, იმ უზარმაზარ ცეცხლში შესვლა?!

— კაცს თუ გული ერჩის...

— ვიცი, შვილო, ვიცი! — შეაწყვეტინა დიმიტრიმ, — აი, მე ძველი მუშა ვარ, ბევრი მიფიქრია: რა არის-მეთქი კაცის უდიდესი მოვალეობა? მიფიქრია და იმ დასკვნამდე მივსულვარ, რომ ყველაზე უმთავრესი ეს არის — ადამიანის სიყვარული. აქ არის ყველაფერი: ქვეყნისათვის თავდადება, შრომა, ახალი თაობის აღზრდა, სულ უკეთესი და უკეთესი მომავალი. ადამიანი კი, თავის სამშობლოს თუ არ განიცდის, არარაა. იცი, რატომ? აქ, ამ მიწაშია ჩათესილი ყველა-მარცვალი,

რომელიც მის სულში ამოდის და იფურჩქნება, აქვეა მისი ფესვებიც. ამიტომ ჩემთვის საესებით გასაგება შენისთანა ახალგაზრდის გატაცება. ეს მე მაფრთოვანებს. მაგრამ... წარმოიდგინე, რომ ამ სიბერეშიაც წააწყდის ისეთ მოვლენებს, რასაც წინათაც ბევრჯერ ჩაუფიქრებია... იცი, რა არის ყველაზე ძნელი? სიტყვისა და საქმის, ნაზრებისა და სინამდვილის შეთანხმება. ყველაზე მძიმე გამოცდა აქ იწყება. ეს უმთავრესად ხდება მაშინ, როდესაც საზოგადოებას რაიმე დიდი უბედურება დაატყდება. კაცი უნებლიეთ ინატრებს: ნეტავი შეეძვრებოდე ჩემს ნაქუჭში, გადავაფარებდე მხრებს ჩემს მახლობლებს. გადაივლას ქარიშხალი და სამშვიდობოზე თავს გამოვყოფო. იმას კი არ დაეძებს, რომ სხვებთან ერთად თვითონაც წაილეგება. ძალიან დიდი გამოცდაა ეს. კაცი ის არის, ვინც ასეთ დროს დიდი ადამიანობის სიმალეზე აღმოჩნდება... იცი, შვილო... — დიმიტრიმ მედიკოს ხელი მხარზე მოხვია, ხმას დაუწია, თითქოს საიდუმლო უნდა გაანდოსო. მაგრამ ენაზე მომდგარი სათქმელო შემდეგისათვის გადასდო, წინა ლამის საძაგელი სიზმარი მოიგონა: — ჰო, საზიზღარი სიზმარი ვნახე. ძილში მეტად ცუდი ამბავი ჩამყვა და, ალბათ, იმიტომ დამესიზმრა... ვითომ ვილაც თავზეგელალებულ მეთავისეების წრეში

მოვხვდი. ყველას ხელში ყასბის დანა უჭირავს და კაბორიტებული თვალეხით ეძებს წუთს, რომ მეორეს გული გამოლადროს. ვხედავ, ჩემს ირგვლივ ეცემიან ყელგამოჭირლები. საშინელი შიში, ცხოველური შიში მიპყრობს. ახლა მხოლოდ იმას ვნატრობ, როგორმე მე მაინც დაველწიო თავი გამხეცვულ მკვლელებს. მაგრამ არა, ერთმა უკვე დამისვა მკლავზე დანა და... როგორც იქნა გამომეღვიძა. ჰოდა, შვილო, ყველაზე საზიზღარი ის იყო, რომ ამ საშინელ წუთებში ჩემში უკვე ჩამჭრალი იყო ის მაღალი გრძნობა, რომელიც ადამიანს მხეცისაგან ანსხვავებს, მაშინ მე აღარ გამაჩნდა ადამიანის სიყვარული, მხოლოდ თავის გადარჩენაზე ვფიქრობდი...

მედიკო მამას სახეზე *მიატქერდა. შინ მოსვლის შემდეგ პირველად ამოიკითხა მის დიდრონ თვალებში გულს ჩახვეული დარდიანი საგონებელი.

— მამა, შენ რაღაცა გაწუხებს და არ ამხელ. რა მოხდა?

— ისეთი არაფერი, შვილო. ახლა მაგის დრო არ არის. აგერ ეკატერინე კარს მოადგა. წამო.

მედიკო მამას მიჰყვავ, გუნებაში კი გადაწყვიტა, რომ დრო შეერჩია და ყველაფერი დაწვრილებით გამოიკითხა.

— გენაცვალე, მედიკო, ჩემო ნაომარო დაიკო!— შორიდან მოაძახა ეკატერინემ, მიასურა, მოვხვია. შემდეგ მამას მიმართა:— მობრძანდი, მამილო! ქეთინომ ყველას ახარა, ჩემი დიდი ბაბუა მოდისო.

იავორ გორისელის მეგობრები ბანქოს თამაშობდნენ, არ ეცალათ. იავორიც თამაშში იყო გართული, სახე წამოწოთლებოდა. მაგრამ დაინახა თუ არა დიმიტრი და მედიკო, მაშინვე წამოდგა, ხმამაღლა დაიძახა:

— აა, ჩემს სიამარს ვახლავარ ასე შეჯამული ცხენით!

შემდეგ მედიკოს მიხედა, მიიჭრა, მოვხვია, უკან დაიწია, შეათვალერა.

— არა გრცხენია, გოგო, შენ ფრონტზე წადი და ჩვენს ყველაფერს სირცხვილში ჩაგვაგადე! *გოგო, შენ* მერე მეგობრებს მიუბრუნდა:

— ა, ბატონებო, შეხედეთ თქვენი კეთილი თვალებით, ქალი ვარო, ამან უნდა თქვას. მთელი ფრონტი მოიარა, ვინ იცის, რა ცეცხლში იყო, მაინც შევარდენივით გამაიყურება, ვაშა, ქალო, ვაშა!— დასძინა და მედიკოს მხარზე ხელი დაჰკრა.

ყველანი გარს შემოეხვივნენ მედიკოს. მხურვალედ ართმევდნენ ხელს, მშვიდობით დაბრუნებას ულოცავდნენ. ქალები ჰკოცნიდნენ, უამრავ კითხვას აძლევდნენ.

ბანქოს მოთამაშენი კვლავ მაგიდას მიუსხდნენ; მხოლოდ ერთი დარჩა ფეხზე, ქერა, ლამაზი ქაბუკი, ცისფერი თვალები გაბრწყინებოდა, მოხდენილი ტუჩები გაღიმებას აპირებდნენ.

მედიკო გარს შემოხვეულ ქალებს ესაუბრებოდა; ისეთი საამო განწყობილება იპყრობდა, როგორც სჩვევია ხოლმე შორიდან თავისიანებში დაბრუნებულ ადამიანს. უცებ შეერთა, ფერი ეცვალა, კუთხეში გაჩერებული ქაბუკის უცნაურად მომლოდინე გამომეტყველებას მოლანდა თვალი. ვინ არის? სად უნახავს?... აჰ, ეს ხომ ეს ენაწყლიანი, უნაღვლო ახალგაზრდა კაცია, რომელიც მატარებელში ძველი ნაცნობივით გაესაუბრა მედიკოს.

თვალი დახარა მედიკომ.

ეკატერინე იყო იმწამს იქ, ქაბუკს გაუღიმა და გუნებაში გაივლო: „როგორ უმზერს! თითქოს რაღაცა საიდუმლო აქვს განდობილი და ჩემად ეკითხება, ხომ გახსოვსო“.

ადგილიდან ნელა დაიძრა ქაბუკი, მედიკოს მიმართა:

— უკაცრავად, ჩვენ ხომ ერთად ვიმგზავრეთ მატარებლით?

— დიახ...

— რა სასიამოვნოა! ჩემი მეგობრის ცოლისდა ბრძანებულხართ!— თქვა ახალგაზრდა კაცმა და მედიკოს მოკრძალებით ხელი გაუწოდა.

— თქვენ უკვე მოგისწრიათ გაცნობა!— წამოიძახა ეკატერინემ და გაციონა, ქალებს მრავალმეტყველად შეხედა, გვერდით მდგომს კი წასწურჩულა:

— რას იტყვი, განა შესაფერისნი არ არიან?

მედიკომ ყური მოკრა ამ ჩურჩულს. ეწყინა, თავი დახარა, განზე გადაგა.

სასადილო ოთახში სუფრა უკვე გაწყობილი იყო, მაგრამ ბანქოს მოთამაშებებმა ითხოვეს, ცოტა კიდევ გვადროვეთო.

დიმიტრიმ მკაცრად მოქუტა თვალუბი და მოთამაშენი სათითაოდ შეათვალიერა. ერთი ერთი მათ შორის ქალაჩაშერეული მსუქანი კაცი, დანარჩენები ოცდაათი-ოცდათხუთმეტი წლისანი იყვნენ. ყველას მდიდრულად ეცვა. მაძლარ სახეებზე ემჩნეოდით, რომ საკუდარი თავის პატივისცემა კარგად იცოდნენ.

„რა ჩემი საქმეა ამითან დროს ტარება, — ფიქრობდა დიმიტრი, — ამით ზგონიანთ, თვითონ თუ გაძლენენ, ქვეყანა ამუნდებან. საკუთარ მუცელს იქით არ იხედებან. ჩემს სიძეს ხომ კარგად ვიცნობ. ალბათ, სხვებიც მისთანები არიან. ვის რა გამოარჩენენ, ვისი საშუალებით მოითბონ ხელი, — ესაა მათი საზრუნავი... ამათი წრიდანა ჩვენი კოტე ზალურიშვილიც. ასეა, ანგარების ამყოლს უჭირს უკან მოხედვა, ხარბის გული გაუმაძლარია...“

— აბა, ახლა კი დროა!— წამოიძახა იაგორმა, — მობრძანდით, ბატონებო!

წამოშალნენ, სასადილო ოთახში გავიდნენ.

გულდაგულ გაწყობილ მაგიდაზე უხვად ელაგა ნაირნაირი საქმელი. ბოთლებში მუხრანიდან საგანგებოდ ჩამოტანილი თეთრი ღვინო კამკამებდა.

სათითაოდ მიიპატიეა იაგორმა სტუმრები მაგდასთან, ყველას შესაფერი ადგილი მიუჩინა. ეკატერინეც მიეშველა.

— სერგო, თქვენ აგერ, ჩემი მონატრებული დის გვერდით დაბრძანდით, თქვენ უკვე გაცნობილი უნდა იყავით, ერთმანეთს არ მოაწყენთ, — მიმართა ეკატერინემ ქერა ჰაბუტს, ხელი მოხვია, მედიკოს გვერდით დასვა.

იაგორს წარამარა ოხუნჯობა სჩვეოდა, მაგრამ ახლა არ ეცალა, სტუმრებს თავს დასტრიალებდა, მახვილი თვალით აკვირდებოდა, ვინმეს რაიმე არ აკლდესო. ტანადი, ლამაზი, მხიარული კაცი იყო იაგორი. მოლიმარ სახეზე ნალევეს იშვიათად შეამჩნევდით. სულ ადვილად იახლოვებდა ადამიანს. ღრმა სამეგობრო კავშირი და სულიერი თანაზიარობა იშვიათად იპყრებდა. მისი ძმა და მეგობარი იყო ყველა, ვინც რამეში გამოადგებოდა, ხელს მოუშარავდა, საქონელს რიგს გარეშე მისცემდა. „ეს ქვეყანა, ჩემო ძმაო, იმიტომაა გაჩენილი, რომ ჰამო და სვაო“, იტყოდა ზოლმე იაგორი და მთელი მისი საზრუნავიც ამის გარეშე მოტრიალებდა. თავის თავს „მანსიან“ კაცად თვლიდა. გამოარჩენა — ეს იყო მისი მთავარი საგონებელი. დიდი თანამდებობა არასოდეს არა ჰქონია: ხან საწყობის გამგე იყო, ხან რომელიმე სავაჭრო დაწესებულების უბრალო რწმუნებული, ნივთიერი ხელმოკლეობა კი იშვიათად განუცდია.

სტუმრები ჰამას მაღიანად შეუდგნენ.

იაგორმა მამაკაცებს კონიაკი ჩამოურიგა, მანდილოსნებსაც შესთავაზა. მერე თვითონაც დაჯდა და სასმისი ასწია.

— მეგობრებო, ვთხოვთ ჩვენს ამბაკო გურგენისს, გაგვიწიოს ხელმძღვანელობა.

— ვთხოვთ, ვთხოვთ!..

— არა, მე ნუ! — ასწია ხელი ზორცსავეს, ჩაგოდრებულმა, თმაშეჭირხლულმა ამბაკო ოთარაშვილმა, მაგრამ ლაქლაქა სახეზე კი ემჩნეოდა, რომ ძალიან კმაყოფილი იყო.

— ვთხოვთ, ამბაკო გურგენო, ვთხოვთ! — მუდარით გაიმეორა იაგორ-

მა, ამბაკოსთან მივიდა, კიქა კიქაზე მიურაქუნა.

— რაღა გეწყობა, თქვენთან უარო ვის გაუქა!— თქვა ამბაკონ და ჩაის კიქა ლეინით გაავსო.

დიმიტრი კარგა ხანს იყო სახემოლარებლული, თავს უხერხულად გრძნობდა, მაგრამ რამდენიმე საკალღებულო სასმისი რომ გამოსცალა, დატყბა, სიყვარულით მოაგლო ყველას თვალი და მრავალგამიერს ხმა ააყოლა.

მოსდიოდა ხოლმე ასე დიმიტრის, შეზარხოშდებოდა, თავის კეთილ ბუნებას უხვად გამოავლენდა; გული სიამით აევსებოდა და ცდილობდა— ყოველ ადამიანში კარგი რამ აღმოეჩინა, თავისი ოცნებით დაემშვენებოდა, თავისი მისწრაფების თანაზიარი გაეხადა.

„რა გაბუზღუნებს,— ეტყოდა ხოლმე ასეთი განწყობილების დროს თავის თავს,— სიხარული და ბედნიერება სწყურია ადამიანს; თავის სიკოცხლეში უნდა შეიტკბოს ის ნეტარება, რაც ბუნებას მისთვის გაუჩენია“.

— ყოჩაღ, ჩემო სიმამრო, ყოჩაღ!— მიაძახა მომღერალ დიმიტრის იაგორმა,— აი, ეს მესმისი დამამშვენე კაცი და ეს არისი აბა, კიდევ, ცეტური, მეგობრებო, ცეტური!

გაჩაღდა სმა, გრძნობიერი სადღეგრძელოები, სიმღერა.

ეკატერინე მამას ზურგიდან მოეხვია და სიყვარულით უთხრა:

— იცი, რა კარგი ხარ ახლა, მამილო, რა კარგი!

— თქვენც კარგი ხართ, შეილო, ყველანი კარგები ხართ!— უპასუხა აღფრთოვანებულმა დიმიტრიმ და აღერსით მიაპყრო თავის ასულს მომღიმარე თვალები.

მედიკოც თანდათან გაერთო, თავის ისე გრძნობდა, თითქოს დიდხანს უგზოუკვლოდ ატარებდა აბობოჩრებულ ზღვაში მოხეტიალე გემი, მერე ეს გემი ნავსადგურს მიადგა. მედიკო ნაპირზე გავიდა და თავი მშობლიურ მიდამოს შეაფარა; შორს დარჩა

ფრონტის ორომტრიალი, დანგრეული ქალაქები, გადამწვარი სოფლები, ყუმბარებისაგან დაღწილი კრკინბაგზის სადგურები, ჰოსპიტლები, დაპრილდასახიჩრებულთა მუწუხარე სახეები.

თანაც თითქოს დაღლილობა იგრძნო მედიკომ, ის საამო დაღლილობა, როდესაც ადამიანი ამჩნევს, თუ როგორ თავისუფლდება უსახომო ტვირთისაგან.

მედიკოს გვერდით რომ ჰაბუცი იჯდა, სერგოც ცხრამუხელი, იგი პირველად დარდიმანდული გულგაშლილობით ესაუბრებოდა, ცდილობდა მიეპყრო მედიკოს ყურადღება. მაგრამ შემდეგ, რამდენიმე კიქა რომ დასცალა, ლაპაზ სახეზე კაეშანი აღებუქდა, მოიწყინა.

მედიკომ მალე შეამჩნია ეს და ეუცხოვა. ჯერ თვითონაც არ იყო გარკვეული, სერგოსთან საუბარში თავისდა უნებურად რომ აღებრა სურვილი— დაყრდნობოდა მის ხმას, მოესვენა. მადლიერად მიაპყრობდა ხოლმე სერგოს თვალს, ნაღვლიანი ღიმილი შეენოდა. დიდი ხანია მოწყურებული იყო მისი ქალური არსება ბუნებრივი ეშხისა და სიკეკლუცის გამომწვევებს. სახე აუყვავდა მედიკოს. დიდი წამება გამოიარა, დაიქანცა უღმობელ სიყვდილთან ბრძოლაში. მრისხანე ღრუბლების ჩრდილი გადაეფარა მის ახალგაზრდობას, საგაზაფხულოდ ფრთაშესხმულს. ახლა კი თითქოს უცებ გამოიდარა, მაისის ბრწყინვალეობა აენთო მასთან მოსაუბრე ჰაბუცის ცისფერ თვალებში.

და ანაზღათ ჩაპქრა ეს ბრწყინვალეობა. სერგომ მორიგი სადღეგრძელო უსიტყვოდ დასცალა, მედიკოს დამნაშავესავით თვალი აარიდა, თავი ჩაღუნა.

„ლეინო ხომ არ მოეკიდა?“ გაიფიქრა მედიკომ და სერგოს თანაგრძნობით მიმართა:

— თქვენ რატომღაც მოიწყინეთ.

— ეხ,— ამოიოხრა სერგომ და მკრთომარედ მიხვდა მედიკოს:— ნე-

ტავი შეიძლებოდეს, ხელახლა დავიბადო, ან არადა, ისეთი გავხდებ, როგორც ამ რამდენიმე წლიწ წინათ ვიყავი: მაშინ ვიქნებოდი თქვენთან საუბრის ღირსი.

— სულ არ შეგფერით თქვენ ვე სინანულიანი ტონი.

— რატომ? ჩვენი აკაკი განა არ ამბობს: „ვინ რა იცის, რომ ეს გული მკვდარია, რომ სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარეა“.

— პირველად, მატარებელში რომ განახეთ, ვერ წარმომედგინა, თუ სადმე თქვენზე უღარდელი კაცი იქნებოდა.

— მართლა? — ნალვლიანი ხმით იკითხა სერგომ, მერე დასძინა: — იყო დრო, როდესაც მოწყენა მართლაც არა მჩვევოდა. მართალია, ხელმოკლეობა ბავშვობიდანვე დამყვა, მშობლები ადრე გარდამეცვალა... მაშინდამ წამომიყვანა, ინსტიტუტში მომაწყო...

— შენ ეი, სერგოჯანი! საუბარში რომ გართულხარ, სასმისი აიღე! ვაეკაცი არა ხარ! — გადმოსძახა ცხრამუხელს ამბაკო ოთარაშვილმა.

სერგოს სახეზე აღმა გადაურბინა, თითქოს შეკრთა, გაფითრდა, თვალა დახარა, მერე ადგა, სასმისი აიღო და უსიტყვოდ ძირამდე დასცალა.

მედიკო თამადას სახეზე მიაცქერდა. არ მოეწონა მისი ჰრუტი თვალეზი: ზოლო მის გამომეტყველებამში რომ მზაკრული ირონია მოჩანდა, ამან ზიზღისმაგვარი გრძნობა აღუძრა.

ცხრამუხელი მოწყვეტით დაჯდა, ტუჩებზე თითები მოისუვა, სახე დაემანქა. რამდენადაც მეტს სვამდა, მით უფრო ცუდ გუნებაზე დგებოდა. წინათ ეს არ მოსვლია. ღვინოში თანდათან უფრო მზიარულდებოდა, მღეროდა, ახლა კი... „ნეტავი შეიძლებოდეს, გაიფქრა სერგომ, ამ კეთილ ადამიანს გაეანდო ჩემი უბედურება, რომ ერთი გულწრფელი თანამგრძნობი მაინც მყავდეს! ეს არავის არა ჰგავს. ამაში არის რალაც ისეთი წმინდა, ისეთი უმანკო, რისთვისაც თავს სიამოვნებით გავწირავდი, თუმცა არა, ეს ისეთი

ადამიანი ჩანს, რომ შენგან არავითარ შესაწირავს არ მიიღებს, — თეფთუნ. კი, თუ მოისურვა, ბევრ რამეს მოგმძნეს ეკ... მძიმედ ამოიოხრა და მედიკოს მორცხვად ახედა.

მედიკომ თავლი გაუსწორა სერგოს, გულმა მოსთხოვა გაეგო, თუ რა აწუხებდა მას, ასე საგრძნობლად რამ შესცვალა მისი უნალვლო გამომეტყველება.

— მერე, ამხანაგო სერგო, — მიმართა მედიკომ, — თქვენ თქვით მაშინდამ ინსტიტუტში მომაწყო, მერე რა მოხდა?

— მერწმუნეთ, თქვენთან არაფერს არ დაეფარავ... — მკირე ხნით ჩაფიქრდა, თავი ჩალუნა, მერე ისეთი თვლით ახედა მედიკოს, რომ მასში მარტოოდენ წრფელი გული გამოსკვიოდა, — პირველად რომ განახეთ, მაშინვე, იკით, ვის შეგადარეთ? ამას წინათ სტუდენტები ყინწვისის ტაძარში ავედით. იქ არის უცნობი მხატვრის მიერ დახატული ქართველი ქალის პორტრეტი, ყინწვისის ანგელოსს უწოდებენ. აი, იმას შეგადარეთ. თქვენ მას სახითაც ჩამოჰგავხართ, მაგრამ უმთავრესი კი ის არის, რომ თქვენც ისეთივე ნალვლიანი სიწმინდის ელფერი გშვენით... უკაცრავად, ეს ჩვეულებრივ ქათინაურად არ მიილოთ...

მედიკოს სახეზე ჩრდილმა გადაურბინა, განზე მიიხედა, მერე მაინც პირი მოაბრუნა და სერგოს ყური დაუგდო.

— აქ შეუძლებელია ყველა გრის თქმა, — განაგრძობდა ცხრამუხელი, — თუ ნებას მომცემთ, სხვა დროს გავანდობთ ჩემს მთავარ გასაჭირს, იქნება მაშინ ძალა მოვიკრიბო და...

— კაცო, არ გაკვირთ, რა მოუვიდა ამ ჩვენს სერგოს? — წამოიძახა თამადამ, როცა ახალი სადღეგრძელო უნდა წამოეწყო, — ჰო, ნამდვილად მოაჯადოვა ამ ჩვენმა ფრონტკლმა ქალიშვილმა! მის მეტი თვალში აღარავინ უჩანს! გამზიარულდი, სერგოჯანი, იმღერე!.. ჰო, ახლა კი, — გადავიდა სადღეგრძელოზე, — მე მინდა დავლით

ერთი სადღეგრძელო... ჰო, ეს ჭვეყანა ვის მოუქამია? დღეს ვართ და ხვალ აღარ ვიქნებით. იტყვიან ხოლმე, ამასა და ამას სიკვდილი მიუსაჯესო. ეგ რაა, ეგ უბრალო რამეა, ეგ ჩვენ არ გვეხება. საქმე ისაა, რომ დაბადებიდანვე თვითეულ ადამიანს სიკვდილი აქვს მისჯილი. სასამართლომ ბრალდებულს შეიძლება სასჯელი შეუცვალოს. ჩვენ კი არაფერ არ შეგვიცვლის. სიკვდილამდე ივაგლახე, სულ უარესს და უარესს მოელოდე, მერე კი, მერე სამარე და მისი ჯანი! ესაა ჩვენი გზა... ამიტომ იმხიარულეთ, ძმებო, ჭამეთ, სვით, ვიდრე შეგიძლიათ!..

— როგორ გეკადრებათ! ეგ ხომ... უკაცრავად ამ სიტყვისათვის და, ეგ ხომ ღორის ფალოსოფიაა! — წამოიძახა დიმიტრი.

ამბაკო ოთარაშვილმა თავისი ჭრუტი თვალეზი კიდევ უფრო მოქუტა და დიმიტრის ქედმაღლად გადასძახა:

— სინამდვილის დანახვა ღორზე უფრო ადამიანს შეუძლია, ღორი მუდამ თავდახრილი დადის, ადამიანი კი მალე იხედება. მერე რას ხედავს!.. ჰო, ზოგს ისევე შერჩა ლატაკთა ფილოსოფია: ადამიანმა ყოველმხრივ თავი უნდა შეიზღუდოსო, ასკეტურად უნდა იცხოვროსო. არა, ამხანაგებო, ეს აღარ არის საბჭოთა ადამიანის თვალსაზრისი: ჰო, ჩვენ გვიანდა ფართო და ხელგაშლილი ცხოვრება, ყველა ადამიანური მოთხოვნილების დაკმაყოფილება...

— გამოაჩინა ჩვენმა პარტივერულმა ამბაკომ თავისი ნამდვილი სხე. — გალაულაპარაკა ცხრამუხელმა მედიკოსს, — თუ მეღირსა და თქვენ ჩემი საიდუმლო გაგანდეთ, მაშინ მიხვდებით, თუ რატომ ვაჭვი ეს. მანამდე კი, აბა, დააკვირდით, განა ისედაც არ ემჩნევა, რომ ეგ არის აქ მთავარი მაცთური? რამდენი ჩავარდა, ზოგს ოცი წელიწადი მისცეს. ეგ კი, მათი ნამდვილი სულისჩამდგმეო, მუდამ მშრალზე რჩება... აგერ, მის მახლობლად რომ ქალი ზის, თმ: შეღებილი, საყურებიანი, ჰაიანე კონსტანტინოვნა, ეგ არის მაგის

სულიერი მემცხედრე. ეგ რომ შეერთო, ამბაკომ შეიკების აღზრდა წინანდელ ცოლს მიანდო, საზრდოს მოგვემთ, დანარჩენი თქვენ იცითო. ჰაიანე უშვილოა, ამბობენ, არც ეყოლებათ. მაგათი მთავარი მიდრეკილებაა — უსაზღვრო, თანდათან უფრო დიდი და დიდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ჰაიანემ თუ სადმე რაიმე კარგს მოჰკრათვალო, უთუოდ მასაც უნდა ჰქონდეს. მაგას ერთ დღეში შეუძლია გაანიაგოს მშრომელი ადამიანის წლიური შემოსავალი. დააკვირდით, როგორ ზვიადდ უჭირავს თავი, როგორ აცეცებს თვალებს, აჭაო და, ყველანა ამჩნევენ თუ არა ჩემს დიდებულებასო. მაგათ, ცოლსა და ქმარს, კარტის თამაში უყვართ ძალიან. მაგრამ ამ გართობაში მათ შორის დიდი განსხვავებაა: ამბაკო გულზე სკდება, როცა აგებს, ვერ იტანს, მზადაა ღამეები ათენოს, განუწყვეტლად ითამაშოს, სანამ წაგებულს დაიბრუნებს და ზედაც მოგებას დაამატებს; ცოლი კი, გაიანე, სულ სხვაა, მისთვის სულ ერთია, მოიგებს თუ წაგებს, მას უმთავრესად თამაშის პროცესი იტაცებს, აგზნებს. ცხოვრებაშიც ასეთია მათი როლი: ამბაკომ ყოველგვარი საშუალებით ფული უნდა იშოვოს, დიდძალი ფული, ჰაიანემ კი ფლანგოს და ანიაგოს...

ამბაკო ოთარაშვილმა სიტყვა დაამთავრა, ტაში დაუკრეს. ეს სადღეგრძელო მის მეგობრებს ყველაზე მატად მოეწონათ. ეტყობოდა, ამბაკომ შესძლო გამოეთქვა მათი სულიერი სწრაფვა.

მხოლოდ დიმიტრი მშვიდობაძემ შეიკრა შუბლი, კიდევაც შეეხიტყვა ამბაკოს, მაგრამ იმდენად გახვეული იყო მეტად საამო ბურტუსში, რომ აღფრთოვანებული განწყობილება არ გაიფუქა. მთვრალი არ იყო, ყველა ქიქა არ დაუცლია, მაგრამ ოცნებისა და სინამდვილის მიჯნაზე იდგა, ალტაცებული იყო და წინ იხედებოდა, თითქოს შორს, ძალიან შორს დარჩა ყველა სიმბიხიჯე, უკან რომ მოიხედო, თვალს ვერ მიჰყვ-

დნო. აღარ სჩანან გულხარბი, სიავით
საესე აღამიანები. ეს თამადა და მისი
ზოგი მეგობარი ვერ გამოიყურებიან
მინცდამიანც კარგად, მაგრამ ეგ არა-
ფერია. იქნება დიმიტრის კვლავ შერჩა
ძველი შეხედულება, რომელსაც სექ-
ტანტური იერი გადაჰკრავს და... აქი
ერთხელ უსაყვედურეს: შენ სულ წინ
იხედები, აღამიანის სადღეისო საჭი-
როებას ყურადღებას არ აქცევო. ვინ
იცის, იქნებ ეს მართალია. აგერ რო-
გორ მღერიან, მხიარულობენ, ურთი-
ერთს ხობტას ასხამენ... არა, ყველანი
კარგები არიან...

ასეთი განწყობილებით ადგა დიმიტ-
რი და აღფრთოვანებული სიტყვა წარ-
მოთქვა. სულ არ შეუღმინებია ზოგიერ-
თების ჩრონიული დიმილი. ასე ეგონა,
ყველანი მისი თანამოაზრენი იყვნენ,
მასთან ერთად შესტრფოდნენ კაცურ
კაცს, ანგარების ქუქკისაგან განწყენ-
დილს, ხალხისათვის თავდადებულს.

ტაში დაუკრეს დიმიტრის. ამან კი-
დევე უფრო აუღელა გრძობები. ტუ-
ჩები შეუერთოლდა, თვალები ცრემლ-
მა დაუნამა. დაჯდა და მედიკოს მიხე-
და, არის თუ არა ისიც ჩემსავით მხი-
არულიო.

მედიკო ცხრაშუხელს ესაუბრებოდა,
მამის ყურადღება მინც არ გამოებარა,
ნაღვლიანად გაუღიმა.

ამ დროს იაგორ გორისელი წამოდგა,
ამაზე ხელი გადაისვა.

— ყველამ მიირთვა ეს სადღეგრძე-
ლო,— დაიწყო მან, — აგერ ჩემმა სი-
მამრმაც დიდებული სიტყვა შეგვაწია.

ეს რომ თქვა, დამცინავი თვალი გა-
დაკრა დიმიტრის, მერე მის გვერდით
მჯდარ მეგობარს მიხედა ცალყბად,
რალაცა ისეთი ანიშნა მუნჯურად, რომ
მეგობარს სიცილი წასკდა.

მწვავედ დასუსხა დიმიტრი იაგორი-
სა და მისი ამხანაგის დაცინებამ, მინც
თავი შეიკავა, სახე კი მოეღრუბლა, სმე-
ნა გაუმახვილდა.

იაგორს მინცდამიანც მჭერმეტყვე-
ლება არ ეხერხებოდა, საოზუნჯო, თუ
სადმე რაიმე გაეგონა, თუთიყუშით

ამეორებდა, მეგობრებს აცინებდა.

— ჰოდა, ასეა, ძმო, ესევე ვაზაგ-
ძობდა უკვე საკმაოდ მთურალი იაგორ-
რი,— მიხეებულად ბრძანა ჩემმა სიმამრ-
მა, მაგრამ თუ ჩემს გულში ჩამოიხე-
დავია, ნახავთ, რომ მე არ შემიძლია
დავეთანხმო ყველაფერში. რა ვქნა,
ჩემს გაჩენას რომ ვეღარ დავსწრებოდი, ჩემს
მშობლებს ვთხოვედი, ეგება უკეთესი
გამოვსულიყავი. რაც გინდათ, ის მი-
ყავით, ასე გაუჩენივარ ბუნებას. ვერ
დაეიტრაბახებ და ვერ ვიზამ, ჩემს ცო-
ლისამასავით მივაშურო სასაჯლოს და
ტყვიას გამოვეჯგვიმო. არც ისე სულე-
ლი ვარ, რომ თავი სასიკვდილოდ მემე-
ტებოდეს... თქვენ რას იტყვით, ძვირ-
ფასო ამბაკო, ხომ ასეა?..

თითქოს ვიღაცამ ხელი დასტაცაო,
ისე წამოვარდა აღშფოთებული დი-
მიტრი.

— რა სთქვი შენ ეგ, რა სთქვი?
მრისხანებისაგან ენა დაება, ანთებუ-
ლი თვალები მოავლო ირგვლივ.

იაგორმა გადაიხარხარა.

— ა, ბატონებო, დაიწყო ჩემმა სი-
მამრმა თავისებური. რას გადამეყიდა,
რომ არ ვიცი! დამაყენე ჩემთვის. თუ
რამე ვიშოვოთ, ვჯამოთ გემრიელად...

— აი, ეგ არის სწორედ ღორმჯე-
ლების ფილოსოფია, — ამობდა დიმიტ-
რიმ ენა, — სულელი არა ვარო, თავი
სასიკვდილოდ არ მემეტებო! ჩვენს
საუკეთესო ვაჯკაცებს, ჩვენი ქვეყნის
კეთილშობილ შვილებს განა თავი სა-
სიკვდილოდ ემეტებოდათ? განა მათი
მშობლები არ იტანჯებიან? სად ცხოვ-
რობ, რომელ ქვეყანაში? იცი, ვინ არი-
ან ჩვენი მეზობლები? ვის წინააღმ-
დეგ იბრძოდნენ? ვინ გაანადგურეს?
ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც კი
იყო და არის ქვეყნად ბოროტი და სა-
ზიზღარი, ვერავი და მედიდური. ფა-
შასტებს მგლებს ადარებდნენ. არ არის
ეგ სწორი. მგელი ბუნებას მგლად გაუ-
ჩენია. ჩვენი მტრები კი მგლებზე უარე-
სი მგლები იყვნენ და არიან. აი, ამით
მუსარავდნენ ჩვენი მეომრები. ჩვენც
ყველანი მთელი ჩვენი არსებით, სულ-

თა და გულით მათთან ვიყავით და ვართ. შენ კი გამოდინარ და თავს იწონებ, სულელი არა ვარო! როგორ ბედავ? — კიდევ უფრო აუწია ხმას განარისებულმა დიმიტრიმ.

— რა უნდა, რას გადამეკიდა, რომ არ ვიცის — დაიყვირა ბრახმორეულმა იაგორმა. — წადი და შენს გამურულ შეგირდებს ასწავლე ჭკუა. არა, ერთი გამაგებინეთ, თუ ხათრი გაქვთ, რომელი სულელი ჩქნება ისეთი, რომ თავი სასიკვდილოდ ჰქონდეს გადადებული? რა თქვენი მე ისეთი?

— შენი უბედურებაც სწორედ ეგ არის, რომ არც კი გესმის, რას ამბობ. სიცოცხლე ყველას გვწყურია, მაგრამ საქმე ის არის, ისე იცოცხლო, რომ სამშობლოს გამოადგე, თუ მოგთხოვა, მისთვის სიცოცხლე არ დაიშურო, გესმის, სიცოცხლე!..

— მოდი და ელაპარაკე ახლა ამას შენ! — აღმოხდა სიბრაზისა და ღვინისაგან გონებადაკარგულ იაგორს. ბოთლს ხელი დაავლო: — გამეცალე, შენი სახსენებელი არ იყოს აქ, შე გამოტყინებულო ბებერო!..

იაგორს მეგობრები შემოეხვივნენ. იტყუა ჩოჩქოლი.

ეკატერინემ დაიკვილა, ქმარს მიაშურა, მოეხვია.

ნამძინარევი ქეთინო პერანგისამარა შეიქრა დარბაზში, სხვაზე უწინ თავჩალუნული დიმიტრი დინახა, მიიბრინა, ხელები ყელზე შემოაკლო, თვალებში შეაშტერდა.

— ბაბუ! — ეს-ლა თქვა მხოლოდ.

დიმიტრიმ ბავშვი მუხლზე დაისვა, ყაყანს გამოეთიშა, ქეთინოს მიეფერა:

— არ შეზინდე, გენაცვალე! არაფერია, იხმაურონ. გაიზრდები, დიდი ქალი გახდები.

მედიკო მძიმედ წამოდგა, გონებადაფანტულად მიმოიხედა. სულ სხვანაირად წარმოუკვდა ძალზე მაძლარი, მთვრალი მეინახებების სახეები. ზოგი იაგორს ამშვიდებდა, ზოგი ხმამაღლა ყვიროდა. ერთი შუახნის კაცი გვერდით მჯდარ მანდილოსანს ელაიცე-

ბოდა, ხოლო ამბაკო ოთარაშვილი გულთანად ხარხარებდა, თანაც თანავსებულეს თვალს ჩაუქრავდა ხოლმე და დიმიტრიზე ანიშნებდა:

— გამოგვერია წმინდანი... ხა, ხა, ხა...

სერგო ცხრამუხელს სახეზე აღმურთ შემონთებოდა, თვალებიდან ნაპერწყმები ცვივოდა, იაგორ გორისელიდან მხერა ამბაკო ოთარაშვილზე გადაჰქონდა; ტუჩებს იკვნიტდა, ხანდახან მაგიდის პირზე ხელს მოუსობდა, თითქმის რაღაცას ეძებდა. უცებ მედიკოს ახედა, სირცხვილმა ტანში ყრუანტელად დაუარა, სიკვდილის ფერი დაედო, წამსვე ლაწივებზე სისხლი მოაწვა, თვალები მოქუტა, მარცხენა ხელი საკინძეში ჩაივლო, წამოიხარტა, მუშტი მაგიდაზე დაქრა და დაიყვირა:

— კმარა! უნდა გავსწორდეთ, ამბაკო ოთარაშვილო, ბორკილი უნდა დაეამსხვრიო, გესმის, ბორკილი!.. კმარა როგორ ბედავთ, ამ პატროსან ადამიანებს, ნამდვილ ადამიანებს რომ დასციინთ! კარგად ითქვა აქ, ღორული ფილოსოფიაო, ეგ არის თქვენი ნამდვილი სახე, გესმით?

— ერთი ამ ლაწირაკს დამიხედეთ! — ისე დაიყვირა ამბაკო ოთარაშვილმა, რომ განჯაში დაჰფარა, — შენ მანდ ხმა ჩაიკმინოე, გესმის, ხმა!.. ეგეც წმინდანი გამოხდა აქა, ხა, ხა, ხა... — აუტყუა ხარხარა ოთარაშვილს.

— აგრე ხომ, ოთარაშვილო! — დინჯად ჩაილაპარაკა ცხრამუხელმა, მაგრამ წამსვე კვლავ აენთო, — კარგა, დამიდექი მანდ, გავსწორდეთ!

ოთარაშვილი ზვიადად წამოდგა, ჯიბიდან ბრუნინგი ამოიღო, მაგიდაზე დადო, ზედ ხელი დააყრდნო, ცხრამუხელს მაქუტუელი თვალით გახედა და მრისხანედ გასძახა:

— აბა, სცადე, თუ ბიჭი ხარ! გატყობ, შენ რაღაც ეშმაკი ჩაიგოდა გულში. მე შენისთანები დამიდუმებიას ამბაკო ოთარაშვილი ისე არ წახდებოდა, რომ შენც ენა მუცელში არ ჩაგაგდებონოს!

— პაატ! — აღმოხდა ცხრამეხელს, ზევევიით მოსკდა და... საკვირველია, თითქოს ბნელეთთან სინათლის სეტეს დაეჯახათ, მოეშვა, მორჩილად შეაშტერდა წინ აღმართულ მედიკოსს.

— შაპატიეთ... გთხოვთ შაპატით! — ჩატეხილი ხმით ჩაილაპარაკა სერგომ და არეული ნაბიჯით კარისაკენ გასწია.

მედიკოს მამასთან მივიდა, მხარზე ხელი დაადო, სინანულით უთხრა:

— შეეცდი, მამილო, არ უნდა წამომეყვანე.

შვილიშვილთან ალერსში გართულმა დიმიტრიმ მედიკოს მშვიდად ახედა.

— არაფერია, შვილო, ესეც გაკვეთილია. დავაწვინოთ ჩვენი ქეთინო და წავიდეთ.

ამბაკო ოთარაშვილმა რამდენიმე შე-

ძახილით წესრიგი აღადგინა. ჭიქა ასწია და ახალი სადღეგრძელო ეტყუა. დღეგრძელ წამოიწყო, თითქოს იმდროს წვეთი ღვინო არ დაეღიოს.

დიმიტრი და მედიკოს ქუჩაში რომ გამოვიდნენ, მთვრალ მოქეიფეთა ჰანგშეუწყობელი სიმღერა მოესმათ.

რიერაჟი მოახლოვებულიყო. მოხვედრებულ ცაზე მეჩხერი ვარსკვლავები მკრთალად ციმციმებდნენ.

სიყრმიდანვე დასჩემდა დიმიტრის: განთიადს ხალისით ეგებებოდა, ამომავალ დღეს იმედით გაჩხედავდა ახლაც ცისკარს თვალი მოსწყვიტა, მედიკოს ხელი მხარზე დაადო და მშვიდად უთხრა:

— შენ ამალამდელმა შემთხვევამ გუნება არ წაგინდინოს, შვილო, წარმატალია!..

XI

მოვილო

ვაჟა იმ ღამეს შინ მისვლისთანავე დაწვა. მალე ჩაეძინა. ალიონამდის არ შერხებულა. სიზმარმა გმოაღვიძა.

თოვლიან მწვერვალზე აღიოდა. გვერდით ნანი ონიანი მიჰყვებოდა. სალკლდეზე თოვლი მხოლოდ აქა-იქ შერჩენილიყო. ნანი ნისლივით მიიწვედა ზევით, ვაჟას რომ ძალიან გაუჭირდებოდა, ნანი ვაჟაკივით ხელს ჩაავლებდა, აიტაცებდა.

მღვიმესთან შეჩერდნენ. ვაჟა თვალს აცეცებს, იამზეს დაეძებს. არსად ჩანს. რა მოუვიდა? ავთანდილ ზეკარელი იყო მასთან, ისიც მიეფარა.

— ნანი, წავიდეთ, მივეშველოთ.

— ნუ გეშინია, არ გაუჭირდებათ. ლევანიც მათთანაა.

არა, ვაჟას ლოდინი არ ძალუძს, იამზე უნდა იპოვოს. მიდის, მიისწრაფვის. ნაბრალს წააწყდა. ლამის გული შეულონდეს. უცებ ავთანდილ ზეკარელის ტყვიასავით ცივი თვალების გამოხედვა დაიჭირა; მზერა გააყოლა და... აგერ, ნაბრალის მეორე მხარეს სხედან ისი-

ნი — იამზე და ავთანდილი, ხელმოხვეული სხედან.

ვაჟას სურს, გასძახოს იამზეს, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ახერხებს, სული ეხუთება. მძლავრად შეირხევა და ნაკრალზე ფეხი დაუცდება, უფსკრულში ეშვება...

— რა მოგივიდა, შვილო? ოფლში გაღვრილხარ. გული გამისკდა, ძილში საშინლად დაიყვირე. რა დაგესიზნრა, ჭირიმე?

ვაჟამ ოთახში მიმოიხედა, ღრმად ამოიოხრა. დედას მიაშტერდა.

— რა ვიცი, დედა, სადღაც მწვერვალზე ავდიოდი. ფეხი დამიკდა.

— დამშვიდდი, შემოგველე, დაიძინე!

— აღარ დამეძინება. სადაცაა გათენდება. ავღებო, მოვემზადებო.

— როგორც გენებოს, ჭირიმე. ისე კი ჯერ ძალიან ადრეა. მედიკოს და მამაშენი ჯერ არ მოსულან. საგზალო მომზადებული გაქვს. ჩანთაშია ჩაწყობილი. მოისვენე ჯერ, ჭირიმე, მოისვენე.

— ძილი გაგიტებე, დედა, წადი, და-
წეპი.

მალე ბინაში სრული მყუდროება
დამყარდა. კედლის საათის რაწკუნნი
ისმოდა მხოლოდ. თებრონეს ჩაეძინა.

ფრთხილად ადგა ვაჟა. დედის მიერ
სასთუმალთან სკამზე დაწყობილი სანა-
დრო სამოსი ჩაიცვა, ჩანთა და თოფი
აიღო და სახლიდან ფეხბაკრეფით გა-
ვიდა.

გაჩიარდნებული ქალაქის გარე-
უბანს ალიონის მკრთალი შუქი ეფინე-
ბოდა.

სადგურზე წასვლა ჯერ ადრე იყო.
ზევით შეუხვია.

ზარანდიას ჭიშკართან შეჩერდა, მეს-
რებს დაეყარნო. ოდნავ ამრიალებდა
ციცკრის ნიაგი ხეხილას ფოთლებს. ამ
გაბმულ შარიშურში ვაჟას თითქოს
იამხეს სუნთქვა მოესმა, გული დაუამ-
და, მიმოიხედა; იქვე ჩაჯდა, ბოძს ზურ-
გით მიეყარნო, თოფი მხარზე მიიყუ-
და და თვალი დახუჭა. ძილი მიეპარა.

მზე ამოდიოდა, როდესაც ვალიკომ
ჭიშკარი გააღო; ზერო მყისვე ქუჩაში
გაიქრა, შებრუნდა და ჩაძინებულ ვა-
ჟასთან შეჩერდა.

— ამას უყურე! აქა ხარ, ბიჭო,
შენ! — წამოიძახა გაოცებულმა ვალი-
კომ.

ვაჟამ თვალი მძიმედ გაახილა, ვალ-
კოს ახედა, შეერთა, დამნაშავესავეთ
უსიტყვოდ წამოიშარათა.

— შე ხომ სადგურზე დაგბარე?

— ადრე გამელვინა. ისევ რომ დავი-
ძინო, ვაითუ დავაგვიანო-მეთქი და
აქეთ ამოვეყვი.

— კარგია, სიტყვის კაცი ყოფილ-
ხარ. — თქვა ვალიკომ და მხრებზე ჩან-
თის მოსაკიდები გაისწორა, გზას
გაუღდა.

ჭაბუკივით მკვირცხლად მიდიოდა ამ
დილით ეს ორმოცდაათი წლის კაცი.
მჩატე წულები და ულტობი ტილოს
პაიჭები ეცვა; თავის ქალიშვილივით
მოყვანილი არ იყო, ფალასკა წელზე
სქლად ჰქონდა შემორტყმული, მაგრამ

მაინც ტანადი კაცის სიარული შეე-
ნოდა.

მატარებელში თავსაფუფუნებო ეყო.
კვირა დღეს მუშა-მოსამსახურენი და
ინჟინერ-ტექნიკოსები რუსთავეში ნაკ-
ლებად მიდიოდნენ.

ვალიკომ ზეროს უბრძანა:

— აბა, შეძვერი ქვეშ, კონდუქტორი
მოდის!

ზერო წამხვე შეიქრა სკამს ქვეშ, ფე-
ხები მოირთხა, მორიდებულად გამო-
იქვრიტა.

ასე ჰყავდა ვალიკოს გაწვრთნილი
თავისი პოინტერი: კონდუქტორის ხსე-
ნებაზე იგი უთუოდ მიიმალებოდა.

აბალგაზრდა მონადირეს დილით,
როცა მინდვრებისაკენ მიეშურება,
სჩვევია ხოლმე ცხოველი წარმოსახვა
ნანატრი შემთხვევებისა: აგერ მდინა-
რის პირს მიჰყვება ფრთხილად; იხვის
გუნდი წამოიშლება, უმალვე გამარ-
თავს ორლულიანს, ოთხი დიდი იხვი
ეცემა რიყზე, ერთი წყალს მიაქვს,
დაედევნება, იქერს; კლდეებზე აღი-ჩა-
მოდის, ხევში შეუხვევს, დაბალ ჯაგებ-
ში კაკბის გუნდი იფრთქილებს, რამ-
დენიმე ცალს ატოვებინებს; ნამჯებში
ორი მწყერი ერთიმეორის მიყოლებით
აფრინდება, ზედისუდ ესკრის, ორივეს
ჩამოაგდებს; ტიალ მინდორზე, ბალა-
ხებში, სრულიად მოულოდნელად კურ-
დღელი წამოვარდება, მყისვე დაუმზ-
ნებს და კურდღელი სამჯერ გადაკოტ-
რიალდება...

ვაჟაც ძალიან აბალგაზრდა მონადირე
იყო, მეოცნებე, მაგრამ ამ დილას მო-
წყენილი იჯდა ფანჯარასთან და, მზის
სხივებში მზზინვარე გარემოს რომ გაჰ-
ყუჩებდა, ბუნდოვნად ხედავდა ოღო-
ჩოღო შენობებს, შავნაბადას კალ-
თებს, მწვანედ მოხასხასე მინდვრებს.
რამდენიმეჯერ აღადგინა გონებაში იმ
ლამეს ნახული სიზმარი, ავთანდილ ზე-
კარელის ცაგი თვალების გამჰვეალავი
გამოხედვა და შავად პირდაღებული
უფსკრული... ვაჟაკურად დაავლებს
ხელს ნანი ონიანი და ზეაიტაცებს;

შორს კი, ნაპრაღს გაღმა, ოდნავ მოჩანს
 აეთანდილთან ზელგადახვეული იამზე...

მატარებელი კი მიჰქრის, მირაწყუ-
 ნობს, ველს უახლოვდება. აგერ აეროდ-
 რომზე მიწას მოსწყდა პატარა თვით-
 მტრინავი, ცისიერში შესრიალდა.

ნეტავი მტრინავი იყოს ვაჟა, სახელს
 მოიხვეჭდა, ვალიკო ზარანდიას თვალ-
 ში ამაღლდებოდა. იქნება...

პირი მოაბრუნა ვაჟამ და ვალიკოს
 მოკრძალებით შეავლო თვალი. წაშვე
 შეკრთა, თავი ჩაღუნა. პირველად ჩაწე-
 და იმ აზრს, რომ მისი ბედი ამ ჯანით
 სავსე კაცის ხელში იყო. ეს იამზე
 მამაც არის და სულიერი მეგობარიც.
 ვისაც ეს მოიწონებს, იამზე მხოლოდ
 იმას მიენდობა. ეჰ, რა გაეწყობა, ბიენ-
 დოს, შეიყვაროს, იყოს ბედნიერა, მხო-
 ლოდ აეთანდილ ზეკარელი კი არ არის
 მისი შესაფერი. აეთანდილის სახეში
 სულ სხვა მისწრაფება გამოსჭვივის, ცი-
 ვი, მიუკარებელი. ნეტავი იამზე რატომ
 ვერა გრძნობს ამას? კარგი, ვთქვათ,
 იამზე ცდება, მას შეიძლება აუზილოს
 კაცმა თვალი, მაგრამ განა ვალიკო
 ცხოვრებაში უფრო ჩახედული არაა,
 უფრო არ უნდა ერკვეოდეს?..

— ვაჟა, გაიხედე, იალღუჯის მთა
 გამოჩნდა, — მიმართა ზარანდიამ, — ამ
 მთის გადაღმა არის ერთი მოღაბლი
 ქედი. მის კალთებზე და ხეებში საკ-
 შაოდ არის კურდღელი, მელა და კაკა-
 ბი. რამდენიმეჯერ ვინადირე იქ. მარ-
 ნეულიდან შორს არაა. შემოდგომაზე
 უთუოდ წაგიყვან.

— გმადლობთ... დიდად დამევა-
 ლებთ.

ვალიკოს ეს მოკრძალებული სიტყ-
 ვები ეუცხოვა, ვაჟას ახედ-დახედა.

— რა მოგივიდა, კაცო? რაღაცა ძა-
 ლიან დადინჯებული მეჩვენები! საკ-
 ვირველია, ასე მგონია, აგერ ახლა იყო.
 შენ და იამზე სკოლისაკენ ერთად რომ
 მიდიოდით. რა ჩქარა გარბის დრო! ეჰ,
 საწყალი ჩემი მეუღლე მაშინ ცოცხა-
 ლი იყო, შვილში არ გარჩევდა. ხშირად
 იტყოდა: როცა იამზეს ვაჟა ახლავს,

არაფრის არ მეშინია, ძალიან ჭკვიანი
 ბიჭი არისო.

ვაჟას სახეზე ალი შეენთო, სიხარულ-
 მა აიტაცა, ადგა, ვიწრო წელზე ფალას-
 კა გაისწორა, თავი ფანჯარაში გადაჰ-
 ყო, პირი ნიავს შეუშვირა.

გაჩიანის მახლობლად შარაზე მიმა-
 ვალი ქალი დაინახა, შალში გახვეული
 ბავშვი ზურგზე ჰყავდა მოკიდებული.
 ვაჟამ მისასალმებლად ხელი დაუქნია,
 მერე სოფლის პირად მობიბინე მინდვ-
 რის ყვავილებს გაუღიმა; ახლა შეიგარ-
 ნო ამ დილით მიწის ის მიწბადველი
 სურნელება, რომელიც მინდორში გასე-
 ლისთანავე შეეკმევა ხოლმე მონადი-
 რეს და დედაბუნების დაუშრეტელ
 ძლიერებას აგრძნობინებს.

მატარებლიდან გადასვლისთანავე
 რკინიგზის ლიანდაგს გაჰყვნენ. ვალი-
 კოს თავისი პოინტერი საბმულით
 მიჰყავდა.

ვაჟამ მხრები გაშალა, ფეხს თითქოს
 მიწას არ აკარებდა, ტანაწურული მიდი-
 ოდა. ყურადღებით მოეცლო ირგვლივ
 ავალი, მაგრამ ჯერ მხოლოდ მზეში
 მოელვარე გორებს, სოფლის თავში
 მაღლობზე მდგარ ვერხვს და ახზის ნა-
 პირებში ჩამწყრივებულ ალვისხეებს
 სკვრეტდა. შორს, ძალიან შორს, შავნა-
 ბადას ქედზე ეკლესია გამოკრთა, მაგ-
 რამ ვაჟას იგი თითქოს არც კი დაუნა-
 ხავს, რადგან მთელი არსებით მინდვ-
 რისაკენ მისწრაფოდა, ჭოვილოს ხილ-
 ვა სწყუროდა.

ვალიკო ზარანდიასაც აღარ ემჩნეო-
 და ჩვეული სიღინჯე, ისიც მოსხეპილი
 ჭაბუკივით მიაბიჯებდა. თოფი გადა-
 ხსნა, ლულებს გახედა, ვანები ჩააწყო
 და მხარზე მოირგო, წაივარჯიშა.

არხს გაღმა გადაუხვიეს მორწყულ
 მინდორში, სადაც პატარა-პატარა ყვავი-
 ლებზე უამრავი პეპლები დაფარფა-
 ტებდნენ.

ვალიკომ ზეროს საყელოზე ღვედი
 მოხსნა, გაუშვა და ალტაცებით გასძახა:

— აბა, ზერო, შენ იცი ახლა, გვა-
 სახელე!

ზერო შერდულოვით გაექანა, მიუხე-
მოუხვია, ვერ მოითმინა და პეპელას
გაეთამაშა; ვალიკოს ძახილი მოესმა,
შებრუნდა, ოდნავ შეჩერდა, მიყნოს-
მოყნოსა და კვლავ მოწყდა ადგილს;
ქანკრობში შეიჭრა, სელა შეანელა და
ანაზღად გაიჩინდა. ნაბულზე, კუდი გა-
მართა.

— ე, ბიჭო, ავშენდით, ჭოვილოა! —
წამოიძახა ვალიკომ და გაიქცა; ზეროს
მახლობლად ნაბიჯი დაახანა, გული სა-
შინლად უცემდა; ღრმად ამოისუნთქა,
რომ აფრენილისათვის არ დაეცილე-
ბინა.

ზერო ადგილიდან არ ინიძრეოდა, ვა-
ლიკომ ფეხი სულ მცირედ წაჰკრა და
ჩაეარდნილი ხმით მიუტია:

— ეცი!

ზერომ ისეუბა. არაფერი არ აფრინდა.
მაღალი ყნოსვა ჰქონდა, მაგრამ სქელ ბა-
ლახში მაინც ჩარგო ცხვირი, მერე თავი
ასწია და მიმოიხედა, კვლავ ძებნას შე-
უღდა.

— გაეპარა წყეული! — ჩაილაპარაკა
ვალიკომ და ძაღლს მიჰყვა.

ვაჟა მახლობლად მიმოდიოდა, ზეროს
თვალს არ ამორებდა, თან თვითონაც
ეძებდა, ბალახს ფეხს გაჰკრავდა, იქნე-
ბა აფრინდესო. ახლა სხვა არა ახსოვდა
რა, არც რაიმე აწუხებდა, მთელი არსე-
ბით ნატრობდა, რომ ჭოვილო აფრენ-
ლიყო და არ დაეცილებინა.

აგერ ზერო კვლავ ქანდაკებასავით
დადგა ნაბულზე. ვალიკომ მიაშურა,
შეირბა ზერო და ძლივს აათრია ჩაიო-
გრძელებული ტანი ღაღამ, დაბალზე
გამართა გეზი. გავარდა თოფი და
ფრინველი მოწყდა სივრცეს, ბალახებ-
ში ჩაეარდა.

— ზერო, ნახე, ზერო! — დაიყვირა
ვალიკომ და იმ ადგილს მიაშურა, სა-
დაც ღაღამ დაეცა. ზერომ მისაწრო,
იპოვა, მალა ასწია, ყბები ისე შეარ-
ხია, თითქოს ლეკვეს აპირებსო.

— მოიბა, ზერო! არ გააფუჭო! —
უბრძანა ვალიკომ და ძაღლი მორჩი-
ლად მასთან გაჩნდა, მხოლოდ მიცემის
დროს ყბები ოდნავ მოუჭირა ფრინ-

ველს, თითქოს განშორება ენახებოდა.

— მომეცი, ზერო, მომეცი! — მოფე-
რებით უთხრა ვალიკომ და ღაღამებში
ამოართვა და ზეროს თავზე ხელი და-
უსვა.

— აფრენისას გგონია, რაღაცა არისო,
ხელში აიღებ და მჩვარი შეგრჩება! —
უთხრა ვალიკომ მიახლოებულ ვაჟს.

ვაჟამ ფრთხილად შეახო ხელი ღაღ-
ლას, ახედ-დახედა.

— ახალი მოფრენილია, გზაში გაბ-
დებოდა.

— ჰო, — დაემოწმა ვალიკო, — ესენა
ხომ მწყერებთან ერთად მოდიან, ხში-
რად ღაღამ მწყერების გუნდს მეგზუ-
რით წინ მოუძღვება.

ვალიკო უცებ შეტოკდა.

— ჰაატ! — წამოიძახა, — შეხედე, ზე-
რომ ჭოვილო ააფრინა!

ვაჟამ ფრინველს თვალი გააყოლა.
აგერ ღაღამებთან დაეშვა იგი.

ვალიკომ ზეროს მიაშურა, ხოლო ვაჟა
იმ ადგილისაკენ გაიქცა, სადაც ფრინ-
ველი ჩაჯდა. სწრაფად მიიჩრბინა, ქანკ-
რობში შეტყაპუნდა.

ხელმარჯვნივ წამოფართქალდა, და-
იჭყვივლა, კლაკნილად აიწია მალა.

ვაჟამ მთელი ნებისყოფა დასჭიმა,
შემეკრივდა, მიზანში ამოღება მოასწ-
რო. ფრინველი მოწყდა ჰაერში, უსუ-
ლოდ დაეშვა და ტბორზე დაეცა. ვაჟამ
მუხლამდის წყალში შეტოპა, ღაღლას-
თან შედარებით მძიმედ მოხვდა ხელში
გრძელნიკარტიანი, მონაცრისფერო
ფრინველი.

— რა ჰქენი, იპოვე? — მოაძახა ვა-
ლიკომ.

ალტაცებულმა ვაჟამ ფრინველი ფე-
ხით ასწია მალა, ვალიკოს დაანახვა.

— ეაშა, ვაჟა! ნამდვილი მონადირე
ყოფილხარ!.. მაჩვენე, ვნახო როგო-
რია... აჰ. ეს ჭყიამპო ყოფილა. ეს ძა-
ლიან ძნელი მოსაკლავია, დახვეულად
აიწვეს ზევით. ჭოვილო ამაზე დიდი,
მეტი ხორცი აქვს. უფრო მუჭი ფერი
გადაჰკრავს.

კარგა ხანს იარეს.

ჩამოცხა, მაგრამ მალე ცაზე ღრუბლის მოთეთრო ზოლები გაჩნდნენ, აქა-იქ შესქელდნენ, ქუფრად მჩინარე გორაკებივით მიმოიშალნენ.

შეტურდებოდა მზე წყლისფერ ღრუბლებში და მინდორზეც დაეშვებოდა ღრუბელზე უფრო მეტი ჩრდილი; ირგვლივ ველებსა და გორების ფერდობებს მზის მოკაშკაშე შექი ეფინა, ამ მოძრავ ჩრდილში კი წამსვე შექცდებოდა ბალახი და ყვავილები, ნიავსაც სიგრილე ემატებოდა.

ჭაობის მახლბლად მალალ ბალახში წააწყდნენ ჭოვილოს გუნდს.

ვალიკო აჩქარდა, პირველს დააცილა, მეორე შორს ჩამოაგდო. ზერომ იპოვა და მოუბრუნია.

ვაჟა იმ ადგილისაკენ გაეშურა, სადაც გუნდი დაეშვა. მიუახლოვდა. გული გამალებით უცემდა.

საოცარია, ამ გამძაფრებულ წუთებშიაც ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ფარულად იაშზე თვალს ადევნებდა და ეუბნებოდა, მამაჩემის წინაშე თავი არ შეირცხვინო.

აგერ აფრინდა ერთი. შორსაა. ვაითუ მთელი გუნდიც მიჰყვეს. კოლბოხს მიეფარა. გახოხდა. მიახლოება რომ იგრძნო, თავი ასწია. ერთს მოჰკრა თვალი. როცა წამოიჩოქა, გულისცემას აღარ გრძნობდა, მთლად ნებისყოფად იყო ჰტეული.

გუნდი ერთად აფრინდა. ჯერ ერთი ამოიღო მიზანში, შემდეგ მეორე. ორივე ჩამოვარდა. ფრთებშესხმულივით გაიქცა ვაჟა, იპოვა ერთიცა და მეორეც. გიდრე ნანადირევს თასმაკავზე დაიცილებდა, იმ მხარეს გიხედა, სადაც ვალიკო ეგულებოდა.

აგერ მოისწრაფვის იგი, ზერო წინ მოუძღვება.

— ხელებში გენაცვალე, ვაჟა, ხელებში! — ეუბნება ვალიკო და მისვლისთანავე ჭოვილოს ჩამოართმევს, ახედდა-ხედავს. — ეს არის, ჭოვილოა. ჩვენს ლექსიკონებში ამის სახელი არეულ-დარეულია. ძველში ეწერა: დუბელ-გოპაო; გოპა თევზს ეწოდება. ახლან-

დელ რუსულ-ქართულ ლექსიკონშია: დუბელ-ლაინო, ესეც შეცდომაა ჩვენს საბას კი, — საკვირველია, რომ უხედ-მიწევნით როგორ შეისწავლა ალბათ, ახალგაზრდობაში, აი, შენხელა რომ იყო, გატაცებული მონადირე იქნებოდა. პო, საბას ასე აქვს აწერილი: „ჭოვილო — ჭანჭრობში ზის, მწყერსა ჰგავს, ნისკარტი გრძელი აქვს, ანაზდად აფრინდების“. დახედე, მართლაც ასე არაა, პირდაპირ დახატულია. მერე მთავარი რაა, იცი? „ანაზდად აფრინდებისო“, ესაა სავსებით ზუსტი. ყველა ფრინველი უცებ აფრინდება, მაგრამ ამის აფრენა სულ სხვაა; ისე მოწყდება მიწას, რომ ვერ გაიგებ; სხვა ფრინველი კი ან მწყერივით აფართქალდება, ან ჭყიამ-პოსავით დაიწყვილებს, ან კაკაბივით ატაკარცალდება, ან ხოხობივით ამობარდლალდება. ჭოვილოს აფრენას მხოლოდ ტყისქათამის აფრენა ჩამოჰგავს, ისიც უხმოდ აიწვეს მალა, თუ თვალი არ შეასწარი, იქნება კიდევაც გაგეპაროს.

გახარებულ ვაჟას ამ განმარტებებისათვის საკმაო ყურადღება არ მიუტყვევია, მისთვის მთავარი ის იყო, რომ ვალიკო ზარანდიასაგან ხოტბა დაიმსახურა.

შუადღე მოახლოვდა.

ცა თუმცა მოთეთრო ღრუბლების ოდნავ მოძრავი ჭარავნებით იყო მოფენილი, მაგრამ სიცხემ მაინც იმატა. ნიავე ვერ ატანდა ჭაობისა და ჭანჭრობების ანაორთქლში

დიდი არხის ნაპირას, მალლობზე, ფართოდ ტოტებგაშლილ ვერხვის ძირას დააწყვეს ჩანთები, მდინარესთან ჩავიდნენ, ხელპირი დაიბანეს, გაგრილდნენ.

როცა ვალიკომ თავის ჩანთას პირი მოუხსნა, ვაჟამ უხერხულობა იგრძნო, დედის მიერ ჩალაგებული საგზალი მცირე ეჩვენა.

ვალიკომ მოხდენილად ამოალაგა ასმათის მიერ საგანგებოდ გამომცხვარა ხაჰაპური, მკადი, სულუგუნი, მწვანელი და ამასთანავე ერთი ბოთლი იმერული ღვინო.

— ეს ლეინო ასმათმა ჩამიღო ჩანთაში, ვაჟა მოგყვებაო და ნანადირეზე ესიამოვნებაო. ძალიან მიაჩინხარ, კაცო, შენ ჩემს უბედურ დას. შენში რაღაც სანუგეშოს ხედავს. ეპ, რა არის აღამიანი! ან კი სული როგორ უღდას! — ამბობდა ვალიკო და გაშლალ გაზეთზე სანოვაგეს ალაგებდა. ეტყობოდა, ლაპარაკის გუნებაზე იყო. ქარქაშიდან გრძელი დანა ამოიღო, ხაქაპურის, მჭადისა და სულუგუნის ქრას შეუღდა. თანაც შეუჩერებლად განაგრძობდა: — არსად საქმელს ისეთი გემო არა აქვს, როგორც მინდორში, ნანადირეზე. ერთხელ, მთაში ვიყავით მე და ჩემი მეგობარი, როკოზე ვნადირობდით. სად არ ვიბობდეთ. შუადღემ მოატანა. დავიღალენით. საგზალი არა გვქონდა. მოგვშვიდა. მთის თსკმზე ერთი მთიბაგი დავინახეთ. მივედით, გვესაუბრეთ. ცივი მქადითა და პრასით გავვიმასპინძლდა. ჩემს სიცოცხლეში ისეთი გემრიელი არაფერი მაქამია. აბა, ზიართვი-ახლა!

დანაყრდნენ. ვალიკომ სავსე ჭიქა ხელში შეაჩერა, მერე დადგა, გულითაღი ხმით დაიწყო:

— ჩემს თვალწინ აღიზარდე, ვაჟა, შენ, ისე გიყურებ, როგორც ძალიან ახლობელს, შენთან დასაფარავი რა უნდა მქონდეს. ერთი ქალიშვილი მყავს, მზე იმაზე ამომდის. ყველაფერი მისთვის მინდა...

ვაჟა სმენად იქცა, ყბა გაუჩერდა, თვალები სიერცეს მიაპყრო, გაირინდა, თითქოს სიკვდილ-სიცოცხლის განაჩენს მოელოსო.

— ჩემი შვილი რომ არის, იმიტომ კი არ ვაქებ, — განაგრძობდა ვალიკო, — ვმადლობ ბუნებას, ყველაფრით დაჯილდოებულია. სულ იმას ვცდილობდი, რომ მასში სწავლისა და შრომის ნიჭი გამომღვიძებინა, რადგან აღამიანისათვის მთავარი ეგ არის, ჩემო ვაჟა. ბუნებისაგან მინიჭებული სილამაზე დიდი მადლია, მაგრამ მთავარი ისაა, თუ ამ მადლს როგორ გამოიყენებ. მშვენიერება მაშინაა სრულქმნილი, როდესაც

მას საფუძვლად სიკეთე უღევს. ჰოდა, მოლა ერთად შერწყმულ სიკეთესა და მშვენიერებას გაუმარჯობს!

ვაჟას მკვერმეტყველება არ აკლდა. მაგრამ ახლა ენა ვერ დასძრა, ჭიქა ერთი მოთქმით გამოსცალა.

ვალიკო იმდენად გატაცებული იყო თავისი საგონებელით, რომ ვაჟას გაოგნება მხედველობიდან გამოეპარა. მცირე ხნის დემილის შემდეგ განაგრძო:

— შედადურობად ნუ ჩამითვლი, ჩემო ვაჟა, ძალიან მოწადინებელი ვარ, რომ ჩემი ერთადერთი შვილი განათლებულსა და კარგ საზოგადოებაში ვნახო. დამემოწმები, რომ იგი ამის ღირსია. ჰოდა, მინდა შენი აზრი გავიგო. ბებრი ვიფიქრე ამაზე; ათასნაირად ავწონ-დავწონე. შესანიშნავი ოჯახია, დიდად განათლებული. აბა, ერთი მითხარი, რა აქვს დასაწუნი აეთანდილ ზეკარელს? მამამისს, პროფესორ ზაზა ზეკარელს ვინ არ იცნობს? სახელმოხვეცილი მეცნიერია. უფროსი ვაჟი უკვე დოცენტია. დაცოლ შვილებული, ცალკე ცხოვრობს, ქალიშვილი გათხოვილია, შეძლებულ ქმარს ჰყავს. ზაზას დიდებული ოჯახა აეთანდილის განკარგულებაშია. ზაზას ცოლს თუ იკითხავ, აეთანდილის დედას, პირდაპირ ლეთისნიერი აღამიანია. უმცროსი შვილი ძალიან სათუთად აღზარდა. იმიტომ სჩვევია აეთანდილს ცოტაოდენი სიზარმაცე, მაგრამ...

ვაჟა ასადგომად წამოიწია, სახეზე ხელი მოისვა, უმაღვე ჩაჯდა, თავი ჩაღუნა.

ვერც ამ მოძრაობაში ამოიკითხა ვალიკომ, თუ რა ცეცხლი ბობოქრობდა ვაჟას გულში. ოდნავის გაოცებით შეათვალიერა იგი და კვლავ გულდანდობილად განაგრძო:

— დიახ, იმას ვამბობდი, რომ აეთანდილი უკვე კარგად სწავლობს, კურსს ჩინებულად დაამთავრებს, ნიჭი არ მოდგამს თუ რა? ცოტათი თითქოს ცივი კაცია, მაგრამ ეს მოჩვენებითია. შენ უნდა ნახო, როგორ უყვარს იმაზე...

— შეხედე, აგერ, ალვისხეზე გვრიტი შემოჯდა! — წამოიძახა ვაჟამ და თოფს ხელი დაავლო, მეტისმეტე სისწრაფით გაიქცა. ხეს ირგვლივ შემოუარა. გვრიტი ფოთლებში ყოფილიყო შეფარული. აფრინდა. ვალიკოსთან რომ მობრუნდა, სახე მხოლოდ ჩქარი სიარულისაგან ჰქონდა ალანძული.

— დროზე ვერ შევამჩნიე, გამასწრო. — უთხრა ვალიკოს და დაჯდა.

— ეგ მეც ბევრჯერ მომსვლია, —

თქვა ვალიკომ, — საოცრად იცის ფოთლებში შეხამება... ჰო, შენ მაინც არ მიპასუხე, რა აზრისა ხარ ავთანდილზე კარელზე?

— რა ვიცი, პატივცემულო ვალიკო, თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, — ჩაილაპარაკა ვაჟამ და ჩანთას თავი მოუკრა. — გავყვეთ, იქნება კიდევ წავაწყდეთ კოვილოს.

— კეთილი, ჩემო ვაჟა, კეთილი. აბა, ზერო, შენ იცი, როგორ დატრიალდები!

XII

ბრძოლა ბრძოლებზე

ორშაბათს, დიმიტრის რომ გამოეღვიძა, მეჯიკო და ვაჟა ტყბილად თელემდნენ.

— იძინონ, — უთხრა სახლიდან გასვლისას თებრონეს, — ვაჟა გუშინ ძალიან დაიღლებოდა. ვინ იცის, რამდენი იარა.

— დალილობა არაფერია, დაისვენებს. — ჩაილაპარაკა თებრონემ, — რაღაც აწუხებს ბიჭს. რამდენჯერ ვკითხე, არ გამომიტყდა.

— ნეტა რა უნდა იყოს? ბევრს მეცადინეობს. სჯობს, ქარხნიდან თავი გაითავისუფლოს.

— არა, დიმიტრი, მეცადინეობა არაფერ შუაშია.

— მაშ, აბა, რა უნდა იყოს?

— ერთი გუმანი მაქვს, მაგრამ ჯერ ვერ დამიდასტურებია.

— მაინც რა?

— ზომ იცი, დიმიტრი, რა შეუბოვარია ჩვენი ბიჭი. მაგან თუ რაიმე გულში ღრმად ჩაინერგა, მერე ცეცხლით ვერ ამოსწავ. მგონია, შეყვარებული უნდა იყოს.

დიმიტრიმ გალიმებული თვალი მიაკყრო თებრონეს, წვრილ ნაოკებზე ტუჩების კუთხეებში მკრთალი სხივი გამოუკრთა. მუღღღეს შექალაქებულ თმაზე ხელი გადაუსვა, მიეფერა.

— ხედავ, ქალო, რას მოვესწარით? კარგია, შეიყვაროს. მაგას ქალი ხელს

არ კ'ავს, არც მისი მშობლები დაიწუნებენ.

უკვე ნახევარ საუკუნეს გადააბიჯეს ორივემ, მრავალი განსაცდელი გამოიარეს, მძიმე მწუხარებაც, მაგრამ მათ არსებში მაინც ბუდობდა ახალგაზრდობისას ჩადუღებული სიყვარულის მადლი.

სამოვლენება მოჰგვარა ალერსმა, დიმიტრის სამუშაო ზალათის საკინძე გაუწეოდა და უთხრა:

— ვაჟას ქალს ვინ არ მიათხოვებს, მაგრამ მე რა მგონია, იცი? ზარანდიას ქალიშვილი უნდა უყვარდეს, იამზე.

— აჰ, იამზე! ულამაზესი ქალია!

— საქმეც ეგაა, რომ მეტისმეტად ლამაზია. სილამაზეს ხიფათი მოსდევს. იქნება ვინმეს უყვარს. მერე კიდევ მამამისი, ვალიკო ზარანდია, ძალიან მალა იყურება. შეიძლება არც კი გვიკადროს.

— ჯავრი ნუ გაქვს, თებრონე, მოეწყობა, შეუძლებელი არაფერია. — თავისებური იმედიათი ხმით უთხრა დიმიტრიმ და აივნიდან ჩაეიდა.

ამომავალი მზის ნათელი მოჰფენოდა საგაზაფხულოდ შემოსილ გორებს. შორს საგურამოს მთების თხემებზე შვეში გაშლილი ლეჩაქიე. ა ეფინა თოვლისფერი ნისლი, აქა-იქ საცხებით გაცრეცილი.

ქადრების ხეივანში მიდიოდა დიმიტრი, როცა მეორედ აზუზუნდა ქარხნის

საყვირი. თავი ასწია ფიქრობრეულმა, ქარხნის ეზოდან შადრევანივით ამოკლანკილ ორთქლს ზიაცქერდა. მოგონებამ ღიმილი მოჰგვარა.

მეტოხე ათეული წელია მას შემდეგ, რაც ბაქოში მთელი რაიონის მუშებმა საპროტესტო გაფიცვა გამოაცხადეს. სხვებს მიასწრო მაშინ ახალგაზრდა დიმიტრიმ საყვირთან და საკე დასწია. სქეჟდა და გუგუნებდა საყვირი, შეუპოვარი ბრძოლისაყენ მოუწოდებდა მუშებს. ისეთი განცდა ჰქონდა მაშინ დიმიტრის (არა, დიმიტრის კი არა, ალექსის, რადგან მაშინ სახელი და გვარი შეცვლილი ჰქონდა, არალეგალურად ცხოვრობდა), თითქოს საყვირის მქუხარე ხმას გადაეჭსოვა და გაბედულად მიიწევედა მაღლა, სულ მაღლა...

უცებ სახეზე ჩრდილი დაეფინა, კოტე ბადურიშვილის სიტყვები გაახსენდა, „ძველი დრო ხომ არა გგონია, ქვეშეჭვეშ რომ დაძვრებიო“. მოდი და ნუ გაგვიცინება, დიმიტრის ასწავლიან ძველსა და ახალ დროს მერე ვინ? კოტე ბადურიშვილი, ეს აზიზ-მაზიზი მეტიჩარა. რატომ მიჩემდა? რატომ არ მოჰყავს სისრულეში თავისი მუქარა? ალბათ, კული აეწვა და გასაძრომს ეძებს. სულ ერთია, არ მოვეშვები. ჩვენი ქარხანა მაჩანჩალა არასოდეს არა ყოფილა. მალე სამი თვე სრულდება, რაც ბადურიშვილი ქარხანას სათავეში ჩაუდგა და ლამის საესებით დაჰკარგოს მრავალი წლის მანძილზე მოპოვებული სახელი. მუშების სულისკვეთებაშიაც მოდუნება შეიჭრა. სადღა ალტაცება, მაძიებელი გონება, წრფელი შეჯიბრება. საქმეს ფორმალურად ეცილებიან. ამდენი იმეშავა, არაფერი გაუფუჭებია, ეს არის და ეს... რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია დამრავლავ, სულისჩამდგმელ ხელმძღვანელობას! კოტე ბადურიშვილმა კი მხოლოდ ბრმა შიში, მლიქვნელობა და ვერაგობა გაამეფა, საზოგადოებრივი დახლართა, გვეგონება, ქაობიდან ამომავალი ოზშივარი სწამლავსო ირგვლივ ყველაფერს.

ქარხნის კინკართან დიმიტრის ძველი

მეგობარი დიმიტრე გორაშიძე დაეწია. ეს იყო შუა ტანის კაცი, უცვლელად შერეული, შრომით სახეღმრთელები მკვდელი. ისე წელიწადი არ გავიდოდა, რომ დიმიტრეს რაიმე ახალი გაუმგობესება არ შეეტანა თავის საქმიანობაში.

— დიმიტრის გაუმარჯოს! ორჯერ მოვაძახე, ვერ გაგაგონე, ფიქრში თუ იყავი გართული.

— აჰ, ჩემს დიმიტრეს გაუმარჯოს! შენ სხვა თქვი, თორემ ჩასაფიქრებელი ბევრია... მოიცა, შენ რალაც ძალიან გამხლარი მეჩვენები!

— ეჰ, ჩემო დიმიტრი, ძნელი ყოფილა, კაცო, ძნელი, როცა გულიდან რამე მოგწყდება და გამოთლებას აღარ მოელო. ამდენ ხანს კიდევ მქონდა იმედი, იქნება ჩემი ბიჭი ცოცხალია და გამოჩნდეს-მეთქი, ახლა კი... ვინ იცის, სად დაიღუპა უბელური.

— სულთ არ დაეცე, ჩემო დიმიტრე! ჩემზე უკეთ იცი — ერთადერთი წამალი შრომაა.

— მართალი ხარ, მაგრამ შრომის ხალისიც დუნდება, როცა სათავეში წყალი აიშლვრევა.

— ვიცი, რაცა გაქვს მხედველობაში, — თქვა დიმიტრიმ და ირგვლივ მიმოიხედა, ყურს ხომ არაინ გვიგდებსო, მერე ხმადანეულად განაგრძო: — მაგასაც მოენახება გამოსავალი. მახვილი თვალი აქვს ჩვენს პარტიას, დღეს რომ გგონია, ესა თუ ის მედიდური ქვეყანას აზანზარებსო, ხვალ მისგან აღარაფერი დარჩება.

— მაგის იმედი რომ არა მქონდეს, მაშინ ცხოვრებას რაღა ფასი ექნებოდა, მაგრამ... იცი, რას ვნატრობ? ერთი არწივივით ჩამოუქროლებდეს ვინმე და მძლავრად გაჰკარავდეს ბრტყალეებს მლიქვნელებს, ენატანიებს, ფორმალისტებს... მოიწი აქეთ, კაცმა რომ თქვას, მიიღწევს ჩვენი ხმა ცეკამდის?

— უთუოდ მიიღწევს. ბადურიშვილსა და მის დამკაშებს ჰგონიათ, ქვეყანა ჩაღლით არის დახურული, მაგრამ მათ უარესი მათთვის. მაშინ ენახავთ სეირს,

როცა დასკექს და ჩალის სახურავი თავზე დააცვივით.

ჭარხნის ეზოში, პატარა ყვავილნართან შეუხვია დიმიტრემ, სამკედლოსაჲს გაემართა. დიმიტრიმ ახალგაფურჩქნილ ყვავილებზე შეაჩერა თვალი, მერე კედელს ახედა, სადაც მოწინავე ოსტატების პორტრეტები იყო გამოფენილი. ზედა მწკრივში ყველაზე უწინარეს ილია საბურთის გაულინა, თანაც უნებურად გაუელვა გუნებაში იმ განსხვავებამ, რაც პორტრეტსა და ნამდვილ ილიას შორის არსებობდა. ამ სურათის მიხედვით ილია ისე მოჩანდა, თითქოს თავს იწონებდეს, ნამდვილად კი საესეებით უბრალო, მეტიმეტად თავმდაბალი კაცო იყო ილია. მას ერთნაირად შინაურულად ეკვირა თავი როგორც უფროსის, ისე ახალმოსული შეგირდის წინაშე.

აგერ ილიაც გამოჩნდა. მკვირცხლად შოდის, სახე კი უჩვეულოდ დაღვრემილი აქვს. რა მოხდა? ცუდი ხომ არაფერი შეემთხვა?

— ახალი ამბავი იცი რამე? — არ მისალმებია, ისე შეეკითხა დიმიტრი.

— არაფერი... მთელი ღამე არ მძინია.

— რატომ მერე!

— ბავშვი მყავს ავად, ჩემი ნანული.

— რა მოუვიდა?

— ფილტვების ანთება უნდა იყოს.

— შეკაცო, მერე და, მაგან შეგაშინა? ახლა ისეთი წამლებია, რომ ორ დღეში მორჩება.

— ძალიან გაურთულდა. შენთან გამოვიარე ახლა. გამომასწარი. მედიკოსთქვა, ახლავე წავალო, მოვლას არ მივაკლებო.

— ჰო, ეგ კარგია. მედიკო გამოცდილი მომვლელია.

— ჩემი ოჯახობა ბავშვს თავზე ადგას, სამსახურში არ წავა, მაგრამ მედიკო მაინც დიდი იმედია. როგორ დაქალებულა ჩვენი მედიკო, როგორ შეცვლილა!

— რა გასაკვირველია, ეგ რომ ცეცხლში იყო...

— იცი, რა მომეჩვენა? ისეთი ნაღვლიანი გამომეტყველება აქვს, იფიქრებ, ვილაყას გლოვობსო.

— ეგრეც არის... ჰო, ბავშვს სიცხე რამდენი აქვს?

— წუხელ ორმოცამდე ატვიდა, ამ დილას ოცდათვრამეტი ჰქონდა.

— ნუ გეშინია, მალე მორჩება.

— უნდა გენახა, დიმიტრი, როგორ კენესოდა, რა მძიმედ სუნთქავდა. მომკლა მისმა ცოდვამ.

საყვირი მესამედ აზუზუნდა. საამქროები ფერხულში ჩადგნენ.



ლუკა ბერთუქაშვილი ამ დღიით ჩვეულებრივად აღრე მოვიდა. ერთხანს იჯდა თავის პატარა კაბინეტში, ქალაქდები გადაათვალიერა. მერე შექანიერ საამქროსაკენ გასწია.

კუთხეში, დიდ ჩარხთან, მოკრა თვალი დიმიტრის, მოწინებით მიესალმა.

დიმიტრიმ ცოვად დაუკრა თავი, ირიბად გახედა. მაინც შეამჩნია: ისეთი გამომეტყველება ჰქონდა ლუკას, თითქოს მეტად მნიშვნელოვანი რამ იცის და გამხელას აგვიანებდესო.

— ლუკა, ახალი რა იცით? — უნებლიეთ შეეკითხა დიმიტრი.

— ისეთი არაფერი, ამხანაგო დიმიტრი. — ჩაილაპარაკა ბერთუქაშვილმა, — ცუდ ამბავს მოვკარი ყური. იქნება თქვენ უკვე იცით?

— რა ამბავია?

— რა ვქნა, ამხანაგო დიმიტრი, — თქვა და მიმოიხედა ლუკამ, — ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ იმას კი ვერ წარმოვიდგენდი, თუ თქვენზე ასეთი რამ ითქმებოდა.

— რაო, რა უთქვამთ?

— ქარხანაში წყალს ამღვრევსო. სამსახურიდან უნდა გაეთათვისულოთო.

— მართლა? ისიც გეცოდინებთ, ბრძანება ხომ არ დაუწერია დირექტორს?

— ნამდვილად არ ვიცი. რაღაც მაგვარი კი უნდა იყოს. საოცარია სწო-

რედ! რაც თქვენ ამ ქარხანაში ღვაწლი მიგიძღვით... მაგრამ ვინ აფასებს. თუ დასკირდათ, ყველაფერს გააქარწყლებენ. მართალს არ ვამბობ?.. ჰო, — თითქოს ახლა გაახსენდაო, — ერთი ეს მიზრძანეთ, თქვენ ციმბირიდან რომ გამოიპარეთ, მგონი ცხრაას ექვსს თუ შეიღწეულს იყო, ბაქოში, ქარხანაში რომ ჰქუშობდით, მაშინ რომელ ფრაქციაში ირიცხებოდით?

— ეგ რაზე დაგვირდათ? — შეკახედ შეეკითხა დიმიტრი.

— ბოდიში, ამხანაგო დიმიტრი. ეს ისე, ყური მოვკარი, რაღაცას ლაპარაკობდნენ და მინდა შევამოწმო, მართალია თუ არა.

— ყურის მოკერა ხომ თქვენი ზელობაა! — ზიზღით მოუჭრა სიტყვა დიმიტრიმ და სახე აარიდა.

— რას ბრძანებთ, ამხანაგო დიმიტრი, მე ეს ისე, თქვენდა სასარგებლოდ მინდოდა გამეგო, — დაიბნა ბერთუჯაშვილი, — ახლა არ გეუბნებოდით: თქვენოდენი ღვაწლი რომ ამ ქარხანაში და საერთოდ მთელ რევოლუციურ მოძრაობაში სხვას ვინმეს მიუძღოდეს, ახლა ცამდე იქნებოდა აყვანილი. თქვენ კი მეტისმეტად თავმდაბალი ხართ, ამხანაგო დიმიტრი, მეტისმეტად. ამიტომ, რომ ასე ადვილად დიქრობენ თქვენი ამავის წყალში ჩაყრას. განა მართალს არ ვამბობ?

— არ ვიცი, ვნახოთ. — ჩაილაპარაკა დიმიტრიმ და დაკვირვებით ახედ-დახედა ბერთუჯაშვილს, გუნებაში კი გაიფიქრა: „ჩემთანაც საქმეს იკეთებს. როცა გავიმარჯვებთ, იტყვის, მეც ხომ თქვენთან ვიყავიო“.

— ბოდაში, ამხანაგო დიმიტრი, ბოდიში. — წაილაპარაკა ლუკამ და გზას გაუდგა, ცხადად ეტყობოდა, რომ შიშმა აიტანა.

მლელვარე ზღვის პირად ჩაფიქრებული კაცი რომ გამოერკვევა და აქედებული ტალღების ხმაური მოესმის, ისე იგრძნო დიმიტრიმ შემპარავად მგესლავი უამის მოახლოება. ყველაზე საშინელი ის იყო, რომ შესს ნაამაგარ

ოჯახში შემოდინ და გეუბნებოდა: გაეცალე აქურობას, შესრქე შეტყუები ხარო.

დიდხანს არ შერჩენია ეს ნაღვლიანი ფიქრი; მხნეობა დაიბრუნა და თავის თავს უთხრა: „არ შედრკე, ბიჭო! შესვენების დრო ჯერ არ დამდგარა, ბრძოლა გრძელდება...“

ილია საბურთისის ჩარხის მახლობლად შეჩერდა და თავისი მეგობრის სახეზე რაღაც ახალი ელფერი დაიჭირა.

დინჯად, აუჩქარებლად მუშაობდა ილია; აწყობილად ჩხრიალებდა საქრისზე კრიალა თუჯი, გაჩარბული დეტალი ერთიმეორეს ემატებოდა. დიმიტრიმ მაინც შეამჩნია, რომ ილიას გონების ერთი ნაწილი სულ სხვა საგონებელით იყო შეპყრობილი.

„ჰო, ავადმყოფი ბავშვი ჰყავს შინ. ნანული“, — დაასვენა ბოლოს.

ნამუაღლევს, ვიდრე ქარხნის სამმართველოში წავიდოდა, დიმიტრის გულმა მოსთხოვა, გაეასთან მიხუციყო, თავისი ნაღვლიანი მოლოდინი იქნებ მისთვისაც ეგრძნობინებინა.

კაცა მოძველებულ ჩარხთან მუშაობდა, ფოლადის პატარა ლილვებს ზრახნიდა. ხალათის სახელოები ამოეკაპიწებინა, საკინძე გაეხსნა.

დიმიტრი პირველივე შეხედვისთანავე მიუხვდა: ხელმარჯვედ მუშაობს, მაგრამ გარინდება მაინც ემჩნევა...

„ჯავრი ნუ გაქვს, შეილო, სიყვარულს წინ რა დატდგება. მარჯვედ იყავი, კირიმე, შენ ხომ ახლა ვაქციხარა!“ — თქვა გუნებაში დიმიტრიმ, ვაქასთვის ხმა არ გაუცია, შებრუნდა და ქარხნის სამმართველოსაკენ გასწია.

თანამდებობაზე დანიშნვის შემდეგ კოტე ბადურისშვილი ორჯერ თუ სამჯერ იყო სამმართველოში. წინათ და ახლაც, როცა სამჭედლოს ფართო კარს შიადგა, ისეთი გრძნობა აღედგრა, თითქოს ბინძურ ქანჭრობში მოხვდა გზად მიმავალი და ამაოდ ცდილობს ქუჭყს.



თავი აარიდოს. თანაც ეს დაუცხრომელი განგაში, ორთქლის უროების დაგადუბი, განუწყვეტელი შიშინი მოვარვარე ქურებში, შექვარტლულ თალებში დაგუბებული კვამლნარევი ჰაერი და შიგ მომუშავეთა პირქუში სახეები გულს უმძიმებდა კოტეს.

ლიომიდე გორაშიძემ უკვე გაფორმებული ლიბრი ფოლადი გრდემლზე მარწუხით შეატრიალა, წუნი ვერ უპოვა და თანაშემწის დახმარებით მიწაზე დადო, შემდეგ თავი ასწია და მახლობლად შეჩერებულ ბადურიშვილს ახედა; არ ესიაზოვნა, მანაც წელში გაიმართა და ღირეჭტორს მიესალმა.

კოტეს უნდოდა მეგობრულად გასაუბრებოდა ღირეჭტორს, მაგრამ არ გამოუვიდა, ტუნებში ცივი ღიმილი გამოკრთა და სიტყვა კბილებქვეშ მოატანა:

— გითქვამს, კომპრესორი უქმად დგას და ღირეჭტოცა ყურადღებას არ აქცევსო...

— დიახ, სწორედ ეგრეა! — შემტევი ხმით მიმართა გორაშიძემ: — რამდენჯერ აღძრა ღირეჭტო მშვიდობაქმე ეს საკითხი, მაგრამ თქვენ რატომღაც გვერდი აუარეთ.

— როგორც ვიცი, ეგ კომპრესორი უკვე მწყობრიდან გამოდიოდა, როცა მე აქ მოვედი.

— მერე? შეეკეთება განა აღარ მიხერხდებოდა?

— სპეციალისტები ამბობენ, უკვე დრომოკმულია, აღდგენად აღარ ღირსო.

— არაა ეგ სწორი. თვითონ არ უკვირდებიან, სხვებს კი ყურს არ უბღლებენ. ღირეჭტოს პრაქტიკული წინადადება...

— მოიცა! — ცივად შეაწყვეტინა ბადურიშვილმა, — ისე გამოდის, თითქოს ეგ თქვენი მშვიდობაქმე ყოვლის მტოდნე იყოს! მეტიჩრობს, ისეთ საქმეში ეჩრება, რაც მას არ ეკითხება.

— საკვირველია! — გაცხარდა ღირეჭტომი, — ეგ როდის აქეთ აღარ გვეკითხება ჩვენ ქარხნის საქმე?

— აი, აი, უყურე ახლა ამას! — ხმას აუწია ბადურიშვილმა, — მიხედავთ, ინეინერს მიაცქერდა, — არ ხედავთ, როგორ აიშვეს თავი? დიდი და პატარა მაგათთვის სულ ერთია...

ღირეჭტომს ცეცხლის გუგუნი მოესმა, კოტეს თვალი აარიდა, მარწუხი აიღო და ქურას მიაშურა.

ბადურიშვილს სახეზე ზიზლი ალუბეჭდა, ინეინერს შესჩივლა:

— თავის დამცირება არაა ახლა ეგ, ამ ხეპრეს რომ ველაპარაკებო?...

ის იყო, გასცილდა კოტე სამკვდლოს კარს, რომ მოულოდნელად ღირეჭტო მშვიდობაქმე შემოეფეთა.

ღირეჭტო ჩვეულმა თავაზიანობამ დასძლია და ღირეჭტორს მიესალმა, ზოლო ბადურიშვილმა თვალეზი ავად მოკვტა, თავის წარმოდგენაში მიწასთან გასწორებულ მშვიდობაქმეს გვერდით ჩაუარა, გულში კი გაივლო: „ბრძანება ჯერ არ გამოუცხადებიათ. დაიცადოს, ვნახავ, როგორ გუნებაზე დადგება“...

ლუკა ბერთუჯაშვილთან შეხვედრის შემდეგ ღირეჭტო წამით წაშვე მოელოდა გამოძახებას, ეწადა, მალი გაეგო, რა საბაბით უსწორებდა ანგარიშს კოტე ბადურიშვილი. ისიც გაიფიქრა, პარტკომში მივალ, ამხანაგებს მოვეთათბირებო, მაგრამ ახლა მწარედ გაელიმა, მიხვდა, რომ ბადურიშვილის მიერ დახლართული ქსელის გარღვევას ჯერ კიდევ დიდი დრო დასჭირდებოდა.

როგორც კი შედგა ფეხი ღირეჭტომს კანტორაში, მოკრძალებით წამოღვა გამხდარი, პირხმელი საქმის მწარმოებელი.

— მობრძანდით, ამხანაგო ღირეჭტო! დღეს ორჯერ მინდოდა თქვენთან კაცის გამოგზავნა, მაგრამ თავი შევიკავე. — მიმოიხედა. ოთახში მემანქანის მეტი არაფერ იყო. — რას არ მოესწრება კაცი! როგორ წარმოვიდგენდი, თუ თქვენთვის ასეთი რამე უნდა გამომეცხადებინა.

— ვატყობ, კარგი ამბავი არ იქნება. — სევდიანი ღიმილით თქვა ღირეჭტომი და მაგიდასთან დაჯდა.

— აი, ეს გახლავთ. — უთხრა საქმის მწარმოებელმა და წინ ბადურიშვილის ბრძანება დაუღო.

დომიტრიმ სათვალე გაიკეთა და სწრაფად ჩაათვალიერა დირექტორის ბრძანება. სულ რამდენიმე სტრიქონისაგან შედგებოდა იგი, მაგრამ რამდენი გესული იყო შივი თითო გველი იჯდა თითქოს თვითულ სატყუავში და გამქოლავი თვალეებით შეპყურებდა დომიტრის...

ძლივს ასწია თავი, მწარედ გაელიმა.

— ძალიან ახლოს ნუ მიიტანთ გულთან, ამხანაგო დომიტრი! — წრფელი თანაგრძნობით მიმართა საქმის მწარმოებელმა, — გამოსწორდება, სიმართლე არ დაგეჟარებათ.

— ვიცი... მაგრამ მაინც ძნელია, ძმობილო, როცა შენი ოჯახიდან გაძევებენ. რამდენი შრომა... არა, შრომა რაა? მთელი ჩემი სიცოცხლის წინაარსი მაქვს ჩაქსოვილი იმ საქმეში, რასაც ამ ჩვენი ქარხნის მუშები აკეთებდნენ, რასაც მთელი ჩვენი მუშათა კლასი აკეთებდა. ახლა კი... თუშეცა არა, — მძიმედ წამოიმართა, შებლი დაელარა, საქმის მწარმოებელს მაინც გაუღიმა, — ასე ადვილად მე ბრძოლის ველს არ დავტოვებ, არა მჩვევია...

ეტყობოდა, კიდევ უნდოდა ეთქვა რაღაცა, მაგრამ გრძნობამ დასძლია, ტუჩები მოკუმბა, დირექტორის ბრძანება დაქმუქნა, იატაკზე დააგდო და კარიბაკენ გატრიალდა.

აუჩქარებლად მიემართებოდა ქიშკრისაკენ, არავისთან გასაუბრება არა სწაღდა; არც ქარხნის ეს ნაცნობი მიდამო ეუბნებოდა რამეს. ისეთი გრძნობა დაუფლებოდა, თითქოს საკუთარ გასვენებას ესწრებოდა.

არა, კი არ მისვენებენ, კუბო თითქოს ობლად მისცურავს, გულზე ხელბედავლობილ დომიტრის არავინ მისტირის; არსად არაფერი არ შეცვლილა, ქვეყნიერება ისევ ისე ელვარებს გაზაფხულის მზეში; მხოლოდ დომიტრისაგვის ღამდება, მალე სავსებით შეიკრავს პირს კუბრით შავი წყვილი და სამარის სიღრმეში დაინთქება...

ქიშკართან, საკომენდანტოში, მონუც მუშას მოჰკრა თვალისკენს. შერცხვა, სახე აარიდა, ჩქარი ნახიჯით გავიდა ქუჩაში. აქ თავისუფლად ამოისუნთქა, თითქოს მძიმე ტვირთისაგან განთავისუფლდაო.

ის მოხუცი დომიტრიზე თხუთმეტი წლით უფროსი იყო. ცხრაას ხუთ წელს, როცა დომიტრის მუშათა შეიარაღებული რაზმის წევრობით თავი მოსწონდა, მაშინ ის ცოლ-შვილიანი იყო, თავს უფრთხილდებოდა, არასოდეს ციხეში არა წავდარა, ქედმოხრილად აკეთებდა ქარხანაში თავის საქმეს; მისი ხალათი და შარვალი, უამრავჯერ დანაეკრები, ქარხნის ქუჩუით იყო გასქელებული; საბჭოთა წყობილების ემსაც, ვიდრე პენსიაზე გადავიდოდა, ჩვეულებრივად საქმიანობდა თავის კუთხეში. ჰოდა, ახლაც არხინდალ ზის იგი საკომენდანტოში, ოხუნჯობს, იცინის, ხოლო დომიტრი...

ნაბიჯი შეანელა, ცას ახედა. გაელიმა.

„რა მოგივიდა, ბიჭო? — ჩვეულები-სამებრ გაესაუბრა თავის თავს, — იმ ბებრის უდარდებლობა შეგეხარბა? ის გამოწაკლისია, ის მდინარებას მიჰყვება; აუხვევს, აჰყვება, ჩაუხვევს, ჩაჰყვება, შენ კი ამ მღელვარე ეპოქის მესაქვს კვალდაკვალ მისდევდი, რა ჯურღმულშიაც არ უნდა ჩავარდნილიყავი, სულს ამომავალი მზის სხივი სწვდებოდა. ახლა ის მზე მთელ ქვეყნიერებას ანათებს, შენ რამ უნდა გაგტეხოს...“

შინ მისვლა მაინც არ ეჩქარებოდა. რა სასიხარულო ამბავი უნდა მიეტანა თებრთნესათვის?

კლუბის ეზოში შეუხვია. მერხზე ჩამოჯდა.

ყვავილნართან ბავშვები თამაშობდნენ. ახალგაზრდა დედას ჩვილი ბავშვი მკლავებში ჩაეძინებია.

მზე დასავლეთისაკენ გადახრილიყო; ჩრდილოეთით, საგურამოს მთების გასწვრივ, თეთრი ღრუბლის მაღალი კომკი ელვარებდა.

საპატიმროში უყვარდა დიმიტრის რკინისბადიან სარკმლიდან ცქერა. მაგრამ ახლა სატუსალო როდი მოჰგონებია, ის დღე გაახსენდა, როცა ბაჭოში მეჭონიკური სახელოსნოს მოწინავე მუშები და მათ შორის დიმიტრიც ქარხნიდან დაითხოვეს. მაშინაც გაზაფხული იყო. მაღალი ჭიშკრის ვიწრო შესასვლელთან გაჩერებულმა დარაჯმა დიმიტრის საშვები ჩამოართვა და დაკვირვებით შეათვალიერა, ქარხანაში არ შემომეპაროსო.

ტალახიანი გზის პირად შეჩერდა მაშინ დიმიტრი. მთის ძირას, ნახევრად

მიწაში შედგმულ სახლში ჰქონდა ბნელი ოთახი. იქიდანაც მალე უნდა გადასულიყო, რომ ჯაშუშებს შეხვედროდა მოხვედროდა. შინ წასვლას ზღვის პირად განმარტობა ამჯობინა. კარგა ხანს იჯდა საბანაოსთან ძელზე, ნელა მოძრავ რაღებებს დაჰყურებდა. ფირუზისფერ ქაღალდებში აქა-იქ მარტოის ზოლი იკლავებოდა.

კვლების ეზოდან რომ გავიდა, თებრონესთან მისვლა კვლავ გადასდო, ილია საბურძის ბინისაკენ გასწია ავადმყოფი ბავშვის სანახავად.

XIII

ბაღურისვილის ძხალი

ბალის კუთხეში აშენდა ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელშიც რამდენიმე თვის წინათ მისცეს ბინა ილია საბურძის.

ამ სახლს საძირკველი ომის დაწყებამდის ჩაეყარა, მაგრამ შემდეგ მშენებლობა დიდი ხნით შეჩერდა, მხოლოდ გასული წლის მიწურულში დაიწყო შიგ ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შესახლება.

დიმიტრი ნელი ნაბიჯით ავიდა მესამე სართულზე, ახალშედგმულ კართან შეჩერდა, სული მოითქვა, გულის აჩქარებულ ძვერას ყური მიაპყრო.

„მეც ადამიანი ვარ, ქვა ხომ არა ვარ“, — გაივლო გუნებაში, — ისეთ მღვდმარებაში მოვექეცი, თითქოს ბრძოლა თავიდან უნდა დაეწყო“...

ეს ფიქრი სულმოკლეობად მიიჩნია, თავის თავს გაუჯავრდა; ზარის ღილს თითი დააჭირა.

კარი მედიკომ გაუღო; შეერთა, ამ დროს მამას არ მოელოდა.

— ბავშვი როგორაა? — ჩუმად შეეკითხა დიმიტრი.

— არა უშავს რა... შენ საიდან გაჩნდი, მამა, ამ დროს აქ?

— ისე, ბავშვის სანახავად გამოვიარე.

ილიას შეუღლებ მობკრა ყური საუბარს, სტუმარს მიეგება.

— მობრძანდით, ძვირფასო დიმიტრი! რა კარგი ჰქენით, რომ მოხვედით. ნანულიმ გინატრათ დღეს, ნეტავი ძია დიმიტრი მოვიდოდეს და ზღაპარს მიამბობდესო.

ხელი გამოსდო დიმიტრის ილიას შეუღლებ. ტანმორჩილი ქალი იყო თინა, შავთვალწარბა, სანდომიანი. ამდენი ხანია იცნობს დიმიტრი თინას და მოწყენილი იშვითად უნახავს. ახლაც, მიუხედავად იმისა, რომ მისი უმცროსი ქალიშვილი, შვიდი წლის ნანული ძალიან აუად არის, ზოგი ქალივით როდი წუწუნებს, ოდნავი შემფოთება ემჩნევა მხოლოდ, საზრიანობა სავსებით შენარჩუნებული აქვს.

დიმიტრი ბავშვის საწოლთან ფეხაკრებით მივიდა, ფრთხილად დაჯდა დაბალ სკამზე.

ნანულის შუბლზე ტილო ეფინა, თვალები ოდნავ ღია ჰქონდა, ბურხანში იყო. დიმიტრის მისვლა არ გაუგია.

სახეზე დააცქერდა ბავშვს დიმიტრი; ფერი გამკრთალი ჰქონდა; მხოლოდ ლოყები წამოღვივებოდა. მშრალ ტუჩებს მაღიმალ აცმატუნებდა, ხანდახან მძაფრად შეერთებოდა.

რა აშფოთებდა?

მეორე დღეა ხშირად ეჩვენება ნანულის, თათქოს სრულად უხილავი რამ აიტაცებს მალა, ღრუბლებში დააგორებს. მოძრაობენ ღრუბლები, მდინარის ტალღებივით ინჩქრევიან, იწეწებიან, ფაფუკ ქულებად იშლებიან და განუწყვეტლად დაბორიალობენ სივრცეში. ნანულიც მიმოსრიალებს, ღრუბლის ნაფლეთიდან მეორე ნაფლეთზე ვარდება, ნაცრისფერ მორცეში იძირება; შეერთება ამ დროს, უნდა დაიყვიროს, მაგრამ ხმას ვერ იღებს და წუხს, იტანჯება.

— ნანული, ჩემო მშვენიერო ნანული! — ჩაესმა კრობლის რომელიღაც მალლობიდან დაცურებულ ნანულის და თვალი მძიმედ გაახილა, დიმიტრის უაზროდ მიაჩერდა.

— ვერ მიცანი, გენაცვალე? არ გახსოვს ჩემი ზღაპარი „ქვისკინძული“?

— წყალი! — ძლივს ამოთქვა ნანულიმ.

მედიკომ პატარა ჭიქით წყალი შეასვა. ბავშვს ემწარა, შეიკუმუნა, ხაოიანი ენის წვერი ტუნზე მოისვა. ახლა სახე მოწმინდა მედიკომ, სუფრის კოვზით წამალი დააღვინა.

ნანულიმ თვალზე ხელი მოისვა, მოსულიერდა, დიმიტრის შეამტრდა, ტუჩები საღიმილოდ შეუერთოლდა.

— ახლა ხომ მიცანი, ჩემო მეგობარო?

— ძია დიმიტრი. — სუსტად თქვა ბავშვმა.

— ჰო, დიმიტრი ვარ, გახსოვს, ზღაპარი რომ გაიზბე?

— კიდეც... მიაშბე კიდეც.

— კი, გენაცვალე. — მცირე ხანს იყუჩა დიმიტრიმ, მეორე როგორც მოადგა ენაზე, ისე დაიწყო:

— იყო და არა იყო რა... იყო ერთი ოჯახი, მშრომელი კურდღლების ოჯახი...

მზის შუქით გამთბარი ოთახი სინუმემ მოიკვა, ისეთმა თვალგახელილმა სინუმემ, როგორც ავადმყოფის ირგვლივ დაივანებს ბოლმე.

ილიას უფროსი ვაჟი მეორე ოთახში

იჯდა, გაკვეთილს ამზადებდა, თინა სამზარეულოში საქმიანობდა. მედიკოს საშხეფს ასუფთავებდა. ზღაპარსა და თვის პენიცილინი უნდა შეეშაპუნებინა; ყოველ სამ საათში ჰქონდა დანიშნული.

დიმიტრი ლაპარაკობდა და ხანგამოშვებით მედიკოსაკენ გაურბოდა თვალი. პირველად ხედავდა თეთრ ხალათში, ავადმყოფის გვერდით მოფუსფუსეს.

გამამხნევებელი, იმედის მომგვრელი იერი შეგნის ახლა მედიკოს. ვინ იცის, რამდენი მძიმედ დაქრილი უნუგემეზია, რამდენი კაცის სიცოცხლე უნახავს ბეწვზე დაკიდებული, მიშველებია, მოუსულიერებია.

რა დიდი შეგებაა, როდესაც იცი, რომ აღამიანისათვის გაწეულ ამავს ამოდ. არ ჩაუვლია. რა ბედნიერი იქნებოდა მედიკო, ის ვაჟაკი რომ არ დაღუპულიყო! სანამდის უნდა იყოს ასე მგლოვიარე, გაუხარებელი? უნაყოფოდ გამხმარ ხეს ემსგავსება. ეჰ, ცოდვაა, ცოდვა...

მედიკო გრძნობდა, მამა რომ სიყვარულით უმზერდა. როგორც კი მოიცალა, მაშინვე მიხედა, გაულიმა.

— შენ რალაცა გაწუხებს, მამა! რატომ მიმალავ?

დიმიტრიმ ნანულის დახედა, ლაპარაკით არ შევაწუხო, — გაიფიქრა, სასტუმრო ოთახში გავიდა და ღია ფანჯარას მიადგა.

მზე მოაწმინდას დაჰყურებდა. ახალ ბაღში მოსწრებელი ხეების ნორჩი ფოთლები ნაირნაირად ბზინავდნენ; ხეივნების ნაპირებში ბალახი წამოზრდილიყო. სივრცეში მერცხლები დანავარდობდნენ.

ძველად, დიმიტრის ბავშვობაში, აქ ირგვლივ ტიალი მინდორი იყო, უსიცოცხლო, ზაფხულობით საცხებით გადარუჯული. დიმიტრი მშვილდ-ისრით მწყერჩიტებს დასდევდა.

აქ მახლობლად ერთი შიშველი გორაკი იყო. ბავშვებმა იქ პატარა გამოქვაბული აღმოაჩინეს, გააფართოეს.

გაასუფთავებს. იქ აფარებდნენ ხოლმე თავს...

უცბე ზურგზე ხელის შეხება იგრძნო, მერე მიღება:

— მამა!

— აჰ, შენა ხარ, შვილო!.. საიდან სად ამოყოფს კაცი თავს!

— როგორ?

— საწყალი დედაჩემი შედგა ახლა თვალწინ. ვერ მოვსწრო თქვენს გაზრდას. მოხუცებული არ იყო, ავადმყოფობამ იმსხვერპლა. მომვლელი არავინ დაურჩა. მე შორს ვიყავი...

— მისი სურათი მაინც დაგვრჩენოდა! — ინატრა მედიკომ.

— ეჰ, შვილო! მძიმე დრო იყო, მაგისი თავი ვის ჰქონდა... ახლა კი გაიხედე, როგორ გაიზარდა, როგორ გამშვენიერდა ირგვლივ ყველაფერი!.. საკვირველია, ამოდენა წინსვლის დროს აქა-იქ როგორ შემორჩნენ ძველი დროის ბოროტი სულები, გულხარბი ბატონკაცები!..

მედიკომ იფიქრა დიმიტრის იაგორ გორისელის ოჯახში ნადიმზე გაცნობილი ამბაკო ოთარაშვილი და მისი მეგობრები ჰყავს მხედველობაში, ამიტომ ჩაილაპარაკა:

— ოთხი წელიწადია თბილისში არ ვყოფილვარ, შევეჩვიე ქვეყნისათვის თავდადებულთა წრეს და ვერ წარმომედგინა, თუ, იაგორისას რომ ვნახეთ, ისეთი კიდევ მოიპოვებოდა.

— ეგ რაა, შენ ჩვენი კოტე ბადურიშვილი უნდა გაიცნო. მაშინ მიხვდები, თუ რა ავი სულები მოძვრებიან ჩვენს წრეში.

— ეგ ვინაა, მამა?

— ბადურიშვილი? ჰმ. ეგ არის, რაც არის! ჩვენი ქარხნის დირექტორია.

— ვერ გამოვიცა, ქარხნის დირექტორი რა შუაშია!

— აი, სწორედ მანდაა ძაღლის თავი დამარბული. სად ჩვენი ქარხანა და სად ბადურიშვილი!

— პირდაპირ მითხარი, რა მოხდა?

— დიდი არაფერი, შვილო!.. ქარხნიდან დამითხოვეა.

— ვინ, მამა, შენ დაგიბოხოვა?

— ჰო... მე თურმე წყალში ვმამოვარდე, ხელმძღვანელობას სახელს ვუკლები, შემეში დეზორგანიზაცია შემაქვს.

— ახლა მივხვდი. შენ თურმე ამას მოელოდი, ამიტომ იყავი შეწუხებული... მამა, მამიკო! არ იჯავრო! შენს ღვაწლს ვინ შებლაღავს? ვილაყა ის ვერაგი, თავისას მიიზღავს. შენ კი, მამიკო, მოისვენე. სადმე აგარაკზე გაგიშვებთ. მე ამ კვირაში დაგიწყებ სამსახურს საავადმყოფოში. არაფერს არ გაგიჭირებ არც შენ, არც ოჯახს. ჰო, მამა, ჰო...

დიმიტრიმ თავის ქალიშვილს თითონიკაზე შეახო, მის ფართო თვალებში ჩაიხედდა და პირველად შეიგრძნო საესეებით ამ ქალის კეთილი, ვაჟაკური გულის ძალა.

ეს წამი მისთვის იმდენად აღმაფრთოვანებელი იყო, რომ სულ გადაავიწყდა, თუ რაიმე საფრთხე მოელოდა. მედიკოს შუბლზე აკოცა, გულზე მიიხუტა და მღელვარე ხმით უთხრა:

— შენს გვერდით მე რა გამოიკრდება, ჩემო კეთილო! არა, სულით არ დავეცემი; არც დასასვენებლად მცალია. დღეს კი შეეკრთი ცოტათი. მომჩვენე, თითქოს ბრძოლას თავიდან ვიწყებმეთქი, მაგრამ ეგ რა საფიქრებელია; ჩვენი უკვე თვით ცხოვრების საფუძველი გარდაქმენით და თითო-ორილა ვიგინდარა ვერაფერს დაგვაკლებს. ხომ ასეა, ჩემო კეთილო?

— ჰო, მამა, ჰო...

თინამ ფეხის ხმაზევე იცნო, ილია რომ კიბეზე ამოდიოდა; კარი გაუღო, სახის გამომეტყველებით ანიშნა, ნუ გეშინია, ნანულის არაფერი უქირსო.

ილია მაინც სწრაფად შეიქრა ოთახში, დიმიტრისა და მედიკოს აღმაცერად გახედა, ნანულის მიაშურა, დაიხარა, სახეზე დააცქერდა.

ალარ შფოთავდა ნანული, ფერგამკრთალ სახეზე კი ემჩნეოდა, რომ მოსვენებულად არ ეძინა; წამოწითლებული ტუჩები ხანდახან აებურცებოდა, თით-

ქოს რალაცა უნდა თქვას და ვერ მოუხერხებიაო.

— სიცხე რამდენი აქვს?

— ოცდათვრამეტი და ერთი ხაზი. დამშვიდდი, გენაცვალე, საშიში აღარაფერია, პენიცილინი უებარი წამალია. მედიკო თავის დროზე უკეთებს, ერთი წამიც არ გამოეპარება.

— კარგია, კარგია... პო, დღეს ჩვენთან საოცარი ამბავი მოხდა.

— რა?

— ჩვენი დიმიტრი დირექტორმა ქარხნიდან დაითხოვა.

— რას ამბობ? რა საბაბით?

— ნულარ მკითხავ, თუ ქალი ხარ.— უთხრა ილიამ და დიმიტრისთან გავიდა, მეგობრულად დაადო მხარზე ხელი.

— გული არ გაიტეხო, ჩემო დიმიტრი! შენ უნდა გენახა, როგორ აწრიალდნენ მუშები, შენი ამბავი რომ გაიგეს. მერე როგორ ელვის სისწრაფით მოედო ყველა კუთხეს! ზოგი პირში წყალჩაგუბებულებაც ამეცკველდა. როგორ, დიმიტრის ხელი როგორ ახლესო. პარტკომში შევიარე, იქაც, ეს რა თავხედობააო, ბაღურისშვილმა ჩვენ არაფერი გკითხა, ფაქტის წინაშე დაგვაყენაო.

— კარგი მახარობელი ხარ, ილია, კარგი. ვიცი, რომ ეგრე იქნებოდა. ჩემს თავს არ ვჩივი, სიმართლის აღსადგენად გზას გამოვინახე.

— მაგას რა ლაპარაკი უნდა! დარწმუნებული ვარ, ბაღურისშვილი სწორედ ამ საქმეზე წაიტებს ფეხს. მხოლოდ ერთი კია, ზოგიერთი თათქოს დამბლადაცემულიაო, ისე შეეჩვია ხმის ამოუღებლობას. ჩვენი მდივანი, ენო ახარაშვილი მეუბნება, დიმიტრის რა უშავსო, არ ეყო, რაც იმუშავა, აწი დროა, დაისვენო.ო, შუამდგომლობას აღუძრავთ, პერსონალურ პენსიას დაუნიშნავენო. ვერ მოვითმინე და გვარიანად შემომელანძლა. მართლაც და, ნუთუ ვერ უნდა მიმხვდარიყო, რომ ეს დიმიტრი მშვიდობაძის პირადი საქმე როდია, დიდი პრინციპული საკითხია. გაგონილა? მოხულა ვილაც ბატონკაცი,

არა, სჯობს პირდაპირ ითქვას, ვილაც მანებელი და დამსახურებულად დღემოყნს ქარხნიდან აძეგებს, აქამდე მსახურისკაც როგორ გამოხდებოდა. ჯერ სადაა, კრიტიკა აწი ნახოს, გამოვიყვანთ მაგას მზის სინათლეზე..

ზარის ხმაზე თინამ კარი გააღო. ვეცა შემოვიდა და მერე დინჯად შემოაბიჯა თებრონემ, ფეხაკრფით მივიდა ავადმყოფთან, დაიხარა, ალერსიანი ხმით ჩაილაპარაკა—

— შეილო!.. მოგიკვდეს ჩემი თავი, როგორ გაცრეცია სახე!

თინასა და მედიკოს გამოკითხა, სიცხე რამდენი აქვს, თავს როგორ გრძნობს, წამალი ზომ იშოვეთო. შემდეგ წელში გაიმართა, დიმიტრისთან მივიდა, უნდოდა ბევრი რამ ეთქვა, ძალიან ბევრი, მაგრამ მიხვდა: სიტყვა ზედმეტი იყო, რადგან დიმიტრიმ პირველი შეხედვითვე აგრძნობინა, რომ მათი ოჯახი ასე ადვილად არ შეირყეოდა.

— რაო, დიმიტრი ძალიან ნაჯაფია და შესვენება მოუხდებო? — ესლა იკითხა თებრონემ, რაკი სხვა სათქმელი აღარაფერი დაურჩა.

— მაინც ეგრეა, განა ცოტა ვიშრომეთ მე და შენ? — უპასუხა დიმიტრიმ.

ამ დროს ვეცამ წამოდგა წინ ნაბიჯი, დიმიტრის მტკიცედ მიმართა:

— მამა, მე ქარხნიდან აღარ მივდივარ.

— რატომ, შეილო? განა სწავლა აღარ გეხალისება?

— სწავლა... არაფერია, შემდეგაც მოვასწრებ. ახლა შენ დაისვენე, მამა. ნულარ იჯავრებ.

— აჰ, შენ ჩემს დასვენებაზე ზრუნავ? რამ შეგაკრთო, ბიჭო? რატომ გგონია, რომ მე არაფრის უნარი არ გამაჩნია? არა, შეილო, არა! შენ ისე უნდა მოიქცე, როგორც გადაწყვეტილი გქონდა, სწავლას მაგრად უნდა მოჰკიდო ხელი.

— იცი, რა, დიმიტრი, — ჩაერია თებრონე, — ვეცა მალე სვანეთში აპირებს მოგზაურობას, ამხანაგებს მიჰყვება.

— დედა, რა დროს ეგაა! — წამოიძახა ვაჟამ.

— კარგ ამხანაგებთან მოგზაურობას რა სჯობია, მერე კიდევ სვანეთის მთებში! — მოუწონა დიმიტრიმ, — გასწი, გაშალე, შეილო ფრთები! არც მე ჩამოვრჩები. ჯერ ბადურისმელის მიერ დახლართულ ქსელს გავაღვევ, მერე კი...

მერე, შეილო, თქვენ იცით, მეს და აგერ ჩვენმა ილიამ, რუჯუჩუ შემადგენი...
ნიკოლოზი

ეს სიტყვები ეუბერხულა დიმიტრის, ამიტომ შეილს გაეხუმრა, მაგრამ ჩასკიდა მკლავში ხელი, თითქოს ღონეს უსინჯავსო.

XIV

ძველი ამხანაგი

ნავაშმევს დიმიტრი თავის პატარა ბაღში გამოვიდა, მაღალი თუთის ძირას შეჩერდა, უამრავი ნათურებით განათებულ ქალაქს გახედა; განაპირა გორებსაც ახალამოსული მთვარის შუქი მოფენოდა; მთვარე სავსე იყო და მთის გასწვრივ ძალიან ახლო მოჩანდა; სივრცეში გაზაფხულის სურნელება იგრძნობოდა; ცის ლაქვარდში ვარსკვლავები მოციმიციმე ყვავილებივით მიმოფანტულიყვნენ.

დიმიტრი გრძნობდა ამ მშვიდი ღამის საამო სინარჩარეს, მაგრამ გულში უცნაურ მოლოდინს დაებუდებინა. მეუღლე, შეილები, მეგობრები, ყველანი ამხნევებენ: მოისვენე, ჩვენ არაფერს მოგაკლებთო. ან კი რა ბევრი რამ სჭირდება დიმიტრის?

ამ ფიქრში იყო, როცა კიშკართან მანქანა შეჩერდა. ვილაცა გადმოვიდა, კარი გააღო და დიმიტრისაკენ გამოემართა.

დიმიტრი მიეგება.

— თქვენ დიმიტრი მშვიდობაქე ხართ, ხომ?

— დიახ.

— მცირე ხნით უნდა წამოხვიდეთ. გამომძიებელი გიბარებთ.

— რისა გამომძიებელია, ჩემთან რა საქმე აქვს?! — გაიკვირვა დიმიტრი.

— მაგას იქ გაიგებთ. ნულარ აყოვნებთ, წაჯდეთ.

დიმიტრის უნდოდა შინ შესულაყო, თებრონე გაეფრთხილებინა, მაგრამ უცებ გულს ჯავრი შემოაწვა, აღშფოთებამ შეიპყრო, ხელი ჩაიჭნია და მან-

ქანისაკენ გასწია, ხმის ამოუღებლად ჩაჯდა შიგ.

გზაში არავის ხმა არ დაუძრავს, არც შოფერს, არც გამომძიებლის მიერ გამოგზავნილ შუახნის კაცს.

დერეფანში მარტო დატოვეს დიმიტრი. არავითარი ბაიბური არ ისმოდა. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, სადღაც კარი გაქრიალდა.

ისეთი გრძნობით გაიმსკვალა დიმიტრი, თითქოს ამ დიდ შენობაში ყველა ისვენებს, გარეთაც, მთელ ქალაქსა და მუშათა უბნებში, ყველგან დასვენების დროა ახლა; დიმიტრიც დღეს დასასვენებლად გამოისტუმრეს ქარხნიდან, მაგრამ, როგორც ჩანს, მას დასვენება არ უწერია, უნდა იდგეს აქ და ელოდოს...

კარი ნელა გაიღო, ტანმორჩილმა კაცმა გამოიქვრიტა, დიმიტრის ახედდა-ბედა.

— თქვენ ვის ელოდებით?

— არ ვიცი. მითხრეს, დაგამაზებენო.

— დიმიტრი მშვიდობაქე ხართ?

— დიახ.

— შემოდით, რას განერებულხართ!

ეს უბრალოდ ჩაცმული კაცი თუმცა ძალიან უღიმღამოდ გამოიყურებოდა, მაგრამ დიმიტრის მისი ხმა მაინც ესიამოვნა. ნელა შევიდა ოთახში, მიმოიხედა.

— დაბრძანდით! — მიუთითა სკამზე გამომძიებელმა.

დიმიტრი დაჯდა, თმაზე ხელი გადაისვა, თანჯრიდან ნათურებით განათებულ სივრცეს გახედა.

გამომძიებელმა ქალაქლები გადაფურცლა, დიმიტრის სახეზე დააკვირდა.

დიმიტრიმ თვალი შეასწრო გამომძიებლის სახეზე აღბეჭდილ უკმაყოფილებას და გულში გაიფიქრა: ვინ იცის, რას ფიქრობს ეს კაცი ჩემზე? რამდენ დამნაშავეს გაუვლია მაგის ხელში, ალბათ, მეც ერთი იმათგანი ვგონივარ. სჯობია ახლავე გავუფანტო ბურუსი.

— რისთვის დამიბარეთ? — პირდაპირ შეეკოხა დიმიტრი.

გამომძიებელს სახე მოეღუშა, თვალი დახარა. არ უპასუხა, კითხვას შეუღდა.

— მაგ ქალაქებში რას იყურებით? განა არა სჯობს, ახლავე გააკვივოთ, თუ რა გაუგებრობაზეა აგებული ჩემი აქ გამოძახება?

გამომძიებელი ხმას არ იღებდა. კითხვას განაგრძობდა.

— საკვირველია სწორედ, — აღწია ხმას დიმიტრიმ, — მეძახიან ამ შუალამისას და იმას კი არ მეუბნებიან, თუ რა სურათი ჩემგან! შითხარით, გამაგებინეთ. ვინ შეგიყვანათ შეცდომაში?

გამომძიებელმა თავი დინჯად ასწია; მცირე ღუმლის შემდეგ უთხრა:

— თქვენ თავი ისე გიჭირავთ, თითქოს საქმეს თქვენ იძიებდეთ და არა მე. დაიკადეთ, გაიგებთ რაშიაყ არის საქმი.

გამომძიებლის ხმაში დიმიტრის მუქარა მოესმა; თვითონაც ისეთ გუნებაზე დადგა, თითქოს ხელში თოფი უჭირავს და ჩახახახი უნდა შემართოსო.

— თქვენი ნამდვილი სახელი და გვარი დიმიტრი მშვიდლობაძეა, არა?

სიერცეს თვალი მიწყვიტა დიმიტრიმ, გამომძიებელს შეაშტერდა. შეკითხვა უაზროდ მიიჩნია და პასუხი დაუღვიანა.

— გაიგონეთ, რა გკითხეთ?

— დაებრდი კაცი და ახლა მეკითხებით, ვინა ვარ?

— კითხვანე მიპასუხეთ: მშვიდობაძეა თქვენი ნამდვილი გვარი თუ არა?

— დიას, მშვიდობაძე, დიმიტრი მშვიდობაძე.

— კარგი. ეს მითხარხარა: მშვიდობაძე რომელ წელს შეხვედით?

— ეგ ხომ ცნობილია, ათას ცხრაას ჩვიდმეტ წელს.

— კარგი. მანამდის რას აკეთებდით?

— ათას ცხრაას ათი წლიდან ათას ცხრაას ჩვიდმეტი წლის რევოლუციამდე საპატიმროში ვიჯექი.

— კარგი. პატიმრობის დროს რომელ პარტიას ეკუთვნოდით?

— საპატიმროში პარტიული ორგანიზაცია არ არსებობდა. ისე კი იმთავითვე ბოლშევიკი ვიყავი.

— კარგი. ციმბირში როდის გადაგასახლეს?

— ათას ცხრაას ექვსი წლის ზაფხულში. იმავე წლის შემოდგომაზე გამოვიქცეო ციმბირიდან და ბაქოში დავიწყე მუშაობა.

— კარგი. ალექსი ნაფეტვარიძეს თუ იცნობდით?

— ვიცნობდი?.. ვიცნობდი კი არა, ეგ მე ვიყავი. მე ხომ არალეგალურად ვცხოვრობდი. პასპორტი არალეგალურმა სამხედრო ორგანიზაციამ მომიცა.

— კარგი. არსებობს ცნობა, რომ ალექსი ნაფეტვარიძე იმ წლებში, ე. ი. ათას ცხრაას შვიდს, რუსასა და ცხრა წელს მენშევიკურ ორგანიზაციაში ირიცხებოდა. ის ალექსი ნაფეტვარიძე თქვენ იყავით?

— აჰ, მივხვდი, საიდანაც მოდის ეგ ამბავი! თქვენ, ალბათ, სიგნალი კოტე ბაღურიშვილისაგან მიიღეთ.

— ბაღურიშვილს თქვენ თავი გაანებეთ. რაზედაც გეკითხებით, იმაზე მიპასუხეთ.

— კარგი... მაგრამ არა, — აღმოხდა დიმიტრის, თვალებიდან თითქოს ნაპერწკლები წამოცვივდა, — სწორედ ბაღურიშვილს უნდა შევეხო. დარწმუნებული ვარ, მისი მეოხებით ვზივარ ამ შუალამისას აქ მე; იმ ობობას მიერ არის დახლართული ეს შავი ქსელი, რომელშიაყ ჩემთან ერთად თქვენცა ხართ გახვეული...

— დაიცადეთ, ნუ ლელავთ! — შეაჩერა გამომძიებელმა, — სწორედ იმ ადგილას გაცხარდით, სადაც თქვენ ფეხი უნდა გქონდეთ წაბეზილი. მიპასუხეთ: თქვენ იყავით თუ არა ის ალექსი ნაფეტვარიძე, რომელიც ათას ცხრაას ექვსი წლიდან ათას ცხრაას ათ წლამდე ბაქოში ცხოვრობდა?

დომიტრი ჩაფიქრდა. მერე ისევ მღელვარებამ აიტანა და მოკლედ მოკრა:

— დიას, მე გახლდით.

— კარგი, ახლა გასაგებია...

— არაფერიც არაა გასაგები! — წამოიძახა დომიტრი და წამოიღგა, მიმოიხედა, ისევ დაჯდა, ნაღვლიანი ხმით განაგრძო: — ჯერ უნდა გაერკვეთ და დასკვნა მერე უნდა გამოიტანოთ.

— თქვენ სიტყვას ბანზე ნუ ავღებთ, ხომ აღიარებთ, რომ მენშევიცურ ორგანიზაციაში ირიცხებოდით?

— ვიცი, რაც გსურთ... არა, თქვენ კი არა, ბადურაშვილს სწადია, რომ მე დანაშაულში დამიჭიროს. ვითომ მენშევიცი ვიყავი და ეს პარტიას დავემალე. ამას კიდევ სხვა მოჭორილი ბრალდება მოჰყვება. ვიცი...

— საქმეც ეგაა, — ხმაწეულად შეაწყვეტინა გამომძიებელმა, — თქვენ ეს იცით და ამიტომ დაკარგეთ სიმშვიდე, ამიტომ გაცხარდით. თქვენ თავს თქვენ თვითონ ამტკიცებთ. ჩანს, აქ სხვა რამეც იმალება. განა ერთს ან ორს ავხადებთ ნილაბი?

დომიტრიმ ახლა მართლა დაჰკარგა წონასწორობა; ზეზე წამოიჭრა. ყველაფერს აიტანს დომიტრი, ყოველგვარ დამცირებას გაუძლებს, მხოლოდ ეგ სიტყვა — ნილაბი — მეტისმეტია. ვინ, დომიტრი ატარებს ნილაბს?! ნილაბს ატარებო! რას ჰგავს ეს? ნუთუ ისე დაბნეულა ირგვლივ ყველაფერი, რომ დომიტრის ანთებული სული ვეღარ ანათებს?..

— რამ გაგამბავთ? — მოესმა დომიტრის გამომძიებლის ხმა. — დაჯექით! მიპასუხეთ!

დომიტრი გამომძიებლის მაგიდასთან შეჩერდა. მრისხანედ ახედდა მუცელს.

— არაფერსაც არს წამოიჭრებო! — ქვედა ტუჩზე კბილი დააკირა. უცებ აზრი გაეხსნა, თვალები მოქუტა, გამომძიებელს დაატყუარდა: — მოიკათ, ერთი ეს გამაგებინეთ: ამ საქმის გამო თქვენ რატომ დამიბარებთ? ეს ხომ პარტორგანიზაციას ეხება, ეს ხომ რაიკომმა უნდა გაარკვიოს?

— დაიცადეთ! — მიმართა გამომძიებელმა, — ეგ ჩვენც კარგად ვიცით, ეგ მხოლოდ შესავალია. ალბათ, არის სხვა უფრო მნიშვნელოვანი გარემოება. ჯერ დაიცადეთ, ნუ ჩქარობთ.

ახლა უფრო მეტად შეიპყრო დომიტრი აღშფოთებამ, გონებაგაუანტულად გადადგა ნაბიჯი, კედელს კინალამ მიაწყდა, მობრუნდა და შეუპოვრად თქვა:

— კმარა! საერთოდ არა მსურს მე თქვენთან ლაპარაკი. როგორც გენებოთ, ისე მოიქეცით.

გამომძიებელსაც შეეპარა მღელვარება. თავი ასწია, მწყურალად შეაშტერდა; უნდოდა მეტად მწარე რამ ეთქვა, მაგრამ დომიტრის წრფელი აღშფოთება შენიშნა და თვალი დახარა. ერთხანს მდუმარედ იჯდა, მერე სწრაფად წამოიღგა, ქალაღებში აიღო და ჩქარი ნაბიჯით ოთახიდან გავიდა.

დომიტრი სახტად დარჩა. მიხურულ კარს თვალი მოწყვიტა და ირგვლივ მიმოიხედა.

„სადა ვარ? რა მომდის?“ ჰკითხა თავისთავს. პასუხი ვერ იპოვა. მუხლებში სისუსტე იგრძნო, დაჯდა, თავი ხელზე დააყრდნო. უჩვეულო ფიქრი დაეხდა: „რა პატარა, რა უმღური რამ ვყოფილვარ! თავი ახალი ქვეყნის მშენებლად მომჭონდა, მწვერვალზე ავდიოდო, ასე მეგონა. გამოჩნდა ერთი გულხარბი ბატონკაცი, საქმე ისე გაჩაჩხა, რომ პირისპირ დაგვაყენა ახლის მშენებელიცა და მისი მცველიც“.

„ახ, არა, ეს შეუძლებელია!“ — შეუტია თავისთავს დომიტრიმ და ზეზე წამოვარდა.

„რა არის შეუძლებელი?“ — შეეკითხა მერე თავისთავს: — „მტერი ჩვენ ზოგჯერ საკუთარ ოჯახში გვიზის, გვერდით მიგვეყვება. გგონია, თანამებრძოლია, გაიხედავ და, დროს რომ გიშოვის, ხელს გკრავს და უფსკრულში გადაგაგდებს“...

გამომძიებელმა კარი გააღო, დიმიტრის ანიშნა, მომყევით.

მოზრდილ ოთახში შევიდნენ. დიმიტრის პირველად თვალში კედელზე დაკიდებული ფართო პორტრეტი მოხვდა, მეგობრობის შუქით განათებული პორტრეტი: ხელგადახვეული სტალინი და ევროპილოვი ერთმანეთს მშურად უღიზიან.

წინათაც უნახავს დიმიტრის ეს პორტრეტი, მაგრამ ახლა თითქოს მხრებში ამოუდგნენ ისინი და იმედია-ნი ხმით უთხრეს:

— რამ შეგაკრთო? განა ჩვენ შენთან არა ვართ?

მაგიდასთან ქალარა კაცი იჯდა, პირფართო, დაღვრემილი. თავი არ აუწევია, საქმეს ეცნობოდა.

ანახლად მან ირიბად ახედა დიმიტრის, დაჯექითო, ჩაილაპარაკა და კითხვა განაგრძო.

დიმიტრი სკამზე დაეშვა, ისევ იმ დიმიტიან პორტრეტს მიატყურდა. თანაც მის მახლობლად მჯდარ ქალარა კაცზე ფიქრობდა. პირველად მოეჩვენა, თითქოს სადღაც ენახოს იგი, მაგრამ ამ გაელეუბას უმალვე თვალი აარიდა და:

„ამასაც ულიმლაშო გამომეტყველებო აქვს,— განაგრძო თავისი საფიქრალი,— მერე რა? განა გაემტყუნება? რამდენ დამნაშავესთან, რამდენ მტერთან ჰქონია მას საქმე; შენც ერთი იმათგანი ჰგონიხარ...“

ქალარამ ქალაღი განზე გასწია, ღრმად ჩამჯდარი თვალები ერთ წერტილს მიაპყრო, ეტყობოდა, რაღაცას იგონებდა. მერე ქალაღი ისევ მიიახლოვა; ორი თითით მაღალ შებლზე, სქელ წარბებს შუა ჩაკეცილ ღარს სრესა დაუწყო. უცებ წელში გაიმართა, სკამს მიაწვა და დიმიტრის გაკვირვებით შეამტერდა.

— კაცო, ალექსი ხარ შენ, ნაფეტვარიძე?

ოდესღაც გაუგონიბი მტრისა ეს დაბალი, თითქოს პირდაპირ გულიდან მომდინარე ხმა, ჩაღრმავებული თვალეზის ნაპერწკლიანი მზერაც აგონდება, მაგრამ სად? როდის? ნაოქებიათი სახე და მოკლედ შეკრეპილი ქალარა უღვაშები, შემეჩხრებული თეთრი თმა და ხანდაზმულობით გახუნებული ეს იერი სავსებით უცხოა. ამიტომ, ცოტა არ იყოს, გაოგნებულად უპასუხა:

— არა, დიმიტრი მშვიდობაძე გახლავართ. მაგ გვარს კი, ნაფეტვარიძეს, ოდესღაც ვატარებდი.

— მოიცა, შენ „ოლეუმის“ მექანიკურ სახელოსნოში არ მუშაობდი?

— დიახ... ახ, ლადო, ლადო ფერაძე! — წამოიძახა დიმიტრემ და წამოიქრა, სახე გაუნათდა, — ხედავ, სად შევხვდით, ბიჭო, ერთმანეთს?!

ლადო ადგა და დიმიტრის ძმურად ხელი გაუწოდა.

— რამდენი ხანია აღარ მინახიხარ! — ჩაილაპარაკა ლადომ.

— იანგარიშე, ოცდაჩვიდმეტი წელიწადია. ვიცოდი, რევოლუციის პირველ წლებში რუსეთში იყავი, მაგრამ შემდეგ შენი აღარათფერი გამიგია.

— ჩემისთანა მუშაკს ცხოვრების ტალღა საიდან სად არ გადაისვრის. ახლა აქა ვარ. სხვა, ოჯახი?

— გმადლობ, ძმაო! ერთი ვაჟი, უფროსი, სამამულო ომში დამეღუპა. სამი შინა მყავს. შენა?

— ნულარ მკითხავ. ოჯახს გვიან მოვეკიდე. ერთი ბავშვი მეზრდებოდა. ომის დაწყებამდე საზღვრის მახლობლად ვმუშაობდი. ცოლ-შვილიც იქ მყავდა. გამოყვანა აღარ მოხერხდა, დამბოზებეს...

ფართო სახეზე მიწისფერი დაედო ლადოს, დაჯდა, პაპიროსი აიღო, მოუკიდა, შემდეგ ხელი ქაოლდებს შეახო.

— რამდენი უბედურება მოგვიტანეს იმ ველურებმა! — ესლა ჩაილაპარაკა ძველი მეგობრისადმი თანაგრძნობით გამსჭვალულმა დიმიტრემ.

— ჰო, ეგრეთა... რა გაეწყობა, — თქვა ლადომ, მწუხარება გულში გადამალა, სახე მოიმხიარულა. — გახსოვს, ალექსი... უკაცრავად, დიმიტრი, რა ამბებში ვიყავით ბიბიეიბათის რაიონში?

— ახლა გამიკვირდება ხოლმე: მარტინოვი თავისი ჯამუშებით ალყას გვარტყამდა, ამხანაგებს ზედიზედ გეტაცებდა, ჩვენ კი, ვითომ აქ არაფერიყო, ახალი იერიშისათვის ვემზადებოდით. რა ძალა გვამოქმედებდა, რა რწმენა!

— ჰო, ახლა მომაგონდა, ჩვენი ივლიანე ჩუბინიძე, სადაა თუ იცი?

— აქ არის. ათას დავიდარაბაში გამოიარა. გვიან დაცოლშვილდა. ახლა არა უშავს რა, მშვენიერი ოჯახი აქვს, ერთიფეორეზე უკეთესი ქალ-ვაჟი ეზრდება.

— კარგი, კარგი. — ჩაილაპარაკა ლადომ და გამომძიებელს მიხედა: — ჰო, ჩამაფიქრებელი შემთხვევაა. მე ხომ ვიცი, ვინ იყო ალექსი ნაფეტვარიძე ბაქოში, რას აკეთებდა, ვისთან მუშაობდა. ახლა, — მიმართა გამომძიებელს, — გამოსარკვევი ისაა, რა კაცია ეს კოტე ბადურიშვილი? რისთვის დასკირდა ასეთი ცილისწამება? ზედმეტი არ იქნება, თუ მაგას ფხიზლად შევათვალისწინებთ ასე! ამაზე ჩვენ ცალკე მოვილაპარაკოთ.

გამომძიებელი რომ გავიდა, ძველმა მეგობრებმა კვლავ ბევრი რამ მოიგონეს, კარგა ხანს ისაუბრეს. ბოლოს ლადომ

დომ კარებამდის მიაცილა დიმიტრი და ხელი მაგრად ჩამოართვა.

დიმიტრიმ შუა ქუჩიდან ცას აბნედა. ვარსკვლავები შემეჩხრებულიყვნენ. განთიადი მოახლოებული იყო. ახლა არც ტრამვაი არის, არც ტროლეიბუსი. მცირე ხანს უნდა დაუცადოს.

მაღალი, სახლის შესასვლელთან შეჩერდა. სიღრმეში, კართან ჩაჯდა, ხელები მუხლებზე დაიფყო, ზედ შუბლი დაადო და მალე ძილი მოერია.

მეექვსევი გააღვიძა. თავი ნელა აიღო/ჯერ ტელეგრაფის მავთულებს მოჰკრა თვალი, მერე მტრედისფრად განათებულ ცას.

ნელა წამოდგა, მკლავები გამართა. პროსპექტზე რომ ჩავიდა, ნორჩფოთლებიანი ქაღრების ტოტებზე უამრავი ბედურები ერიაამულობდნენ, გუნდ-გუნდად აიჭრებოდნენ მაღლა და სხვადასხვა მიმართულებით მიჰქროდნენ.

აგერ, შუა ქუჩაში, ერთ გუნდს საიდანლაც ქორმა ჩამოუქროლა, გუნდი შუა გაჰყვითა, ვერც ერთი ვერ დაიჭირა, დიდი შენობის გუმბათის წვეროზე შემოჯდა. მცირე ხნის შემდეგ ისევ დაეშვა, ჭადრის შტოებში შეიჭრა; ჩიტები დააფრთხო, ერთი კლანჭებში მოიგდო და ზეაიწია, ცის სიღრმეში მიიშალა.

დიმიტრიმ ქორს თვალი გააყურა და გუნებაში თქვა: „ხედავ, ამ მშვიდობიან ქუჩაშიაც შემოიჭრა ეს ონაგარი!“

XV

ბუნაგში შემწყვდელი

კოტე ბადურიშვილის ბინის კარი ზარის ხმაზე მოსამსახურე ქალმა გააღო. საღამო იყო, ამ დროს მოდიოდნენ ხოლმე ამ ოჯახის ხშირი სტუმრები, მაგრამ ეს მაღალი, კაფანდარა კაცი არც ერთს არა ჰგავდა; ტანზედაც სხვანაირად ეცვა: შავ შარვალზე ნაცრისფერი პიჯაკი; მაღალსაყლოიანი ლურჯი ხალათის საკინძე მარცხენა მხარეს ჰქონდა აბნეული; თავზე ფართოფარფლიანი შავი ქუდი ეხურა.

— კოტე ბადურიშვილი შინ არის? — შინაურულად ჰკითხა მოსამსახურე ქალს.

— შინ გახლავთ. თქვენ...

უცნობმა მოსამსახურეს სიტყვის თქმა აღარ აცალა, გრძლად შეაბოჯა ფეხი შუშბანდში, მიმოიხედა, მოსამსახურეს მიუბრუნდა და დიდი ხნის ნაცნობივით ჰკითხა:

— რომელ ოთახშია?

— მითმინეთ, მოვახსენებ...

— არაა საჭირო. აგერ კარი ღიაა, იქ არის?

— დიახ,— თქვა სახტად დარჩენილმა მოსამსახურემ და უცნაურ სტუმარს თვალი გააყოლა.

კოტე სავარძლისებურ ტახტზე იყო მიწოლილი, გაზეთს ათვლიერებდა. კარს რომ მალალი კაცი მიადგა, გაზეთი განზე გასწია და თვალუბლად გახედა; ბაღრ სახეზე ჩრდილი დაეფინა, ოდნავ წამოიმართა.

— თქვენ... — წამოიწყო კოტემ, მაგრამ უცნობმა არ დააცალა.

— დიახ, თქვენთან გახლავარ.— უბოდიშოდ თქვა, მდიდრულად მორთულ ოთახში აუჩქარებლად შეეღადა; სავარძელი გამოსწია და დაჯდა,— თქვენ, ალბათ, ფიქრობთ, ვინ არის ეს დაუპატივებელი სტუმარიო. ახლავე მოგახსენებთ.

— ბრძანეთ! — ახლა უკვე დინჯად თქვა კოტემ და წელში გასწორდა, პაპიროსი აიღო, მოუყიდა.

— მე ერთი საქმის გამო შემოვიარე, მაგრამ ჯერ...

უცნობი ჩაფიქრდა. ეტყობოდა, სიტყვას ეძებდა, თუ საიდან დაეწყო.

ბაღურშივილს ახლა ყველაზე მეტად ამ კაფანდარა კაცის ვინაობა აინტერესებდა, ამიტომ ჰკითხა:

— ბოდიში, თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მე... უბრალო საბჭოთა მოქალაქე გახლავართ. პო... მინდოდა გამეგო: თქვენ, მგონი, დიმიტრი მშვიდლობაძის წარსული გაინტერესებთ?

კოტემ ყურები ცქვიტა. ვინ იყო ეს უცნაური კაცი? იჭენება გამომძიებელმა გამოგზავნა. ალბათ, იქ მუშაობს... თუმცა არა ჰგავს...

— თქვენ საიდან იცით? — მიმართა უცნობს, — რომ ეგ ამბავი მაინტერესებს?

— ერთმა კაცმა მითხრა. არ არის ახლა საჭირო მისი დასახელება.

— პო... მითხარით, გეთაყვა, თქვენ უცნობთ დიმიტრი მშვიდლობაძეს?

— ოო, დიდი ხანია.

— მაინც? ხომ არ იცით, ბაქოში ვის გვარზე ცხოვრობდა? ^{მარტინეშვილი}

— როგორ არა. ალექსი ნაფეტვარიძის პასპორტი ჰქონდა. ხშირად ვხვდებოდი.

— ჩინებულთა! ახლა ეს მიბრძანეთ, ვის წრეში ტრიალებდა? მენშევიკურ ორგანიზაციაში ხომ ირიცხებოდა?

— ეგ ადვილი დასადგენია, მაგისტვის დიდი ჩხრეკა საჭირო არაა.

— რას ამბობთ! რა კარგი მახარობელი ხართ; — აღმოხდა ბაღურშივილს სახე გაუნათდა; პაპიროსის ნაწიწავი საფერფლეზე დააგდო. ადგა, გაიარ-გამოიარა, თავმოწონედ ჩაილაპარაკა: — მე ალღო არ მიმტყუნებს. ვგრძნობდი, რომ რაღაც მაგვევარი იყო. არა, მაინც როგორ გამომწვევად ექირა თავი! მეო ესა და ეს ვარო, თქვენ ვინა ხართო, რაც რამ გაკეთდა, ჩვენ გაკაცეთეთო. პირდაპირ სული ამოიღო. მერე არ იტყვით, ქარხანაში რა ამბავი დაატრიალა? გაუგონია კრიტიკაო, იმას კი ვერ ხვდებო, რომ ხელმძღვანელობის დამცირება, ავტორიტეტის გაქარწყლება ყოვლად დაუშვებელია. მოგეცათ ლხენა, მეც კარგად დავუხვდი, სამუშაოდან მოვხსენი. იწრიალოს ახლა რამდენიც უნდა. ნახოს, რას ნიშნავს ხალხის თვალში ხელმძღვანელის სახელის გატეხა. მთავარი ახლა ეგ არის, რაც თქვენ თქვით, ადვილი დასადგენიაო,— მაგას დაწვრილებით გამოიკვლევენ, სადაც ჯერ არს...

უცნობი ნიდაყვებით სავარძლის დასაყრდენს დააწვა, წელში აიწია, ძვალტყავა სახეზე დამცინავმა ღიმილმა გაუელვა.

კოტემ თვალი შეასწრო ამ ღიმილს და შეჩერდა, მიხვდა, რომ შეტოპა, სრულიად უცნობ კაცთან გულისწადილი ნაჩქარევად გამოამქლავნა. კუ რომ ჯავშანში შესამალავად თავს შეარხევს, ისე დაიხარა, სავარძელში ჩაჯდა, ხელმარჯვნივ თავის სამუშაო მაგიდას დახედა, ტელეფონის აპარატს მიატყურდა, თავის თავს შემოუძახა და უცნობს ცივად ჰკითხა:

— თქვენ მაინც არ გითქვამთ: ვინა ბრძანდებით?

— ვინა?.. კაცი ვარ, ადამიანი. ნუ აჩქარდებით, მაგასაც გაიგებთ. ჯერ კი უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენ დააჩქარეთ დასკვნის გამოტანა. მე სრულიად არ მითქვამს, რომ დიმიტრი მშვიდობაძეს რაიმე დანაშაული მიუძღვის...

— საკვირველია, — შეაწყვეტინა კოტემ, — განა თქვენ არა თქვით, ადელი დასადგენიაო...

— მოითმინეთ, ჯერ ერთი რამ გავარკვიოთ: აი, თქვენ სულითა და გულით გინდათ, გადაჩხრიკოთ დიმიტრი მშვიდობაძის წარსული, იპოვოთ იქ ისეთი რამ, რაც მას სახელს გაუტეხს; უფრო მეტი, თქვენ გინდათ უკვე ხანდაზმულ ადამიანს წყალში ჩაუყაროთ ყველაფერი, რაც თავისი სიცოცხლის მანძილზე გაუკეთებია; ესეც ცოტაა, თქვენ გინდათ სამარესთან მიახლოვებულ კაცს უკან მიახედოთ და მთელი განვლილი გზა ჯოჯოხეთად მოაჩვენოთ. რატომ? რისთვის? რა გამოქმედებთ?

კოტემ რამდენჯერმე დაალო პირი დასადაპარაკებლად, მაგრამ ენა თითქოს გაუშეშდა. გული მოუვიდა, გაცხარდა, სახე წამოუქარხლდა, წილში გაიმართა და, როგორც იყო, ხმა დასძრა:

— რას ჰგავს ეს? თქვენ გაიწყდებათ, სად იმყოფებით! ვინა გგონივართ? უცნობმა კვლავ დამცინავად ჩაიღიმა ტალარა უღვაშებში. ოთახში მიმოიხედა, კარადის მახლობლად, მაგიდის გასწვრივ, ლამაზი კაბუჯის სურათი დაინახა, თვალი ზედ შერჩა.

ბადურიშვილმაც უნებლიეთ იქით გაიხედა და თავისი სურათი დაინახა, მამის სიცოცხლეში გადაღებული სურათი. შეცბა. პირზე სათქმელად მომდგარი სიტყვები ჩაყლაპა, უცნობს ირიბად დააკვირდა.

— ეს ყმაწვილი სადღაც მინახავს, — თქვა უცნობმა და კოტეს თვალი გაუსწორა, — მგონი, თქვენი სურათი უნდა იყოს, ძალიან არ შეცვლილხართ.

კოტე თაიბნა, უცნაურმა ექვმა გაჰკრა გულში ბრწყალი.

„არა, იმავე აქ რა უნდა? ის ცოცხალი ვერ გადაჩხრიკებოდა. სულს ვეღარ იტყვამდა“. — გაიფიქრა, მგზავნი მშვიდობაძის მაინც აიტანა.

— ჰო, იმაზე ვლაპარაკობდით: — განაგრძო უცნობმა, — თქვენ გადაწყვეტილი გაქვთ დიმიტრი მშვიდობაძეს ძირი გამოუთხაროთ, მაგრამ ნუთუ არასოდეს არ ჩაფიქრებულხართ თქვენს წარსულზე? იქნება მშვიდობაძე ცამდის მართალია, თქვენ კი...

— რასა ჰგავს ეს? — დაიყვირა გაფითრებულმა ბადურიშვილმა, — ყველაფერს საზღვარი აქვს! კმარა!..

— არა, სრულიადაც არა კმარა! — მკაცრად შეუტია უცნობმა, — სხვის თვალში ბეწვს დაეძებთ, თქვენსაში კი დირეს ვერ ამჩნევთ! აღარ გახსოვთ, ვისი ბუნაგიდან მოდიხართ, ვისი შვილი ხართ?

— ეგ რა შუაშია! მამაჩემი ძველი კაცი იყო. მართალია, პოლიციაში მსახურობდა, მაგრამ ყველამ იცის მისი ლიბერალობა, ისიც, როგორ ეხმარებოდა რევოლუციონერებს.

— აი, მთავარი ეგაა! ახლა გაეზიოთ, ვერსად წამიხვალთ! ვინ, მამათქვენი, თეიმურაზ ბადურიშვილი ეხმარებოდა რევოლუციონერებს? მამ კარგი, მე თქვენ მოგაგონებთ ერთ სიყენას. იქნებ დაგავიწყდათ? არაფერია, ვაგახსენდებათ. განა არ გაგონდებათ, ფასანაურში მამათქვენთან რომ პარტიმარი მიიყვანეს? თქვენ, ალბათ, იფიქრეთ, იმდენი წამების შემდეგ საპარტიმაროში ჩაკვდებოდით? არა, პარტიმარი მთიელებმა გადაარჩინეს, ახლა ცოცხალია. ის პარტიმარი მე ვარ — ივლიანე ჩუბინიძე. თქვენ გინდოდათ, ვაგეგოთ ჩემი ვინაობა, — აი, სწორედ ის ივლიანე ჩუბინიძე გახლავართ. მე სიკვდილს ვებრძოდი, უკანასკნელ დღეში ვიყავი, ის კი, ის ჯალათი, თეიმურაზ ბადურიშვილი მათრახს შირტყამდა, მაწამებდა. თქვენ კი ამბობთ, ლიბერალი იყო, რევოლუციონერებს ეხმარებოდით. გეკითხებით: სად არის პარტიმარება? სად არის სინიღისი? შეგიძლიათ სხვები მო-

ატყუოთ, მე კი... საკუთარ ზურგზე გამოცადე მისი სისხლიანი ხელი...

პირდაღებული მისჩერებოდა გაფითრებული კოტე ბადურიშვილი ივლიანე ჩუბინიძეს, მისჩერებოდა და თვალწინ ედგა მესხიერებაში ცოცხლად ჩარჩენილი სურათი:

ვიწრო ოთახში მხოლოდ ერთი პატარა მაგიდა, ორიოდ სკამი...

აგერ ახლაც უსმენს ივლიანეს ზარდაცემული კოტე ბადურიშვილი, უსმენს და ჰგონია, თითქოს სისხლჩამდგარი თვალუბით ეკითხებოდნენ: შენ იქ იყავი და რატომ არაფერი თქვიო.

ივლიანე დადუმდა. ახალგაზრდა ბადურიშვილის პორტრეტს მიაცქერდა.

— თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ მამის ცოდვებისათვის შეილა პასუხს არ აგებს.— როგორც იქნა, დასძრა ხმა კოტე ბადურიშვილმა.

ივლიანემ პორტრეტს თვალი მოსწყვიტა, კოტეს ახედ-დახედა.

— ეგ მართალია, შეილა მამის ცოდვებისათვის პასუხისმგებელი არაა, ეგ სრული სიმართლეა. მაგრამ აი მე ახლა ცოცხლად მიდგას თვალწინ ის საზიზღარი სცენა, ვხედავ ცოფმორეულ თეიმურაზ ბადურიშვილს, ჩემ თავსაც ვხედავ, სიცოცხლე რომ ბეწვზე ეკიდა, ყველაფერს ვხედავ და არაფერი არ მაკვირვებს; ბრძოლაა, ორი მოპირდაპირე ქვეყნის ჭიდილია; მე მხოლოდ ის მიკვირდა და ახლაც მიკვირს: აი თქვენ, თითქმის უკვე ქაბუჯობაში შესული კაცი, იღვქით იქ და ხმა არ ამოიღეთ, ხელებში არ ეციოთ თეიმურაზ ბადურიშვილს, რომელიც დაპირილ, შებოპილ ადამიანს აწამებდა.

— მე რა შემეძლო, ბავშვი ვიყავი!— წამოიძახა კოტემ.

— ბავშვიო, — შეესიტყვა ივლიანე, — თქვენსმეტი წლის ყმაწვილი განა ბავშვია?! თქვენ ხომ მოწადინებული ხართ, მიწასთან გაასწოროთ დიმიტრი მშვიდობაძე, პოდა, ეს დიმიტრი სწორედ თქვენსმეტი წლის იყო, როცა მუშების შეიარაღებულ რაზმს მხარში ედგა, თავგანწირულად იბრძოდა...

მონადირის მიერ ბუნაგში შემწყვდელი მხეცივით აწრიალდა კოტე ბადურიშვილი; ბუნაგი კვამლით იცხება, სული ეხუთება, რამენაირად აქედან უნდა გაძვრეს, მაგრამ როგორ? იცის, რომ გასასვლელთან თოფიანი კაცი დგას და ცოცხალს არ გაუშვებს. არც დარჩენა შეიძლება, კვამლი მატულობს, სუნთქვა აღარ ევლიძს. ო, როგორ სძულს ახლა კოტეს ეს კაფანდარა ბერიკაცი, ეს აბედივით გამომშრალი ასკეტი! რატომ არ შემოაკვდა მამის თეიმურაზს ეგ ყაჩაღი? ან, რომ შეეღოს ბადურიშვილს, ხელში მოიგდოს ესეც და ამის მეგობარი დიმიტრი მშვიდობაძეც. განა თეიმურაზივით მათრახით დაუწყებდა ცემას? არა, მიწასთან გაასწორებდა, და ბადების დღეს აწყველინებდა. მაგრამ რა ჰქნას ახლა კოტემ, როცა გამოსავალს ვერა ხედავს, ჩიხში მოემწყვდეს...

ამ დროს კარებში კოტეს მეუღლე — ლოლა შეჩერდა; ჯერ უცნობს დააკვირდა, შემდეგ თავისი ქმარი შეათვლიერა და მყისვე მიხვდა, რომ აქ რაღაც ცუდი ამბავი იყო. არ დაზნა, დიმილი მოიშველია, უკან დაიხია და საქმიანად თქვა:

— კოტე, ერთ წამს მნახე!

ბადურიშვილმა თითქოს ჯურღმულიდან ამოიხედა, სული მოითქვა, გაახსენდა თავისი დიდი მფარველი, ლოლას ახლო ნათესავი, გავლენიანი კაცი. ამან გაამხნევა, სიღარბაისლე დაუბრუნა და ივლიანეს ისე მიმართა, თითქოს მათი ეს შეხვედრა ჩვეულებრივი დარბაზობა ყოფილიყო:

— ბოდიში, ახლავე გეაქლებით.

ლოლა კედელს მიეფარა, კოტეს ჩუმად ჰკითხა:

— ვინ არის?

— ეგ... მერე გეტყვი.

— მაინც რა მინდაო?

— მაკალე. მალე გავისტუმრებ. მოგიყვები.

— სტუმარია, ამბაკო ოთარაშვილი.

— შეიქციე, აქ არ შემოვიდეს.

მარტოდ დარჩენილმა ივლიანემ ფართო ოთახში თვალი მიმოატარა. ცხოვ-

რების ისეთი გზა ჰქონდა გამოვლილი, რომ ანგარებიანი ნატერა, ბრმა შური მის გულს აღარ ეკარებოდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ფეხი სიბერეში შედგა, კიდევ უფრო გაუძლიერდა წადილი, თავისი თვალით ენახა ყოველივე იმის განხორციელება, რისთვისაც სიყვარულს იბრძოდა, უნდოდა ახალ თაობას, მოზარდ ბავშვებს, მათთან ერთად მის ქალ-ვაჟსაც, განვლილი სისხლიანი ომის შემდეგ წინ სავლელ გზაზე ია და ვარდი მოჰყენოდათ, რომ მომავლის სხივით ანთებული გულით ნათქვამი სიტყვა საქმედ ქცეულიყო.

აგერ ახლაც, ათვალისწინებს ამ საუცხოოდ მორთულ დარბაზს, ამ ძვირფას ავეჯს, თავისი ორი პატარა ოთახიკ აგონდება, მაგრამ არ შურს ეს სიმდიდრე, არც სათაკილოდ მიაჩნია, თუ იგი პატიოსანი შრომითაა მოპოვებული, თუ შიგ ხალხისაგან წანაგლეჯი არ ურევია. იცხოვროს, იბედნიეროს, ჩვესც ხომ ამისათვის ვიბრძოდით...

ამ გაფიქრებამ გაუფანტა ივლიანეს მწარე მოგონებით აშლილი ბურუსი, სხვა თვალით შეხედა სავარძელთან მისულ ბაღურისშვილს, რომელმაც ჩუბინიძის ჰქონდაშეპარულ სახეში გულ-შემატკივრობით გამოწვეული დაღვრემილობის მსგავსი რამ ამოიკითხა.

— ჩვენ ერთში უკვე შევთანხმდით, — საქმიანი კაცს კილოზე დაიწყო ბაღურისშვილმა და სავარძელში ჩაჯდა, — შევთანხმდით იმაში, რომ შეილი მამის ცოდვებისათვის პასუხს არ აგებს. რაც შეეხება თქვენს შვილს, წლის ყმაწვილის

საქციელს, ეს უკვე ძნელი გამოსარკვევია ვინ იცის, ვის როგორ მოეჩვენა, მეტადრე თქვენს მდგომარეობაში მყოფ ადამიანს.

— გეთანხმებით, — დაემოწმა ჩუბინიძე, — მეტსაც ვიტყვი: არის ხოლმე შემთხვევა, როდესაც მშობლებს ორი შეილი ჰყავთ; ამათგან ერთი სათნოებითაა სავსე, მეორე კი ქვეყნის დამაქცევარია.

— მართალს ბრძანებთ. გეტყობათ, ცხოვრებაში ძალიან ჩახედული ბრძანდებით... ჰოდა, ჩემგან რაღას მოითხოვთ?

— თქვენგან? — ჩაფიქრდა ივლიანე. — თქვენგან მე ბევრს არაფერს მოვიტხოვ. ბრძოლა გრძელდება. ცხოვრება გვიჩვენებს, სად რა სახე ამოტივტივდება. ერთი კი ცხადია, ვერავითარი სიმახინჯე ჩვენს წინსვლას ველარ დააბრკოლებს; ჩვენ ისეთი ტალღა დავძარით წინ, რომ იგი ყველა მედიდურს, ყველა მავნეს სიღრმეში ჩაითრევს, თავის წიაღში გათქვეფს. ჰოდა, თქვენგან რა უნდა მოვიტხოვო. თქვენ თვითონ უნდა დაასკვნათ.

— მე?.. რა, მაგალითად? — მოუთმენლად იკითხა კოტემა.

— ჩაუფიქრდით... — სიტყვა აღარ გააგრძელა ჩუბინიძემ. მძიმედ წამოლგა.

— მაშ, შევთანხმდით. — თქვა დამხედურმაც და წამოიმართა, ივლიანეს ხელი გაუწოდა.

ჩუბინიძეს კოტეს მიერ გაწვდილი ხელი არ დაუნახავს, ქუდი აიღო, დაიხურა და კარისაკენ გასწია.

XVI

მორჩაი ბაჰჩინსი

ლოლამ ჩაფიქრებულ ქმარს თავზე ხელი შეახო.

— ვინ იყო? რა მინდაო?

— ნულარ მკითხავ, თუ გიყვარდე! საძაგელ გუნებაზე დამაყენა.

— მაინც რაო?

— მამაჩემის ცოდვები გადმომიშალა.

— მაგას ვინ კითხავს, რა მოხელეა?

— კაცმა არ იცის მაგისი თავი და ტანი. ვილაცა ფანატრიკოსია. ამას წინათ ერთი ინტრიგანი სამსახურიდან მოეხსენი, იმისი ამხანაგია... არა, ახლა ის-ღა დამრჩენია, — გაანჩხლდა კოტე, — გამოჩერჩეტებულ ბერიკაცს ბოღში ვუხადო! ამასაც მოვესწარი!

— დამწვიდდი, გენაცვალე! ამ ბოლოს შენ ძალიან მოეშვი, შრშმა შეგიპყრო. რა მოხდა? შე აქ არა ვარ!

კოტემ ლოლას ახედა, მისმა იმედოვნმა ხმამ გული დაუბამა; გაუღიმა, მკლავზე აკოცა.

— წელან მოვახერხე და ტელეფონით ველაპარაკე ჩვენს მფარველს. დრო დამინიშნა, შემოიარეო. ვეტყვი, ქარხნიდან უფრო მშვიდობიან ადგილზე გადაგიყვანოს. დამიჯერე, არაა შენი შესაფერი ეგ საზიზღარი ქარხანა.

— შენ იცი...

— ჰო, მართლა! — გაახსენდა ლოლას, — ამბაკო ოთარაშვილი გელოდებოდა. რაღაც საქირო საქმე აქვს.

— წელან აკი მითხარი, სულ გადამაფიწყდა. — თქვა კოტემ და წამოდგა.

ამბაკო მეორე, უფრო კოხტად მოწყობილ ოთახში იჯდა. წინ უბის წიგნაკი ედო და ციფრებს თვალს ავლებდა. აი, მან წიგნაკში რაღაცა ჩასწერა, თავი ასწია და ჰრუტა თვალებით სივრცეს მიაცქერდა; ვენერგიულ სახეზე აშკარად დაეტყო, რომ ნაღვლიანმა ფიქრმა მოიცივა ეს თმაშეჭირბული, ტანმკვრივი, ჩაგოდრებული კაცი.

— აა, ჩემს ამბაკოს დღეგრძელობა! — მიესალმა კოტე თავის ძველ მეგობარს და ხელი დარდიმანდულად დაჰკრა ხელზე, — რასა იქ, რამ ჩაგაფიქრა?

— ჩასაფიქრებელს რა გამოლევს, შენ სასიხარულო მითხარი, თუ რამე იცი.

— სასიხარულო?.. იცი რა, მოდი სასადილო ოთახში გავიდეთ. მალე ჩვენებიც მოვლენ, მანამდე კი თითო ჰიქით პირი გავისველოთ, თავი შევიქციოთ. შენ რომ გიყვარს, ისეთი ღვინო ჩამომიტანეს კახეთიდან, ნამდვილი გუნაშაურია.

— მოიცა, ჯერ ერთ საქმეზე უნდა მოგელაპარაკო.

— რა საქმეა?

— დაჯექი, ყური დამიგდე.

— საძაგელი საღამოა. გატყობ, რა-

ღაცა საწყენი უნდა შითხრა. — თქვა კოტემ და ამბაკოს გვერდით დაჯდა.

— ეჰ, ჩემო კოტე, ამქვეყნად ბოლომდე ვის გაუხარია, რომ ჩვენ არ წაგემწარდეს ორიოდე დღის სიცოცხლე... —

— კარგი რა, ამბაკოჯანი! ვიცი შენი ამბავი, მოყვები ახლა, ყველაფერი ამოვებაო, ბოლოს მაინც არ აგვშორდება წუთისოფლის შხამი და დარდუბალო. დაანებე მაგას თავი, შენ ხომ საქმის კაცი ხარ!

— საქმე? საქმეც ვერაა მაინცდამაინც კარგად.

— ახალი რამე? — მოუთმენლად შეეკითხა ბადურიშვილი; თეთრი, უნაოქო სახე მოედრუბლა.

— ჰო, ახალია... შენ იცნობ იმ ბიქსს, სერგო ცხრამუხელს. აი, ისა, უკაპეიკო სტუდენტი რომ იყო. ჩავაცვით, დავახურეთ. ახლა რომ შეხედო, მდიდარი ოჯახის შვილი გეგონება.

— მახსოვს, მთავარი საწყობის გამგეს რომ დავახმარეთ. მერე?

— აიწყვიტა, კუნტრუში დაიწყო.

— რა მინდაო?

— თავიდან მოგიყვები. იაგორ გორისელთან ვიყავით, სუფრაზე. შენ იმ საღამოს არ გეცალა, ვერ მოხვედი. იქ ერთი მშვიდობაძე იყო...

— რომელი მშვიდობაძე, მუშა?

— ჰო, ისა. ღვინის დალევისას შემომეკამათა. როგორაც მოუხდებოდა, ისეთი პასუხი ვავეცი. აი, მაშინ აიწყვიტა ცხრამუხელმა. მართალია, ნასეაში იყო, მაგრამ ხომ იცი, მთურალი ხშირად იმას წამოროშავს, რაც გულში აქვს.

— რაო, რას ვაპირებო?

— ჯაჭვი უნდა გაგწყვიტო, ე. ი. უნდა გაგკეთო, რაღა. ასე გამოდიოდა.

— მერე თვითონ რა, შაქარს აჰმევენ?

— როგორც ჩანს, ამას აღარ დაგიღვეს. წმინდანობის მანიით არის შეპყრობილი.

— ეგ რაღა ოხრობაა, წმინდანობის მანია?

— არიან მაგნიტები. აი, ის მშვიდობაძე და მისი ავანჩაენი. მაგათ ჰგონიათ, შეიძლება ადამიანი წყალსა და პურზე დასვა და ისე ატლინკაო, როგორც მოგესურვება.

— გასაგებია. ერთ მაგნიტთან აგერ ახლა მქონდა საქმე.

— მართლა? წელან გავიდა ერთი ახმახი ბერიკაცი, ის იქნებოდა.

— ის იყო. ერთხელ მამაჩემმა მიბეგვა მაგრად და ახლა მე მომთხოვა მაშინდელი წყულულების მოშუშება.

— რატომ სული არ ამოხადა, ახი იქნებოდა მაგაზე!

— მერე, ის გაწმინდანებული ცხრამუხელი რას აპირებს, თუ იცი?

— სწორედ მაგაზე მინდა მოგელაპარაკო. საქმე მგონი სერიოზულ ხასიათს იღებს. იმ საღამოს რაც მოხდა, ეგ არაფერი. მთვრალმა რაღაცა წამოაყარა—ტალა, ამას რა მნიშვნელობა აქვს. მე მაინც კაცი მიეუჩინე, თვალყურს აღევნებს. საქმე იქამდის მიდის, რომ...

— მოიცა, გამაგებინე, მშვიდობაძეს გამოეჭომაგა, ჯაკვი უნდა გავწყვიტო, დაგმექრა და წავიდა. მერე?

— ჰოდა, მეც მანდ ვარ. მომისმინე. ცხრამუხელის გაწმინდანებას თავისი საბაბი აქვს. იმ მუშას, მშვიდობაძეს, ფრონტზე ნამყოფი ქალიშვილი ჩამოუვიდა. სუფრაზე ცხრამუხელს გვერდით ეჯდა, იაგორ გორისელის ცოლისდაა. ხომ იცი, რა იქნება ფრონტზე ნათრევი. ჰოდა, წარმოიდგინე, ის ქალი შეუყვარდა. იმ წმინდანის გავლენით თვითონაც წმინდანის სამოსელში გახვევას აპირებს.

— მაშ, დიმიტრი მშვიდობაძე იაგორ გორისელის სიამარია? ეგ კი არ ვიცოდი. ის ფრონტელი ქალი, მშვიდობაძის ქალიშვილი, შესახედავად როგორია?

— წარმოიდგინე, ვერავითარ წუნს ვერ დასდებ. თავი ისე უჭირავს, თითქოს რწყილი არ გაკარებოდეს.

— მმ. მასეთ ტიპებსაც ვიცნობ. არაფერს არ დაიკლებენ, მერე დაჯდებიან და გაიპუწყებიან, აქაოდა, შენ. „მნათობი“ № 1

მომხედეთ, რა უმანკო ვინმე ვარო. მველაზე მეტად ეგ თვალთმაქცები მეზარებია.

— რას იზამ, თვითონ ცხოვრება ასეთი, ნიღაბს ვინ არ ატარებს.

— ეგ სულ სხვაა, ჩემო ამბაკო, სულ სხვა. ტალას მოხერხებულად უნდა მიპყვე, აიწვეს, აპყვე, დააწვეს, დაპყვე; თანაც თვალი ჭხიზლად უნდა გეჭიროს: მოულოდნელი მიმართულებიდან თუ ვინმე დაწინაურდა და ამალღდა, იმასაც ალღო. უნდა აუღო, უნდა დაარწმუნო— შენი ერთგული და თაყვანისმცემელი ვარო.

— ამდენ მიხლა-მოხლაში ჩვენ კი გაგვძვრა ტყავი და...

— ჯავრი ნუ გაქვს! ძლიერი მფარველი გყავს. მას ვერაფერი შეაყუევს. ისე კი, რაღა თქმა უნდა, მეტი მოქნილობაა საჭირო. ომის წლებში ძალიან შეეტოპეთ. ახლა მდგომარეობა შეიცვალა, ახლა უფრო მოზომილი, უფრო ფრთხილი ნაბიჯით უნდა ვიაროთ... ჰო, ცხრამუხელზე ვლაპარაკობდით. ის ხომ თქვენს საქმესთან შორიახლო იდგა? შეუძლია მას გახსნას რაიმე?

— რატომ თქვენნი და არა ჩვენი საქმე, კოტე?

— ა, პა, პა, მაგაში ჩვენ დიდი ხანია შეეთანხმდით. მე განზე ვარ, მე არაფერში არ ვურევივარ. გაიგე? მე რომ რამეში გამრიოთ, მფარველს დაჯკარგავთ. გაიგე? განა ერთი ან ორი საქმე ჩავფარცხეთ? მომავალშიაც ასე იქნება. შენ ნურაფრის გეშინია. ხანდახან კუდები თუ ჩავარდებიან, ეგ არაფერი, ეგ საჭიროცაა.

— ცხრამუხელმა თუ აიწყვიტა, იმას ერთი ისეთი საქმის გახსნა შეუძლია, კუდი კი არა, მგონი თავამდის მიაღწიოს.

— რაა ისეთი?

— შენ აკი თქვი, მე ნურაფერში ჩამახედებთო.

— ჰო, სწორია. მაშ ცხრამუხელს ისეთი გასაღები უჭირავს ხელში, რომ...

— ეგრეა, მაშ სულ იაგორ გორისელის ბრალი კია, იმან ჩაუტღო ხელ-

ში ეგ გასაღები. ღმერთივით ბიჭიო, ხელი რომ წასკრან, კრინტს არ დასძრავსო, ახლა იგემოს.

— ასე შორს წავიდა საქმე?.. თუ ასეა... მოიცა, ამბაყო, გახსოვს, ერთი მაგრე აწყვეტილი შოფერი რომ სადღაც გაგზავნეთ და უკან აღარ დაბრუნებულა? ხომ უკვალოდ გაჰქრა? თქვენზე ხომ ეჭვი არავის მოუტანია. ჰოდა, რა ბევრი რამ უნდა: ცხრაშუხელიც მაგრე გააქრეთ, ერთი ტყვია კეფაში და მორჩა.

— ეგ მეც ვიფიქრე, მაგრამ კოკა წყალს მუდამ არ მოიტანს, ვითუ...

— არაფერიც არ იქნება, თქვენ მხოლოდ ოსტატურად იმოქმედეთ. მაგისტანა გაწმინდანებულს ეგ მოუხდება.

— შენ იმიტომ მოგმართე, რომ იქნებ სხვა საშუალებით დაგვება. წელს ისტრატულა ამთავრებს. კარგ ადგილზე მოწყობა შევთავაზოთ-მეთქი.

— არა, არა! მორჩა! ეგ გადაწყვეტილია. მაგას და მაგნიირს ვერ გააძლებ, დღეს ერთს მისცემ, ხეალ სხვას მოგთხოვს. მორჩა! გააქრეთ! — მოსკრა კოტემ და წამოდგა; ხელი ისე გაიქნია, თითქოს სახეზე ბუზი აჯდებოდა და მოიშორაო.

ახალთახალი კაბის შრიალით შეიჭრა ოთახში ამბაყო ოთარაშვილის თანამეცხედრე — გაიანე კონსტანტინოვნა. გამოქნილი წარბები, წამწამები, ტუჩები და ღაწვიები, — ყველაფერი ახალშედლებილი ჰქონდა, ყოველივე ამას ხაზგასმით აჩენდა; თითებიც გაეშალა, რომ შინდისფრად მოელვარე ფრჩხილები გამოეჩინა. ორივე ხელზე რამდენიმე ძვირფასთვლიანი ბეჭედი უბრწყინავდა; გრძელ საყურეებზე თითქოს მზის სხივებში მოკიაფე ცვრები უკამკამებდა.

— რა ამბავია, რა მოხდა, რომ არ გამოდიხართ? ვახშამანდე ცოტას წავითამაშებდით. იაგორიც მოვიდა.

— აგერ შენს ქმარს ჰკითხე, საქმის კაცს. — ღიმილით უთხრა კოტემ და გაიანეს ხელზე აყოცა.

— ოჰ, მაგი თუ ჩაუჯდა საქმეს, მერე მორჩა, საშველი არაა. წამოიძახა გაიანემ, ქმარს ტყვეობა სახეზე და ჰქონდადებულ ყოვლზე ხელი მოუსვა, მიუფერა. — კარგი ახლა, გენაცვალე, წამო, გავერთოთ. ჩამდენი ხანია თამაშით გული ვერ მომიჯერებია.

— შენ სულ თამაში და გართობა გახსოვს, სხვა არაფერი გაგონდება. — ჩაიბუზღუნა ამბაყო.

— არ გადამრიო, თქვა რაღა! თუკი გაგართობთ, ორი დღის სიცოცხლეს ტკბილად გაგატარებინებთ, მეტს რაღას მოითხოვთ ჩვენგან, სუსტი ქმნილებებისაგან? — ხუმრობის კილოთი უთხრა გაიანემ და ამბაყოს მხარში ხელი ამოსდო, ააყენა.

— ჩემი მტერი ჩაეარდა თქვენს ხელში, ჩემი მტერი! აღარაფერს აღარ შეგარჩენენ, სულიან-ხორციანად შეგახრამუნებენ. — შეეხუმრა ამბაყო.

— არ გადამრიო, ამოდენა კაცს ვინ მოგერევა! — გაიცინა გაიანემ.

მომკრო ოთახი, სადაც ახლა კარტის სათამაშოდ მრგვალ მაგიდას შემოუსხდნენ, ლოლა ნიკოლოზის ასულს საცემებით განსხვავებულად ჰქონდა მოწყობილი; აქ სკარბობდა ძველებური ნივთები, ხალიჩები, სურათები, რომელთაც რაღაც თავისებური რომანტიკული ელფერი დაჰკრავდათ.

იაგორ გორისელი, ვიდრე თამაშში გაერთობოდა, მეგობრებს ახალ ანეგდოტს უყვებოდა, მეტად სასაცილო ანეგდოტს. სხვებთან ერთად თვითონაც ხმამალა ხარხარებდა, სიჯანსაღის მაჩვენებელი თეთრყირმიში სახე უღვარებდა.

ლოლა ნიკოლოზის ასულს კარტის თამაში არ იტაცებდა, ახლა არც ეცალა, მზარეულსა და მოსამსახურეს მითითებებს აძლევდა, სასადილო ოთახში მაგიდას აწყობინებდა. ეს თუმცა ჩვეულებრივი ვახშამი იყო, მაგრამ იგი მაინც საკმაოდ უხვი იყო: ღომი, სულგუნი, საცივი, შემწვარი ქათამი და გოჭი, ხილი, ტკბილეული; ღვინო ხომ მუდამ საუკეთესო ჰქონდათ.

მსუბუქად მიმოდოდა მზრუნველობით შეპყრობილი ლოლა, დიასახლისობდა; მის შედერეზულ ყელს უხდებოდა თოვლივით თეთრი მაქმანის საყულო; მიმოდოდა და უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა, სუფრა რომ მის გემოვნებაზე ეწყობოდა.

ბოლოს ლოლა კარტის მოთამაშებთან მივიდა.

კოტე ბაღურიშვილს სქელ ტუნგებზე ღიმილი არ შორდებოდა, თავი მხიარულად ეჭირა. ხოლო როცა მისი ჯერი იყო, კარტს დიდხანს ჩითავდა, ისე დიდხანს, რომ მოთამაშე მოთმინებას ჰკარგავდა, იბნეოდა. კოტეს როცა საქმე კარგად ჰქონდა, ისე გამოიყურებოდა, თითქოს ახლა იღუბება, საშველი არააო. ჩაჯკრდებოდა, სხეებს ლოდინით სულს შეუწუხებდა, კარგა ხნის შემდეგ განწირულივით იტყოდა:

— თქვენთვის.

კრუხი რომ ახალგაზრდული წიწილებს ფრთებს გადაფარებს, მტერი არ მომეპაროსო, ისე იჯდა მაგიდაზე ნიდაყვდაყრდნობილი ამბაკო ოთარაშვილი, კრუტა თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და შხად იყო ყოველი ხერხი ეხმარა, არ დარიდებოდა არც ტყუილს, არც ქურდობას, ოღონდ მოეგო.

იავრო გორისელი კი რაინდულ დარღვიანდობას იფერებდა, საერთოდ ძალიან თავდაპერილად თამაშობდა, ხოლო თუ მცირეოდენს წააგებდა, ამას გულთან ახლოს არ მიიტანდა; ეს სოფელი ასეა, იტყოდა ხოლმე, ხან შენ იცინი, ხან მეო.

მრავალნათურიან ჭალის ქვეშ, უძველეს გულდაგულ გაწყობილ გრძელ მაგიდაზე, ძვირფასი ჰურტულული მრავალფერად ბრწყინავდა. კუთხეში რიილი იდგა. ავეჯი ისე იყო განლაგებული, რომ სუფრის ირგვლივ თავისუფალი არე საკმაოდ რჩებოდა.

სტუმრებს დარბაზში ლოლა ნიკოლოზის ასული შეუძღვა. არ უპატიუნიათ, ჩვეულებრივებზე თავიანთი ადგილები დაიკავეს.

ამბაკო ოთარაშვილი თბილისში გაზრდილი კაცი იყო და ჰამაც მისი სიტყვით, ყარაჩოხული იტყოდა; დრომს მოყვარულთ დასცინოდა, არც საციყა მოსწონდა. მჭიდროდ დაწნული გოდორივით მოთავსდა სკამზე და უმაღლე ხრამულს მიეძალა.

მცირედ რომ შენაყრდნენ, კოტე ბაღურიშვილმა ჰქია ასწია და თანამესუფრეებს თვალი მოავლო.

გაიანეს გვერდით მთავარი ბუხალტერი იჯდა, ტერენტი ბზიავა, წარმოსადეგი, ცხვირმაღალი, თმახუჭუჭა, შუახნის კაცი; პირველად სასმისი იმას მიურაწყუნა კოტემ და თამაღობას შეუდგა.

ტერენტიმ თამადის თანამეწყობა სიამოვნებით იკისრა, გაიანეს გულიანად გაუღიმა და ჰქია ღვინით გაუესო. ძალიან უხდებოდა ტერენტის ქეიფის დროს გულგაშლილი სიღარბაისლე, მოსწრებული სიტყვა, სიმღერა, ცეკვა; ქალთა საზოგადოებაშიაც მოწონებას იმსახურებდა, ძალზე თამამი იყო.

ხოლო სამსახურში, მაგიდაზე რომ ქალაღებს დააწყობდა, საანგარიშოს მოიმარჯვებდა და საქმეს მღვდელმსახურებასავით შეუდგებოდა, თავი მეტისმეტად მიუკარებლად ეჭირა, ზედრი თანხის გაცემა ისე ეძნელებოდა, თითქოს საკუთარი ჯიბიდან აძლევსო, მიმღებს დიდხანს ალოდინებდა. კაცმა რომ იანგარიშოს ტერენტის მეოხებით ლოდინში ამოდ დაკარგული დრო და მისი ღირებულება, იმდენი თანხა შედგებოდა, რომ ერთ ბუხალტერს კარგა ხანს შეინახავდა.

უფროსის წინაშე კი ისეთივე დარბაისელი და გულუხვი იყო, როგორც აქ, მდიდრულად გაწყობილ სუფრაზე.

კოტემ მოზრდილი სასმისი ჩამოატარა. შეხურდნენ. ამბაკომ გოჭის დიდი ნაჭერი გადაიღო, მადიანად მოსდო მაგარი კბილები, სახე ოფლით დაეცვარა.

იავრო გორისელმა რამდენიმე ანგდოტის თქმა მოახერხა, საერთო ხარხარი გამოიწვია.

— გენაცაღე, ლოლა, დროა ახლა, დაუკარი. — სთხოვა გაიანემ კოტეს მეუღლეს.

ლოლა მსუბუქად წამოდგა (ან კი რა დაამძიმებდა, როცა სუფრაზე ჩიტივით იკენკებოდა), როიალს მიუჯდა, ვალსი დაუკრა.

ტერენტიმ მყისვე ხელსახოცით ტუჩები მოიწმინდა, მარდად წამოდგა და გაიანეს მოხდენილად თავი დაუკრა.

ხოხობივით წამოფართქალდა გაიანე, ტერენტის გაბრწყინებული თვალები შეანათა და თავდავიწყებით მიენდობის მკლავს.

კოტემ მოცეკვავეებს ერთის წამით თვალი გააყოლა, მერე თავის მეუღლეს მიხედა, გაიანე და ლოლა ურთიერთს შეადარა და თავისი სიხარულის გამო-სახატავად წამოიძახა:

— გენაცაღე, ლოლა, ხელებში, რა კარგად უკრავ!

ეს სიხარული მარტოოდენ იმით როდი იყო გამოწვეული, რომ ლოლა კარგი დამკვრელი იყო, არა, კოტემ იმწამს უჩებლივით გაიანზრა, თუ რა განსხვავება იყო მის ცოლსა და გაიანეს შორის: ლოლას თუმცა თაყვანისმცემელი ბევრი ჰყავდა, ან კი როგორ შეიძლება მამაკაცი არ მოეხიზლა მის სილამაზეს, მის ჰეროვნებას, მაგრამ ლოლა

არასოდეს საზღვარს არ ცილდებოდა, უბრალო გაარშიყების გეგმებს არ ადგამდა; გაიანე კი ავტო, როგორ, სურსათით ეხვევა ტერენტის... რა დიდი დაკვირება უნდა, ისედაც ცხადია...

ხოლო გაიანეს ქმარს, ამბავო ოთარაშვილს, ლენის სმაში მადა კიდევ უფრო გაძლიერებოდა, ოფლისაგან კეფაზე აქა-იქ ჭაღარაშერეული თმაც კი დასველებოდა.

აი, მან თავი ასწია, რალაც მოაგონდა, თავის შოფერს — კოსტა თავორელს თვალმოკუტულად გახედა და ხმამაღლა გასძახა:

— შენ, ეი, კოსტა, რას გაშტერებულხარ, ქამე, ბიჭო, დალიე! ჩვენ რომ ვიცით, გაიგე? ჩვენ რომ ვიცით, ისეთი საქმე მოგველის! შენ ხომ ჩემი მარჯვენა ხელი ხარ!

თქვა ეს და სახეზე ოფლი მოიწმინდა; ბაღურაშვილს მიხედა, თვალი ჩაუკრა:

— უნდა გაჰქრეს, არა? ხომ უნდა გაჰქრეს?

კოტე მყისვე მიხედა, თუ რა ჰქონდა მხედველობაში ოთარაშვილს, გულაინად გაიცინა, მუშტი მაგიდაზე დაჰკრა და ენერგიულად დაიძახა:

— გაჰქრეს! მისი სახსენებელიც არ იყოს!

(გაგრძელება იქნება)



თმოგვის გზაზე

მცირე ბორცვების ფერდაკარგულ ფერდობებს გავცდით
და თმოგვისაკენ ვჩქარობთ ახლა წარსულზე ფიქრით;
გზა ვიწროვდება მოწითალო, შიშველი, მკაცრი, —
და მძაფრი სიციხით დასიციხულებს გადაგვდის ხვითქი.

ღარტაფებს შორის აშოლტილან კლდეები რუხი,
მკერდს დასკდევიათ ნაპრალების შავი კრაგნალი;
მთას ფლატეებად ჩამოხეთქილს ჩამოსდევს შუქი,
როგორც ჩანჩქერი აღმაცერად გადმოვარდნილი.

ყველგან სიჩუმე, მხოლოდ ძველი აჩრდილი გზისა
ვით ჩუმი ბგერა მოირწყევა წარსულთან ერთად, —
და საგანგაშო ვარაუდის იძლევა ნიშანს
გაოგნებული მდუმარება დაბზარულ კლდეთა.

ამნაირ გვალვას, გამიგია, ქვაც ვერ გაუძლებს, —
და დამწვრის სუნი შეგვაგებებს მართლაც ლოდებმა;
მივყევებით ბილიკს, მშრალი ზვინჯკის ოდნავ ხმაურზე
ხმელ ბალახებში ფრთხება გველი ელვის ოცენა.

თითქო სპილენძი დამდნარაო თაკარა მზისგან,
ისეთი ფერი დაჰყენია დაკბილულ სივრცეს,
მივღვივართ, ვალებთ სიღარიბის ეპოსის კიშპარს
და საუკუნე დამშეული თვალებით გვიცქერს.

შიში, შიმშილი, კაეშანი, სიშიშველე, კენესა
ჩვენ როდი გვრჩება სმენისა და თვალის გარეშე;
აქ ყველაფერი დამდაგველად მეტყველებს ღლესაც,
თუ რა მოჰქონდათ ცეცხლისა და ტყვიის ფარეშებს.

თანდათანობით ვიწროვდება პირქუში ხევი,
ქარიშხლებივით მიილტვიან ქედები მალლა,
ხოლო ბილიკი ზვეულებად ისწრაფვის ქვევით
და იძირება, იკარგება, ინთქმება საღლაც...

სიმაღლეს, ფერებს დაჰკარგვიათ ზომიერება,
ეს არ სცოდნია სამხრეთისკენ დაძრულ მთიანეთს;
აქ მრისხანებას შეუცვლია ლზობიერება,
აქ მყუდროებას ლეგენდების ფსკერზე მიაგნებთ...



საქართველოს
 ეროვნული
 ბიბლიოთეკა

აღარ ილევა საცალფეხო გზები საზარი,
თან მიძღვრი სუსხი გვეუფლება მოღლილებს ჯანში,
და მყისვე, როგორც საფრთხობელა უზარმაზარი,
ჩვენს წინ მალღდება დიაბაზი კლდოვანი ჯავშნით.

დაწიბოვებულ, წახნაგოვან სამკაულებით
ასკრელებია ქვის გულ-მკერდი თვითველ ქარაფს,
მალღა კი, მთაზე მოქათქათე თეთრი ღრუბლები
ცხვრის ფარებივით შესევთან შერჩენილ ბალახს.

მათ აქორჩებულ ხვეულებში გიჟური ქროღვის
ხმა ისმის ქართა, ხმა, რომელიც ძარღვებს მონუსხავს.
ქედების იქით, გოლიათურ ქანჩახებშორის
შეკუღდება ცას მწვერვალი შიშველ კონუსად.

შიგ, მის წიღში, როგორც შავად შეკრულ ურანში,
კვამლივით ბრუნავს წინაპართა ძვლების ნაცარი;
ფულუროებად დახეთქილა დროთა ბრუნვაში
ყველა დარბაზი, ყველა ციხე, ყველა ტაძარი.

კვლავ გაღავნებად იგრაგნება ქალაქი მრგვალი,
ზევრავენ კოშკებს დარჩენილი ნაბურჯალები,
ნანგრევთა შორის, სადაც რეკდა რკინა და რვალი,
სათოფურების ანთებული ჩანან თვალები.

კვლავ ძველებურად ირკალება ტაძრის კამარა,
მაგრამ ყველა კარს დასდგომია თავისი ჯერი:
ჩამონგრეულან... შიგ შეკრილან ქარნი თამამად
და ფილაქანზე უთქერიათ შტერნიანი ჯვრები...

თითქოს ზღაპრული ქანგისფერი ნადირის ტყავი
წამოუსხამსო ქვის ბეჭებზე ქალაქს, ქაეციხეს,
ისე დამცრთხალან, დაქსაქსულან მთვლემარე მთანი
და იბერტყავენ ჩალმებივით ნისლებს ნაცრისფერს.

ძველი ტარების ამობზარულ, ამოკმულ თაღებს
შავ ხორხოშელად სცევიათ დაბლა ხრეში და ხვინჯკა,
აქ ყველაფერი დაუნესტრავს სიკვდილის ბაგეს,
ცოცხლები მარტო ჩვენ გავცქერით პორიზონტს დინჯად...

და პა, შევულად ციციბოზე დაშვებულ ბილიქს
მივყავართ ქვეყნად, კვლავ ნაბიჯთა გაისმის ჩქამი,
და ვაი იმას, ვინც ბრკყვილა ლოდების ღიმილს
თვალს გაუწფორებს ორწოხებში თუნდ ერთი წამით.

მაშ, ვაქოთ, ძმებო, ჩვენ იმ ხალხის მეღგარი სული,
ვის ცხოვრებასაც ქეშპარიტად სიცოცხლე ჰქვია,
ვინც უკვდავებას ეზიარა მგზნებარე გულით,
ვინც გადაურჩა ხანძრების და ხანჯლების ბრიალს.



სალამოდება, ბარისაყენ სავალს მივიკვლევთ,
გავხედავ შარას ველად გასულ ქედებში შექრილს,
უკან იტოვებს საცალფეხო კლდოვან ბილიკებს, —
და სივრცეებში გასასვლელად ძალღონე ერჩის.

უცხად ჩემს ფეხქვეშ, მოსახვევთან, უფსკრულის პირას
ბილიკი ვიწრო
ლტოლვას შესწყვეტს, როგორც არწივი,
და ჰორიზონტზე მიბნედილი შუქი რომ ბრწყინავს,
ნათელმოსილი მოგზაურის დგება აჩრდილი.

იგი შფოთიან შორეთიდან მოდის ამაყად,
საუკუნეთა წყვეულ წყვედიადს იცილებს გზიდან,
რომ ყველა სახლის დართო ქერქვეშ. სოფლად, ქალაქად
ბრძოლით მოღლილმა მოგზაურმა იცხოვროს მშვიდად.

გაოცებული რჩება თმოგვი... კოშკების რიგიც
თითქოს იფიწყებს წარსულ სევდას, წარსულ ვაებას, —
და ვხედებით მაშინ: კეშმარიტად ეს არის იგი,
ვინც ერთადერთმა შიალწია აქ უკვდავებას.

მოდის მზესავით „ვინმე მესხად“ ცნობილი კაცი,
გადადის შუქი მთიდან მთაზე გაუთავებლივ;
დიუ მესხს დიდება! ვინც დათრგუნა სიკვდილი მკაცრი!
ჯამთა წინაშე ქედუხრელად დგას რუსთაველი..

თარგმანი **შალვა ამისულაშვილისა**



კ ა მ ო

მედი

1905 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ჩემს ბინაზე, მოხოვოისა და ვოზდვი-ცნკის კუთხის სახლში, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტი მოთავსდა, თორმეტა კაცი საგან შემდგარი ქართველთა მებრძოლი რაზმი ცხოვრობდა. ის ლ. ბ. კრასინის მიერ იყო მოწყობილი და ექვემდებარებოდა ბოლშევიკ ამხანაგთა ჯგუფს, კომიტეტს, რომელიც ცდილობდა მოსკოვის მუშათა რევოლუციური მუშაობისათვის ხელმძღვანელობა გაეწია; ეს რაზმი რაიონებს შორის მეკავშირის - სამსახურს ეწეოდა და კრებების დროს ჩემს ბინას იცავდა. მას რამდენიმეჯერ აქტიური გამოსვლა მოუხდა „შავრაზმელების“ წინააღმდეგ, და ერთხელ, ნ. ე. ბუშმანის დასაფლავების წინაღულს, როდესაც ათასამდე კაცისგან შემდგარმა შავრაზმელთა ბრბომ განიზრახა ტექნიკური სასწავლებლის დარბევა, სადაც გარეწარ მიხალჩუკის¹ მიერ მოკლული ნიკოლოზ ერნესტის-ძის კუბო ესვენა, ამ ჩინებულად შეიარაღებულმა ახალგაზრდა ქართველთა რაზმმა ეს ბრბო გაფანტა.

შრომითა და მთელი დღის საშიშროებებით დაქანცული რაზმელები დამით სახლში იყრიდნენ თავს და, იატაკზე წამოწოლილნი, ერთმანეთს უზიარებდნენ განვლილი დღის შთაბეჭდილებებს. ისინი თვრამეტი — ოცდარე

¹ მიხალჩუკი — გერმანელი, ამჟამად ბუშმანის ქუჩის ერთ-ერთი სახლის მეფობე, ბუშმანის მეკლულის საქმეში გამართლებულ იქნა, ხოლო 1906 წელს გასამართლებულ და მსჯავრდებულ იქნა საოჯახო ნივთების მოპარვისათვის.

წლის ახალგაზრდები იყვნენ, ხოლო მათ მეთაურობდა აშხ. არაბიძე¹, ასე ოცდაათ წელს მიტანებული კაცი, ენერგიული, მკაცრად მომთხოვნი და გმირულად განწყობილი რევოლუციონერი. თუ არ ვცდები, მან მოკლა 1908 წელს საქართველოში ერთ-ერთი დამსჯელი რაზმის უფროსი, გენერალი აზან-ჩეიე-აზანჩეიევი.

არაბიძე იყო პირველი კაცი, რომლისგანაც გავიგონე კამოს სახელი. მანვე მიაჩნო რევოლუციური ტექნიკის დარგში ამ განსაკუთრებულად გაბედული მუშაის მოღვაწეობის შესახებ.

ამბები იმდენად საკვირველი და ლეგენდარული იყო, რომ თვით იმ გმირულ დღეებშიაც კი ძნელად თუ დაიჯერებდა კაცი, რომ ადამიანს შესწევდა უნარი თავის ბუნებაში შეეთავსებინა ესოდენ დიდი, თითქმის ზღაპრული გამბედაობა და არაჩვეულებრივი მიხედვრილობა, ამასთან ბავშვური უბრალოებაც შეენარჩუნებინა. მაშინაც ვფიქრობდი, კამოს თავგადასავალი რომ დაიწეროს, არავინ დაიჯერებს ასეთი ადამიანის რეალურ არსებობას და მკითხველი მის სახეს ბელეტრისტის გამოხატონად ჩასთვლის-მეთქი. და ყველაფერს, რასაც არაბიძე მომითხრობდა, მოხრობელის რევოლუციური რომანტიკით ეხსნიდი.

მაგრამ, როგორც არც თუ იშვიათად ხდება ხოლმე, აღმოჩნდა, რომ სინამდვილე თავისი სირთულითა და სიცხადით „გამონაგონსაც“ კი აქარბებს.

შალე ის, რაც კამოს შესახებ მიაჩნებ,

¹ ქართული დრამის არტისტი აშხ. ვაზო არაბიძე.

ნ. ნ. ფლეროვმაც დამიდასტურა. ამ ფლეროვს მე ჯერ კიდევ 92 წელს ვიცნობდი თბილისში, სადაც ვახეთ „კავკასში“ მუშაობდა კორექტორად. ფლეროვი მაშინ „ხალხოსანი“ იყო, ციმბირში გადასახლებიდან იმ ხანებში დაბრუნებულიყო. გადასახლებაში ყოფნას ძალზე მოეჭანცა, მაგრამ მარქსს მაინც გასცნობოდა და მე და ჩემს ამხანაგს, აუანასევს, ფრად მკვერმეტყველურად გვარწმუნებდა, „ისტორია ჩვენთვის მუშაობს“.

როგორც ყველა დაღლილს, ევოლუცია მასაც რევოლუციასზე უფრო მოსწონდა.

მაგრამ ის სულ სხვა აღმზიანი აღმოჩნდა მოსკოვში 905 წელს!

— ჩვენში, შვილსა, სოციალური რევოლუცია იწყება, გესმით? იწყება და მოხდება კიდევ, იმიტომ რომ ეს რევოლუცია ქვემოდან, ნიდაგიდან დაიწყო, — ტუბერკულოზით ფილტვებზე დათუთქული კაცის შშრალი ხველებით ამბობდა ფლეროვი. მე მიხაროდა იმის ნახვა, მიხაროდა, რომ მან დაჰკარგა შეზღუდული რაციონალისტის სიბეცე და ახლა ამ მგზნებარე სიტყვების მოსმენა სიამოვნებას მგვრიდა.

— იცით, როგორი საკვირველი რევოლუციონერები გამოდიან მუშათა წრიდან? აბა მომისმინეთ!

ერთი საკვირველი კაცის ამბავი მომიყვა. მე მოვუსმინე და რომ დაასრულა, შევეკითხე:

— კამო ჰქვია?

— იცნობთ? აჰა, მხოლოდ ნაამბობის მიხედვით...

მაღალი შებლი და ოდნავ მელოტაზე ჰალარაშერეული თხელი ხუჭუჭი თმა ღონივრად მოისრისა, დაფიქრდა და მერე ისე თქვა, რომ ის სკეპტიკოსი და რაციონალისტი მომაგონდა. ფლეროვი ახლა ისევე ისეთი ჩანდა, როგორც ცამეტი წლის წინათ იყო:

— როცა ადამიანზე ბევრს ლაპარაკობენ, ალბათ იმიტომ, რომ იშვიათი ადამიანია. იქნებ „ერთი მერცხალიც“

არის, დაუმატა ერთი მერცხლის ქვივილი „გაზაფხულს ვერ მოიყვანს“.

ამ შეგონებით ფლეროვმა ჩემზე ვადაუხადა წარსულს, არაბიძის ნაამბობი დამიდასტურა და, თავის მხრივ შემდეგი ვიამბო:

ბაქოში, ვაგზალზე, სადაც ფლეროვი ნაცნობთან შესახვედრად მოვიდა, ვილაყ მუშამ მუჯლუგუნი წაჰკრა და ხმაღბლა უთხრა:

— მოდი ერთი მაგინე!

ფლეროვი მიხვდა, რომ გინება იყო საქირო და, სანამ ის ივინებოდა, ქუდ-მობდილი მუშა დამნაშავესავეთ დუღუნებდა:

— ფლეროვი ხარ, გიცნობ. მითვალთვალევენ. აქ კუბოკრულ პალტოში გამოწყობილი და ლოყაშეხვეულმა კაცი მოვა და უთხარი: „ბინა ჩავარდა, — ჩასაფრებულნი არიან-თქო“. შენთან წაიყვანე. გაიგე?

მერე მუშამ ქუდი დაიხურა და შეუპოვრად ვიამბო:

— გეყო ყვირილი! რა მოგივიდა, ნენი ხომ არ ჩამიმტვრევია?

ფლეროვმა გაიცინა.

— ხომ მარჯვედ გაითამაშა თავისი როლი? მერე დიდხანს ვფიქრობდი: რატომ არ შეეგვივდი და ასე იოლად დავყვეი ნებას? ალბათ, მისი სახის მბრძანებლურმა გამომეტყველებამ გამოაგნა; პროვოკატორი, ჯამუში მთხოვდა და ვერ მოიფიქრებდა, რომ უნდა ებრძანებინა. შემდეგ ორ-სამჯერ კიდევ შევხვდი. ერთხელ ჩემთან ათევედა ღამეს და დიდხანს ვისაუბრეთ. თეორიულად არც თუ ძლიერ შეიარაღებული კაცია. ამისი რცხვენია კიდევ, მაგრამ დრო არა აქვს იმის გამოსარკვევად, ხელი უნდა მოჰკიდოს თეითგანვითარებას თუ არა. მაგრამ ეს თითქოს არც თუ ისე სჭირია. რევოლუციონერია მთელი განცდით და მისთვის რევოლუციური მუშაობა ისევე აუცილებელია, როგორც ჰაერი და პური.

ორი წლის შემდეგ, კუნძულ კაპრზე ლეონიდ კრასინმა კამოს სახე გლოვ

დააყენა ჩემს წინაშე. ჩვენ ამხანაგებს ვიგონებდით და მან სიცილით მკითხა:

— გახსოვთ, როგორ გიკვირდათ ერთხელ მოსკოვში, მე რომ ქუჩაში თვალი ჩავუყარი მოხდენილ კავკასიელ ოფიცერს? თქვენ გაკვირვებულმა მკითხეთ — ვინააო? მე გითხარით: თავადი დადუშქელიანი გახლავთ-მეთქი, ჩემი თბილისელი ნაცნობი. გახსოვთ? მე მომჩვენა, რომ თქვენ არ გჯეროდათ ასეთ მამალთან ჩემი ნაცნობობა და თითქოს ექვიც კი აღგეპრათ ჩემს თავხედობაში. სწორედ ის გახლდათ კამო. რა ჩინებულად თამაშობდა თავადის როლს! ახლა დაპატიმრებულია ბერლინში და ასეთ პირობებში ზის, რომ უთუოდ წირვას გამოუყვანენ. ქუეზზე შეიშალა. ჩვენ შორის ითქვას და მთლად როდი შეიშალა იქნებ ამან უშველოს კიდევ. საელჩო მოითხოვს, როგორც სიხლის სამართლის დამნაშავეს და რუსეთს უნდა გადაეცესო. თუ ენადარმებმა იციან ყოველივე იმის თუნდაც ნახევარი, რაც გააკეთა, — მაშინ კამოს ჩამოაბრჩობენ.

როცა კრასინს ვუამბე ყველაფერი, რაც კამოზე გაგეგონა და ვკითხე, ეს ამბები რამდენად მართალია-მეთქი, ის ჩაფიქრდა და მიპასუხა:

— შესაძლოა, ყველაფერი მართალი იყოს. მეც გამიგონია მისი არაჩვეულებრივი მოხერხებულობისა და შეუპოვრობის ამბები. ცხადია, მუშებს უნდათ, რომ ჰყავდეთ თავიანთი გმირი და, შესაძლებელია, კამოს თავდადებაც რამდენადმე კიდევ აფერადებენ, ქმნიან რევოლუციურ ლეგენდას, რაკი ესმით მისი კლასობრივ-აღმზრდელითი მნიშვნელობა. მაგრამ, რაც უნდა იყოს, ის მაინც მეტად თავისებური ვაყვაცია. ზოგჯერ გგონია, რომ წარმატებებისაგან არის განებივრებული და ცოტათი თავხედობს, ტაკიმასხარობს. მაგრამ ეს ვითომდა ახალგაზრდული თავწარიანობის, მედიდურებისა და რომანტიზმისაგან როდი წარმოსდგება, — არამედ რომელიღაც სხვა წყაროსაგან. მეტად სერიოზულად თავხედობს, მაგ-

რამ იმავე დროს, თითქოს სიზმარში იყოს, სინამდვილეს ანგარეშეკრულებებს. იყო ასეთი შემთხვევა: დაპატიმრებულმა დე ცოტახნის წინათ ბერლინში რუს მეგობარ ქალთან ერთად ქუჩაში მიდიოდა. ქალმა ბიურგერის სახლის ფანჯრის რაფაზე ჩამომჯდარი ცინდალი დაანახვა და უთხრა: „შეხედე, რა კარგია!“ კამო უმაღ შეხტა, ხელი დაავლო ცინდალს და ქალს გადასცა.

ქალიშვილი იძულებული შეიქნა გერმანელებისთვის ემტყიცებინა, რომ კატიის კნუტი ფანჯრიდან თვითონ ჩამოსხტა. ამგვარ ანეკდოტი, და ეს ერთადერთი ხომ არ არის, — იმით აიხსნება, რომ საკუთრების ინსტიტუტი კამოს სრულიად არ გააჩნდა. „ინებეთ“, — იტყოდა ხოლმე კამო მაშინ, როცა საქმე მის საკუთარ პერანგს, ჩექმას და საერთოდ, პირადად მისთვის აუცილებელ ნივთებს ეხებოდა.

— გულკეთილი ადამიანია? არა. მაგრამ საუკეთესო ამხანგი იყო. ჩემსა და შენს არ არჩევდა. „ჩვენი ჯგუფი“, „ჩვენი პარტია“, „ჩვენი საქმე“...

— მეორედ, ისევ ბერლინში ხალხმრავალ ქუჩაზე, ვიღაც მედუქნემ ბიქუნა კარში გამოაგდო. კამო ლუქნისკენ გაექანა. შეშინებულმა თანამგზავრმა ძლივს დააკავა. კამო კი მიიწვედა და ყვიროდა: „გამიშვი, თუ კაცი ხარ, ცხვირ-პირი უნდა ამოვუნაყო!“ ვინ იცის, ამო იქნებ გიყის როლს სწავლობდა, მაგრამ ასე მხოლოდ ახლა მეჩვენება. იმ დროს ქუჩაში მისი გაშვება მხლებლის გარეშე შეუძლებელი იყო: ასე შგონია, ქუჩაში მხოლოდ იმისათვის გამოდიოდა, რომ ფათერაკს რასმე გადაყროდა.

— სწორია. ერთხელ თვითონ მამბო, — ერთ-ერთ ექსპროპრიაციის დროს, სადაც ყუმბარა უნდა გაესროლა, მოეჩვენა, რომ ორი ჯამუში უთვალთვალეს. მოქმედების დაწყებამდე რალაც წუთები რჩებოდა. ის ჯამუშებთან მივიდა და უთხრა: „დაიკარგეთ აქედან, უნდა ვისროლო!“

— „მერე და რაო, წავიდნენ?“ —
კითხე კამოს.

— „რა თქმა უნდა გაიქცნენ“.

— „მერე და რად, უთხარი?“

— „როგორ თუ რად ვუთხარი? სა-
ჭირო იყო თქმა და ვუთხარა!“

— „მაინც რატომ? შეგებრალა?“

კამოს გული მოუვიდა, გაწითლდა.

— „სულაც არ შეიძლება! შეიძ-
ლება, მართლაც საწყალი ხალხია. აბა,
რა მათი საქმე იყო? იქ რას დასეირ-
ნობდნენ? მართო მე კი არ ვისროდი
ყუმბარაბ; შეეძლოთ ვინმე დაეჭრათ ან
მოეკლათ“.

— ამ შემთხვევაში მის ქცევას რა-
ლაც ახალი ემატება და შეიძლება ეს
სხვა რამით აიხსნას: სადღაც დიდობე-
ში ერთ ჯამულს მიაკვლია, ხელი სტა-
ცა, კედელთან მიიმწყვდია და ჩაგონე-
ბა დაუწყუო: „ღარიბი ხარ? მაშ ღარი-
ბების წინააღმდეგ რატომ მსახურობ?
მდიდარი ამხანაგები გაყავს, არა? რა-
ტომ ხარ ფლიდი? გინდა — მოგკლა?“

— კაცმა არ ისურვა, რომ მოეკლათ.
რუსი მუშა აღმოჩნდა, ბათუმის ჯგუ-
ფიდან. თბილისში ლიტერატურისთვის
ჩამოსულიყო, მაგრამ ამხანაგის ბინის
მისამართი დაკარგვოდა, ბინა კი აღარ
ახსოვდა, სად იყო, აღარ ახსოვდა და
ალაღებულზე ექმბდა. ხედავთ, კამო რო-
გორი თავისებური ვაჟკაცია?

მის თავდადებათაგან ყველაზე გან-
საკვიფრებელი — გენიალური სიმუ-
ლაციაა, რამაც ბერლინელ ბრძენთა-
ბრძენ ფსიქიატრებს გზა-კვალი აუჩიოა.
მაგრამ კამოს მაინც ვერ უშველა ამ
ოსტატურმა სიმულაციამ, — ვილჰელმ
II მთავრობამ ის მაინც გადასცა მეფის
ქანდაკმებს. ბორკილებში ჩაქედილი
კამო თბილისში ჩამოიყვანეს და მიხეი-
ლის საავადმყოფოს ფსიქიატრულ გან-
ყოფილებაში მოათავსეს. თუ არ ვცდე-
ბი, სამი წლის განმავლობაში ეწეოდა
სიგიჟის სიმულაციას. ასეთივე ფანტას-
ტიკური ოინია მისი გაქცევა თბილისის
საავადმყოფოდან.

კამოს პირადად გავეცანი 20 წელს,
მოსკოვში, ფორტუნატოვის, — ჩემს

ყოფილ ბინაზე, ვოზდვიგენისა და მო-
ხოვის კუთხეში.

მაგარი, ლონიერი ვაჟკაცი რუს-
კასიელის ტიპური სახე მქონდა; მის
საამო თვალებში ყურადღებანიობა და
სიმკაცრე ჩანახლებულიყო. წითელი
არმიის მებრძოლის ტანისამოსი ეცვა.

ფრთხილსა და გაუბედავ მიხვრა-
მიხვრაში შეატყობდით, რომ შეუჩვე-
ველი გარემო რამდენადმე აკრთობდა.
მე მაშინვე მიეუხედი, რომ სხვა რამ
იტაცებდა, მოხეზრებული მქონდა შე-
კითხვები რევოლუციური მუშაობის
შესახებ. სამხედრო აკადემიაში შესას-
ვლელად ემზადებოდა.

— მეცნიერების შესწავლა ძნელია, —
შემფოთებით ამბობდა, თან რომელი-
ღაც სახელმძღვანელოს ხელს უტყაპუ-
ნებდა, ხან იმე უსვამდა, თითქოს აღ-
რნილ ძაღლს ეფერებო. — შიგ ნახა-
ტები ცოტაა. წიგნში ბევრი სურათი
უნდა იყოს, რომ კაცმა მაშინვე გაიგოს,
რა არის დისლოკაცია. თქვენ იცით, რა
არის დისლოკაცია?

მე არ ვიცოდი, კამომ კი მორცხვად
გაიღიმა და ჩაილაპარაკა:

— აი ხედავთ...

მისი ღიმილი როგორღაც ბავშვური
და უმწეო იყო. ამ უმწეობას კარგად
ვიცნობდი: სიყმაწვილეში მეც ხშირად
განვიციდიდი ამას, როცა წიგნების სი-
ბრძნეს ჩაქწედებოდი. ჩემთვის ისიც
გასაგები იყო, თუ რამდენად უნდა გა-
ძნელებოდა ამ წიგნების დაძლევა გა-
ბედულ პრაქტიკოსს, რომლისთვისაც
რევოლუციის სამსახური უწინარეს
ყოვლისა — საქმეა და შემოქმედება.

კამომ პირველი შეხვედრისთანავე
მხურვალე სიმპატია აღმიძრა გულში,
მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით უფ-
რო მხიბლავდა თავისი რევოლუციური
გრძნობის სიღრმითა და სიწრფელით.

რაც მე ვიცოდი კამოს ლეგენდარუ-
ლი შეუპოვრობის, მისი ზეადამიანური
ნებისყოფისა და გასაოცარი თავიუ-
რილობის შესახებ, ყოველივე ამხედვი და
კავშირება სრულიად შეუძლებელითა-
ნიმ ადამიანთან, რომელიც სახელს — გვა-

ნელოებით დატვირთულ მაგიდას უჯდა ჩემს წინ.

ამოდენა სულიერი დაძაბულობის გადატანის შემდეგ დაუჯერებელი იყო, რომ მაინც ასეთ სადა, საყვარელ ამხანაგად დარჩა და სულის სიყისკასე, სიახლე და ძალა შეინარჩუნა.

მის გულში ჯერ კიდევ არ ჩამკვდარიყო სიკაბუცე და კაბუცური გატაცებით უყვარდა ერთი მშვენიერი ქალი, რომელიც, მართალია, სილამაზით არც ისე ბრწყინავდა და, ვგონებ, მასზე უფროსიც იყო.

თავის სიყვარულზე ისეთი ვნებიანი ღირიზმით ლაპარაკობდა, რაც მხოლოდ ჯანსაღ, მძლავრსა და უმანკო ყმაწვილთათვის არის მისაწვდომი.

— შესანიშნავი ქალია გესმის? ეჭიმი და ყველაფერი იცის, ყველა მეცნიერება. სამუშაოდან რომ დაბრუნდებ, მეუბნება: „რა შობდა? ვერ გაიგე? ეს ხომ ერთობ მარტივი რამ არის“. და სწორიცაა! ერთობ მარტივი საკითხია! აჰ, რა ადამიანია?“

თავის სიყვარულს ისეთი სიტყვებით გამოხატავდა, რომ ზანდაზან სასაცილოც იყო. მოულოდნელ პაუზებს აკეთებდა, სქელ, ხუტუტ თმას ხელებით ისე იწეწდა და ისე შემომყურებდა, თითქოს რაღაცას უხმოდ მეკითხებო.

— მერე რა? — მეც ვამხსენებდი.

— აი, ხედავ, როგორ... — გაურკვეველად თქვა და აუცილებლად უნდა ჩაჩინებოდი, რომ მისი ყოვლად გულუბრყვილო შეკითხვა მოგესმინა:

— იქნებ ცოლის შერთვა არც კია საჭირო.

— რატომ?

— ხომ იცი, რევოლუციია, საჭიროა სწავლა, მუშაობა, ირგვლივ მტრებია, — ბრძოლა საჭიროა.

შექმუხნილ წარბებსა და თვალების მკაცრ ელვარებაზე ეტყობოდა, მას ძლიერ ტანჯავდა კითხვა, ცოლის შერთვანია რევოლუციის ლალატი ხომ არ ტიპიანია? კაცი იყო, თან ცოლს რომ აცდლო და როგორღაც განსაკუთრებულად ამოდლეველი იმით,

რომ მის არსებაში კაბუცური ძალა და მამაკაციური გრძნობის სიძლიერე მშვენიერების მძლავრ ენერჯიას არ ემთხვეოდა.

საზღვარგარეთ წასვლისა და იქ მუშაობის აუცილებლობაზე ისეთივე გატაცებით ლაპარაკობდა, როგორც თავის სიყვარულზე.

— ილინს ვთხოვე: „გამიშვი საზღვარგარეთ. სასარგებლო კაცი ვიქნები-მეთქი!“ „ასე მითხრა ჯერ უნდა ისწავლოო!“ რა გეწყობა! ილინს უკეთ მოეხსენება. ახ, რა ადამიანია! ბავშვით ვით იციანის. გაგიგონია ილინის სიცილი?

კამომ გაიღიმა და მერე ისევ მოიღუშა, — სამხედრო მეცნიერებაში ჩაწვდომის სიძნელეს ისევ უჩიოდა.

როცა ძველ ამბებზე ვეკითხებოდი, უხალისოდ მიდასტურებდა ყველაფერს, მაგრამ სახე ექმუხნებოდა და ახალს თითქმის არაფერს უმატებდა.

— სისულელეც ბევრი ჩამიღენია, — მითხრა მან ერთხელ. — ერთი პოლიციელი ღვინით დავათვრე და თმა-წვერი კუპრით მოვეუთხუპნე. ნაცნობი იყო. მეკითხება გუშინ კალათით რა მიგქონდაო? კვერცხი-მეთქი. კვერცხებს ქვეშ რა ქალაღდები გქონდა ამოდებულო? არავითარი ქალაღდები არ მქონია-მეთქი. ტყუი, ქალაღდები დავინახეო! მერედა, რატომ არ გამჩხრიკე-მეთქი. მეო, მეუბნება, აბანოდან მოვდიოდით. აი სულელი! გული მომივიდა, ძალას ვინ მატანს, ვიცრუო-მეთქი? დუქანში შევიყვანე, ლაზათიანად გავჭყიპე და მერე კუპრით გავთხუპნე. ახალგაზრდა ვიყავი და ჯერ კიდევ ვანგლობდი, — დაასრულა ამბავი და სახე ისე შეიქმუხნა, თითქოს რაღაც შეავეს გემო გაუსინჯაო.

მე ვურჩევდი, რომ მოგონებები დაეწერა, ვარწმუნებდი, რომ ეს შეტად სასარგებლო იქნებოდა ახალგაზრდობისასთვის, რომელიც ტექნიკურ მუშაობას არ არის გაცნობილი. ის დიდხანს არ მთანხმდებოდა და უარის ნიშნად ხუტუტ თავს აქეთ-იქით აქნევდა.

— არ შემიძლია. არ მემარჯვება. სადაური მწერალი მე ვარ — უკულტურო კაცი!

მაგრამ, როცა მიხვდა, რომ მისი მოგონებებიც რევოლუციისადმი სამსახურია, — დამთანხმდა და, ალბათ, როგორც ყოველთვის მის ცხოვრებაში, მიიღო ეს გადაწყვეტილება და იმ წამსვე საქმეს შეუდგა.

მაინდამაინც წიგნეირად ვერ წერდა, მშრალად გამოუდიოდა. აშკარად ცდილობდა მეტი ეთქვა ამხანაგებზე და თავისთავზე კი — ცოტა. როცა ეს ვუთხარი, გაბრაზდა:

— რაო, ჩემ თავზე ვილოცო? მღვდელი ხომ არა ვარ!

— განა მღვდლები თავიანთ თავზე ლოცულობენ?

— მაშ, ვინ ილოცებს? ქალიშვილები?

მაგრამ ამის შემდეგ უფრო ნათლად და ნაკლები მორიდებით დაიწყო წერა თავისთავზე.

ის თავისებურად ლამაზი იყო, განსაკუთრებული. სილამაზით ერთბაშად არ გამოირჩეოდა.

აი, ჩემს წინ წითელი არმიის ზებრძოლის ტანისამოსში გამოწყობილი მძლავრი და მოხერხებული კაცი ზის. მე კი ვხედავ, ის ხან მუშაა და ხან კვერცხების გამოიდევლი, ხან მეეტლეა და ხან პრანკია მამაკაცი, ხან თავადი დადემქელიანია და ხან ბორკილგაყრილი გიყი, — გიყი, რომელმაც სწავლულნი ბრძენნი აიძულა, რომ მისი სიგიყე დაეჯერებინათ.

არ მახსოვს, რას მოვაყოლე, რომ ჩემთან კაპრზე, ვინმე თრიაძე ცხოვრობდა-მეთქი. მარცხენა ხელზე სამი თითი ჰქონდა.

— ვიცნობ, მენშევიკია! — თქვა კამომ და მხრები აიჩეჩა. სახე ზიზლით შეიკუმუნა და ისე განაგრძო: — ამ მენშევიკების არა გაემეება რა, რანი არიან. კავკასიაში ცხოვრობენ, ბუნება იქ ისეთია... მთები ზეცას სწვდებიან, მდინარეები ზღვისკენ მიექანებიან, ყველგან თავადები სხედან, ყველანი მდიდრები

არიან. ხალხი ღარიბია. რათ არიან ეს მენშევიკები ასეთი უფხონი, რატომ უნდათ რევოლუცია?

ის დიდხანს ლაპარაკობდა, სიტყვები უფრო და უფრო მგზნებარედ ეღერდნენ, მაგრამ რომელიღაც აზრს შესაფერი სიტყვა ვერ მოუძებნა. დაამთავრა იმით, რომ ღრმა ამოოხვრით თქვა: — მუშა ხალხს ბევრი მტერი ჰყავს. ყველაზე საშიში მტერი ის არის, ვინც ჩვენი ენით სიცრუის თქმას ახერხებს.

თავისთავად ცხადია, რომ მე ყველაზე უფრო იმის გაგება მინდოდა, თუ როგორ ჰპოვა ამ „გულუბრყვილო“ აღამიანმა თავის თავში ამდენი ძალა და მოხერხება, რომ თავის ვითომდა სიგიყეში ფსიქიატრები დაერწმუნებინა!

მაგრამ, ეტყობოდა, რომ ეს შეკითხვები მას არ მოსწონდა. მხრები აიჩეჩა და უხალისოდ, გაუტკვევლად მოთხრა:

— რა გითხრა? ასე იყო საჭირო! თავს ვშველოდი, ჩემი თავი რევოლუციისათვის სასარგებლო კაცად მიმაჩნდა.

მხოლოდ მაშინ, როცა ვუთხარი, რომ მან თავის მოგონებებში თავისი ცხოვრების ეს მძიმე ხანა უნდა ასწეროს, ყოველივე ეს კარგად უნდა იქნეს მოფიქრებული და შესაძლოა, ამ შემთხვევაში მე სასარგებლო აღმოვჩნდე-მეთქი, — ის ჩაფიქრდა, თვალებიც კი დახუჭა, მერე ხელის თითები მაგარ მუშტად შეკუმშა და მძიმედ თქვა:

— რა უნდა ვთქვა? ისინი ხელით მსინჯავენ, ფეხებზე მცემენ, მილიტიანებენ და სხვა ამგვარი... განა ხელებით სულის გასინჯვა შეიძლება? ერთმა მიიძულა, რომ სარკეში ჩამეხედა; მეც ვიხედე: სარკეში ჩემი სიფათი კი არა, ვიღაც გამხდარი, თმით დაფარული, ველურად მობრიალე თვალბიანი და თმააბურქნული კაცი ჩანს — უშნო და შემწარავი.

— კბილები გავალტკიალე. ვიფიქრე: „ნუთუ მართლა გავგიყდი-მეთქი?“ მეტად საშინელი წუთი იყო! მივხვდი და სარკეს მივაფურთხე. იცი, ერთმანეთს გადახედეს გაიძვერებმა. გადახედეს.

მოეწონათ, რომ კაცს თავისი თავი დაავაწყდა!

ცოტახანს გაჩუმდა და მერე ისევ ნელა განაგრძო:

— ძალიან ბევრს ვფიქრობდი: ავიტან ყოველივე ამას, თუ მართლა შევიძლები-შეთქი? აი, ეს კი არ იყო კარგი. ჩემი თავის მევე არ მჯეროდა, გესმის? ქარაფზე დაკიდებულივით ვიყავი და თავს რაღაც ვიმაგრებდი, ვერ ვხედავდი.

ისევ გაჩუმდა და გამიღიმა.

— მათ, რა თქმა უნდა, თავისი საქმე, თავისი მეცნიერება იციან. მაგრამ კავკასიელებს კი არ იცნობენ. შეიძლება, მათთვის ყველა კავკასიელი გიგია? თან ბოლშევიკიც. მაშინ ესეც ვიფიქრებამ, რა გაეწყობოდა? აბა, განვაგრძოთ-მეთქი: ვინ ვის უფრო მალე გააგვიყვანებენ-მეთქი? არაფერი არ გამოვიდა. ისინი თავისაზე დარჩნენ და მეც—ჩემსაზე. თბილისში უკვე იმდენად არ მაწამებდნენ. როგორც ჩანს, ფიქრობდნენ, რომ გერმანელები არ შეცდებოდნენ.

ყოველივე იმიდან, რაც მან მიამბო, ეს იყო ხველაზე გრძელი ამბავი.

და, მგონია, მისთვის ყველაზე უფრო არასასიამოვნოც. რამდენიმე წუთის შემდეგ მოულოდნელად დაუბრუნდა ამ საკითხს. მხარი ოდნავ წამკრა, — ჩვენ ერთმანეთის გვერდით ვისხედით, — და ხმადაბლა, მაგრამ მკაცრად მიითხრა:

— არის ასეთი რუსული სიტყვა — Ярость — გააფთრება. ^{სიტყვის} სიტყვარ მესმოდა, რას ნიშნავდა — Ярость. და აი, მაშინ ექიმებთან, გააფთრებული ვიყავი, — ასე ვფიქრობ ახლა. Ярость — ძალიან კარგი სიტყვაა! საშინლად ნომწონს. Разъярился, ярость — გააფთრდა, გააფთრება! მართალია? ამბობენ, ასეთი რუსულ ლმერთიც იყო — იარილო?

როცა გაიგო, რომ მართლაც იყო ასეთი ლმერთი, რომელიც შემოქმედებით ძალებს განასახიერებდა, — გაეცინა.

კამო ჩემთვის ერთი ისეთი რევოლუციონერთაგანია, რომელთათვის მომავალი აწმყოზე უფრო რეალურია. ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ისინი მეოცნებენი არიან. არა, ეს ნიშნავს იმას, რომ მათი კლასობრივი რევოლუციონერობის ემოციური ძალა ისე ჰარმონიულია და მტკიცედ ორგანიზებული, რომ გონებას უხვად ასაზრდოებს, მისი ზრდის ნიადაგს წარმოადგენს და მას თითქოს წინ მიუძღვის.

მთელი არსებული სინამდვილე, რომელშიაც მათი კლასი ცხოვრობს, რევოლუციური მუშაობის გარეშე ცუდი სიზმრის, კომმარის მსგავს რამედ ეჩვენებათ, ხოლო რეალური სინამდვილე, რომელშიაც ისინი ცხოვრობენ, სოციალისტური მომავალია.

თარგმანი კლავდი გუბინის.

შალვა ჩაიანი



აკაკი ბელიაშვილი

აკაკი ბელიაშვილის მოთხრობები და ნოველები ბელარუსიდან იწყებენ სურათს ვილანა-რაკოთ მოთხრობის ჟანრზე და მომთხრობელის ოსტატობაზე.

მოთხრობის სფერო მთელი ცხოვრებაა თავისი სირთულით და მრავალფეროვნებით. მაგრამ ჟანრობრივი თავისებურება აიძულებს მოთხრობის ავტორს ცხოვრების რთული ვითარებიდან აირჩიოს ცალკეული მოვლენა, ნაწარმოების შინაარსად გაიხადოს თუქცა მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც ეპიზოდი. მოთხრობაში შინაარსისა და ფორმის ლაკონურობა სრულყოფამდე უნდა იყოს აყვანილი.

დაკვირვებას შეუძლია ანტონ ჩეხოვი ამბობდა: „როგორც სამხედრო გემის ზეპანზე, ასევე მოთხრობაში არ შეიძლება იყოს ზედმეტ რამ“. მოთხრობის ავტორი მოვლენებისა და ადამიანების კონკრეტული მხატვრული ჩვენებით გვაძლევს მხატვრულ განზოგადებას, ჩვეულებრივში, უბრალოში ასახავს სინამდვილისათვის დამახასიათებელს.

ა. ბელიაშვილის წერის მანერა გამოირჩევა ორიგინალობით და სიუჟეტის საინტერესოდ განვითარებით. მას ეხერხება აშბის ისე მოყოლა, რომ ყოველთვის ატაცებს მკითხველს; იგი სიუჟეტის, კომპოზიციის ჭეშმარიტ ოსტატია, რაც მოჩანს არა მარტო ნაწარმოების მთლიან აგებაში, არამედ თითოეული სცენისა და ხასიათის დახატვაში.

ა. ბელიაშვილის ოსტატობის ძირითადი განმარტებელი თავისებურება ისაა, რომ მას შესწევს უნარი უბრალოდ გადმოისცეს ყოფა და ადამიანური ტიპები. მას დაკვირვებელი და მხეხილი თვალი აქვს, შეუძლია მოკლედ წერა მნიშვნელოვან და სერიოზულ ამბებზე. ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი შეგნება და ხასიათის თავისებურება უფრო სრულიად შედგენილება მოქმედებაში, ზრდილაში, დაბრკოლებათა გადალახვაში. ადამიანთა შორის კავშირურთიერთობა და კონფლიქტები იხატება არა მარტო უშუალო მოქმედებაში, არამედ ის თავის გამოხატულებას პოულობს საუბარში, პოლემიკაში. ამიტომ მოთხრობის ჟანრის მნიშვნელოვანი კომპონენტი არის დიალოგი. დიალოგი შეტად ქმედითი საშუალებაა ადამიანის ხასიათის გახსენისათვის. დიალოგი სიუჟეტის

მოქმედი და აუცილებელი ელემენტია. დიალოგის ოსტატობა ყოველთვის არის ნიშანი მწერლის შექმედებითი ოსტატობისა. არა მარტო მოქმედებაში, არამედ საუბარში, კამათში მოჩანს ჰე ასონაქის ბუნების თავისებურება, ნაწარმოების იდეური მიმართულება. ა. ბელიაშვილის ნაწარმოებებში დიალოგი ყოველთვის ზუსტად, ცოცხალი და მკაფიოა.

ა. ბელიაშვილმა კარგად იცის, რომ ნაწარმოების ფორმისა და სტილის ყველა ელემენტი უნდა ემორჩილებოდეს იდეურ ჩანაფიქრს. ოსტატობის პირობებზე მტკიცედ არის დაკავშირებული მწერლის მსოფლმხედველობასთან. მხატვრული სახე, დეტალი, სიტყვა, ემორჩილება მოაქვს — ცხოვრების სიმართლით გახსენას. ნაწარმოების მნიშვნელობა და ძალა განისაზღვრება იმით, თუ რამდენად შეძლო მწერალმა ვაგება და გამოხატვა სრულყოფილ მხატვრულ ფორმაში თავისი დროის მნიშვნელოვანი პრობლემებისა თანადროულობის გრძობა საგაღმდებლო გრძობაა ყოველი ჭეშმარიტი მხატვრისათვის.

სინამდვილის სიმართლის გახსენის გზა ლიტერატურაში მრავალგვარია, მაგრამ ნაწარმოების ღირსების შეფასება მარტოდენ იმ თვალსაზრისით — თუ რამდენად დაცულია მასში სასოცოცხლო სიმართლე — არ არის საკმარისი. სიმართლე არის ნაწარმოების „აუცილებელი პირობა და არა მხოლოდ ღირსება; ღირსებას შესაბამის ზღვრებს ეხერხება ავტორის შეხედულებათა სიფართოების, მის მიერ ისახულ მოვლენათა მართებული გაგებისა და ცხოველი გამოხატვის საფუძველზე“ (ნ. დობროლინოვი). ამიტომ სინამდვილის მხატვრულ ლიტერატურაში გამოხატვის პროცესი რთული პროცესია. სინამდვილის მოვლენათა ფართო და მართებული გამოხატვა წარმოდგენილი უნდა იყოს ნაწარმოებში ცოცხლად, დამაკვირვებლად, ოსტატურად. ამა თუ იმ ხასიათს ქმნის და აყალიბებს ცხოვრება, მაგრამ მისი „აღმოჩენა“ ლიტერატურაში ეყუთენის მწერალს. მწერლისათვის ეს არის საკმარისი შენიშვნის ან აღწერის ცხოვრების ესა თუ ის მოვლენა, მან უნდა გამოავლენოს თავისი დამაკვირვებულება მისდამი. ყოველივე ეს მოცემული უნდა იქნეს არა დეკლარაციებში, არამედ შინაარსში, სიუჟეტურ

განვითარებამი. ავტორმა უნდა გახსნას, ვის მხარეზეა სიმართლე ძველსა და ახალს შორის ბრძოლის დროს, თუ როგორ იპარაკეებს ახალი, მოწინავე ძველთან, ჩამორჩენილთან ბრძოლაში; ნაწარმოებში არ უნდა დაეკარგოს რეალური სასიცოცხლო პერსპექტივა, რეალური წუთანაბრება სასიცოცხლო მოვლენებისა. ღირსეული მხატვრული ნაწარმოები ყოველთვის ადარბოვებს ჩვენს წარმოდგენას ცხოვრებაზე, მის მანამდე შეუქმნეველ მხარეებზე, სულიერად ამოიღებს ის მკითხველს.

ა. ბელიაშვილი ყოველთვის თანმიმდევრად არ მიდიოდა რეალიზმის გზით, ხანდახან იგი ლალატობდა ცხოვრების სიმართლეს. მისი ადრინდელი მოთხოვნები — „მუხობლები“, „მამონას ცდუნება“, „უცნობი“, „ქორორა“, აგასტროლორი პრევიციამა“, „წერილი და გვირგვინი“, „ქუთათურთა ფანდები“ ფორმალისმის ნიშნით იყო დაწერილი. მწერალი უფრო მეტად ჩერდებოდა თვითონ ფაქტებზე და არა იმაზე, თუ ეს ფაქტები რა გარდატეხის იწვევდნენ პერსონაჟის სულიერ ცხოვრებაში. არსებობდა მთავარი ამბავი ფარდის მიღმა ზღვებთან, ნაწარმოებში კი ამის შესახებ მხოლოდ გაკვირბით იყო აღნიშნული. ა. ბელიაშვილის ამ მოთხოვნებში მთავარ ყურადღებას იქცევდა არა ამა თუ იმ მოვლენის საზოგადოებრივი აზრი, სოციალური ბუნება, არამედ მოულოდნელი სტრუქტურის შექმნა და შემთხვევების „გაუცნაურება“. მკითხველი ზედადა, რომ ცხოვრებაში ადამიანებს არ შეეძლოთ ისე მოქმედება, ისე ლაპარაკი, როგორც ზოგჯერ ამის ხატავდა ა. ბელიაშვილი. იგი ზშირად არც საკითხებს აყენებდა სწორად და მოფიქრებულად, სინამდვილის წინააღმდეგობებში ღრმა ჩაწვდომით. ზემოხსენებულ ნაწარმოებებში შეინიშნებოდა გაურკვეველობა, სახეების ბუნდოვანება; არცთუ იშვიათად გამარტივებული იყო საბჭოთა ადამიანის სულიერი ცხოვრება.

შემდეგი დროის მოთხოვნებში ა. ბელიაშვილი დასთანა წინათ მისთვის დამახასიათებელი სტატიკური, ემპირიკული მიდგომა სინამდვილისადმი. უკანასკნელ ხანების ნაწარმოებებში იგი სინამდვილეს გვიჩვენებს როგორც ბრძოლას ახლისა ძველთან; ამ ბრძოლაში ახალი იპარაკებს, იბრძება. მწერალმა უნდა იცოდეს, რა არის საყვარელი და რა არის საძულველი, რას იცავს და რას ებრძვის იგი მხატვრული სიტყვის საშუალებით. მწერალი უნდა ეხმარებოდეს მკითხველს, გაავსოს ახალი მოვლენების ისტორიული აზრი, მნიშვნელობა და მისი განვითარების ტენდენციები.

ა. ბელიაშვილი დაჯილდოებულია სატირის მახვილი გრძნობით. როგორც ცნობილია, სატირის სტიქია სიცილია. მისი ამოცანაა ბოროტების დაღიწვია, გაიკიცვა. საბჭოთა ადამიანის ფუნქციები შედარდება ცხოვრების პრაქტიკაში, წინააღმდეგობების დაძლევაში. დიდია ამ საქ-

მეში როლი სატირისა, რომელმაც უნდა ახლოს და ამოწვას ყველაფერი, ყველაფერი ძველი, რაც ხელს უწყობს წინსვლას. საბჭოთა მწერლისათვის სავალდებულოა აქტიური დამოკიდებულება თავისი გმირებისადმი. ჰუმანიზტი სატირა ყოველთვის განამტკიცებს დიდებით საწინააღმდეგო, მხარის უჭერს მოწინავე ტენდენციებს საბჭოთა საზოგადოების განვითარებაში, მაგრამ, ამავე დროს, ის მორალურად ანადგურებს ბოროტებას. საბჭოთა სატირა იბრძვის ახლის განმტკიცების და გამდიდრებისათვის. ამგვარად, საბჭოთა სატირა არ იფარგლება მარტოოდენ ურყოფითის ჩვენებით. მასში ორგანულად არის შესული ორი მომენტა: კრიტიკული და განამტკიცებელი. ამხილებს რა ყოველივე ურყოფითს, საბჭოთა სატირა გამოხატავს ორმა რუმენს ჩვენი სინამდვილისადმი, მისი იდეალისადმი.

მძღვრი სატირული საღებავებითაა შესრულებული მოთხოვნები: „ქსენოფონტეს გასაქირი“, „ისტინენს ხაფანგი“, „პედის უკუდმართობა“. მათში სატირის სიმამრე მიმართულია ძველი ცხოვრების გადმონათების წინააღმდეგ. იუბრტეს ხაფანგიში ძველად ბევრი ახალგაზრდა მოხვედრილა. მისი ხელობა იყო მეფის უკარიდან ოცდაათ თუნდად კაცის გამოსხნა სხვადასხვანაირი თაღლითობის საშუალებით. საბჭოთა სინამდვილეშიც აღგზა მას სურვილი განეგრძო ძველი ხელობა. ამ მიზნით იგი ეძებს „კლიენტებს“, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მოსიყვარულე ახალგაზრდისაგან ასეთ პასუხს ღებულობს: „აბა, შე ჩერჩეტო, შე საში დღეა იმაზე ვწავლობ და ვიკლავ თავს, რომ როგორმე ჩვენი სასახლო საბჭოთა არმიში წამიყვანოს, ისხლის ძარღვების განავიერება ვაჭვოს, არ მივუფართ და შენ კბილები უნდა დამაძრო? მაშინვე მიგახვილი, რაეარი ვაძებატონი ბრძანდებოდი და დასარწმუნებლად გამოცადე...“ ამ მოთხოვნაში მრავალი დამახასიათებელი, ცხოვრებაში დანახული დეტალია, რომლებიც გადმოცემულია ბუნებრივად.

ა. ბელიაშვილის მოთხოვნების თემიტიკა მდიდარი და მრავალფეროვანია. ბევრ მთვანს ახასიათებს მისწამწწონილი, მოციქრებული შერჩევა სასიცოცხლო ფაქტებისა, მტიციე ლოგიკა და მხატვრულობა. ზოგი მისი მოთხოვნა შეეხება რუსთაველსა და მის „ვეფხისტყაოსანს“ („ამბავი რუსთაველისა“, „დაქარგული წიგნი“), ზოგიც მენშევიკების ბატონობის მწარე სინამდვილეს („აგარატა“, „წყალწილებული“, „სპარტაკელი“); ა. ბელიაშვილის მოთხოვნების უმრავლესობა კი ამასავს თანაგრძობობის, საბჭოთა ადამიანებსა და მათს შრომას.

ორიგინალური მოფიქრებით და შესრულებით ხასიათდება მოთხოვნა „პირველი პაემანი“, რომელშიც ისახულია საბჭოთა ახალგაზრდა მწმის სასახლო შრომისა და კეთილშობილური სახეარულის ამბავი. ლიტერატურული გმი-

რო თავისი ბუნებით ცოცხალ სინამდვილეს უნდა გამოხატავდეს. აქ საკირო არ არის რეცეპტები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აყოს იგი წარმოდგენილი რა და რა დროით უნდა იყოს მოცემული მისი ხასიათის სხვადასხვა თვისება (დადებითი და უარყოფითი, კარგი და ცუდი), სინამდვილიდან აღებულ გმირში ჟველაფერი ბუნებრივად არის შერწყმული და გამოძლეავენული. შერეაღს ევალება, ასახოს ეს თვისებები და ნიშნები. ახალგაზრდა გიორგი მონივრე მეშა-გამომგონებელია, ის შეუკარბულია თალიკოვზე. მასში ჩვენ შევიტყობთ კუშპარიტა, პარზონიულ გმირს.

ა. ბელიაშვილი გამომოცევა სულიერი სამყარო ახალგაზრდა ადამიანისა, რომელიც მცირეწლოვანობის გამო არ გაიწვიეს ჯარში და ამისათვის იგი დიდად შეურბებელია, მაგრამ შეხედვებ რწმუნდება, რომ გმირობის გამოჩენა, სასახელო სამშობლო სამშობლოს საკეთილდღეოდ შეიძლება არა მარტო ფრონტზე, არამედ ზურგშიაც. ეს იღეა წარმართავს მოთხრობის მთელ შინაარსს. ა. ბელიაშვილის მოთხრობებში თითქმის ყოველთვის ნათლად წარმოგედგებათ მოქმედი გმირის პორტრეტი. ასეა ამ შემთხვევაშიც.

ცხოვრების რეალისტური სერათია გადმოცემული „ციკლაში“. აქ ნაჩვენებია, თუ როგორ შესცვალა რევილუციამ ათი ქალის შშობლის ოჯახის ყოფა. ეს ნაწარმოებმა ხასიათდება სასიციცხლო მასალის ფართო ათვისებით და მხატვრული ბერბების თავისებურებით.

ა. ბელიაშვილის მოთხრობები გამსკვალელია ნათელი, მსუბუქი ჰუმორით და ნახა ღირსშით. იგი თავისი პერსონაჟებისათვის თითქმის ყოველთვის ქმნის მკეთილ-კონტრასტულ, დრამატულ მდგომარებას. მისი მოთხრობების სიუჟეტი ჩამოყალიბებულია ძირითადი გმირების გარშემო. მათი შეჯახება, ბრძოლა არის განვითარების საფუძველი. საბოლოოდ ნაწარმოების ყველა ხაზი თავს იყრის არსებითში.

ჩერნიშენსკი მძაფრად აკრიტიკებდა იმ შერეულებს, რომლებიც ვერ ახერხებდნენ შემკიდრობულად და ზუსტად გადმოცემათ სინამდვილის რეალური მოვლენები. ყველა იმ უარყოფისაგან, რაც შეინიშნება თანამედროვე ლიტერატურაში, ყველაზე გავრცელებულია გაქაზრება და ამის აუცილებელი შედეგია — სურათების სიფერპრიალე. სცენების მოდუნება, სიკაღიერე და დამქანცელობა მთელი ნაწარმოებისა. გვონათ, თითქმის ყოველი შერეული (ტნიკობების შესახებ ჩვენ არ ვლაპარაკობთ, მაგრამ საშუებარა, რომ დიდი ნიქით დაჯილდოებულნი უნეოებთან ერთად ამტკავებენ ამ სისუსტეს) თელის შეუდარებლად ძვირფასად ყოველი გამოთქმით, რაც კი გაიქვებს მის თავში, ყოველი წერილმანით, რაც კი შაგონდება, გაამიდროს თავისი მოთხრობა; გვონათ, რომ იგი თავისთავს ჩასთვლის დამნაშა

ვედ, თვითმცვლელად, მიმტაცებლად თუ მოკლებს შეითხველს ერთ იმ ძვირფას აშავთავგანს, რომელიც ასე ერთფეროვანად გაიშდის, მისი კალიბრან“ (ნ. ჩერნიშენსკი) სიშვიტროვესა და სიზუსტესთან ერთად ა. ბელიაშვილის შატხრობებს, ახასიათებს უადრესი კონკრეტულობა.

აკავი ბელიაშვილის რომანები — „თავგადასავალი ბესიკ ვაბაშვილისა“ და „ოქროს ჩარდახი“, გვიხატავს ქართული ხალხის მისწრაფებას რუსეთთან დაკავშირებით, ამ ნაწარმოებში ასახულია, თუ როგორ მზადდებოდა ისტორიულად საქართველოს შესვლა რუსეთის მფარველობის ქვეშ.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოსათვის განსაკუთრებული მდგომარეობა შეიქმნა. იგი პოლიტიკურად აღარ წარმოადგენდა ერთ მთლიან სახელმწიფოს. ისედაც პატარა ქვეყანა დაყოფილი იყო წვირლ სამეფოებად და სამთავროებად.

ქართველობა შეუპოვრად ებრძოდა გარეშე შტრემს, მაგრამ მისმა მულდომიმა ვაჰანაღურებელმა შემოსევებმა დააუძლურა ქვეყანა. საქართველოს შავნით კი იშხანად გაძლიერებულა იყო ფეოდალური განცდრობისა და გათიშვის ტენდენციები. ფეოდალური შუღლი და დინასტიური ინტრიგები ზღბეობდა ქვეყნის დაცემას ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

შინაგანი მთავების მეშვეობით შეუძლებელი გახდა ფეოდალური რეაქციის აღავშვა და გარეშე შტრემთან გამკლავება. გონიერი ქართველი პოლიტიკური მოღვაწენი, რომელიც გამოხატავდნენ მთელი ხალხის მისწრაფებას, ცდილობდნენ გამოეყნათ ქვეყანა მძიმე მდგომარეობიდან. საქართველოს რუსეთთან დაკავშირება იყო ერთადერთი სწორი, პრაგატისული ვხა.

ა. ბელიაშვილი თავის რომანებში გვიხატავს ამ გარდატეხის ხანას.

მიუხედავად იმისა, რომ ა. ბელიაშვილის პირველ რომანს — ეწოლება „თავგადასავალი ბესიკ ვაბაშვილისა“, ის შინიც არ არის ისტორიულ-ბიოგრაფიული ნაწარმოები. „თავგადასავალი ბესიკ ვაბაშვილისა“ და „ოქროს ჩარდახი“ შეეხებათ ფართე ისტორიულ-საზოგადოებრივ მონაკვეთს ა. ბელიაშვილი ვერჩენებს ფეოდალური საზოგადოების ვითარებას, განაპირობების მისწრაფებას ქართულ არისტოკრატიაში, მის ბრძოლას ცენტრალისტური ხელისუფლების წინააღმდეგ. ცნობილია, რომ მეფე ფრეკლე ამორკალებდა თანამედვეარ ღონისძიებებს ქვეყნის განმკიცებისა და დამოუკლებლობისათვის, ზღუდავდა სათავადოებს. რომლებშიც საყრდენი იყო ფეოდალური ჩამორჩენილობისა, რეაქციული ფენებისა. ა. ბელიაშვილის ნაწარმოებებში ერცელეს ღლიდ ადგილი უქრავს. როგორც თვითონ ავტორი ამბობს, მს ქონდა სურვილი დავახტა „ერცელეს მონუმენტურობ

პორტრეტი, როგორც შეივის, როგორც ადამიანის, როგორც სარდლის".¹ მართლაც, რომანში მკითხველი ნათლად ხედავს ნიკეიას და ვინაიერა სახელმწიფო პოლიტიკის სახეს.

ბესიკი, რომლის სახელიც ეწოდება რომანს, ვერ არის დაბტული სოციალური მკითხველი გრძნობს, რომ მის წინაშე გამოჩენილი პიროვნება, რომლის გრძნობებაც მრავალფეროვანია, ხოლო აზრები — შინაარსიანი, მაგრამ სწორედ ეს თვისებებია გაუხსნელი ნაწარმოებში. ბესიკის სულიერი სამყარო, რომ მეტი სიღრმით უფილიყო გახსნილი, მაშინ ის პრაბლემები, რომლებსაც ეხება მწერალი, უფრო დიდი ეფექტის მომხდენი იქნებოდა. ბესიკი რომანში თავიდანვე გამოჩნდება საცხებით ჩაშთალებულ პიროვნებად.

მთლიანი საქართველოს პოლიტიკური იდეალი, რომელსაც პირველხანებში თანაგრძნობს ბესიკი, შემდეგ თანდათან მკრთალდება და „კურსის ჩარდაში“ უკვე საცხებით გაქრულდება. იგი მიემგზავრება სპარსეთში, რომ ჩამოყვანის ვრცელს მოქიშვე ალექსანდრე ბაქარისძე. ამ ცდას, რომელშიაც ქართული რაქციული თავადები იყვნენ ჩაბმული, მარცხი განსილდა.

უფრო მეტი რელიეფურობითაა დაბატული ეპიზოდური პერსონაჟები. დავუწიკათა როსტომ ერისთავის სახე; კარგადაა გამოკვეთილი დავით ორბელიანისა და ლეონ ბატონიშვილის პორტრეტები.

ა. ბელიაშვილს განსაკუთრებით ეხერხება ბატალური სცენების დახატვა. დიდი მხატვრობით და დამაჯერებლობით არის წარმოდგენილი ასპანძის ომის ეპიზოდი. ბრძოლის მიმდინარეობის სურათები ლოგიკურად და სიმართლით ავიისაბენ ისტორიული წყაროებით ცნობილ შემთხვევებს; უფრო სუსტია რბის ბრძოლის სურათები. ამ ნაწილში ა. ბელიაშვილი ცოტა სხვაგვარად იმუიროებს იმავე ეპიზოდს გადაცმული ტყვეს შესახებ, რომელიც მოთბობილი აქვს ნ. ლორთქიფანიძეს არანდებში.²

ა. ბელიაშვილის ისტორიულ-ფილოსოფიურ კონცეფციასი შეინიშნება არსებითი ხასიათის სუსტი მხარე. მწერლის მიერ გამოჩენილი ისტორიული მოღვაწის სახე შეიძლება გახსნილი იქნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ავტორი მართებულად გვიჩვენებს ხალხის ისტორიულ ბედს.

ჩვენი ლიტერატურის ამოყანა მოწინავე მსოფლმხედველობის საფუძველზე გვიჩვენებს ხალხი, როგორც ისტორიის შემოქმედი. საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებები ხალხი ნაჩვენებია არა როგორც „უსახო მასა“, არამედ როგორც ცოცხალი და რთული

სამყარო რეალური, თავისებური ადამიანებისა. თანამედროვე მწერლები მასებში ხედავენ ისტორიული პრაგრესის მამოქრეველებს, მშრომელი ადამიანი არა მარტო მხატვრული ღირებულების შემქმნელია, არამედ იგი კმნის კულტურულ, მხატვრულ-ესთეტიკურ ღირებულებასაც. ჩვენმა მეცნიერებამ ამხილა ბურჟუაზიული თეორიები, რომლებიც ამტკიცებენ ხალხს როგორც უსახო და ინერტულ მასას, ამხილა ნაროდნიკულ-სემიოტიკისტური თეორია „გმირებისა“ და „ბრბოს“ შესახებ. მაგრამ, ამავე დროს, ჩვენ არ უარყოფთ გამოჩენილი მოღვაწის როლს ისტორიაში, მის გავლენას საზოგადოებრივ განვითარებაზე. გამოჩენილმა მოღვაწემ დადებითი გავლენა ისტორიაზე შეიძლება მოახდინოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მართებულად გამოხატავს საზოგადოებრივი განვითარების დღის წესრიგში დასმულ ამოცანებს, ხალხის მიწრაფებას. საბჭოთა მწერლის მიერ გამოჩენილი ისტორიული მოღვაწის სახე შეიძლება მართებულად იქნეს გახსნილი მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი სიმართლით გვიჩვენებს ხალხის როლს. თანამედროვე ისტორიულ რომანში წარსულის მოღვაწეთა სახეები წარმოდგენილი უნდა იყოს მთელი თავისი მნიშვნელობით, თავიანთი ცხოვრების მთავარ საქმეებში. რამდენად დიდია მწერლის მიერ ნაჩვენები ისტორიული მოღვაწე, მით უფრო ფართო და მრავალფეროვანია მისი კავშირი ისტორიულ სინამდვილესთან.

თითო ხალხი, ხალხის ცხოვრება ა. ბელიაშვილის რომანებში მკრთალადაა წარმოდგენილი. ხალხი, გლეხები არავითარ არსებით როლს არ ასრულებენ ამ რომანების სოცეტებში. ქვეყნის განმტკიცება, მისი პოლიტიკურ-ეკონომიური გაძლიერება გლეხთა საკითხის მოვარებას ვარემე შეუძლებელი იყო. იმხანად ბატონისა და ყმის ურთიერთობას მწვავე კლასობრივი ბრძოლის ხასიათი ქონდა. გლეხები თავგამოდებით ებრძოდნენ ბატონების უსამართლობას და იარაღთ იკადნენ თავიანთ უფლებებს, როგორც მკვლევართი მიუთითებენ, ვრცელ პირდაპირ ვრცოდა ბატონისა და ყმის დამოკლებულებში, რაც იწვევდა თავადებს გელისწარომსა და წინააღმდეგობას. ეს იყოთ ვარემეება, რომ მისი მხატვრულად ჩვენება აუცილებელი იყო.

ა. ბელიაშვილი იჭრიულ ფაქტებს ყოველთვის არ ვადმოგვეყმს ზესტად. ავტორის მიუთითებს, რომ გიორგი ბატონიშვილის იმ სახით დახატვა, როგორც ეს რომანშია, ვრთგვარად ეწინააღმდეგება ისტორიულ სიმართლეს; სადევრდა დახატული ლონ ბატონიშვილიც; როგორც ვიცით, ანტონ კათალიკოსისა და ზაქარია გამაშვილის ამბავი სატორული ფორმით აღწერილია პოემაში „კატის ომი“. მაგრამ ეს პოემა დაწერილია არა ზაქარია გამაშვილის მიერ, არამედ, როგორც ამ უკ-

¹ ა. ბელიაშვილი, ერთი კრიტიკული სტატიის გამო, „მნათობი“ 1952 წ. № 12.

ნასკნელ ხანებში გამოარკვია მკვლევარმა ტრ. რუხაძემ, ისაყ მკითხეს მიერ.

ა. ბელიაშვილი ფართოდ იყენებს ლეტალს, როგორც გმირების დახასიათების საშუალებას. ზნობად ამა თუ იმ მხატვრულ ლეტალში დაფარულია რთული ფსიქოლოგიური და სოციალური შინაარსი. ლეტალი გუბნაბრება, უფრო სრულად დაენახათ აღამანი, გავიგოთ მისი სულიერი დამახებულია.

უწყალოდ მხატვრული ღირსებებით გამოირჩევა ა. ბელიაშვილის პეიზაჟები. მწერალი ზუნებს გადმოგვეყვას რეალისტურად, ზუსტი და ემოციური გამოსახულებით. მის რომანებში პეიზაჟი ყოველთვის ემსახურება პერსონაჟების მხატვრულ დახასიათებას.

ა. ბელიაშვილის ბოლოდროინდელი რომანი „უღელტეხილი“ წარმოგვლდგენს სამამულო ომის ხანას. ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირია ახალგაზრდა ინჟინერი დავით ბეჭიაი. ქორწინებიდან ერთი თვის შემდეგ მას გამოირჯა ცოლი. შეწუხებულმა ბეჭიაიმ ამის შემდეგ მსამუშაო აირჩია მივარდნილ მთებში — მალარბებში, სადაც ახლად იწყებოდა მდინეულთა დამუშავება. რთულსა და მძიმე პირობებში ახალგაზრდა ინჟინერი აგებულებს ორგანიზატორულ ნიჭს. სამამულო ომის წლებში, როდესაც მტერი კავკასიონს მოუპოვებდა, დავით ბეჭიაი მოამარცხ თავის სამუშაოს და მას, როგორც მთავალს, სამხედრო სარდლობისაგან დაევალი კავკასიონის მიუვალ ადგილებში საბჭოთა ჯარის ნაწილების გადაყვანა. ბეჭიაიმ ეს დაეალება პირნათლად შეასრულა და ბიზადდაც დიდი გონიერება და ვაჟკაცობა გამოიჩინა. ჩვენი ჯარის ნაწილებთან ერთად იგი ზრდილეთ კავკასიაშიც მისდევდა დამარცხებულ მტერს. ამ ზრდილებში ის დაიჭირა და განურთების შემდეგ კვლავ თავის ძველ სამუშაოს დაუბრუნდა.

„უღელტეხილი“ არ დგას ა. ბელიაშვილის, როგორც მწერლის, იდეურ-მხატვრულ შესაძლებლობათა სიმძლავრეზე. იქმნება ისეთი მთავებულობა, თითქოს ამ რომანის პერსონაჟების დიდი ნაწილი მოკლებულია ტიპიურობის ნიშნებს, ისინი წარმოადგენენ ჩვენი სინამდვილისათვის არადაძახასათებულ „ფსევრის“ ადამიანებს. ა. ბელიაშვილისათვის ამ რომანის მიხედვით უზარალო შემთხვევაც კი ნამდვილი და სრული, სიმართლეა. მაგრამ როგორც მიუთითებს მაქსიმ გორკო, შემთხვევა, ფაქტი ვერ კიდევ არ არის „მთელი სიმართლე, ის მხოლოდ ნედლეულია, რომლისგანაც უნდა გამოვყავანოთ, ამოვკრიფოთ ნამდვილი სიმართლე ხელოვნებისა“. მხატვრულ ნაწარმოებში ფაქტი უნდა შედიოდეს, გარკვეული თვალსაზრისით. რევაზ გაეაშელი, ლილი, გრიშა ჯაგნიძე, ყორა რაგანივი არსებითად წარ-

მოადგენენ „ზედმეტ ადამიანებს“, რომლებიც გამოხატავენ ყოველივე მანკიერს, ანტიანთო-გადოებრივს. პროფესორ გეგაშვილი უწყინლო რევაზს განუბიერებელი, უქნაბის — მარტოქმედას. მას არ მოქმედებს არავითარი ამაღლებული დაკეთილშობილური. მაშინ როდესაც ჩვენი საუკეთესო ახალგაზრდობა სამამულო ომში სისხლს ღვრიდა სამშობლოს დასაცავად, ამ ღირსის ქებაზე გაეაშელი ლაღობდა საეჭვო სიყვარულს ბეჭიათან, თავს ირთობდა ზარის თამაშით. იგი ცხოვრებიდან ამოვარდნილი პიროვნებაა და ამიტომაც მან ბუნებრივად დაამთავრა თავისი ხანმოკლე სიცოცხლე. ამ ცხოვრების ხორცშემკის გვერდით დგას ლილი — დავით ბეჭიაის ყოფილი მეუღლე, რომლისთვისაც ცხოვრებაში არ არსებობს არაფერი, გარდა პირადი სიამოვნებისა. იგი უქნარა, ქარაფშუტა და განუბიერებელია. მან მთელი თავისი პიროვნება გაათვლინა გაიძვერა რევაზ გაეაშელს. მაგრამ, სამწუხაროდ, თვითონ ამას სრულიად არ გრძნობს.

„უღელტეხილის“ ამ ორი პერსონაჟის სახე მკვეთრად აყენებს აღზრდის პრობლემას. ოჯახის, შშობლების როლი ახალგაზრდობის ფორმირების საქმეში მთავარი, გადამწყვეტია. შშობლები ღირსეულ ხელშეწყობას ვერ უწყვენ და ვერც რევაზ გაეაშელს და ვერც ლილის, რამაც გამოიწვია მათი დაღუპვა.

„უღელტეხილში“ ფსიქოლოგიურად არ არის მომზადებული მრავალი სიტუაცია. არ იქნებოდა მართალი გვეთქვას, რომ ა. ბელიაშვილის რომანის გმირები არ ფიქრობენ, არ აზროვნებენ, მაგრამ ეს ფიქრები და აზრები გადმოცემულია კონსპექტურად. არც დიალოგში არც მოქმედებაში არ მოჩანს გმირის დამამახსოვრებელი მთლიანი სახე. რომანის თვით მთავარი გმირის — დავით ბეჭიაის ცხოვრების ისტორია ომიდან დაბრუნების შემდეგ როგორღაც მოუღაღნედა წყდება.

ა. ბელიაშვილის ნაწარმოებებში აქა-იქ გვხვდება მანერული და პრაგინციული გამოთქმები. ალაგ-ალაგ ა. ბელიაშვილის ენას ზედმეტი გაუზრალავა ემსწევა.

ჩვენ უნდა ვებრძოლოთ სალიტერატურო ენის დამახინჯებას, მაგრამ, ამავე დროს, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს პუჩინშინის სამშობლო. ბრძოლა ქართული ლიტერატურული ენის სიმინდისათვის და პურიზმი ერთმანეთთან შეუთავსებელია. მისწრაფება — გაავითვისოთ სუფილით ენა — ბარბაროზებისა და ვულგაროზებისაგან, უხეირო ნოვატოროზისა და ნატურალიზმისაგან — ეს, ამავე დროს, გულისხმობს ენის განვითარებას და მის სრულყოფას ხალხურ საფუძველზე.

ა. ბელიაშვილი თავის საუკეთესო ნაწარმოებებში ჩვენ გვევლინება, როგორც ენის მკობნი და მალანტივიტა ხელოვანი.



სალიტერატურო ენის ხალხურობისათვის

ენათმეცნიერების საკითხებისადმი მიძღვნილ წარმოდგენებში ი. სტალინმა ხაზგასმით აღნიშნა, რა მჭიდრო კავშირი არსებობს ენასა და მის შემოქმედ და მატარებელ ხალხს შორის.

ამგვარად, ენის სიკოცხლისუნარიანობა ხალხთან მჭიდრო კავშირით განისაზღვრება. სალიტერატურო ენის განვითარებაც ხალხის მეტყველებასთან სისხლხორაკველია კავშირის გარეშე წარმოუდგენელია.

სალიტერატურო ენის ხალხურობის მოთხოვნა იმას ნიშნავს, რომ სალიტერატურო ენამ უნდა მისდლოს სასაუბრო ენის განვითარებას, უნდა შეითვისოს ხალხის მეტყველებითი კულტურის მიღწევები, უნდა გამოავლინოს ის საუბრეთესო თვისებები, რაც ცოცხალ მეტყველებას აქვს ზრის უფრო ზუსტად, სწორად და ემოციურად გამოსაქმელოდ.

ახალგაზრდა მწერლების აღმანახში დაბეჭდილ ერთ-ერთ ლექსში გვხვდება ასეთი პათეტური შეძახილი: „რა კარგია განთიადი დილით!“ ეს სტრიქონი მოგვაგონებს შორე კითხვად ხალხურ ლექსს, რომელსაც ერთ ხანს ბაიათის მოტივზე მღეროდნენ და ასე იწყებოდა:

მწყემსსა დედა აღვიძებდა
განთიადის ალიონზე...

მაგრამ სწორი არ იქნება ამ ცრუხალხური ლექსით უცადლო ახალგაზრდა პოეტის გამართლება: აქო და, მსგავსი რამ ხალხურ ლექსშიც გვხვდება. ეს იქნებოდა ხალხურობის ყველაზე მცდარი და უაღბო ვაგება. ზემოთ მოყვანილი ფრაზა შეუძლებელია დამახასიათებელი იყოს ხალხის მეტყველებისათვის. საბჭოთა განტავსებით ნამდვილი ხალხური პოეტური მეტყველების ნიმუშება შემთხვევითი ფრაზებისაგან, თორემ ზელადებით მოპყრობამ შეიძლება ზშირად მიგვიყვანოს ამგვარ კერიოზებაში. აი კიდევ რაიოდე ანგედოტური მაგალითი ენისადმი შეუწყნარებელი უყურადღებობისა ერთი თეატრალური რეცენზენტის იუწყებოდა, რომ ესა და ეს მსახიობი „გულწრფელი გატაცებით თამაშობს ახალგაზრდა პატარა ბიჭის როლსაო“, რუსულიდან თარგმნილ ერთ-ერთ ლექსს „ამწვენებდა“ ასეთი სტრიქონი: „ჯოლებთან ერთად აისრულებ ნანატრ საწადელს“.

ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რამოდენა უპრობაა ამ ფრაზებში: „ახალგაზრდა პატარა ბიჭი“, „ნანატრა საწადელი“, „განთიადი დილით“.

მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ზემოხსენებულთა მსგავსი დამახინჯებანი არ წარმოადგენენ დიდ საფრთხეს, რადგან ყოველი ქართულის მცოდნე ადვილად შეამჩნევს ამგვარ შესიტყვებათა უაზრობას. მაგრამ აქ კარგად ჩანს, თუ სადამდე მიდის ზოგჯერ ენისადმი უსულგულო დამოკიდებულება. ამგვარ დამოკიდებულებას კი გაცილებით დიდი ზიანი მოაქვს ენის ფართო სფეროში, თანაც ისე, რომ მისი გამოამყარება ხშირად საკმაოდ ძნელია.

ვარგა თუ არა, მაგალითად, ასეთი გამოთქმა: „ქუჩაზე პატარა ბიჭი დგას?“ ქართულის ყოველი მცოდნე იტყვის, რომ უნდა იყოს „ქუჩაში დგას“ და არა „ქუჩაზე დგას“, მაგრამ რატომ, ეს უკვე არც ისე ადვილი დასამტკიცებელია. სამისოდ საჭიროა გავითვალისწინოთ ის სტილისტური ნიუანსი, რაც განასხვავებს გამოთქმებს: „გზაზე დგას“ და „გზაში დგას“ (ერთეული: „გვადი გამოსწორება გზაზე დგას“, მაგრამ „გვადი გზაში დგას და მარიაშს ებასება“). ძნელია დავა ასეთი ფრაზის აეტრათანაც: „შარვალი აიყვია და მღონარის განაყადი გადარა“. აქ თითქმის ყოველი სიტყვა სწორად და ნახშირი და რაიმე ენობრივ დამახინჯებას ადგლი არა აქვს, მაგრამ ხალხური მეტყველების მცოდნე ადამიანი ნაცვლად ამისა — „შარვალი აიყვიაო“, იტყვია: „აი-კარაზა“, „მღონარის განაყადის“ მაგიერ იხმარად „ფშანს“ ან „ტოსს“, „გაიარას“ ნაცვლად — „გატოპას“. რამდენად უფრო მეტ ემოციურ ძალას შეიძენდა მაშინ ფრაზა, რამდენად უფრო მოკვეთილი და შთაბეჭდვითი გახდებოდა იგი! ამგვარ დეტალებში ვარკვევა მოითხოვს სწორედ ცოცხალ სასაუბრო ენაზე სისტემატურ დაკვრვებას, ხალხის მეტყველებითი კულტურის ცოდნას.

როგორც ცნობილია, ენას ამა თუ იმ ცნებისათვის ხშირად აქვს არა შარტო ერთი სიტყვა, არამედ მთელი წყება სინონიმებისა, რომლებიც შრავალ აზრობრივ ნიუანსს გადმოგვცემენ, აზუსტებენ და ავსებენ ერთმანეთს.

სინონიმების ხმარებასთან დაკავშირებულ საკითხებთან აქ ჩვენ შევეხებით მხოლოდ ერთ საკითხს, რომელიც მხატვრული თარგმნის პრობლემას უკავშირდება.

ორი, თუნდაც მონათესავე, ენის ლექსიკური შემადგენლობა საკვებით ერთნაირი არ არის: ამა თუ იმ შინაარსის გადმოსაცემად ერთ ენას

შეტი სიტყვა მოეპოება, ვიდრე შეორეს; ესა თუ ის სიტყვა ერთ ენაში შესიტყვებააა უფრო მეტ რაოდენობაში გვხვდება, ვიდრე იმავე შინაარსის გადმოცემა სიტყვა მეორე ენაში. მაგალითად, რუსული „ИМЕЕТ“ მნიშვნელობით ფიგურა რაც ქართული „აქვს“, მაგრამ ისინი საესპანოში არ ჭარბად ერთმანეთს, რადგან ქართულად ითქმის: წიგნი აქვს, ხოლო ქვეყანას (რუსულში ორივე შემთხვევაში ИМЕЕТ გვექნება); მამიდიის დედა და ბიოკოლას შესატყვისად რუსულში ერთი სიტყვა ТЕТЯ გვექნება; პირიქით: დიდის შესატყვისად გვექნება МАМАИМ და ВЕЛИКИЙ და ა. შ. შეიძლება და დაგვესახელებინა უმარბაი ასეთი მაგალითი, რომლებიც აღასტერებენ, რომ სხვადასხვა ენის ლექსიკონ შემადგენლობათა მნიშვნელობანი განსხვავებულია ერთმანეთისაგან.

მთარგმნელის ვალია დასძლიოს ეს განსხვავებანი და მოუძებნოს სიტყვას ზუსტი შესატყვისი მეორე ენაში. რასაკვირველია, ვარკვეულ მინიმუმს უკველი მთარგმნელი იცავს, თორემ იგი სასაცილო მდგომარებაში ჩაიგდება თავს, მაგრამ სწორედ ეს მინიმუმი დაკმყოფილებაა სავალალო ენისათვის. თუ, მაგალითად, ესა თუ ის სიტყვა, რომლის შესატყვისადაც ქართულში 5 სხვადასხვა სინონიმი გვაქვს, ითარგმნა უკველითის მხოლოდ ერთერთი მათგანის მეშვეობით, ეს იმას ნიშნავს, რომ დანარჩენ 4 სინონიმს ხელოვნურად შეუზღუდლით გამოყენების არე და თანდათანობით გაწერით ისინი დასაღუპავად, ე. ი. გაავადარებოთ ენა.

ცნობილია სტალინური დებულება ენის ლექსიკონი შემადგენლობის განუწყვეტელი ცვალებადობის შესახებ; ენას აქვდება ვარკვეული რაოდენობის მოქველებული სიტყვები, მაგრამ უმატება ვაკილებით შეტი ახალი სიტყვა საესებით ბუნებრივი და კანონზომიერი მოვლენაა, როცა სიტყვის მნიშვნელობა იცვლება, ზუსტდება და კონკრეტდება, ან როცა სიტყვა ვეღდება, თანდათან ვადუგებარი ხდება და ხმარებიდან გამოდის, რადგან ცხოვრებაში ქრება ის მოვლენა, რომლის აღსანიშნავდაც ეს სიტყვა იხმარებოდა, მაგრამ ლიტერატურული ენა ვერ შეუივდება, მისთვის კანონზომიერი ვერ იქნება ის მდგომარეობა, როცა ხელოვნურად იხლედება სიტყვის ხმარების არე, თუმცა არც შესაბამისი ცნება (ან მოვლენა) გამოქალა და არც სხვა სიტყვა დამკვიდრებულა ძველის ნაცვლად. ამ რამდენიმე ხნის წინათ რუსთაველის თარგმამ დადგა ვ. ფლენტჩერის პიესა „ესანავალი მღვდელი“, თარგმანილი ვ. ყიფშიძის (ფრონისპირელის) შერ. ყიფშიძე თავისი დროის ცნობილი მთარგმნელი და მოქართულიც იყო, მას შესანიშნავ სტილისტად თვლიდნენ და ანკარიშს უწყედნენ ჩვენს ენის ისეთი დიდი შესავურნი, როგორიც იყო, მაგალითად, ილია ჭავჭავაძე.

„ესანავალი მღვდელი“ ყურადღებას იპყრობს, სხვათაშორის, თავისუკუცხელად ფილოგეზით, ხალხური ფრაზებზე და მოქმედებებზე, სიტყვებით. და რამდენი გვხვდება მათში ისეთი, რაც დღესაც საჭიროა ჩვენი ენისათვის, მაგრამ ლიტერატურაში მას თითქმის აღარავინ ხმარობს! გვაქვს თუ არა ჩვენს, მაგალითად, შემცველი ისეთი სიტყვისა, როგორცაა ყუათი. ყუათიანი საქმელის მაგიერ შეიძლება ვიხმაროთ ნოყიერი საქმელი, მაგრამ თვით ყუათის მაგიერ ვერაფერს ვიხმარა უკეთესს.

შეიძლება დავასახელოთ ბევრი იმგვარი სიტყვა, რომელთა საბადოდ სხვა უკეთესი არ მოგვეპოება, მათ კი, საშუალოდ, სალიტერატურო ენაში იშვიათად ვხვდებით.

რა თქმა უნდა, ჩვენ სრულიადაც არ გვსურს ენის სიმდიდრისათვის უზრუნველობა ბრალად წაუყენებოთ განურჩევლად ყველა ჩვენ გვაყავს არა ერთი და ორი მწერალი და მთარგმნელი, რომელთა ენაც გვხვდება მდიდარი გამოცხადვლობითი საშუალებებით, თხრობის დინამიკურობით. უპირველეს ყოვლისა, ეს შეიძლება ითქვას თხრობის ისეთ მსატატზე, როგორცაა მიხეილ ვაჟაბიშვილი, ისეთ ბრწყინვალე სტილის მთარგმნელზე, როგორცაა გერონტი ქიქოძე. დიდი სიყვარულითა და მონდომებით ვცდიხარ სიტყვობრივ მასალას კონსტანტინე გამსახურდია. პოეზიაში ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან ვალაკიონ ტაბიძე და გიორგი ლეონიძე. უაღრესად საყურადღებოა კონსტანტინე ლორთქიფანიძისა და ლეო ქიჩინელის თხზულებათა მშვენიერი ქართული. ლექსიკის სიმდიდრით და, საერთოდ, ენის ხალხურობით. ყურადღებას იმსახურებენ გიორგი შატბერაშვილისა და ბორის ჩხეიძის მთელი რიგი ნაშარმოებები.

ენის ხალხურობის საკითხი მოიცავს არა მხოლოდ ლექსიკონის სფეროს; არამედ ენის გრამატიკულ მხარეს, მორფოლოგია-სინტაქსის სფეროსაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ენის ლექსიკონი შემადგენლობაც გრამატიკულ მხარესთან მჭიდრო კავშირში უნდა იქნეს განხილული; ის, რის ვადმოსაკვამდაც უნთ ენას ცალკეული „იტყუები მოუპოვება, მეორე ენაში შესაძლებელია გრამატიკული საშუალებებით იყოს გამოხატული. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ მაგალითი, რომელიც პრიფ. ა. შანიძეს მოჰყავს ქართული ენის შესადარებლად არაბულთან გვზისა და ორიენტაციის საკითხში:

„... ჩვენ ერთი „ვიდა“-საგან სხვადასხვა ზნისწინის საშუალებით სხვადასხვა ზნა შევიქვილია ვაკეკითოთ: შეშოვიდა, ვაკვიდა, ჩამოვიდა და სხვა, საშავიეროდ არაბულს აქსულ სხვადასხვა ფუძის ზნენი აქვს; და სხვა



ლა („შემოვიდა“, „შევიდა“), ხ ა რ ა გ ა („გამოვიდა“, „გავიდა“), ხ ა ზ ა ლ ა („ჩამოვიდა“, „ჩავიდა“). ჩვენ ზნისწინით ვარჩევთ შ ე მ ო ს ა ე ა ლ ს, გ ა ს ა ე ა ლ ს და ჩ ა მ ო ს ა ვ ა ლ ს, მაშინ როდესაც არაბულს მათ შესატყვისად სხვადასხვა ფუძისაგან ნაწარმოები სიტყვები აქვს, რომლებიც ქართულშიც არის შემოსული¹ სესხის სახით: და ხ ლ - ი („შემოსავალი“), ხ ა რ ა გ - ი („გასავალი“), მ ა ნ ზ ი ლ - ი (ქართულში მ ა ნ ძ ი ლ ა დ გადაკეთებული: ჩ ა მ ო მ ს ა ვ ა ლ ი², ე. ი. სადაც ჩამოვლენ, ანუ ჩამოხდებიან ხოლმე ცხენებიდან თუ აქლემებიდან და დაიხვეწებენ მოგზაურობის დროს, ე. ი. სადგური; აქედან შემდეგ სოგრძის ზომა სადგურებს შორის, მერმე მანძილი საზოგადოდ).

ა მ ო ვ ი დ ა და დ ა ვ ი დ ა ან ჩ ა ვ ა დ ა ლ ა, ვ ა მ ბ ო ბ თ ჩვენ მნათობთა შესახებ (მზისა, მთვარისა, ვარსკვლავისა); ამიტომ გვაქვს მარტოოდენ ზნისწინით გარჩეული სიტყვები: ა ღ მ ო ს ა ვ ე ლ ე თ ი და დ ა -ს ა ვ ე ლ ე თ ი, მაშინ როდესაც აქ არაბულს სულ სხვადასხვა ზნის მოვლებზე: შ ა რ ა კ ა („ამოვიდა“ მნათობის: მზე, მთვარე, ვარსკვლავები) და დ ა რ ა ბ ა („დავიდა“, „ჩავიდა“ მნათობი), საიდანაც ნაწარმოებია მ ა შ რ ი კ ი ანუ მ ა შ რ ა ყ ი (აღმოსავლეთი) და მ ა დ რ ი ბ ი (დასავლეთი), რომლებიც ქართულშიც არის შემოსული. „ეფესისტყაონის“ ერთ ტაეში, რომელსაც ზოგი მერმინდელ ჩანართად თვლის, იკითხება:

მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით ყოვლინ
 სეღურნი:
 კლდით ნადირნი, წყალშიგ თევზნი, ზღეით
 ნინანგა, ცით მფრინველნი,
 ანდოარამ-საბერძნეთით, მ ა მ შ ი ყ ი თ და
 მ ა ლ რ ი ბ ე ლ ნ ი,
 რუსნი, სპარსნი, მიფრანგენი და მისკათით
 შეგვაბტლნი (968).

ცხადად ჩანს, თუ რამდენი თავისუფლება ჰქონია ქართულს, რომ ერთი ფუძისაგან რამდენიმე ზნისა გააკეთოს სხვადასხვა ზნისწინის დართვით. არაბული კი იძულებულია, რომ ერთისა და იმავე მოქმედების აღსანიშნავად, რომელიც სხვადასხვა მხარეს არის მიმართული, ზნისწინის უქონლობის გამო, სხვადასხვა ფუძეს მიმართოს. ამიტომ ზნის ფუძეთა რაოდენობა არაბულში გაცილებით მეტია, ვიდრე ქართულში³.

როგორც ვხედავთ, გეზისა და ორიენტაციის კატეგორიების ასრებობამ განსაზღვრა ზნის ფუძეთა სიმკრევე ქართულში არაბულთან შედარებით. მეორე მხრით, გვაქვს ისეთი ენებიც, რომლებიც ზნური ფორმებით ღარიბია და რამდენიმე სიტყვა არის საჭირო რომელიმე

კონკრეტული მოქმედების ან მდგომარეობის გადმოსაცემად, რასაც ქართულშიც შესაძლებელია ერთი ზნისა ვყოფიყყოფიყ, მაგრამ ზნისწინით არ აყვარებენ ხოლმე და სხვა ენათა გაკუთნით ქართულ ენას ამახინჯებენ ასეთი სინტაქსით: „წყალი მიმოქვევას ახდენს“, „მავესებებს აცრა გაუკეთეს“, „ავიდაფერი მელმეღე მოძაობისა და ევალებადობას განიცდის“ და ა. შ. 1.

ცნობილია, რომ ქართული ენის სიმძიმის ცენტრს წარმოადგენს ზნისა, რომელიც მრავალსაიანიია, ე. ი. შეუძლია ერთდროულად რამდენიმე პირი გამოხატოს (მოქმედი და სხვა მოქმედო, ე. ი. სუბიექტური და ობიექტური პარტები). როგორც პროფ. ა. შანიძე აღნიშნავს, „მრავალპირიანობას მჭიდროდ უკავშირდება ზოგიერთი კატეგორიის გამოხატვა: გვარისა, ქვეყნისა, კონტაქტისა, სიტუაციისა“ (იქვე). ამთაახსნება, რომ ქართულში ზედმეტი ხდება ხოლმე ზოგიერთი ისეთი სიტყვა, რომლებიც აუკლებელი იქნებოდა იმავე ფრაზის სხვა ენაზე გადმოთარგმნისას. ეს შეეხება კერძოდ ნაცვალსაბეჭდებს, რომელთა სიჭარბეც ქართულ ენას არ უყვარს; არ უყვარს, რადგან სათანადო პირი ზნისში უპირობად ჩანს². ამიტომ იყო, რომ ილია ჭავჭავაძე თავის ერთ-ერთ „სხარტულში“ სასტიკად ილაშქრებდა ნაცვალსაბეჭდოს სიმრავლეს წინააღმდეგ, ქართულისათვის უცხო მრავლოლოგურ-სინტაქსური მოვლენების წინააღმდეგ³.

აქვე უნდა გავიხსენოთ ეს შესანიშნავი თემატა ქართული ზნისა, რომ მას შეუძლია ორგანულად, მორფოლოგიური საშუალებებით გამოხატოს, თუ ვისთვის სრულდება ეს თუ ის მოქმედება, ვისთვის არის იგი განკეთებული. რა თქმა უნდა, ენის ხალხურობა პრინციპიდან უნდა გადაბეჭდვას წარმოდგენენ ფაქტები, როცა ქართული ენის ზნის ეს მრავალფეროვანი შესაძლებლობანი სრულყოფილად არაა გამოყენებული.

ვარა თუ არა, მაგალითად, ასეთი ფრაზა: „შათი ერთადერთი ვაფიშვილი მოკვდა აცერ ისევ მაშინ, როცა ძალზე პატარა იყო?“ თითქმის რაიმე გრამატიკული ნორმის დარღვევასთან არა გვაქვს საქმე, თითქმის ყველაფერი რიგზეა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რასაკვირველია,

¹ მაგალითები მოგვეყვას რ. თვარაძის წერილის მიხედვით (იხ. გაზეთი „სახალხო განათლება“, № 84, 1952 წ.).

² ამ გარემოებას აღნიშნავდა პოეტი ი. გრემიშვილი კერძო კლდე 1920 წელს თავის ერთ-ერთ საპოეტიკო წერილში, რომელიც გაზეთ „სახალხო საქმეში“ (№ 942) დაიბეჭდა: „ქართულ ენას იმიტომ არ უყვარს ზნირად ნაცვალსაბეჭდოს ხმარება, რომ თვით ზნისში არის გადამხელი ესა თუ ის პირიო“.

³ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრულკრებული, III, 1953 წ., გვ. 346—352.

¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 258—259.

ფრაზა მაინც უფარგისია: აშკარაა, რომ ეს არის უხეირო თარგმანი, პირდაპირ გადმოტანა ქართულად იმ სიტყვებისა, რომლებიც რიგიონალში იყო. ბუნებრივი შეტყუებულების დროს კი ქართული კაცო იმავე აზრს დაახლოებით ასე გადმოგვცემდა: „ერთადერთი ვაიწყებელი პატარაობისას მოუკვდა“.

ანდა, ავიღოთ ასეთი მაგალითი ერთი ახალგაზრდა მწერლის მოთხრობიდან: „გენერალმა თავისთან მიიბოძა“. აშკარაა, რომ აქ „თავისთან“ სრულიად ზედმეტია, ჩაკი ფრაზის შინაარსი უმისოდვე ზუსტად ისეთივე იქნება, ამის ერთვის ისიც, რომ „თავისთან“ ისედაც ბუნებრივი ფორმაა და უფრო ეხამეშება. კიდევ უფრო აუტანელია იგი ასეთ კონტექსტში: „იგი თავისთან არის“. ეს არის ყოველად უხეირო კალკირება ანუ პირდაპირი გადმოთარგმან რუსული ფრაზისა „он у себя“. მისი შინაარსი მხოლოდ მაშინ შეიძლება გაეგვოდ, თუ ფრაზის უკანვე, რუსულად ვთარგმნით. ასევე უხეირო კალკს წარმოადგენს: „ლენინის ორ დღეის რუსთაველის სახელობის თეატრი“.

„შრომის წითელი დროშის ორ დღეის საქართულოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი“ და სხვა ამგვარნი. აქ პირდაპირ არის გადმოტანილი რუსულიდან ბრუნვის ფორმაც კი, მაშინ როცა რუსულში ფრაზის სხვაწარად გამართვა არ ხერხდება და ეს ზღუნვაც აუცილებელია, ზღო ქართულს ამ შესრულებას მის შესაბამისად მოვბოვება სავსებით ბუნებრივი და შესანიშნავად გამართული ფორმა (ლენინის ორდენისა... შრომის წითელი დროშის ორდენისა...), იგი, სხვა რომ არა იყოს რა, თავიდან გვაშორებს იმ უხეირობას, რასაც ნათესაობით ბრუნვება დამტელი რამდენიმე სახელის თანმიყოლებით ხმაზედა იწვევს.

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ მოწამენი ვართ სალიტერატურო ენისადმი ისეთი ძალდატანებითაც, როცა ვითომდა ენის კანონების შესაბამისად დილობენ „შეასწორონ“ დიდი ხნიდანვე დამკვიდრებული წმინდა ზღუნრი ფორმები. მაგაბლმა, შექპობის ტრაველიების ბრწყინვალე მთარგმნელმა, ერთ-ერთი ტრაველიის სათაური ასე გადმოიღო ქართულად: „ანტონიის და კლეობატრა“ (ან კიდევ: „სამსონ და დალილი“), მაგრამ როცა მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა მისი დადგმა განახორციელა, აფიშებში გამოაცხადა: „ანტონიისი და კლეობატრა“. რა თქმა უნდა, ქართულ ენაში ვინც მაინაბლის შემდგომაც ბუჯი რამ შეაკვალა და დაზუსტდა, მაგრამ არა გვერინია ეს ეხეზოდეს ზემოხსენებულთა მსგავს სახელების შეწყველებას. ამგვარი რამ გვაქვს ჩვენ და დასტურებული საერთოვე ქართული ფოლოლორისი აკრებს ალომ და ვთერო. ღმერთმა შექაარა ერთფერი“.

ამის მიხედვით დაერქვა ზ. ფალიაშვილის

ოპერასაც „აბესალომ და ეთერი“ და არა „აბესალომი და ეთერი“, როგორც მას ბოლო დროს ნათლავენ ოპერისა და ბალეტის მსახურის მსახურნი. ამგვარი „ნოვატორტობა“ ცხადმაცხადი ფრას მატებდა ქართულ ენას.

დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობაა ისეთ წველად ნახვარ გვარში, როგორცაა ერისთავ-ხოშტარია-მწერალი ქალი ანასტასია ერისთავ-ხოშტარია ასე აწერდა ხელს თავის პხზელებებს და მისთვის ეს არაიხს გავლწობრება. მწერლის სოცედილის შემდგომ გამოცემულ თხზულებებს კი აწერია: „ან ერისთავი-ხოშტარია“. საკითხავია, რატომ? ეს არ არის წერილანი. პირველ შემთხვევაში ორივე გვარითათვის ერთ მილიანად, კომპოზიტად წარმოგვადგება, მაშინ როცა მეორე შემთხვევაში ერთადერთი ა სავსებით თიშავს ამ ორ გვარს და სრულიად დამოუკიდებელ ერთეულებად წარმოგვადგენს მათ (თუკი ვიხმართ „ერისთავი-ხოშტარია“, მაშინ სხვა ბრუნვებშიც ამ წყისის თანახმად უნდა ვიხმართ „ერისთავმა-ხოშტარია“). „ერისთავი-ხოშტარის“ და ა. შ. და ვსახელოთ კიდევ ერთი მსგავსი მაგალითი: დასავლეთი გერმანია (ან: დასავლეთი ევროპა, სამხრეთი აფრიკა და სხვ.). როგორ სჯობს ვიხმართ: „დასავლეთ გერმანიის რეპლიტარიაზაციის წინააღმდეგ“, თუ „დასავლეთი ევროპის რეპლიტარიაზაციის წინააღმდეგ“? აშკარა უნდა იყოს, რომ ეს უკანასკნელი ფრაზა მოთკვლებს, იგი შეიძლება ისეც გავიგოთ, თითქმის დასავლეთი უპირისპირდება გერმანიას, დასავლეთი არის გერმანიის რეპლიტარიაზაციის წინააღმდეგე. უფოესია, როცა მსახურელს სახელობითის ნიშანი ა მოყვეცილი აქვს და თითქმის კომპოზიტად წარმოგვადგება (დასავლეთი გერმანია, დასავლეთ გერმანიამ, დასავლეთ გერმანიის...), ამიტომაც ამგვარ ფორმებს ვსწორება არ ვსაკიროვება და ის მერყეობა, რამაც მათი გამოყენების მხრივ იჩინა თავი პრესაში, ხელოვნურად ზღუნდაც ენის განვითარების ტენდენციებს.

ამემაღ ჩვენ გვსურს სპეციალურად შევიჩედეთ მხოლოდ ერთ საკითხზე, რომელიც ე. წ. ავთან და ამითან ზღუნებს შეეხება.

• ვიანი და ამიანი ზღუნები ქართულ საერთომეცნიერო ლიტერატურაში ისეთ ზღუნებს ეწოდება, რომლებსაც დართული აქვთ შესაბამისად ავ ან ამ ფორმანტები, ე. წ. თემის ნიშნები (ვპალავ, ეხნავ, ვსუამ და სხვ.). ამოვან ამ იანია სულ თხუთმეტობოდ ზღნა, ზოლო ავთან ზღნითა უკუთო საქაოდ დლიდა.
• ამ ტიპის ზღუნებს, როგორც ავთანებს ისე ამიანებს, ერთი თავისებურება ახასიათებთ: ისინი ორგვარად აწარმოებენ თვამოვითის ფორმებს; იხმარება როგორც დაუმაღავს, გავთმარსავს, დავთუპავს, დავ

უხნავეს, გაუთონავეს, შეუხვამს, დაუღგამს, დაუბამს, და სხვანი, ასევე დაუშალია, გაუპარსია, დაუხუჭია, დაუხნია, გაუთონია, შეუხვია, დაუღგია, დაუბამია და ა. შ.

ამათგან ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით კანონიერ ფორმებად აღიარებულა პირველნი (დაუშალია, დაუხნავეს, შეუხვამს და სხვ.), მეორენი კი უკუგდებულა; როგორც არასწორი, და ამგვარ ფორმებს ჩვენნი სტრასტები, რედაქტორები თუ გამოცემველნი გულმოდგინედ ასწორებენ ხოლმე, რათა სალიტერატურო ენა არ „დანაგვიანდეს“, არ შეიზღალოს.

ჩამდენად სწორად შეიძლება ჩაითვალოს ასეთი მღვთმართობა და საეპიტიო უარსაყოფი თუ არა აე-ამიან ზმნათა მეორეგვარი წარმოება თურქობითში (დაუშალია, დაუხნია, შეუხვია და სხვ.)?

ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის წარმოების ეს მეორე სახე სრულიად უცნობია, ამგვარი ფორმები შედარებით გვიანდელია, მაგრამ სწრაფად ვრცელდება და ფებს იკიდებს მთელი ხალხის სასაუბრო მეტყველებაში, აქედან კი საშუალო ენაშიც იჭრება. როგორც ბროფ. ა. შანიძე აღნიშნავს: „აჲ და აჲ მყოფობა, როცა ობიექტად მესამე პირია, მაგრამ სხვა ობიექტურ პირებში სხვა ზმნების ანალოგიით აქაც ზდება ის სუფიქსზე გადასვლა: ვენახივარ, ენახიხარ, შეიძლება შეგვხვდეს ნარევე ფორმაც — ეუნახივარ: „რატომ აღრევე არ მიწახიხარ?“ (ვაე., 270, 25); „მაჲ აქეთ აღარ მიწახიხარ?“ (ვაე., 364, 37).

ანალოგიური წარმოება შეიძლება უფრო შორსაც წავიდეს და იწმე სულ შეცვალს აჲ და აჲ არ მიწახია, არ გამოიხაია, არ დამიბია, არ მოიქვია, და მისთ: „შენთვის დამილოცნა!“ (ვაე., 312, 9) (მოსალოდნელი იყო შენთვის დამიხლოცავს; შდრ. „მომილოცავს შეილის ზედნიერება“ (ვაე., 375, 1)“.

ილია კვეკეაძის გარდა, ამ სახის წარმოება შეიძლება შეგვხვდეს მეცხრამეტე საუკუნის სხვა შუაგულია ნაწარმებშიც. მაგალითად: „ქორისფაღსავით გულზელი დაუქრეფნია და თავი ზაუქინდრიია (ს. შვალ., „ღვთა მია“, გვ. 336). ივ. მაკაეარაიანის მიერ თარგმნილ ერკმან-შატრიანის „გლუხი კაცის ისტორიაში“ ვკითხულობთ: „მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭია“ (გვ. 185). „იტკლით, ღმერთს თათისი კლათი აჲ და აჲ ბერტყიაო“ (გვ. 184) და სხვ. ამგვარი ფორმები ზმირად აქვს ნახვარი მიხ. ჯაეახიშვილს (იხ. მაგ. „არსენა მარაბღელი“, გვ. 45, 54, 89, 285, 533 და სხვ.).

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი ნორმების მიხედვით ასეთი წარმოება არაკანონიერად აღა მიჩნეული და, როგორც ვთქვით, მას ზმირად ასწორებენ ხოლმე, მაინც ამგვარი ფორმები ამჟამადაც საკმაოდ გვხვდება სალიტერატურო ენაში. ჩვენს ეურნალ გავთებში, მხატვრულსა და პუბლიცისტურ ნაწარმებში შეიძლება არა ერთი იყოს ასეთი ფორმა იპოვოთ „გაპარულა“. ზმირად ხმარობს მის. მაგალითად, გ. ლეონიძე:

რა დიდი ხანი თერმე ვასულა,
'რაც ერთმანეთი არ გვინახია.

თუ ამ შემთხვევაში სადავო ფორმები სტრასტონის ბოლოსა და შეიძლება რაიმის საკუროებას მიაწეროს ვინმე, ამას ველარ კიტყვით ზოგიერთ სხვა მაგალითზე: „მე მიწახია, ჩვენში ყოფილა, მე მიწახია ბევრი ქვეუნები“.

ასეთი ფორმები გვხვდება აგრეთვე ძველი თუ ახალი თაობის მრავალ სხვა შუგარათნაც, რომლებიც სულ სხვადასხვა ეთნის წარმომადგენლები არიან (როგორცია, მაგალითად, გ. ტუბიძე, მ. გელოვანი, რ. მარგანი, მ. ლებანიძე, ა. სულაყური და სხვ.).

ეს ფორმები არ წარმოადგენენ მხოლოდ ერთ რომელიმე კოლოს ეთნიკულებს, მის შემონატანს სალიტერატურო ენაში, ისინი დაახლოებით თანაბრად გავრცელებული როგორც დასავლეთ საქართველოს, ისე აღმოსავლეთ საქართველოს (ბარის) დიალექტებში.

საველისხმთა ისიც, რომ ზოგიერთ ზმნას თურქობითში მხოლოდ ასეთი წარმოება ახასიათებს. მაგალითად: ბოლა ვს — უბოლია, ზრწყინა ვს — უზრწყინია, ბრუნა ვს — უბრუნია, ზრუნა ვს — უზრუნია, ფრინა ვს — უფრინია, შფოთა ვს — უშფოთია, უკმავს — უუკმავია და სხვ.

ყოველივე ეს, ვფიქრობთ, იმას მოასწავებს, რომ სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით უარყოფილი ფორმები არც ისე უგარანისა და უკუსაგლები ყოფილა. საჭიროა უფრო გულდასმით დაუქვირდეთ, თუ რა წარმოადგენს ამგვარ ფორმათა გავრცელების საფუძველს.

უპირველეს ყოვლისა, აქ საჭიროა გავიხსენოთ ენათა განვითარების ერთ-ერთი ჯიგადი შინაგანი კანონი, ის კანონი, რომ ენა ყოველთვის მიისწრაფვის უნიფორმაციასკენ, ე. ი. თავიდან ბოლომდე ერთნაირ ფორმათა განატონებისკენ. აჲ და აჲ სუფიქსიანთა გარდა, მოქმედებითი გვარის ყველა ზმნა I თურქობითში იას დარითვისა: აკეთებს — უკეთებია, ამტარებს — დაუამტარებია, აღგებს — დაუაღგებია, ხსნის — აუხსნია, გმობს — დაუგმობია, ყვლდეს —

1. ა. შანიძე, დასახელებული წიგნი, გვ. 447.

უკუვლენ და ა. შ. ზუნებრივია, რომ ენა მით-
სწრაფვის ავამიან ზმნათა წარმოებად დანარ-
ჩუნებს გაუთანაბროს, ე. ი. უნიფორმაცია მო-
ახდინოს, ერთნაირი წარმოება გაბატონოს მიერ
ენაში. ჯერჯერობით ეს პროცესი ისეთ სკა-
დაშია, როცა ორივეგვარი წარმოება თანაბ-
რად გვხვდება და ძნელი სათქმელია, რომელს
ვეთუთნის უპირატესობა, მაგრამ თუ ვნის
განვითარების საერთო ტენდენციებს გაუთავ-
ლასწინებთ, მომავალი აშკარად იმ ფორმებს
ვეთუთნის, რომლებიც დღესდღეობით ხელოვ-
ნურადაა შეზღუდული და გზადახშული სალი-
ტერატურო ენაში.

ამ ფორმებთან დაკავშირებით ყურადღებას
იპყრობს ისიც, რომ თუ ზმნას ავ (ან აშ) ფორ-
მანტი ორწევრიანობაში ვადაყუა, იგი ხშირად
ორაზროვნად ხდება. შევადაროთ, მაგალითად,
ერთმანეთს: „ვარდუას დურმიშანის შვილი
მ ო უ კ ლ ა ვ ს“ და „შვილს მ ო უ კ ლ ა ვ ს“.
ფორმა ერთია, შინაარსი კი სულ სხვადასხვაა
და მათი გარჩევა მხოლოდ კონტექსტშია შესაძ-
ლებელი.

მერე რა ვუყოთო, — იტყვის კაცი, — განა
ცოტა ისეთი ფორმები, რომელთა გარჩევა
მხოლოდ კონტექსტით ხდება! ეს მართალია,
მაგრამ ენა ყოველთვის ვსწრაფვის ორბაროვ-
ნების თავიდან აცილებას და დროთა განმავ-
ლობაში გამოქმენის კიდევ საამისო საშუალებ-
ბას. სწორედ ამგვარ საშუალებას წარმოადგენს
თერმეობითის ფორმათა შეორეგვარი წარმოება:
დაუწვია, დაუსხია, დაუბია, დაუღუბია და სხვა
ასეთი ფორმები მხოლოდ თერმეობითში შეიძ-
ლება გვექნეს, მომავლის ატეხას ისინი არ შეი-
ცავენ. ამრიგად, განსხვავებულ შინაარსს ფორ-
მაც სხვადასხვა ექნება და ორბაროვნება ამ
შემთხვევაში თავიდან აცილებულია.

ცხადია, რომ ზემოხსენებული ფორმები აზა
უარსყოფი, რადგან ისინი წარმოადგენენ მთე-
ლი ხალხის შეტყველებაში გავრცელებულ
ფორმებს, რომლებიც კი არ ანაგვიანებენ სა-
ლიტერატურო ენას, არამედ, პირაქით, აშდი-
რებენ და აუმჯობესებენ მას. უნახია, დაუღუ-
ბია, დაუსხია, დაუბია და სხვა ასეთი ფორმებს
უნდა მივცეს სალიტერატურო ენაში არსებობის
კანონიერი უფლება. რა თქმა უნდა, ეს იმას არ
ნიშნავს, რომ პარალელურად არსებული უნა-
ხავს, დაუღუპავს, დაუსხაჟს, დაუბაჟს და სხვა
ასეთი ფორმები (ე. ი. ავამიანი წარმოება) უნ-
და უგულებელვყოთ და ახლა იმათ დაუწყოთ
დევნა. ორივე სახის ფორმათა ხმარებაში უნდა
არსებობდეს არჩევანის თავისუფლება და ენა
თვითონვე დაგვიანებებს — რომელს მივცემა
უპირატესობა, რომელი რომელს ვამოძღვრებ
ხმარებიდან. ეს იქნება, ჩვენი აზრით, ყველაზე

გონივრული, თუ არ გვინდა ხელოვნურად შევ-
ზღუდოთ სალიტერატურო ენის განვითარება.
შევაუსუსტოთ მისი კავშირი ხალხურკვინათ
მეტყველებასთან.

გენერალიზაცია

ა ვა მ-იან ზმნებთან დაკავშირებით აქვე ორ-
ივე სიტყვით გვინდა შევეხოთ კიდევ ერთს.
როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამიან ზმნათა
რაცხეა ქართულში ძალზე მცირად (გვაქვს სულ
15-ოდე ზმნა), ავიანებისა კი საკმაოდ დიდი-
რაოდენ ეს სიტყვის სხვადასხვა დიალექტური
წრიდან მომდინარე უნდა იყოს. ამგვამდ დია-
ლექტებში არის ცდა, რომ დამკვიდრონ ერთ-
ერთი მთვანი, ე. ი. აქაც უნიფორმაცია მო-
ახდინონ. ზოგ დიალექტში ყველგან ავ ფორმან-
ტი ბატონდება, ზოგან კი, პირაქით, ამ ფორ-
მანტი. ამიტომაც, რომ გვაქვს ერთი მზრია
ს ვ ა ვ ს, იცავეს, ახა ა ვ ს და სხვანი, მეორე
მზრიავ კი — ხნ ა მ ს, კლ ა მ ს, კრ ა მ ს¹ და
ა. შ. ამ ფორმანტთა კილილი ახლაც გრძელდებ-
და, თუმცა მისი ბედი უკვე გადაწყვეტილია
ამარჯვებს ავ, რომელიც ზმნათა უმეტესობაში
არის დამკვიდრებული და შესაძლოა ამიან
ზმნებშიც გავრცელდეს. ამის ნიშანი უკვე
გვაქვს ერთ ზმნაში, ესაა ჩანთქმა (შთანქმა),
რომელიც პირიან ფორმებში ასე იხმარება:
ნთქ ა ვ ს, შთანქ ა ვ და სხვ. ამ ბოლო
დროს ამგვარ ფორმებში დაიწყეს „დაჩაგრული“
ამ-ფორმანტის აღდგენა: ნთქავამს, — ასე წერენ
ამგვამდ, მაგრამ, ჩვენი აზრით, ტუტოლდ ცდი-
ლობენ წინააღმდეგენ ა ვ იან ფორმათა საბოლოო
გამარჯვების პროცესს, იგი ბარემ ბოლომდე
უნდა მივიდეს. თუ გასწორებაზე მიდგება საქ-
მე, უმჯობესია გავასწოროთ ჩანთქმა და ვიხმარ-
ოთ ჩ ა ნ თ ქ ე ა (შ თ ა ნ თ ქ ე ა), ვიდრე
ნ თ ქ ა ვ ს ზმნის მთავიერ დაამკვიდროთ
ნ თ ქ ა მ ს.

ასეთი ცაყვეული საკითხები, რომლებიც ხში-
რად სალიტერატურო ენაში წამოიჭრება, უნდა
ვადაწუდეს ხალხურობის პრინციპის მიხედვით.
ენის განვითარების ტენდენციების შესაბამისად
თუ ჩვენ ვნის სიმშინდის საბაზით უარ-
ყვათი ყველა სიტყვა და ფორმა, რომლებიც
დღესდღეობით დადგენილი ნორმების მიხედვით
არ მოგვეწონება, ეს არსებითად ვნის გაღარი-
ბება და სალიტერატურო ენის ხალხურობის
პრინციპთა უარყოფა იქნებოდა.

¹ საინტერესოა აღინიშნოს, რომ ასეთი ფორ-
მები ვაბატონებულია ისეთ მნიშვნელოვან ლი-
ტერატურულ ძეგლში, როგორცაა იოანე ბა-
ტონიშვილის „კალმასობა“ (იბ. კ. კვეციანი-
და ალ. ბარამიძის გამოცემა, ტ. I, 1936 წ.
ტ. 11, 1948 წ.).



ნაშრომი ესთეტიკის საპიტიზმზე

ჩვენი ლიტერატურა არ არის მდიდარი გამოკვლევებით მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის საკითხებზე. მით უმეტეს იპყრობს უტრადღებას ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გ. ჯიბლაძის წიგნი „ხელოვნება და სინამდვილე“, რომელიც შეორედ გამოიცა ამას წინათ.

ეს წიგნი უტრადღებას იპყრობს უპირველეს ყოვლისა, მასში განზოგადებული საკითხთა აქტუალობით. საკმარისია მისი სარჩევი გადათვალეროთ, რომ მან თქვენში ცხოველი ინტერესი აღძრავს. ხელოვნების „არსობა და ფუნქცია“ მარქსისტულ ფილოსოფიასა და ესთეტიკაში, ხელოვნების ბუნების მარქსისტულ-ლენინური გაგება, ესთეტიკა, მისი ისტორია და მისივე დამოკიდებულება კრიტიკასთან, პრობლემა ბუნებისა და ხელოვნების მშვენიერებისა, თანამედროვეობა ხელოვნებაში — ამ პრობლემათა ის ფართო წრე, რომელსაც ეხება სარეცენზიო წიგნი და რომელიც ცხოველი ინტერესს გამოიწვევს არა მარტო სპეციალისტთა, არამედ ფართო მკითხველთა მხრივაც. ამ წიგნზე გამოხმაურება მით უფრო სპირობაა, რომ იგი, როგორც ეს წინასიტყვაობაშია ნათქვამი, „მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის განვითარებას და შეძლებისდაგვარად დაეხმაროს აღნიშნული საგნის შემსწავლელს“ (გვ. 10). ცხადია, ეს ისე არ უნდა გაიგავთ, რომ „ხელოვნება და სინამდვილე“ წარმოადგენს ესთეტიკის სისტემატურ ტერმს. მას არც აქვს ამის პრეტენზია, რაც თუნდაც, იქნადა ჩანს, რომ მასში არსებობდა უტრადღებოდაა დატოვებული ესთეტიკის ბევრი ძირითადი საკითხი, როგორცაა, მაგალითად, ხელოვნების სპეციფიკა, მხატვრული სახე, ტიპიურობის პრობლემა, ფორმა და შინაარსი ხელოვნებაში, ესთეტიკური კატეგორიები (გარდა მშვენიერებისა), და ა. შ. კარგი იქნებოდა, რომ სარეცენზიო წიგნში ეს საკითხებიც განხილულიყო, კიდევ უფრო უწყობეს. იქნებოდა, რომ მასში განვიხილეთ საკითხებთან დაკავშირებით მოცემული ყოველივე თანამედროვე ბურჟუაზიული ესთეტიკურ თეორიათა კრიტიკა. ცხადია, ყოველი წიგნი, უწინარეს ყოვლისა, უნდა შეფასდეს არა იმით, რაც არ არის, არამედ იმით, რაც არის მასში მოცემული ვიჭრობით, ავტორის საესთეტიკო სწორიადაც მოიქცა,

როცა დააკონკრეტა და შეზღუდა თავისი აზრები და მიზნად დაისახა „გაანუქოს ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთობა, გადისწვევოს ესთეტიკის მიერ დაყენებული ძირითადი პრობლემა, კერძოდ გაარკვიოს ბუნებისა და ხელოვნების მშვენიერებათა ურთიერთმიმართება — საკმაო ნაწილში თვით ხელოვნების ფაქტებზე დაყრდნობით“ (გვ. 12) ია, შე დაეუბნებოდ, ფილოსოფიის, ესთეტიკისა და კრიტიკის ისტორიის მონაცემთა გათვალისწინებით.

ის გარეგნობა, რომ ავტორი მის წინაშე დასმული საკითხების გადამწყვეტისას ცდილობს, ერთი მხრით, დაემყაროს თვით ხელოვნების ფაქტებს და, მეორე მხრით, ფილოსოფიისა და მისი ისტორიის მონაცემები გაითვალისწინოს, ბუნებრივია და მისასაღმებელიც. ესთეტიკის მხარად უწოდებდნენ ხელოვნების ფილოსოფიას და, ცხადია, იგი მხოლოდ მაშინ გადამწყვეტს თავის საკითხებს სწორად, თუ ხელოვნებისა და ფილოსოფიის საფუძვლიან ცოდნას დაემყარება. მისასაღმებელია ისიც, რომ, როგორც თეორიულად, ისე ფაქტობრივად მასალის გამოყენებისას ავტორი არ იფარგლება დასავლეთურად და არსული მასალისა და ქართულ მონაცემებსაც ითვალისწინებს. ავტორის სასარგებლოდ ლიბერალიზმს ის ვარაუბობს, რომ სალიტერატურო თუ საანალიზო მასალად იგი იყენებს არა მარტო მხატვრულ ლიტერატურას, არამედ, ნაწილობრივ, ხელოვნების სხვა დარგებსაც (განსაკუთრებით ფერწერას). წიგნის უმთავრეს ღირსებად მიიჩნის ის უნდა ჩაითვალოს, რომ ავტორი დგას მარტოხლო მატერიალიზმის პოზიციებზე და ცდილობს შეურთავებელი ყოფს, ესთეტიკის სხვადასხვა იდეალიზტური კონცეფციის მიმართ. ერთი სიტყვით, ავტორი სწორ და საღ გამოსავალ ტენდენციებს ამჟღავნებს, მას დიდძალი მასალა დაუტარებია და ამ მასალის გააზრების საფუძველზე უცდია მნიშვნელოვანი პრობლემების გადამწყვეტა.

ამ წიგნის მიზანს არ შეადგენს წიგნის ვეღვად ღირსება-ნაკლოვნების აღნუსხვა. უფრო მეტად ჩვენ ვერც შევძლებთ წიგნის შინაარსის თუნდაც სქემატურ გადმოცემას ვერ შევძლებთ არა მარტო იმიტომ, რომ წიგნი მოცულობით დიდია და მისი შინაარსი მრავალფეროვანი, არამედ, უმთავრესად, იმიტომ (და ეს იქნება პირველი საყვედური ავტორისადმი), რომ მასალის

განლაგება წიგნში არ ვერდნობა მკაფიო და ზუსტ მეთოდს. ავიღოთ თუნდაც ზოგადი სქემა, რაც წიგნის თავებზე დანაწილებაში ვლინდება. გაუგებარია, რა თემატური განსხვავებაა წიგნის I და III თავებს შორის. I თავში ლაპარაკია მარქსსამდელ მოაზროვნეთა ესთეტიკურ შეხედულებებზე; III თავში არსებითად, თუმცა უფრო მოკლედ, განმეორებულია იგივე (ზოგიერთი შეოჩხარისხიანი დეტალის გამოკლებით). რითაა ნაკარნახევი ამ III თავის მასალის გამოტანა I თავიდან, რატომია საჭირო ერთსა და იმავე ადამიანებზე არსებითად ერთი და იმავეს ლაპარაკი არ განცალკევებულ თავში, — ეს მკითხველისათვის გაუგებარი რჩება. დავუშვათ, რომ მართლაც იყო საჭირო ამ III თავის („რა არის ესთეტიკა?“) ცალკე გამოტანა. რატომია მისგან 150 გვერდით დამორბეული პატარა V თავი — „ესთეტიკა და კრიტიკა“? განა IV თავის პრობლემის გადაწყვეტამდე (ხელოვნებისა და ბუნების მშენიარება) ესთეტიკისა და კრიტიკის ურთიერთობა ვერ გათრეკვია?

თავებს შიგნით მასალის დალაგება კიდევ უფრო ნებისმიერია. აი I თავის საკითხთა თანმიმდევრობა: ლუკრეციუსი, პორციუსი, პლუტარხი (ხელოვნების წარმოშობის შესახებ), სტაციონის სენათმეცნიერო მოძღვრება და ერთიანი ლიტერატურული ენის საკითხი, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, რუსთაველი, ფეშანგი, თეიმურაზ I, არჩილი, მამუკა ბარათაშვილი, თეიმურაზ II, „კალმასობა“, ბუღო, დიდრო, ლესინგი, კანტი, ჰეგელი, რუსი კრიტიკოსები ლომონოსოვიდან ბელინსკამდე, ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, პისარევი, ზაიცევი, ტაჩოვი. რთული პრობლემის ლოგიკამ მოითხოვა საცულებებში წინ და უკან ბრუნება, — ესეც გაუგებარი ჩნდება. ანდა III თავში რატომია ლაპარაკი ვერ ჩერნიშევსკის, ხოლო შემდეგ ჰეგელის შესახებ? ისტორიულად და, თუ გნებავთ, ლოგიკურადმც ჩერნიშევსკის განა ჰეგელი არ უსწრებს წინ?

უკეთესი მდგომარეობა ამ მხრივ არც პარაგრაფებს შიგნითაა. მივჩნევ მხოლოდ ორიოდ დამახასიათებელ მაგალითს.

შესანიშნავი მეთოდი პარაგრაფში ჩერნიშევსკის ესთეტიკაზეა ლაპარაკი. პარაგრაფის პირველ ნახევარში ბევრია ზოგადად ნათქვამი ჩერნიშევსკის ეპოქაზე, დობროლიუბოზე, ილია ჭავჭავაძეზე, ჩერნიშევსკის დამოკიდებულებებზე ფეიერბახთან (ე. ი. დაახლოებით იმაზე, რაც მკითხველმა უკვე იცის პირველი თავიდან — აქვე ხომია პარაგრაფი ჩერნიშევსკის შესახებ). შემდეგ ავტორი ამბობს, რომ ჩერნიშევსკის ესთეტიკის გასაგებად აუცილებელია დავიწყოთ მისი გნოსეოლოგიიდან (გვ. 379), და ეს გნოსეოლოგია „გადმოცემულია“ ორ მომდევნო აბზაცში. პირველი აბზაცის პირველი ნახევარში ჩერნიშევსკის გნოსეოლოგიის ძირითად პრინციპად გ. ჯიბლაძე აღიარებს მის დებულებას:

«Уважение к действительной жизни, недоверчивость к априорическим, хотя бы и приятным для фантазии гипотезам — вот характер направления. Господствующим ныне в науке» ამის შემდეგ ლაპარაკია იმის შესახებ, თუ როგორ სდევნიდა ჩერნიშევსკის მეფის მთავრობა, როგორ ტანჯებოდა იგი 27 წლის განმავლობაში „ტყვეობაში“ (!) და როგორ უწოდებდა იგი თავის თავს ტერორისტსა და წითელ რესპუბლიკელს (გვ. 379—380). ცხადია, ყველაფერი ეს ლაპარაკია ჩერნიშევსკის სანარკველოდ, მცარებ აჩაფრებს ამბობს მის გნოსეოლოგიაზე.

მეორე მაგალითი. ავტორის აზრთა მსვლელობა 411—415 გვ გვ. სქემატურად შეიძლება წარმოვიდგინოთ ასე: ძველად მშენიარება „ისტორიულად“ ესმოდათ, მაგალითად, სუმაკოვს: „ალბათ“ (!) ასევე სპერანსკის, რომელიც ვაიკრიტიკა პლენანოვმა; თვითონ პლენანოვიც უშვებდა შეცდომებს, მაგრამ, სამაგიეროდ, აკრიტიკებდა ლენინარსკის, რომელსაც უფრო მეტა შეცდომად აქონდა (ასეთი და ასეთი); პლენანოვს, შეცდომების გარდა (ასეთებისა და ასეთებისა), დამსახურებაც მიუძღვის ესთეტიკაში, მაგალითად, მას „ღრმად სწამდა, რომ წვერიან მოხუცის მშენიარებად დახატვა არ ნიშნავს მშვენიერის, ე. ი. დამაზო მოხუცის დახატვას“... (გვ. 412); მერე იმ საბაბით, რომ პლენანოვი ამა და ამ საკითხის განხილვისას დარჯინის აღმოჩენებს ემყარებოდაო, გამოაკვეთელია დარჯინის როლი ესთეტიკაში, რის შემდეგაც ავტორი უბრუნდება სპერანსკის და მის „უხრწელი სილამაზის“ თეორიას.

ყოველივე ზემოთაღქვამის შემდეგ გასაგებია უნდა ვაძღვს, რომ წიგნის — „ხელოვნება და სანამდელ“ განხილვისას არ შეიძლება კვალდაკვალ მივხედოთ ავტორს. ამიტომ ჩვენ სხვა გზას ავირჩევთ. ზემოთ უკვე ნათქვამი იყო, რომ ესთეტიკის საკითხების განხილვისას ავტორი ცდილობს, ერთი მხრით, ფილოსოფიას, ესთეტიკის, კრიტიკისა და მათ ისტორიას დაემყაროს, ხოლო, მეორე მხრით თვით ხელოვნების ფაქტებს. ვიმეორებ, ავტორი აქ საცხებით სწორად იქცევა: ამიტომ ჩვენც, ალბათ, არ შევცდებით, თუ თანმიმდევრობით შევხებით იმას, თუ როგორაა წარმოდგენილი წიგნში ფილოსოფია და მისი ისტორია, როგორაა შეფასებული მასში ხელოვნების ფაქტები და შემდეგ რა დასკვნებია მიღებული ყველა ამის საფუძველზე.

ფილოსოფიისა და ესთეტიკის ისტორიაზე, ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ცალკეულ ფილოსოფოსებზე და ესთეტიკოსებზე, თალესიდან მოყოლებული მარქსამდე, წიგნში ძალიან ბევრია ნათქვამი. ცხადია, ბევრი ცნობა ამ მოაზროვნეთა შესახებ სწორადაა წარმოდგენილი და მკითხველისათვის (განსაკუთრებით სტუდენტობისათვის) მათი გაცნობა არ იქნება უსარგებლო, მა-

ზინაე კი, როცა ამ ცნობებს წიგნის თემასთან საერთო არაფერი აქვთ რა (მაგალითად, თუნდაც ცნობები მილტის სკოლის შესახებ). მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგ შემთხვევაში გ. ჯიბლაძე არასწორად ამოქვებს ცალკეულ ფილოსოფოსთა შეხედულებებს. მოვიყვან საილუსტრაციოდ რამდენიმე დამახასიათებელ მაგალითს.

წიგნის 22-ე გვერდზე ნათქვამია, რომ სოკრატეს თხზულებები კაცობრიობას არ მოეპოვება „იმიტომ, რომ სოკრატე საერთოდ არ აქვეყნებდა თავის თხზულებებს“. მკითხველს შეუძლია ფიქროს: სოკრატეს თხზულებები უწერია, მაგრამ ამ გამოთქვევებშია ნამდვილად კი ცნობილია, რომ სოკრატეს საერთოდ არაფერი დაუწერია.

უსაფუძვლოა გ. ჯიბლაძის განცხადება 456-ე გვერდზე: „სოკრატე იყო არა მარტო ხელოვნების რეალისტური თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, არამედ ის მოაზროვნე, რომელმაც მშვენიერებასაც კი პირველად შეხედა ეტიკატურული თვალსაზრისით“. გერერითი, სოკრატე ხელოვნების არაერთი თეორიის ფუძემდებელი არა ყოფილა (და, მით უმეტეს, იგი ვერ იქნებოდა ხელოვნების რეალისტური თეორიის ფუძემდებელი); მეორეც, სოკრატეს მშვენიერება გამოყენებიდან და სარგებლობიანი იქნა კი არ გამოყოფა, როგორც ამას გ. ჯიბლაძე ამბობს თავივე გვერდზე, არამედ სიკეთის ცნებას უქვემდებარებდა მას (ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ვერ ასხვავებდა მშვენიერებას სიკეთისაგან). რამდენად რეალისტური იყო იდეალისტ სოკრატეს ესთეტიკური შეხედულებები (თუკი ასეა) უნდა საერთოდ შეიძლება დასაბამი, ეს ძალიან შეფიქრებელი გამოდგება მისი ფილოსოფიის გამგრძობლებისა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, განმაბორცვების პლატონის უკიდურესად იდეალისტურ და ანტირეალისტურ ესთეტიკაში.

თვითონ პლატონის იდეალისტობას გ. ჯიბლაძე, ჩასაკვირველია, არ უარყოფს, მაგრამ მის ზოგიერთ შეხედულებას ისე გადმოსცემს, რომ მკითხველს ეგონება — პლატონი ესთეტიკაში მატერიალისტურ ყოფილა. 67-ე გვერდზე ფერაი ამტკიცებს: პლატონისათვის ხელოვნება მიბაძეა, ხოლო „მიბაძეა უბრალო ტექნიკური და შექანიკური პროცესია“ (ხაზი აფერხისა). რას ნიშნავს ეს დებულება, ან რის საფუძველზეა იგი გამოთქმული წიგნში. ასევე არასწორია გ. ჯიბლაძის აღიარებულებას უარყოფდა (გვ. 537). პლატონი, მართალია, იმ აზრისა იყო, რომ ხელოვნება უფრო ნაკლები ღირებულების ცოდნას იძლევა, ვიდრე ფილოსოფია, მაგრამ ხელოვნება მას სწორედ შემეცნების ფორმად მიიჩნედა. ეს გაუგებრობანი, როგორც წინას, ემყარება წიგნის

შესავალში ჩამოყალიბებულ დებულებას: „დღესდღეობით თეორიას, რომელმაც მხატვრული შემოქმედება შექანიკურ პროცესად გამოიყენა, თავიდანვე დაუპირისპირდა ხელოვნების შემეცნებითი ფუნქციის აღიარება“ (გვ. 13). ეს დებულება არ არის სწორი. გერერითი, იდეალისტური თეორიისათვის სრულიად არ არის დამახასიათებელი მხატვრული შემოქმედების შექანიკურ პროცესად გამოყენება, პირიქით, იდეალისტთა, როგორც წესი, მხატვრულ შემოქმედებას იბილავს როგორც ზებუნებრივ (და, მით უმეტეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ზეშეშეშე“) მოვლენას; მეორე მხრით, იდეალისტთათვის სრულიად არ არის უცხო ხელოვნების შემეცნებითი ფუნქციის აღიარება. ხელოვნების შემეცნებითი ფუნქციის უარყოფს იდეალისტური ესთეტიკის მხოლოდ ერთი ნაკადი — კანტაინური ტიპის ფორმალისტური ესთეტიკა, — იდეალისტის მეორე ნაკადი (რომელიც უფრო ძლიერადაა წარმოდგენილი ესთეტიკის ისტორიაში, ე. წ. „შინაარსის ესთეტიკა“, ხელოვნებას განიხილავს სწორედ როგორც შემეცნების ფორმას, ხან როგორც უფრო დაბალს, ვიდრე მეცნიერებაა (მაგ., პლატონი, პეგელი, კროჩე), ხან როგორც უფრო მაღალსაც კი (მელინგი, რეაქციული რომანტიკოსები, შოპენაუერი, სიმბოლიკტები). სხვა საქმეა, რომ იდეალისტთა ხელოვნების შემეცნებითი ფუნქცია, ისე როგორც შემეცნება საერთოდ, სწორად არ ესმის და რომ თვით ცნება „შემეცნებისა“ მას საყვებით ყალბად აქვს წარმოდგენილი.

სწორად არ არის განხილული გ. ჯიბლაძის წიგნში არც ანტიყური ფილოსოფიის უდიდესი წარმომადგენლის — არისტოტელეს ესთეტიკური ხელოვნების რეალისტური გაგების საწყისების ძებნა თუ გვინდა, ისინი სწორედ არისტოტელეს „პოეტიკაში“ უნდა ვეძიოთ (თუნდაც იმიტომ, რომ აქ პირველად არის წამოყენებული ტიპური ცნება). მაგრამ არც ტიპობის ცნება არისტოტელეს მარტაბებაში, არც მისი სახელოვნებო თქმული ცნება კათარსისისა, რომელმაც ამდენი დავა გამოიწვია ესთეტიკის ისტორიაში, გ. ჯიბლაძის წიგნში განხილული არ არის. სამაგიეროდ, რამდენიმეჯერაა ნათქვამი, რომ არისტოტელემ ესთეტიკის საკითხები განიხილა სხვათაშორის თავის „შრომებში — „ფიზიკა“ და „მეტაფიზიკა“ და ზოგიერთი ადგილი ამ შრომებიდან მოთხრობილიც კი არის (მაგ., 79-ე გვერდზე დაპარაკია არისტოტელეს ფიზიკაში ფორმისა და მატერიის დამოკიდებულების შესახებ). თქმა არ უნდა, არისტოტელეს „მეტაფიზიკა“ და თუნდაც „ფიზიკა“ ცოდნა ხელს შეუწყობს მეცნიერებს უკეთ ვერცხვებს მისსავე „პოეტიკაში“, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ არისტოტელემ „ფიზიკა“ და „მეტაფიზიკაში“ ესთეტიკის საკითხები განიხილა, და არც იმას ნიშნავს, რომ ამ შრომებში გამოთქმული დებულებ

ბუმის პირდაპირი გადატანა შეიძლება არისტოტელეს ესთეტიკაში. რა შედეგებს იძლევა საკითხისადმი ასეთი მიდგომა, ამის მაგალითს იძლევა გ. ჯიბლაძე თავისი წიგნის 79-ე გვერდზე. ატორი ვალმოვეცემს არისტოტელეს აზრს ფორმისა და მატერიის ურთიერთობის შესახებ, მოჰყავს მისი მსჯელობა, რომლის თანახმადაც სახლის შეეთებელმა უნდა იკლდეს მასალა (მატერია), რომლისაგანაც სახლი შენდება, და ფორმა, და დასკვნის, რომ აქ არისტოტელეს ესთეტიკის პოზიტიური მხარე — შინაარსისა და ფორმის ერთიანობის პრინციპი — უნდა დავინახოთ: ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნუთუ გ. ჯიბლაძეს ჰგონია, რომ სახლის შინაარსი ავრუგბია?

წიგნის 463 — 464-ე გვერდებზე გ. ჯიბლაძის თანახმად, „არისტოტელე ამტკიცებს, რომ მშვენიერი მატერიალური არსია და ნამდვილი მშვენიერებაც ამ მატერიალურ სფეროში სავსებით შეიძლება მონახულ იქნას“ (გვ. 463). დასაბუთებულია ეს დებულება შემდეგნაირად: „მეტაფიზიკაში“ არისტოტელე ამბობს, რომ განსხვავებით სხვათისაგან, რომელიც ყოველივეს მოქმედებაში გამოხატული, მშვენიერება შეიძლება უმოძრაო საგნებშიც გამოიხატოს, „ეს უმოძრაო საგნები, — დასძენს გ. ჯიბლაძე, — მატერიალური ქვეყნის სფეროა“. უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ, არისტოტელეს აზრით, „მატერიალური ქვეყნის სფერო“ სწორედ მოძრაი საგნების სფეროა და არა უძრავების (უძრავია მხოლოდ ქვეყნის „პირველი მაშობრავებელი“ — „ფორმის ფორმა“ — დემოკრი). მაგრამ მთავარი ეს არაა. მთავარი ისაა, რომ მატერია, არისტოტელეს მიხედვით, წმინდა შესაძლებლობა და სრული გაურკვევლობა, ხოლო მშვენიერებისათვის, უპირველეს ყოვლისა, სწორედ გარკვეულია და ზომიერებაა დამახასიათებელი. ცხადია, ძალიან სასიამოვნო იქნებოდა, რომ არისტოტელეს მშვენიერება მატერიალისტურად გაეგო (თუნდაც უხეშად მატერიალისტურად), მაგრამ ეს სრულადაც არ გვაძლევს უფლებას მივუწეროთ არისტოტელეს ისეთი აზრები, რომლებიც მის არ გამოეთქვამს, და არც შეიძლება და გამოეთქვა.

იმავე 463-ე და მომდევნო გვერდზე არისტოტელესთვის მიწერილია კიდევ უფრო უცნაური დებულება. არისტოტელე, — წერს გ. ჯიბლაძე, — მშვენიერების ობიექტური ყოფიერების არსის მთავარი ფორმების განხილვისას იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სწორედ მათემატიკური მშვენიერების გამოხატულება, ყველაზე უფრო მეტად, მშვენიერების ფორმებს“. ეფიქრობთ, რომ არათუ არისტოტელეს, თვით მათემატიკოსებსაც კი არ ექნებათ ასეთი პრეტენზია.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი დროის მოაზროვნენი გ. ჯიბლაძის წიგნში შედარებით უკუ-

თესად არიან განხილულნი, — მაგრამ ცალკეულ შეკლამებს აქაც ეხედებით.

წიგნის 124—125-ე გვერდებზე „მეტაფიზიკა“ ბუალის რაციონალიზმის ფილოსოფიურ მხარეებზე და სამართლიანადაა მიითქმევილი დუკარტე (თუმცა ეს დუალისტი რატომღაც მატერიალისტადაა მონათლული). მაგრამ აქვე გ. ჯიბლაძე წერს: „დეკარტეზე უფრო შორს წავიდა ბლეს პასკალი (1623—1662), რომელიც ეძებდა მისტიკურ კავშირს რელიგიისთან(?) ყოველივე ამით თანდათან საფუძველი მოუშობდა ხელოვნებაზე იმ შეხედულებებს, რომლებსაც ეხედებით „პოეტურ ხელოვნებაში“. ეს შეხედულებანი რაციონალიზმს განეუთვნებიან“... მთელს ამ მსჯელობას აზრი მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ რელიგიასთან „მისტიკური კავშირის ძებნას“ რაციონალიზმის გზაზე „უფრო შორს წასვლად“ წარმოვიდგენთ. ნუთუ გ. ჯიბლაძე ასე ფიქრობს?

„ხელოვნება და სინამდვილე“—ში დიდი ადგილი აქვს დამოხიბილი კანტს. განხილულია და გაკრიტიკებულია მისი ესთეტიკური შეხედულებები. ეს, ცხადია, ბუნებრივია: კანტი ესთეტიკაში ერთერთი ყველაზე რეაქციული მიმდინარეობის — ფორმალისმის—მამამთავარია. მაგრამ რაივ რეაქციული არ იყოს ამა თუ იმ მოაზროვნის შეხედულებები, ჩვენ მაინც არ გვაქვს უფლება მას რაიმე მივაწეროთ. ხოლო რა უნდა ეწოდოს, თუ არა აშკარა „მინიწერი“ სარეცენზოო წიგნის 468-ე გვერდზე წამოყენებულ დებულებას: „ცნობილია, რომ კანტის ესთეტიკა, ისე როგორც მისი ფილოსოფია, ტრანსცენდენტალურია. ეს უკანასკნელი ნიშნავს იმას, რაც აუცილებელი პირობაა, აპრიორულად მოცემულია ექსპერიმენტული შემეცნებისათვის, მაგრამ თვით ექსპერიმენტული ცდაში მოცემული არ არის“ (ხაზი ჩემია). ტერმინები „ექსპერიმენტული“ და „ექსპერიმენტი“ აქ არაფერ შეაშია. ეს რომ არ იყოს, თავისთავად ტრანსცენდენტალურის განსაზღვრა აქ სწორი იქნებოდა, მაგრამ მაშინაც ვაუღებარი იქნებოდა, როგორღა კანტის ესთეტიკა (ე. ი. მოძღვრება) მშვენიერებაზე და ხელოვნებაზე ტრანსცენდენტალური. ცნობილია, რომ საერთოდ კანტის ხელოვნებისა და მშვენიერების თეორიას არ უწოდებენ ტრანსცენდენტალურს, რადგან „ტრანსცენდენტალური“ სწორედ გნოსეოლოგიური ტერმინია (ტრანსცენდენტალური, კანტის თქმით, ნიშნავს ისეთ შემეცნებას, რომელიც საგნებზე კი არაა მიმართული, არამედ მათი შემეცნების აპრიორულ პირობებზე), ხოლო არც ხელოვნება და არც მშვენიერება კანტისათვის არაა შემეცნებითი კატეგორია. მართალია, კანტის ესთეტიკა მისივე ტრანსცენდენტალური გნოსეოლოგიის ანალოგიურია, რადგან ისიც „გვეგონების მსჯელობის“, ესთეტიკური გან-

უღის აპრიორულ პირობებს იკვლევს, მაგრამ მისი მონათლა ტრანსცენდენტალურად, სულ ცოტა, არაზუსტი იქნება და მხოლოდ გაუგებრობებს დაბადებდა რადგან თვითონ კანტი „ტრანსცენდენტალურ ესთეტიკას“ უწოდებს თავისი გ ნ ო ს ე ო ლ ო გ ი ი ს ი მ ნაწილს, რო- ჭელოც მათემატიკის შესაძლებლობის აპრიორულ პირობებს იკვლევს და, რომელსაც, ცხა- ლია, მშვენიერებასა და ხელოვნების თეორიასთან საერთო არაფერი აქვს.

არანაკლებ მცდარია 469-ე გვ. წამოყენებული აზრი: „კანტის გნოსეოლოგია ემყარება გამოცდილებას“. რას ნიშნავს ეს „გამოცდილება“, ან როგორ ემყარება მას კანტი, ამას წიგნიდან ვერ გავიგებთ. და საერთოდ არ შეიძლება ამის გა- გება, რადგან კანტის გნოსეოლოგია არათითარ „გამოცდილებას“ არ ემყარება.

საშუბხარად, უნდა ითქვას, რომ წიგნში არა ზუსტი შეხედულებებია გამოთქმული მატერიალისტებისა და მარქსიზმის კლასიკოსების შესახებაც კი. ასე მაგალითად, მოლშოტრი და ბელენერი მ ე ქ ა ნ ი ს ტ მატერიალისტებად ირიან მონათლული (გვ. 225). ეს, სულ ცოტა, არაზუსტია; მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები მით ველარულ მატერიალისტებს უწოდებდნენ.

257-ე გვერდზე ავტორი გვარწმუნებს: პლუზა- წივი „თავისი აზროვნების განვითარებაში ორი პერიოდის შემტველია — 1903 წლამდე და 1903 წლის შემდეგ“. ნამდვილად ცნობილია, რომ პლუზანოვის მოღვაწეობაში სამი პერიოდი გა- ნირჩევა: ნაროდნიკული (1875—1883), მარქსის- ტული (1883—1903) და მენშევიკური (1903-დან).

უნდა ითქვას, რომ გ. ჯიბლაძე ფორმულირე- ბათა სიზუსტეს ყოველთვის არ აქცევს ჯერო- ვან უტრადლებას. თუ არა ამით, მაშ რით შეიძ- ლება აიხსნას თუნდაც ასეთი წინადადება: „1889 წელს ენგელსი მარგარიტა პარკენსს თ ა ვ ი ს ი რომანის „ქალაქელი ქალიშვილის“ შესახებ წსწერდა“... (გვ. 316. ხაზი ზემოთ). ქართული ენის კანონების თანახმად, აქ ის აზრია გამოთქმული, რომ „ქალაქელი ქალიშვილი“ ენგელსის რომანი ყოფილა იმევე მიზეზით უნდა აიხსნას, აღბათ, ასეთი შეცდომები: „მარქსი თავის კლასიკურ ნაშრომში „ზედმეტი ღირებულების თეორია“, „არკვეს“... (გვ. 247) არსებობს მარქსის შრომა „ზედმეტი ღირებულების თეორიები“ და არა „ზედმეტი ღირებულების თეორია“; „...ფერ- ბების ფილოსოფიის ის სუსტი მხარეები, რო- მელნიც კ ა რ ლ მ ა რ ქ ს მ ა აღნიშნა თავის „გერმანულ იდეოლოგიაში“ და ფ რ ი დ რ ი ბ ე ნ გ ე ლ მ ა თავის ცნობილ წიგნში ფეიერ- ბაჩის შესახებ...“ (გვ. 402. ხაზი ავტორისაა, „გერმანული იდეოლოგია“ მარქსმა და ენგელსმა, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ერთად და- წერეს).

ზემოთ უკვე ნათქვამი იყო, რომ სარეცენზიო წიგნში გადმოცემულია ქართულ მაზაროვნეთა

ესთეტიკური შეხედულებებიც. ვიმეორებ, ეს უსათოდ მისასაღმებელია. მაგრამ აქაც, საშუ- მხაროდ, ყველაფერი რიგზე. როდის შეიკვეთნ მხოლოდ ერთ მკათი მგალოის: წიგნი, სხვათ შორის, განხილულია ფეშანგს, არჩილსა და თეიმურაზ II-ის შეხედულებები ხელოვნებაზე და არსებითად ის აზრია გატარებული, ან, ყო- ველ შემთხვევაში, ისეთი შთაბეჭდილება იქმნე- ბა, რომ ეს პოეტები, წინააღმდეგ რუსთაველისა, რეალიზმის პოზიციაზე იდგნენ. ამ პოეტების რეალიზმს გ. ჯიბლაძე იმაში ზედავს, რომ ისინი თავის ლექსებსა თუ პოემებში უსაუველურებ- დნენ რუსთაველს — გამოგონილ ადამიანებს რომ უმეღერ, არ სჯობს რეალურ ადამიანებს შემღერო?! ასე მავალითად, თეიმურაზ II ვინ- ტრლ პარაზორ ალექსანდრეს ასულისათვის დაწე- რულ სამიჯნური ლექსში შოთის შიმართავს: აი, შენი ნიქის ღირსი საგანიო, — ხოლო გ. ჯიბ- ლაძე თეიმურაზის ამ თვალსაზრისს „რეა- ლისტურ კონცეფციად“ მიიჩნევს. არ შეიძლება რეალიზმის ცნების ასე გაუბრალება.

სამამ იმას განხილვაზე გადავიდოდეთ, თუ როგორაა შარმოდგენილი სარეცენზიო წიგნში თვითონ ხელოვნების ფაქტები, ერთ გარემოებს უნდა გავესვათ ხაზი. ხელოვნებისა და მისი თეორიის ურთიერთობა „ხელოვნება და სინამ- ჟილი“-ში მეტად თავისებურადაა გაგებული. წიგნის მე-18 გვერდზე ავტორი წერს: „ხელო- ნება და მისი თეორია ძველ საბერძნეთში ერთ- მანეთს ისე ორგანიულად შეერწყა, რომ ისინი ერთმანეთიდანაც გამოშლინარობდნენ“-ო. წიგ- ნში ხელოვნებისა და მისი თეორიის „ორგანიული შერწყმის“ შემდეგი მავალითა დამოწმებული. 24-ე გვერდზე სწერია: „რკი ამ დროს (ე. ი. ან- ტიურ მოქაში. ნ. ჭ.) მცენერება ამ იყო გა- მოთიშული ფილოსოფიისაგან და მცენერების მრავალ დარგს ფილოსოფია აერთიანებდა, ჩვენ შეგვიძლია წამოვიყენოთ დებულება, რომ (ლო- გიკას დააკვრდით ნ. ჭ.) ამ პერიოდის ხელო- ნება თითონ განსაზიერებდა ესთეტიკურ სის- ტემას, რასაც ძალიან მვაფთოდ მოწმობს სახელ- განთქმული მოქანდაკე პ ო ლ ი ე ტ რ ი, რომ- ლის ქანდაკებებმა, მავალითად, ქანდაკებამ „დიადუშინი“, როგორც უკვე იყო მოხსენებული, შექმნეს არა მარტო ხელოვნება არამედ მეკ- ნიერებაც ხელოვნების შესახებ“. თუ როგორმე შეიძლება გაყოფოთ, როგორ „შექმნეს ქანდა- კებებმა“ ხელოვნება, მათ მიერ მცენერების შექმნა ყოველად წარმოუდგენელი რამაა რო- გორც ჩანს, აქ ესთეტიკური იდეალი, რომელიც მართლაც ყოველ მხატვრულ ნაშრომებშია გან- საზიერებული, არეულია ესთეტიკურ თეორიას- თან, მცენერებასთან. ამას მეორე მავალი- თიც მოწმობს. გ. ჯიბლაძის აზრით ძველ ბერძენი პოეტების „ლექსებიდან ავრთვე წარ- მოკვლდება ანტიკურ მაზაროვნეთა დამოკიდე- ბულება ესთეტიკური მცენერების მთელი რიგი

ძირითადი საკითხებისადმი. პომეროსი, მაგალითად, აღწერს ნესტორის თასს და ალტაიკებს გამოთქვამს მისი მშვენიერებით" (გვ. 25). საინტერესოა, უნდა მივიჩნიოთ თუ არა ესთეტიკურა-მეცნიერების განსახიერებად, მაგალითად, სამეცნიერო ლექსი, რომელშიც პოეტი თავის სატრფოს „აღწერს“ და ალტაიკებს გამოთქვამს მისი მშვენიერებით? ასეა თუ ისე, ზელოვნების ფაქტების ეს თავისებური გაგება უნდა გვექონდეს მხედველობაში, როცა გ. ჯიბლაძის მიერ ლექს შეფასებაზე გვაქვს საბარაკი.

ზელოვნების დარგებიდან, ლიტერატურის შემდეგ, სარტყენიო წიგნში ფერწერას ეთმობა დიდი ყურადღება. როგორც ჩანს, ავტორს ზელოვნების ეს დარგი უყვარს და მის სფეროში თავისუფლად გრძნობს თავს. წიგნში ბევრს შეხვდებით მხატვართა გვარებს, მათი სურათების სახელწოდებებს, ზოგჯერ ამ სურათების ანალიზის ცდებსაც; ოც გვერდზე შეტიფდნება ავტორის შთაბეჭდილებებს დრეზდენის გალერეის სურათების ნახვის გამო. ამ შთაბეჭდილებათაგან მკითხველი ტუბილობს, რომ დრეზდენის გალერეაში, გარდა შონეს, გოგენის და, განსაკუთრებით, ეინგოლის სურათებისა (ორი პირველი რატომღაც „უბისტებად თუ ვესპრესიონალისტებადაა“ მონათლული), რომლებიც გ. ჯიბლაძეს არ მოსწონება, სულ შესანიშნავი, თანამედროვეობის ამსახველი, ზელოვნები, ანდა რეალისტურ-რომანტიკული იერით აღბეჭდილი სურათებია თვე ზოგადი. (მანიერისმის და აკადემიზმის წარმომადგენელთა სურათებისათვის, როგორც ჩანს, გ. ჯიბლაძეს ყურადღება არ მიუქცევია). განსაკუთრებული შთაბეჭდილება, რადეელისა და იგორჯანის გარდა, ავტორზე მოუხდენია დეკემბის (ქართულად ჰეიმო იქნება უფრო სწორი) ნატურმორტებს. ეს იქიდან ჩანს, რომ ამ უკანასკნელს იგი რამდენჯერც უბრუნდება და გუნთისსაც უწოდებს; „მისი „ნატურმორტი ზიტის ზულით“ პირდაპირ გენიალურია, — წერს იგი — ყურანის კაცლები ისეა დახატული, ზედათ კანსაც და წვესაც, სურვილი გვახდებთ ქიშიური ანალიზი მოახდინოთ, თუ რისკან შედგება ეს მშვენიერი წიგნი“ (გვ. 586). მოწონება-აღწერება გემოვნების საქმეა, არც ისაა დიდი დანაშაული, რომ შეოჩნებისათვის ოსტატი გადაკარბებული ეპითეტით შევაყოთ, მაგრამ ნატურმორტის მოლანდიელი ოსტატების (მაგ. იმპეუ ჰეიმის) გამოცხადება ფლამანდური სკოლის პეიზაჟისტებად, როგორც ამას გ. ჯიბლაძე აცეთებს თავისი წიგნის 584-ე და 586-ე გვერდებზე, უკვე აღარაა გემოვნების საქმეა და აღარც გადაკარბებაა არც ის ჩათულება გადაკარბებად, როცა გ. ჯიბლაძე გვარწმუნებს: მუნესმა აბურის და შარაიმ მადღალინელის პორტრეტები (!) შექმნია (იხ. გვ. 589). პორტრეტი ზამ რეალური ადამიანის სურათს უწოდება.

უხერხულად ეღერს, აგრეთვე, გ. ჯიბლაძის ასეთი გამოთქმა: „ან აიღეთ რიბერას თანამედროვე დეგო და სილვა ველასკესის შემოქმედება“... რიბერა დიდი მხატვარია, დეგო მხატვარია ველასკეი უფრო დიდი იყო, პირტომ ეს დრეზდენის ტრეფსია, ვინმე რომ თქვას, „ჩაბრუნების თანამედროვე შოთა რუსთაველი“. გაუგებრობაზე დამარბული გ. ჯიბლაძის ასეთი განცხადებები: ტუციანის „კეისრის დინარში“ იესო ქრისტე და იუდაა გამოხატული და ეს „იუდა“ ეთიბება ფული ვის მივეც კეისარს თუ ლეროსო (იხ. გვ. 584). ნამდვილად ეს ქრისტეს ფარისეველი ეთიბება (და არა იუდა, ვადსახადე გადაიხადო თუ არაო)? მიქელანჯელოს ნაწარმოებებია, სხვათა შორის, „სიბილა“, „წინასწარმეტყველი“ და სხვებით (იხ. გვ. 570). რომელსა სიბილა, რომელი წინასწარმეტყველი? მიქელანჯელომ რამდენიმე ასეთი შექმნა.

ავტორის ექსტრემებზე ფერწერის სფეროში შეიძლება დიდხანს არ ვაგვემახვილებინა ყურადღება, მათ საფუძველზე რომ ზოგიერთი თეორიული დასკვნა არ იყოს გაკეთებული. ერთი ასეთი დასკვნა ფერწერაში გენიალურისა და არაგენიალურის განსხვავების კრიტერიუმს ეხება: ავტორს სულ უბრალო კრიტერიუმს აღმოუჩენია. „ოთხი თუ ხუთი მეტრიდან, — წერს იგი, — „სიქსტის მადონა“ უჩვეულო შთაბეჭდილებას ახდენს, ხოლო 20 მეტრიდან კიდევ უფრო უკეთესი გვეჩვენება, თუმცა ჩვენ ვერ მოვინახეთ წერტილი, ცხადია, ნორმალური გაგებით საიდანაც ის უკეთესი არ ყოფილიყო, რამაც ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ მართალია ფერწერის თეთველ ნიმუშს დასანახად უკველივს ერთი წერტილი გაიწინა, მაგრამ გენიალურისათვის ასეთი დემარკაცია არ არსებობს, იგი ყველა წერტილიდან გენიალურია ჩანს“ (გვ. 573). მეტი რომ არ ვთქვათ, ეს მეტად გულმტკიელი „თეორია“.

ასეთვე ხასიათის მსჯელობას ვხვდებით 509-ე გვერდზე. აქ ფერწერის ზოგადი ნაკლებინება ალმოხეილი. „შეხების გრძნობის მხრივ ადამიანური შემყენებისათვის ერთნაირია რეპინის უკვდავი სურათი „ოთხე მრისხანის შვილი“ (?) და უბრალო ტილო, რომელზედაც აბსოლუტურად არაფერია არ არის დახატული. მხატვრობაში ეს საკმაოდ სერიოზული მინუსია. მისევე მინუსად უნდა ჩათვალოს ზეოქმედების ოპოეტის ფანტაზიის შედარებით ნაკლები მოძრაობა“ (გვ. 509). მეორე „მინუსის“ არსს გვერს ჩაეწვდი, ხოლო რაც შეეხება პირველს, იგი, როგორც ჩანს, ემყარება შემდეგ მოსაზრებას: „მშვენიერება შეიძლება აღქმულ იქნას ან ცალკე ერთი გრძნობით, ან გრძნობათა დიდი ნაწილით“ (გვ. 509). და, ალბათ, რაც უფრო მეტ გრძნობებს ასაძოვნებს აღქმული, მით უკეთესია. მსჯელობის ასეთ გზას რომ ვაუკვეთ, მიწინაზელოვნების უმაღლეს დარგად კვლინათა უ-

და გამოგვეცხადებინა. ტორტს, მაგალითად მხოლოდ ეს „მინესი“ აქვს, რომ იგი ზმას არ გამოსცემს, თორემ დასანახავადაც კარგია, გემოც შესანიშნავია აქვს, სუნაც, შეხების გრძნობისთვისაც არაა ცუდი. უშუალოდ ხელოვნებად კი, ალბათ, მუსიკა უნდა გამოგვეცხადებინა — იგი ხომ თვალათა კი არ დაინახება.

მაგრამ, საბუნდობლოდ, ეს საზამთრო ხელოვნება და სინამდვილე უნდა მუსიკალში არ არის მიყენებული. პირიქით, იგი იმდენად ღირებულ ხელოვნებადაა მიჩნეული, რომ მას სპეციალური პარაგრაფიც კი ეძღვნება („მშვენიერება მუსიკაში“. გვ. გვ. 450—455). ამ პარაგრაფში გამოთქმულია ზოგადი (და ზოგადად სწორი) აზრი, რომ მუსიკაც თავისებურად ასახავს სინამდვილეს, რომ მისი მშვენიერება ბუნებიდანაა აღებული და რომ მასაც შეუძლია იდეების გამოხატვა. როცა ამ სწორი აზრის გაშლასა და დასაბუთებაზე მივდივართ, ავტორი ზან შოპენაუტერს იწვევს — ისიც ზომ ამბობდა, მუსიკა სინამდვილეს გამოხატავს (მეთიველს, ცხადია, ახსოვს რომ შოპენაუტერისთვის მუსიკა მისტერიო, მენიერებისათვის მოუწოდებელი „სინამდვილის“ გამოხატვა იყო), ზან იმას მოთითავს, რომ მუსიკა ძალიან ზმირად სიტყვას ზმარბობს. ერთი სიტყვით, ამ პარაგრაფში მუსიკის თავისებურება სრულადაც არ არის გახსნილი და უმისობა წიგნს არაფერს დააყვამდა.

ასეთ საფუძვლებს ეყარება შრომაში წამოყენებული საკუთრივ ესთეტიკური დებულებანი, რომლებიც ძირითადად შეიძლება სამ ეტაფად დაიყოს: დებულებები ესთეტიკის, როგორც მეცნიერების, ისტორიის შესახებ, ხელოვნების ბუნებისა და მშვენიერების შესახებ.

ესთეტიკის ისტორიის საკითხში გ. ჯიბლაძე, როგორც თვითონ აღნიშნავს, ეწინააღმდეგება როგორც ციმერმანს, რომელიც აბტიკიებდა — III საუკუნიდან XVIII საუკუნემდე ესთეტიკა არ არსებობდა, ისე ბოზენიცტს, რომელიც აბტიკიებდა, III საუკუნეშიდან XVIII-მდე ესთეტიკა არსებობდაო — და თავის თვალსაზრისს აეთარებს. ეს თვალსაზრისი იმაში მდგომარეობს, რომ ესთეტიკას საშუალო საუკუნეებში არსებობა არ შეუწყვეტია, მაგრამ მას თავისებური ხასიათი ჰქონდა, — რელიგიას იყო დაქვემდებარებულიო.

ხელოვნების ბუნების, ან თვითონ ავტორის გამოთქმა რომ ვიხმართ, მისი „არსობისა და ფუნქციის“ შესახებ შრომაში, რა თქმა უნდა, ზევრი სწორი და საშარტლიანი აზრია გამოთქმული. ნაჩვენებია, რომ ხელოვნება სინამდვილის ასახვის წარმოადგენს, ხანგამშლია ხელოვნების აქტიური როლი საზოგადოების განვითარებაში, მდიდარი ფაქტობრივი მასალითაა ნათელუფილი თანამედროვეობის ასახვის მნიშვნელობა, წინა პლანზეა წამოწეული ხელოვნების პარტულობის პრინციპი. მაგრამ ამის გვერდით

ვხვდებით ზერელე და ზოგჯერ არასწორ მოსაზრებებსაც.

ხელოვნების ფუნქციები შრომაში გამოკვეთილად არ არის დახასიათებული, უფრო მეტიც, ზოგჯერ შემოსხვევაში მათ აღრვეას აქვს ადგილი. ასე მაგალითად, წიგნის 537-ე გვერდზე ასეთი აზრია განვითარებული: „მარკსიზმ-ლენინიზმი სენობს ხელოვნების დიდ შემეცნებითს ძალას და მას თვალსაჩინო როლს აკუთვნებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამა, გადაუხედლო ხელოვნების ვრცელ ველს, გავითვალისწინოთ მისი ძალა! ზომ ცნობილია, რომ ორგეარად მოქმედებს ხელოვნება ადამიანზე: ის ან გვაყვარებს ცხოვრებას, ან გვაძულებს, საგნებისა და მოვლენებისადმი იწვევს ზენს სიშაითას ან ანტიპათიას. ამ-შია ხელოვნების, სოციალური მოვლენის, როგორც ადამიანზე ზემოქმედების საშუალების უდადესი ფუნქცია. ხელოვნება შეიძლება ჩითვალის ისეთივე სკოლად, როგორც ნამდვილი სასწავლებელი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქ გაკვეთილი დასაწყებად ზარს არ რეკივებს და არც მასწავლებელი შემოდის ეურხალით ხელში“. ველებს, ზარებსა და ეურხალებს რომ თავი დაეანებოთ, აქ ყველა დებულება, ცალცალკე აღებული, სწორია მაგრამ ხელოვნების ფუნქციების მკაფიო განსაზღვრა მინც არ არის მოცემული, რადგან ისინი ერთმანეთია. არეული — შემეცნებითი ფუნქციისათვის მიწერილია ესთეტიკური-ემოციური ფუნქციის განმარტება, და ა. შ.

ასევე, სრულად განსხვავებული ამბებია არეული წიგნის 551-ე გვერდზე, სადაც სიტყვა-სიტყვით შემდეგია ნათქვამი: „გამოჩენილი პარკუნებები შეიძლება იქნენ არარობად, თუ მათი იდეები და სურვილები ეწინააღმდეგება საზოგადოების ეკონომიურ განვითარებას, ეწინააღმდეგება მოწინავე კლასის მოთხოვნილებებს, და პირიქით — გამოჩენილი ადამიანები შეიძლება გახდენ მართლა გამოჩენილი პიროვნებებად, თუ მათი იდეები და სურვილები სწორად გამოხატავენ საზოგადოების ეკონომიური განვითარების მოთხოვნილებებს, მოწინავე კლასის მოთხოვნილებებს (ეს ციტატა ამოღებულია საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსიდან. ნ. კ.). შემდეგ გ. ჯიბლაძე განარტობს: — „ამ თვალსაზრისით (ზამი ზემოა ნ. კ.). განიხილა პლუხანოვმა ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხება, გაარტყია ბევრი რთული პირობლება, აღნიშნა, რომ ლიტერატურაში, ისე როგორც ხელოვნებაში ზდება ზოგადი იდეის კონკრეტუზაცია, რომ საჭიროა ხელოვნება, მხატვრება — „გ ა ა ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ო ს ის ზოგადი, რაც შეადგენს მისი ნაწარმოების შინაარსს“ (ეს ციტატაა პლუხანოვიდან. ნ. კ.), როგორც ეს მითითებულია წერილში ა. ლ. ვოლინსკის „რუსი კრტიკოსების“ შესახებ, პლუ-

ხანოვის ხსენებული დებულება არსებითად იყო
შითთება მხატვრული სახის კონკრეტულობაზე,
რაც ხელოვნებაში შინაარსს, იდეას ანიჭებდა
აქტორ, წამყვან როლს“. როგორ უნდა გავვით
ამ მსჯელობის ლოგიკა? ინდივიდუალური მხატ-
ვრული სახე პიროვნებაა და ზოგადი იდეა
ხალხთა მასები?

მეტისმეტად ზერელეა შემოქმედების პროცესის
ის დაყოფა ეტაპებად და მათი დახასიათება,
რაც შრომის 611-ე გვერდზეა წარმოდგენილი.
შემოქმედებითი პროცესის ეტაპების ამ დახა-
სიათებაში, თუ მას „ექვერტირების“, „პრე-
ლუდიების“, „სენსუალური ძალებისა“ და სხვა
ლამაზი სიტყვებისაგან გვათავისუფლებთ, შემ-
დეგია ნათქვამი: 1) მომზადება, 2) შესრულება,
3) შესრულების შეფასება, რასაც ავტორი
თვით ვერ აკეთებს, „მოითხოვს სხვის დახმარე-
ბას, სხვის აზრს, რომელიც, ბუნებრივია, მას
სურს დადებითი იყოს“. ცხადია, ყველაფერი ეს
მართალია, მაგრამ ამის წაკითხვა არაიქნა არ
შრომებებს ცოდნას შემოქმედებითი პროცესის
შესახებ.

რამდენადაც მე შემეძლო შემეშინია, ხელოვ-
ნების ბუნების გაგებაში სარეკენზიო წიგნში
რამე ახალი თვალსაზრისი წამოყენებული არ
არის. სამაგიეროდ, გ. ჯიბლაძე გვთავაზობს
ზერხს, რომელმაც მხატვრული შემოქმედების
ბუნების გაგება უნდა გააადვილოს. ეს ხერხი
დამოკეპულია წიგნის 504-ე გვერდზე. „ლი-
რიკულის ძველი გაგება, — ვითხოვლობთ იქ, —
გულისხმობდა მარტორდენ ვიწრო სუბიექტურს,
პოეტის „მე“, და შეიძლება ეს თვალსაზრისი
გამოიხატოს პერსონალიზმით (1). მაგრამ ეს ლი-
რიკულის მხოლოდ საფუძველია, ლირიკულის
ხრულ სახეს კი წარმოადგენს ობიექტურისადმი
სუბიექტურის მიმართება, როცა თვით სუბიექ-
ტური წინა პლანზე წამოიწეული. მისთვის შეიძ-
ლება ასეთი გამოხატულება მიგვეცა (1—2), მა-
შინ როცა ეპიკურს რჩება ფორმულა (4—1)“. — ეს
მონაზრება როგორც კი დაგვებადა, მივეყენეთ
მხატვრულ შემოქმედებას და ყველგან ნათელი
სურათი მივიღეთ“, დასძენს ავტორი. სინტე-
რისა, კომპიკრის ფორმულა როგორი იქნება?

პირდაპირ უნდა ითქვას, ყველაზე ცუდ მღვო
პარიონბას წიგნის იმ ნაწილში ვხვდებით, რომე-
ლიც მშვენიერების პრობლემას ეხება. მართი-
ლია, ეს პრობლემა მეტისმეტად რთულია, გარ-
კვეული აზრი, ყველასათვის მისაღები თუნდიც
ზოგადი წარმოდგენა მშვენიერების ბუნების შე-
სახებ არ არსებობს, მაგრამ არსებობს აზროვნე-
ბის გარკვეული ნორმები, რომელთაც უნდა
დემონსტრირდეს ყოველივე აზრი, თუნდიც იგი
ასეთ ურთულეს საკითხს ეხებოდეს, როგორცია
მშვენიერება.

მშვენიერების ცნების გაგებისას ავტორი ზერ-
ნიშვესივს ეყარება, მაგრამ, იმავე დროს, ცდი-
ლობს რიც შემთხვევებით უფრო შირის წაფიდეს-

ორსავე შემთხვევაში ავტორი სამართლიანად რე-
ყვავ, მაგრამ როცა ზერნიშვესივს არ სცილდება,
იგი გასაგებ და უმოთარეს შემთხვევაში სწორ
დებულებას აყენებს, სამწუხაროდ, ამასვე ვერ
ვატყვიოთ გ. ჯიბლაძის მიერ წამოყენებულ ახალ
დებულებებზე. მე უმოთარესად ყურადღების ამ
ახალ დებულებებზე ვთავაზობ. სინამდვილედ
აეილებ მხოლოდ რამდენიმე დებულებას, თანაც
ისეთებს, რომელთაც თვითონ ავტორი ანიჭებს
დიდ მნიშვნელობას.

წიგნში ბევრია ლაპარაკი ხელოვნებისა და
ბუნების მშვენიერებებზე, მათ ურთიერთდამო-
კიდებულებაზე. ავტორის ძირითადი აზრი ამ
საკითხზე შემდეგია: ბუნებაში არსებული მშვე-
ნიერება ნამდვილი, ქემპირიტი და ერთადერთი
მშვენიერებაა, რომელიც ხელოვნების დაუშრო-
ბელი წყაროა. ამიტომ, წინააღმდეგ იდეალის-
ტური ესთეტიკისა, ის გაკაცლებით უფრო მაღა-
ლი, ქემპირიტი და ნამდვილია, ვიდრე ხელოვ-
ნებაში არსებული მშვენიერება (აქი ბუნების
მშვენიერება ერთადერთიაო? ნ. ქ.) მაგრამ
თვით ხელოვნების მშვენიერება სინამდვილის
მშვენიერებაზე მაღლა დგას თავისი იდეალური
ხასიათით, შვენიერული მიზნითა და შვენიერული
ნებისყოფით“. (გვ. 14. წიგნის ტექსტში ეს დე-
ბულებები მრავალჯერა გამოკრებული).

თავი რომ დაეანებოთ იმას, რომ მკითხველი
მაინც ვერ გაიგებს, რომელი მშვენიერებაა უფ-
რო მაღალი — ბუნებისა თუ ხელოვნებისა, ამ
დებულებას აეკარგიანობა დამოკიდებულია იმა-
ზე, თუ რა გვესმის მშვენიერების ცნების ქვეშ,
როგორ განვსაზღვრავთ მას. უნდა აღინიშნოს,
რომ ავტორი არც ამ ურთულეს ამოცანას შეუ-
შინდა და მოგვცა — არც მეტი, არც ნაკლები —
მშვენიერების გაშლილი განსაზღვრება. „მშვე-
ნიერების განსაზღვრა, — ვითხოვლობთ 485-ე
გვერდზე. — ასეთი იქნება: მშვენიერება თავისი
უშუალო არსებითი ობიექტური კატეგორიაა, ამა-
ვე დროს სინამდვილის სუბიექტური ფორმა,
ისტორიულად შეპირამებული, ცალკე საგანი,
მოვლენა, რომელშიც სახიერდება ან წარმოგ-
ვიდება როგორც სიცოცხლე, ისე ცხოვრება,
თუმცა მშვენიერება არის სასამოვლო განცდიც;
ორივე შემთხვევაში მშვენიერება გვეძინება
ობიექტური არსობად სუბიექტური ფორმით“.
ზემოთ უყვი ითქვა, რომ ესთეტიკამ გერჯერო-
ბით ვერ მოახერხა მშვენიერების ცნების დად-
გენა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამ „გან-
საზღვრას“ მასთან საერთო არაფერი იქვს რა.
დარწმუნებული ვარ მშვენიერ მიზნების გამო:
1) მშვენიერების ცნებას გარკვეული შინაარსს
უნდა ჰქონდეს, ამ „განსაზღვრის“ შინაარსი კი
საეჭვოა რომ თვითონ მის ავტორს ესმოდეს,
2) მშვენიერება თუნდიც ობიექტურად, ზვეგან
დამოუკიდებლად არსებულად მივიჩნვიოთ, იგი
არავითარ შემთხვევაში არ იქნება ცალკე საგანი,
მოვლენა (ასეთი რამ მხოლოდ პლატონის ტიპის

იდეალისტურ თეორიაშია (დასაშვები), არამედ საგნების, მოვლენების თვისება იქნება. ცალკე საგანი შეიძლება იყოს მშვენიერი და არი მშვენიერება; 3) თუ მშვენიერება ობიექტური კატეგორიაა, როგორღა არის იგი სინამდვილის სუბიექტური ფორმა? (ას რას ნიშნავს თვითონ ეს გამოთქმა? რას შეიძლება ნიშნავდეს, რომ იგი «გველიწება» ობიექტურ არსობად სუბიექტური ფორმათ? ალარაფერს ვაშაშო განსაზღვრების ლოკატორ სტრუქტურაზე. და, როცა მე გკითხვობ, რომ ეს „ობიექტური კატეგორია და ამავ დროს სინამდვილის სუბიექტური ფორმა“ და თანაც „სასიამოვნო განცდა“ უფრო მაღალია ზემდე და მოკიდებულად არსებულ სინამდვილეში — თავისი უშუალოდ, ხოლო ხელისუფლებაში — „შეგნებულ მიზნობა და შეგნებულ ნებისყოფით“, ეგელა ამის ერთად გააზრებას ვერ გახერხებ და, მგონია, ვერც სხვა მეთხველი შესძლებს ამას.

არანაკლებ გაუგებარია მშვენიერების წუთიერობისა და მარადიულობის პრიზმების ჯიბილამისეულ გადაწყვეტა. „როგორც ბუნებაში, ასე ხელოვნებაში არსებობს მარადიული და წუთიერი მშვენიერებანი, მაგრამ განსხვავებულად: ბუნებაში წუთიერი და მარადიული მშვენიერებანი თვით მშვენიერებას არ განსაზღვრავენ, მაშინ, როცა ხელოვნებაში ისინი სწორედ ასეთად გველონებია. ეს დებულება ემყარება მსჯელობის შემდეგ არგუმენტს(?): წუთიერობა და მარადიულობა ბუნების მშვენიერებას არაფერს არც აკლებს და არც მატებს, ვინაიდან ის მხოლოდ მისი შინაგანი არსის ყოფნის თვისებაა(?) პირიქითაა ხელოვნებაში: აქ არსებობს თვისება უკვე მშვენიერების განსაზღვრელია“ (გვ. 14). „ასეთია, ჩვენის აზრით, მშვენიერების წუთიერობისა და მარადიულობის მშვენიერული გადაწყვეტა, რომელიც ზერნიშეუცეს გენიალურ ესთეტიკურ ტრაქტატში არა ჩანს“, დასძენს გ. ჯიბილაძე (გვ. 396). უკლოფერს რომ თავი დავანებოთ, როგორ შეიძლება რაიმეს „შინაგანი არსის ყოფნის თვისება“ ამ რაიმეს არც არაფერს მატებდეს და არც აკლებდეს?

პირდაპირ საოცარია „ხელოვნება და სინამდვილე“-ში მშვენიერების აბსოლუტურობისა და რელატურობის პრიზმების გადაწყვეტა. საკითხი უკიდურესი ლეკონიურობით არის გადაჭრილი: „მშვენიერება აბსოლუტურია თავის რელატურობაში და რელატურია თავის აბსოლუტურობაში“ (გვ. გვ. 14—15, 527). ეს ფრაზა, რომელსაც ასეთი „ღრმადუნეიერული“ იგზი აქვს, თურმე შემდეგს ნიშნავს: „როცა ბერძენი მხატვარი ზატავდა მონადირეს მშვილდისრით, ეს მაშინ აბსოლუტური მშვენიერება იყო, რადგან საზოგადოებრივი ცხოვრება და საზოგადოებრივი აზრის წარმოდგენა ამ საგანზე უფრო შორს არ მიდიოდა. მაგრამ აი, ცხოვრება წინ წავიდა, მშვილდისრის ნაცვლად მონადირემ თოფსა და

ტყვიანაშაღს მოკიდა ხელი, ის აბსოლუტური მშვენიერება, რომელიც ძველ ბერძენ მხატვარს მშვილდისრით მონადირის სხეში ეხატებოდა, იქცა უკვე რელატურ მშვენიერებად და აბსოლუტურობის სახე მიიღო თოფიანა მონადირეში!... ამგვარად, მშვილდისრით მონადირე ყოფილა არა მარტო აბსოლუტური თავისი მშვენიერებით, არამედ, ამვე დროს, რელატურიც. ის აბსოლუტური ყოფილა თავის რელატურობაში და რელატური თავის აბსოლუტურობაში. ასე გვეხმის ჩვენ მშვენიერების აბსოლუტურობა და რელატურობა“ (გვ. 527). „ბარაქალა შენს შეძლება-სო“ — იტყვია, ალბათ, ასეთ შემთხვევაში ილია.

მიუხედავად იმ ლაფსუსებისა, რომლებიც მშვენიერების განსაზღვრებაში გვხვდება, გ. ჯიბილაძე თანმიმდევრულად იცავს შეხედულებას მშვენიერების ობიექტურად არსებობის შესახებ. კმათი ამ დებულებას წინააღმდეგ ძალიან ძნელია, რადგან მშვენიერებას მართლაც აქვს ობიექტური საფუძვლები; აქ მინდა ავტორის ყურადღება მივაპყრო სამ გარემოებას: 1) მშვენიერების ცნებას ესთეტიკაში ორი მნიშვნელობით ხმარობენ — ფართო და ვიწრო მნიშვნელობით. (ამაზე გაკვირვებ ნათქვამი სარტყენიო წიგნშიც); პირველ შემთხვევაში მშვენიერის ცნება ესთეტიკურის ცნებას ემთხვევა, მეორე შემთხვევაში („ესთეტიკური მშვენიერო“) იგი ესთეტიკურის ვრთ-ერთ კატეგორიას ნიშნავს — ამაღლებულის, კომიკურის, ტრაგიკულის და ა. შ. გვერდით რა მნიშვნელობითაც არ უნდა ვიხმაროთ ეს ცნება, იგი მკიდრო კავშირში იქნება ამაღლებულთან, ტრაგიკულთან, კომიკურთან და ა. შ. და როცა მშვენიერების ობიექტურად არსებობის საკითხი ისმება, ამ გარემოებას უამკველად უნდა გაეწიოს ანგარიში; 2) მშვენიერების ობიექტურად არსებობის სახეობად არ გამოდგება პოეტების გამოთქმები „ცა მშვენიერი“, „შთა მშვენიერი“ და ა. შ. საკითხი სწორედ იმას ეხება — ცის დე სხვა ბუნებრივ მოვლენათა მშვენიერება მათი ობიექტური, ე. ი. აღაშიანთ-საგან (საერთოდ კაცობრიობისაგან და არა თქვენგან ან ჩემგან) დამოუკიდებლად არსებულ თვისებათ, თუ იგი მხოლოდ აღაშიანთან დამოკიდებულებაში არსებობს; პოეტები, როგორც წესი, ამ პრაბლემას არ სვამენ მით უმეტეს, არ გამოდგება მშვენიერების ობიექტურობის სახეობად ის გარემოება, რომ მე მიზნლანი არ მიწახეხ, მაგრამ იგი მშვენიერიაო (გვ. 462); ვითორბე, ობიექტურობა საერთოდ აღაშიანისაგან დამოუკიდებლანს ნიშნავს და არა რომელიმე პიროვნებისაგან, 3) თუ ჩვენ მშვენიერების ცნებას ცხოვრებისა და სიცოცხლის ცნებებს დავუკავშირებთ, მაშინ ისიც უნდა ვგახსოვდეს, რომ დედამიწაზე სიცოცხლე და ცხოვრება ყოველთვის არ იყო და ამიტომ არ უნდა გვკონდეს უფლება კატეგორიულად განავცხადოთ: „აღა

შინის დამოუცილებლად ბუნებაში მშვენიერების უარყოფა, ეს იგუჯება, რაც ადამიანის გაჩენამდე დღეადამიანის არსებობის უარყოფა, ე. ი. სრული სოლოპიზმი" (გვ. 429). თუ მშვენიერება ცხოვრებაა, ადამიანის გაჩენამდე იგი როგორღა იარსებებდა? „ცხოვრება“ ხომ სწორედ საზოგადოებრივ ცხოვრებას ნიშნავს? ერთი სიტყვით, მე კიდევ მინდა ზახა გეუთხა, რომ მშვენიერების პრობლემა ძალიან რთული პრობლემაა, მაგრამ ეს შინიც არ გვაძლევს უფლებას მის შესახებ კურობული დებულებები წამოვაყენოთ.

მით უმეტეს, დაუმეებელია მცირეოდენი ლაფსუნებიც კი ისეთ საკითხებში, რომლებიც დიდი ხანი გადაწყვეტილია და საყოველთაოდაა ცნობილი. სამწუხაროდ, სარეცენზიო წიგნში ვხვდებით ასეთი ხასიათის ლაფსუნებსაც: „1523 წელს ზოკინგენი რეეოლუციას ახდენს...“ (გვ. 249). ცალკეული პიროვნებები რეეოლუციებს, ცხადია, ვერ მოახდენენ; „პისარვეის ლიტერატურული მემკვიდრეობაში ზენითვის ძვირფასია... მშრომელი ხალხის ინტერესების გაბედული დაცვა მფლის თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ მართალია, ბატონყმობა უკვე გაქმეპებული იყო პისარვეის კრიტიკული აზროვნების აუჯავების ხანაში, მაგრამ მისი ბრძოლა პიროვნების უფლებათა დასაცავად ანადგურებდა ბატონყმურ ინსტიტუტს ადამიანის ყოველგვარ დამამცირებელ ნორმებთან ერთად“ (გვ. 225). როგორ ებრძოდა პისარვეი იმას, რაც აღარ იყო? ცხადია, აქ ავტორი გულსხმობს პისარვეის ბრძოლას ბატონყმობის ინსტიტუტის წაშტებთან, მაგრამ განა იმისი პირდაპირი თქმა არ შეიძლებოდა?

ადამიანს სიცოცხლე უყვარს, ვითხოვლობთ 432-ე გვერდზე, „როგორი მძიმეც არ უნდა იქნეს მისთვის“. სიკვდილი „სძულს და ეზიზღება, როგორი ტბილიც არ უნდა იქნეს. მაგრამ სიკვდილი ტბილი არასოდეს არაა (აკი არისო? — ნ. ჭ.) ესაა არსებულის და არსებობის ძირითადი კანონი (მთელი სინამდვილისა? — ნ. ჭ.), მაგრამ თუ სადმე გვხვდება მისი დამსხვრევა (ეთქვათ, თვითკვლელობა), ესაა წვეთი ზღვისში, რომელიც კანონს ისე არ ეჭვმდებარება, როგორც ეაშლის ხეს არ ასხია მარგალიტები“. მართლაც რომ მარგალიტია, რომელიც არავითარ კანონს არ ეჭვმდებარება!

აი კიდევ უფრო უცნაური დებულებები: „თუ პირველყოფილი თემური მშობელებს იდეოლოგია მათილოგია იყო, მათილოგია მათილოგია ნათმლობელურ საზოგადოებაში ნას ადგილს მეცნიერება იკავებს“ (გვ. 19). ამავე გვერდზე ვითხოვლობთ:

„...მონების რეეოლუცია ბოლოს უღებს გვაროვნულ საზოგადოებას და საფუძველს უქრის ახალ მონათმფლობელურ საზოგადოებას“. „მონები“ აჯანყებულან (სად იყვნენ ნეტავ?) — თანასწორობა და თავისუფლება არ ვეინდა, მონობა ვეირჩენიათ!

ერთი შენიშვნა წიგნის ენის გამო. „ხელოვნება და სინამდვილე“ საერთოდ კარგი ენითაა, დაწერილი, მაგრამ მას უდავოდ აფუჭებს უცხო სიტყვების გადაკარბება. ზმირი (და ამისთან ზოგჯერ უადგილო) ხმარება, წიგნში ხშირად გვხვდება ასეთი გამოთქმები: „ხელოვნების მშვენიერების დეკლავაცია“; ბაუმგარტენის გამოცხადება ზერნსშევესკის ესთეტიკის წყაროდ — „პარალოგიზმია“ (პარალოგიზმი ლოგიკური შეცდომის გარკვეული სახეა და არა საერთოდ მცდარი აზრი); „იყო დრო, როცა ყოველგვარ დასავლეთეერობულს უპრეტენდენტო(?) გასაჯალი ჰქონდა, ყოველგვარი დასავლეთეერობული აქსიომატიკა(დ?) ითვლებოდა“...

ასეთი ხასიათის შეცდომები, მითუმეტესაა საწყენი, რომ ისინი ჩრდილს აყენებენ წიგნის დადებით მხარეებსაც, რომელთა შესახებ ზემოთ იყო ნათქვამი და რომელთა შირის მთავარი ისაა, რომ წიგნში იდეოლოგიური ხასიათის შეცდომები არ გვხვდება. ეს უკანასკნელი გარემოება მკითხველს საფუძველს აძლევს გამოთქავს იმედი რომ წიგნის მეორე ტომი, რომელსაც, როგორც ჩანს, ავტორი ამზადებს, თავისუფალი იქნება პირველი ტომი შემჩნეულ ნაკლოვანებათაგან.

ის შენიშვნები, რომლებიც ზევნ გაავადეთთ გ. კიბლაძის ნაზრომის მიმართ, რა თქმა უნდა, არ ამოწურავენ საკითხს მთლიანად და არ აშუქებენ წიგნის ყველა ღირსება-ნაკლოვანებას. „ხელოვნება და სინამდვილე“ იძლევა საკმაო მასალას უფრო ფართო განხილვისათვის და სინტერესო თეორიული დისკუსიისათვის.



არტურ ლისტის და საქართველო

დღითი დღე მტკიცდება და ღრმავდება საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურული კავშირი და თანამეგობრობა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, დიდი სახალხო ჩინეთის ხალხებთან, მთელი მსოფლიოს პროგრესულ ადამიანებთან. ამავე დროს ჩვენ ხალხს ახსოვს, რომ ამ დღევანდელ თანამეგობრობას ყველა თავისი ყეთილშობილი წინამორბედები, რომლებიც შეებნელი წარსულის პირობებში დაუღალავად იღწეოდნენ ერთა შორის კულტურული ურთიერთობის გასამტკიცებლად. ამ სახელოვან მოღვაწეთა შორის ერთერთი საბატო ადგილი უკავია გერმანელ მწერალსა და ეურნალისტს — არტურ ლისტს, რომლის დიდი ამაგი ქართველი ერის წინაშე დღეს, საბჭოთა ზეღასუფულების პირობებში, განსაკუთრებით აღინიშნება და ფასდება.

არტურ ლისტმა მთელი თავისი საყოფიერო ცხოვრების უდიდესი ნაწილი შესწირა ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეს. უცხოელთა შორის იგი იყო ყველაზე უფრო თვალსაჩინო ადამიანი, რომელმაც ახლა მონაწილეობა მიიღო ქართული კულტურის მრავალ მნიშვნელოვან წამოწყებებში.

ფიქრობთ, არ იქნება ინტერესს მოკლებული მოვაგონოთ ქართველ მკითხველს ზოგიერთი საგულისხმო ფაქტი არტურ ლისტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიიდან.

არტურ ადოლფისძე ლისტი სიღვრილი გერმანელი იყო, შვილი იმ კუთხისა, რომელიც მკიდროდ უკავშირდებოდა პოლონეთსა და რუსეთს.

ლისტი დაიბადა ქალაქ ბრესლაუში (პოლონური ქალაქის ეროცლავის გერმანული სახელწოდება) 1852 წელს, პედაგოგისა და ეურნალისტის ოჯახში. მამამისი იმ დროისათვის მეტად განათლებული, ენების კარგი მცოდნე იყო.

მომავალი მწერალი და ეურნალისტი ორი წლის განმავლობაში ისმენდა უნივერსიტეტში თერისპრედენციისა და ისტორიის კურსს. ამ პერიოდში გამოვიდა იგი ეურნალისტის ასპირანტზე. 1877 — 1878 წლებში ის სამი ცნობილი გერმანული ეურნალის თანამშრომელია. ცხოვრობდა პოლონეთში — კრაკოვსა და ვარშავაში, საიდანაც აწვიდა გერმანულ და სხვა ევროპულ გამოცემებს წერილებს პოლონეთისა და რუსეთის ცხოვრების შესახებ. პოლონეთში ლისტი სწავლობდა რუსულ ენას; ვარშავაში იგი დაუახლოვდა პოლონური ლიტერატურის

გამოწინილ წარმომადგენლებს ჰენრიკ სენკევიჩს, ბოლესლავ პრუსსა და ვიქტორ გომეციკის.

1875—1878 წლებში ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მომხდარი აჯანყება და მის „მონაგვარებლად“ ატეხილი ომი რუსეთსა და თურქეთს შორის მთელი მსოფლიოს ყურადღებას იქცევდა. მრავალი ენის მცოდნე ლისტიც ადევნებდა თვალს რუსულ და უცხოურ პრესას. იმ პრესაში გამოირჩეოდა სამხრეთის ფრანტიდან მოქმედ ნაწილებში მყოფი ეურნალისტის ნიკო ნიკოლაძის წერილები, რომლებიც უშთაერეს წყარო იყო იმ დროს რუსული და ევროპული პრესისათვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვეყნების ამბების მიმოხილვისას. ლისტზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გონებაშაშვილი ეურნალისტის ნიკო ნიკოლაძის ნაშრომები, ბრწყინვალე სტილში და ნათვლამ ლოგიკამ. მან ნ. ნიკოლაძეში დაინახა რუსული მეტროლი დემოკრატიული პრესის თვალსაჩინო წარმომადგენელი.

გერმანელ ეურნალისტს ნ. ნიკოლაძის სამშობლოს შესახებ ცოტა რამ ვაგონია. ნ. ნიკოლაძის წერილებში ლისტი დაინტერესდა ქართული ეურნალისტიკის ტრადიციებითა და, საერთოდ, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებით. ამ უკანასკნელს იგი გაეცნო უშთაერესად რუსული პრესის საშუალებით. კავასისის რუსულ პერიოდულ გამოცემათა უფერულ ანარეკლში გამოცდილი ეურნალისტი ხელადა ძლიერსა და სინტერესო საზოგადოებრივ, ინტელექტუალურ მოძრაობას.

1880 წელს მიწინავე რუსულ საზოგადოებაში გაერცულა ხმა ნიკოლაძის სასამართლოში გადაცემის შესახებ — „საერთაოი გაზეთის მოავრობის პოლიტიკის საწინააღმდეგოდ წარმართვის გამო“.

როგორც ცნობილია, საზოგადოებაზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ნიკოლაძის სიტყვამ, რომელიც მან წამოითქვა სასამართლოს პროცესზე და რომელიც შემდეგ ბარშერის საბით გამოიყა. ამ სიტყვამ გამოხმარება პოვა საზღვარგარეთულ პრესაშიც. რევილუციონერად განწყობილ მოღვაწეთა თვალში ნ. ნიკოლაძე მეტროლი დემოკრატიული პრესის ნაშვილი „გარბადალი“ იყო, რომელსა „შეწელო სიპართულ პარში ეოქვა ქვეყნის მეუფეთათვის“. ხალხის საბრალდებლო აქტი წაეთთხა მეფის მართლმსაჯულებისათვის.

ლაისტს დაებადა სურვილი დაახლოებოდა ამ ადამიანს, რომლის სამშობლოს შესახებაც ბევრი ჰქონდა გაგონილი უკანასკნელ დროს.

იგი აკაცრო იმ დროს გეროპის ლიტერატურაში არსებულ მეტად მწირ მასალაზე საქართველოს შესახებ, სენ მარტენისა, მარი ბროსეს შრომებს და მოგზაურისა და პოეტის ბოდენ-შტედტის ერთადერთ პოპულარულ წიგნს გერმანულ ლიტერატურაში საქართველოს შესახებ. ბოდენ-შტედტის აღფრთოვანებულმა ლექსებმა, ლესინგის „მინა ფონ ბარნჰელმა“ დიდი სურვილი აღძრა ლაისტში უფრო ახლოს გასცნობოდა ამ ქვეყანას. ლაისტე წერდა:

„ბოდენ-შტედტი აღტაცებით იხსენიებდა საქართველოს და აღფრთოვანებულ ლექსებს უძღვნიდა მის სიმშვენიერეს. ამ ლექსებს რომ ეკითხებოდები, სულითა და გულით ევახლოვდებოდი საქართველოს. მიუხედავად მისი ღირებულებისა, ბოდენ-შტედტის წიგნი არ მაკმაყოფილებდა. წიგნი სდებდა ქართველი ერის ისტორიასა და, საერთოდ, მისი წარსული კულტურული ცხოვრების შესახებ. ყოველივე ამის შესახებ ვერა ეპოვე ვა გერმანულ ენაზე, ნაკლები — სხვა ერთა ნაწერებში. ერთი სიტყვით, საქართველო სრულიად უცნობი იყო გეროპაში. იგი აზრით, მისი წარსული საინტერესო ისტორიულ რომანს უნდა ჰქვენებოდა, და იმ ხალხს, რომელსაც ისეთი სხვადასხვა ამბით გაცხოველებული ისტორია აქვს და გარშემო სამოთხისებური ბუნება ახვევია, პოეზიაც უნდა ჰქონდეს მეთქი. ამიტომ დიდი გულმოდგინებით ვცდილობდი ვაგვეცნო ყოველივე, რაც საქართველოს შეეხებოდა. გადავიწყვიტე, ჩემი კალმის ძალა შე-სწევია ამისათვის, რომ გეროპისათვის გადაემეზლა ეს მშვენიერი კეთხე...“¹

1880 წელს ლაისტე მიმართავს ნიკო ნიკოლაძეს: „რამდენიმე ხანია ჩემს უფრადლებას იპყრობს ქართველებსა და სომხების ინტელექტუალური ცხოვრება; უნდა გამოვკვლიეთ, რომ ამ ერთა ლიტერატურულმა წარმატებამ აღმფრთოვანა. მე ვარ თანამშრომელი რამდენიმე პირველხარისხოვანი გერმანული გამოცემისა... მე მეტად ეკმაყოფილად ჩავთვლი თაგს, რომ შემოქმედობდა ჩემი თანამშრომელებისათვის გამეცნო ქართული და სომხური ლიტერატურა, ამ ერებისათვის კი — გერმანული. მე სერიოზული დაბრკოლებები მელოება, რომ ამ საქმეში რამდენიმედ მაინც წინ წაიღვა ფეხი, გამოვიკვეთო პატარა შრომა იმ მკარერიცხოვან შრომებზე დაყრდნობით, რაც კი არსებობს, აღბათ, რუსულად... მე თქვენ მეუფეებში, როგორც ქართული პრესის ღირსეული წარმომადგენელი და ქართველია შირის“ ერთი პირველთაგანი მწერა-ლა. იმედი მაქვს, დაუმხმარებელი ჩემი სურვილებს შესრულდნაში. მე ვფიქრობ, რომ მოძმე ქართული და სომხური ლიტერატურული წყა-

როები მეტად უახლოვდებიან ერთმანეთს მსრფელი აზროვნების ისტორიის ფრწეზე...“

ამავე წერილში ლაისტე სთხოვს ნიკოლაძეს, გამოუგზავნოს საკუთარი გერმანული „შრომები“ (მან მაინც არც იცოდა, რომ „მოხორი“ გახვითი იყო და არა ეტრნალი)¹.

1881 წელს ლაისტმა იმოგზაურა გეროპაში. ამ დროს ის ხედება იმ გერმანულ პოეტს, ბოდენ-შტედტს, რომელსაც ეკუთვნოდა წიგნი „ათას ერთი დღე აღმოსავლეთში“; მათი საუბრის თემა იყო საქართველო, რომელსაც მიუძღვნებოდა ეს წიგნი. საქართველოთი აღფრთოვანებული პოეტი ახალგაზრდა მწერალს ურნეეს, საკუთარი თვლით იხილოს და განიცადოს ეს პატარა ქვეყანა. ამავე პერიოდში ლაისტე ეცნობა დავით ერისთავს. დავით ერისთავი ლაისტისათვის იყო პირველი ჩივრთვით ქართული კულტურის ისტორიაში, პირველი ადამიანი, რომელმაც დააკავშირა იგი ქართული კულტურის მოღვაწეებთან.

1882 წელს რუსული საზოგადოების უფრად-ლება მიიპყრო ლაისტის მეგობრის — დავით ერისთავის დრამის „სამშობლო“ გარშემო ატეხილმა ბრძოლამ რეაქციული ბანაკის ეტრნალისტებსა და მოწინავე ქართველ საზოგადოებას შორის. ლაისტე გრძნობდა, რომ ეს ბრძოლა წარმოებდა ქართული და სომხური კულტურის პრესტიჟისათვის. უცხოელმა მეგობარმა კარგად იცოდა, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ამ დროს საზღვარგარეთ და განაპირა ქვეყნებში პრესის საშუალებით რეაქციული ეტრნალისტიკის მსუვეურთა მამხილებელი საზოგადოებრივი აზრის შექმნა.² ლაისტმა საჭირო ცნობებისათვის ამ-ვედგად აკავ წერეთელს მიმართა: „პატრონი დავით ერისთავმა პატივი დამძღო და მომამოწოდა თქვენი მისამართი, მინდა მოგმართოთ ზოგიერთი ლიტერატურული საქმის გამო. რაც შეეხება თქვენს საამაყო სამშობლოს... უკვე კარგა ხანია, რაც ინტერესითა და სიამოვნებით ვადევნებ თქვენთვის თქვენი თანამშრომელების გონებრივ მოძრაობას. გავცანი თქვენს ისტორიას და დღევანდელ ბრძოლას, რომელსაც აწარმოებთ თქვენ, რომ დაიკავით თქვენი რაინდული ერისათვის ღირსეული ადგილი მოწინავე ერთა შორის.“

მე დაერწმუნდი, რომ საქართველო იძლევა ბერის ისეთ რამეს, რისი პოპულარიზაციაც დაინტერესებდა ჩვენს საზოგადოებას. მე ვწერ

¹ წერილი დატულია ნიკოლაძის არქივში.

² როგორც ცნობილია, 1877 — 1880 წლებში საქართველოში ზედიზედ მოხდა გლეხთა აჯანყებები და მღელვარებანი (ყვანეთში, ქიზიყში, გურიამი და სხვ.) ქართული პრესა ამხელდა მთავრობის მოხელეთა აღვირახსნალობას. ქართული პუბლიცისტები ამის თაობაზე გარკვევით ლაპარაკობდნენ უცხოეთში პრესის საშუალებით. ოფიციალური პრესა კი ცდილობდა კავკასიაში მომხდარი ამბებისათვის თავისებური ახსნა მიეცა (როგორც უცხოეთში, ისე რუსეთში).

¹ სკ. ლიტ. მუხ. ლაისტის პირადი არქივიდან.

პოლონურად და გერმანურად. მინდა ვიკისრო ინტელექტუალური ურთიერთობის დამყარება ამ ორ ეროვნებასა და თქვენს თანამემამულეთა შორის. ამ მიზნით მე მინდა ჩვენს საზოგადოებას გვაეცნო თქვენი შინაგანი ნაყოიანალური ისტორიული სურათები. ... მისი დამახასიათებელი ნიუანსები და საერთოდ თქვენი ერის საგანმანათლებლო წვლილი ცივილიზაციის ისტორიაში...¹

ლაისტი აკაკის თხოვნს, დაეხმაროს სათანადო მასალის მიწოდებით. აკაკიმ ეს წერილი ვაკელო ქართულ საზოგადოებას. უცხო მეგობრის წერილის მოკლე შინაგანი გამოკვეთვა „დროებაში“ და აღურთო ცნობები მისი ავტორის ვინაობის შესახებ.

1882 წელს, როდესაც პიესა „სამშობლო“-ზე მოაწვეს თავდასხმა (რაც რეაქციონერი ეურნალისტების მარცხით დამთავრდა), პოლონეთში ვინმე დღევანდელმა სკელა კარგიერისტმა მიზნებით სამსახური გაეწია ოფიციალური პრესისათვის. ის გაზეთ „gazeta Polska“ (№ 5-ში) ათავსებს სტატიას, რომელშიაც იმეორებს ვალბახის რუსული კულტურის წინააღმდეგ ქართველთა სომეხთა ბრძოლის შესახებ. თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა პოლონურ საზოგადოებაზე დღევანდელმა გამოხატვამ, კარგად ჩანს ლაისტის მიერ რედაქციისადმი გაგზავნილ ღია ბარათში (რომელიც შემდეგ ქვეყნდება სტატიაში) — „ქართველთა და სომეხთა ლტოლვილთა განათლებისადმი“ ამავე გაზეთში.

ლაისტი თავის ღია წერილში (რედაქციის მიმართ) წერდა:²

„აკაკისიანი ერნი ღირსნი არიან სრული უცრადობისა: მე სულ ციკაოდე რამ შემიწავლია მათს შესახებ, ამიტომ ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება თქვენზე გაზიარებისათვის მომეყვინა ზოგიერთი ფაქტი ამ ხალხების გონებრივი მოძრაობის შესახებ... (ლაპარაკია ქართველებსა და სომეხებზე. — თ. ფ.). ეს ორი ხალხი იღვანად მოძრაობდა და ნაქიერია, რომ ისინი ადვილად თვისებენ თანამედროვე განათლების უფლებებზე მხარეს. ქართველებსა და სომეხებს აქვთ ძველი ისტორია, ძველი ტრადიციები, განთქმული არიან მხნეობით. ამ ორ ერს წარსულში ერთსა და იმავე დროს ჰქონდა დიდი განათლება, თავისუფლება და კეთილდღეობა... ქართველი ერის სწრაფვა განათლებისადმი მეტად ძლიერია, ამას თავით რუსებზე აღიარებენ... დიდი სისწრაფით მიდის წინ მათი ლიტერატურაც...“ ამის შემდეგ ლაისტი სტატიაში მიმოიხილავს ქართული და სომხური კულტურისა და ლიტერატურის ისტორიას.

¹ საქ. საისტ. მუზეუმის ზელნაწერების ფონდიდან.

² წერილი დაიბეჭდა სტატიასთან ერთად. ზემოთ მოყვანილი ლაისტის წერილის და სტატიის ტექსტი მოგვყავს ა. ლაისტის არქივიდან ამონაწერის ჩვენს მიერ ზელნაწერად თარგმანიდან.

ჩაის. ადვილად გასაგებია, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ქართველ დიპლომატურ და საზოგადოებრიობაზე პოლონეთში დაბეჭდილი სტატია, რომელიც დაწერილი იყო მათთვის უცნობი გერმანელი ეურნალისტის მიერ. ეს სტატია მაშინვე გადმობეჭდეს „დროებაში“.

აკაკი ლაისტი 1883 წელს ეურნალ „Magazin für die Literatur un- und Auslandes“-ში ბეჭდავს ვაკელო წერილს ქართული ლიტერატურის შესახებ. ჩვენი გერმანელი მეგობარი ეურნალს უგზავნის ცნობილ ქართველ მწერალს აკაკი წერეთელს შეფასებისა და შენიშვნებისათვის. ამ ეურნალს მან გამოაყოფა წერილიც:

„გემუშეწინ მე გამოგზავნავთ გერმანული ეურნალის ერთი ნომერი და ალბათ მიიღებთ. ეს პირველი ნაბიჯია, რომელიც გადადგო გერმანიაში თქვენი ლიტერატურის პოპულარიზაციისათვის. თუ სტატია არ შეიცავს სიზუსტეს და, იქნებ, დაელოვანია, ამისი მიზეზი დაწერილობითი ცნობების უქონლობაა... მე ვებედავ გამოეორთ ჩემი თხოვნა... მე კიდევ არ ვარაგე იმედს, რომ პატივს დამდებთ და ერთ მშვენიერ დღეს ჩემი ოცნება განხორციელდება. მაშ, მოითვით მოწყალეობა და გამოიმგზავნეთ აგრეთვე თქვენი გაზეთი — „სრომის“ ჩამდენნიმე ნომერი... ჩემი გული აღსავსეა თქვენი სამშობლოსადმი სიყვარულით, და ყველაფერი ის, რაც მე მომიცა თქვენგან, განუთხოველ საამოვნებას მიმანიჭებს.“

თქვენი ერთგული ლაისტი.¹

როგორც ვხედავთ, წერილში მოისმის მეტად მოკრძალებული საყვედური აკაკისადმი. აკაკიმ ეს წერილი გამოაქვეყნა „დროებაში“.

1884 წელს პოლონური ეურნალის „Ateneum“-ის მარტის ნომერში დაიბეჭდა არტურ ლაისტის სტატია „ქართული ხალხი“. ეს წერილი უკავშირდებოდა ლაისტის დიდ შრომას, რომელიც ავტორს განზრახული ჰქონდა გამოეცა გერმანულ ენაზე ცალკე წიგნად (ამავე სახელწოდებით). ამ წიგნის დასაწერად ლაისტმა გადაწყვიტა ჩამოსულიყო საქართველოში. იმავე წლის გაზაფხულზე არტურ ლაისტი საქართველოში მოიწვია ილია ქავჭავაძემ. ლაისტი საქართველოსაკენ გამოემგზავრება ამავე წლის აგვისტოს დასაწყისში. მან ამ მგზავრობას მიუძღვნა ნაწარმოები — „კობეით“.

სამ აგვისტოს ახალგაზრდა გერმანელი მწერალი ვლადიმერ პორიზონტზე კავკასიონის მწვერვალების გამოჩენას. ამ დროს გემანზე საინტერესო სცენა გათამაშდა. ლაისტის უცრადობა მიიქცია ორი მგზავრის კამათში. დობდნენ ერთი სპარსელი და ალბათ სპარსეთში მიმავალი ერთი ფრანგი. ლაისტი უბის წიგნაკში აწერს მათ ლაბარავს:

...მაღე ფრანგსა და სპარსელს შორის დავა ატყდა.

¹ საქ. მუზეუმის ზელნაწერით არქივიდან.

— ჩვენი მეობებით თქვენც და თქვენი ქვეყნად წინ წახვალთ, — უთხრა ფრანგმა სპარსელს, — მაგრამ თქვენი შაჰი ჩვენ უნდა გვაძლევდეს მეტ თავისუფლებას, იჩინდეს მეტ დათმობას.

— დიახ, დიახ, როგორ არა, — უპასუხა სპარსელმა, — თქვენი წყალობით მალე მათხოვრად იქცევა ყველა სპარსელი.

— ხა, ხა, ხა! — გადაიხარხარა ფრანგმა, — არა გიშავთ რა, თქვენში ბევრი სიმდიდრეა, განათლება კი თქვენთვის საჭიროა, მას მხოლოდ ჩვენი წყალობით მიიღებთ.

— ვა თქვენი უხეი წყალობა დაღუპვას გვიქაღის, — უპასუხა მწარე ღამილით სპარსელმა, — თქვენ ჩვენი განათლება არ ვაწუხებთ: მაღიხარებ ჩვენთან, გამდიდრდებით და, როდესაც გუბებს გაიტყნით, მაშინ შესძახებთ თქვენებურად: „ჩემს შემდეგ თუნდაც წყალმა წილის ყველაფერიც!“

არტურ ლაისტის მესხიერებაში დიდხანს დარჩა კომერსანტის ზემოთ მოყვანილი ცინიკური სიტყვები.

ხუთ აგვისტოს არტურ ლაისტი თბილისშია. ქართული საზოგადოება ველურად იწყობა, ქართული მუხეზა მორიგულ მუხეზარს. ქართული პრესა მხტვრულად შივისალმა ლაისტს, ვერმინგული და პოლონელი ექვრნალისტის ჩამოსვლა ამ ხალხების ქართულ ხალხთან ურთიერთ დაახლოების საზღოში დღედ იქცა.

თბილისში არტურ ლაისტს მასპინძლებად დაუხვდნენ მისთვის ახლობელი, მაგრამ ჯერ თვალთ უნახავი მეგობრები ი. ქაქვიაძე, ა. წერეთელი, ი. მანაშელი, ი. გოგებაშვილი, თეატრალური და ლიტერატურული საზოგადოების სხვა წარმომადგენლები. ილიას ოჯახმა პირველმა გაუღო ფართოდ კარები საყვარელ სტუმარს.

არტურ ლაისტი იმდროინდელ ერთ ჩანაწერში შემდეგს მოგვითხრობს: „როდესაც პირველად მოვხვდი, საქართველოში, რა თქმა უნდა, მე, პირველყოფილსა, გამიტაცა ბუნებამ... მწერლები, უდავოდები და სხვა პიროვნებები, რომლებსაც მე გააცნა მეორე დღეს ილია ქაქვიაძესთან, გარეგნობით მეტად სადა აღმიახებო იყვნენ. მათ გარეგან დეკორაციას საქმებით შეეფერებოდა მათი უბრალოება და მოკიდებულებაში... მე მეტად მოხარული ვიყავი, რომ მოვხვდი ასეთ აღმიახებთან, რომელმაც შემიძლო შესაუბრა, როგორც ძველ ნაცნობებთან. ამ დროისათვის ქართველი მწერლები, და საერთოდ ლიტერატორები, ერთს ოჯახს შეადგენდნენ. მათში არ იყო განვარტებულობა...“

ილია ^{გან} ავკინტოს სადილად მიიწვია ცნობილი მწერლები* და მოღვაწეები: ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ი. მანაშელი, ი. კვიციანი, ალ.

სარაჯიშვილი, ახალგაზრდა მწერალი ქალი/ვაგაბაშვილი, და სხვ. სტუმრებს საზეიმო ვაწყობილება ჰქონდათ. აქაქის ენაშტყვიცნობის საღამოს განსაკუთრებით გამოიწვევდა სტუმრის მისამართითაც კი წამოცდა ერთ-ერთი მოსწრებული სიტყვა. ილიამ მისთვის დამახასიათებელ დარბაისლური მქვერმეტყველობით სადღევრძველო წარმოთქვა:

„დღეს ჩვენი შორის ბრძანდება უცხო კაცი და სტუმარი; უცხო და სტუმარი მარტო იმით, რომ სხვიდან მოსვლა, ხოლო სულითა და გულთ მოცა ერთნაირად სასიხარულოა მისი ჩვენს შორის ყოფნა. ქართველმა იცის პატრიოსიცემა უცხო სტუმრისა და უფრო დიდი პატრიოსიცემა სულისა და გულის მახლობლისა და თავისიანისა... ბატონი არტურ ლაისტი ის კაცია, რომელმაც, ჩვენდა სასიხარულოდ, კისრად იღო შეაკაცობა ჩვენსა და ვერობას შორის, რომელმაც იტყობა ჩვენს კულში ამონაწობის სიტყვა, ჩვენი ჰქონისა და გონების სიწინე, ჩვენი სულიერი ძალბრენე აქნობის იმ ხალხთ, რომელნიც ქვეყნის წარმეტების გზაზე მეთური და მესვერნი არიან... იმედია, რომ ამ საყვარულთ ჩაგონებული პირთუენელი სიტყვა ბ-ნ ლაისტისა მოხვედნით განათლებულს ქვეყანას. იმ აზრესა, რომ შორს, საღდაც არის ერთი პატარა სამოთხე, არმელსაც საქართველო ჰქვიან, და იმ პატარა სამოთხეში მტხოვრობს ერთი პატარა ერი, რომელსაც უცემს დიდი გული კაცობრიობის წარმეტებისა, სიკეთისა და ბედნიერებისათვის...“

იმ დღეს ფართო საზოგადოებრიობამ მიიწვინა სასტუმრო სტუმარი საყვარელი თვალით ენახა ლაისტის მასპინძელი და თანამესტუმრები მიიწვიეს მტყვისის პირას „ვაზის ბაღში“.

მეორე დღეს სტუმარი წაიყვანეს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“. მან გულმოდგინედ დაათვალიერა საზოგადოების ბიბლიოთეკა და ხელნაწერების ფონდი. აქ ლაისტს პირველად ამოუღია ხმა ქართულად, რომელიც გადაუკითხავს „საზოგადოების“ წესდების რამდენიმე პარაგრაფი. ეს უთუოდ სიურპრიზი იყო აქაცისათვის, რომელმაც მდუმარე სტუმრის მისამართით წინა დღით ბევრი იბუნჯა...

არტურ ლაისტის უახლოესი მეგობარი იყო ილია ქაქვიაძე. „ილიამ ბევრია ხალხური და ამიტომ ძლიერი თვისებები“, არაერთხელ უთქვამს ლაისტს. აი რას წერდა იგი იმ შთაბეჭდილების შესახებ, რომელიც მოახდინა პირველმა მესვედრამ ილიასთან:

„პირველ დღეებში ის მეჩვენა ჩვეულებრივ მუშაშეულს, მაგრამ, როდესაც მე საშუალება მომიცა მას უფრო ახლოს გაეცნობოდი, ის გაიხარდა ჩემს თვალწინ: მე ვგრძობდი ეგოდენ ზღმეზარტი ძალა მისი სულისა და ნებისა. საზო-

* საქ. ლიტ. მუხეუმის ლაისტის პირადი არქივიდან.

გაღობაში ის ჩვეულებრივად სრულ სიმშვიდეს იჩენდა. უცნობ საზოგადოებაში ის არ ცდილობდა გაეცეთებინა ან მოეხიზლა ვინმე თავისი პეიოია და ცოდნით... მე ვიგრძენი მისი მდიდარი ბუნება. ჩვენ აზლობელი ადამიანება გავხდით. მარად ურღვევი მეგობრობის გრძობაში ჩვენ შეგვკავშირა მის სიყვლილამდე..."¹.

ილიამ მალე ლაისტა საგურამოში მიიპატიჟა ამის შემდეგ სტუმარმა ინახულა კახეთის თეატრში გაიცნო რატიელ ერისთავი, რომელმაც დიდძალი მასალა მიწოდდა საქართველოს ეთნოგრაფიიდან და ისტორიიდან. თბილისში წერაკოთხელის საზოგადოების² თავაყებოსა და სხვათა მიერ გულუბვად მიწოდებული მასალებით დატვირთული ლაისტა დაბრუნდა პოლონეთში. პოლონეთიდან ლაისტმა ი. მუენარგიას ასეთი წერილი გამოუვხავენა:

"...თქვენ, ალბათ, გავიგებდით, რომ იმეამად ვერ წიგნს საქართველოს შესახებ. უწინარეს ყოვლისა... მინდა მასში მოვთავსო ბევრი რამ თქვენი ლიტერატურის შესახებ, მაგრამ საამისოდ მეცაა მრავალი ზუსტი ცნობა. თავად ქვეყანას (ილიას) უკვე მოეწერე და ვხიზოვე მიეწოდებინა კიდევ რამდენიმე ლექსი წერეთლისა, ირბელიანისა, ალ. ქავთავაძისა..."².

ლაისტა ეშხადებოდა წიგნის — „ქართული პოეტების“ გამოსაცემად. მიუხედავად საყმაოდ მდიდარი მასალისა, ლაისტა ეძებდა ისეთ წყაროს, სადაც უფრო ნათლად გამოჩნდებოდა „ქართული სული და გული“.

ა. ლაისტა 1884—1885 წლების განმავლობაში ინტენსიურად მუშაობდა დაწვეული შრომების დასამთავრებლად. ამ პერიოდში დაიწერა მისი წიგნი „საქართველო“, რომელიც გამოვიდა 1886 წლის გაზაფხულზე ლაიფციგში. ამავე პერიოდში ის ამზადებს ქართველ პოეტთა აღმანახს „ქართული პოეტების“ სახელწოდებით, რომელიც შემდეგ ქვეყნდება პოლონურ და გერმანულ ენებზე. 1886 წელსვე პოლონეთში იბეჭდებოდა „საქართველო“. ლაისტა უცხოეთში თვალყურს ადევნებს გატბოვებულ ლიტერატურულ მოძრაობას საქართველოში. იგი ჯერ კიდევ პოლონეთში შეიტყობს, რომ ეშხადებოდა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემისათვის (რეჯლისხმევა ქართველიშვილის გამოცემა). ამ დროს ჩვენში გატბოვებული მუშაობდნენ პოემის ევროპულ ენებზე თარგმნისა და უცხოეთში გიტანისათვის. ქართველ „მოღვაწეთა ოჯახის წევრები“ ენერგიულად ზრუნავდნენ, რათა გეროგნად დაგვირგვინებულნეთ ეს დიდი ნაციონალური საქმე.

საქართველოს გარეთ მყოფნი ნიკო ნიკოლაძე და არტურ ლაისტა ჩაებნენ ამ მნიშვნელოვან საქმეში. ნიკოლაძე ზრუნავს პოემის გა-

მოცემისათვის შესაფერისი შრიტის შესადგენად, ლაისტა გერმანულ პოეტურმოცემებში შესაფერის ფორმებს „ვეფხისტყაოსნის“ ქართულ თარგმნულად. ის სწერს მუენარგიას: „Kaschka“-ში ვეციოთებ, რომ თქვენი თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა“ უკვე დაბეჭდილია წინა კვირის ამის თაობაზე მოკლე ცნობა გვევხვანვე „Magazin“-ს, მაგრამ არ ენარა ამ საუბრობო პოემის თბილისში გამოცემა უნდა იცადოთ, ვეროპოშიაც გავარცელოთ იგი. ჩემს წიგნში რამდენიმე გვერდი აქვს დათმობილი „ვეფხისტყაოსნის“ აღწერას, რამდენიმე ტაბეიც თარგმნილია.

თქვენ სწერთ, რომ ბარონ სტენერს განუზრახავს თარგმნოს რუსთაველის პოემა. ამის შესახებ აი რა უნდა მოგახსენოთ: თუ ბარონმა სტენერმა ხელი მოჰკიდა ამ საქმეს, იცადეთ დაარწმუნოთ, რომ უნდა ითარგმნოს მეგნაშტრით, სხვანაირად პოემის სიმშვენიერე დიკარგება მართალია, ეს გაცილებით ძნელი იქნება, მაგრამ, სამაგიეროდ, თარგმანი უწყეთესი გამოვა.

ჩემი გულითადი მოყოთხეა მოამისხენებო ყველა ჩემი მეგობრისათვის და გადაეციო ყველას, რომ საქართველო გულში ხატად მქვს. სული მიმდის, სანამ კიდევ ენახავდე მას..."¹.

ამ დროს ლაისტმა თარგმნა პოემის აფორიზმები და გადაწვიტა მთლიანად გადაეთარგმნა პოემა. მან თავისი განზრახვა შესარულა კიდევაც, თარგმანი 1903 წელს გამოაქვეყნა. ამ საქმეში ლაისტს დახმარება გუწვიეს ილიამ და მანაბელმა. სამწუხაროდ, გასული საუკუნის ნიჭიერმა ეტრნალისტმა „ვეფხისტყაოსანი“ გადააქეთა მისი თანამედროვე ევროპული გეოგნების მიხედვით. პოემა გაიგო გვეტორებულ აღმოსაველურ ზღაბად.

ლაისტა 1885 წლიდან ქართველი საზოგადოების განუერელი წევრია. ევროპიდან დაბრუნებულ ლაისტის შესახებ „დროება“ წერდა:

„გუშინ ჩამოვიდა რუსეთიდან თბილისში ბანი არტურ ლეისტა, რომელიც ავერ რამოდენიმე წელიწადია გულ-მოდგანედ სწავლობს ქართულ ენასა და თავის წეროლებს საქართველოს შესახებ ბეჭდავს პოლშერსა და ნემეუტრს გაზეთებში. ბანი ლეისტა დღეს დილით გაემგზავრა საგურამოში ბნი ილია ქავთავაძესთან. ჩვენის მზრთი გულითადს სალამს ვუძღვნიოთ... ჩვენს ქვეყნის გულწრფელ მოყარკს“ (1885, № 167).

საქართველოში ჩამოსული „ქართული ელტურის ელი“ მკიდროდ უკავშირდება ყველა იმ ევროპულ მეციერსა და მოგზაურს, რომლებსაც უწიდათ რაიმე დაწვერთა საქართველოს შესახებ. ესენი იყვნენ გამოჩენილი ლინგვისტი პროფესორი შუბარდტი, ბერლინის ინვერსიტეტის პროფესორი ლემან პაუტტი, პროფესორი გოტტრიდ მეტახანი, და სხვ. ისინი მიწერ-მო-

¹ ლიტ. მუზეუმის არქივიდან.
² ზეგლიდის მუზეუმი, ი. მუენარგიას პირადი არქივიდან.

¹ ზეგლიდის მუზეუმი, ი. მუენარგიას პირადი არქივიდან.

წერას აწარმოებდნენ ლაისტონ და ქართველ მოღვაწეებთან.

1887 წელს არტურ ლაისტონ თავისი შრომების გამოსაცემად მიემგზავრება უცხოეთში. ვერნალში — „Magazin für die Literatur...“ მან კვლავ გამოაქვეყნა შეესებული და შესწორებული წერილი „დაიწყებული ლიტერატურა“. ამავე წელს გამოდის ანთოლოგია — „Georgische Dichter“ ლაისტონ კავშირის ამყარებას გამოიმკვლილებთან ევრობის სხვადასხვა ქალაქში თავისი ნაშრომების გამოსაქვეყნებლად. იტალიაში მოგზაურობისას იგი წერს პოემას — „Rudolf Balt's Wunderleben“ ბერლინში ბეჭდვის ვრცელ ნაშრომებს — „სომხური ისტორია“ და „სომხური პოეტები“, ამზადებს ევროპის კულტურული ცხოვრების შესახებ წერილებს, რომლებიც შემდეგ ქვეყნდება საქართველოში. ეს წერილებია: „ცხოვრება და ლიტერატურა დასავლეთში“, „გერმანიის ლიტერატურა“, „სკანდინავიის ქვეყნების ლიტერატურა“, „ინგლისის ლიტერატურა“, „იტალიის თანამედროვე ლიტერატურა“, „ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“. ამასთანავე, ლაისტონ ზრუნავდა წიგნის — „Georgische Dichter“-ის შეორე შეესებული გამოცემისათვის, რაც განხორციელდა 1900 წელს. პარალელურად ლაისტონმა დასაბუღდად მოამზადა „ვეფხისტყაოსანი“ (გამოვიდა დრეზდენში 1903 წელს). იგი წლის მოგზაურობის შემდეგ ლაისტონ დაბრუნდა საქართველოში, სადაც დამკვიდრდა საბუღალბო.

არტურ ლაისტონს მატერიალური მდგომარეობა მოგზაურობის შემდეგ საგრძნობლად გაუარესდა. მას სისტემატურად უნდა ეგზავნა გამოცემლებისათვის შეპირებული ხელნაწერები, რისთვისაც საჭირო იყო ხანგრძლივი მუშაობა. გულისხმიერია ილია ჭავჭავაძე ამ საქმეშიც დაეხმარა ლაისტონს: ჩააბარა თავისი მამული ევროპული მურტრების წესების დასანერგავად. ამ გარემოებამ შრომისმოყვარე ლაისტონ გონივრულად მოაღონებია.

ამ დროს არტურ ლაისტონმა ახლოს გაიცნო ქართველი მწრომელი ხალხი, გლეხობა, ღრმად დაუცვარდა ზენი ცხოვრების თავისებურებებს. ამის შედეგად მან შექმნა რიგი მოთხრობები. ესენია: „კახეთის ღამე“, „უერმული“, „სანდრო მურავა“, „ახლელა“, „საყვარელი ბაღარი“, „ზამთარი“, „ლევრი“, „აღმოსავლეთის ზღერზღთან“, „სიყვარული“, „პურაღობა“, და მრავალი სხვა.

1904— წლებში არტურ ლაისტონ თავს უყრის

კავასიაში მცხოვრებ გერმანელებს, აარსებს სათენატომოს და იწყებს ვერნალში „Frankische Post“-ის გამოცემას, რამდენიმე წელიწადს 1912 წლამდე. 1907 წელი იყო მძიმე, როგორც მთელ ქართველ ერისათვის, ისე ლაისტონისათვის. მოკვლეს დიდი ქართველი მწერალი და ლაისტონს უფულოთადესი მეგობარი ილია ჭავჭავაძე.

9 სექტემბერს მრავალრიცხოვან ხალხში, სთონის ტაძრის კანკელთან თავსაღუნული იდგა დიდი ილიას მესაიდუმლე მეგობარი, მას დააკლეს პირველს — ანტონ ვურცელაძესთან, ნ. ცხევი დამესთან ერთად — მოკვდა ზელი კუბოსთვის და მიეცილებინა ძვირფასი მეგობრის ნეშთი საზღვაო საყენ — მთაწმინდამდე...

1909 წელს ლაისტონმა გერმანიაში (დრეზდენში) კვლავ გამოსცა ნაშრომი ქართველთა და სომეხთა შესახებ „მოგზაურის დღიურის“ სახელწოდებით. ამ მოკვლეული საგულისხმო მასალები ქართველთა და სომეხთა ისტორიიდან და ცნობები იმდროინდელ მოღვაწეებზე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ცნობილი მოღვაწე ლაისტონ მიიწვიეს საშემოლდ საგარეო საქმეთა კომისარიატში. მსტოვანი მწერალი ამ დროს ქართველ მწერალთა ასოციაციისა და ქართველ ხელოვნთა კავშირის საპატიო წევრი იყო.

1922 წლის 22 ოქტომბერს ქართული კულტურის მოამავცს არტურ ლაისტონს დიდი ზეიმიტ გადუხადეს 40 წლის მოღვაწეობის იუბილე, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. ლაისტონს მოღვაწეობის შესახებ ვრცელი სიტყვით გამოვიდა ელერაბი გენია. იუბილარს მშურავლედ მიესალმნენ ტიტონი ტაბიძე, თედო საბოკია და სხვ.

არტურ ლაისტონს ლიტერატურული მუშაობა უფრო და უფრო ნაყოფიერი ზღუდა. იგი იმდროინდელა ქართული პრესის („ბაბტირონი“, „ქართული სიტყვა“ და სხვ.) მუდმივი თანამშრომელია, წერს მოგონებებს, 1923 წელს აქვეყნებს თავისი „საქართველოს გულის“ პირველ წიგნს, ამზადებს მასალებს მეორე წიგნისათვის და სხვ.

გარდააცვალა არტურ ლაისტონი 1927 წლის 23 მარტს. მადლიერმა ქართველმა ხალხმა იგი მიწას მიაბარა ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ასეთია ქართული კულტურის დიდი მეგობრის, ზენი მწერლობის წინაშე ელოზობილი უცხოელი ადამიანის — არტურ ლაისტონს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგადი მიხედვით.



სასახელო თანამგობრობა

(დეკაბრისტების აჯანყების 130 წლისთავის გამო)

წელს სრულდება 130 წელი, დღიდან სენატის მოედანზე დეკაბრისტების გამოსვლისა, რამაც ესოდენ დიდი კვალი დატოვა რუსეთის რევოლუციის ისტორიაში. ე. ო. ლენინი წერია: „გერცენის ხსოვნას“ წერდა: „აღვნიშნაეთ რა გერცენის ხსოვნას, ჩვენ ნათლად ვხედავთ სამ თაობას, სამ კლასს, რომლებიც რუსეთის რევოლუციაში მოქმედებდნენ თავდაპირველად თავადაზნაურები და შემამულეები, დეკაბრისტები და გერცენი. ვერაო ამ რევოლუციონერთა წრე-სამინლად შორს არიან ისინი ხალხისაგან. მაგრამ მათ საქმეს ამოდ არ ჩაუვლია. დეკაბრისტებმა გამოაღვიძეს გერცენი“...

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ყოველშხრივ ცდილობდა დაემცირებინა დეკაბრისტების მოძრაობის მნიშვნელობა, ცდილობდა დაემტკიცებინა მისი სრული უნიადგაობა და უმინაობა. მხოლოდ საბჭოთა ისტორიულმა მეცნიერებამ, რომელიც ემყარება ლენინურ თვალსაზრისს, შეძლო ზუსტად ჩამოეყალიბებინა ამ მოძრაობის ძირითადი მახზები, ეჩვენებინა მისი როლი და მნიშვნელობა რუსეთის ისტორიაში.

ჩვენი ქვეყნის გამოცემულთაგან მთარ ამჟამად გამოცემულია რამდენიმე მონოგრაფია და ჩვენი ისტორიკოსების კოლექტიური კრებულები, რომლებიც მიძღვნილია დეკაბრისტოლოგიის სხვადასხვა საკითხისადმი. ლიტერატურაში, კერძოდ, ხელახლა დასმულია საკითხი დეკაბრისტების ადგილობრივ ორგანიზაციების მოღვაწეობის შესახებ, მათ შორის საკითხი დეკაბრისტული ორგანიზაციის არსებობის შესახებ კავკასიაში, სახელდობრ, კავკასიის ცალკე კორპუსში.

უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიაში დეკაბრისტული ორგანიზაციის არსებობის საკითხი ისტორიკოსებს დიდი ხანია იზიტირებოთ. ამჟამად დროს, საგულსხმოა, რომ მრავალი მეცნიერი ამ საკითხის გარკვევის დროს სწავლობდა გრიბოედოვის, კუხუბლევერისა და სხვა რუსი მწერლების ყოფნას კავკასიაში. ეს არც არის გასაკვირველი. მგალობდა, გრიბოედოვმა აღმოსავლეთში გაატარა თავისი ცხოვრების ოთხ წელზე მეტი. ეს იყო კომედიანტი — „ნაი კუი-საგან“ დამბული მუშაობის წლები, ამიტომ, საესებოთ გასაგებია, რომ იმ საზოგადოებრივი წრის შესწავლას, რომელშიც დრამატურგს უხდებოდა მუშაობა, დიდი მნიშვნელობა აქვს.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იმსახურებს ლ. ბარამის წიგნი „დეკაბრისტები საქართველოში“, რომელიც ამას წინათ გამოქვეყნდა. აქ შეეჩრდებით ცალკეულ თავებზე, რომლებიც მიძღვნილია თემისადმი: „დეკაბრისტები საქართველოში 1825 წლის 14 დეკემბრის აჯანყებაში“.

მონოგრაფიის ავტორი ახასიათებს იმ წრეს, რომელიც ჩამოყალიბდა კავკასიაში, კავკასიის, როგორც ცნობილია, მეფის თვითმყრობელობამ „თბილი ციხისში“ უწოდა. ამ მხარეში თავი მოიყარეს არასიამელო ელემენტებში, რომელთაც ამოქმედებდათ თავისუფლებისაგან მისწრაფების განწყობილება.

მართლაც, კავკასიაში, როგორც ცნობილია, გრიბოედოვამდე იმყოფებოდა დეკაბრისტი პეტრე კახოვსკი. ჯარისკაცად ჩამოქვეითებულ კახოვსკი 1816 წლის დეკემბერში გადმოასახლეს კავკასიაში. კავკასიაში აგრეთვე იყვნენ ე. კუხუბლევერი, ა. ავენარიუსი, პ. ჩერევინი, გ. კობილოვი, პ. უსტიშოვინი — ფართული საზოგადოების წევრები.

ჯერ კიდევ აჯანყებამდე კავკასიის ცალკე კორპუსში იმყოფებოდნენ ძმები პირისოვენი, რომელთაც დააარსეს გაერთიანებულ სლავიანთა საზოგადოება. აქ იყო პეტრე მუხანოვიც. კავკასიაში ნიჟეგოროდსკის დრაგუნთა პოლკში იმყოფებოდა აგრეთვე ილიქსანდრე იაკუბოვიჩი.

მაგრამ ლ. ბარამი, როდესაც ამ წრეს აღწერს არ შემოიფარგლება მხოლოდ დეკაბრისტთა სახელებით. განსაკუთრებით საინტერესოა დახასიათება დიდი ქართველი პოეტის ილიქსანდრე ჭავჭავაძისა, რომელიც შემდეგში გრიბოედოვის სიმამრი ვახტა ა. ჭავჭავაძის მამული — წინანდალი წარმოადგენდა ერთ-ერთ ცენტრს, სადაც მიმდინარებოდა გაცხოვლებული კამათი იმდროინდელ პოლიტიკურ საკითხებზე. აქ მსჯელობდნენ არა მარტო რუსეთის მდგომარეობაზე, არამედ დასავლეთ ევროპის მნიშვნელოვან ამბებზეც. ავტორი ასახელებს, აგრეთვე, მედივე პირებს: ძმებს კილაძეებს, დ. ო. ბუბუთოვს, ე. ო. ფალავანდიშვილს და სხვებს. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა, მივიღეთ სწორ დასკვნამდე კავკასიაში წარმოშობილი მოწინავე ამანაგური წრის შესახებ, რომელიც ემხურებოდა იმ დროს საზოგადოებრივ პროცესებს და

კავკასიის ცალკე კორპუსში საიდუმლო საზოგადოება პირველად ნახსენებია პესტელის საქმეში. ტულჩინოში 22 დეკემბრის გამოძიებაში პესტელს შეეკითხნენ: „თქვით თუ არა თქვენ, რომ საიდუმლო საზოგადოებები არსებობენ კავკასიის ცალკე კორპუსში და პოლანეთის სამეფოში, რომელთაგან პირველი დამოუკიდებლად მოქმედებს?“ პესტელმა უპასუხა: „არასოდეს არაყრისთვის ამის შესავსებლად არაფერი მოთქვამს და არაფერი ვიცი არც კავკასიაში და არც პოლანეთის საზოგადოების შესახებ“¹.

აქაა, რომ პესტელის შესახებ ცნობები მიწოდებული აქვთ პროვოკატორებს, პირველ ყოვლისა, მაიბორადას.

გამოძიება თანდათანობით აჩვენებს სიმართლეს. უკვე მეორე დღეს, 23 დეკემბრის, სათანადო შეკითხვა მიხედვს ტრუბეცკის, რომელმაც უპასუხა: „ოუღამა ვოლკონსკი მითხრა, რომ, მისი აზრით, არის, ან უნდა იყოს რაღაც საზოგადოება ქართულ კორპუსში, რომ ეს მან გაიგო კავკასიაში, მაგრამ ვოლკონსკი ამაში დარწმუნებული არ იყო და მგონი მხოლოდ ზოგად მოსაზრებები ჰქონდა“².

გამოძიებას ეწადა დამტკიცებინა პესტელის არავლწარფელობა, ამისათვის მიმართეს პორტუჩიკ სტაროსელსკის. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ პესტელი კავკასიის საზოგადოების შესახებ პესტელსაც ვტყუალა ჩაიძინეს, უკიდრეს შემთხვევაში სტაროსელსკის უნდა დამოწმებინა, რომ პესტელს ნამდვილად განდობილი ჰქონდა მაიბორადასთვის კავკასიაში ამ საზოგადოების არსებობა. გამოძიებლები არ შეძლდნენ. სტაროსელსკიმ დაადასტურა, რომ კავკასიის ცალკე კორპუსში ფარული საზოგადოების არსებობის შესახებ მან გაიგო მაიბორადასაგან, რომელსაც ეს გველაფერი პესტელმა უამბო.

ახლა აუცლებელი გახდა გამოვკვლიათ, თუ ვინ იცნობა საზოგადოების საზოგადოების წევრებს და პესტელს კავკასიაში არსებული საზოგადოების შესახებ. ამ მხრივ გამოძიებას ზელო შეუწყობურავების პასუხმა, რომელიც მან ვასცა 1826 წლის 5 იანვარს:

„აქ გაეჩხენებ, რომ, როცა უკანასკნელად ჩამოვიდა, კ. ვოლკონსკიმ მითხრა, რომ კავკასიაში ყოფნის დროს აღმოაჩინა საზოგადოება, რომლის წევრიც იყო იაკუბოვიჩი“³.

გამოძიებისთვის ნათელი შეიქნა „კავკასიაში ფარული საზოგადოების აღმოჩენის“ საერთო სურათი. ეს პესტელს უამბო ვოლკონსკიმ, რო-

მელიც ნამყოფი იყო კავკასიაში, სადაც გაცივით იაკუბოვიჩის. სწორედ ამ უკანასკნელმა უამბო კლდე ყველაფერი ეს ვოლკონსკის.

გამოძიება სისტემატურად ამოწმებს ამ პირობებს. ბუნებრივია, რომ, პირველ ყოვლისა, იაკუბოვიჩი უნდა დაეკითხათ.

აი ამ დაკითხვის ტექსტები:

„კომიტეტს ხელთ აქვს პირდაპირი ჩვენება გენერალ ერმოლოვის კორპუსში ფარული საზოგადოების არსებობის შესახებ, საზოგადოებისა, რომლის წევრიც თქვენც ითვლებით. ვითომ ისიც, რომ თქვენ თავად ვოლკონსკისთვის გითქვამთ ამ საზოგადოების განხრახვა გენერალ ერმოლოვისადმი მინდობილი ქვეყნის რუსეთიდან გამოყოფისა და ამ უკანასკნელით ახალი დინასტიის დაწევის შესახებ. რა დროიდან არსებობს ეს საზოგადოება? ვინ დააარსა იგი? სახელდობრ არა არის ამ საზოგადოების მიზანი? როდის და რა საშუალებებით უნდა დაგეწყით აშკარა მოქმედება? ვინ არიან მეთაურები და ვინ არიან წევრები? ვისი საშუალებით და რა ურთიერთობა ჰქონდა ამ საზოგადოებას სხვა ასეთ საზოგადოებებთან და ცნობილია თუ არა ეს გენერალ ერმოლოვისათვის.“

პასუხი: „თავადი სერგეი ვოლკონსკი კავკასიაში ყოფნის დროს გავიცანი, წინადადება მომცა, შეესულიყავი საზოგადოებაში, ახვე დროს, მან სურდა გავყო, იყო თუ არა ასეთივე საზოგადოება საქართველოში? რაკი ვერდავდი ვარების საერთო პატივისცემისა და უფროსების ნდობას ჩემდამი, მსურდა ყველაფერი დაწერილებით გამეცო, თუ ვისთან მექნებოდა საქმე, რა მიზნები ექნებოდათ დასახული; ყველაფერი ეს რომ გამომეტყუებინა, ვატყუებდი თავადს, მაგრამ მე არა ვარ იმ საზოგადოების წევრი, არც ის ვიყო, არსებობს თუ არა იგი საქართველოში. გავიგე, რომ უშალესმა საიდუმლო კომიტეტმა იცის საქართველოში ასეთი საზოგადოების არსებობის შესახებ. როდესაც წევრებს აღმოაჩინენ, მიხვდებიან ჩემს სიმართლეს. მე შევეცადა თავადი სერგეი ვოლკონსკი, მისთან საზოგადოების საქმეებზე, მისივე წინადადების შემდეგაც კი, არავითარი ურთიერთობა არ მინდოდა მქონოდა ამ საქმის კეთილგანზრახულობისა, რაც გააუშვებოდა საშობლობის ბედ-იზბაღს. მაგრამ, არ დავფარავ, მე სისულელეს გრომედი რაც დიდი ხანია აღმოვიტარე ჩემი მესხეებთან, მხოლოდ ამ შეკითხვებში გამახსენეს უოვლივე ეს. ფრცხვებ და პატიოსნად ვალიარებ, შემოძლია ყოველგვარი ტანჯვა-წამებაც გადავიტანო, იმის დასადასტურებლად, რომ ჩემთვის არ არის ცნობილი რაიმე საზოგადოების არსებობა საქართველოში. მხოლოდ იმის გამო არ მოვახსენე ჩემს უკანასკნელ ჩვენებაში საიდუმლო კომიტეტს ვოლკონსკისთან ჩემი შეხვედრისა და მისი წინადადების შესახებ, რაზეც მე არ დავ-

¹ „დეკაბრისტების აჯანყება“, ტომი 4, გვ. 52.

² „დეკაბრისტების აჯანყება“, ტომი 1, გვ. 20.

³ „დეკაბრისტების აჯანყება“, ტომი 1, გვ. 303.

თანხლი, რომ ეს ლაპარაკი ძალიან უმნიშვნელოდ მიიჩნედა, გარდა ამისა, კარგა ხანია ეს გადამაგიწდა.

კომიტანი იაქუბოვიჩი¹.

იაქუბოვიჩისაგან ასეთი პასუხის მიღების შემდეგ საიდუმლო კომიტეტი შეუდგა საქმის გამოძიებას სხვა წევრებს შორის. სურდათ გაეგოთ, ჰქონდა თუ არა იაქუბოვიჩს ვინმესთვის ნათქვამი კავასიის ცალკე კორპუსში ასეთი საზოგადოების არსებობის შესახებ, რადგან თუ მან მართლაც, ვოლკონსკის გარდა, სხვა ვინმესაც უთხრა ამ საზოგადოების არსებობის შესახებ, მისი ნაბიჯები მართალი იქნებოდა. გამოძიებები შეეკობნენ რიღევს (6 იანვარს), რომელმაც უპასუხა, რომ მისი აზრით, ამ საზოგადოების წევრთაგან თორმეტ დეკემბრამდე იაქუბოვიჩი იცნობდა მხოლოდ მას (რიღევს), აღქმანდრე ბესტუვეს და ოდოვესკის, მაგრამ არც ჩემთვის და არც მათთვის კავასიის საზოგადოების შესახებ არაფერი უთქვამსო. საესებში უარყო ეს ბუშინიძე, რომელსაც ნანახი ჰქონდა იაქუბოვიჩი, ასევე უარყო ობოლენსკი: კომიტანი იაქუბოვიჩთან მე ვიყავი ერთხელ რუ ორჯერ 14 დეკემბრამდე, მაგრამ არც პირადად მისგან, არც სხვა ჩემს თანაწევრთაგან არც ერთი სიტყვა არ მისმენია, რაც თუნდაც დამაბეჭვებდა გენერალ ერმოლოვის კორპუსში საიდუმლო საზოგადოების არსებობისა და მისი განზრახულობის შესახებ².

საიდუმლო კომიტეტმა დაკითხა აგრეთვე მუხანოვი, არტამონ მურავიოვი, ფონ-ვიზინი. ყველა მათ განაცხადეს, რომ არაფერი იცოდნენ კავასიის კორპუსის შესახებ.

დარჩენილი იყო დეკაბრისტების კიდევ ერთი ჯგუფი, რომელსაც ვაგონილი ჰქონდა კავასიაში საიდუმლო საზოგადოების არსებობის შესახებ. კომიტეტმა ამოიწიდა დაიხსნა გამოერკეია ვაგონილი ჰქონდათ თუ არა მათ ამ საზოგადოების არსებობის შესახებ ვოლკონსკისაგან. იმ შემთხვევაში, თუ ყველა ჩვენებდა დაამტკიცებდა, რომ ვოლკონსკი ერთადერთი კაცი იყო, რომელმაც საზოგადოების არსებობა ამწინა ყველას, საიდუმლო კომიტეტს იხსნა დარჩებოდა, შეემოწმებინა ვოლკონსკისა და იაქუბოვიჩის ჩვენებათა სისწორე. დაკითხვის ფურცლები გაგზავნათ ერმოლოვის. ა. პოდვიოს, სერგეი მურავიოვი-პანტოლს, ბარიატინსკის, პოვლო-შეიკოვსკის, ბესტუვე-რიფინის, დავილოვს, მათე მურავიოვი-პანტოლს. უნდა აღინიშნოს, რომ ასე თუ ისე დაკითხულ იქნა თითქმის ყველა დეკაბრისტი, რომელმაც შეიძლება რამე სიცოცხლით კავასიის ფარული საზოგადოების შესახებ.

საზოგადოების შესახებ ყველა ცნობა, როგორც დაკითხულებმა უჩვენეს, გამოუმთხარეობდა ვოლკონსკისაგან. მათე მურავიოვი-პანტოლმა განაცხადა:

„მე ძმამ მიხობა, რომ გ. დავილოვმა სამხრეთის დირექტორიას გადასცა პროექტი საქართველოში ფარული საზოგადოების დაარსების შესახებ“³.

მაგრამ ცნობილია, რომ დავილოვი პროექტს წერდა ვოლკონსკის ნათქვამის მიხედვით. სერგეი მურავიოვი ამოსტოლმა კი განმარტა: „კავასიის ცალკე კორპუსში ფარული საზოგადოების არსებობის შესახებ მე გავიგე ვოლკონსკისაგან, რომელიც კავასიაში ყოფნის დროს მოლაპარაკებებს აწარმოებდა იაქუბოვიჩთან“⁴.

ა. პოდვიომ განაცხადა, რომ კავასიაში საიდუმლო საზოგადოების არსებობის შესახებ მას პესტელმა გააგებინა. პესტელმაც ყველა ცნობა ვოლკონსკისაგან მიიღო. მან გადაჭრით თქვა: „მე პაბტუციებდი, და ახლაც ვიშვარებ, რომ კავასიის საზოგადოების არსებობის შესახებ არავითარი პირდაპირი ცნობა არა მაქვს, რადგან არასოდეს არ მინახავს ამ საზოგადოების არც ერთი წერილი“⁵. შემდეგში პესტელი კვლავ აღნიშნავს, რომ ყველაფერი ვოლკონსკისაგან იქნს გაგებულა.

ამრიგად, ნათელი ერთი გარემოება: დეკაბრისტების სამხრეთისა და ჩრდილოეთის საზოგადოებების წევრებმა კავასიაში ფარული საზოგადოების არსებობის შესახებ ყველა ცნობა მიიღეს მხოლოდ და მხოლოდ ვოლკონსკისაგან, იაქუბოვიჩს ამის შესახებ, გარდა ვოლკონსკისა, არავისთვის არაფერი უთქვამს.

ზედმეტი არ იქნება გამოვიკვიოთ შემდეგი საკითხი. მხოლოდ იაქუბოვიჩისაგან მიიღო ცნობები ვოლკონსკიმ ამ საიდუმლო საზოგადოების შესახებ, თუ სხვადაც იცნობა მას ყოველგვარ თუ ამ საკითხის გადაწყვეტა მით თუფროსი მნიშვნელოვანია, რომ პესტელმა თვის 1826 წლის 13 იანვრის ჩვენებაში განაცხადა: „თავადი სერგეი ვოლკონსკი 1824 წლის ზაფხულში გაემგზავრა კავასიაში და იქ გაიცნო იაქუბოვიჩი და ტიმოქოვსკი, ბენარაბიის ახლანდელი გუბერნატორი. ამ ორი პირისაგან გიგონო მან, რომ კავასიის კორპუსში არსებობს ფარული პოლიტიკური საზოგადოება, რომელსაც აქვს რევოლუციური მიზანდასახულობა“⁶. ეს ჩვენება უზრაღდება იმეროსს, რადგან ტიმოქოვსკი პირველად არის ნახსენებო. მართალია, პესტელის სხვა ჩვენებებში მხოლოდ იაქუბოვიჩია ნახსენებო, გარდა ამისა, თვით ვოლკონსკიც საკმაოდ დამაჯერებლად მიუთითებს პესტელის

¹ ЦГИАМ, ფ. № 48, საქმე 6, 1826 წ. ფურც. 2 — 3.

² ЦГИАМ, ფ. № 48, საქ. 6, 1826 წ. ფურც. 7 — 7.

³ „დეკაბრისტების აჯანყება“, ტ. 9, გვ. 221.

⁴ იქვე, ტ. 4, გვ. 289.

⁵ იქვე, ტ. 4, გვ. 119.

⁶ იქვე.

შედიდობაზე. ის წერს: „ეს ცნობები მე შევაგროვე და შევადგინე როგორც ანგარიში ბნ იაკუბოვიჩის ნათქვამის მიხედვით, მას მე გავეყვანი კავკასიაში. ...ტოქოვისისთან კი საიდუმლო საზოგადოების შესახებ არავითარცა საუბარი არა მქონია, მაგრამ, რადგანაც იგი დიდად განათლებული კაცია, ამიტომ ხშირად ვნახულაბდი მას, როგორც მეტად სასიამოვნო მისაუბრეს“¹.
 აქედან შეიძლება მხოლოდ ერთი რამ დავასკვნათ: კავკასიის ფართული საზოგადოების შესახებ კონკრეტული ცნობები დეკაბრისტებში მიიღეს მხოლოდ ვოლკონსკისაგან, რომელმაც დოკუმენტების ანგარიში წარუდგინა თავის გამგზავრების შესახებ, მხოლოდ და მხოლოდ იაკუბოვიჩთან საუბრის საფუძველზე.

ვოლკონსკი ჯერ კიდევ ციხეში იმყოფებოდა, როდესაც განაცხადა: „იაკუბოვიჩისაგან გავეცე, რომ კორპუსში არსებობს საზოგადოება, რომელიც სამ ჯგუფად იყოფა. პირველ ჯგუფს არ იცნობს არც ბოლო ჯგუფი, მეორე კი უცნობია მესამე ჯგუფისათვის. პირველი არც ჯგუფი შევლება მეტარტიცხოვანი წევრებისაგან, მესამე კი მრავალრიცხოვანიაო. გარკვევით არაფერია უთქვამს, რის გამოც მის სიტყვებს ვერ დავყარდნობი“².

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს 1826 წლის 28 იანვარს ვოლკონსკის მიერ გაცემული პოსტეტი, რაც საშუალებას გვაძლევს შევიღო სისრულით წარმოვიდგინოთ იაკუბოვიჩთან საუბრის სურათი.

პირველყოფისა, უნდა დავადგინოთ თვით ვოლკონსკი ძიების დროს იყო თუ არა დარწმუნებული კავკასიის ფართული საზოგადოების არსებობაში. ვფიქრობთ, რომ არ იყო დარწმუნებული. ამის შესახებ ლაპარაკობს გამოთქმული საქმის ყველა საბუთი. ის არ ცდილობს ჰეშმარობის დაფარვას. ამ შემთხვევაში იგი გულწრფელია. აი, მისი სიტყვები:

„თუკი მე ჩამოთრია მან (ლაპარაკია იაკუბოვიჩზე) სრულიად უდანაშაულო პირთა დანახვებაში, თუმცა მე ეს არ მაპართლებს, მაგრამ ბნ იაკუბოვიჩი მეში თანამონაწილეა“. და შემდეგ: „კავკასიის საზოგადოების ნამდვილი მონადანახულობის შესახებ, — თუკი ეს საზოგადოება არსებობდა, რაკი არ ვიყავი მასთან პარტიატურთიერთობაში, — არაფრის თქმა არ შემიძლია“. ანდა: „მე ვამბობდი, რომ რეველუციის დამარცხების შემთხვევაში კავკასიის საზოგადოება, რომლის არსებობასაც ვეულისხმობდი... და ბოლოს: „შეუძლია დამემყარე-

ბინა საზოგადოებასთან ურთიერთობა, რომელსაც არ ვიცილობდი, მაგრამ ვეულისხმობდი...“¹.

როგორც ჩანს, ვოლკონსკი ფერფერულად იყო დარწმუნებული ამ საზოგადოების არსებობაში. ეს მტკიცდება ვოლკონსკის უფრო გვიანდელი განმარტებით, რომელსაც თავის მოგონებებში წერდა: „მე ჩემი გამგზავრებისათვის ამოვიჩინე სწორედ კავკასიის სამეურნალო წყლები. საზოგადოების საბჭოსაგან დავალება მივიღე, დანამდვილებით გამეგო — მართლა არსებობდა თუ არა თბილისში საზოგადოება, რომელსაც ბრინდა ჰქონდა დასახელი, პოლიტიკური გადმოცინალება მოეხდინა რუსეთში. იქ მე შეხვედი ა. ი. იაკუბოვიჩს. თანდთან ინტერვიუ საუბარი გავაბი მასთან და მისი სიტყვების მიხედვით დარწმუნდი თუ არა, არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, დამეხდა აზრი, რომ კავკასიაში არსებობდა ფართული საზოგადოება.“

იაკუბოვიჩის ნაამბობი მართალი იყო, თუ გამოკონილი ებოდა, მაშინ მე ამის ვადაწვევებ არ შემიძლო. ახლა კი, მასთან ერთად ციხეში ყოფნას დროს, სადაც ყოველი პიროვნება თავის აზრს გულმართლად გამოთქვამს, ვფიქრობ, მისი ნაამბობი ფაქტებზე არ იყო დამყარებული, იგი, როგორც უკვე ვთქვი, მისს სულიერი მისწრაფების ეპოპის წარმოადგენდა“².

შევეცადით დავადგინოთ, მართლა იცნობდა თუ არა იაკუბოვიჩმა ვოლკონსკის კავკასიის ფართული საზოგადოების არსებობის შესახებ. ამ კითხვზე მხოლოდ უარყოფითი პასუხის გაცემა შეიძლება.

მივმართოთ ვოლკონსკის ჩვენებებს. 1826 წლის 6 მარტს მან გამოთქმებულს უთხრა, რომ „სამეურნალო წყლებიდან უკან გამოგზავრების წინა დღეს ჩემთან მოვიდა იაკუბოვიჩი და თითოთავე ჩემსა წინადადება, გავეყვალბინა საუბარი იმავე საკითხებზე. ამ საუბრის დროს მისგან მივიღე ამ ცნობების დიდი ნაწილი, რომელიც ჩემს ანგარიშში მაქვს მოხსენებული. ამ ს ა უ ბ რ ი ს დ ა მ თ ა ვ რ ე ბ ი ს შ ე მ უ ჯ ე მ ა ნ მ ი თ ბ რ ა, რ ო მ შ ე ე ბ უ ლ ე ბ ა შ ი წ ა ს ე ლ ი ს გ ა მ ი ო მ ე დ ო მ ე ნ ე ბ დ ა ი კ დ ე ე მ ნ ა ხ ა ვ დ ა, რ ი ს თ ე ი ს ა ე მ ი ს ა მ ა რ თ ი გ ა მ ო მ ა რ თ ე ა დ ა თ ა ე ო ს ი მ ი ს ა მ ა რ თ ი მ ო მ ე ო. მ ო ს მ ა ს უ რ ვ ი ლ მ ა — გ ა მ ე გ რ ძ ო მ ო ლ ა პ ა რ ა კ ე ბ ა დ ა დ ა ე მ ე ა რ ე ბ ი ნ ა კ ა ვ მ ი რ ო — უ ფ რ ო მ ე ტ ა დ დ ა მ ა რ წ მ ე ნ ა, რ ო მ ა რ ს ე ბ ო ბ დ ა ა ს ე თ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა. მაგრამ არ შევიძლო ჩვენთან კავშირი დამეყარე-

¹ ЦИГАМ, ფ. № 48, ს. 6, 1826 წ. ფ. 2 — 3.
² „დეკაბრისტების აჯანყება“, ტ. 10, გვ. 105—106.

¹ „დეკაბრისტების აჯანყება“, ტ. 10, გვ. 122 — 124.
² ს. ვრ. ვოლკონსკის წერილები, სპბ, 1901 წ. გვ. 414 — 416.

ზინა თავიანთი საზოგადოების დირექტორის გარეშე¹.

ხზავსმული სტრუქტურები გააფიქრებინებენ, რომ ასე თუ ისე, ვოლკონსკის არ მიუღია ზუსტი ცნობა საზოგადოების არსებობის შესახებ. აშკარაა, რომ იაკუბოვიჩს ვოლკონსკისათვის გარკვეული არაფერი უთქვამს კავკასიაში ფარული საზოგადოების არსებობის შესახებ.

ჩვენ წინ დგება მეტად დიდმნიშვნელოვანი საკითხი: ბოლოსდაბოლოს, რატომ მივიდა ვოლკონსკი იმ დანკენამდე, რომ ასეთი საზოგადოება არსებობდა?

კავკასიაში ვოლკონსკემ გაიწიო იაკუბოვიჩი, ასეთი ადამიანი, რომელიც, მისი აზრით, „შხად იყო მონაწილეობა მიეღო ჩვენი საზოგადოების ჩაქვიანობაში“².

ვოლკონსკი და იაკუბოვიჩი ერთმანეთში ხშირად საუბრობდნენ, ეს საუბარი გამსჭვალული იყო თავისუფლებისმოყვარული სულისკვთებით, თვითმშკრობლობისადმი და ბატონყმობისადმი სიძულვილის გრძნობით. ამ საუბრების დროს ვოლკონსკიმ იაკუბოვიჩს უამბო სამხრეთის საზოგადოების არსებობის შესახებ. იაკუბოვიჩი აქტურად მსჯელობდა ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბების სხვადასხვა ფორმაზე, აშკარად გამოთქვამდა თავის გეგმებს საუკეთესო ორგანიზაციის შექმნაზე, საუბრობდა რე-ვოლუციური სტრატეგიისა და ტაქტიკის სხვადასხვა საკითხზე. და აი, სწორედ ეს საუბრები დაელო საფუძვლად ვოლკონსკის ანგარიშს, რომელიც მან სამხრეთის საზოგადოებას წარუდგინა.

ჩვენი მოსაზრების დასამტკიცებლად გავიხსენოთ იაკუბოვიჩისა და ვოლკონსკის ერთი საუბარი, რომელიც საგანმობიებლო საქმეში არსებობის ასეთ შეკითხვაზე: „უთხარიეთ თუ არა თქვენ სამხრეთის საზოგადოების რომელიმე წევრს, რომ კავკასიის საზოგადოებას მიზნად აქვს დასახული გამოიყოს საქართველო და დაიწყოს იქ ერთგულეების ახალი დინასტია, იმ შემთხვევაში თუ ჩაიშლება საერთო რევოლუცი-ცია?“ — ვოლკონსკიმ უპასუხა: „არ შემძლეა გავიხსენო, სწორედ ამ სიტყვებით გამოვთქვა თუ არა, მაგრამ ასეთი აზრი მე გამომიტყუა მხერ თანაწევრთან და მგონი ეს ანგარიშიც სწორია. ნათქვამი მაქვს, რომ რევოლუციის მარცხის შემთხვევაში ჩემ მიერ ნაგულისხმევ კავკასიის საზოგადოებას მიზნად აქვს დასახე-ლი საქართველო. ჩამოაცილოს რუსეთს. ეს აზრი დავამყარე იაკუბოვიჩის ნათქვამზე, იგი ცდილობდა ზუსტად გავხსენებინა ეს „რას ფიქრობთ მეგ თქვენი საზოგადოებებით, რომ-ლებსაც ისევე კარგად ვიცნობ, როგორც თქვენ, თუ აქ, ჩვენში, საქართველოში, რაიმე მოხდე-

ბა, მარცხის შემთხვევაში ჩვენთან, შალე ვერ მოაღწევინ, მთებს აქეთ ვართყ, ყუქ ვესცი ქვერ დაგვიფარავს, ჩვენ კალდე ბეჭეტიმწყარავებუ³“.

განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენს ვოლკონსკის შემდეგი აღიარება: „იაკუბოვიჩი ურყევად უარყოფდა კავკასიის საზოგადოების არსებობას, მაგრამ იზიარებდა აზრს, რომ ფარულ საზოგადოებებს კარგი შემადგენლობა და ბრძოლის კარგი მეთოდები ჰქონოდა. ამ ცნო-ბებს, რომლებიც მე ანგარიშიში მაქვს მოხსენე-ბული, ყოველთვის ვადგენდი იაკუბოვიჩის ნა-ლაპარაკეის მიხედვით, რადგან ეფიქრობდი, რომ მის ამით კავკასიის საზოგადოებებზე ცნო-ბების მოწოდება ეწადა. მე კი, ჩემი მზრით, გავაცანი მას ის წესები, რომლებიც მალეზუ-ლი იყო სამხრეთის მმართველობის მიერ“⁴.

სწორედ ამ საუბარს საზოგადოების ორგანი-ზაციის სისტემის შესახებ, რომელსაც საფუძე-ლად ედო ამიერკავკასიის საუკეთესო წარმო-მადგენელთა აზრები, იაკუბოვიჩი უწოდებდა სიკრუტს. ეს მართლაც „სიკრუტე“ იყო, როგორც გვამბობ, რომლებიც ვერ განხორციელდნენ, მაგრამ ეს იყო სიმაართლე, როგორც იაკუბოვი-ჩისა და მისი კავკასიის მეგობრობის შემხედუ-ლებანია. ამის ისწორე მტკიცდება იაკუბოვი-ჩის შემდეგი სიტყვებით: „მე ეს ვთავივ (ლაპა-რაკია ჩრდილოეთის საზოგადოების შესახებ. მ. ზ.) აღუქსეო ბესტუევეისაგან იელისში, როდეს-საც პეტერბურგში ჩამოვიდი. საუბარში დავრ-მუნდით ჩვენი გრძნობებისა და ფიქრების ერთიანობაზე; მან გამწლო, რომ აქ არსებობს საზოგადოება, რომელსაც დასახული აქვს შე-ცვალოს მმართველობის წესი. წინადადება მომ-ცა, ზელი შევეწყო მისთვის, რაზედაც მე თან-სწობა განაცხადე“⁵.

აშკარაა, რომ იაკუბოვიჩი შხად იყო, მონა-წილეობა მიეღო საიდუმლო საზოგადოებაში, რომელშიც შევიდა კალდე პეტერბურგში ჩა-სვლის შემდეგ. ის იყო დეკაბრისტების ჩრდი-ლოეთის საზოგადოების წევრი.

რომელი საზოგადოების წევრებად ითვლე-ზოდნენ სხვა პირები, რომელნიც კავკასიაში იმყოფებოდნენ და ჩვენებებში არიან მოხსენე-ბულნი?

დეკაბრისტების აჯანყების რამდენიმე დღის შემდეგ საგანმობიებლო ჩვენებებში დასახელე-ბული იქნა გრიბოედოვი- იგი დასახელო-ს ს. სტრუბეციკი, რომელიც თავის მზრით რი-ლევეს ემყარებოდა: „მე ვიცი მხოლოდ რი-ლევეისაგან, რომ მან წევრად მიიღო გრიბოე-

¹ „დეკაბრისტების აჯანყება“, ტომი 10, გვ. 122 — 125.

² იქვე.

³ „დეკაბრისტების აჯანყება“, ტ. 11, გვ. 280 — 281.

⁴ „დეკაბრისტების აჯანყება“, ტ. 10, გვ. 154.

⁵ იქვე, ტ. 10, გვ. 124.

დოვი, რომელიც გენერალ ერმოლოვთან მსახურებდა. ეს მე ვაიცივ აქ ჩემი უკანასკნელი ჩამოსვლის დროს" ¹.

მეორე დღეს დაკითხვას რძლევი: „როდის და სად მიიღეთ თქვენი გრიბოედოვი?“ — გვითხებოდა მას საგამომჩიებლო კომიტეტი. რძლევიმა უპასუხა: „მე გრიბოედოვი არ მიმიღია საზოგადოებაში: მე მას ვეღვი და, როდესაც დატყვევდნენ, რომ არა სჯეროდა მთავრობის გარდაქმნის შესაძლებლობა, თავი დაეანებე. თუ ვგი საზოგადოებას ვეუთენის, შესაძლებელია მიეღო თავად ოფიცერის, რომელთანაც ის ცხოვრობდა ან მიეღო სხვა ვინმე ჩრდილოეთში, როდესაც გრიბოედოვი იქ იმყოფებოდა“ ².

გრიბოედოვის საქმეზე საგამომჩიებლო მისაღების შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან „ვო პეტროსავან“-ის ავტორმა ოთხ წელზე მეტი დავა აღმოსავლეთში და ამ წლების განმავლობაში მკაფიო შეგობრული ურთიერთობა ჰქონდა კავკასიის ბევრ მოწინავე მოღვაწესთან.

გრიბოედოვის დაპატიმრების დადგენილება საგამომჩიებლო კომიტეტმა გამოიტანა 1825 წლის 26 დეკემბერს. 11 თებერვალს გრიბოედოვი ჩამოყვანეს პეტერბურგში და გამოაჩიება მამინევი დაიწყო.

დაკითხვას გრიბოედოვიც, რომელიც კატეგორიულად უარყოფდა არა მარტო ფარული საზოგადოების წევრობას, არამედ მისი არსებობის ცოდნასაც.

„იყოდა თუ არა გრიბოედოვიმ დეკაბრისტების საიდუმლო საზოგადოების არსებობა? — სხვის კითხვას პრფ. ნეჩკინა და უპასუხებს: — უდავოდ იყოდა. მართალია, გრიბოედოვის შესახებ ჩვენამდე მოაღწია ძალიან მცირე მასალამ და არ მტკიცდება, იყოდა თუ არა გრიბოედოვი საზოგადოების არსებობის შესახებ. მაგრამ ეს მასალები იმ მასალებზე ბევრად მეტია, რაც არსებობს პეტროვის ვარსემო. გრიბოედოვიმა იყოდა არა მარტო ამ ფაქტის შესახებ, არამედ იცნობდა მის პროგრამასაც, პოლიტიკური გადატრიალების მიზნებს და პროგრამის დეკარისტულ ვარიანტებს — კონსტიტუციურ მონარქიასა და რესპუბლიკას, იცნობდა მიუღი ამ სისტემას, რომელიც ლავროვად გამოიმდინარებოდა ამ რევოლუციის დროს. კერძოდ, დადებითი შეხედულება ჰქონდა წიგნის ბექდვის თვისუფლებებზე და რუსული ტანსაცმელის შემოღებაზე. მისთვის ცნობილი იყო არა მარტო შეთქმულთა სახელები, არამედ სრული წარმოდგენა ჰქონდა საზოგადოების წევრთა რიცხვზე“ ³.

რაც შეეხება საიდუმლო საზოგადოებაში გრიბოედოვის უშუალო მონაწილეობას, ამის შესახებ, მაგალითად, ელ. ორლოვი წერს: „კვებს გარეშად, რომ გრიბოედოვი ორგანიზაციულად დაკავშირებული იყო რევოლუციურ შეგნებასთან და ალბათ ფორმალურადაც იყო იგი საიდუმლო საზოგადოების წევრი“ ¹. ამავე აზრს იზიარებს მ. ვ. ნეჩკინაც.

მაგრამ საველისხმობა ის ვარაუბება, რომ ის მკვლევარებიც კი, რომელნიც გრიბოედოვს საიდუმლო საზოგადოების წევრად აღიარებენ, გრიბოედოვის საზოგადოებაში მიღების თარიღად უელიან მხოლოდ 1825 წელს, როდესაც იგი იმყოფებოდა პეტერბურგში (ან კიევიში).

წარმოდგენელია, რომ გრიბოედოვი საზოგადოებაში მეორედ მიიღეს მას შემდეგ, როდესაც ის უკვე კავკასიის საზოგადოების წევრი იყო. თუ დავიჯერებთ, რომ კავკასიის ცალკე კორპუსში ფარული საზოგადოება არსებობდა, იმის ახსნა მინც შეუძლებელია, როგორ შეეძლო გრიბოედოვს ამ საზოგადოების წევრი არ ყოფილიყო, მაშინ როდესაც ასე მტკიცედ იყო დაკავშირებული საქართველოს მოწინავე ადამიანებთან.

როგორც ცნობილია, კავკასიაში ნაყოფი იყო პეტრე ვახოვსკი, რომელსაც 1816 წლის დეკემბერში წოდება აუკარეს და, როგორც ვახოვსკი, კავკასიაში გააწვეეს. კავკასიაში იყვნენ აგრეთვე ვ. კოუხელბეკერი, პ. უსტიმოვიჩი, ა. ავენაროუსი, პ. ჩერევიჩი, გ. კობოლოვი, მაგრამ საველისხმობა, რომ ყველა ესენი ითვლებოდნენ დეკაბრისტების ან სამხრეთის ან სრულიყოფის საზოგადოების წევრებად.

ვაიხსენოთ, რომ კოუხელბეკერი თავის ჩვენებებში წერდა: „პ. უსტიმოვიჩი ცდილობდა, კოუხელბეკერი საზოგადოების წევრად მიეღო პეტერბურგიდან საქართველოში ერთად მოგზაობის დროს. ამის საფუძველზე მკვლევარები ასკვნის, რომ უსტიმოვიჩი ამ მინარტულებით საქართველოში განავრთობდა მუშაობას. ამ შემთხვევაში არ შეიძლება ვივთხისხმობთ კავკასიის ფარული საზოგადოება, რადგან ეს ხდებოდა 1821 წელს, როდესაც უსტიმოვიჩი ბრუნდებოდა რუსეთიდან, სადაც თვითონაც ახლად იყო მიღებული საზოგადოების წევრად.“

უსტიმოვიჩი და სამხრეთის საზოგადოების ზოგიერთმა სხვა წევრმა კავკასიის ფარული საზოგადოების წევრთა შორის დასახლებულს გრიბოედოვის აღიუტანებები — ტიმოვესკი და ვოვიკოვი.

გამოაჩიების მასალების შესწავლის დროს გამოირკვა, რომ ეს ცნობებიც მიწოდებული იყო ვოლკონსკის მიერ იაქუბოვიჩთან საუბრის სა-

¹ „დეკაბრისტების აჯანყება“, ტ. 1, გვ. 21.

² იქვე, ტ. 1, გვ. 163.

³ მ. ვ. ნეჩკინა, საგამომჩიებლო საქმე ა. ს. გრიბოედოვის შესახებ, 1945, გვ. 32 — 33.

¹ ელ. ორლოვი, ა. ს. გრიბოედოვის თხზულებათა ერთკომედიის წინასიტყვაობა. ლენინგრადი, 1940 წ., გვ. 4.

ფუძვლზე. არავითარი სხვა ცნობები არ ჰქონდათ არც პეტრეს და არც სამხრეთის საზოგადოების რომელიმე სხვა წევრს.

იაკობოვიჩი, როგორც უკვე აღვნიშნავდით, იყო წვერი ჩრდილოეთის საზოგადოებისა, რომელშიც იგი შევიდა პეტერბურგში ჩამოსვლის შემდეგ, ტიმოკესკი და ვოეიკოვი კი საიდუმლო საზოგადოების წევრები არ ყოფილან. ამის შესახებ ზუსტი ცნობების უქონლობა მტკიცდებოდა თეთის ვოლკონსკისავე სიტყვებით: „მან უთხრა იუშკოვსკის: „ამ საზოგადოებაში, რომელიც ვფიქრობ, უნდა იყოს აგრეთვე თქვენთვის ნაცნობა სტატსკი სოვეტნიკი ტიმოკესკი“¹.

ვოეიკოვის პოლიტიკური მრწამსის შესახებ ვიღამაგრებულად შეტყუვლებს ერთი პატარა დეტალი.

1818 წლის იანვრის ბოლო რიცხვებში კავკასიაში ახლად ჩამოსულმა „წმიდა არტელის“ ერთ-ერთმა წევრმა ნ. ი. მურავიოვმა სარეკომენდაციო წერილი მასცა ვოეიკოვს, რომელიც დედაქალაქში მივგზავნებოდა. ამ წერილში მურავიოვი ვოეიკოვს ახასიათებდა, როგორც მოწინავე, პროგრესულ შეხედულებათა ადამიანს, მათი არტელის წევრთა რწმუნათან ახლო მდგარი პირიყენებას. მურავიოვი წერდა, რომ ვოეიკოვმა რეკომენდაცია დაიმსახურა „თავის მსოფლმხედველობით და საქმიანობით, რაც ახასიათებს ჩვენს წესებს“².

ტიმოკესკისა და ვოეიკოვის პოლიტიკური შეხედულების გაცნობამ ვოლკონსკის საბაბი მისცა ჩათვალა ისინი კავკასიის საიდუმლო საზოგადოების წევრებად. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ უფრო გვიან კავკასიაში იმყოფებოდა ა. პოდელი, რომელიც ვოეიკოვის საშუალებით შევიცადა შეემოწმებინა ვოლკონსკის ცნობები. ა. პოდელი ამ დასკვნამდე მივიდა, რომ კავკასიაში არავითარი ფარული საზოგადოება არ არსებობდა.

სავამომხიებლო კომიტეტში დასახელებული იყო ერთმოლოვი.

ქმნადათ თუ არა საფუძველი დეკარისტებს ზავთვალათ ერთმოლოვი საიდუმლო საზოგადოების თანამოაზრედ? ამასზე პასუხის გასაცემად საჭიროა მოკლედ მიანიც გავეცნოთ მის ბიოგრაფიას.

ა. პ. ერთმოლოვი ცნობილი რუსი გენერალი იყო. ა. სუვოროვისა და კუტუზოვის თანამებობრობი. ის, ჯერ კიდევ უკანონო, მონაწილეობას იღებდა ფრანგისა და იტალიელების წინააღმდეგ ბრძოლებში 1791 — 96 წლებში და სპარსეთში ლაშქრობაში 1796 წელს.

¹ ნ. ი. მურავიოვი, „წერილები“ („რუსული არქივი“, 1866 წ., 11, გვ. 291—172).

² იქვე.

შემდეგში მისი სამხედრო კარიერა მოულოდნელად შეწყდა. 1898 წელს, პოდპოლკოვნიკის წოდებით, იგი დაპატიმრებული დაგზავნილი იქნა მუდმივ საცხოვრებლად ქაზანის ციხეში¹. ში, სადაც იმყოფებოდა პაეღე პირველის სიკვდილამდე (1801 წ.). იგი პასუხისგებაში იქნა მიცემული მისი ძმის (დედით) პოლკოვნიკ კახოვსკის გამო. მას ბრალად სდებდნენ მეფის ცუდად მოხსენებებს და მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობას. კახოვსკის ოჯახის განხრეკის დროს ნახეს ერთმოლოვის წერილები, რაც შეიქნა მისი დაპატიმრებისა და შემდეგ გადასახლების მიზეზი.

პაეღე 1-ის გარდაცვალების შემდეგ ერთმოლოვი კვლავ მიიღეს სამხედრო სამსახურში, იგი მონაწილეობას იღებდა საფრანგეთის წინააღმდეგ წარმოებულ ომში 1805 — 1807 წლებში. რამდენიმე წლის შემდეგ დაიწყო იქნა დასაუღესო 1-ლი არმიის შტაბის უფროსად. მაგრამ ნამდვილი პაეტლარობა ერთმოლოვს მოუპოვა 1812 წლის სამამულო ომმა. იგი მონაწილეობდა ვიტებსკთან და სმოლენსკთან წარმოებულ ბრძოლებში, პირადად მიჰყავდა ჯარები ფრანგების წინააღმდეგ ბოროდინოში. რუსეთის ჯარების საზღვარგარეთულ ლაშქრობაში კი მეთაურობდა მოქმედი არმიების მთელ არტალერას. თავის მოგონებებში დეკარისტის. ვოლკონსკი წერდა, რომ პრეისინგვილუს ბრძოლის შემდეგ ა. პ. ერთმოლოვმა სამხედრო საქმეში დიდი სახელი გაითქვა.

როდესაც კავკასიის ცალკე კორპუსს მეთაურობდა (1816 წ.), ერთმოლოვი თავის ბრძანებებს და ჯარისადმი მიმართვის ხშირად იწყებდა სიტყვით: „მშანაგებო“, რას შესახებაც ერთმოლოვი სიამაყით სწერდა დენის დავალოვს და სხვებს.

ერთმოლოვი იყო განათლებული, მეცნიერებთა და ხელოვნებით დაინტერესებული ადამიანი, ფლობდა რამდენიმე უცხო ენას. ერთმოლოვს ძალიან აინტერესებდა იმ დროის საერთაშორისო ვითარება, ხშირად ხაზს უსვამდა თავის შეხედულებათა პროგრესულობას.

ერთმოლოვმა უსათოოდ იცოდა რუსეთში ფარული პოლიტიკური ორგანიზაციების არსებობის შესახებ. ცნობილია, რომ თვითონ ალექსანდრე 1-მა უამბო მას ამ ორგანიზაციების წარმოშობის შესახებ¹. ეს მტკიცდება დეკარისტ იაკოშინის წერილებითაც. ასეთია მოკლედ ერთმოლოვის შეხედულებანი, რაც დეკარისტებს უფლებას აძლევდა ეთქვათ, რომ ერთმოლოვი თანატრეკნობდა ფარული საზოგადოების მოღვაწეობას. ის იმედს აძლევდა დეკარისტებს, რომ საერთო გამოხელების დროს დახმარებას გაუწევდა მათ. ეს იმედები უსა-

¹ ა. პ. ერთმოლოვი, მასალები ბიოგრაფიისათვის: „რუსისკია სტარინა“, 1896, X, გვ. 105.

ფუძელი რომ არ იყო, ამას ამტკიცებს ნიკოლოზ I-ის დამოკიდებულება ერმოლოვთან.

ნიკოლოზ I-ს არაერთხელ უთქვამს, რომ ყველაზე ნაკლებად ვნდობა ერმოლოვს. ნიკოლოზ I ერმოლოვს სწერდა მეტად თავზაზან წერილებს, ამავე დროს კი გავზაენა კავკასიაში პასუხები, შემდეგ კი დამბინი, რომელთაც მიანდო გადაეყენებინათ ერმოლოვი.

დეკაბრისტების იმედები, რომ ერმოლოვი მათ დაეხმარებოდა ნათლად გვახატავს ერმოლოვის პიროვნებას, რომლის შესახებაც ბევრი რუსი მწერალი ამბობდა: „რა საუცხოო ადამიანია, — სწერდა გრიბოედოვი ბევიჩევს, — ეს კიდევ არაფერი, რომ ბეკიანია, ახლა ყველა ბეკიანია, მაგრამ როგორც რუს კაცს შეეფერება, ეკელის-შემძლე არა მარტო დიდი საქმეებისათვის და არა მარტო წერილმანისათვის; უფრადღება მიჰქცევ ამას“¹.

ერმოლოვის სახე ლერმონტოვმა დაგვახატა. კოხელებეკერმა გრიბოედოვისადმი მეორედ გახზავნილ წერილში ერმოლოვს უწოდა „მუდამ ახალგაზრდა მოხუცი“, რილევემა მოუწოდა მას, აჯანყებულ ბერძენთა დასახმარებლად წასულ იყო შიგრამ ჯველაფერი ეს იყო დეკაბრისტების აჯანყებამდე, აჯანყების შემდეგ კი საგულისხმოა პუსკინის მწარე სიტყვები: „დიდი მარლატანი“. ამ სიტყვებში, უმბველია, გამოიხატა დეკაბრისტების განუბორცელებელი იმედები, დეკაბრისტებისა, რომელნიც მისგან დასხარებას მოელოდნენ.

¹ ა. ს. გრიბოედოვი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, გვ. 35—36.

ერმოლოვს უნდოდა მოხერხებულად გაეცრუებინა, მოეტყუებინა სარდმამწრობელობა, მაგრამ უკანასკნელმა, რამდენიმე წელიწადში მ. ნეტკინმა, მოატყუა ერმოლოვი და სოლის დაამარცხა კიდევ.

დეკაბრისტების ფარული საზოგადოების წევრებმა, აშკარად იცოდნენ კავკასიის ცალკე კორპუსში რუსეთისა და ამიერკავკასიის მოწინავე ადამიანთაგან ჩამოვადლებული წრის შესახებ. ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ, როგორც თვითმპრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ შევეთრად კრიტიკულად განწყობილნი. ამ წრის პოლიტიკური შეხედულებანი და განწყობილებანი ძალიან ახლან იყვნენ დეკაბრისტების შეხედულებებსა და განწყობილებებთან. სწორედ ეს იყო იმის მთავარი მიზეზი, რომ დეკაბრისტების საქმეთა გამოძიების პერიოდში ასე ხშირად ასხენებდნენ კავკასიის საზოგადოებას. სავამომძიებლო კომისია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ასეთი საზოგადოება არ არსებობდა, მაგრამ მან განუკრიტა მთავარი; ეს იყო ის გარემოება, რომ ამიერკავკასიაში არსებობდა მოწინავე საზოგადოებრივი წრე, ადამიანები, რომელთაც ბჭონდათ გარკვეული ერთობლივი პოლიტიკური თვალსაზრისი.

ყველაფერი ეს გვახადებულებს, დაწვრილებით შევისწავლით იმ წლების საზოგადოებრივი ატმოსფერო, ამიერკავკასიისა და რუსეთის ხალხთა ძნერი თანამეგობრობის ფაქტები და ზრმად განვიხილოთ ამ მოწინავე წრის წარმომადგენელთა შეხედულებანი და განწყობილებანი.



თომორ ღრაიზერი

ათი წელი შესრულდა სახელოვანი ამერიკელი მწერლის თომორ ღრაიზერის გარდაცვალებიდან. ღრაიზერს მთელი მსოფლიო იცნობს, როგორც პროგრესულ მწერალს, ჩაგრული ხალხის თავისუფლებისათვის დაუღალავ მებრძოლს.

თავის რომანებში, მოთხრობებსა და პუბლიცისტურ წიგნებში დიდმა რეალისტმა ნიღამი ჩამოგლიჯა ამერიკელი იმპერიალისტების მიერ გავრცელებულ მითს ამერიკაში კაპიტალიზმის განსაკუთრებული გზებით განვითარების შესახებ, ამხილა ამერიკელი მონოპოლისტების მტაცებლური ბუნება, მასების სიღატაკე, ფულის გამბრწყნელი გავლენა პიროვნებაზე.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ და საბჭოთა ქვეყნის წინსვლამ, ხილი ამერიკაში კაპიტალიზმის გეოპოლიტიკური კრიზისის გამოწვევებამ და მუშათა მოძრაობის აღმავლობამ ღრაიზერს, ისევე როგორც მილიონობით კეთილშინდისიერ ადამიანს მთელ მსოფლიოში, დაანახა კაპიტალიზმის დაღუპვის გარდაუვალობა, პროლეტარიატის დიდი მომავალი. ღრაიზერი ზღბდა საბჭოთა ქვეყნის მეგობარი, თანდათანობით თავისუფლდება ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენებისაგან, აქტიურად ებმება ამერიკის მუშათა კლასის მოძრაობაში, იბრძვის ანტიიმპერიალისტურ და მშვიდობის დაცვის ბანაკში. ბოლოს, მთელი თავისი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ღრაიზერმა დააგვირგვინა 1945 წელს ამერიკის კომპარტიის რიგებში შესვლით, რაც იყო მისი რთული შემოქმედებითი გზის ლოგიკური შედეგი.

ღრაიზერს ხშირად უყვარდა თქმა — „მე ვაფიქრებ კაბინეტში“ კიდედში“. ღრაიზერის ყოველი წიგნის გამოსვლა პანიკას იწვევდა ამერიკის ბურჟუაზიული მოსაზრების დამცემთა ბირვანზე. საინტერესოა მისი რომანების გამოქვეყნების ისტორია. ღრაიზერის პირველი რომანი — „დაიკო კერი“ გამოსვლისთანავე აკრძალეს და მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ მაღაზია შეიკრებოდა. ისეთივე ბედი ეწია ღრაიზერის სხვა რომანებსაც. შუაბნელი რეაქციის დაშლარობამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო რომანის — „გენიოსის“ წინააღმდეგ. „ნიუიორკის ცოდვების წინააღმდეგ მებრძოლმა საზოგადოებამ“, რომელსაც აფინანსებდნენ ცნობილი ამერიკელი „მოქალაქეები“ — კაპიტალისტები მორგანი, დოლჯი და სხვანი, და რომლის ფუნქციას შეადგენდა ხელფრების კონტრაქტი პერიტანელი მორალის

სახელით, ღრაიზერის „გენიოსი“ მიიწია მთვანე, ცოდვილ, ღვთისმგმობელურ ნაწარმოებად, აკრძალული წიგნების „შე სიამო“ შეიტანა, რის შემდეგაც, რვა წლის განმავლობაში, ერთ-ერთი საუკეთესო რეალისტური რომანი „გენიოსი“ არ გამოჩენილა წიგნების მაღაზიებისა და ბიბლიოთეკების თაროებზე.

ბურჟუაზიული ლიტერატურის მსოფლიოში ყოველგვარი არაკეთილშინდისიერი ზნარებით ცდილობდა ღრაიზერს სახელი გაეტეხონ, ნიჭიერი მწერლის ღირსება ხალხის თვალში დაამცირონ. ისინი ღრაიზერს აცხადებენ უკიდურეს ნატურალისტად, ზოლას უხეირო მოწაფედ, სექსუალურად, მისტიკოსად, მწერლის შემოქმედების ძირითად, საკითხად თვლიან სექსუალურ ინსტიტუტს, ერთგვად კაცობენ მის სტილს, უგულვებლყოფენ მის მებრძოლურ პუბლიცისტკას, ასახვის რეალისტურ შეთოსს, მისი შემოქმედების ღრმა სოციალურ შინაარსს, მწვავე ტრაგიკულ კონფლიქტებს, შერმანი ღრაიზერს უხეშად უწოდებს „ამორალურს“, „სინამდვილის ფიზიკურად“, „მატყუარას“, „ემოციის კომპაგს“, „ამერიკულ ქალებზე ცილისმწამებელს“, „ურწმუნოს“. რევი მიწიამ თავის წიგნში — „თანამედროვე ამერიკული რომანი“ ღრაიზერის მსოფლმხედველობის ანალიზს მოქმედნა სპეციალური თავი, რომლის სათაურია — „თეორი და რეალიზმი როგორც ბიოქიმიკოსი“. ქვიწიმა „აღმოაჩინა“, თითქოს ღრაიზერი თავის გმირთა ხასიათებში პირადი სექსუალური „დაუკმაყოფილებელი სურვილის დრამატუზებას“ ახდენდა.

ამერიკის რეაქციული ლიტერატურული კრიტიკა ხშირად დუმილით ფულის გვერდს ღრაიზერის სახელს, რითაც ცდილობს მისი მნიშვნელობის უგულვებლყოფას. ანდა ღრაიზერს იცხადებს წარმავალ ჰოვლენად ამერიკულ ლიტერატურაში.

თომორ ღრაიზერმა „ამერიკული ცხოვრების წესის“ შესწავლის პირველი გაკეთილი მიღო სიღატაკის სუსტში გატარებულ საკუთარი ბავშვობიდან. იგი დაიბადა 1871 წელს 27 ავსტრის ტერიტორიაში (მტკინა ინდიანა) ღარიბი გერმანული ემიგრანტის ოჯახში. 16 წლის ასაკიდან იწყებს მუშაობას ხან შავ მუშად, რესტორანში ჭურჭლის მრეცხავად, მხატვრის მოსამსახურე ბიჭად, მრეცხავთა ფერგონის მატარებლად, ინჟანსატორად. 1892 წლიდან მუშაობს რეპორტიორად ამერიკის სხვადასხვა ქალაქში: ჩიკაგოში, სენტ-ლუისში, ტოლედოში, კლაიფენდში, ბუფალოში, პიტსბურგში, ნიუიორკში. უკანასკნელი სენსაცი-

ური ამბების შესაგროვებლად მას უხდებოდა ცხოვრების ყოველ კენჭელში ჩახედვა, რაც დიდად უწყობდა ხელს მწერალს გაეცნო ამერიკის სოციალური სინამდვილე.

ოქტომბრის რევოლუციამდე პერიოდში დრაიზერის რეალისტური მეთოდის გამოუმუშავებობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა XIX საუკუნის ფრანგული, ინგლისური, ამერიკელი და, განსაკუთრებით, რუსული რეალისტური ლიტერატურის შესწავლას. ლევ ტოლსტოი იყო პირველი მწერალი, რომელმაც დრაიზერს მწერლობის სურვილი აღუქმია.

დრაიზერმა თავიდანვე ბრძოლა გამოუცხადა თანამედროვე რეალისტურ ამერიკულ ბურჟუაზულ ლიტერატურას — „სათნო რეალიზმს“, დეკადენტურ სკოლებს, მიზნად დაისახა მართებულად, ყოველგვარი შეღამაზების გარეშე გადმოეცა სინამდვილე და წამოაყენა ლოზუნგი — „ცხოვრება ავსახით ისე, როგორც ის არის“.

შემოქმედების ოქტომბრის რევოლუციამდე პერიოდში დრაიზერი არ იცნობდა ისტორიულ მატერიალიზმს და ადვილად მოექცა რეაქციულ-იდეალისტური პოზიტივისტური ფილოსოფიის გავლენის ქვეშ, რამაც განსაზღვრა ადრეული დრაიზერის რეალისტურ ესთეტიკასთან ნატურალიზმის ელემენტების თანარსებობა. მწერალი იზიარებს ბურჟუაზულ ინდივიდუალიზმს, თითქმის საზოგადოება არსებობისათვის ბრძოლის პრინციპზეა აგებული, საზოგადოება იყოფა ბიოლოგიური მონაცემების მიხედვით ძლიერ და სუსტ ინდივიდებად, ძლიერი იმარჯვებს და სუსტი ნადგურდება. თავის ადრეულ მხატვრულ ნაწარმოებებში მწერალი ზოგჯერ გმირის სულის სამყაროს გადმოსაცემად ბიოლოგიურ ფაქტორს იშველიებს.

თუმცა შემოქმედების ოქტომბრის რევოლუციამდე პერიოდში დრაიზერის რეალიზმს აფერმკრთალეს ნატურალიზმის ელემენტები, მაგრამ მწერალი ძირითადად რეალისტური ესთეტიკის საფუძველზე დგას. სინამდვილის მხატვრული დამაჯერებლობით ასახავს იგი აღწევს იმპერიალისტური ამერიკისათვის დამახასიათებელი მოვლენებისა და სახეების ტიპიზაციის გზით. მასთან ტიპური მასიათები ყალიბდებიან და მოქმედებენ ტიპურ გარემოში.

დრაიზერის ადრეულ ნაწარმოებებში მოქმედების დინამიკურ განვითარებას, დრამატულ კონფლიქტებს საფუძვლად უდევს წინააღმდეგობა ამერიკაში პიროვნების „პროსპერიტის“ შესახებ გაერეცხებულ ლეგენდასა და პიროვნების განამდგურებელ კაპიტალისტურ სინამდვილეს შორის.

თეოდორ დრაიზერის პირველი მხატვრული ნაწარმოებია „დაიკო კერი“ 1900 წელს გამოქვეყნდა. კერი ზვედლებრივ გონებადამწყული მწერიკელია, რომელსაც ბრძიდ სჯერა პიროვნების „პროსპერიტასა“ ამერიკაში და უცნებობს გამ-

დიდრებაზე. რომანში კერის ოცნებების შესწერვა ნაწვევებით არი სამყაროს ფონზე: ერთი მხრივ, ხალხის სიღატაკის, უმუშევრობისა და უმეცობის მხრივ, კაპიტალისტთა ცინიზმისა და ეგოიზმისა და ამორალიზმის ფონზე. კერი საზოგადოებრივ მდგომარეობის მოიპოვებს საკუთარ სინდისთან კომპრომისის ფასად. იგი უკრ დრეეს და შემდეგ კაპიტალისტ პერსონაჟების საფუძვლი ხდება, შემდეგ კაპიტალისტ ტუებს და ცნობილი მსახიობის სახელს იტყვის. რაც უფრო მაღლა მიიწევს კერი სოციალურ კიბეზე, მით უფრო მორალურად კინდდება. პოლოს მასში იღვიძებს შეეგება, რომ აღმაშინის ნამდვილი ბედნიერებასათვის ფულ ამოცება. კერი მიღის სასოწარკვეთალებამდე, ეკარება რწმენა მოვალისადაც და ჩაგრულ ხალხს თანაუგრძობს. რომანი „დაიკო კერი“ გამოხატავს რევოლუციამდე დრაიზერის მსოფლმხედველობისა და ესთეტიკის შეზღუდულობას. პერსონაჟის დაეკმის, ვალატკების მიზეზს ატორი ხსნის პერსონაჟის ვერველათუქტური მდგომარეობით. მწერალი კერი მიღის სათანადო დასვენამდე — რაში მდგომარეობს აღმაშინის კეშპარტი ბედნიერება და რა გზით შეიძლება მისი მოპოვება.

რომანი „უენი გერპარტი“ (1911 წ.) იდური შინაარსით მრავალმხრივ ენათესავება დრაიზერის პირველ რომანს. „უენი გერპარტი“ სოციალური რომანია, მიმართული ამერიკული „პროსპერიტისა“ და ბურჟუაზიული მორალის წინააღმდეგ.

შემოქმედების რევოლუციამდე პერიოდში დრაიზერი აქვეყნებს „სურვილის ტრილოგიის“ პირველ ორ რომანს — „ფინანსისტს“ (1912 წ.) და „ტრტანს“ (1914 წ.). მნიშვნელოვანი ქმნილება — „სურვილის ტრილოგია“ ენციკლოპედიური სიფართოვით ასახავს XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დამდეგს ამერიკაში იმპერიალიზმის განვითარებას. ტრილოგიის სამივე რომანი — „ფინანსისტი“, „ტრტანი“ და „სტოკოვის“ (მესამე რომანი 1947 წ. გამოქვეყნდა) კაპიტალისტ ფრენკ კუპერკელის სახით იძლევა ტიპური ამერიკელი მილიონერის რეალისტურ პორტრეტს.

ტრილოგიის მთავარი გმირის ფრენკ კუპერკელის პროტოტონს წარმოადგენს ზარლბ ტაიზი იერქსე-აუტერის დასასრულის ამერიკელი ზოლონერი, რკინგზის მავნებელი, რომელსაც ბიზნესის ფართო ქსელი ჰქონდა გამლილი ფილადელფიაში, ზიკაგოში, ნიუიორკში და, პოლოს, თავისი კაპიტალი ლონდონის მეტროს რკინგზის მშენებლობაში დააბანდა. იერქსეს ბიოგრაფია დრაიზერმა ტრილოგიის სიუჟეტურ მარტოდ გამოიყენა. ამავე დროს, სამივე რომანი მან ამერიკის სინამდვილიდან ამოკრებილი დამახასიათებელი ფაქტორი მასალით გაამდიდრა.

რომანში „ფინანსისტი“ და „ტრტანი“ კაპიტალისტი კუპერკელი დასურათებულა როგორც



ამერიკის ბერეუაზიული სამყაროსათვის კანონ-
ზომიერი მოვლენა. კაუპერვედის აზრით, საზო-
გადოება ჯერჯერ კანონებს ემორჩილება: არ-
სებობასათვის ბრძოლაში ძლიერი ინდივიდი
იმარჯვებს და შთანთქმავს სუსტს. იგი, მტაცებ-
ლური ინდივიდუალიზმის იდეებით გამსჭვალ-
ულა, ვაიკეარობის, მეჭრთამეობის, ქურდობის
გზით მიოცავს სოციალურ კაცზე. კაუპერვედს
ზედმიწევნით აქვს შესწავლილი ფინანსისტთა კუ-
ლისების ცხოვრება, მისი ყოველი საიდუმლო
ზერელი, საიდანაც შეიძლება მილიონობით ღო-
ლარების გამოცურება. მოქნილი საქმიანანი მი-
ლიონერი ხდება, ზელთ იღვებს მონიპოლის ჩი-
კაგოს ვაჭის წარმოებასა და რკინიგზებზე.

დრაიზერი არა მხოლოდ კაუპერვედის სახის
გამომჩრწვთ აღწევს ტიპურის, განსახიერებას,
არამედ იმ ტიპური ვარემოს დასურათებითაც,
რომელშიაც მოქმედებს ფინანსისტი. კაუპერვე-
დი მტაცებელია მტაცებელთა შორის, მგელი
მგელთა შორის, ძლიერებისა და სიმდიდრისა-
თვის მებრძოლი ძლიერთა და მდიდართა შორის.
კაპიტალისტური ამერიკის ცენტრები ფილადელ-
ფია და ჩიკაგო, რომელთა ბიზნაჟეუ კაუპერვე-
დი თავის სპეკულიაციურ მაქინაციებს აწარ-
მოებს, ერთი მუში მონიპოლისტების სამფლო-
ბელოთა ქველია. ისევე მწიფოთ ანარტი, სასა-
მართლო, პრესა, არჩევნები, ერთი სიტყვით, ყო-
ველგვარი დაწესებულება, რომელიც ამერიკელი
„დემოკრატიზმის“ სახელს ატარებს, სინამდვი-
ლეში ფინანსისტებს ემსახურება ხალხის ძარცვი-
ვლევანა, ბოროტმოქმედებათა კვლის დაფარ-
ვასა და საკეთარების დაცვის საქმეში. დრაიზერი
შეუწყნარებლად ამბობს, რომ განსხვავება ამე-
რიკის „დემოკრატიულ“ და „რესპუბლიკურ“
პარტიებს შორის მოჩვენებითია. ორივე ამერი-
კელ სპეკულიანტთა ბანდების კერძო რტერებს
შფარველობს. კაუპერვედი არ ზარადდება, რო-
დღაც ერთი პარტიის ნაცვლად მეორე მოექცევა
მმართველობის სათავეში. მოსყიდვისა და ინტრი-
გების საშუალებით იგი თავის საქმეებს კვლავ
ჩინებულად აკმაყავს. რომანში დრაიზერი
იძლევა ამერიკელ კაპიტალისტთა და სხვადასხვა
ჯერის პოლიტიკოსთა, სენატორთა, გუბერნა-
ტორთა მრავალფეროვან ვალტიკას, ამხელს ამე-
რიკის ბერეუაზიული საზოგადოების მორალურ
სახეს, კაუპერვედის ზნეობრივ სიმდაბლეს, სექ-
სუალურ აღვირახსნილობას.

„ფინანსისტა“ და „ტიტანში“ რველუციამ-
დელი დრაიზერის მსოფლმხედველობის წერილ-
ბერეუაზიული შეზღიდულობა ვლინდება კაუ-
პერვედის სახისადმი ავტორის წინააღმდეგობ-
რად დამოკიდებულებაში. ერთი მხრით, კაუპერ-
ვედი ტიპური ამერიკელი მტაცებელი ფინან-
სისტი, ბოლო, მეორე მხრით, დრაიზერს, რომე-
ლიც ბერეუაზიულ ინდივიდუალიზმს იზიარებს,
მისწონს, იზიდავს კაუპერვედი, როგორც ენერ-
გიული, გამჭრიახი, „ძლიერი ცხოველი“, „ძლი-

ერი ინდივიდი“, მას უწოდებს „სეკსტა“ და
„ოლიმპიელს“.

ანალოგიურად, რომანში „გენიოსი“ ტიპურიც
მალე „ტიტანის“ შემდეგ, 1915 წელს გამოქვეყნ-
და, დრაიზერი ხარკს უხლის სენსერულ პოზიტი-
ონზმს და იუჯინ უიტლას ტრავედის ცალკეულ
მომენტებში მისი ხასიათის სისუსტით, უნებმის-
ყოფლობითა და ზედმეტი ემოციონალიზმით
ხსნის, მიუხედავად ამისა, „გენიოსი“, ისევე რო-
გორც „ფინანსისტი“ და „ტიტანი“, დრაიზერის
მნიშვნელოვან რეალისტურ ნაწარმოებს წარმო-
ადგენს.

ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენის“ მსგავსად,
დრაიზერის „გენიოსი“ ამხელს ზელოვანის ტრა-
გედის იმპერიალისტურ ამერიკაში. რომანის სა-
თაური — „გენიოსი“ (The Genius) მოთავს-
ბულია ბრკვალბში, რაც გამოხატავს ავტორის
მწერ ღვარძლიან ირონიას ამერიკელ სინამდვი-
ლეზე, რომელიც მართლაც გენიოსობისაკენ მო-
წოდებულ ადამიანებს გზას უხშობს შემოქმედე-
ბითი თავისუფლებისაკენ. რომანში მხატვრული
დამაჯერებლობითაა ნაჩვენებ, თუ უსახსრობა,
სიმდიდრისათვის ბრძოლა, ბერეუაზიული საზო-
გადოების ამორალობა და რეაქციული იდეოლო-
გიის ზემოქმედება ახალგაზრდა ნაჰიერ მხატვარს
იუჯინ უიტლას როგორ დაამივიებს და სეღიე-
რად გამოფიტავს. ოდესღაც რეალისტი მხატვარი,
აღფრთოვანებული შემოქმედი დეკადენტად გადა-
გვარდება, ბერეუაზიის მდამბურ, ველვარტლ
ვემოვნებამდე ეშვება და, როგორც ზელოვანი,
იღუპება.

ოქტომბრის რველუციის შემდეგმ პერიოდ-
ში დრაიზერის რეალიზმი თანდათანობით იწმინ-
დება ნატურალიზმის გაღმართებისაგან და აღ-
მავალი ხაზით მიემართება.

პუბლიცისტური წიგნი „დასცხვთ დაფ-
ლაფები“ (1919) იყო დიდი ოქტომბრის
რველუციის პირველი პასუხი, კეთილსინ-
დისიერი, ხალხის ინტერესების თანამგრძნო-
ბი მწერლის პასუხი. თუმცა წიგნს ჯერ
კიდევ ატუვია ბერეუაზიული იდეოლოგიის და-
ლი, მაგრამ მასში დრაიზერი მართებულად ასუ-
რათებს კაპიტალისტური ამერიკის მექანიზმს,
შინაგან წინააღმდეგობას.

1925 წელს გამოქვეყნდა დრაიზერის შესანიშ-
ნავი რომანი „ამერიკული ტრავედია“. ერთი
წლის განმავლობაში რომანი შეიღვეერ გამოიცა,
რის შესახებ ავტორმა განაცხადა: რომანი პოპუ-
ლარული გახდა „არა იმის გამო, რომ ის არის
ტრავედია, არამედ იმიტომ, რომ ის არის ამე-
რიკელი“.

„ამერიკული ტრავედის“ კარდინალური სა-
კითხია კვლავ ამერიკელი „პროსპერიტის“ მზი-
ლება, პიროვნების ბედი იმპერიალისტურ ამე-
რიკაში. მაგრამ დრაიზერის აღრინდელი აზრ
ერთი რომანი თუ მოთხრობა არ იძლევა ამერი-
კის სოციალური უსამართლობის ისეთ მძაფრ
კრიტიკას, როგორსაც ამერიკული ტრავედია“.

რომანის გმირი წერილებზეაწერილი წრის წარმომადგენელი კლად გრიფისტი თავისი მისწრაფებით, გააძლიერების ძლიერი სურვილით, პატივმოყვარეობით, ეგოიზმით, ამორალიზმით, კაპიტალისტური ვაჭრის ტიპური პრინციპით.

„ამერიკულ ტრაგედიაში“ იმპერიალისტური ამერიკისათვის დამახასიათებელ დროს სოციალურ წინააღმდეგობას ავტორი გადმოგვცემს მხატვრულ კონტრასტულ სახეებში: ტიპურ ამერიკულ ქალაქ ლიუერგში მდიდართა და ღარიბთა რაიონებს შორის ისეთი ვეგორის სხვაობა არსებობდა, თითქმის „დანაშაულებრივად ისინი ან მღალი ეკლდით გადაეტიხრათ“. ქარხნის მეპატრონე სემუელ გრიფისტი პრაქტიკული, ცივი, ანგარიშგებანი ბიზნესმენი; მისი ძმა, კლადის მამა, „ნიეთურ ძალას“ მოკლებული, ღატაკო, უბადრეო, სხვების შემხრალე, პერიტანტი რელოვის მოქადაგეა. კაპიტალისტ გრიფისტის მეშვეობედ ჯილბერტი საქმისანი, ბორტი და თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობით გაუყოფილებული ამერიკელი; კლადი კი სამუშაოს საქმენულად დაწინააღმდეგობა და ბიძისაგან მიღებული მცირე მოწყალებისათვის დიდ დამოკიდებას იტანს. იმ დროს, როდესაც ჯილბერტის და — ბელას მდიდარი თავყანისმცემლები თავს ეჭვყვანიან, კლადის დას — ესტას უპატრონოდ ტოვებს ვილაც გამწვლული, რომლისაგანაც ესტას უკანონო შვილი შევიძინდა. და ბოლოს, მილიონერის ქალიშვილი სონდრა ფინსლი უპატრონოსტარებასა და ფუფუნებაში ფლანგავს ქონებას, ხოლო მუშა-ქალი რიბერტა ოლდენი წელზე ფეხს იდგამს საარსებო გროშების საშოვნელად. ამ ორი სამყაროს ფონზე ვითარდება რომანის ძირითადი სიუჟეტური კვანძი.

ტრაგედის დრამატული კონფლიქტი უმაღლეს წერტილს აღწევს იმ მომენტში, როცა სონდრა აანხმდება კლადის ცოლობაზე, ხოლო ფეხმძიმე რიბერტა კლადს ევედრება — სამარცხვინო მდგომარეობიდან იხსნას და ცოლად შეერთოს. როგორც უადრესად ეგოისტი, გახრწნილი პირიყვება კლადი ამ წინააღმდეგობიდან თავის დაღწევას ფიქრობს რიბერტას ჩამოშორებით ცხოვრების გზიდან და საწყალ ფეხმძიმე ქალს შეუბრალებლად ახრჩობს ტბაში.

„ამერიკული ტრაგედის“ მესამე წიგნი ეთმობა ამერიკის სასამართლოს ლაბორინტების მხილვას. დრამატური ოსტატურად გვიჩვენებს, რომ ამერიკის ბურჟუაზიული სასამართლო კლადს სიკვდილით სჯის არა ბორტმოქმედების ჩადენისათვის, არამედ იმიტომ, რომ ამგვარი განაჩენი სპირო იყო თვით სასამართლის მოხელეების კარიერისათვის.

„ამერიკული ტრაგედია“ დრამატურის რეალიზმის ახალი ეტაპია. წინამართლის რომანებისაგან განსხვავებით, ავტორი შეგნებულად გამოადის ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმის კრიტიკით, მათელოფს თუ ამერიკის კაპიტალისტური სო-

ნამდვილე საშუალო ამერიკელს როგორ ანახინჯებს სელიგნად, როგორ მიჰყავს ბორტმოქმედებამდე და ტრაგიკულ დასასრულამდე.

ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პერიოდში შედებულ გამოცემა დრამატურის მოთხრობების ხეთი კრებული: „განთავისუფლება და სხვა მოთხრობები“ (1918 წ.) „თორებანი“ (1919), „ღიდი ქალაქის ფერები“ (1923), „ბორკილები“ (1927), და „ქალთა ვალეზეა“ (1929), რომლებშიც აშკარად შეიჩნევა დრამატურის რეალიზმის განვითარება ნატურალისტური შეზღუდულობის დაძლევის გზით. დრამატურის მოთხრობები მდიდარი თემატიკით, სოციალურ მანკიერებათა მძაფრი მხილვებით, მხატვრულობით თამამად შეიძლება მის მონუმენტალურ რომანებს გვერდით ამოუყვანოთ.

1927 წელს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ათი წლისთავის ზეიმზე დრამატური, როგორც ცნობილი ამერიკელი მწერალი, მოემგზავრება საბჭოთა კავშირში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1928 წელს, მან გამოაქვეყნა წიგნი „დრამატური უზურს რუსეთში“, რომელშიც აღტაცებას გამოთქვამს საბჭოთა ქვეყანაში პიროვნების თავისუფლებისა და მშრომელთა კეთილდღეობისათვის ზრუნვის შესახებ.

მოთხრობა „ერნიტა“ დრამატურში საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შემდეგ დაწერა. დრამატურის მხატვრულ კმნილებებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა მოთხრობა „ერნიტა“. ამერიკულ ლიტერატურაში ერნიტას სახით დრამატურში პირველმა პეკნა დადებითი გმირის, ამერიკელი კომუნისტის სახე. მოთხრობაში ავტორი ერთმანეთს უპირისპირებს პიროვნების დამარჯუნველ იმპერიალისტური ამერიკის სონამდვილესა და სოციალისტური ქვეყნის კემსიტულ დემოკრატიას. მოთხრობას ახასიათებს სიუჟეტური და იდეური სიმძაფრე ერნიტა, რომელიც ყოველთვის პროტესტანტულად იყო განწყობილი „ამერიკული ცხოვრების წესისადმი“, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ჩამოდის საბჭოთა კავშირში, კომუნისტური პარტიის რეგვში შედის, ამერიკაში დაბრუნებაზე უარს აცხადებს, საშუალოდ რჩება საბჭოთა ქვეყანაში, სადაც ნამდვილ ბედნიერებას, ცხოვრების მიზანს პოულობს.

დრამატურის პროგრესული აზროვნების განვითარებისათვის დადამწვევტი მნიშვნელობა ქონდა ორ მომენტს: 1927 წელს პოლეთარული რევოლუციის საშობლობის გაცნობას და 1929-33 წლებში ამერიკაში კაპიტალიზმის ეკონომიური კრიზისის გამწვავებას.

ეკონომიური კრიზისის გამწვავების პერიოდში, 30-იან წლებში, დრამატური ამერიკულ მუშათა მოძრაობას უერთდება, გამოდის მუშათა მოტინგზე კაპიტალისტური ექსპლუატაციის წინააღმდეგ მოწოდებით. დრამატურის პროგრესული მსოფლმხედველობა ყველაზე უფრო მკვეთრად აისახა მის 30 — 40-იანი წლების მებრძოლურ

პუბლიცისტიკაში. მთელ რიგ წერილებში — „პასუხი ჯონ როდის კვლევას“, „აყვავება ერთი პროცენტი მოსახლეობისათვის“, „მე ხმას მივცემ კომუნისტებს“ და სხვა, დრიაზერის ლაპარაკის ამერიკელი ხალხის სიღატაკის, მონოპოლისტთა ტერორისტულ მოქმედების შესახებ, თანადგომის მეშვეობით მოძრაობას და კომუნისტებს, იცავს უდანაშაულოდ დაპატიმრებულ ზანგებს (ენობილი სკოტბოროს საქმე). 1932 წელს მონაწილეობას იღებს თამას ბენის განათავისუფლებისათვის მოძრაობაში.

პარლენის მადაროელთა აჯანყების დროს დრიაზერის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა პარლენის მეშვეობით მდგომარეობის შესწავლა. 1932 წელს მისი ინიციატივით გამოიკა კრებულნი „ლაპარაკი ზენ პარლენის შემსახრებში“, რომელიც შედგება პარლენის მეშვეობით ჩვენებებისა და აჯანყების შემსწავლელი კომისიის წევრთა ანტიიმპერიალისტური პამფლეტური წერილებისაგან.

ინდივიდუალიზმის პრიობლემა, რომელიც წითელი ზოლით გასდევს შწერლის შემოქმედების გზას, 30-იან წლებში დრიაზერმა ახლებურად გადაჭრა. წიგნის — „ლაპარაკი ზენ პარლენის შემსახრებში“ წინასიტყვაობა დრიაზერმა ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმის კრიტიკას მიუძღვნა. შწერალი მიმართავს ამერიკელ ხალხს, შეგნებულად უარყავ ინდივიდუალიზმის ილუზიები, რადგან „საზოგადოება არ არის და არც შეიძლება იყოს ჯენჯლი“, რადგან ამერიკის იმპერიალისტურ სინამდვილეში „ინდივიდუალიზმი ზოგისათვის ნიშნავს ყველაფერს და ზოგისათვის ძალიან ცოტას ან არაფერს“.

რეაქციული ინდივიდუალიზმის თეორიის, ამერიკელი „პროსპერიტისა“ და, საერთოდ, რეაქციის გამედუღო კრიტიკათაა გამსჭვალული დრიაზერის შესანიშნავი პუბლიცისტური წიგნი „ტრაგიკული ამერიკა“, რომელიც 1931 წელს კაპიტალიზმის შწივე ეკონომიკური კრიზისისა და მესმათა მოძრაობის დამკვიდრების პერიოდში გამოქვეყნდა. წიგნის ავტორი ამერიკის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების მავალითზე ამერიკელ ხალხს განუმარტავს კრიზისის მიზეზებს.

წიგნის პირველი თავშივე — „ამერიკელი სენა“ — ლაკონიური თქმებით, ცხოვრებიდან ამოყვებულნი ფაქტორის მასალის გამოყენებით მზილებულია თანამედროვე იმპერიალისტური ამერიკის შინაგანი წინააღმდეგობა. შემდეგ თავებში ავტორი დეტალურად ჩერდება ამერიკაში კაპიტალიზმის მტკიცებულერ ხასიათზე, სახელმწიფო ევარტის, არჩევნების სისტემის, სასამართლოს, ვალსისის, პოლიციის გახრწილებაზე რომ ამერიკის ბიუროკრატიულ, ანტიდემოკრატიულ ხელისუფლებას მონოპოლისტები ავიანს უბუნ. ამერიკელ ხალხს საყოთარ ქვეყანაშივე არ შეავს დამცველი „დემოკრატიული“ ამერიკის კონსტიტუცია მხოლოდ კაბალდის ნაგლეჯია“. იმპერიალისტური ამერიკის ავტორი უპირისპირებს საბჭოთა

მთავრობის დაუღალავ ზრუნვას მშრომელთა ბედნიერებისათვის. წიგნის მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება ამერიკელი ხალხის მდგომარეობას, მესმათა მოძრაობის საკითხებს, მწვერვალის მხმამ კელი მუშებისაგან მოითხოვს სოლიდარობას, „ველური ფინანსური ოლიგარქიის“ წინააღმდეგ დარაზებას.

„ტრაგიკული ამერიკა“ შიშის ზარი დასცა ამერიკელ იმპერიალისტებს და იგი გამოსვლისთანავე აუკრძალეს, წიგნის ერთერთმა რეცენზენტმა, ბურჟუაზიულმა ლიტერატურისცოდნემ უილიამ სოსკინმა „ტრაგიკული ამერიკის“ ავტორის შესახებ განაცხადა, რომ იგი ვადივდა რევოლუციის ბანაკში, „ჩვენ დავარგეთ კველი“, ფერი, სტილია რაღაც შეიძინა“.

დრიაზერი იყო ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისა და ფაშისმის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლი. წერილში „ომი და ამერიკა“ (1932) იგი ასაბუთებს, რომ იმპერიალისტური ომება კრიზისების შედეგია. ომი სწურუათ მხოლოდ დუსალიტრეტულ „ვეშაებს“ ახალი ბაზრების დასაყრობად. წერილი თავდება ამერიკელი ხალხისადმი მოწოდებით იბრძოლონ საბჭოთა ქვეყნის ხალხებთან ერთად მშვიდობის საქმის განმტკიცებისათვის.

1938 წელს ესპანეთის ნაციონალურ-რევოლუციური ომის პერიოდში დრიაზერმა, როგორც ამერიკელ შწერალთა ლიგისა და ამერიკის ფაშისმის წინააღმდეგ მებრძოლი ლიგის წევრმა, ესპანეთში იმოგზაურა. „პრავდისა“ და ეცხოეთის კორესპონდენტებს დრიაზერი უცხაულებს, რომ ესპანელი ხალხის მიმართ მსოფლიოს იმპერიალისტები, მთ შორის ამერიკელთა „60 ოჯახიც“ საზარელ ბოროტმოქმედებას ჩადიან.

